

ՄԱՍԻՍԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ


ԳՐԱԴԱՐԱՆ



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ
ԵՄԻՍԻՍԻՆ





63.5(2r)
39(479.22)
h 671

აკად. გ. ჩიტაიას დაბადების 105 წლისთავთან დაკავშირებით იწყება მისი „შრომების“ ხუთტომეულის გამოცემა.

პირველ ტომში — „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა“, წარმოდგენილია აკად. გ. ჩიტაიას მიერ შესწავლილი ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურა, სახვნელი იარაღის ჩასახვისა და განვითარების ისტორია, დასახლების ფორმები საქართველოში, საცხოვრებელი ქართული ოქრომქედლობა და სხვა.

აკად. გ. ჩიტაიას სამეცნიერო შემოქმედება ეძღვნება ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, ეთნოსპეციფიკისა და კულტურულ-ისტორიული ღირებულების დადგენას, იმ ეროვნული თავისებურებების გამოვლენას, რომელიც შელავნდება მატერიალურ კულტურაში, საწარმოო გამოცდილებასა და შრომით ჩვევებში, აჩვენებს ქართული სამიწათმოქმედო კულტურის ადგილს ცივილიზაციის არეალში.

შრომგრაფია განკუთვნილია საქართველოს ისტორიის სპეციალისტების, სტუდენტებისა და კულტურის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

შემდგენელი რედაქტორი თამილა ცაგარეიშვილი

რეცენზენტები: ჯ. რუხაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გ. ჯალაბაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

K 33.997
4


წ 0505000000 47-94
M 607 (06)-97

© „მეცნიერება“,
1997

ISBN 5-520-00745-4



საბავშვო-საბავშვო კარლამუნდის
ეროვნული ბიბლიოთეკა





წინასიტყვაობა

აკად. გ. ჩიტაიას სახელთან, მის ხანგრძლივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულია თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბება-განვითარება. თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შექმნა. მან დაამკვიდრა პრინციპულად ახალი მიმართულება ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში, საფუძველი ჩაუყარა საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდს.

აკად. გ. ჩიტაიას სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო მრავალმხრივია და მოიცავს ფართო თვალსაწიერს. იგი ეხება როგორც ქართველ ხალხის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის, ისე სოციალური ურთიერთობისა და რიგ შემთხვევაში სულიერი კულტურის, სასწავლო, სამუშეუშო და საორგანიზაციო საქმის მეთოდურ პრობლემებს, ეთნოგრაფიის ისტორიისა და თეორიის საკითხებს.

მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი გამოქვეყნებული გამოკვლევა, რეცენზია, კრიტიკული წერილები. ამ ნაშრომებს მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოში ეთნოგრაფიული აზრის განვითარების ისტორიის თანმიმდევრული საფეხურების გამუქებისათვის, ასევე ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების შემდგომი გაღრმავება-გაფართოებისათვის.

ცალკეულ საკითხებში ასახულია ქართული ეთნოგრაფიული აზრის უკვე განვლილი საფეხური; მათდამი ინტერესი ისტორიოგრაფიული ხასიათისა და ამ მხრივ მათი მნიშვნელობა უდავოა. ნაშრომთა უმრავლესობამ დღემდე შემოინახა აქტუალობა როგორც თავისი დასკვნების მეცნიერული მნიშვნელობით, ასევე ეთნოგრაფიული მუშაობის ახალი პერსპექტივების თვალსაზრისითაც. ამდენად, გ. ჩიტაიას „შრომებს“ პროგრამული მნიშვნელობა ენიჭება არაერთი მათგანი ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური შეფასების, მათი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების განსაზღვრის, ცალკეული ელემენტების თვითმყოფი ნიშნების გამოვლინებისა და მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით ეტალონს წარმოადგენს.

თავის შრომებში გ. ჩიტაიამ ახლებურად გააშუქა საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, აჩვენა ეთნოგრაფიული ფაქტის მნიშვნელობა ისტორიულ კვლევაში და ამ მხრივ კონკრეტული საველე-ძიების როლი ზოგადი ეთნოგრაფიის პრობლემების გაშუქებაში. მისი მეზიკვიდრეობა ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და სამეცნიერო წრთვის მყარო საფუძველია.

გ. ჩიტაიას მიერ გამოქვეყნებული არაერთი ნაშრომი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ამანაც განაპირობა მათი ერთად თავმოყრა და სრულ-

ლი გამოცემის მომზადების საჭიროება. მისი სამეცნიერო შემკვიდრეობა მოიცავს 1922—1985 წლებს, ხასიათდება პრობლემის მრავალმხრივობით, რაც ართულებს „შრომების“ ხუთტომეულის სტრუქტურისა და თემატიკის საკუთხებს.

გ. ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულისათვის მასალა (შერჩევით) გამოქვეყნებული ლიტერატურიდან და პირადი არქივიდან იქნა მოპოვებული.

I ტომში წარმოდგენილია ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფისა და მატერიალური კულტურის საკითხებს.

II ტომში კულტურულ-ისტორიული პრობლემები და ქართველი ხალხის ეთნოგენეზია მოცემული.

III ტომში შევიდა თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიის ისტორია და საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი.

IV ტომში — კრიტიკული წერილები და მიმოხილვები.

V ტომში — „Вопросы этнографии Грузии и Кавказа“. — თავს მოიყრის გ. ჩიტაიას მიერ რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომები.

აკად. გ. ჩიტაიას „შრომების“ ამ პრინციპით დაყოფა საკმაოდ პირობითია. იგი ბევრ შემთხვევაში (მაგ., რუსულ ენაზე დაწერილი ნაშრომების ცალკე ტომად გამოცემა) ტექნიკური მიზეზებით არის გამოწვეული. გარდა ამისა, ცალკეული გამოკვლევები ზოგადი ხასიათისაა (მიდგომით, თემატიკით, მასშტაბით), მაგრამ გამოკვეთილია კონკრეტული საკითხები, ხოლო რომელიც არ ეძღვნება კონკრეტულ საკითხებს, ხშირ შემთხვევაში ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის არის. ამიტომ რიგი სამეურნეო თუ მატერიალური კულტურის ელემენტებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები მოთავსებული იქნება მომდევნო ტომებში.

აკად. გ. ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულის გამოცემა მიზნად ისახავს მისაწვდომი გახადოს ფართო საზოგადოებისათვის მეცნიერის მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო სამეცნიერო შემკვიდრეობა, რომელიც ამავე დროს მნიშვნელოვანია ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისით, იგი ასახავს თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიის ჩასახვისა და განვითარების გზას 1920-იანი წლებიდან თანამედროვე პერიოდადღე. ამ ხნის მანძილზე ეთნოგრაფიაში, როგორც საერთოდ ისტორიულ მეცნიერებაში, ბევრი რამ შეიცვალა, მოხდა მთელი რიგი დებულების გადაფასება, მათ შორის მაგ., გვაროვნული თეორიის, ეთნოგენეზისა და სხვა, რაშიც არამცირედი დამსახურება სწორედ ქართული ეთნოგრაფიული მასალისადმი ახალ მიდგომას აღმოაჩნდა. მკითხველს საშუალება ეძლევა კვალდაკვალ გაადევნოს თვალსაქმად ქართულ ეთნოგრაფიულ კონცეფციების ევოლუციას.

აკად. გ. ჩიტაიას „შრომების“ ხუთტომეულის I ტომში შეტანილია გამოქვეყნებული შრომები ქართველი და კავკასიის ხალხების სამეურნეო და მატერიალური კულტურის ისტორიიდან. საარქივო მასალებიდან შერჩეულ იქნა შემდეგი ნაშრომები: „საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემა და სახვნელი იარაღები“, „ახოს აღება დასავლეთ საქართველოში“, „ეთნოგრაფიული მასალები ტერასული მიწათმოქმედებისათვის ჯავახეთში“, „ოსური სახვნელი“. „ინგუშეთისა და საჩაჩნოს სახვნელი იარაღები“, „საქართველოს აგროეთნოგრაფიის პრობლემები“ (შესწავლის მდგომარეობა და პერსპექტივები).

ბი)“, „ხევსურული ვარია“, „ოქრომჭედლობა საქართველოში“, „ქართული და
კავკასიური სამკაულები“, „შუმერული კვერი“.

„მთური მიწათმოქმედება“ ქართულად ქვეყნდება პირველად. „უნაკის“
ვრცელი ვარიანტი, გამოქვეყნებული კრებულში „აღმოსავლური ფი-
ლოლოგია“, 1969 წ.; „ხევსურული ვარია“ დაკარგულად ითვლებოდა წლე-
ბის მანძილზე. მის აღდგენაში ხელი შეგვიწყვეს ეთნოგრაფებმა ისტორიის
მეცნიერებათა კანდიდატებმა: მ. მაკალათიამ და მ. ხაზარაძემ. შოგვიანებით
1984 წ. გ. ჩიტაიას პირადი არქივის დამუშავებისას მიკვლეულ იქნა დედანი
და ნაშრომის საილუსტრაციო მასალა, შესრულებული ი. შარლემანის მიერ,
რომელიც მონაწილეობდა ხევსურეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში 1928—
1929 წლებში (იბეჭდება უცვლელად). აღნიშნული სტატია ავტორს განზრ-
ხული ჰქონდა დასაბეჭდად „საქართველოს მუზეუმის მოამბეში“, სახელწო-
დებით „ხევსურული სადღეებელი“ (ამის შესახებ მითითებულია მის ნაშ-
რომში „ხევსურული სენე“). ნაშრომის გამოქვეყნების საჭიროება დაადასტუ-
რა დრომ. იგი ათეული წლების მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა ხელ-
ნაწერის სახით, სახელწოდებით „ხევსურული ვარია“, ასეცაა მითითებული
მთელ რიგ დაბეჭდილ ნაშრომებშიც. ამიტომ ნაშრომს ვაქვეყნებთ ამ უკანას-
კნელის სახელწოდებით.

აკად. გ. ჩიტაიას არქივის დამუშავებისას მიკვლეულ იქნა აგრეთვე ნაშ-
რომის „ოქრომჭედლობა საქართველოში“ დედანი და სრული საილუსტრა-
ციო მასალა, შესრულებული ნ. ბრაილაშვილის მიერ, იბეჭდება უცვლელად.

„შრომების“ I ტომში. გავრთიანებული, ავტორის მიერ სხვადასხვა დროს
შესრულებული, ყველა დასახელებული ნაშრომი ერთნაირ დონეზე არ არის
დამუშავებული, მაგრამ თითოეული მათგანი თავისი დროისათვის ქართული
ეთნოგრაფიის მნიშვნელოვანი მონაბოვარია და ამავე დროს ავსებს ამ ტომის
შინაარსობრივ თემატიკას.

ნაშრომებში დაცულია ავტორისეული სტილი, მხოლოდ შესწორდა და
დამოწმდა ზოგიერთი უზუსტობა სქოლიოში, გასწორდა ზოგიერთი პუბლი-
კაციის სახელწოდება, საარქივო მასალებში შეტანილ იქნა ნაწილობრივი ცვლი-
ლებები, ძირითადად ტექნიკურ-გრაფიკული ხასიათისა.

გაძნელდა რიგი საარქივო ხასიათის საილუსტრაციო მასალის აღდგენა.
მაგ., ნაშრომისათვის „მასალები ტერასული მიწათმოქმედებისათვის ჯავახეთში“,
რომლის სურათები შესრულებული იყო ნ. ჩუბინაშვილის მიერ. ნაშრომს
ახლდა სოფ. ნაქალაქეში გადაღებული და აღწერილი ელიზბარ ვაჭარაძის
სახლის სურათი, სოფ. ვალმა ჭაჭკარის ტერასების ხუთი ფოტოსურათი და
სამი დარბაზული—„გოდოლ-გოდოლ გადახურვის“ სურათი. ვინაიდან ამ
მასალის აღდგენა ვერ მოხერხდა, ამიტომ ილუსტრაციებზე მითითებები ტექს-
ტში საერთოდ ამოღებულ იქნა. ასევე მოხდა ზოგიერთ გამოქვეყნებულ ნაშ-
რომშიც, სადაც გაძნელდა საილუსტრაციო მასალის აღდგენა.

I ტომში არ შედის აკად. გ. ჩიტაიას ცნობილი ნაშრომი „აფხაზური სა-
ხენელი იარაღი“. ის წარმოდგენილი იქნება მეხუთე ტომში, რომელშიც გაერ-
თიანდება მის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული ყველა ნაშრომი, რეცენზია
მიმოხილვა.

1 ცნობა მოწოდებულია გ. ჩიტაიასგან, 1984 წ. (თ. ც.).

ნაშრომები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან იბეჭდება შერჩევით. რიგი ნაშრომებისა, რომლებიც ნამეურნეო ან მატერიალური კულტურის რომელიმე ელემენტს ეხება და განხილულია ეთნოისტორიულ, ეთნოგენეტიკურ ჭრილში, კავკასიურ და აღმოსავლურ პარალელბთან შედარებითი მეთოდით. წარმოდგენილი იქნება „შრომების“ II ტომში.

იმისათვის, რომ „შრომებს“ შეენარჩუნებინა გამოცემის პირვანდელი სახესხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებული სტატიები გაერთიანდა პრობლემების მიხედვით.

აკად. გ. ჩიტაიასთან წლების მანძილზე მუშაობდნენ მხატვრები: ე. ლასსერე, ი. შარლემანი, ს. ჭობულაძე, უ. ჯაფარიძე, ნ. ბრაილაშვილი, ზ. წერეთელი და სხვანი. მათი საველე-საექსპედიციო ჩანახატები ჩართულ იქნა ნაშრომში. ტომის ფორზაცი გაფორმებულია ლ. გუდიაშვილის ესკიზით, რომელიც მიეძღვნა აკად. გ. ჩიტაიას დაბადების 60 წლისთავს.

საილუსტრაციო მასალის აღდგენაში დახმარება გაგვიწიეს მხატვრებმა — ნ. ბრაილაშვილმა, ლ. კიკალიშვილმა, ფოტოგრაფმა ლ. საფრაზიანმა; ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ე. პრივალოვამ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ჯალაბაძემ.

წევრ-კორესპონდენტ პროფ. ალ. რობაქიძის სასარგებლო რჩევადარიგებები გამოცემის ბოლომდე სახელმძღვანელო პრინციპად გვრჩება.

დასასრულს, დიდი მადლიერებით უნდა აღინიშნოს ის შრომა, რომელიც გ. ჩიტაიას მემკვიდრეობის გამოცემისათვის გასწიეს აკად. ა. აფაქიძემ და აკად. გ. მელიქიშვილმა.

„შრომების“ მომზადება დაიწყო აკად. გ. ჩიტაიას უშუალო ხელმძღვანელობით 1984—85 წწ; მისი პირადი არქივი დამუშავდა 1983—84 წწ.

„შრომების“ მომზადებისა და გამოცემისას უპირველესად ვხელმძღვანელობთ ავტორისეული სურვილებითა და მითითებებით.

1986—1987 წწ. საბოლოო სახე მიეცა „შრომების“ I ტომს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რედგამსაბჭოს 1988 წ. დეკემბრის დადგენილებით ნავარაუდები იყო „ხუთტომეულის“ 1990—1994 წწ. გამოცემა, მაგრამ ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პირობებმა შეაფერხეს მისი განხორციელება. „შრომების“ მომზადების 12 წლის უაღრესად რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე ხშირად გვეუფლებოდა უიმედობა, გამოცემის მიტოვების საშიშროებაც კი. სწორედ ამ დროს ჩვენს გვერდით დგებოდნენ ღირსეული პიროვნებები, რომელთა დახმარება, თანადგომა და ხშირად უბრალო სიტყვიერი თანაგრძნობაც კი მუშაობის გაგრძელების სტიმულს გვაძლევდა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, პროფესორ ჯ. რუხაძის, ისტ. მეცნ. კანდიდატის ე. სვანიძის, ისტ. მეცნ. კანდიდატის ნ. ანთელავას მორალური თანადგომა, რომელთაც სწორედ ასეთი უიმედობის კრიტიკულ მომენტში გაწეული დახმარებით გადაწყვიტეს ამ გამოცემის ბედი.

ჩვენი მადლიერება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს ბ-ნ ბ. გულუას, ქ. ფოთის მერიას, საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერების“ დირექტორს ბ-ნ რ. გრიგოლიას და მთელ კოლექტივს. სწორედ მათმა თავდადებამ განაპირობა ამ სამამულიშვილო საქმის დაგვირგვინება.

გ. ჩიტაიას „შრომების“ გამოცემა კიდევ ერთი წინადადგმული ნაბიჯია ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების გზაზე, იგი ღირსეულ ადგილს დაიჭერს ქართველი ხალხის კულტურის საფანძურში.



ქართულ-კავკასიური სამიწათმოქმედო სისტემა

საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემა და სახვნელი იარაღები

ექსპედიციებმა ზემო და ქვემო ქართლში გამოავლინეს მდიდარი მასალა, რომელიც უშუალო კავშირშია სამიწათმოქმედო ყოფასა და კულტურასთან. ეს წინასწარი ხასიათის მონაცემები ადასტურებენ იმას, რომ უშუალო შწარმოებლებს გააჩნიათ მტკიცე ემპირიული ცოდნა, რომელიც მიგვანიშნებს, ერთი მხრით, სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების გარკვეულ დონეზე, მეორე მხრით, მის სიძველესა და თვითმყოფადობაზე.

მასალები, რომლებიც შეგროვილი იყო საქართველოს მხოლოდ ორ კუთხეში, გვარწმუნებენ აგრეთვე იმაში, რომ აქ მოცემული სამიწათმოქმედო კულტურა წარმოადგენდა რთულ, მთლიან სისტემას, რომლის ცალკეულ ელემენტების გამომუშავება და ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ათასწლეულთა მანძილზე, ხანგრძლივი გამოცდილებისა და ძიების საფუძველზე. ეს მიღწევები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში გროვდებოდა და თაობიდან თაობებს გადაეცემოდა, წარმოადგენენ ხალხური კულტურის ფონდის ძირითად შემადგენელ ელემენტებს. ამასთანავე ნათელი გახდა, რომ სამიწათმოქმედო კულტურა ისე ღრმად შეეთვისა ხალხურ ყოფას, ისე შეეზარდა ხალხურ ორგანიზმის სისხლსა და ხორცს, რომ გარდა მისი მიღწევების პრაქტიკული გამოყენებისა, მისი ცალკეული ელემენტები გახდნენ თაყვანისცემის საგანად.

შემდგომმა სისტემატურმა საექსპედიციო მუშაობამ დაგვანახა, რომ ქართველი ხალხის ეს რთული და მრავალმხრივი სამიწათმოქმედო სისტემა შეიცავს მრავალფეროვან შრომით პროცესებს, როგორცაა: გაწმენდა (მოკარება), გაბოხიერება-განოყიერება, ხვნა, ფარცხვა, მორწყვა, თესვა, მარგვლა, მკა, ლეწვა, დაბინავება, დაფქვა და სხვა.

აღმოჩნდა, რომ გლეხობა კარგად იცნობს ნიადაგებს, განსაზღვრავს მის ტენიანობას და წყალგამტარობას, ასხვავებს მაგარ, რბილ, მძიმე, მშრალ, სველ, ცივ, თბილ, ქვალორდიან, გამომწვარ, გაჯინულ ნიადაგებს.

ვერტიკალობის მიხედვით: დაბლობების (ტუბე), მთის ძირის (დობირაი) და მაღალმთიან (ლაკადა), ხელოვნურ ნიადაგებს, რომლებიც ტერასების მსგავსად იქმნებიან მთის ფერდობებზე.

1 გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, სმბ, ტ. IV, თბ. 1928; მისივე, მასალები სახვნელი იარაღების ისტორიისათვის საქართველოში სმბ, ტ. V, 1930.

გლებობა ხვანა-თესვას უკავშირებდა მეტეოროლოგიურ მოვლენებსაც (ბურუსიანობა, სასარგებლო და საზიანო წვიმა, ნათელი, ძხიახი ამიხდი, ქარები; ბუნობას, მთვარის კალენდარს, პლანეტების ადგილმდებარეობას, ფრინველთა მოფრენას — მეხანიე, დასხვ.).

დაბოლოს, გლებობა არჩევს პურეული მარცვლეულის ხარისხებს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: რომელი უფრო ადრე მწიფდება, რომელი გვიან; მათგან რომელს აქვს მაღალი ან დაბალი ღერო, ნალეწი დიდია თუ მცირე, მარცვალი მსხვილია, მაგარი თუ რბილი; პურის მარცვლის ხარისხს არჩევენ მათი დათესვის ადგილის მიხედვით: ხორბალი ჩრდილოეთის (ჩრდილი) და სამხრეთის (მზისგული) მხრის; ხორბალი, რომელიც მომარჯვებულია გარკვეულ ლანდშაფტურ ზონებთან: დაბლობის (ბარი), მთის ფერდობის (ფერდა) და მაღლობის (მთა). ამას გარდა, გლებობამ იცის მტკიცე პურის მარცვლიდან (თავთუხი) რბილი პურის (დოლის პური) გამოყვანა, ეს საშუალება ცნობილია სპეციალური დასახელებით — გადოლმიზება, დადოლება; იყენებს მთის სახეობის ხორბლის თესლს ველის ყანებში, ურწყავი მინდვრის ხორბლის თესლს — სარწყავში, კვეთს (კოდავს) ღეროს ქვედა და ზედა ნაწილებს, ამასთან, შუა ნაწილის მარცვალს, როგორც საუკეთესოს, იყენებს დასათესად. ასხვავებს პურეული მცენარეების სახეებს, რომლებიც ადვილად იტანენ გვალვას და თავთავი არ სცივიათ ქარისაგან. არჩევს მარცვალს, განიავების დროს განსაზღვრავს, რომ მძიმე, სრულფასოვანი მარცვალი გამნიავებლისაგან შორს ეცემა, მაშინ როდესაც მსუბუქი, მცირეფასოვანი მარცვალი ახლოს ცვივა. თესვისათვის გამოიყენება მძიმე მარცვალი; იცის შერეული კულტურების თესვა გადიდებული მოსავლის მისაღებად; ფლობს, ერთი მხრივ, მინდვრების სარეველებისაგან გაწმენდის ეფექტურ მეთოდებს და, მეორე მხრივ, იყენებს სასარგებლო სარეველებს.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე შედარებით თვალსაჩინო მაგალითს, რომლებიც აღებულია 1947—1949 წწ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციიდან.

საგაზაფხულო და საშემოდგომო პური. იმ შემთხვევაში, როდესაც სოფელში საანეულო პურის თესლი (დოლის პური) ყანის მოცდენისა თუ სხვა მიზეზით გაწყდებოდა, გლეხი საგაზაფხულო პურის თესლს (დოკას) შემოდგომაზე დათესავდა. ამ ნათესის დიდი უმეტესობა დაიკარგებოდა, გაცდებოდა; ზამთრის სიცივეს მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩებოდა და ყანად დადგებოდა. მოწეულ ნაზამთრალ დიკას გლეხი საანეულო თესლად იყენებდა და შემოდგომაზე კვლავ თესავდა. მეორედ დათესილი დიკა ზამთრის სიცივეს ადვილად იტანდა, დაჯეჯილდებოდა, შემდეგ ყანად დადგებოდა და მოიწეოდა. მოწეული თავთავი უკვე დოლის პური იყო და არა დიკა.

ცნობილია, რომ მეცნიერი-სპეციალისტები ამგვარ გარდაქმნას ლეგენდად თვლიდნენ. ისინი პრინციპულად წინააღმდეგნი იყვნენ განეხილათ ეს მოვლენები, როგორც ერთი სახეობიდან მეორეში გადასვლის შედეგი. მიაჩნდათ რა მათ ამის პირველ მიზეზად ან მექანიკური შენარევი ერთი ჯიშისა მეორესთან, ან სხვა სახის თესლის შეტანა წყლის, ქარის, ფრინველების მიერ მიწაში, სადაც თესვა ჩატარდა.

დიკა წარმოადგენს საქართველოში პურეულის უძველეს სახეობას. საქართველოს მთიან რაიონებში იგი დღემდე არსებობს საგაზაფხულო პურის სა-

ხით და მრავალი სახესხვაობითაა წარმოდგენილი². არანაკლებ ძველია დოლის პური, რომელიც ძლიერაა გავრცელებული საქართველოს ბარში საშემოდგომო პურის სახით და მასაც გააჩნია მრავალი სახესხვაობა. გასაკვირი არაა, რომ ქართველმა გლეხობამ ამ მარცვლეულზე საუკუნეთა განმავლობაში წარმოებული დაკვირვებების შედეგად გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკულად ეფექტური ჩვევები და ხერხები. აღსანიშნავია, რომ დიკას გავრცელების არეში ნიადაგის დასამუშავებლად გამოიყენება მსუბუქი გუთანი, (აჩაჩა გუთანი), ხოლო ბარში — დოლის პურის გავრცელების არეში, მძიმე გუთანი (საანეულ გუთანი). ეს უკანასკნელი, ამასთანავე, დაკავშირებული იყო შრომის ორგანიზაციის თავისებურ ფორმებთან (მოდგამი, მონდავი, ულამი, ამბაზი) და აგრეთვე მჭიდროდ დასახლებასთან, რომელიც 2000—3000 კომლს ითვლიდა.

შერეული თესლი. ექსპედიციის მიერ შესწავლილი რაიონის მოსახლეობა ფართოდ იყენებდა თესვისათვის შერეულ თესლს. ქერისა და დიკას თესლს ერთმანეთში ურევდნენ და ისე თესდნენ ყანას. ასეთ ნარევს ხალხი ქერ-დიკას ან ქერ,ჭრელს³ უწოდებდა. გლეხები ირწმუნებიან, რომ ასეთი თესლით დათესილი ყანა გარკვეულ ნაწილში შედარებით ადვილად იტანდა გვალვას: „დიკა“ ქერზე მაღალი იზრდება, ამის შედეგად იგი ქერს ჩრდილავს და ეხმარება ადვილად გადაიტანოს გვალვა. ასეთი გზით გვალვიან წლებში, თუ კი დიკა არაფერს იძლეოდა, გლეხი უზრუნველყოფდა თავისთვის ქერის მოსავლის ნაწილს. თავისთავად ცხადია, თუ რა სარგებლობა მოჰქონდა ამ ხერხს ურწყავ, გვალვიან რაიონებში. ყოველივე ამასთან ერთად საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ქართველი და მათი მონათესავე ტომები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან დასათესად იყენებდნენ შერეულ თესლს. ამაზე, ერთი მხრივ, მიუთითებს არქეოლოგიური განათხარი მასალა, ხოლო, მეორე მხრივ, წერილობითი ხასიათის წყაროები.

პროფ. ბ. პიოტროვსკიმ არქეოლოგიური გათხრების დროს ურარტულ ციხე-ქალაქ ერიანში (კარმირ-ბლურში, ერევნის მახლობლად) აღმოაჩინა თიხის დიდი ქვევრი შერეული თესლის მარაგით (ქერი და პარკოსანნი).

ბოტანიკოსმა ვ. პეტროვმა, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ აღმოჩენის შესწავლას, შერეული კულტურის მნიშვნელობის გარკვევის მიზნით პარალელები მონახა შუა აზიის ხალხების ყოფაში. ვ. პეტროვი წერს: „ეს მარაგი შედგებოდა ექვსრიგიანი ქერის მარცვლებისაგან, პარკოსანთა ორი სახეობის თესლისაგან — ნუტი (*Cicer arietinum* L.), „ფრანგული ოსპისაგან“ (*Ervum bulia*) და ჯვაროსანი ზეთისხილის მინდაუ ანუ ინდაუ-სგან (*Erica sativa* L.). წინასწარი ვარაუდი, რომ მითითებული ჭურჭელი, შესაძლებელია, შეიცავდა სხვა მარცვლეულის გადაწონვის ან გადარჩევის ნარჩენებს, უარიყოფა იმით, რომ შერეული მარცვლის მარაგი სრულებით არ შეიცავდა სარეველათა თესლს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარეულ *setaria viridis* L.-ს ეს მოსაზრება უარსაყოფია აგრეთვე მით, რომ შერეულ თესლთა მარაგში შემავალ სახეობათა თესლი აღმოჩენილ იქნა ცალკე სუფთა მარაგის სახით. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში პარალელების ძიებამ გვიჩვენა, რომ

² ივ. ჭავჭავაძის შვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1934, ტ. II, გვ. 118.

³ გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში, მიმომხილველი, 1949, ტ. I, გვ. 359.

პიმალებს დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის ბევრ ტომში, რომელთაც შეინარჩუნეს ძლიერ საგრძნობი არქაული ფორმები სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დამუშავებისა, დღევანდლამდე არსებობს ჩვეულება შერეული თესვისა... Oudah-ის პროვინციაში მისდევენ ექვსრიგა ქერის მინდაუ ანუ ინდაუ შერეულ თესვას, ე. ი. სწორედ სახეობების იმ კომბინაციას, რომელთა თესლის მარაგი აღმოჩენილია კარმირ-ბლურის ქურჭელში“.

ვ. პეტროვი მიდის ძლიერ საყურადღებო დასკვნამდე: „დღევანდლამდე ის ავტორები, რომლებიც მუშაობდნენ კულტურულ მცენარეთა წარმოშობის სფეროში, შერეული კულტურების არსებობას განმარტავდნენ იმით, რომ ძირითადი სუფთა კულტურა ნაგვიანდებოდა რომელიმე სარეველათი. კარმირ-ბლურში მოპოვებული მასალა და ეთნოგრაფიული პარალელები შესაძლებლობას გვაძლევენ საკითხი ახლებურად დავაყენოთ. შესაძლებელია, რომ შერეულ კულტურებს ჰქონდათ განსაზღვრული სამეურნეო ინტერესი მკაცრ (ამ შემთხვევაში გვალვიანობის მიხედვით) კლიმატურ პირობებში, გავრცელებულნი იყვნენ შედარებით ფართოდ და შეგნებულად უწყობდნენ მათ ხელს“⁴.

პეტროვის ეს ექსკურსი სავესებით დამაჯერებლად ამტკიცებს შერეული კულტურის არსებობას ურარტუს ეპოქის დროინდელ ამიერკავკასიაში VII—IV სს. ჩვენს წ. აღ-მდე. ავტორს არ ესაჭიროებოდა მიემართა ამდენად დაშორებული პარალელებისათვის, როდესაც საქართველოს გლეხობის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული ფაქტები სავესებით დამაკმაყოფილებლად ხსნიან შორეული წარსულის მოვლენებს. ამას გარდა, ამ ფაქტებს შეუძლია ახსნან ისიც, თუ რით გამოიხატება შერეული კულტურების სამეურნეო ინტერესი, რომლის შესახებაც ჩვენი ავტორი მხოლოდ მიხვედრას ამჟღავნებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეთნოგრაფიის მონაცემები არაერთხელ განმარტავდნენ ჩვენი ხალხის შორეული წარსულის რთულ მოვლენებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ მარცვლის შესანახი კარმირ-ბლურის ტიპის ქვევრები საქართველოში უკანასკნელ წლებამდე არსებობდნენ.

თესვისათვის შერეული კულტურის გამოყენებას მცირე აზიის ქართველ ტომთა შორის ძველს დროში ადასტურებენ ჰელენუსის მონაცემები. ამ კულტურას ბერძენი ავტორი უწოდებს ძეოპიუროსს (zeonipós), რაც თარგმანში მარგვლა-ხორბალს ნიშნავს. თუ კი წინათ ჰელენუსის ცნობას შეეძლო გამოეწვია ზოგიერთი ეჭვი ამგვარი სახის შერეული კულტურის დანიშნულების შესახებ, ახლა კი, როდესაც ფაქტები სახეზეა, აღმოჩენილ ხალხურ ყოფასა და არქეოლოგიურ მასალებში (კარმირ-ბლური), ყოველგვარი ეჭვები უარსაყოფია. მართალია, ზოგიერთ მკვლევარს ჰელენუსის ძეოპიუროსი მიაჩნია მარგვლის განსაკუთრებულ სახეობად, მაგრამ თავის ამ დებულებას იგი არაფრით ამაგრებს⁵.

სარეველები, როდესაც საყანე მამულში სარევილა ბალახები მეტისმეტად გამრავლდებოდა, გლეხობა ამისთანა მიწაზე ღომს თესდა. უკვე დიდი ხანია შემჩნეული იყო, რომ ღომი სწრაფად მწიფდება, ამიტომაც შესაძლებ-

⁴ Я. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1944, .. 177—178.

⁵ Br Hrozny, Das Lerrede im alten Babulonien. Sitzungsberichte der Akade d. Wissensch, in wien, 173 B, I Abhande, 33. 14.

ღია მისი დათესვა გვიან გაზაფხულზე. ამ დროისათვის სარეველა ბალახებზე უკვე ჩნდებიან მინდორში. ხენისას გუთანი სარეველების ფესვებს ამოატრიალებს და ამით სპობს მათ. ჩვეულებრივ ასეთ საყანე ადგილას ღომი კარგ მოსავალს იძლეოდა.

ზოგიერთ შემთხვევაში გლეხობა იყენებდა სარეველა ბალახების ცალკეულ სახეობას. მაგალითად: სარეველა ბალახის — მ ა ხ ო ბ ე ლ ა ს თესლი ზომიერი რაოდენობით შერეული დაფქულ ხორბალთან, პურს აძლევს სასიამოვნო გემოს და ადიდებს მის წებოვნობას; ეს უკანასკნელი გარემოება ძლიერ მნიშვნელოვანია პურის ცხობისას, რადგან ნაკლებ წებოვანი პურის ცომი თორნეში გამოცხობის დროს ცუდად ეკვრება მის კედლებზე, ადვილად ცვივა და წუნს გვაძლევს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თორნე იმ პურეულისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც კარგად მწიფდება და დიდი წებოვნებით გამოირჩევა. მთიან რაიონებში, სადაც პური სავსებით არ მწიფდება და ამიტომაც ნაკლები წებოვნობისაა, თორნე არ მოიპოვება.

ს ა ნ ა კ მ ა ზ ე. ხალხის დაკვირვებით, შემოდგომაზე დათესილი პურს თესლი გაზაფხულზე ხელახლა იწყებს მუშაობას, მ უ ხ ლ ს გაიკეთებს, ფ ხ ა ა ამოუწვებს, ამას შემდეგ თავთავი მოჰყვება. ჩვეულებრივად თავთავში მარცვალი ტყუპადაა დალაგებული, მაგრამ დროდადრო ასეთ თავთავს ტყუპს შუა პატარა მარცვალი ჩაუჯდება ხოლმე. ამ ზედმეტ მარცვალს სანაკმაზე ჰქვია. იგი საგრძნობლად ადიდებს მოსავალს. ხალხური გადმოცემის თანახმად, სანაკმაზე შვიდ წელიწადში ერთხელ ჩნდება, რადგან „გუთნის სახნისი ნიადაგში შვიდწელიწადში ერთხელ წააწყდება ოქროს თავისი წვერით“-ო.

როგორც ვხედავთ, ეს გადმოცემა აღნიშნავს ციკლურობის მნიშვნელობას კარგი მოსავლის მიღებისათვის. ეს ციკლურობა, თუ კი ჩავწვდებით მის აზრს, მთლიანად აიხსნება. საქმე ის არის, რომ საქართველოში, როგორც ვიცით სხვა წყაროებიდან, სახნავი მიწა სამი წლის განმავლობაში მუშავდებოდა, შემდეგ სამ წელს ისვენებდა და მეშვიდე წელს, დასვენების შემდეგ, შეიძლია მოეცა კარგი მოსავალი, მიწისმოქმედების ეს სისტემა დიდი ხანია გამოვიდა პრაქტიკიდან საქართველოში და უკანასკნელ დრომდე თვლიდნენ, რომ კარგ მოსავლის წინასწარ პირობას მხოლოდ ღრმა ხვნა წარმოადგენს. გლეხები მოგვითხრობენ, რომ „ღრმად დახნული მიწა მეტ სინესტეს ინარჩუნებს, აახალგაზრდავებს ნიადაგს; მხოლოდ ასე დამუშავებულ ნიადაგს შეუძლია მოგვცეს კარგი მოსავალი დამატებითი მარცვლით თავთავში“ (სანაკმაზე). ამასთან დაკავშირებით გასაგები ხდება ჩვენი გლეხობის მისწრაფება მძიმე გუთნის ხენისკენ, რომელშიაც 8—12 უღელი ხარკამეჩი ებმებოდა და რომელიც კვალს „გლეხი კაცის წინდის ზედა ბოლოს“ სიღრმემდე ატარებდა.

ამასთანავე ცნობილია, რომ საქართველო, როგორც ამას მეცნიერ-სპეციალისტები ამტკიცებენ, პურეული კულტურის პირველადი კერაა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ხორბლის სახიობათა ისეთი დიდი რაოდენობა, როგორც საქართველოში; ამასთან ექვსი მათგანი ენდემურია, რომელთაგან ოთხი დამორბეულ მთიან რაიონებში მუშავდება.

* П. М. Жуковский. Культурные растения и их сородичи. М. 1950. с. 24, 65; В. Менабде, Пшеницы Грузии. Тб. 1948; Л. Декаприлевиц, Роль Грузии в происхождении пшеницы. Сообщение ГССР. т. I, т. II, т. III, 1940—1942.

მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებების, საწარმოო გამოცდილებისა და შრომითი ჩვევების საფუძველზე, ქართველი გლეხობა წარმატებით ავითარებდა თავის მარცვლოვან და, პირველ რიგში, პურეულ კულტურას.

ეს გარემოება სავსებით გასაგებია ისეთი უძველესი კულტურის მიმართ, როგორცაა ხორბალი. მაგრამ ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ჩვენ სიმინდის მიმართაც, თუმცა კი იგი ჩვენთან შედარებით ახალი კულტურაა. შედარებით ხანმოკლე დროის მანძილზე (ორი-სამი საუკუნე) ჩვენმა გლეხობამ გაზარდა 13 სახეობის სიმინდი, რომელიც მშვენივრად შეეთვისა როგორც დაბლობ და მთისძირა, ისე მთის სასოფლო-სამეურნეო სარტყლებს. ამაზე მეტიც, 1935 წლიდან ქართველი მთიელები (სვანები) აშენებენ ცვიტის ჯიშის სიმინდს მყინვარ ადიშის მახლობლად, სულ 300 ნაბიჯის დაშორებით მისგან. სხვაგან ასეთი შემთხვევა სრულიად გამორიცხულია.

სამიწათმოქმედო კულტურის კომპლექსში რთული აღმოჩნდა აგრეთვე სარწყავი სისტემაც. მინდვრების სარწყავად იყენებდნენ მთის ნიაღვრებს, დიდს, მცირესა თუ საშუალოს (არხი, რუ, ნაკადული, კარბი, ეტი); ეწყობოდა წყლის მიმღებები (გადაყვანები). ფართოდ გამოიყენებოდა კოლექტიური შრომა და არხის მეთვალყურეთა არჩევითი ინსტიტუტი.

განსაკუთრებით ოსტატური აღმოჩნდა ტყის საკაფავების (ახო) დამუშავება საყანედ და მისი დამუშავების ხერხები (შეყვებვა). თავისი ხერხებით განირჩეოდა დაბლობი, — მთის ფერდობისა და მაღლობის საზაფხულო (ანეული), საშემოდგომო (ნაოში).

ამას გარდა, გამოვლენილ იქნა სახვნელი იარაღების მრავალფეროვანი სახეობანი მათთვის დამახასიათებელი კონსტრუქციული და ფუნქციური თავისებურებებით. სხვათა შორის, ფიქსირებულ იქნა ის ხერხებიც, რომელთა გამოყენების საშუალებითაც სახვნელი იარაღები ადვილად ეგუებოდნენ ნაირსახის ნიადაგებს და განსხვავებულ ხვნას. იმისათვის, რომ გაემართათ სახვნელი იარაღი, იყენებდნენ პაწაწინა ჩხირებსაც კი.

ამასთან, დამოწმებულ იქნა მოდგამის ინსტიტუტი ისეთ ფორმაში (მოდეგი, მონდავი, ამბაზი, ულამი, ნადი), რომელიც შეპირობებულია დიდი მასშტაბის მემინდვრეობის არსებობით. ჩვეულებრივ მოდგამის მუშაობა წარმოებდა დიდი ზომის სახვნელი იარაღით, დიდი სახნისითა და საკვეთელით. ასეთი ზომის სახვნელ იარაღში უბამდნენ 8—12 ულელ ხარ-კამეჩს, ამასთან აღსანიშნავია, რომ მუშაობის პროცესში სახნისი და საკვეთელი ჰრიდნენ 60—80 სმ ზომის ბელტს. თავისი დანიშნულების მიხედვით განასხვავებდნენ ცალკეული უღელი ხარ-კამეჩის სახელებს მათ მეხრებთან ერთად. განსხვავებდნენ თავისი ფუნქციებით და ზომებით უღლები (საყვერის, საძირის, საგორავის, კალოს). საქართველოს ზოგიერთ მხარეში ერთ ჯერზე ხნავდნენ მიწას უღლის სიგრძის სიგანეზე (12—14 ადლი); ზოგიერთი მათგანი მაგრდებოდა სპეციალური ტაბიკებით (თავტაბიკი), რომელთა დახმარებითაც თანაბრდებოდა ძალა გამწევი მუშა-საქონლისა.

ყოველივე ზემოთქმულს საჭიროა დაეუმატოთ, რომ მოსახლეობა ფლობდა სახვნელი იარაღების, მათი ნაწილების მდიდარ და ნაირფეროვან ტერმინოლოგიას და განსაკუთრებული სიყვარულით ექვეყნოდა მათ. ღრმა სიყვარული თავისი შრომის იარაღებისადმი ნათლადაა გამოხატული ხალხურ პოეზიაში. ერთი რიგის სიმღერებში ფიქსირებულია ადამიანის ახლო დამოკიდებულება



სახენელ იარაღებთან, მეორეში — თვით იარაღის დამზადების პროცესი, მესამეში — კამათი სახენელი იარაღის ცალკეულ ნაწილებს შორის, ამასთან როგორც თვით იარაღი, ისე მისი ნაწილები წარმოდგენილია ცოცხალ არსებებად.

ასეთივე სიყვარულითაა გამსჭვალული ადამიანის დამოკიდებულება სახენელი იარაღის გამწვევ ძალასთან — ხართან. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა ეპოქების ხალხურ სიმღერებში, რაც უმეტესად მინდვრის მოხვნის დროს იმღერება და ცნობილია გუთნურისა და ოროველას სახელწოდებით.

ამ კავშირში ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუკი გავიხსენებთ ერთ ლეგენდას, რომელიც ასახავს ხარის ერთგულებას ადამიანისადმი და პირუტყუ, ამ უკანასკნელისა პირუტყვისადმი. ლეგენდაში, რომელიც ჩვენ მიერ ჩაწერილია სოფ. უდგეში (ზემო ქართლში, 1924 წ.).⁷ ერთმანეთს ეჯიბრებიან ირემი და ხარი. შეჯიბრების მიზანია, გაარკვიონ, თუ ვინ უნდა ემსახუროს მშრომელ გლეხობას. შეჯიბრების ადგილი ცის თალია. წინასწარ მოლაპარაკების თანახმად, ვინც პირველი მიიბრუნს ცის თალის ბოლომდე, ის ითვლება გამარჯვებულად. შეჯიბრების დაწყებისთანავე ირემი, რომელმაც ვერ განსაზღვრა თავისი ძალა, გაუსწრო ხარს, მაგრამ დაიღალა. ჩამოვარდა ციდან და დაიღუპა ისე, რომ ვერ მიაღწია მიზანს. ხარმა კი დინჯი, ზომიერი ნაბიჯით მიაღწია ცის თალის ბოლოს, ამით გამარჯვებას მიაღწია და შეუდგა თავისი წმინდა ვალდებულების შესრულებას — მსახურებას მშრომელი ხალხისა.⁸ ლეგენდას თანახმად, ამ შეჯიბრებამ ცის თალზე დატოვა გარკვეული კვალი: ჯერ ერთი, ირმის ნახტომი, და მეორეც — თანავარსკვლავედი გუთნეული⁹.

ზემოთ მოყვანილი ლეგენდა უფრო დიდ მნიშვნელობას მოიპოვებს, თუ რიგ სხვა მომენტებს მოვიგონებთ, რომელთაც კავშირი აქვთ დასახელებულ ცხოველებთან. ცნობილია, რომ საქართველოს ზოგიერთ საკურთხეველში წმიდა გიორგის დღეს, გადმოცემით, თვით წმიდა გიორგის მოჰყავდა ხარი¹⁰, რომელსაც მლოცველნი კლავდნენ და იქვე ჭამდნენ, თუმცა, ამ ბოლო დროს შეგროვილი მონაცემები მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთ საკურთხეველში, როგორცაა სოფ. უდგე (მესხეთი)¹¹, სოფ. ხანი (იმერეთი)¹², სოფ. ფხოტრერი

7 მესხეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1924, გვ. 204—206.

8 ამ მსახურებაზეა ლაპარაკი, ოღონდ სხვა გაშუქებით, ხალხურ ლექსში — „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზეა“, რომელიც თავისი წარმოშობით შედარებით გვიან ეპოქას ეკუთვნის, ვიდრე ზემოთ მოყვანილი ლეგენდა.

9 ქართულ ხალხურ ყოფაში ჩვენ ხშირად ვხვდებით მითითებას მიწათმოქმედების კავშირის შესახებ ციურ მოვლენებთან. ეს ვლინდება გამოცანებშიაც. ასე მაგ., „უმზღვარო ყანაი, უთვალავი სერკვი. (ბულული)“ პასუხი: ცა და ვარსკვლავები. ციყრონი მიუთითებდა ციურ სხეულებზე კავკასიელთა დაკვირვებების შესახებ (De divini, 1, 19). თუ ქართველი მიწისმოქმედისათვის ცა—ყანაა, ვარსკვლავები — სერკვი, მაშინ ქართველი მეტალურგისათვის — ცა მოჭედლია, რკინისაა (შეადარე ჭანური: ერკინაჩხა — რკინის დღე, ცის დღე (ნ. მარტი ჭანური გრამატიკა); „ღმერთმა დაარსა მიწა და დახურა იგი ციო. — სპილენძით“ ფშური რელიგიური საგალობლიდან; ცა მოჭედლია ვარსკვლავებით — ხალხური გამოთქმა.

10 გ. ბარდაველიძე, სვანური ხალხური დღეობების კალენდარი, ტ. 1, 1939 წ., გვ. 68—69; Арк. Лямбертн. Описание Колхиды и Мингрелии. ЗИООНД X.

11 მესხეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, 1924 წ.

12 გ. ჩიტაია, იმერეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, 1937 წ. ენიშვის მოამბე, ტ. 1, ნაკვეთი IV.

(სვანეთი)¹³ წმინდა გიორგის დღეს მოდიოდა ირემი. ის გარემოება, რომ ქრისტიანულ წმიდა გიორგისთან, რომელმაც შეცვალა წინაქრისტიანული მთვარის ღმერთი¹⁴, მიწისმოქმედების მფარველთან, კავშირში იმყოფება ირემი — წარმომადგენელი ნადირობის ღმერთისა, — უნდა აიხსნას სინკრეტიზმის ნიადაგზე.

ქართულ ხალხურ პოეზიაში გარდა სახვნელი იარაღისა და ხარისა¹⁵, იხსენიება სამიწათმოქმედო კულტურის შემქმნელი და ცოცხალი მატარებელი — მხვნელი მიწათმოქმედი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ხალხური ლეგენდების, გადმოცემების და ზღაპრების გოლიათი გმირები უმეტეს შემთხვევაში მხვნელნი — მიწათმოქმედნი არიან ან მათთან ახლო კავშირში იმყოფებიან.

ქართულ ლეგენდებში სახვნელი იარაღები ან ცის წყალობას წარმოადგენს, ან მზის ღვთაებისას, ქრისტესა და ადამიანის გამოგონებას; ამასთან ზოგიერთი ლეგენდის მონაცემებით, პირველი სახვნელი იარაღი რკინისა იყო. დამახასიათებელია ისიც, რომ მეზობელი ხალხების ლეგენდებში სახვნელი იარაღების გამოგონება მიეწერება ქართველებს — ქართლებს (ოსური ლეგენდა)¹⁶ ან სხვა ქართველ ტომებს (სკვითური ლეგენდის მიხედვით, კოლხებს)¹⁷, ხოლო ბერძნულ მითში არგონავტების შესახებ აღნიშნულია კოლხური სახვნელი იარაღის მაღალი თვისებები.

ლეგენდების ეს მონაცემები ვაკვირვებას არ იწვევენ. ცნობილია, რომ მდ. რიონს (ძველი ფაზისი) მოაქვს სამჯერ მეტი ლამი, ვიდრე ნილოსს. ამ მდგომარეობას შეუძლებელია არ შეექმნა ინტენსიური მიწათმოქმედების კულტურა¹⁸. ხომ შემთხვევითი არ არის ისიც, რომ კოლხების ქვეყნის და ქალაქის დასახელება ანა არის მიწათმოქმედების ღმერთის სახელი (ქალდეელებთან მიწის ღმერთი ცნობილი იყო ანა-ს სახელით, შეადარე სვანური ანა.. მიშლა.. დელ — ანას კვირა დღე).

სპეციალურ ლიტერატურაში ძველად და ახლაც არაერთხელ იყო მითითებული საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურის თვითმყოფად ხასიათები. ი. კლინგენი, ავტორი ცნობილი კაპიტალური შრომისა „მიწისმოქმედება

13 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური ხალხური ლეგენდების კალენდარი, ტ. I

14 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1928.

15 ხარის მნიშვნელობა ხალხის სამსახურში ასახულია აგრეთვე ხალხურ ლექსში „ორშაბათობით აშენდა“:

„ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოივლო გალავნად, ცა დაიხურა თავზედა,
ადამიანის შენახვა ვერავინ იღო თავზედა.
ხენა-თესვა, ფარცხვა, დაზიდვა გაჭირდა მეტად ძალზედა,
ხარმა თქვა პირ-ნათლიერმა: „მე დამაწერეთ რქაზედა“. მოცივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა,
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორსავ რქაზედა,
შვიდიც უბოძეს სარტყელი, გაგზავნეს ქვეყანაზედა,
წადი, ხარო, იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედა,
შეგაბას შენმა პატრონმა, გამუშავებდეს ძალზედა,
ექვსი დღე უღელში ები“ და სხვა...

16 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, სმბ, ტ. IV, 1928.

17 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, 1930.

18 А. О м о д е о, О дренаже колхидской низменности, 17-ий год, сборник под редакц. М. Горького, М., 1934.

პატრიარქებს შორის“, სხვადასხვა სამიწათმოქმედო კულტურის შედარების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ქართველები ისე მაგრა არიან მაწაზე, როგორც (არავინ) არსად სხვა ქვეყანაში“¹⁹. XIX საუკუნის შუა ხანებში საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი დ. ყიფიანი კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებაზე ამბობდა „აქ (ე. ი. საქართველოში) ადგილობრივი მოსახლეობა თავისთავს თვლის უძველესი წინაისტორიული დროიდან უპირატესად მიწათმოქმედად, მაშასადამე, ფლობს დიდ გამოცდილებას და ამიტომაც ყველა ახლებურ დარიგებას იღებს ისე, როგორც ამას ჩვეულებრივ იღებს მოხუცი ახალგაზრდისაგან: უსმენს მას, მაგრამ არ უჯერის“²⁰. საჭიროა მოვიგონოთ, რომ დ. ყიფიანის სიტყვა წარმოთქმული იყო საქართველოს მიწისმოქმედების მეურნეობის განზრახულ განახლებასთან დაკავშირებით. დ. ყიფიანი ამტკიცებდა, რომ ვიდრე გატარებული იქნება ცვლილებანი, საჭიროა შესწავლილ იქნეს გამოცდილებით მდიდარი მიწისმოქმედება.

კ 33.997
4

არანაკლებ მნიშვნელოვან დაკვირვებებს ვპოულობთ სპეციალისტ აგრონომ ნ. სიტოვსკისთან ქართული მძიმე სახენელის (გუთნის) და მსუბუქი სახენელი იარაღის (აჩაჩას) ხმარების შესახებ. იგი მიუთითებს ერთი შეხედვით საკვირველ მოვლენაზე, რომ მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, სადაც ნიადაგი მსუბუქია და ნაწილობრივ ქვიშიანი, მიწას ხნავენ იმავე მძიმე გუთნით, როგორც იხმარება მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ნიადაგი მძიმეა, თანაირი. მეორე მხრივ, მდ. მტკვრის დაბლობზე გამოიყენება აჩაჩა, რომელაც ძლივსაა ჭრის ზედაპირულ და უსწორო კვლებს მყარ თიხნარ ნიადაგში. განსხვავებას სახნავი მიწების დამუშავებაში ნ. სიტოვსკი შემდეგნაირად ხსნის: ბირველ შემთხვევაში სარწყავი წყლის უქონლობამ და მიწაში რაც შეიძლება მეტი ტენიანობის შენარჩუნებაზე ზრუნვამ გამოიწვია მძიმე გუთნის გამოყენება და ღრმად ხვნა, ხოლო მეორე შემთხვევაში, სარწყავი წყლის არსებობა შესაძლებელს ხდის შემოვისაზღვროთ მსუბუქი, ზედაპირული ხენით აჩაჩას საშუალებით²¹. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დიფერენცირებული მიდგომა უნდა გამოიყენებულყო მრავალსაუკუნოვანი შრომითი მოღვაწეობის პროცესში, იგი ცხოვრების გამოცდილების ნაყოფია.

საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურის რიგ თავისებურებას აღნიშნავდა ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი. თავის ნაშრომში „იბერიის ისტორია“ იგი წერს: „მოუთხრობენ ჩვენნი და სხვათაცა მემატიანენი: ვინაიდგან მცხოვრებნი გიორგიისანი არიან მხენნი და დაუშრომელნი მუშაკობაა შინა მიწისასა და მრავლისა ნაყოფისა შემკრებლობისათვის უაღმატებულესისა შრომისა, და უგანჩეულესისა სახენელთა მიწისათა, ვითარ იგი აქვსა ჩვეულება უმეტეს ზმთა ქვეყანათა გიორგიისათა რვითა ანუ ცხრითა უღლესთა და ხართა და დიდ-დიდთა კამბეჩითა მიერ ხენისა, რომელნიცა მარღველნი უმტკიცესისა ქვეყნისა, კნინდა გულადმდე ქვეყნისა, სახნის-საკვეთნი გადმოაბრუნებენ ბელტთა ზრქელთა, ვითარცა რა ლოდთა უმძიმესთა. აგ-

¹⁹ И. Клигген, Среди патриархов земледелия—народов Ближнего и Дальнего Востока, СПб., 1898.
²⁰ И. Иоселиани, 25 лет деятельности ЗКОСХ, I, 1892.
²¹ И. Ситовский. Очерк сельского хозяйства Закавказского края, ЗКОСХ ва 1864, в. 2, стр. 70.

რთვე სხვათაცა შინა მუშაკობათა: მკათა, ლეწვათა, წნეხათა ყურძნისათა და ფერად-ფერადთა შინა მუშაკობათა განსხვავდებიან სხვათა ყოველთა ნათესავთა აზიურთა, გინა ევროპიისათა“²².

ქართული სამიწათმოქმედო კულტურის ეს თვისებურებები, რასაკვირველია, შემთხვევითი არაა. ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად სამიწათმოქმედო კულტურის სიძველეზე და თვითმყოფადობაზე მიგვითითებენ ქართულა და უცხოური წყაროები (ასირიული, ქალდეური, ებრაული, ბერძნული, ლათინური, სომხური და სხვ.) და აგრეთვე არქეოლოგიური განათხარი მასალები. ადამიანის შეგნებული შრომა, ცენტრალური ქართლის, კახეთისა და მესხეთის პროფილების შერეული ტიპები და კოლხეთის განსაკუთრებული ბუნებრივი პირობები განაპირობებდნენ აქ მდ. მტკვრის (ძველი კირი), რიონის (ძველი ფაზისი) და ჭოროხის (ძველი ბოასი) აუზში სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებული ფორმების არსებობას.

თუ კი საქართველოს ამ ორ კუთხეში შეგროვილი მასალა თავიდანვე გვარწმუნებდა, რომ აქ მოცემული კულტურა წარმოადგენს რთულ, მთლიან სისტემას, ამდენად მისი შესწავლა მოითხოვდა, რაც თავისთავად ცხადაა, საველე ეთნოგრაფიული მუშაობის გაფართოებასა და გაღრმავებას. ამ სამუშაოს ტერიტორიულად უნდა შემოეფარგლა მთელი სამიწათმოქმედო საქართველო მისი სამი ძირითადი ზონის მიხედვით: ბარის, მთისძირის და მთის; ამასთან ამ სამუშაოს წარმოება საჭიროებდა განსაზღვრულ გეგმას, სისტემატურ და ეფექტურ მეთოდს.

ცნობილია, რომ საველე ეთნოგრაფიული მუშაობა მეტად რთული და პასუხისმგებლო საქმეა. ამ გზით მოპოვებული მასალა განსაკუთრებული რიგისაა. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ შიშველი ფაქტი გამოუყენებელია თუ მისი გენეტიკური გაშუქება არ ხერხდება. ამიტომ ეთნოგრაფს პირველ რიგში მოეთხოვება, რომ ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება არ მოსწყვიტოს სამეცნიერო-კვლევით პრობლემებს. მკვლევარს საველე მუშაობის დროს მოცემული აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები ხალხისა მათს კონკრეტულ გამრავლებაში, შეისწავლოს ცხოვრების ძველი და ახალი ფორმები, მზარდი და განწირული მოვლენები, მათი მოძრაობა. თავისთავად საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ამგვარი დაყენება გამომდინარეობს ეთნოგრაფიის ზოგადი პრინციპული დებულებიდან.

საჭიროა აგრეთვე მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე, ჩვეულებრივად, ორმაგად რთულია, მრავალგზის გადაჯვარედინებული კულტურულ-ისტორიული და კულტურულ-ეთნიკური მოვლენაა, რომლის ზოგიერთი ელემენტი ძლივსლა შეიმჩნევა და ძნელად ხელშესახებია.

ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა გვექონდეს ისიც, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე ინახავს ძველ მოვლენებსა და საგნებს არა მხოლოდ ცალკეული დაქუცმაცებული ფაქტების სახით, არამედ მეტნაკლებად მთლიანი კომპლექსების სახითაც, რაც მათ ფიქსაციას ართულებს.

²² ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი თ ე ი მ უ რ ა ზ ი, ისტორია დაწყებითგან იბერიისა, ე. ი. გიორგიისა, ე. ი. მთელი საქართველოსი, ს. პეტერბურგი, 1848; მეცნიერულად სწორი ასნა უცხოური სახელწოდებისა ქართველების და საქართველოსი, იხ. აკად ს. ჯანაშიას მონოგრაფია: „თუბალი, თაბალი, ტიბარენი, იბერი“, ენიშკის მოამბე, ტ. I, გვ. 223—225.

ამიტომ, ეთნოგრაფიული ფაქტები, დიდნი და მცირენი, რომ არ დარჩნენ ეთნოგრაფიის თვალთახედვის გარეშე, რომ ადეკვატურად გამოიხატოს ეთნოგრაფიული სინამდვილე, რომ ფაქტები უტყუარი იყოს, ჩვენ უარვყავით, როგორც ძველი, რარიტეტული და ანტიკვარული მეთოდი, ასევე თანამედროვე ბურჟუაზიული მეთოდები: „კულტურულ-ისტორიული“. ვ. შმიდტისა, „ბიოლოგიური“ მიულერისა, „კორულატივურ-სტატისტიკური“ კლიმეკისა, „ფუნქციონალური“ — მალინოვსკისა, ტურნვალდისა და ა. რადკლიფბროუნისა და მასალების შესაგროვებლად სავლემ მუშაობას წარვმართავთ კომპლექსური-ინტენსიური მეთოდით.

ზემოთ მითითებული იყო, რომ ყოველი ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილე წარმოადგენს ძველი, მომაცვდავი და ახალი პროგრესული, მებრძოლი ელემენტების რთულ შეხამებას. ეს ელემენტები შესწავლილ უნდა იქნეს მათს მოძრაობასა და განვითარებაში. ამასთანავე, მართებულად უნდა ჩაითვალოს ეთნოგრაფიული მოვლენების ფიქსაციის მხოლოდ ის მეთოდი, როდესაც მოცემულია შესაძლებლობა გადავიდეთ ამ მოვლენის ბევრად თუ ნაკლებად სუბიექტურ-რაოდენობრივიდან ობიექტურ-ხარისხობრივ აღწერაზე.

ამ კავშირში უნდა მივუთითოთ იმაზეც, რომ ბუნებაში არცერთი მოვლენა არ შეიძლება იქნას გაგებული, თუ მას ავიღებთ იზოლირებულ სახით, გარემო მოვლენებთან დაკავშირების გარეშე, ვინაიდან ყოველგვარი მოვლენა ბუნების ყოველ სფეროში შეიძლება უაზრობად გადაიქცეს თუ მას განვიხილავთ გარემო პირობებთან კავშირის გარეშე, მათგან მოწყვეტით, და, პირიქით, ყოველგვარი მოვლენა შეიძლება გაგებულ და დასაბუთებულ იქნას, თუ მას განვიხილავთ გარემო მოვლენებთან მის განუწყვეტელ კავშირში, ვარემო მოვლენებისაგან მის განპირობებაში.

სავლემ ეთნოგრაფიულ მუშაობაში ეს მოთხოვნილება შესაძლებელია შესრულდეს მხოლოდ მოვლენის კომპლექსური შესწავლის შედეგად, როდესაც, ერთი მხრივ, კომპლექსში შედის დაკავშირებული ბაზისური და ზედნაწენური მოვლენები, ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც ყოველი საგანი აღიწერება „როგორც ჯამი ადამიანის შრომისა“ (კ. მარქსი), ე. ი. მასალის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით. ამასთან აუცილებელია ტექსტობრივი მასალა შევავსოვოთ პირველადი წყაროების მიხედვით, ხოლო ნივთობრივი ორიგინალების მიხედვით.

ჯერადინი მასალების მიღება და ადგილზე კარგად შედგენილი „ბიოგრაფია“ ერთი კონკრეტული სახვნელი იარაღისა იძლევა მეტს, ვიდრე ათი ასეთი იარაღის ზერელე აღწერილობა. ტერიტორიულად ეს მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ოჯახში, გვარში, გვაროვნულ გაერთიანებაში, უბნებში, სოფლებში და მისთა²³.

ასეთი მეთოდით წარმოებულ კვლევას შეუძლებელია არ მოეცა დადებითი შედეგი. მუშაობა, რომელიც ზემო და ქვემო ქართლში დაიწყო, შემდგომში გაფართოვდა და გაღრმავდა. სისტემური მუშაობის შედეგებმა დაგვანახა ქართველი ხალხის მდიდარი ტრადიციები — დაკავშირებული მეურნეობის სხვადასხვა სფეროსთან. კერძოდ შემინდვრობასთან, ამ დარგის ხანგრძლივმა მიყოლამ საქართველოში მიწათმოქმედების რამდენიმე ფორმას დაუდო საფუძველი. პირველყოვლისა აღსანიშნავია მისი ორი განსხვავებული სახე: სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება.

²³ შეად. ვ. ბარდაველიძე, სვანური ხალხური დღეობების კალენდარი, ტ. 1. ახალ-წლის ციკლი, თბ., 1940.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის კულტურის საერთო კომპლექსიდან აქ ჩვენ მხოლოდ სახვნელი კულტურის პრობლემას შევხებით, საკუთრივ მის ერთ ელემენტს — სახვნელ იარაღს. როგორც ცნობილია, სახვნელის კულტურა შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან: 1. სახვნელი იარაღი; 2. ცოცხალი გამწევი ძალა, 3. მარცვლოვანი პურეული, 4. ნიადაგის დამუშავება სისტემა და 5. მიწათმოქმედი — გლეხი, უშუალო მწარმოებელი, რომელიც ამუშავებს რა მიწას სახვნელი იარაღით, ამავე დროს უძღვება მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მეურნეობას²⁴.

ნიადაგის დამუშავება ხორბლეულის დასათესად ქართულ ენაში სხვადასხვა სახელწოდებით აღინიშნება: რ გ ვ ა, ბ ა რ ვ ა, თ ო ხ ვ ნ ა, ქ ა რ ჩ ვ ა, ა კ ა ვ ე ბ ა, დ ა წ ე რ ვ ა, ა ქ ე ქ ე ვ ა, ვ ა ხ ა რ ვ ა, ა ო შ ვ ა, ხ ვ ნ ა, ფ ა რ ც ხ ვ ა და სხვ. დაკავშირებული განსაზღვრული სახის შრომის იარაღებსა და შრომის პროცესებთან. ამასთან ერთად, იარაღთა ერთი სახეობა განკუთვნილია ადამიანის ხელით და ფეხით სამუშაოებისათვის, ხოლო მეორე გამწევი ძალით მუშაობასთანაა დაკავშირებული.

რ გ ვ ა წარმოებდა მარგვის მეშვეობით. როგორც ტერმინი, ისე თვით იარაღი შემონახულია საქართველოში, კერძოდ სვანეთში, სადაც ეს იარაღი ცნობილია სახელწოდებით წ ა მ და გამოყენებულია სამარგლავად.

ბ ა რ ვ ა დაკავშირებულია ბართან. სხვადასხვა სახით და ნაირი მასალით დამზადებულმა ბარმა დღემდე შემოინახა თავი საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. უმთავრესად მას იყენებენ მებოსტნეობაში. ზოგიერთ შემთხვევაში ბარის საფეხური ტ ე რ ფ ი შოითხოვს ორ მუშახელს, როგორც ეს ჩვენ გვაქვს სამხრეთ საქართველოს ტერასულ მიწათმოქმედებაში და დაღესტანში. ტერმინი ბარი ქართულში იხმარება აგრეთვე სახნისის აღსანიშნავად.

თუ იარაღების ერთი ჯგუფი განკუთვნილი იყო ისეთი სამუშაოების შესრულებისათვის, როგორიცაა დარგვა, თხრა, თოხნა და ა. შ., იარაღების მეორე ჯგუფის დანიშნულებაა დ ა კ ვ ა ლ ვ ა. კვლების ფორმის შესაბამისად სხვადასხვაგვარია იარაღებიც და დაკვალვის ხერხებიც.

დაკვალვის სხვადასხვა სახეობას და მასთან დაკავშირებულ მიწათმოქმედების სისტემას შეესატყვისებოდა სხვადასხვაგვარი სახვნელი იარაღი. საქართველო მდიდარია სახვნელი იარაღების ნაირსახეობით. ამაში დარწმუნების მიზნით შეიძლება დავკმაყოფილდეთ მათი ზოგიერთი სახელწოდების მოტანით: გ უ თ ა ნ ი, ა ნ ე უ ლ ი ს გ უ თ ა ნ ი, დ ი დ ი გ უ თ ა ნ ი, მ უ ხ რ ა ნ უ ლ ი გ უ თ ა ნ ი, ა რ ო ნ ა, ჯ ი ლ დ ა, ჯ ი ლ დ ა-გ ო გ ო რ ა, კ ა ვ ი, ა კ ო კ ა, ო კ ო კ ა, ო ვ ა ფ ა, ხ ა რ ხ ა რ ა ლ ი; დ ე ნ ც ვ ი შ; კ ა ვ წ ე რ ა; ს ა წ ე რ ა; ც ა ლ უ დ ე ლ ა კ ა ვ ი, ო რ ხ ე ლ ა, ა ჯ ი ლ დ ა გ უ თ ა ნ ი, ა ჩ ა ჩ ა, ა ჩ ა ჩ ა გ უ თ ა ნ ი, ს ა ც ა ლ კ ვ ლ ო ე, ს ა ხ ნ უ ე ლ ი, მ ა ლ ა ლ ი კ ა ვ ი, ფ თ ი ა ნ ი კ ა ვ ი, ხ ე ლ ა გ უ თ ა ნ ი, გ ო რ დ ა ჯ ი ლ დ ა, ს ა კ ვ ე თ ე ლ ი და სხვა.

²⁴ მაგრამ უნდა ითქვას, ეს სიმბოლო ყველგან არ ქმნის სახვნელის კულტურას. ცნობილია, რომ დასავლეთ აფრიკის ერთსა და იმავე ტომში იგი დიფერენცირებულია: კაცი მისდევს მესაქონლეობას, ქალი — თოხის მიწისმოქმედებას.

სახენელი იარაღების ეს სიმდიდრე და ნაირსახეობა შეიძლება მივაკუთვნოთ გარკვეულ ჯგუფს რომელიც განსაზღვრულ ამოცანას ასრულებს დაკავალვასა და მარცვლეულის დასათესად ნიადაგის მომზადებაში.

სახენელ იარაღებთან იქმნებოდა შესაბამისი სამეურნეო შრომითი გაერთიანებანი (რი გ რ ი ვ ა, ნ ა ც ვ ა ლ გ ა რ დ ა, მ ო ღ გ ა მ ი, ე მ ბ ა ზ ი, უ ლ ა მ ი, ნ ა დ ი და ა. შ.). მარტივ სახენელ იარაღთან დაკავშირებული გაერთიანება შრომითი ორგანიზაციის არქაულ ფორმას ინარჩუნებდა, რთულ სახენელ იარაღთან წარმოდგენილი გაერთიანება კი ამკლავებდა კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ინტერესს, რომელიც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს კაპიტალიზმის ხანაში აღწევს. ამასთან ერთად, შრომის ორგანიზაციის ეს ფორმები შეპირობებული იყო დიდი მამულების მიმდევრობის არსებობით.

ქართული სამიწათმოქმედო კულტურის აქ ნახსენები და კიდევ მრავალი სხვა თავისებურება სამიწათმოქმედო კულტურის სიძველესა და თვითმყოფადობაზე მიუთითებს. კახეთისა და მესხეთის მეურნეობის პროფილის შერეულმა ტიპმა და კოლხეთის განსაკუთრებულმა ბუნებრივმა გარემომ განაპირობა მდ. მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზში სამიწათმოქმედო სისტემის შექმნა.

სახენელი იარაღების თითოეული სახეობა შეგუებული იყო ჰავის, ნიადაგის, ტენიანობის, რელიეფის თავისებურებებთან, ქვეყნის ამა თუ იმ მიკრორაიონის სპეციფიკასთან და საზოგადოებრივი განვითარების დონესთან. იმის გამო, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები და ადამიანის მიერ მასში შეტანილი ცვლილებები ნაირსახისაა, მრავალი მიკრორაიონია წარმოდგენილი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობის მიხედვით. შესაბამისად სახენელი იარაღების ნაირი სახეები და მათი ვარიანტებია გამომუშავებული.

უძველესი სახენელის რკინის სახნისის არსებობა არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება ძვ. წ. IV—II სს. (სოხუმი, უფლისციხე) და უფრო გვიან ძვ. წ. VI ს.-დან (დმანისი).

როდესაც სახენელ იარაღებზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ინდუსტრიამდელ ხის სახენელ იარაღებს, რომელთაც რკინის ნაწილები აქვთ.

სახენელი იარაღების შემოღებას ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან დიდი გავლენა იქონია ცივილიზაციის დაწინაურებაზე.

სახენელი იარაღი ეწოდება ისეთ იარაღს, რომლის დანიშნულებაა საქონლის ძალის შემწვობით შეამზადოს მიწა თესლის მისაბარებლად, ნიადაგის დამუშავება ნაირსახისა შეიძლება იყოს ნიადაგის თვისებების, რელიეფის, ტენიანობისა და სხვ. მიხედვით—ეს არის მ ა რ გ ვ ლ ა, დ ა ბ ა რ ვ ა, თ ო ხ ნ ა, გ ა მ ე ლ უ რ ე ბ ა, გ ა წ ე რ ა, ა ჩ ე ჩ ვ ა, ა ქ ე ქ ვ ა: გ ა ხ ა რ ვ ა; დ ა კ ვ ა ლ ვ ა, ხ ვ ნ ა, ა ო შ ვ ა, გ ა თ ე რ ძ ვ ა, ბ ე ლ ტ ი ს მ ო ტ ჭ რ ა, გ ა დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა, დ ა ფ შ ვ ნ ა.

იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებს სახენელი იარაღი ნიადაგის დამუშავების პროცესში, ხერხდება მათი კლასიფიკაცია როგორც ტიპოლოგიური, ასევე გენეტიკური.

არსებობს სახენელ იარაღთა სხვადასხვა კლასიფიკაცია, რომელიც ეკუთვნის ლემერს, ჰონდრიკურის, ბრაუნგარდტს, რაუსს, შახს, ნობშას, ჰანს, ბრატანიჩს, ივ. ჯავახიშვილს და სხვ.

ჩვენ ვემყარებით სახენელი იარაღის ფუნქციური დანიშნულებით დაყოფის პრინციპს და გამოვყოფთ რამდენიმე ტიპს. კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სახენელთა შესახებ არსებული ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ფოლკლორული მასალები, წერილობითი წყაროები და სხვა.

სახენელი იარაღის პირველი სახეობაა. ეს ის იარაღებია, რომელთაც შეუძლიათ ნიადაგის მხოლოდ გაწერა. მასში შეიბმის სახედარი, ცხენი ან უღელი ხარი; აქვს მხარი, ხელნა და ეშვი; უპირატესად იერთი მთლიანი ხეა, სათანადოდ შერჩეული და სათანადოდ გამოყენებული. დროთა ვითარებაში ამ სახენელი იარაღის მრავალი ქვესახე წარმოიშვა. მას არა აქვს ქუსლი, სახნისი და საკვეთელი. ამ ტიპს განეკუთვნებიან სუმერული, ევროპული უძველესი სახენელი იარაღები, რომელნიც ადრეულ ეპოქებს განეკუთვნებიან. ამის დერივაციაა რუსული სოხა. საქართველოში ეს სახეობა წარმოდგენილია კავწერა // საწერას სახით. არ არის გამორიცხული, რომ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ირმის რქის იარაღი (შულავერი, არახლო) განეკუთვნება ამ ტიპის სახენელებს — საწერას.

მეორე ტიპის სახენელ იარაღს — გრძელმხრიანს (აჩაჩას) განეკუთვნება იარაღი, რომელსაც ნიადაგის ასაჩეჩად, ასაქეჩად იყენებდნენ. ამ იარაღს აქვს გრძელი მხარი, ხელნა და ქუსლი; მასში ერთი წყვილი ხარი ებმის. მისი ქუსლი მაგარი ხისაა. იმის მიხედვით, თუ სად რა სახის ნიადაგია, ამ იარაღს უკეთდება ქუსლში ჩამჯდარი მხარი, ან კიდევ სწორი მხარი გაყრილი ხელნაში, დროთა განმავლობაში ეს სახენელი იარაღი იძენს ხმალას, შედარებით მძიმე მიწების მოსახნავად. მხარი უღელს მოძრავად უკავშირდება, რის მეშვეობითაც ხერხდება ძირკვებისა და ქვების გვერდის ავლა მუშაობის პროცესში. ამასთანავე, იმის მიხედვით, თუ რა დახრილობითაა ხელნა ქუსლში დამაგრებული, სახენელი იარაღი უკეთეს ან ნაკლებ ეფექტს იძლევა ხვნის დროს.

მესამე სახის სახენელი იარაღი (საკვენიელი), რომელიც ბელტსა ჭრის და კვალს ავლებს, მოკლემხრიანი, წეწენიანი სახენელი იარაღია. წეწენას სახით მის მხარს უჩნდება საყრდენი, რაც სახენელი იარაღის მუშაობას აადვილებს, გამწევე ძალას შრომას უმსუბუქებს, ხოლო გუთნისდება — სახენელი იარაღის მართვას. ის წარმოადგენს გრძელმხრიანი სახენელის განვითარების შემდგომ ეტაპს. ამ სახენელ იარაღში ორი-სამი უღელი ხარა შეიბმის და ძირითადად მთის ზოლისათვის არის განკუთვნილი.

მეოთხე სახის სახენელი (ერქვანი//ჯილდა გოგორა) იარაღი არის ფამფალაკიანი უფრთო სახენელი იარაღი, რომელსაც თანაბარი ზომის ბორბლები აქვს. ამგვარი სახენელის არსებობა, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ივარაუდება V საუკუნეიდან.

ამგვარმა სახენელმა იარაღმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სოფლის მეურნეობის აღმავლობაში. მან შესაძლებელი გახადა გრძელი ველების მოხვნა, ფართო კვალის გადატანა და ამის შედეგად მოსავლის მატება. მას აქვს ქვესახეები და ვარიანტები — მეტნაკლებად შეგუებული ცალკეულ მიკრორაიონთან.

მეხუთე სახის სახენელი არის ფამფალაკიანი იარაღი, რომელსაც ფამფალაკის ბორბლები სხვადასხვა დიამეტრისა აქვს, ხოლო ფრთა — ოვალური. ეს იძლევა ღრმა ხვნის შესაძლებლობას, აჭრილ ბელტს აბრუნებს და ფშვნის. მას სახნისი ასიმეტრიული ფორმისა აქვს, მასში 8—10 უღელ ხარკამეჩს შეაბამენ ხოლმე.

XIX ს. ბოლოს გაუმჯობესების მიზნით ამ იარაღს უჩნდება რკინის ქუსლი და ფრთა. ამგვარი სახენელი საქართველოში მუხრანული გუთნის სახელითაა ცნობილი.

ამავე საუკუნეში საქართველოში შემოდის ფაბრიკული სახენელი იარაღი. მისი შემუშავება ხდება ევროპის პრაქტიკაში ნიუტონის მექანიკის კანონის გავრცელების შემდეგ.

გრძელმხრიანი სახენელი იარაღების რეალურად არსებული ადრინდელი ფორმა გვაქვს კავწერა // ს აწერას სახელწოდებით. ეს იარაღი იხმარებოდა ხევისურეთში, თუშეთში, დიდოეთში, სვანეთში — საკვეთელის სახელწოდებით. მისი განვითარებული სახეები მოცემულია გურული და მეგრული სახენელების სახით. გრძელმხრიანი სახენელი იარაღი აჩაჩას სახელითაა ცნობილი და მისი არსებობა II—I ათასწლეულების მიჯნაზე ივარაუდება, რასაც მხარს უჭერს საღეწი იარაღის — კევრის არსებობა, რომლის შემწეობითაც ადვილად მოეცლებოდა მოწეული მარცვლეულის თავთავებს და რომელიც ცხოველის გამწევი ძალით მუშაობდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეგრული სახენელი, რომლის კონსტრუქციაში გამოყენებულია მხარის თავის დაყრდნობა ფრჩხილზე, აქ ის პრინციპია, რომელიც ჩოჩიალა ურემშია გამოყენებული. ეს გარემოება მეგრულ სახენელს გენეტიკურად აკავშირებს ამ იშვიათ სატრანსპორტო საშუალებასთან.

სახენელი იარაღი, რომელსაც ფამფალაკის გარდა აქვს ასიმეტრიული რკინის სახნისი და საკვეთელი, ბელტს ჭრის, აბრუნებს და ფშვნის, მიწათმოქმედების განვითარების მაღალ საფეხურს შეესაბამება. დასავლეთ საქართველოში დასტურდება VI—VII სს-დან. მასში 8—10—12 უღელი ხარკამეჩი ებმოდა. და დიდი რაოდენობით მუშახელს საჭიროებდა: გუთნის დედა, მწაფელები, მეხრეები. გამოანგარიშებულია, რომ გუთნეულის ოთხი უღელი ხარისათვის საჭირო ღვედს უნდება ორი ხარისა და ერთი კამეჩას ტყავი. გარდა ამისა, საჭიროებს ჭაბნებს, უღლებს, აპეურებს, ლითონს — სახნის-საკვეთლისათვის და სხვა. ამ სახენელ იარაღს უჩნდება ასიმეტრიული სახნისი, რომელიც ცალ მხარეზე მუშაობს. მის აწყობას, გამართვას მცოდნე პირი და სათანადო ორგანიზაცია სჭირდება.

ეს სახეობა სახენელი იარაღისა ვაკე ადგილებისათვის იყო განკუთვნილი, მას მუშაობა მთიან ადგილას არ შეეძლო.

და ბოლოს აქვე უნდა აღინიშნოს, თუ რა აზრს ვღებთ ჩვენ სახენელი იარაღის გავებაში, როგორ განვსაზღვრავთ მას. ეს თავიდანვე ნათელს მოჰყენს ჩვენი თემის შემდგომ კვლევა-ძიებას. საკუთრივ საუბარია იმ იარაღებზე, რომელთა ძირითადი დანიშნულებაც იმაში გამოიხატება, რათა გატეხოს, გადაურიოს და გააფხვიეროს ნიადაგი კვლების გატარების საშუალებით და ამით შექმნას კალაბოტი დასათესი მარცვლისათვის. ამასთან მხედველობაში მისაღებია, რომ ამ იარაღის მუშაობა ხდება ცოცხალი გამწევი ძალის (ხარკ,

კამეჩი, ჯორი, ცხენი) შებმის საშუალებით. ზემოთ ნათქვამს საჭიროა დამატოს, რომ ჩვენ სრულიად შეგნებულად ვიყენებთ ტერმინს სახვნელი იარაღი, მაგივრად მცდარი არასწორი დასახელებისა, რომელიც სახვნელი იარაღის მხოლოდ ცალკეულ სახეობას აღნიშნავს.

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული სახვნელი იარაღები თავისი კონსტრუქციით, დანიშნულებითა და წარმოშობით იმდენად განსხვავდებიან, რომ საქართველო ამ მხრივ სრულიად მართებულად ცოცხალ მუზეუმად ითვლება²⁵.

1951 წ.

²⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., გვ. 136.

ახოს აღება დასავლეთ საქართველოში

ქართული ეთნოგრაფიის სათავეებს ლურსმულ, ებრაულ, არაბულ, ბერძნულ, ლათინურ, ქართულ, სომხურ და სხვ. დამწერლობებში დადასტურებულ ქართველ ტომთა ზნე-ჩვეულებათა უძველეს აღწერილობებამდე მივყავართ. ზოგი ძველი ავტორი აღწერილობითი მასალის გვერდით სვამს და თავისებურად წყვეტს საქართველოს ეთნოგრაფიის არსებით პრობლემებს. ამ პრობლემათა შორის აღსანიშნავია ქართველ ტომთა ეთნოგენეზისი (ჰეროდოტი, სტრაბონი, ლეონტი მროველი), მთიელთა ბარად და ბარელების მთაში გადაადგილების პროცესი (ვახუშტი ბაგრატიონი), მეურნეობათა განლაგება მიკრორაიონების მიხედვით (სტრაბონი, ვახუშტი ბაგრატიონი) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდე საქართველოში გავრცელებულმა რარიტეტულმა მეთოდმა ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ იშვიათი გამოცდის გარდა შემთხვევითი მასალა გვაქვს შემორჩენილი. ეფექტური მეთოდის უქონლობამ ხელი შეუშალა ავტორებს წესისამებრ აღწერათ საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილე, მოეხდინათ ხალხური ყოფისა და კულტურის სპეციფიკური მხარეების ფიქსაცია, გამოევიდინათ ხალხის ზნე-ჩვეულებათა არსებითი მომენტები. იგივე შეიძლება ითქვას სამეურნეო ყოფის მასალების შესახებ; ისინი შემთხვევითი ხასიათისაა, დეფექტურია და ყოველთვის არაა სანდო. ამდენად, დღის წესრიგში დგება მატერიალური დოკუმენტის უშუალო მწარმოებელთა ყოფისა და კულტურის, ხალხის მდიდარი ემპირიული ცოდნის, მისი შრომითი ჩვეულების, საწარმოო გამოცდილებათა სისტემატური და გეგმაზომიერი შესწავლა.

საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის ძირითადი აქტუალური პრობლემების დამუშავებამ ათეული წლების მანძილზე თავისი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმისა და სხვა სათანადო გამოცემებში. ეს შრომები უმთავრესად ორ სერიულ გამოცემაშია გამოქვეყნებული: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ და „ეთნოგრაფიები საქართველოს ეთნოგრაფიიდან“. ნაბეჭდ გამოცემებში აისახა ნაწილობრივ ის რეზულტატებიც, რომლებსაც მიაღწია ქართულმა ეთნოგრაფიამ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით კოლხური ტომების ეთნოგენეზის საკითხში. ამ მიმართულებით საწარმოო და სოციალური ყოფის, იდეოლოგიისა და მათი კულტურის მემკვიდრეობის საკითხებში.

ადამიანის შემოქმედებით შრომასა და დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) იშვიათად ხელსაყრელ ბუნებრივ გარემოს შეეძლო განეპირობებინა აქ უძველესი დროიდანვე მკვეთრად გამოსახული თვითმყოფი ნიშნების მქონე

კულტურის კერის შექმნა. კოლხური კულტურის თვითმყოფი ნიშნები ვლინდება არა მარტო უძველეს თქმულებებსა, ლეგენდებსა და მითებში (არგონავტები, პრომეთე, ამირანი, აბრეკი, სირა-მჭედელი და სხვა); არამედ მკვეთრადაა გამოსახული არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მატერიალურ ნივთებშიც.

ასე მაგალითად, ცნობილია, რომ რიონი (ძველი ფაზისი) სამჯერ მეტნალექს შეიცავს, ვიდრე მდ. ნილოსის წყალი, დასავლეთ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ნიადაგის გასანოციერებლად უძველესი დროიდანვე იყენებდა რიონსა და კოლხეთის სხვა მდინარეთა ნალექს. აქვე დიდი წარმატებით სარგებლობს ტკილიანი ქანის ნიადაგის სასუქად გამოყენება, რაც 15—18 წლით უზრუნველყოფს მაღალ მოსავალსა და წელიწადში ორ მოსავლიანობასაც კი¹.

მკვეთრად გამოსახული თავისებურებით ხასიათდება: კოლხური ბრინჯაო, რაჭული სახენელი იარაღი, გადასაზიდი საშუალებანი (აჩაჩა ურემი, თურში), კოლხური ფუტკარი, ენდემური პურეული, ვაზი, იმერული ცხვარი და აგრეთვე მამამძუძეობის ინსტიტუტი, სვანთა საწესო გრაფიკული ხელოვნება და სხვ.

კოლხური კულტურის ზემოთ დასახელებულ სპეციფიკურ თავისებურებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კოლხეთის ბუნებრივი პირობების თავისებურება. აქ წარმოდგენილი მესამეული ხანის უძველესი ფლორის წარმომადგენლების პარალელურად (ძელქვა, ურთხმელი, ბზიფის ფიქვი) კოლხეთის თითქმის მთელი ტერიტორია ტყითაა დაფარული. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ შავიზღვის სანაპიროსა, კავკასიის მთავარი ქედის დას. ნაწილის სამხ. ფერდობსა, მესხეთის ქედსა და ამიერკავკასიის დასავლეთის კიდურ მთებს შორის მომწყვდეული მთელი დასავლეთ საქართველო ხასიათდება მეტისმეტად ნესტიანი სუბტროპიკული ჰავით, რომელიც მხოლოდ აღმოსავლეთისკენ უფრო მშრალია. ასეთი დიდი ტენიანობის გამო (ნალექი — 1200—1500 მმ წელიწადში) აქ ტყეთა სიმრავლეც. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ეს ქვეყანა წარმოადგენს ალაგ-ალაგ გაიაშვიათებულსა და ადამიანს ხელით გაკაფულ ერთიან ტყეს, რომელიც აქ ბუნებრივი გადამწყვეტი ფაქტორია და ადამიანი მას მთელი თავისი შესაძლებლობით იყენებს.

კოლხეთის ბუნებრივ პირობათა ეს თავისებურება თავის დროზე კარგად იქნა შემჩნეული სტრაბონისა (ჩვ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე) და ვახუშტი ბაკრატიონის მიერ (XVIII ს.).

ვახუშტი წერდა „არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამე თუ იშვიათ არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თენიერ საცნელთაგან, არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი, ჰავითა კეთილ-მშვენი... თვალთა ქვეშე შვენიერება ეგოდენ არა მჩენობს ტყის გამო, თუნიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ უცეთუ დახედო მაღალის მთილამ, იხილავ სრულიადს იმერეთს ტყედ და არსადა წენობასა“².

კოლხეთის ტყიან ზოლებს შეესატყვისება ნიადაგის ზონებიც: ეწერა, რამდენადმე ზევით წითელი მიწა (ძვირფას სუბტროპიკულ კულტურათა რაიონი), უფრო ზემოთ კირ-ნაცროვანი ნიადაგი (მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი).

ეს გარემოება აიძულებდა მიწისმოქმედს მიწის ყოველი ნაგლეჯისათვის ეწარმოებინა ტყესთან ბრძოლა, დაეცვა სათესი მიწის ფართობი გარეულ

¹ კოლხეთის 1955 წლის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 145.

მცენარეთა და ტყისაგან. ამასთანავე, საჭირო იყო ტყისაგან დაცვა არა მარტო საყანეების, არამედ საძოვრების, სათიბებისა და სხვა ფართობის.

უნდა ითქვას, რომ კოლხეთში შემინდვრობა, მეცხოველეობა, მევენახეობაცა და მეფუტკრეობაც კი ტყის გარემოცვაშია და მისი გავრცელების სამივე ზონაში — დაბლობსა, მთისძირა და მთიან რაიონებში, მისსავე პირობებში ვითარდებოდა. აქედან გამომდინარეობს ამ მეურნეობათა სპეციფიკური ნიშნები და ტყის გაკაფვის სისტემის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ტყის გაკაფვას მიმართავდნენ აქ მიწის ნაკვეთების მისაღებად არა მარტო ნათესისათვის, არამედ მეცხოველეობისათვისაც, — სათიბებისა, საძოვრებისა, მეფუტკრეობისა და ლითონის დამუშავებისათვისაც (საწვავი მასალა ბაზა). ამასთან დაკავშირებით თავისთავად ცხადია, რომ აქ გვაქვს ტყიანი ზოლის ტიპისათვის დამახასიათებელი ახოს აღების სისტემა, რომელმაც ათეული საუკუნეების განმავლობაში განვითარებისა და სრულყოფის გზით შემოინახა თავი.

საჭიროა კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით გავეცნოთ ახოს აღების მეურნეობას, რომელსაც აქ ჰქონდა ადგილი.

მთიან ნაწილში ახოს აღება იწყებოდა სახნავად ან სათიბად გამოსადეგი ადგილის შერჩევით. მომავალი სათიბისათვის ადგილის შერჩევის შემდეგ (ჩვეულებრივ წიწვნარში), გლეხი სპეციალური ინსტრუმენტით, ხეეწით ნაძეს, ფიჭვს ადამიანის სიმაღლეზე აცლიდა ქერქს. ამ პროცესს შეყვერვა ეწოდება. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს ხეები ხმებოდა და ღებოდა. დამპალი ხე ადვილად იჭრებოდა. მოჭრილ ხეებს ერთად აწყობდნენ და წვავდნენ. დარჩენილ კუნძებსა და ფესვებს წერაქვითა და თოხებით ამოძირკვავდნენ. შემდეგ ნაკვეთამდე მოყავდათ მთის წყაროს წყალი. ამ სამუშაოთა შესრულების შემდეგ ადგილი სათიბად დამზადებულად ითვლებოდა.

უფრო რთული იყო ნაკვეთის სანახავად გაწმენდის პროცესი ფოთლოვან ტყეში.

ასეთ შემთხვევაში ტყეს წინასწარ ჩეხავდნენ წალღებით. სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოსადეგი დიდი ხეები სახლში მიჰქონდათ. დარჩენილ, გამოუსადეგარ ხე-ტყეს — დიდ ხეთა ტოტებსა და ახალგაზრდა წვრილ ხეებს წვავდნენ. ტყეს გაზაფხულზე ჩეხავდნენ, დაწვით კი ზაფხულობით წვავდნენ. ცდილობდნენ მინდვრის სხვადასხვა კუთხეში დიდი ცეცხლის გაჩაღებას, ვინაიდან რაც უფრო დიდი იყო ხანძრით გამოწვეული სიცხე, მით უფრო მეტად სკდებოდა მიწის ზედაპირი და შიშვლდებოდა ხის ფესვები. ამგვარად გაშიშვლებული ფესვები ადვილად ხმებოდა და კარგავდა ნაბარტყის აღმოცენების უნარს. მეორეს მხრივ, ეს ხერხი ტყის ამოძირკვასაც ეხმარებოდა, რამდენადაც ფოთლოვან ხეთა ფესვები მიწაში ღრმადაა გადგმული და მათი ამოძირკვა ძნელია. ხეების დაწვის შედეგად მიღებულ ნაცარს მინდვრის გასანოყიერებლად იყენებდნენ.

მაგრამ მიწის განოყიერებამდე საჭირო იყო მისი კუნძებისა და ფესვებისაგან გაწმენდა. მიწისმოქმედების ახოს აღების სისტემა ყველაზე შრომატევადი სამუშაოა. ამ საქმისათვის გამოიყენებოდა — წერაქვები, თოხეწერაქვები, თოხეები, ნაჯახეები, ცულქარხეები, წალღები. პირველ წელიწადს ეს სამუშაო მოითხოვდა ქცევაზე 60-დან 90-მდე შრომაღლეს და დამატებით მუშახელს, მაგრამ ამით არ მთავრდებოდა ეს სამუშაო. ის გრძელდებოდა შემდეგ წელსაც. მართალია, ახლა შრომადღეთა ნაკ-

ლები რაოდენობა იყო საჭირო, მაგრამ სანამ მინდორი სავსებით არ გაიწმინდებოდა მასზე შრომა გრძელდებოდა. კუნძებისა და ფესვების გარდა მინდორი დიდი და პატარა ქვებისაგანაც უნდა გასუფთავებულიყო.

ასეთ ნაკვეთებზე პირველი 2—3 წლის განმავლობაში მხოლოდ თოხითა და თოხ-ქარჩით მუშაობდნენ, ამასთანავე პირველსა და მეორე წელს 4-ჯერ მეტი სამუშაო დრო იყო საჭირო, ვიდრე მომდევნო წლებში. თოხნის ეს სამუშაო, ისევე როგორც გაჩეხვა, დაწვა და ამოძირკვა, ყამირის პატრონის ნათესავთა და მეზობელთა კოლექტიური შრომით სრულდებოდა. ამას გარდა, გასაწმენდი ნაკვეთის დამუშავების პროცესში, რომელიც რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა, ნაკვეთის ამომრჩევი პირი ხეებზე საგვარეულო-კუთვნილების ნიშანს აქდებდა. ეს ნიშნები მეტად მრავალფეროვანი იყო. წარმოადგენენ რა პრიმიტიული დამწერლობის ნიშანთა ნიმუშს, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ დამწერლობის ნიშნების გენეზისის თვალთახედვით.

მიწის ფართობის საყანედ გამოყენება და მიწის დასვენება ნიადაგის ხარისხიანობაზე იყო დამოკიდებული. ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში პირველი ადგილი წყლისპირა ნალექიან ნიადაგს ეკავა, რომელიც ყოველწლიურად წყლის შლამით ნოყიერდებოდა, არ საჭიროებდა დასვენებას და იძლეოდა დიდ მოსავალს. ზოგიერთ მიწაზე 3—4 წლის განმავლობაში ზედიზედ თესავდნენ და შემდეგ კი 10 წლით ასვენებდნენ.

დასავლეთ საქართველოში მცენარეულის სწრაფი ზრდის გამო სახნავე ფართობი 5—7 წლის შესვენების დროს ასწრებდა ხეებითა და ბუჩქნარით თუ სხვა მცენარეებით ისეთ დაფარვას, რომ ადგილობრივი ჰავისა და ნიადაგის პირობების ცოდნის გარეშე ძნელი დასაჯერებელი ხდებოდა, რომ ეს ძნელად გასაღვლეი ჭალა რამდენიმე წლის წინათ მხოლოდ ნათეს ფართობს წარმოადგენდა. რამდენიმე წლის შემდეგ ხეები კვლავ იჭრებოდა, ნიადაგი შეძლები-სამებრ იწმინდებოდა ფესვების, კუნძებისა და ქვებისაგან და კვლავ ითესებოდა.

დაბლობ ზოლში მინდორი გაწმენდის შემდეგ სახვნელი იარაღით მუშავდებოდა: ერთდღივივე საყანე ყოველწლიურად ითესებოდა, ხოლო საუკეთესო ხარისხის ნიადაგიდან წელიწადში ორ მოსავალსაც იღებდნენ. მთისპირა და მთიან ზოლში კი ნიადაგი მხოლოდ ნაწილობრივ მუშავდებოდა სახვნელი იარაღებით, ნაწილობრივ კი მას თოხით ამუშავებდნენ. ერთი და იგივე ნაკვეთი აქ ყოველწლიურად არ ითესებოდა, არამედ პერიოდულად და უფრო ხანგრძლივად კი ასვენებდნენ.

საქართველოს რთული და მრავალმხრივი სამიწათმოქმედო კულტურა იცნობს მიწისმოქმედების შემდეგ სისტემებს: ახოს აღების, აჩეჩვის, ბელტის გადაბრუნებისა და ღრმად ხვნის. მათ შეესატყვისება გარკვეული სახის სამიწისმოქმედო იარაღები: ახოს აღების სისტემისათვის — თოხ-წერაქვები, კავწერა, სახვნელი; აჩეჩვისათვის — ქართული, ფშაური და რაჭული აჩაჩა; ბელტის გადაბრუნებისათვის — ჯილღა-გოგორა, ერქვიანი და ღრმად ხვნისათვის ფამფალ-კიანი დიდი გუთანაი. ამას გარდა ახოს აღების სისტემა გულისხმობს ნიადაგის დამუშავებას გაწერის წესით, აჩეჩვა — ნიადაგის აქეკვას, ბელტის მოჭრისას ადგილი აქვს ბელტის გადასვლას, ღრმად ხვნის დროს კი მოჭრილი ბელტები გადაიწყობა.

მიწისმოქმედების ამ სისტემათაგან გვანტერესებს დას. საქართველოს აზოს ალების სისტემა, რომელიც საკმარისად რთული მეურნეობა ჩანს, რამდენადაც მის კომპლექსში შედის არა მარტო ნიადაგის დასამუშავებელი იარაღები, არამედ ნიადაგის თვისებებიც; ნაყოფიერება, ადგილის კლიმატური პირობები, სახნავი ადგილის ზედაპირის ფორმა, ნიადაგის ტენიანობა, ნაკვეთის მდებარეობა, დაქანება, თოხნის დრო, პურეულის ჯიშები და სხვა.

პირველად ამგვარ ნაკვეთებზე თესავდნენ ფეტვს, შემდეგ ქერს, მას შემდეგ სიმინდს და მეოთხე წელს კი ხორბალს. თუ მიწა კვლავ ნაყოფიერი რჩებოდა კიდევ ერთხელ თესავდნენ ჯერ სიმინდსა და მერე ხორბალს. ქერის ან საშემოდგომო ხორბლის შემდეგ ამ ნაკვეთზე თესავდნენ სიმინდს, რომელიც ყოველთვის ბოლომდე მწიფდებოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში აზოს ალების სისტემის მიწისმოქმედების დროს ითვებოდა უმთავრესად კოლხეთის პურეულის უძველესი სახეები, სახელდობრ ფეტვა, მთის ხორბალი — ზ ა ნ დ უ რ ი, ჩ ე ლ ტ ა ზ ა ნ დ უ რ ი, მ ა ხ ა და ს ხ ვ ა.

ძველ ქართულ წერილობით წყაროთა შესწავლის საფუძველზე აკად. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ფეტვი ქართველ ტომთა უძველესი კულტურაა. ამას არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებენ. კოლხეთის ტერიტორიაზე, ანაკლიის მახლობლად დიხაგუძუბას გათხრის დროს აღმოჩნდა ფეტვის მარცვლები, რომლებიც დაახლოებით ნეოლითის დასასრულით თარიღდება³.

კოლხეთის ტომებში ფეტვის კულტურის სიძველეზე ისიც მიუთითებს, რომ თესლბრუნვაში იგი არსებით როლს ასრულებს. ასე მაგალითად, სვანებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ ფეტვი უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე სხვა პურეული და რომ ამიტომ შესაძლებელია მისი გვიან გაზაფხულზე დათესვა. ჩვეულებრივ ამ დროისათვის მინდვრად უკვე ჩნდებოდა სარეველა მცენარეები. თოხით ან სახენელი იარაღით ამ გვიან გაზაფხულზე დამუშავებული მიწა სარეველისაგან იწმინდებოდა. ამგვარი დამუშავების შემდეგ მაინც დარჩენილი სარეველა საბოლოოდ ისობოდა ფეტვის სპეციალური ხის ინსტრუმენტებით, რომელსაც სვანები წ ა მ ს უწოდებდნენ, გამარგვლის დროს. ამგვარ ნაკვეთზე დათესილი ფეტვი კარგ მოსავალს იძლეოდა და ამავე დროს ეს დათესვა ნიადაგს ასუფთავებდა... სხვა კულტურებისათვის მემინდვრეობაში ფეტვის გამოყენების ამგვარი ხერხი არ შეიძლება არ მიგვიითებდეს ამ კულტურის სიძველეზე. ყველა ამ მონაცემის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნაო, რომ თავისი სიძველით იგი კოლხეთის თოხის კულტურის ეპოქამდე აღწევს. სხვათაშორის, შეიძლება მივუთითოთ იმაზეც, რომ აფრიკაში ფეტვის ყანას დასამუშავებლად დღემდე თოხს იყენებენ.

მთის ხორბალმა — ზ ა ნ დ უ რ მ ა, ჩ ე ლ ტ ა ზ ა ნ დ უ რ მ ა საყოველთაო (მსოფლიო) აღიარება ჰპოვა, როგორც ყველაზე მეტად გამძლე სახეობამ. იგი მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია (რაჭა-ლეჩხუმში) შემონახული. ზანდურის ალება

3 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, გვ. 322—364.

4 ნ. ხოშტარია, დიხაგუძუბა — კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 108—210.

მეტად თავისებურად წარმოებს: თავთავებს შნაკვით კრეფენ და კალათებში აწყობენ, მკის ეს ხერხი უეჭველად ძველია და ალბათ, წინ უსწრებდა კაჟიანი ნამგლით მკას. დას. საქართველოს გარდა შნაკვი მხოლოდ ასტურიაში გვხვდება, დაბოლოს, ზანდურს პურეულის მსგავსად კი არ ლეწვენ, არამედ ფეტქსავით ბერტყავდნენ.

რაც შეეხება ხორბალ მახას, ისიც ზანდურის მსგავსად დასავლეთ საქართველოს ენდემური მცენარეა. მახა მხოლოდ ლეჩხუმშია ცნობილი. იგი გარეული ხორბლის ზოგიერთი თვისებით ხასიათდება. მახას მარცვლები აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების დროს. მას გარეული ხორბლიდან—კულტურისაკენ გარდამავალ საფეხურად მიიჩნევენ. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მახას ძალიან ჰგავს კოლხური ასლი. ეს უკანასკნელი ენდემურია კულტურა კოლხეთისათვის. კოლხური ასლის საგაზაფხულო ფორმის საშემოდგომო ნათესებს შეეძლო გამოეწვია მახას მიღება, რაც ქართველი გლეხის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში დიდი ხანია ცნობილი იყო და ეფექტურად გამოიყენებოდა.

მაგალითად, როდესაც სოფელში სახნავის მოცდენისა თუ სხვა მიზეზის გამო აღარ იყო საშემოდგომო ხორბლის მარცვალი (დოლის პური), გლეხები იღებდნენ საგაზაფხულო პურის მარცვალს დიკას და თესავდნენ შემოდგომაზე. ამ ნათესის დიდი ნაწილი იღუპებოდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი უძლებდა ზამთრის სიცივეს. მიღებულ საშემოდგომო დიკას კვლავ თესავდნენ მეორე შემოდგომაზე. ხელმეორედ დათესილი დიკა უკვე საშემოდგომო ხორბალს იძლეოდა.

თანამედროვე ბიოლოგია ამგვარ გარდაქმნას ხსნის გარემოს შეცვლილი პირობათა ზემოქმედებით; ერთი სახეობის პურეულის ორგანიზმში წარმოიქმნება და ყალიბდება მეორე სახეობის ჩანასახები⁵.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას მიიჩნევენ ხორბლის კულტურის ერთ-ერთ პირველ კერათაგანად⁶. დღემდე ცნობილი ხორბლეულის 16 სახეობიდან საქართველოა ტერიტორიაზე წარმოდგენილია 11, ამთგან 6 ენდემურია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყის გაკაფვას დას. საქართველოს პირობებში მიმართავდნენ არა მარტო ისეთ შემთხვევებში, როცა აუცილებელი იყო მიწის ნაკვეთის მიღება მარცვლეულის დასათესად, არამედ სხვა საჭიროებისთვისაც.

მაგალითად, ტყეს წმენდნენ მომთაბარე მეფუტკრეობისათვის, სადაც ზაფხულობით დაბლობი ადგილებიდან აპყავდათ სკა. ტყეს კაფავდნენ მსხვილფეხა საქონლის საზაფხულო და საშემოდგომო სადგომისა და მწყემსთა მეურნეობისათვის.

ტყეში ხეებს ჩეხავდნენ მალლარი ვაზის მეურნეობისათვის. კავშირი ჰქონდა ახოს ადების სისტემას ლითონის მოპოვების სარეწაოებთან.

ნიადაგის დასამუშავებელი ზემოთ მითითებული სამუშაოები ძირითადად შემდეგი იარაღებით სრულდებოდა: ხვეწით, ჩეკათი, ბუცხით, წაღით, კინაშიკეტით, წალკატით, ჩენგოთი, ბერგით, ცულ-წერაქვით, ბარათოხით და სხვ.

⁵ გ. ჩიტიია, კვკასიის საბჭოთა ეთნოგრაფიის ამოცანების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 359—360.

⁶ Б. Жуковский. Культурные растения и их сородичи, М., 1950, с. 95.

ეს ინტრუმენტები, რომლებიც ნიადაგის დასამუშავებლად იხმარებოდა, მათ მიერ შესრულებულ ფუნქციათა მიხედვით შეგვიძლია 3 კატეგორიად დავყოთ:

ესა ერთის მხრივ, მეტნაკლებად პირბასრი თოხ-წერაქვეები რომლებიც ნიადაგის პირველადი დამუშავებისათვისაა განკუთვნილი და ადგილის გაწმენდის, კუნძების და ფესვების ამოსაგდებად იხმარებოდა; მეორეს მხრივ ფართო პირიანი თოხებო, რომლებიც გათოხვის, მარგვლისა და სხვა მსგავსი სამუშაოებისათვის იხმარებოდა და მესამე, კომბინირებული თოხები, რომლებიც შეიცავენ თოხწერაქვსაცა და თოხსაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დასავლური ქართული თოხის ტიპური სახე ბარია (ნიჩაბი), რომელიც ხის ტართან სწორ კუთხეს ქმნის.

პირველ კატეგორიას ეკუთვნის: წერაქვი, აწარკანტი, წალკატი, ჩეკი, ბარჯუკი, ჩენგო, აჩაგა, კეკო, კაჩი.

მეორეს: ოკრიბულა, ლაბარჯი, იმერთული თოხი, ჩაღათოხი და სხვ.

მესამეს: ცულქარჩი, თოხ-წალკატი, თოხ-წერაქვი, ბარათოხი და სხვა.

დასავლური ქართული თოხის დამზადება ექვემდებარება ლითონის დამუშავების ძველ ქართულ წესებს. ამ წესების მიხედვით ჯერ მზადდება თოხის დედანი და შემდეგ იჭედება თვით იარაღი. მეორე მხრივ, თოხის დამზადებას პროცესში ყურადღებას იპყრობს ყუის გაფორმება ტარისათვის. თოხის ყუა სხვადასხვა ფორმისა გვხვდება: მრგვალი, ოვალური, ოთხწახნაგოვანი. ამ შექთვევაშიც შენარჩუნებულია მეტალურგ-მჭედელთა ძველი ტრადიცია. ძველ ქართულ ნიმუშებში (ყუა) თანდათან ფართოვდება უკანა, გარეთა მხრისაკენ. მხედველობაშია მიღებული, რომ ტარი ყურის უკანა, გარეთა ნაწილიდან ჩაისმება, რათა იგი უფრო მაგრად ჩაჯდეს. ამასთანავე მხედველობაში იღებენ იმასაც, რომ სწორად ჩასმული ტარით შესაძლებელი იყოს მუშაობის პროცესში მომუშავეს ძალისა და იარაღის მომუშავე ნაწილის სიმძიმის ძალის გაწონასწორება.

თოხით მუშაობა დარტყმითი წესით წარმოებს, მუშაობის პროცესში ამოთხრილი მიწა გვერდზე, მომუშავეს ფეხებისაკენ იყრება, ეს პროცესი დიამეტრულად ეწინააღმდეგება იმ სამუშაოს, რომელსაც სახენელი იარაღი ასრულებს (მიწის გაჭრა, ბელტის წინ და გვერდით გადაბრუნება).

დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული თოხებისა და თოხის მაგვარ იარაღთა ნაირსახეობა თავის ახსნას პოულობს მიწისმოქმედების ნაირსახეობაში. თავისთავად ცხადია, რომ ტყისაგან გაწმენდილი ყანა დამუშავების პირველ წელს მოითხოვს პირველი ტიპის თოხს, მაშინ, როდესაც მეორე და შემდეგ წლებში ასევე წარმატებით გამოიყენება განიერპირიანი თოხები. ზუსტად ასევე, კომბინირებული თოხებით წარმატებით მუშაობენ იმ შემთხვევაშიც, როცა კუნძებისა და ხეთა ფესვების ამოძირკვა ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, მინდორი ჯერ კიდევ არაა გაწმენდილი მათგან და მუშებს უხდებათ დროდადრო ხან თოხით, ხან კი წერაქვით ნიადაგის აჩეჩვა და კუნძებისა თუ ფესვების ამოძირკვა.

ზუსტად ასევე, მიწის შემოყრისა, მარგვლისა და ნიადაგის ბუდობრივი დამუშავებისათვის ხმარებული თოხის ნაირსახეობა თავის ახსნას პოულობის მიერ შესრულებული ფუნქციის მრავალგვარობაში. მაგალითად: ადგილებ-

ში, სადაც წინათ განაპირა ტყე იყო და შემდეგ სიმინდი დაითესა, სიმინდის გასამარგლავად იხმარებოდა სპეციალური ფორმის თოხი, რომელსაც ჰქონდა მაღალი, გვერდზე გაშვებული ფრთები. ამ ფრთა-მხარის დანიშნულება იყო ფართო რადიუსით სარეველათა ფესვების დაჭრა, რომლებიც ჭალის სპეციალური პირობებში განვიად იზრდებოდა. იგივე უნდა ითქვას საბუნდავი თოხის შესახებაც, რომელსაც ბასრი პირი და განიერი მხრები აქვს. იგი ბოსტანში მცენარეთა დასარგავადაა გამოსადეგი.

ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ დასავლეთ საქართველოში თოხი ყველაზე აუცილებელი იარაღია, მისი გამოყენების აუცილებლობა კი განსაკუთრებით იგრძნობა ახოს აღების დროს, რაც ეთნოგრაფიულის გარდა არქეოლოგიური მასალებითა და წერილობითი წყაროების მიხედვითაც დასტურდება.

ახოს აღებასთან და საერთოდ მიწის დამუშავებასთან დაკავშირებით თოხის ფართო გამოყენებაზე მიგვითითებენ რუსი ელჩები და რუსი მოგზაური აკადემიკოსები XVII—XVIII სს-ში.

რუსეთის ელჩი სამეგრელოში თევდორე ელჩინი წერს: „ხორბალს ხნავენ კაპანიცებით (Капаницами). მთებსა და ფერდობებში ქვისა და ტყისაგან ასუფთავებენ ნიადაგს“.

ამავე პერიოდის რუსეთის სხვა ელჩები მიუთითებენ, რომ იმერეთსა და სამეგრელოში საყანებს გუთნებითა და „კოპირიალკებით“ (Копырялками) ხნავენ.

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რუსული სახელწოდებანი „კაპანიცა“ და „კოპირიალკა“ სხვას არას ნიშნავს, თუ არა ქართულ თოხს. იმერეთში თოხის კულტურის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს დასავლეთ საქართველოში 1772 წლის მოგზაურობის შემდეგ აკად. ი. გიულდენშტეტი.

თუ საუკუნეთა სიღრმეში ჩავიხედავთ XI ს-ში თოხის კულტის არსებობაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამავე დროის ავტორის გიორგი მთაწმინდელის სიტყვებით, რომელიც მიუთითებს, რომ ბულგარელთა შემოსევების დროს შექმნილი ძნელბედობის შედეგად ათონის ქართულ მონასტერში მიწას უმეტესად მთებში და ისიც მხოლოდ თოხით ამუშავებდნენ. ამასვე აღნიშნავს მხატვრულად X ს-ის მწერალი გიორგი მერჩულე თხზულებაში „გრიგოლ ხანათელის ცხოვრება“.

ასევე ძვირფასი ცნობები აქვს პროკოფი კესარიელს, რომელიც საკმარისად დაწვრილებით აღწერს მემინდვრეობას მისდროინდელ ლაზეთში (შორაპნის რაიონი, ზემო იმერეთი).

კიდევ უფრო შორს, საუკუნეთა სიღრმეში მივყავართ არქეოლოგიურ მასალებს. განათხარი ინვენტარი და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი განძი ავლენს ახოს აღების სისტემის არსებობას მისთვის დამახასიათებელი წარმოების წამყვანი იარაღებით: თოხებით, თოხისებური თოხ-წერაქვებით, ტყის ცულით, ხვეწით, წალდებით და სხვა.

კოლხეთის ბრინჯაოს თოხების სპეციფიკურობაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ კოლხურ ბრინჯაოს ნივთებს პარალელები მოეძებნებათ ყობანას სინქრონულ საგნებში, მაგრამ მათში ანალოგებს ვერ ნახულობენ მხოლოდ ბრინჯაოს თოხებისათვის. ეს გარემოება შეიძლება ახსნილ იქნეს მხოლოდ

7 С. Белокуров, Материалы для русской истории, М., 1888, с. 337.

კოლხეთის მეურნეობის სპეციფიკურობით, სადაც ხშირი ტყის სიმრავლემ განაპირობა ტყის ტიპის მიწისმოქმედების წამყვანი როლი მეურნეობაში.

თუ კოლხეთის ბრინჯაოს თოხ-წერაქვეები წინა აზიის ქვეყნებში პოულობს ბარალელებს, თოხების, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ანალოგებს ვერსად ვნახულობთ. ისინი ძველი კოლხეთის სპეციფიკას წარმოადგენენ. ეს იარაღები, რომ ტყის ახოს ალების ტიპის მიწისმოქმედებას ეკუთვნიან, მტკიცდება თანმხლები საგნებით, კოლხეთში განათხარ ბრინჯაოს თოხებს ხშირად თან ახლავს დიდი ნაჯახები და სეგმენტისებური იარაღი, რომლის დანიშნულების ახსნას დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ დრომდე გავრცელებულ რკინის ინსტრუმენტში ვპოულობთ. ესაა ხის ასაჭრელად ხმარებული ხვეწი. ეთნოგრაფიულ ყოფაში ანალოგები მოეპოვება არქეოლოგიურ ბრინჯაოს და რკინის ტყის ნაჯახებსაც.

ამგვარად, ახოს ალებას თან ახლავს მისთვის შესაფერისი და მიწის დამუშავების ამ სისტემისთვის ნიშანდობლივი იარაღების მოხმარება, რაც დასტურდება არქეოლოგიური, წერილობითი და მეტად მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემებით.

1960 წ.

ეთნოგრაფიული მასალები ტერასული მიწათმოქმედებისათვის
ჯავახეთში

ერთ ჩვენს აღრინდელ შრომაში, რომელიც ქსნის ხეობის მიწათმოქმედების იარაღებს ეხებოდა, ვწერდით, რომ ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული. სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე), მთისძირის (დაახლოებით ლარგვისამდე) და მთის ზოლისა (ლარგვისის ზემოთ). მეურნეობის ამ სახეებთან შეხამებით წამყვანი სახვნელი იარაღებიც გარკვეული ტიპისანი არიან ცალკეულ ზოლში: მთის ზოლში მთის გუთანი ა გაბატონებული, მთისძირში — ო რ ხ ე ლ ა გ უ თ ა ნ ი, ხოლო ბარში — ბ ა რ უ ლ ი ა ნ უ დ ი დ ი გ უ თ ა ნ ი¹.

ქსნის ხეობისთვის დადგენილი მეურნეობის ეს სამი ძირითადი სახეობა მეტნაკლებად მთელ საქართველოზე შეიძლება გავრცელდეს და ამდენად ზოგად კლასიფიკაციად გამოდგეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კლასიფიკაციამ გამართლება ჰპოვა არა მარტო სახვნელი იარაღების მხრივ, არამედ სატრანსპორტო საშუალებების მხრივაც. მაგალითად, მ. გეგეშიძემ დაადგინა, რომ მთისწელის მეურნეობისათვის შეფარდებული იყო მ ა რ ხ ი ლ ი, მთისძირისათვის — ბ ო ლ ო თ რ ი ა და ა ჩ ა ჩ ა - უ რ ე მ ი, ხოლო ბარისათვის — ბ ა რ უ ლ ი უ რ ე მ ი². ასევე ითქმას ქართველი ხალხის კულტურის სხვა ელემენტებზეც: დასახლება, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი და სხვა. მეგრულში სამი ზოლის მეურნეობას აღმნიშვნელი ტერმინოლოგია მკვიდრადა ჩამოყალიბებული. სახელდობა, ჩვენ აქ გვაქვს რ ზ ე ნ ი || ტ უ ბ ე || ტ ო ვ ბ ე რ ა, ლ ა კ ა და და გ ო ლ ა³.

მაგრამ თუ შეიძლება დადგენილად მივიჩნიოთ სამი ძირითადი ზოლი ჩვენს ხალხურ მეურნეობაში, ისიც მართებულია ვიფიქროთ, რომ ამა თუ იმ დადგენილ ძირითად ზოლს შეიძლება ქვესახის ზოლიც აღმოაჩნდეს, რომელიც დახასიათდება მისთვის ნიშანდობლივი თავისებურებით.

ერთ ასეთ ნიშანდობლივ თავისებურებას მთისძირის ზოლის ტერასული მიწისმოქმედება წარმოადგენს.

ამჟამად მიწისმოქმედების ეს სახეობა მკაფიო ნიშნებით შემონახულაა ჯავახეთსა და მესხეთში, თუმცა, როგორც ეს სათანადო ნიშნების მიხედვით.

¹ გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გუთანი, ენიშვის მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940; გვ. 436.

² მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, ტ. I, თბ., 1956.

³ И. К и ш и д з е. Грамматика мингрельского (и иверского) языка, с хрестоматией и словарём, С.—П., 1914.

ირკვევა, მას ადრე გავრცელების მეტი არე არ ჰქონია საქართველოში. მივმართოთ ფაქტებს⁴:

ხიზაბავრელი მიხეილ ვასილის ძე ზურაბაშვილის თქმით: „ძველათ ტერასები ჰქონდათ განსაკუთრებით ბევრი ხიზაბავრასა და საროში. ამ ტერასებს დარიჯები ჰქვია. დარიჯი დარიჯზეა მიმდგარი ქვის კედლებით. გვერდა დაყოფილია ბაქნებით, რომ, ჯერ ერთი, წყალმა არ ჩამორეცხოს, მეორეც, რომ კარგად მოირწყოს; ყველა ტერასი. უნდა მორწყულიყო კი აუცილებლად. ტერასებზე მიწა ძალიან კარგად იყო დამუშავებული, გაწმენდილი. აქ საერთოდ ქვიანი ადგილია, მაგრამ ტერასები ისე იყო ხოლმე გაწმენდილი, რომ ერთ მეტრზეც რომ ჩასულიყავი, უბრალო ქვასაც ვერ ნახავდი. ეს ტერასები ირწყოდა ერთი წყლით. წყალი ზემოდან იყო წამოყვანილი, ამას რუ ერქვა. სადინარი კარგად ჰქონდა მოწყობილი, დაღმართზე, ძირსაც და გვერდებზეც ქვები ჰქონდა მოწყობილი, წყალს მიწა რომ არ დაეწია.

ესლა რადგან წყალი საერთოდ ნაკლებია და მოსარწყავად არ კმარა, ტერასები მიტოვებული აქვთ.

ტერასებზე მარტო ვენახები იყო მოწყობილი, საერთოდ ვენახს აქ ხეხილის ბაღებს ვეტყვით, შეიძლება ვაზიც არ იყოს.

ტერასებზე პური და ქერი ნაკლებად ითესებოდა: თუ იყო ხოლმე დათესვა, სადმე თავისუფალ ადგილზე ქერს დათესავდნენ. პურსა და ქერს ტერასებზე იმიტომ კი არ თესავდნენ, რომ ადგილი სხვა არ იყო. თუ აქ დახრამავდა და ჩამორეცხავდა (ეს რამდენიმე წელიწადში ერთხელ მოხდებოდა). მაშინ ის გლეხი სხვაგან აიღებდა მიწას, გატეხავდა ყამირს. ჩემს მოსწრებაში ორჯერ გატეხეს მთაში ასეთი ყამირი.

წინათ უფრო მეტად ხეხილის ბაღები ირწყოდა ტერასებზე, ყანები კი შედარებით ნაკლებად. რუზე გასვლა და გზის წესრიგში მოყვანა ისეთი ვალდებულება იყო, რომელსაც გლეხი სრული მოვალეობით ასრულებდა.

მორწყვა დროის ზუსტი დაცვით იცოდნენ; რიგი იყო, იცავდნენ კარგად და დროზე ხდებოდა მორწყვა.

ეს ტერასები კარგი რამეა, რომ შეგვეძლოს ესლა მაგათი გამოყენება. წინათ წყალი როცა საკმარისი იყო, ყველა გლეხს ჰქონდა თავისი ტერასი, ზედ ბევრი ხილი მოჰყავდა.

დარიჯა გვერდო ადგილში კეთდება, რომ ადგილს დაქანება აღარ ჰქონდეს. ამ ადგილს უნდა გამოზელვა. რომ მოითხრება, ქვა უნდა გამოვყაროთ, კარგად უნდა გამოვაცალოთ ქვა და გავასუფთაოთ მიწა — ეს არის გამოზელვა. ამოღებულ ქვას, რაც მსხვილია, კედელზე დავდებდით. დარიჯის გასაკეთებლად საჭირო იყო ბარი, თოხი, წერაქვი, ამეებს დემურჩი (მჭედელი) გავიკეთებდა.

დარიჯას გაკეთებას თავისი წესი ჰქონდა. ერთი თავი მაღალი უნდა დაგვეჭირა, რომ მორწყვა შესაძლებელი ყოფილიყო, წყალი კარგად მისწვდებოდა. წყალი თეთრობ-ქობარეთიდან გამოგვყავდა, აქა-იქიდან გამოდის, გროვდება. აქედან რუ იყო გაკეთებული და მოდიოდა. დაბლა რომ ჩამოლაგდებოდა ეს წყაროს წყლები და ხევები, მერე იქიდან რუს წამოუყვანდით, რომელიც

⁴ ქვემოთ მოტანილი მასალები ჩაწერილია 1947 წ. ზაფხულში ადგილზე ისტ. მეც. კანდ. მ. გეგეშიძის მიერ. მასალით სარგებლობისათვის მ. გეგეშიძეს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ხელით იყო გაკეთებული. გზადაგზა, სადაც საჭირო იყო, რუსხმულებიც იყო მოწყობილი.

აქ, ჩვენთან, ქვიანი ადგილია და როცა თხრი, დიდრონი ქვებიც ამოდან, ამას ყიშლის ქვეას ვეძახით. მიწა რომ ქვევით არ მიწვეს, ამ ქვეებს დავაწყობთ ფოტოროსთან. ქვემოდან ერთიმეორეზე ლავდება უტალახოდ; ტალახი რად უნდა, იქ ადამიანი ხომ არ ცხოვრობს.

ღარიჯის სიგრძე სხვადასხვანაირი შეიძლება ყოფილიყო, სივანე შეიძლება 6 მეტრიც ყოფილიყო. ზოგჯერ პატარა ადგილი რჩებოდა, ამას ბაქანი ერქვა, დიდ სწორეს — ღარიჯი. ამ ფართობზე ბალ-ვენახები ვიცოდით, პურსა და ქერს იშვიათად ვთესავდით. ბევრი იყო საყანეები, ესენი კი ვენახისათვის გვინდოდა (ვენახი ხეხილის ბაღი იყო ვაზით).

ღარიჯები ამა თუ იმ მოსახლეს შეიძლება ერთად ჰქონოდა. ზოგი კი ცალ-ცალკეა. ღარიჯის მოწყობას ცოდნა უნდოდა, კარგად უნდა მოგვესწორებინა მიწა; წინასწარ კარგად უნდა გამოგვეზილა, დაქანება უნდა მიგვეცა. მთავარი იყო კედლის გაკეთება. მიწა რომ გამოითხრებოდა (წინა მხრიდან მიყოლებით დათხრა რომ მოთავდებოდა) მივადგებოდით მიწის კედელს, რასაც ფოტოროს ვეძახდით. ფოტორო (ფლატე, საბათი) სუსტი იყო და რომ არ ჩამოშლილიყო, ან არ ჩამოწვენილიყო, მას გამაგრება სჭირდებოდა. გამაგრება ხდებოდა ქვის კედლებით, რომლებსაც ფოტოროებს მოადგამდნენ ხოლმე. როცა კედელს მოადგამდნენ, ამ კედლის თავზე ახლა მეორე ღარიჯის მოწყობას დაიწყებდნენ, წინასწარ კი ისევ მიწა უნდა გამოეთხარათ. ღარიჯის ქვის კედლს აშენება, მართალია, ისე ძნელი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, სრული ცოდნა სჭირდებოდა იმისა, თუ რა სიმაღლემდე შეიძლება აშენდეს კედელი. რაც უფრო დიდი იყო გვერდა და დიდი დაქანება ჰქონდა, იმდენად მაღალი კედელი უნდა აშენებულიყო, მაგრამ სულ ძალიან მაღალს ხომ ვერ ავაშენებდით. ასეთი კედელი ადრე თუ მალე გადმოწვებოდა. მაღალი ქვის კედელი რომ არ გადმოშლილიყო, ვხმარობდით ასეთ ხერხს: მიწას რომ გამოვთხრიდით და ზედ ღარიჯის მოსაწყობ ადგილამდე ქვის კედლის აშენებას დავიწყებდით, თუ ძალიან მაღალი უნდა გამოსულიყო კედელი, ამ კედლის აგებას ასე, მეტრამეტრნახევრის სიმაღლეზე შევაჩერებდით, ამოყვანილი კედლის ზევით დარჩენილ მიწას კიდევ გამოვთხრიდით და უკან დავწვევდით, ხოლო აქ ახალი კედლის აშენებას დავიწყებდით. გამოდიოდა, რომ ერთი დიდი კედელი ორად იყო გაყოფილი. ასეთი კედელი დიდი აღარ გამოდიოდა და არც დასანგრევად იყო საშიში. ამ ორად გაყოფილი კედლის შუა გაჩენილ ადგილს თაროს ვეძახდით“.

მკაფიო მასალას იძლევა სტეფანე ნიკოლოზის ძე კალაიჯაშვილის მონათხრობიც: „ჩვენ ალაგში ხეხილი უწყლოდ არ ივარგებს, თუ არ მოირწყა, გადაიწყება. ხეხილის ვენახები მონლოლების შემდეგ არის გაკეთებული. ჩვენთან ვენახები (ბაღები) ფერდა ადგილებზე კეთდებოდა, სადაც წყალი მიუღებოდა. გვერდს გამოსთხრიდნენ რამდენიმე ნაბიჯზე, გაავაკებდნენ, ამას შემდეგ მეორე, სხვა ღარიჯის გაკეთებას იწყებდნენ ამის თავზე. ღარიჯის მიწას კარგად უნდოდა გამოზელვა — ქვებისგან გაწმენდა, გამოფხვინა. ქვებს ამოარჩევდნენ და დარჩებოდა სუფთა მიწა. ქვებისგან იწმინდებოდა ერთ მეტრზე, ბევრი უფრო ღრმად მიდიოდა, ერთ საყენზეც, ეს მიწა რომ დაჯდებოდა, დარჩებოდა ერთი მეტრის სიღრმის კაი მიწა. ქვა რომ გამოვიდოდა, დიდ ქვებს ერთად შევაყოლებდით, რაც გამოუსადეგარი წვრილი ქვა იყო, იმას კიდევ

ცალკე მოვაგროვებდით. დარიჯის კედლის ასაშენებლად დიდ ქვებს ვიყენებდით. მაგარ ნიადაგზე ამ დიდი ქვებით დავაყენებდით კედელს, სულ დაბლა ყველაზე დიდი ქვები უნდა დაგვეწყო, სიმაღლეში კი თანდათან შეიძლებოდა შედარებით პატარა ზომის ქვა გვეხმარა.

დარიჯებს იმიტომ ვაკეთებდით, რომ ვაკე ადგილი გავეკეთებინა, სწორა ყოფილიყო, რომ წყალი ჩასდგომოდა. წყალი, პირიქით, შიგნით უნდა წასულიყო, რომ კედელთან საქმე არ ჰქონოდა.

დარიჯისთვის რომ მიწას გამოვთხრიდით, ვიტყოდით: ფერდობი გამოვკაფეთო. თუ მაღალი ფერდობი იყო, ზოგიერთ ალავას საყენამდე კედელი სჭირდებოდა, ვაკეში კი დიდი კედლები არ იყო საჭირო. დარიჯის კედელი ძალიან მაღალი არ უნდა აშენებულყო, რომ არ გადმონგრეულიყო და სხვა დარიჯებიც არ დაეფარა. თუ ფოტორო მაღალი იყო და დიდი კედელი უნდა აშენებულყო, მაშინ ეს კედელი ორად უნდა გაყოფილიყო, კედელზე სხვა კედელი უნდა აშენებულყო: ჯერ ძირიდან აპყვებოდნენ ნახევრამდე, ერთ-ორ მეტრს რომ მიალწევდა ქვის კედელი, ფოტოროს ერთ-ორ ნაბიჯზე კიდევ შეთხრიდნენ და გამოთხრილი მიწის ძირიდან სხვა კედელს ააშენებდნენ. ეს ორი კედელი შუაში ერთმანეთს იყო შეცდენილი, ამ ორი კედლის შუა სწორ ადგილას მიწას ვყრიდით. მაღალ კედლებს, რომლებიც ასე იყო აშენებულა, თ ა რ ო ი ა ნ კ ე დ ლ ე ბ ს ე ძ ა ხ დ ნ ე ნ .

დარიჯები ერთიმეორეზე რამდენიმე შეიძლებოდა ყოფილიყო. ყველა დარიჯის მიწა კარგად უნდა გაწმენდილიყო. იტყოდნენ ხოლმე: „სამი დარიჯი გამოვზილეო“, „ოთხი დარიჯი გამოვზილეო“ და სხვ.

დარიჯისთვის გასუფთავებული მიწა ხეხილისათვის ძალიან სარგო იყო. დარიჯებში პატივი და ცხვრის ნაკელი შეგვექონდა, გაზაფხულზე დავბარავდით და ყოველთვის ვაფხვიერებდით. ერთნაირი ბალახი იყო — ქ ა უ კ ა ს ვ ე ძ ა ხ დ ი თ , ი მ ა ს ხ ე ლ ი თ გამოვგლიჯავდით ხოლმე, რომ ყურძნისათვის ხელი არ შეეშალა.

დარიჯის მიწა კარგად როცა იყო გაწმენდილი და გაფხვიერებული, შავ ვაზს ჩაეაწვენდით, ამოეუყოფდით რქას. ხშირად, როცა კედელი მაღალი იყო, ამ კედელში გამოვყოფინებდით ვაზის რქას, ტოტებს და იგი დარიჯის კედელს მოეფინებოდა, ზედ დამწიფდებოდა, ჭ ი გ ო (ა ქ ა უ რ ა დ ს ა რ ო) ა ლ ა რ ჭ ი რ დ ე ბ ო დ ა ნ .

ვაზი როცა გაიშლებოდა და აქეთ-იქით წავიდოდა, დარიჯის კედელი ალარ მოჩანდა, შორიანლოდან რომ შეგეხედა. სულ სწორი იყო, ერთიანად გამწვანებული. აქ სხვადასხვა ჯიშის ვაზი ხარობდა, უფრო მეტად ხ ა რ ი ს თ ვ ა ლ ა , თ ი თ ა , შ ა ვ ი , ც ხ ე ნ ი ს ძ უ ძ უ , უ კ უ რ კ ო . ს ა ფ ე რ ა ვ ო .

ზოგჯერ ვაზს ჭერამზე და ატამზე ამოიყვანდნენ. როცა ავიყვანდით და გადიდდებოდა, ატამს ან ჭერამს შ ე მ ო ვ უ ქ ე რ ქ ა ვ დ ი თ , რომ გავგეხმო და ვაზს ხელი არ შეშლოდა.

ვენახში (ხეხილში) წყალი შემოდგომამდე იყო და ხილი კარგადაც მწიფდებოდა. ეს ჩვენი ადგილები, მიწა იმნაირია, რომ თუ წყალი იქნა. ყველაფერი იქნება. წყალი წინათ ბევრი იყო, მთებიდან მოგვდიოდა. ლექსში უთქვამთ: „ხიზბავრა მშვენიერი — წინ მინდორი, უკან ტყეო“. უკან მთიდან და

5 ამგვარადაა სოფელ სამშვილდეშიც.

ტყიდან წამოსული წყალი იმდენი იყო, რომ სოფელს დაბლა, სწორზე ღული და ჭალა იყო.

ხიზაბავრას სარწყავი წყალი ჭობარეთიდან მოდის. ჭობარეთის სათავეში ერთი დიდი წყარო ამოდის, ადგილი ჭაობიანია. იმ ადგილის მახლობლად დარნებში — მაღლოები ბევრია. სოფლები წყალს ამ სათავედან ღებულავენ, დიდი ქვა იყო გახვრეტილი და იმათი წყალი იქ გადიოდა. ჩვენი წყალი ჭობარეთიდან ზედაველის რუით მოდიოდა. დიდი რუ იყო, გზაში ერთ-ორ ალაგას რუსხმულიც ჰქონდა მოწყობილი. ისე იყო წამოყვანილი, რომ წყალი ერთბაშად არ გამოსულიყო, გეზი კარგად ჰქონდა მოძებნილი. სოფელთან რომ მოდიოდა ეს წყალი, იქიდან სხვადასხვანაირი გაბრუნდებოდა, უფრო პატარა რუებით. ამ რუებს ერქვა ვარანტის რუ, ხიზების რუ, ოსპანაურების რუ, სისხოანების რუ, საკაკაბეების რუ. ვარანტის წყლის სათავეა ის ადგილი, საიდანაც ჩვენთვის გავუვდებდით ხოლმე წყალს. აქ ქვაა და მიწას ვხმარობთ სანაკედლოდ. ჭორტი იყო დასმული (ხე ან ქვა), რომ ჩრდილით გაგვეგო ვის რამდენ ხანს მოერწყო, ასე იყო ვიდრე საათები გაჩნდებოდა. მერუეები გვჭირდებოდა, რომ დამალულებსა და ალისტნელებს წყალი არ მოეწყვიტათ.

წყალი მთლიანად ვენახების მოსარწყავად გვჭირდებოდა, უფრო ნაკლებად ყანების მოსარწყავად. მხოლოდ კარტოფილს არ ვრწყავდით. ცოტა ზეითილი იყო აიწიო ხერთვის-თმოგვთან, იქ ყანები ზოგან არაა, ბევრგან ბაქნებად აქვთ მოწყობილი.

ჩვენთან, ხიზაბავრაში, სოფლის ზემოთ, ძველთაგან იყო ურწყავი ადგილები და ახლაც არის. რომ დავასვენებდით და გავთერძავდით ამ ადგილებს, მეორე წელიწადს იმდენი პური მოდიოდა, რომ ნარწყავზე მეტი. მიწა უნდა გადაიწვას, შემდეგ ერთ წელიწადს დაასვენო, რომ კარგი მოსავალი მოგვეცეს.

ჩვენთან წყალი დარიჯთან მიგვყავდა. ეს წყალი დარიჯების გვერდით ჩამოდიოდა. სადინარი ჩამოკიდებული იყო, ქვა ჰქონდა დაგებული ძირზე და გვერდზე, რომ წყალს არ გადაეჰამა ეს ადგილები. დარიჯებს სათითაოდ ვრწყავდით. თუ გინდა დაბლიდან შემოიყვებოდით, თუნდა ზემოდან; უფრო კარგი იყო ზემოდან დაწყება. დარიჯის რწყვის დროს ნაკაფს შეეკრავდით, გვერდზე რომ ჩამოდიოდა წყალი, ჩაკეტავდით ქვითა და ბელტით და დარიჯში შეეშვებდით. მორწყვა რომ მოთავდებოდა, ახლა მეორე დარიჯის პირდაპირ შეეკრავდით ნაკადს, პირველში კი გახსნილი იყო“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის საყანეების, ვენახების ე. ი. ბაღებისა და ტყეების სახელებია: დაწყობილები, ხმელხევეები, სისხლიანები, ხერთვისი გზიები, ვარანტები, დედოფლები, მაშაურები, კლდეწითლები; ზოდე ნაჩეხი, წვერი, წითლიანები, ვერხვნალები, ლარები, კეხიები, კოდის წყაროები, საბურთალოები, ბეჟილარები, სახიზრები, საბნელო, ორმანები, ჭარტალა ძირები, ჯანათყანები, მარალები (საყანეები); კაკაური, დარიჯები, ნამარნები, ბატონის კორდები, საბარყე, ყვავიანი, გელათხარძლები, მუნის კორდები, ქალები (ბაღები); თბოლეთი ტყე, ჩრდილები, თაფლა ჩრდილი, დამალის ტყე, ჩონჩხარელა, ფიქლული, ჭობარეთი, თამალოდლი; დუშმეშა; ტაიტა (ტყეები)“.

არანაკლებ საყურადღებო ცნობებია შეგროვილი სოფ. ჭაჭკარში:

„გვერდა ადგილზე თუ ხის ჩაყრა უნდათ (ხეს უნდა წყალი, იქ ხე არ

გაჩერდება უწყლოდ, გარდა ამისა, ქვა გორამს), გვერდა უნდა მოითხაროს და გაკეთდეს ბ ა ქ ა ნ ი. ბაქნები ერთიმეორეზე არი ხოლმე, ამას დ უ ქ ნ ე ბ ს ვ ე - ტყვით. ერთიმეორეს ეუბნებოდნენ ხოლმე: და დ უ ქ ნ ე თ. დუქანი თათრულად და რ ი ფ ი ა, ქართულად დუქანი, ჩვენ ქვემოთ, ასპინძისაკენ, დარიფს ეტყვიან.

დუქნების გაკეთებას ცოდნა უნდა, გააჩნია ადგილის მდებარეობას, რა-ნაირი სიმაღლეა. ყველაზე ვიწრო დუქანი შეიძლება ორი მეტრიც იყოს. ძალიან გვერდზე დუქნის კედელიც მაღალი გამოდის, შეიძლება სამ მეტრამდე იყოს — ორ კედლად. დუქნის კედელს ქვა დიდი სჭირდება, რომ მაგარი მოვიდეს და არ ჩამოწყვეს.

თუ ქვიანი ალაგია, მოთხრის დროს ლომი და წერაქვია საჭირო. დუქნებს იმიტომ ვაკეთებდით, რომ, ჯერ ერთი, კარგად მოგვერწყა ხეხილი, აქ მშრალი ადგილია და მორწყვა აუცილებელია. კვირაში ერთხელ მაინც უნდა მოგვერწყა. გარდა ამისა, დუქანი საჭიროა, სწორე რთა, ხეხილის ნაყოფი რომ გადმოცვივდება, ადგილობრივ დარჩეს, არ დაგორდეს; კიდე იმიტომ არის საჭირო, რომ მიწა არ გარეცხოს ღვარებმა. მართალია, ღვარები დუქნებზედაც საშიშია, მაგრამ არა იმდენად. ბაქან-ბაქან დაჭრილი ფერდა ამნელებს ღვარს, გვერდზე კი ძალიან ცუდია. სეტყვა როცაა იმ დროს იცის ღვარება.

დუქნებთან წყალი მოგვყავდა ზემოდან. წყალს ჯერ ზედა დუქანში გადმოვიყვანდით, მერე თანდათან ქვედა დუქნებში, მიწას წყალი რომ არ გაეჭრა და არ დაეხევებინა, რუს ბრტყელ ქვებს მოუწყობდნენ — ფ ი ქ ლ ე ბ ი ერ ქ ვ ა. წყალს იქ ქვებზე შეაგდებდნენ და იდენდა. სანამ წყალი გვერდში მოდას, დასაქანი აქ, იქ უნდა ფიქლები, აქვე იშოვება.

დუქანში რო წყალს შეუშვებ, კედელთან საქმე არ უნდა ჰქონდეს. თუ კედელზე გადმოვიდა წყალი, კედელს ბერავს და ანგრევს.

დუქნის მიწას კარგი მოვლა უნდა, შეგვქონდა საქონლის დამწვარი პატევი, ვბარამდით, ვაფხვიერებდით. აქ მარტო ხელილი ყო, ვენახი არ ვიცოდით. ხეხილი ხარობდა: ვაშლი, მსხალი, ჭანჭური, ქლიავი, ბალი, ალუბალი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი...

დუქანში მანამდე ხე შეიზრდება და სულ დაჩრდილამს, იქ ბოსტნეულსაც თესვენ. როცა ხე გაიზრდება, ბოსტნეული აღარ ივარგებს. რწყვაშიც ხელის შემშლელია. მორწყვაში ს ი რ ა ო ბ ა (ს ი რ ა — რ ი ვ ი) ვიცოდით. პური და ქერი მაღლა მინდვრებზე ითესებოდა. ყველა მიწა ურწყავი იყო. ჯავახეთში პურეული არსად არ ირწყოდა. აქ იყო დიკა, ქერი, წითელი დოლი, ჭვავის დოლი (ჭვავის დოლი ლურჯია), ოსპი მახნია (პურეული), ყობლიჯა (საკორკოტე იყო, პურად არ გამოდგებოდა). იყო სელი სამნაირი — ბ რ ტ ყ ე ლ ი, წ ი წ მ ა ტ ი, შ ა ლ გ ი.

შალგი სელი იყო შავი, წიწმატი სელი ყვითელი, ბრტყელი სელი უკეთესი იყო. სელის ზეთს ვხდიდით. სახდელი იყო დიდი ქვა — გ ე ლ ა ზ ი. ძველად კაკლის ერბოც უხდიათ. სელის ზეთი ზეთი იყო, კაკლისა კი ერბო. ცხვებოდა ნამცხვრები: ყ ა თ მ ა რ ი — თხელი ლავაში; იყო მეორე ნამცხვარი: უხლივით გაიშლებოდა ძირის უ ხ ა - ც ო მ ი, (ფე შ ი უ მ ზ ე — სუფრაზე გააგდებდნენ), მერე კიდევ გაშლიდნენ ცოტა დამცრო უხას და დაასხამდნენ ზეთს, კიდევ დაადებდნენ უხას, კიდევ ზეთს. 12—14 უხა რომ შესრულდებოდა, ზედა უხას დააფენდნენ. ამას აღარ უნდოდა ზეთი. ჩადებდნენ ს ა ჯ ე შ ი (საჯე თუჯის ტაფაა), ზემოდან დააფარებდნენ სახურავს, დააყრიდნენ ცეცხლს, ქვემოდანაც ცეცხლი ჰქონდა. კარგი საქმელი ცხვებოდა.

ცხვებოდა აგრეთვე ბიზი ერბოსა და ზეთში. ბიშის ტაფა ცალკე ჰქონდათ. ცხვებოდა ნამცხვარი ლუხუმი მოზელილი პურის ცომისაგან. ცომის სორსლებს მოსჭრიდნენ და ცალ-ცალკე აწყობდნენ ტაფაში. აქ (ს. ჭაჭკარი) მთავარი იყო ქერი, დიკა და დოლი (ჭვავი-დოლი). წითელი დოლი უფრო იშვიათი იყო. ის ბარის სოფლებიდან ამოჰქონდათ (ასპინძა, ახალციხე); ჭვავი-დოლის ფქვილი ძალიან ღონიერია.

გვერდზე გაკეთებული დუქნები ახლო-მახლოში სხვაგანაც ბევრია: კარტიკაში, ბავრა, ხანდო, თოკი, ხორხი, საბუხეები (გოგაშენი, ქვეშე). საბუხეებში ბევრი დუქანი იყო და ვენახიც ბევრი. ზემოდან რომ გადმოიხედამდი, ისე ეყარა შავი ყურძენი, როგორც კამეჩები. ერთხელ ღვარები წამოსულა და შავი ყურძნით მტკვარი შეღებილა.

აქ იყო სამგვარი შავი ყურძენი, აგრეთვე ხარისთვალა, ცხენიძუძუ და სხვ. სხვა სოფლების დუქნებში ჩვენ ახლოში ვენახი არ იყო, ან ნაკლებ. ჩვენ ახლოში ზოგან ისეთი ადგილიც იყო ერთნაირად მოფარებული, რომ ყანებსაც რწყავდნენ. ყანები კი დუქნებად იყო მოწყობილი, თუმცა არა ისე გოდოლ-გოდოლ, როგორც ხეხილისთვის. ზოგან ჰქონდათ დაბალზე ქვის კედლები. ეს გვერდზე ადამიანის გამოთხრილი კი არა, მუშაობაში, ხენა-თესვის დროს მოსწორებული დუქნები იყო. ამისთანა ადგილებია ვერთაყანა, წონდა“.

აქვე დავძენთ, რომ სოფ. ჭაჭკარში საყანე ადგილებს ეწოდებოდა: კოჭიანთ ჭალა, ბანდის თავი, ვარძი კარი, ჭანჭახი, ვენახები; ჯაჯრული; ქარცფები: ვეტრეული, წალკოტი, სეფიები, უნაგირაი, პილპილა, სამზეურა, ქვემო ნაწყაროები, ზემო ნაწყაროები, ახილა, მახარაული, ვარძის თავი, ბერი ხალხმეები, წითელყანგრები, ჯირით-მეიდან, ხიშირები, დიდი ჩრდილა, სამოებიხევი, პაპაქვაბი, ნაცარა, ფურიმკერდაი, სადოლიხევი, გზაბაწარა, ღვიანიჩრდილი, კიკილაანთ მწნები, კატრის ხევები, პირღია მალარა, კენჭიყორა, ნაკალოება, პრუწუნაჭორტი, საკვირაძლო, სახიზროთავი, ღელეები, სალალატო, ბერისხევი, მოსწრობინა სერები, ფურიმკერდა (მეორე), ბნელიხევი, საყველიერო, ბატკანის უბანი, საძალოს ხევი, კინიწყარო (ზედა თმოგვისა), ქებაკარი, ხაწალაი, საგომი, ვარდის უბანი, ჯაგარაი (ამაღლება ვიცოდით), დავითის უბანი, პატარა უბანი, ჯირით მეიდან, სადაყუდებულა და საჩეხი.

საყურადღებო მასალებს შეიცავს აგრეთვე აქსიომეტრული ანაზომები რივი ტერასებისა⁶, კერძოდ აღსანიშნავია, ჭრილი ტერასებისა სოფ. ნაქალაქევში, ელიზბარ ვაჭარიძეს სახლთან. აქ ჩვენ ვხედავთ ტიპურ ტერასებს, განკუთვნილს ვენახებისათვის (აქვე საწნახელი, საქაჯავი), ხოლო ამყამად გამოყენებულია ბაღად და ბოსტნად. ნახაზზე ნაჩვენებია მიწური და ქვის კედლები. ს. გაღმა ჭაჭკარში („სანიბეგის“ ტერასზე) ტერასები გამოყენებულია ხეხილის ბაღად, თუმცა, როგორც ეს ჩანს აქ დარჩენილი საწნახელიდან. აქაც ვენახები ყოფილა. ამ ტერასებზე გამოყენებულია მსხვილი ბაზალტის ქვები, კლდის ქვა და წვრილი ქვები. ტერასის კედლები სამი სახისაა: მშრალად ნაგები დიდი ბაზალტის ქვებისგან, მშრალად ნაგები კლდის ქვისაგან და მშრალად ნაგები წვრილი ქვისაგან. გარდა მშრალად ნაგები კედლისა აქვე გვხვდება სფორული კედელი.

⁶ ანაზომები შეასრულა ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარმა ნ. გ. ჩუბინაშვილმა. (მითითებული ანაზომების მიკვლევა აღარ ხერხდება — რედ.).

ეს მასალა მასზე მიუთითებს, რომ ტერასები გამოყენებული იყო როგორც სათეს-საყანე ფართობად, ასევე ბალ-ბოსტნად, სავენახე და სახლის ასაგებ მოედნადაც.

ასეთია ის მასალა, რომელიც ჩვენს ხელთ არის და რომელიც მეცნიერული თვალსაზრისით დიდადაა ღირებული. მიუხედავად, რომ ლიტერატურაში ამ თავისებურ მიწისმოქმედებაზე ყურადღება არ მიუქცევიათ. ზემოთ მოტანილ მასალასთან ერთად ჩვენ ვითვალისწინებთ იმ მონაცემებს, რომელიც შევკრახეთ ადგილზე 1956 წ.

ზემოაღნიშნული მკაფიო სურათს იძლევა იმისას, თუ რა სახის მეურნეობას წარმოადგენს ტერასული მიწისმოქმედება. აქ, როგორც ვხედავთ, მემინდვრობა მაღალ განვითარებას აღწევს, რამდენადაც მცირე ტერიტორიას დამუშავება ინტენსიურ ხასიათს ატარებს და სადაც მრავალგვარი გონებამახვილური მეთოდია გამოყენებული: დარიჯა || დუქანი || საქვე || თარაფი, ფლტორო, ბაქანი, თორო, გამოზიდვა || გამოკაფვა, პატივი, ცხვრის ნაკელი, დაბარვა, მორწყვა, მიწური კედელი, ქვის კედელი (სამგვარი), საყანე, ბალ-ვენახი, ბოსტანი და სასახლე. ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ამ მეურნეობაში მრავალი მუშახელია ჩაბმული, რაც მოსახლეობის სიმჭიდროვესთან არის დაკავშირებული.

მესხეთ-ჯავახეთის გარდა, ტერასული მიწისმოქმედება საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება.

ტერასები ჩვენ მიერ დამოწმებული იყო ქსნის ხეობაში სოფ. ლარგვისთ: 1931 წ., სადაც ფერდაზე ნაშენი ქვის კედლები, უკვე ნაშალი, კარგად შეიმჩნეოდა. დადასტურებულია ამგვარი მიწისმოქმედება გარეკახეთში (ს. მანავი), ქვემო ქართლში (ს. სამშვილდე), შავშეთ-კლარჯეთში (ნ. მარის არაპირდაპირი ცნობების მიხედვით).

ისტორიულად ამ რიგის მეურნეობა, ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, მოწმდება IX—X სს. ტაო-კლარჯეთში „გრ. ხანძელის ცხოვრების“ მიხედვით. ამ თხზულებაში არაერთგზის მოხსენიებული ტერმინი გამოკაფვა უნდა იქნეს ისევე გაგებული, როგორც ეს იხმარება დღესაც მესხეთ-ჯავახეთში. აქ ეს ტერმინი ტერასულ მეურნეობასთანაა დაკავშირებული და გამოხელების პარალელურად იხმარება („სამი დარიჯა გამოვზილე“)⁷.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერასების აღსანიშნავად ზემოთ მოყვანილ ტერმინებს გარდა (დუქანი, დარიჯა, თარაფი) დამოწმებულია აგრეთვე სახელწოდება საქვე || საქვეიებო. საგულისხმოა, რომ ჯავახეთში დარიჯების, საქვეების დამზადებას გოდოლ-გოდოლ მოწყობა ეწოდება.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ მხარეში გლეხის სახლის დარბაზულ გადახურვას გოდელ-გოდელ გადახურვა ეწოდება.

საქართველოს გარეთ ტერასული მიწისმოქმედება ჩვენ გვხვდება სომხეთსა და დაღესტანში. ამ უკანასკნელში მეურნეობის ეს სახეობა მეტად თვალსაჩინოდაა მიღწეული და ფართო მასშტაბითაა წარმოდგენილი.

7 გ. მერჩულე, ცხოვრება გრ. ხანძელისა, ნ. მარის გამოცემა, ტ. VIII, აგრეთვე, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, იქვე.
8 ტერმინი მოგვაწოდა გ. ზედგენიძემ.

საქართველოსა და კავკასიის გარეთ ტერასული მიწისმოქმედება ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემულია სამხრეთ არაბეთში, ჩრდილო და აღმოსავლეთ ინდოეთში, აღმოსავლეთ აზიაში (ჩინეთი, ფილიპინები, პოლინეზია), სამხრეთ სუდანში (ლატუკა), ამერიკაში (გუატემალა) და პორტუგალიაში (ალგარკე). ამ მეურნეობის გავრცელების არეში დღემდე შემონახულია მასთან დაკავშირებული ბარის სახეობა, რომელიც მუშაობს ორი ადამიანის შემწეობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპეციფიკური ბარის ორი ძირითადი ქვესახეობაა დამოწმებული. ერთი ის ქვესახეობაა, რომელიც დაღესტანში გვხვდება, სატერფულით და სახელურიანი ტარით, ამ ბარს ერთი მუშა ტარზე ხელის მოკიდებით და სატერფულზე ფეხის დაჭირებით ბარის პირს მიწაში არჭობს, ხოლო მეორე მუშა ტარის ძირში გაყრილ თოკს ეხიდება, რათა მიეშველოს პირველ მუშას მიწის ბელტის ამოღება-გადაბრუნებაში. ბარის მეორე ქვესახეობა ასევე ორი კაცის სამუშაო იარაღია, ოღონდ მუშები ამ შემთხვევაში ბარით მიწას თიბავენ, ხნავენ.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერასული მიწისმოქმედება თავისი მორწყვის სისტემასთან ერთად ინტენსიური მეურნეობაა, წინააღმდეგ წვიმიანი მიწისმოქმედებისა, რომელიც მორწყვას არ საჭიროებს და ექსტენსიურ მეურნეობას განეკუთვნება. ამას გარდა, უძველეს ხანაში ნაყოფიერი ჭალები შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მემინდვრობაში მცირე რაოდენობით, რადგან ჭალები დიდი წყალდიდობის გამო ქაობდებოდნენ და წყლის ქვეშ ექცეოდნენ, ხოლო მთის ფერდობები ვულკანური დანაშრეებისა და ქანების გამოფიტვის გამო მაღალ მოსავალს იძლეოდნენ. ამ ზოლში მოსახლეობის სიმჭიდროვეც ამით იყო გამოწვეული.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პირუტყვებზე მუშაობის სახვნელი იარაღის წარმოშობა ტერასული მიწისმოქმედებისათვის სპეციფიკურ ბარს უნდა უკავშირდებოდეს, მაშინ ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერასული მიწისმოქმედების ყოველმხრივ შესწავლას ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. საჭიროა, დეტალურად იქნეს შესწავლილი როგორც საქართველოს, ისე დაღესტნისა და სომხეთის მოქმედი და ნაშალი ტერასული მეურნეობა. უნდა გამოვლინდეს როგორც მისი შემადგენელი ელემენტები, ასევე მისი თანმყოფი სოციალური და სულიერი კულტურის მოვლენები.

საქართველოში, სადაც სახვნელი იარაღების ნაირი სახეობა დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, ასევე ნაირი სახეობისაა ის იარაღებიც, რომლებიც ტერასული მეურნეობისთვის სპეციფიკურია.

მთიური მიწათმოქმედება

I

რევოლუციამდელ პერიოდში კავკასიის ხალხებისა და ტომების სამეურნეო ყოფის შესწავლა სპორადულ ხასიათს ატარებდა. მართალია, მეფის ხელისუფლება დროდადრო აწარმოებდა მიწათმოქმედებასა და მიწათმფლობელობის საკითხებზე მუშაობას, მაგრამ ეს მუშაობა ზედაპირული ხასიათისა იყო და საჭიროებისდაგვარად არ ასახავდა უშუალო მწარმოებლის კულტურასა და ყოფას. სავლელ მუშაობის ეფექტური მეთოდის უქონლობა ეთნოგრაფებს საშუალებას არ აძლევდა, საკმაო სისრულით აეწერათ კავკასიის ხალხების კულტურა, დაეფიქსირებინათ ხალხის ყოფისათვის სპეციფიკური ნიშნები, წარმოესახათ ხალხური ზნე-ჩვეულების არსებითი ელემენტები. ამის გამო მასალები კავკასიელთა სამეურნეო ყოფის შესახებ, მცირე გამოჩაკლისის გარდა, შემთხვევითი ხასიათისაა, დეფექტურია და არაა ყოველთვის საიმედო. ამისთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ კავკასიელი ხალხების, განსაკუთრებით კი კავკასიელი მთიელების, კულტურა და ყოფა რეაქციონერი ეთნოგრაფების მიერ მიჩნეული იყო ველურების კულტურად და ყოფად. ასეთი კლასიფიკაციის შესაბამისად გამოითქვა მოსაზრება, თითქოს კავკასია წარმოადგენს მხოლოდ იმ „დიდი ხალხების“ გასავლელ გზას, რომლებიც კავკასიაზე გავლის დროს უზიარებდნენ ადგილობრივ კულტურულ ტომებს თავიანთ მიღწევებს, ამის მხედველობაში მიღებით კავკასიის ხალხების კულტურასა და ყოფაზე მომუშავე ძველი ეთნოგრაფები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სხვების ყოველმხრივ „გავლენას“.

სხვათა შორის, კავკასიელი ხალხების კულტურა და ყოფა გაუღწეველია მათი ეთნიკური სახისა და ნაციონალური თავისებურებებისათვის დამახასიათებელი თვითმყოფი ნიშნებით, ხალხური კულტურის ეს ნიშნები თავიანთი ფესვებით უძველესი წარსულის სიღრმეში მიდიან. კავკასიის ხალხების მიერ საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ემპირიული ცოდნა, შრომითი გამოცდილება და საწარმოო რჩევები წარმოადგენენ უდიდესი ღირებულების მქონე ფაქტორებს კავკასიისა და წინა აზიის ხალხთა ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისათვის.

კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის გეგმიანი და სისტემატური შესწავლა იწყება XX ს. 20-იანი წლებიდან, რიგი პრობლემებისა, სახელდობრ მთიური მიწათმოქმედების შესწავლა, საბჭოთა ხელსუფლების პირობებში გახდა შესაბამისი რესპუბლიკური და საოლქო დაწესებულებების საქმე. ამ მხრივ აღსანიშნავია სსრკ-ის ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი (ლენინგრადი) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჩრდილოკავკასიის ასოციაცია (დონის როსტოვი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სსრკ-ის აკადემიის დაღესტნის ფილიალი და სხვა სამეცნიერო-

კვლევიითი ინსტიტუტები. ამ ხაზით ჩატარებულმა მუშაობამ გარკვეული შედეგები მოგვცა, რამაც ასახვა ჰპოვა შესატყვის ნაბეჭდ პროლექტიაში¹.

კავკასიის მთურ მიწათმოქმედებაში ჩვენ ვგულისხმობთ ამ მხარის ალპური და სუბალპური ზონის მიწათმოქმედებას. ტიპური ფორმით ის წარმოგვიდგება კავკასიის შუა წელზე. ამ რაიონის ბუნებრივ პირობებს აქვს მკვეთრად გამოხატული ზონალური ხასიათი. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ამ რაიონის სასოფლო-სამეურნეო თავისებურებათა ნაირსახეობას ზღვის დონიდან განსაზღვრული სიმაღლეების შესაბამისად, ძირითადად ასეთ სქემას მივიღებთ:

ადამიანის საცხოვრებლები და სახნავები 900-დან — 1500 მეტრამდე ზღვის დონიდან.

სათიბები და საგაზაფხულო საძოვრები 1500-დან — 2000 მეტრამდე ზღვის დონიდან.

მთის საძოვრები 2000-დან—3000 მეტრამდე ზღვის დონიდან.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ყველა უკიდურეს გადახვევას, შემდეგ ციფრებს მივიღებთ:

სახნავები 800-დან — 1000 მეტრამდე ზღვის დონიდან.

სათიბები 1000-დან — 2250 მეტრამდე ზღვის დონიდან.

მთის საძოვრები 2000-დან — 3000 მეტრამდე ზღვის დონიდან.

ეს ციფრები უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ მიახლოებითია. საკმარისაა მივუთითოთ, რომ ზემო სვანეთში ჩვენ გვაქვს ოთხი სოფლისაგან შემდგარი ერთი საზოგადოება, რომელიც ზღვის დონიდან 2240 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, თუმცა ზონების ზემოთ წარმოდგენილი განლაგება ჩვეულებრივია ნებისმიერი ქვეყნის ალპური ლანდშაფტისათვის.

მთის ზონიდან დაბლობის გამყოფი დემარკაციული ხაზის ერთ არსებობა მაჩვენებელს წარმოადგენს ყურძნის ვაზი.

XVIII საუკუნეში ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ვახუშტი ბაგრატიონმა, რომელიც საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული დაყოფის საფუძვლად ამ მაჩვენებელს იღებს. ამის გარდა, შეიძლება გავიხსენოთ მთური და ბარული მიწათმოქმედების ერთმანეთისაგან განმასხვავებელი კულტურის სხვა ელემენტებიც:

1. უღლიანი სახვნელი იარაღი—საკვეთელიანი სახვნელი იარაღი.
2. პურეულის გალეწვა საქონლის ფეხით — კევრით.
3. პურსაცხოზი ღუმელი — პურსაცხოზი თორნე.
4. ბუჭულა წისკვილი — დოლაბი² და სხვა.

¹ В. П. Христианович, Горная Ингушетия, Р/Д. 1928; Ег о ж е, Сельско-хозяйственные районы Кабардин. В., 1926; А. Н. Генко, Из культурно-исторического прошлого Ингушетии. Записки коллгии востоковедов, т. I. Л., 1930; Ег о ж е. О названиях плуга в Северо-Кавказских языках. Доклады Академии наук СССР, 1930; Л. З. А. Никольская. Е. М. Шиллинг. Горное пахотное орудие террасовых полей. С. Э., IV. 1952, М.: Г. К. Мартиросян. История Ингушетии, Ордж., 1933; გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940; მ ი ს ი ე ვ ე, რაჭული სახენელი, ენიმკის მოამბე, ტ. I, ტფ., 1937, ი. ჭ ა ე ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1930.

² გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა „მიმომხილველი“, I, 1949, თბ., გვ. 336.

შუა კავკასიის მთელ სივრცეზე განლაგებული არიან მთიელი ტომები: ჩერქეზები, ყაბარდოელები, ოსები, დიდოელები, აფხაზები, სვანები, ლეჩხუმელები, რაჭველები, მოხევეები, მთიულები, ხევსურები, ფშაველები, თუშები და სხვა. ეს ტომები ეკუთვნიან იბერიულ-კავკასიურ ჯგუფს, გარდა ინდოევროპული წარმოშობის ხალხად მიჩნეული ოსებისა. ეს ტომები უმთავრესად კავკასიის უძველესი ხალხების შთამომავლებს წარმოადგენენ: ისინი გვევლინებიან ძველი სამიწათმოქმედო კულტურის მატარებლად. მათი კულტურა ბევრ რამეში ჰომოგენურია და ხასიათდება საერთო მნიშვნელოვანი, არსებითი ელემენტებით.

მათთვის საერთო კულტურის ერთ ასეთ ელემენტთაგანს, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, წარმოადგენდა მთური მიწათმოქმედება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა დასახლებულ ხალხთაგან, რომელთაც კავკასიის მთიანეთში გარკვეული ნაკვეთი ეჭირათ, გამოიყოფოდა მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ჩამოდიოდა ბარად, იკავებდა ნაწილობრივად მთისძირა და ნაწილობრივად იმ ვაკე ადგილებს, რაც უმთავრესად მათ მიერ შიტოვებული მთის პირდაპირ მდებარეობდა³. ეს შეიძლება ითქვას როგორც თუშების, ხევსურებისა და ფშაველების, ისე ოსების, ყაბარდოელების, იმგუშების, ჩაჩნებისა და სხვათა მიმართ.

სამხრეთ კავკასიაში ასეთი გადასახლება მთიდან ბარში არა ერთბაშად ხდებოდა, არამედ თანდათანობით: მთიელები ჯერ მთისძირა ზონაში სახლდებიან, ხოლო შემდეგ ბარში, მთიულების ბარად დამკვიდრების ეს პროცესი ასახულია XVIII საუკუნის ისტორიულ ლიტერატურაში⁴.

მთის ზონიდან მოსახლეობის გასვლის საჭიროებას ქმნიდა განსაზღვრული კონკრეტული პირობები.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ხევსურეთის მოსახლეობა 150 წლის (1770—1920 წწ.) განმავლობაში სტაბილურად რჩებოდა თავის ფარგლებში — ის დაახლოებით 5000 სულს იტევდა. ამ ციფრს დაჭარბებული მოსახლეობა XIX საუკუნის მანძილზე საცხოვრებლად გადადიოდა საქართველოს დაბლობ რაიონებში — ერწოში, იორზე, შირაქში, თეთრწყაროში და სხვა. XIX საუკუნის ბოლოს გადასახლებულ ხევსურთა ოდენობა 3500—4000 სულს შეადგენდა. ამის მიხედვით ირკვევა, რომ პრიმიტიულ მეურნეობასა და მკაცრ ბუნებრივ პირობებში ხევსურეთს შეეძლო გამოეკვება მოსახლეობის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა, დანარჩენი იძულებული ხდებოდა, რომ გადასახლებულიყო. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსახლეობის ნამატისათვის საჭირო პურის შეტანა ბარიდან ყოვლად შეუძლებელი იყო, ერთი მხრით, უგზოობისა და, მეორე მხრით, საკმაო სატრანსპორტო საშუალებების უქონლობის გამო. კიდევ მეტიც, ეს გარემოება მთიულების ნაწილს აიძულებდა ზამთრობით სამუშაოდ სადმე წასულიყო („მუშაში წასვლა“); ასეთი ვითარება მოწმდება არა მარტო XIX, არამედ მის წინამავალ

³ В. П. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 628—629; გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გლთანი, ენიშვის მოამბე, ტ. VI, თბ., 1940.

⁴ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.



საუკუნეებშიც⁵. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამავე მდგომარეობამ აიძულა ისინი, მიჰყოლოდნენ მომთაბარულ მესაქონლეობას და მანვე წარმოშვა დასახლების მთური ტიპი⁶.

მთური მეურნეობის კონკრეტული ტიპის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორად წარმოგვიდგება ბუნებრივი პირობები. კავკასიის მთური მიწათმოქმედება არსებითად განისაზღვრება იმ აგროტექნიკური საშუალებების ერთობლიობის ხასიათით, რომლებიც მუშავდებოდა და გამოიყენებოდა მთაანეთის მოსახლეობის მიერ თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე.

ჩვენს მიერ მოხაზულ ამ მთიან ნაწილში მიწის ნაკვეთების სიმცირის გამო მიწათმოქმედებას მისდევნენ დიდ ტერიტორიაზე გაფანტულ შედარებით მცირე ზომის მიწის ნაკვეთებზე.

მთიან ქვეყანაში ხენისათვის საჭირო პირობების უქონლობისა და არახელსაყრელი რელიეფის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული ხდებოდა რამდენიმე ასეული და შესაძლებელია ათასი წლის განმავლობაშიც კი ბუნებისათვის გამოეგლიჯა საველე კულტურების დასათესად ცოტად თუ ბევრად ვარგისი თითოეული უჯრედი. ადამიანს წინასწარ უხდებოდა ქვებისაგან მისი გაწმენდა, ხურჯინებით ნავის გატანა და ნგრევის თავიდან აცილების მიზნით შემოღობვა-გამაგრება. ყველაფერი ეს კი შეუპოვარ შრომას საჭიროებდა. ბევრ ადგილას ჯერ კიდევ შემონახულია წარსულის ეს ძეგლები, რომელთა შორის ნაწილი თანდათანობით ნგრევის პროცესშია, ხოლო ნაწილი მოსახლეობის მიერ ყოველწლიურად გასუფთავებისა და შემოღობვის წყალობით სრული სახითაა მოღწეული. ძველი სამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების მიხედვით, ტერასულს გარდა მოწმდება რწყვის სისტემის (არხების), მინდვრების ფართო და დღეისათვის დანგრეული გზებისა და აგრეთვე ქვის კედელ-ღობურების არსებობა, რომლის დანიშნულებას შეადგენდა სათესი ნაკვეთის დაცვა დანგრევისაგან⁷.

მიწათმოქმედების ამ სისტემის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ნათესი ნაკვეთების დანაწილება საკარმიდამოდ და სამთოდ, რის გამო ნაკვეთები ახლომდებარე (კ ა რ ი ს პ ი რ ა), მთის ფერდობზე მდებარე (ფ ე რ დ ა) და შორეული (ს ა მ თ ო), ზონალობის შესაბამისად სახნავები განირჩეოდნენ დასათესი კულტურების მიხედვით: 1. ს ა ს ვ ი ლ ე ე ბ ი (Secale cereale L.), 2. ს ა ჭ ი შ კ რ ე (Avena sativ. L), 3. ს ა ჭ ე რ ე (Hordeum sativ), 4. ს ა ი ფ ქ ლ ე (Triticum vulg. vils.), ისინი განირჩეოდნენ ადგილმდებარეობის— მზიანი (მ ზ ი ს გ უ ლ ი) და ჩრდილოვანი (ჩ რ დ ი ლ ო) მხარეების მიხედვითაც. სხვადასხვაგვარ ხვნასთან დაკავშირებით, მოსავლის ასაღებად სხვადასხვაგვარი საშუალება და იარაღი არსებობდა: ხენცვლა, შნაკვი, ნამგალი „გული“ და ნამგალი. მფლობელობის ფორმების მიხედვით სახნავები იყოფოდა: ს ა ტ ა ძ რ ო (სახატო), ს ა ს ო ფ ლ ო, ს ა გ ვ ა რ ო; კერძო საკუთრებაში მყოფად და სამეფოდ.

⁵ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940.

⁶ გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსგ, ტ. VI, თბ., 1953.

⁷ В. П. Х р и с т и а н о в и ч, დასახ. ნაშრომი, გვ. 191—192.

ნიადაგის დამუშავების სისტემა შეიცავდა ნაკვეთის ქვებისაგან გამოსუფთავებას, მიწის დასვენებას, ხელოვნურ გაზოხიერებასა და მორწყვას, შემოდგომით თესვას, ზიარხვნას, თესლბრუნვას, თესლის ახალი ჯიშების მიღებას და სხვა.

სამთო მიწათმოქმედების სისტემაში ხნულზე მოდიოდა პურელის უმნიშვნელოვანესი ჯიშები: მახა (Tr. macha Dek et Men), ზანდური (Tr. Timoph. et Znkh.), ასლი (Tr. Dicoecum Schubl), დიკა (Tr. iber. et Men.), ჭვავი (Secale cereale L.).

ხორბალი მახა შემოინახა დასავლეთ საქართველოს მთიანეთის კულტურაში. როგორც სახელწოდება ხორბლის ამ განსაკუთრებული სახეობისა — მახა — მოწმდება აგრეთვე დაღესტანში მოხას სახელწოდებით, აგრეთვე სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ლაზებში.

გ. მენაბდე ადგენს, რომ „ეს ინიციალური სახეობა გამაერთიანებელსა ველური და კულტურული ხორბლის თვისებათა კომპლექსისა. ამ ჯიშის ნაირსახეობა სახეთაშორისო ნიშნებში (დიფერენციის უქონლობა ჯიშობრივ ნიშნებში), ულაპარაკოდ მიუთითებს იმაზე, რომ მახა არსებული სახეა, რომელიც აღმოცენდა ჯიშის სახეებად დიფერენცირების (Triticum) ეპოქის დასაწყისში და რომ მისი ველური თვისება თითქმის მომწიფებული თავთავის ჩამოცვენისა და კვლავ აღმოცენების თანდათანობითი პროცესის შედეგია“⁸. მენაბდე მახას კულტურული ხორბლის პროტოტიპად თვლის. ამ ვითარების დასაბუთების მიზნით შეიძლება მივუთითოთ იმ ფაქტზეც, რომ კულტურაში აღმოჩენილი იქნა ნეოლითური პერიოდის მახა და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული მახას ასაღებად გამოყენებული თავისებური იარაღი — შნაკვი.

ამას გარდა, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ რამდენადაც მახა ძალიან ჰგავს კოლხურ ასლს (Tr. paleo col hicum Men), რომელიც აგრეთვე ენდემური კოლხეთისათვის, კოლხური ასლის ნაირსახეობის საზამთრო ნათესებს შეეძლო გამოეწვია მახას აღმოცენება⁹. კავკასიელი მთიელი ტომების სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში ხორბლის ჯიშის ერთი სახეობიდან მეორედ ქცევის მსგავსი ხერხები ადრიდანვე იყო ცნობილი და ეფექტურადაც გამოიყურებოდა. სამაგალითოდ შეიძლება მივუთითოთ დიკადან (Tr. iber. Men.) დოლის პური (Tr. vulg.) მიღებაზე.¹⁰

ზუსტად ასევე მთის ხორბალი ზანდური, ჩელტაზანდური (Tr. Timoph. Zakh) წარმოადგენს ენდემურს; ის შემოინახა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ზანდური მეტად ამტანი სახეობაა. მას ისევე, როგორც მახას მკიან სრულიად თავისებურად: თავთავებს კრფენ განსაკუთრებული სახის ჯოჯო, ე. ი. შნაკვით და ყრიან კალათაში, ხოლო ამის შემდეგ ჩაას იღებენ ნამგლით.

მკის ეს ხერხი უეჭველად ძველია, როგორც ჩანს, წინამავალი ნამგლით მკისა.

⁸ В. Менабде. Пшеницы Грузии, Тб., 1948, с. 25.

⁹ П. Жуковский. Культурные растения и их сородичи. И., 1950.

¹⁰ Г. Читай. Системы земледелия и пахотные орудия Грузии, ВЭЖ, Тб., 1952.

დასავლეთ საქართველოს მთიანეთის გარდა შნაკვი გვხვდება მხოლოდ ასტურიაში¹¹. დაბოლოს, საჭიროა მივუთითოთ მასზე, რომ ზანდლუს ისე კი არ ლეწვენ, როგორც პურეულის სხვა ჯიშებს, არამედ ბერტყენ, როგორც ფეტვს.

ასლი (*Tr. dicocum Scabube*) პურის ერთ-ერთი უძველესი ჯიშია. ის მოჰყავდათ ძველ შუმერსა და ეგვიპტეში. როგორც ძველ შუმერში, ისე კავკასიის მთიანეთში ასლი მოჰყავდათ უმთავრესად ლუდის დასამზადებლად. ამ კულტურებთან დაკავშირებით ა. უუკოვსკი ფიქრობს, რომ მესოპოტამიის „სამდინარეო ცივილიზაცია“ წარმოადგენს კავკასიელ მთიელთა უფრო ძველი მთური მიწათმოქმედების შემკვიდრეს¹².

კავკასიის ქედის ჩრდილო ფერდობზე, ბალყარეთში, ყაბარდოში, ჩრდილო ოსეთში მოჰყავდათ დიკა — საქართველოს პურეულის ჯიშების ეს ძველი აბორიგენი¹³.

ბოლოს, განსაკუთრებით საჭიროა შევჩერდეთ ფეტვის კულტურაზე, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის მთიან ზონაში. კავკასიის მთიელებში ამ კულტურის სიძველეზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ის თესლბრუნვაში არსებით როლს თამაშობდა.

სვანებმა, დიდი ხანია, შეამჩნიეს, რომ ფეტვი უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე სხვა პურეული კულტურები და ამის გამო მისი დათესვა გვიან გაზაფხულზეა შესაძლებელი. ამ დროისათვის ჩვეულებრივად სარეველა უკვე აღმოცენებულია. ნიადაგის გვიან დამუშავების დროს თოხით, ბარით ან სახვნეკლი იარაღით აბრუნებდნენ სარეველას ფესვებს და ამ გზით სპობდნენ მას. ასეთი დამუშავების შემდეგ დარჩენილ სარეველას აძრობდნენ ფეტვის მარგვლის დროს. მარგვლა წარმოებდა მეტად ძველი ტიპის ხის იარაღით, რომელსაც სვანურად ცამ (*сām*) ეწოდება. ასეთ ნაკვეთზე დათესილი ფეტვი კარგ მოსავალს იძლეოდა და ამით ერთდროულად ნიადაგის გაწმენდაც ხდებოდა სხვა კულტურებისათვის¹⁴. ფეტვის ასე რიგად გამოყენება მემინდვრობაში ამ კულტურის სიძველის მაჩვენებელია. მისი სიძველე დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებითაც¹⁵.

უახლოესი ლინგვისტური ხასიათის გამოკვლევების მიხედვითაც აშკარაა მარცვლეულის სახელწოდებათა ურთიერთმსგავსება ჩვენს მიერ შესასწავლად აღებული კავკასიის მთიანეთის სამიწათმოქმედო ზონაში (ხ უ ლ უ გ ო , პ უ რ ი , თ ე ს , ც ა მ ა ლ და სხვ.)¹⁶.

¹¹ Н. В а в и л о в. Мое путешествие в Испанию. ж. „Новый мир“, 1937, № 2,

¹² П. Ж у к о в с к и й. Ук. сочинение, с. 25.

¹³ П. Ж у к о в с к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 75—768 ი ე. ვ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I.

¹⁴ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, მსგ, VI, თბ., 1952 გვ. 56—57.

¹⁵ Л. М е н а б д е, Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды, Сообщения Груз. фил. АН СССР, ч. I, № 9, 1940.

¹⁶ გ. როგავა, ქართული სიტყვა „ცამალის“ ეტიმოლოგიისათვის, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 3, 1945; მისივე, ტერმ. „პურის“ ძირისათვის, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 10, 1951; მისივე, ქართული ფუძე „თეს-ის“ წყობის საკითხისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954.

III

კავკასიის მთის მემინდვრობაში მდიდრად წარმოდგენილი საერთო კულტურების გვერდით, მიწათმოქმედების სისტემაში შემოინახა მრავალი სახის სამიწათმოქმედო იარაღი — დაწყებული ყველაზე პირველადი ფორმიდან და დამთავრებული როგორც ხელით სახმარი, ისე გამწევი ძალის მეშვეობით მოხმარებული, სრულყოფილი იარაღებით. ყველა ეს იარაღი (ცამ, შნაკვი, ქარჩი, ბართოხი, კავწერა, ბაკენ ოგუზ გუნ, აჩაჩა, ბირუს, გუთონ, სახენიელი და სხვ. შეგუებულია მთის მიწათმოქმედების სპეციალურ პირობებს. ასეთ პირობებად წარმოგვიდგება: ნიადაგის თვისება, მისი ნაყოფიერება, გრუნტის სიმკვრივე, ჰავა, ზედაბირული ხვნის ფორმა, ნიადაგის აჩეჩვა, ნიადაგის სინოტივე, ნაკვეთის დაქანება, მოყვანილი მარცვლის ხარისხები და ა. შ.

ნათესი ნაკვეთების ნიადაგის დასამუშავებლად გამოიყენებოდა სამი კატეგორიის იარაღი; პირველ კატეგორიას განეკუთვნება ასე თუ ისე მახვილწვერიანი თოხ-წერაქვი (Spitrhacke), რომელსაც ხმარობდნენ ნათესის პირველადი დამუშავებისას (წერაქვი, აცარკენტი, ცალკატი, ჩეკი, ბერჯუკი, ჩენგი, აჩაჩა, კეკო, კაჩო); მეორე კატეგორიას ეკუთვნის ფართოდ ცნობილი თოხები (ლაბარჯი, ოკრიბულა, იმერული თოხი და სხვა), ხოლო მესამეში შედიოდა კომბინირებული თოხები (თოხ-წერაქვი), მას მიეკუთვნებოდა ცულ-ქარჩა, თოხწალკატი, ბართოხი, აჩადა სხვა.

როგორც ცნობილია, თოხით მუშაობა დარტყმის წესით ხდება... მუშაობის დროს მიწა ითხრება და მომუშავის ფეხებისაყენ იყრება. ეს პროცესი დიამეტრულად საწინააღმდეგოა იმ მუშაობისა, რომელსაც ეწევა სახენელი იარაღი — ის ქრის რა ნიადაგს, გორახის ნაწილს წინ ყრის და ნაწილს კი მხენელს გვერდით.

თოხებისა და მათი მსგავსი იარაღების ნაირსახეობა, რომელიც კავკასიის მთიანეთშია ფიქსირებული, თავის ახსნას პოულობს სამიწათმოქმედო მეურნეობის პროცესის ნაირფეროვნებაში.

თოხებით ასუფთავებენ და ამტვრევენ ნათეს ნაკვეთებს, მარგვლიან მარცვლეულს, ტეხავენ მაღალმთლიანი ნაკვეთების ნიადაგს ფერდობებსა და ტერასებზე, რადგან იქ სახენელი იარაღის გამოყენება შეუძლებელია; ამუშავებენ პრიმიტიულ ბოსტნებს.

კავკასიის მთურ მიწათმოქმედებაში, განსაკუთრებით ქედის ჩრდილო მხარეს, თოხთან ერთად, იხმარებოდა აგრეთვე ბარი. თოხის უპირატესობა სამხრეთის მთიან ზონაში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, თავის ახსნას პოულობს სპეციფიკური ბუნებრივი პირობებით. ხშირი და ვრცელი ტყე აპირობებს იქ მთიან-ტყიანი ტიპის მიწათმოქმედებას. ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას თოხის კულტურის არსებობა ბრინჯაოს ხანის კოლხეთში, რაც ამ კუთხისათვის მეტად სპეციფიკურია. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ კოლხიდაში აღმოჩენილ ნივთებს პარალელები აქვს განათხარ სინქრონულ ნივთებთან, მაშინ, როდესაც ბრინჯაოს ხანის კოლხეთის თოხებს იქ ანალოგები არ მოეძებნება.

კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენ გვაქვს ორიგინალური ფორმის სამიწათმოქმედო იარაღი. ეს არის მახ (ავარიულად) — ბარი, რო-

4. გ. ჩიტაია

მელსაც აქვს ორმაგი სახელური ზედა კაღონით, რკინის სახნისი საფეხურით. ამ იარაღით მუშაობენ ორნი: ერთს ორივე ხელით უკავია იარაღის სახელური და საფეხურზე ფეხით იწვევა; ხოლო მეორე კაცი ხელით ეწევა თოკს და სწორედ ამით შველის პირველს მიწის ბელტის აწევაში. ეს პროცესი ჩვენ დავაპოვნეთ 1954 წელს სოფელ გუნბში.

ამ იარაღის მოდელი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, სადაც ის შემოვიდა XIX საუკუნის 80-იან წლებში მეტად დეფექტური პასპორტით.

ბიჰანი იარაღის ამ ტიპს უწოდებს „eiserne spate“. მახ-ის სურათი იმის მითითებით, რომ „Это орудие представляло собой легкую деревянную рукоятку, служившей опорой для обеих рук, на нижний конец второй падет железный лемех“, გამოცემულია ზ. ნიკოლსკისა და ე. შილინგის მიერ¹⁷.

ჩაჩნურ ენაში ბარი აღინიშნება ტერმინით biel(y), bielaš, რაც სრულიად კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ ბ ე ლ ტ -ს. ეს უკანასკნელი თავისი ძირითადი ნაწილით უახლოვდება ქართულ ბარს.

ჩვენ მიერ შესწავლილ ზონაში ძირითადად ორი ტიპის სახვნელი იარაღია გავრცელებული, ესენია: ერთი მხრით, კავი, სახვნელი, ხოლო, მეორე მხრით, აჩაჩა გუთანს. პირველი ტიპის ფუნქციას შეადგენს ნიადაგის გაწერვა და გახარვა, ხოლო მეორის დანიშნულებაა ნიადაგის აჩაჩვა. პირველი ტიპის იარაღს აქვს გრძელი, საყევრამდე მიტანილი მხარი და მასში ებმება ერთი უღელი ხარი. მეორე ტიპის იარაღს აქვს მოკლე მხარი და მასში ებმება ორი უღელი ხარი¹⁸.

სახვნელის პირველი სახეობის ქვეტიპებად ითვლებიან: კავწერა, საწერა, საკვეთელი და ბაკენ ოგუზ გუნ, დამოწმებული ჩვენს მიერ თუშეთში (1932 წ.), სვანეთში (1935 წ.), დიდოეთში (1940 წ.), ხევსურეთში (1944 წ.)¹⁹. შემაჯამებელი მითითება ამ იარაღის შესახებ მთიანი ინგუშეთისათვის (1930 წ.) აქვს პ. ხრისტიანოვიჩს²⁰.

ეს იარაღი შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილისაგან: მხარი, ისარი ო საბეწვე, მხარში ჩამჯდარი ერქვანი, ერქვანის სახელო, ბარი და ბობოჩიკი. კავწერაქვი უმთავრესად გამოიყენება გამაგრებული ნიადაგის გასაწერად. ის თავისი საკვეთლით ჭრის, ღარავს მიწას, ხოლო მის შემდეგ სახვნელი იარაღი ბ ი რ უ ზ ო კ ა ვ ი ხნავს.

სახვნელი იარაღის ამ ფუნქციის, ნიადაგის გაჭრის, გამომხატველია სიტყვა გ ა წ ე რ ა. რომლის ძირად გვევლინება ტერმინი წ ე რ ა, ახალი ქართულით წერის აღმნიშვნელი, ხოლო ძველ ქართულ ენაში ის წარმომდგარია სიტყვა წერაქვი-დან, რაც სიტყვასიტყვით ქვაზე წერას ნიშნავს. უეჭველია, რომ

¹⁷ З. Никольский, Э. Шиллинг, Горное похотное орудие Дагестана, СЭ, № 4, 1954.

¹⁸ Г. Читая, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, ВЭК, 1952. მისივე, რაჭული სახვნელის ფარფლიანი ქუსლი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941.

¹⁹ გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახვნელის...; მისივე, ქსნური მთის გუთანს, ენიშკის მოამბე, 1940.

²⁰ П. Христианович, Горная Ингушетия, Р/Д., 1930.

ხენას წინ უსწრებდა ნიადაგის წერვით დამუშავების ხერხი. ამ იარაღის სიძველეზე მიუთითებს ისიც, რომ მისი საკვეთელი ბარის სახელწოდებითაა ცნობილი. ბარი კი უძველესი იარაღი და სახვნელის წინამორბედი ჩანს.

კავწერა რომ თავდაპირველად მთლიანად ხისა იყო და არც რკინის საკვეთელი გააჩნდა ეს ჩანს გიულდენშტედტის მიერ XVIII საუკუნის 70-იან წლებში უკრაინაში დამოწმებული მასალებით, კერძოდ კავწერას ტიპის უკრაინული სახვნელის მიხედვით, რომელიც მხოლოდ ხის ნაწილებისაგან შედგება.

კავკასიის ფარგლებს გარეთ ამ იარაღს ანალოგი მოეპოვება უკრაინაში, გერმანიის ალპებში (Vnter, Kaerten) და შვეიცარიაში.

ამავე ტიპის სხვა სახვნელ იარაღს, რომელიც გავრცელებულია კავკასიის მთიანეთის ზონაში და სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი, აქვს ორი სახესხვაობა: პირველი მათგანი წარმოდგენილია მოხრილი და სახვნელის ქუსლში ჩამჯდარი მხარით. კავკასიის მთიანეთის გარდა, სახვნელი იარაღის ეს სახეობა მრავალი ვარიანტით ფართოდ არის გავრცელებული ამ ზონის გარეთაც, მთელ კავკასიაში, ის წარმოადგენს კავკასიელი ხალხების სპეციფიკურ სახვნელს. ეს იარაღი გამოიყენება კოლხიდის დაბლობში, სადაც რბილი მიწა არ საჭიროებს ღრმად ხენას და ამ ოპერაციისათვის სრულიად საკმარისია უღელი ხარი, მეორე მხრით, ის გამოიყენება ორმაგსა და ღრმად მოსახნავ მინდვრებში აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიასა და დაღესტანში. კავკასიის მთიანეთის რიგ რაიონებში (ზაქათალა, ინგუშეთი, მთიანი სამეგრელო) ამ იარაღს აქვს შედგენილი მხარი, რითაც ის გარდამავალ საფეხურზე მდგომად წარმოგვიდგება კავწერიდან აჩაჩასაკენ. შემდგომში, თანდათანობით სრულყოფის გზით, ამ სახემ მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს ტიპს ქართველ ტომებში. მხედველობაში გვაქვს რაჭული სახვნელ იარაღი თავისი უნიკალური ოვალური ქუსლით, რომელსაც ანალოგი არსად არ მოენახება.

კ. ბრაუნგარტი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რაჭული სახვნელი თან მოიტანეს და აქ დატოვეს ირანელებმა²¹, მაგრამ რაჭულ სახვნელ იარაღს ოდნავი ტიპოლოგიური მსგავსებაც არ აქვს არც ირანულსა და არც სხვა ინდო-ევროპელი ხალხების სახვნელ იარაღებთან²².

სხვათა შორის, სახვნელი იარაღის ამ სახეობას პარალელი მოეპოვება ურის სახვნელ იარაღთან, რომელიც შედგება ქუსლისა, მოხრილი შედგენილი მხარისა და სახელურისაგან. იმავე სახის კოლხური ვარიანტის ანალოგიურაა ეტრუსკული სახვნელი იარაღი. თუ გავითვალისწინებთ თრიალეთის განათხარი მასალის პარალელებსა და შეხვედრებს ძველ შუმერულთან, შესაძლებელია, დადგინდეს გარკვეული კანონზომიერება კავკასიისა და წინა აზიის ცივილიზაციის ურთიერთობაში და შუმერების მთური წარმოშობის საკითხში შეიძლება მოინახოს დამაკმაყოფილებელი ახსნა.

კავკასიის მთიანეთის მიწათმოქმედებაში წარმოდგენილი სახვნელის მეორე სახესხვაობას, რომელსაც აქვს სწორი მხარი და პირველთან შედარებათ ვიწრო არეალზეა გავრცელებული, არ ვხვდებით დასავლეთ კავკასიაში. თუმცა

²¹ K. Braungart, Die vrheimat etc. Heidelberg, 1912, გვ. 264.
²² გ. ჩიტიია, რაჭული სახვნელი, ენიმიკის შობაზე, ტ. I., თბ., 1937.

თავისი შემდგომი განვითარებისა და შინაგანი სრულყოფილების გზით ისიც გადაიზრდება აჩაჩას ტიპის სახვნელ იარაღად. ამის შემდეგ ის, როგორც აჩაჩა გუთანი, შედის ერქვანის შემადგენლობაში.

ამ სახის იარაღის გავრცელების არეალია საქართველოში ფშავი, ხოლო მის გარეთ დაღესტნის ზოგიერთი ნაწილი.

კონსტრუქციულად აჩაჩა საყურადღებოა პირველ რიგში იმ მხრივ, რომ მისი მოკლე წეწელა უღლამდე არ წვდება. მის თავში მიმაგრებულია ხის წეწელაწინავალა, რომელიც მუშაობის პროცესში დროდადრო მიწაზე მიცურავს. ამ იარაღის მეორე თავისებურებას შეადგენს ის, რომ მას აქვს გრძელტოტებიანი, მაგრამ მოკლე ღერო. ასეთი კონსტრუქციის სახელური მხვენელს საშუალებას აძლევს ხვნის პროცესში ასწიოს ან დაუშვას მუშაობაში ჩართული წეწელი. მთის მიწათმოქმედების პირობებში ამ ოპერაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ რთული პროცედურის შესრულება იმითაცაა გაადვილებული, რომ მას აქვს მოკლე ხის მსუბუქი წეწელაწინავალა.

ამ ტიპის ორივე ვარიანტის სახვნელი იარაღის გავრცელების არეალი მეტად შეზღუდულია. ჩრდილოეთ კავკასიაში ის ჩვენ არ გვაქვს. არსებობს ა/კ-ში და ისიც მხოლოდ მთიულეთში და ქსნის, ლიახვისა და რიონის სათავეებში.

ამასთან ყურადღებას იქცევს ერთი არსებითი დეტალი. აჩაჩათი მუშაობის პროცესში გუთნისდების დამხმარე დროდადრო ჯოხით აწვება წინმავალს ხვნის რეგულაციის მიზნით.

კავკასიაში დამოწმებული ორი ვარიანტის აჩაჩა გუთნიდან პირველი წარმოადგენს სამხრევ, ხოლო მეორე ოთხმხრევ სახვნელ იარაღს. ამ უკანასკნელის წარმოშობის მიზეზის ახსნის ცდასთან დაკავშირებით პ. ლეზერი წერს, რომ სახვნელი იარაღის ეს ტიპი წარმოიშვა შორეულ აღმოსავლეთში ან შუა ევროპაში. ამასთან ერთად ლეზერი დაასკვნის, რომ სადაც არ უნდა აღმოცენებულიყო ეს იარაღი, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, ორივე შემთხვევაში მან გამოიარა კავკასიაზე და ამის შედეგად მას თვლის სხვამხრიდან შემოტანილი კულტურის ელემენტად. უკვე ის გარემოება, რომ ამ იარაღს უნდა შემოვლითი გზით გაეგლო, რათა მოხვედრილიყო შორეული აღმოსავლეთიდან შუა ევროპაში ან პირიქით, აყენებს ეჭვქვეშ ლეზერის მოსაზრების სინამდვილეს. მითუმეტეს, უძველესი დროიდან არსებობს აღმოსავლეთთან შუა ევროპის დამაკავშირებელი სავლე კორიდორი, რომლითაც არაერთხელ მოდიოდნენ ხალხები, მოჰქონდათ და დამხვდურთ გადასცემდნენ კულტურის მიღწევებს. იმის მხედველობაში მიღებით, რომ კავკასიაში ნაირი სახის სახვნელი არსებობდა, რომელიც ასახავდა, განვითარების გზას მარტივი სახვნელიდან რთულ სახვნელ იარაღამდე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ადგილობრივი წარმოშობისაა.

ასეთია ძირითადი ტიპები კავკასიის მთიანეთში გავრცელებული სახვნელი იარაღებისა, რაც შეეხება სახელწოდებებს, აქაც მრავალფეროვნება შეიმჩნევა. ზოგიერთი მათგანი ძალიან ძველია. ა. გენკო, რომელმაც შეისწავლა ჩრდ. კავკასიაში გავრცელებული სახვნელი იარაღების სახელწოდებები, დაღესტნურ სახვნელთა სახელწოდებები დაჰყო სამ ჯგუფად: I. b/d-vrad რაც დაღესტნელთა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი, II. ganas-angar და III. Fenet²³.

²³ Н. Генко, О названиях плуга в северо-кавказских языках, стр. 128—135.



ავტორი ფიქრობს, რომ პირველი ტიპის სახელწოდების დაწყებით ნაწილში თანხმომავანი ფორმატი h/d-ს მონაწილეობის ფაქტი მოწმობს ამ ტერმინის საკმაოდ დიდი ხნიდან მომდინარეობას. საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ მთიულეთის სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონი მეტად მდიდარია და ეს სახელწოდებებიც უძველესი ხანისაა.

კავკასიის მთიანეთში მიწათმოქმედების სიძველეზე მიუთითებს აგრეთვე იდეოლოგიური ხასიათის გადმონაშთური მასალა.

საგაზაფხულო საველე სამუშაოების დასაწყისში, კერძოდ ხვნის დაწყების წინ, დაღესტნელი ხალხები დღესასწაულს მართავენ, რაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: „გუთნის გამოსვლა მინდორში“, „ხარების გამართვა“, „გუთნის გამოძახება“ და სხვა. „გუთნის გამოსვლის“ დღესასწაული შედგება ორი სხვადასხვა ელემენტისაგან: 1. საწესო ხვნა, 2. თამაში და გართობა. ამ დღესასწაულის მოწყობის მიზანია კარგი მოსავლის მოწვევის უზრუნველყოფა. ცეკვები, შეყრა და გართობა მიუთითებენ დღეობის მნიშვნელობაზე. საწესო ხვნა გამოიხატებოდა ორი-სამი კვალის გავლაში და თესლის ჩაყრაში. ეს ცერემონია ტარდებოდა იმ მიზნით, რომ მაგიური მოქმედების გზით უზრუნველყოთ კარგი მოსავლის მოწვევა²⁴. დღესასწაულის პირველი ნაწილი შედგება შემდეგი მომენტებისაგან: „ბედნიერი დღის შერჩევა“, „მხვნელის ამორჩევა“, რომელსაც ექნებოდა „ბედნიერი ხელი“, ტყა-ბუჭის ჩაცმა მხვნელისათვის; თოვლის, პატარა ქვებისა და ძველმანების მიყრა გუთნისდღედისადმი აულის ბავშვების მიერ²⁵.

არანაკლები მნიშვნელობისაა „წვიმის გამოწვევის“ ჩვეულება, დამოწმებული რიგი დაღესტნელი მთიელი ტომების, მათ შორის ბეჭიტინელების ცხოვრებაში. უკანასკნელთა მიერ ამ წესის შესრულება იმაში მდგომარეობს, რომ გვალვიანობის დროს სოფლის მოსახლეობა მთვარიან ღამეს შეიკრიბება მოედანზე და სოფელს მოუვლიან ჩირაღდნებით, ღმერთს შესთხოვენ წვიმას. ქართველ მთიელებში წვიმის გამომწვევს საწესო ჩვევად მიღებული იყო „წყლის მოხვნა“²⁶. აქ შეიძლება დავასახელოთ აგრარულ-სამიწათმოქმედო ღვთაებები კავკასიელი მთიელების პანთეონიდან: დეილ, ან დეცემ, შიბლე, სოზერემ, ზენახარი და სხვა.

დღესასწაულთა რიგში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგაზაფხულო დღეობას, რომელიც ეწყობა ნაყოფიერებისა და მცენარეულობის ღვთაებათა სახელზე და ყველაზე უკეთაა შემონახული სვანეთში. ეს დღესასწაულია „მელია ტელეფია“ (შედარ. ხეთური ღვთაება ტელეფინუს) და „მურყვამალ“²⁷. ამასვე განეკუთვნება სვანური დღეობა „ლიკურეში“, როდესაც სრულდება ქალი ღვთაებების პროცესიები, ხდება სამსხვერპლო ხარების შეწირვა აგრეთვე ამორჩევა ქალღმერთის მიერ თავისი მსახურებისა²⁸.

²⁴ Г. Ч у р с и н, Праздник „вихода плуга“ у горских народов Дагестана, Вестник КИАИ, т. 5, 1926, стр. 29—80.
²⁵ Г. Ч у р с и н დასახ. ნაშრომი, გვ. 82.
²⁶ გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობა ალბულაღის რაიონში, საქართველოს მუზეუმის შოამბე, ტ. IV, 1926.
²⁷ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1930.
²⁸ ე. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური სავალბოელი „ბარბალ დოლაში“, ენიშკის შოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 541—573.

ზემოთ მოტანილი ცნობები ეჭვმიუტანლად გვიჩვენებენ, რომ მიწათმოქმედება კავკასიელ მთიელებში მესაქონლეობის გვერდით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. იგი საკმაოდ ძველი დარგია.

IV

ზემოთ ნაჩვენები ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისისათვის მთური მიწათმოქმედების თანამგზავრია კულტურის ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი — კავკასიელი მთიელების საბრძოლო კოშკები და სახლი-სიმაგრეები. დეტალებით განსხვავების მიუხედავად, ამ ნაგებობებს აქვთ ბევრი საერთო ნიშანი და საცვებით განსაზღვრული საერთო ფუნქცია. მათი შინაგანი სახე უბრალო და მკაცრია. ამ სიმკაცრით, პროპორციულობით და საკმაოდ დიდი სიმაღლით ისინი გამძლენი და მაგარნი არიან. ეს აზრი თანაბრად ვრცელდება როგორც ჩეჩენ-ინგუშეთის, თუშ-ხევსურებისა და მთიულების, ისე სვანურ საბრძოლო კოშკებზე. უფრო ძველ ნაგებობად უნდა მივიჩნიოთ სახლი-სიმაგრეები. თავისი შინაგანი სახით ისინი განსხვავდებიან საბრძოლო კოშკებისაგან და ფორმის მიხედვით ძირითადად ორი სახისაა: არიან: კვადრატული და მოგრძო სწორკუთხოვანი; მათი კედლები ზემოთკენ თანდათანობით ვიწროვდება. უმეტესწილად სახლი-სიმაგრეები და საბრძოლო კოშკები განლაგებული არიან ახლო-ახლოს, ერთმანეთს უკავშირდებიან დამცველი კედლით და ეზო შემოღობილი აქვთ ქვის ყორით. ამ მშენებლობის მაღალი ოსტატობის განვითარების დაწყებითი ფორმა შესაძლებელია დავინახოთ ტერასული ნაგებობების, მინდვრის გზებისა და ხიდების მშენებლობის ტექნიკაში. ყოველ შემთხვევაში, ეს სახლი-სიმაგრეები და საბრძოლო კოშკები მიუთითებენ მოსახლეობის მტკიცედ დამკვიდრებაზე; რაც შეეხება მესაქონლეობას, კავკასიელ მთიელებში მას მომთაბარული ხასიათი ჰქონდა.

თუმცა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ საინტერესო ცნობებს ვხვდებით კავკასიელ მთიელთა მიწათმოქმედების შესახებ შუა საუკუნეებისა და ანტიკური ხანის ავტორებთან, როგორებიც არიან ვახუშტი, გ. მერჩულე, სტრაბონი და სხვ. ამ ავტორთა ცნობები ფართოდაა გამოყენებული აკად. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურ შრომაში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, (ტ. I—II, თბ., 1930, 1939 წწ.).

კავკასიის არქეოლოგიის მონაცემებით II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის I ნახევარში დასავლეთ კავკასიის მთის ძირისა და მთიან რაიონებში ცხოვრობდნენ ყუბანური კულტურის ტომები. მათ სამხრეთით, დასავლეთ საქართველოში, იმყოფებოდნენ კოლხური კულტურის ტომები. ხოლო, ცენტრალური კავკასიის რაიონებში ყუბანური კულტურის ტომები.

კავკასიის მოსახლეობის ყველა ჯგუფის განვითარება ამ ეპოქაში დაახლოებით ერთ დონეზე იმყოფება. მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად ვითარდება მიწათმოქმედება, ეუფლებიან ახალ სამიწათმოქმედო იარაღებს, ითვისებენ რკინას, რომელიც სდევნის ბრინჯაოს საბრძოლო და შრომის იარაღებს, მიმდინარეობს ხელოსნების გამოყოფა, რამაც გამოიწვია სახელოსნო ცენტრების — ქალაქების წარმოქმნა.

ამ ეპოქაში საღეწი კავეების არსებობის ფაქტი, რომელიც გარკვეული პურეული კულტურების თანამგზავრია, აგრეთვე, შერეული თესლის გამოყე-

ნება კარგი მოსავლის მიღების მიზნით, მიუთითებს მიწათმოქმედების ინტენსიურ ფორმაზე.

ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ეთნოგრაფიული, ლინგვისტურა, ისტორიული და არქეოლოგიური მასალების მიხედვით მიწათმოქმედება კავკასიის მთიელებში ძველი დარგია. თავისი ბუნებითა და ისტორიით კავკასიის მთიანეთი წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის მქონე სამიწათმოქმედო მეურნეობის კერას. ამ მეურნეობაში წარმოდგენილია: მორწყვის, ნაკელით გაპოხიერებას სისტემა, ტერასული მიწათმოქმედება, ენდემური მარცვლეული, ბორტნები, უძველესი აგროტექნიკური ხერხები, სამიწათმოქმედო იარაღები, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული რელიგიის ამსახველი ჩვეულებები და სხვა. ამ კულტურების შემდგომმა შესწავლამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ თავდაპირველად მიწათმოქმედება წარმოიშვა მთაში და არა ბარში.

1959 წ.

საქართველოს აგროეთნოგრაფიის პრობლემები

(შესწავლის მდგომარეობა და პერსპექტივები)*

აგროეთნოგრაფიის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ქართველი ეთნოგრაფების სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ეს შემთხვევითი არ არის. ცნობილია, რომ საქართველო და ამიერკავკასია კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და მათი კულტივირების უძველესი კერაა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს პურეული კულტურების ისეთი დიდი მრავალფეროვნება, როგორც საქართველოში; ამათგან ექვსი ენდემური ჯიშია. საქართველო შედის სამიწათმოქმედო კულტურის იმ ზოლში, სადაც გამომუშავდა ძველი ცივილიზაცია. ის მთელი სამიწათმოქმედო სისტემა, შექმნილი ძველ აღმოსავლეთში, რომელმაც შემდგომ გავრცელება თუ ადგილზე აღმოცენება მოგვცა მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში, წერილობით პირველად დადასტურებულია შუმერულ ძეგლებში, რაც ძვ. წ. 1800 წ-ით თარიღდება. ამ დოკუმენტებში სამიწათმოქმედო სისტემის ყველა საფეხური აღბეჭდილია თავისი თანმიმდევრობით. ამავე სისტემას ადასტურებს ძვ. წ. I—III სს. ბერძენა მწერალი ჰესიოდე ნაწარმოებში „სამუშაონი და დღენი“, იგივე მოწმდება ძველ ჩინურ ხელნაწერში, რომელიც ძვ. წ. VI ს. განეკუთვნება, და ძვ. წ. I ს. რომაელი ავტორის ვერგილიუსის „გეორგიკაში“. ანალოგიურ სურათს ვხვდებით ბიზანტიურ წერილობით ძეგლებში.

მიწათმოქმედების ეს სისტემა, შექმნილი შუმერში და შემდგომ ეპოქებში უცვლელი სახით დადასტურებული საბერძნეთში, რომში და სხვა, ეს ის ზომიერი ზოლია, რომელიც ატლანტიის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე, პორტუგალიიდან ჩინეთამდე გადიოდა, სადაც ძველი ცივილიზაცია შეიქმნა.

მწარმოებლური მეურნეობის წარმოშობის პრობლემის ასახსნელად მრავალი სამეცნიერო დარგი იღვწის. მის შესწავლაში საყურადღებოა ქართველი ბოტანიკოსების, არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების მიღწევები.

ეთნოგრაფიული მიდგომით, აგრიკულტურა კონკრეტულ ემპირიული მონაცემების ზუსტ შესწავლასა და მის ერთობლივ გააზრებასთან ერთად, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში მოპოვებული შედეგების კომპლექსურ ანალიზს გულისხმობს. ამ კომპლექსში ეთნოგრაფიულმა კვლევა-ძიებამ სრულად და თანმიმდევრულად უნდა წარმოაჩინოს ყველა ძირითადი ყოფითი მხარე: საწარმოო-მატერიალური, სოციალური, სულიერი, მათი შინაგანი ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირები.

* მოხსენება წაკითხულია აკად. გ. ჩიტაიას დაბადების 95 და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში, 1985 წლის ნოემბერს (რედ. შენიშვნა).



შევეცდებით, მოკლედ წარმოვაჩინოთ აგროეთნოგრაფიის კვლევის საკნობრივი მიმართულება, მეთოდოლოგია, კვლევის ტექნიკა, შედეგები.

საქართველოსა და ამიერკავკასიის აგროკულტურის გეგმიან და სისტემატურ შესწავლას საფუძველი XX ს. 20-იანი წლებიდან ჩაეყარა. დროთა განმავლობაში ამ საკითხებზე მუშაობა ქართულ ეთნოგრაფიაში ტრადიციად იქცა და რამდენიმე ეტაპი განვლო.

ჭერ კიდევ 20-იან წლებში რეგიონალურად დამუშავდა მესხეთი, ქვემო ქართლი, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, ჩრდილო კავკასიის რეგიონები. შესწავლილ იქნა მთისა და ბარის სამიწათმოქმედო სისტემები, დაისახა სისტემური საფუძველები.

60-იანი წლებიდან აგროკულტურის საკითხების კვლევამ ფართო გაქანება მიიღო. გამოიყო კონკრეტული არეალები, მუშავდება რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის, კახეთის სამიწათმოქმედო სამეურნეო ზონები.

70-იანი წლებიდან მიმდინარეობს სისტემური კვლევა საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის რიგ რეგიონებში. კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია სტატიების, კრებულებისა და მონოგრაფიების სახით.

ქართველი ეთნოგრაფების მნიშვნელოვანი, ინტენსიური კვლევის შედეგები სამეურნეო დარგში მეტნაკლებად შეჯამდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის I და II ნაკვეთებში, რომლებიც მიედგნა საქართველოს შემინდვრების თვითმყოფი კულტურის წარმოჩენას სათანადო ტექტიების, სამეურნეო კარტოგრამების, ტაბულებისა და ილუსტრაციების მეშვეობით.

პირველმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ 1924—1926 წწ. მესხეთში, ზემო და ქვემო ქართლში, გამოავლინა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ზოგადქართულ სამიწათმოქმედო ყოფასთან. ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში მოპოვებულმა წინასწარი ხასიათის მონაცემებმა უკვე დაგვანახა, რომ მშრომელი გლეხობა ფლობდა მეტნაკლებად მკვიდრ ემპირიულ მასალას, რომლის ცალკეული მონაცემები მუშავდებოდა და ფორმდებოდა ათასწლეულთა მანძილზე ხანგრძლივი, შეუპოვარი ძიებისა და გამოცდის გზით. ამ მასალის ფიქსირება მუშაობის ერთი უბანი იყო, მეორე — მოპოვებული მასალისათვის ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობის მინიჭება, მისი ცვალებადობისა და განვითარების ჩვენება. ამდენად, პრობლემის შესწავლა თავისთავად მოითხოვდა სავსე-ეთნოგრაფიული მუშაობის გაფართოებასა და გაღრმავებას.

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების პირველ ეტაპზევე გადაუდებელ ამოცანად დაისახა ეთნოგრაფიული საკვლევადიებო საქმიანობის საფუძველშივე გადახალისება და ახალ საწყისებზე აგება, ეთნოგრაფიული მასალის სანდოობის გარანტირების უზრუნველყოფა.

ცოცხალი ეთნოგრაფიული სინამდვილე უპირველესად არის მატერიალური დოვლათის მწარმოებლის, ხალხის ემპირიული ცოდნა, შრომითი ჩვევები, საწარმოო გამოცდილება, მათი ყოფა და კულტურა. ეთნოგრაფიის კვლევის საგანია გარკვეულ ასპექტში ცოცხალი ადამიანი, რომელიც საჭიროებს ობიექტურ მიდგომას იმისათვის, რომ ფაქტები არ დამახინჯდეს, ფიქსირება მოხდეს შეუცვლელად და გეგმაზომიერად, გარკვეული პროგრამით. აქაა სწორედ საკვლევი მუშაობის სირთულე. სრულფასოვანი და სანდო ეთნოგრაფიული მასალების გეგმაზომიერი შეგროვება ვარაუდობს ეთნოგრაფიული ფაქ-

ტები; დეტალური სისრულით და გარკვეული მიდგომით მოპოვებას, როცა ეთნოგრაფიული სინამდვილის ცალკეული ელემენტები განხილულ უნდა იქნეს მათ განვითარებაში, მოქმედებაში, გარემო მოვლენებთან განუწყვეტელ კავშირში. ამ მოთხოვნების შესრულება საველე-ეთნოგრაფიულ მუშაობაში შეიძლება მხოლოდ მოვლენის კომპლექსში შესწავლით, როცა კომპლექსში იკარაუდება ბაზისური და ზედნაწენური მოვლენები და ყოველი საგანი აღწერება სტრუქტურის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით. ცალკეული მოვლენების შესწავლა ხდება როგორც პორიზონტალურ ჭრილში (არა მარტო საქართველოსა და კავკასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთის კულტურის მონაცემების შუქზე), ასევე ვერტიკალურ არეში, ე. ი. ისტორიულ ასპექტში. ისტორიზმის პრინციპი მოითხოვს, რომ ფაქტებისა და მოვლენების ანალიზისას მხედველობაში ვიქონიოთ ის მომენტებიც, რომ საზოგადოებრივი და სოციალური მოვლენები წარმოიშობიან განსაზღვრული პირობების გავლენით და გაივლიან განვითარების რთულ და წინააღმდეგობრივ გზას. განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კულტურის ელემენტების გავრცელების კონკრეტული არეალის გამოვლენას.

საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგებმა ცხადყო, რომ უფრო შედეგიანია მცირე რაიონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ვრცელი ტერიტორიის ზედა რეალე ფიქსირება. მასალის ჯვარედინი ფიქსაცია და ადგილზე კარგად შედგენილი საგნის ბიოგრაფია მეტი შეცნიერული განზოგადებისა და სანდოობის საფუძველს იძლევა.

ასეთი მეთოდით მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო. მესხეთსა და ქვემო ქართლში დაწყებული მუშაობა გაღრმავდა და შემდგომში მოიცვა თითქმის მთლიანი სამიწათმოქმედო საქართველო. მაგ., ქსნის ხეობაში ვერტიკალურ ზონალობასთან შეპირისპირებით დადასტურდა სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე), მთის ძირის (ლარგვისამდე), მთის (ლარგვისის ზემოთ).

მეურნეობის ამ სახეებთან შეფარდებით წამყვანი სამეურნეო იარაღები გარკვეული ტიპისანი არიან ცალკეულ ზოლში. მაგ., მთის ზოლში — მთის გუთანი, მთის ძირში — ორხელა, ბარში — ბარული ანუ დიდი გუთანი.

ქსნის ხეობისთვის დადგენილი ეს ტიპი მეტნაკლებად მთელ საქართველოზე შეიძლება გავრცელდეს და ამდენად ზოგად კლასიფიკაციად გამოდგება. ამ კლასიფიკაციამ გამართლება ჰპოვა სატრანსპორტო საშუალებების მხრივაც და ქართული კულტურის სხვა ელემენტებზეც: დასახლება, ნაგებობანი და სხვა. შემდგომმა გაფართოებულმა მუშაობამ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დადასტურა ჩვენი შეხედულებები.

თანამედროვე ეთნოგრაფიაში მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურის სპეციფიკისა და საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემის ტიპოლოგიისა და ევოლუციის პრობლემებზე ჩატარებული კვლევის შედეგები. სისტემური კვლევით გამოვლინდა ქართული მიწათმოქმედების თვითმყოფი თავისებურებები როგორც ზოგადქართული, ისე ლოკალური ხასიათი. ეს თავისებურებები ვლინდება მიწათმოქმედების წლიურ ციკლში, დარგობრივ სამეურნეო წესებში, შრომის ორგანიზაციის ფორმებში, შრომის იარაღებში და სხვ.

საქართველოსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ბუნებრივ სამეურნეო-ვერტიკალური ზონალობა თვალსაჩინოდ ვლინდება ხალხურ სამიწათმოქმედო მეურნეობაში. ზონალობის მიხედვით ჩამოყალიბდა მემინდვრეობის სისტემა (ბარის, გარდამავალი ანუ ზეგანის, მთის ზოლის). ზონალობის მიხედვითვე სრულყოფა მიიღო სამიწათმოქმედო იარაღებმა, რაც შეპირობებული იყო რელიეფთან, ნიადაგთან და სპეციფიკურ სამეურნეო პირობებთან. ამ მიზეზით სახენელები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კონსტრუქციულად; ზოგი მარტივი სახენელების ფორმის ჯგუფში ექცევა, ზოგი შუალედურ და რთულ ფორმებში. ამ პროცესს თან ახლდა ქართველი ხალხის შინაგანი შემოქმედებითი ძიება შრომის იარაღის ტექნიკურ-ეკონომიკური სრულყოფისათვის. სახენელის ცალკეული სახეობების კონსტრუქციულ-ფუნქციონალური თავისებურებების გამოვლენამ შექმნა სახენელი იარაღის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესაძლებლობა, დაადგინა სამიწათმოქმედო სისტემის მოდელი, სახენელი იარაღების განვითარების ძირითადი ფორმები: დაწყებული მარტივი სახეობიდან (კაწერა) რთულ სახენელ იარაღამდე (საანე-ულო გუთან). გამოვლინდა საქართველოს როგორც დაბლობისა და ბარის, ისე მთის სამიწათმოქმედო კომპლექსები.

შესწავლილ იქნა ხორბლის კულტურის ისტორია, დადგინდა ხორბლის ცალკეული სახეობების გავრცელების გეოგრაფიული ზონები და სხვადასხვა გეოგრაფიული ზონის სამიწათმოქმედო ათვისების ეტაპობრივი სურათი, რაც ხორბლეულის გარკვეული სახეობების წარმოშობასა და მეურნეობაში დამკვიდრებას უკავშირდება. ამ მიმართებით კვლევა მოწმობაა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა სახეობათა და ფორმათა წარმოქმნის უწყვეტი პროცესი. ეთნოგრაფიული კვლევით სათანადოდ წარმოჩინდა არა მარტო ყველა ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაპოვარი, რაც მიწათმოქმედების დარგში ძირითადად კვლევის არეალშია მოქცეული, არამედ ის კულტურებიც, რაც თანამედროვე ყოფაში იშვიათობად იქცა, მაგრამ ისტორიულად დიდი მნიშვნელობისაა მათი სამეურნეო და სასელექციო მნიშვნელობანი.

საყურადღებო კვლევა მიეძღვნა დასავლეთ საქართველოს ხალხური აგრიკულტურის შესწავლას. გამოვლინდა მიწათმოქმედების დარგში ქართული ეთნიკური კულტურის სპეციფიკა. დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ მონაცემები ისტორიული კოლხეთის ყოფიდან მიღებულ მემკვიდრეობადაა მიჩნეული და წარმოჩენილია კოლხეთის, როგორც მარცვლეული კულტურების ერთ-ერთი ადრინდელი ლოკალური ცენტრის, კულტურა.

მესხეთში წარმოებული კვლევა-ძიების საფუძველზე დგინდება, რომ აქ ჩამოყალიბებული ტერასული სამეურნეო კულტურა შეპირობებულია ამ კუთხის გეოგრაფიული თავისებურებებით, ჩამოყალიბებულია კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში და ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილს მოიცავს. დამოწმებულია მეურნეობის ტრადიციული წარმოების ფორმები და დატერასების ხალხური წესები, რომლის ანალიზი მეურნეობის ადგილობრივ სამიწათმოქმედო ტრადიციებზე აღმოცენებისა და განვითარების ფაქტზე მიუთითებს.

გამოკვლეულია საწარმოო ემპირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი — ხალხური სელექცია, ადამიანის ბუნებრივ-საწარმოო ძალებთან აქტი-

ური დამოკიდებულების შედეგი, რაც თავისებურად ავლენს და აჯამებს ამ მხრივ ქართველი ხალხის ემპირიული ექსპერიმენტების შედეგებს.

ეთნოგრაფიული კვლევით გამოვლენილია საქართველოსათვის დამახასიათებელი რთული და მრავალმხრივი სამიწათმოქმედო სისტემა, ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავა მემინდვრობის თანმიმდევრული პროცესები — ახოს აღება, ნიადაგის სახნავ-სათესად გამოყენება, ნიადაგის მოსწორება — მოშანდაკება, მოხვნა-განოყიერება, თესვა, ფარცხვა, მოსავლის დაცვა-აღება, ლეწვა, დაბინავება, დასხვა.

მეურნეობის ინტენსიფიკაციის საშუალებათა რიგში ყურადღებას იმსახურებს შერეული თესლის გამოყენება, ადგილმდებარეობისა და ნიადაგების თვისებათა შესაბამისად ვლინდება ხალხის ღრმა, ემპირიული ცოდნა სათესი კულტურების შერჩევისა, მათი მომთხოვნელობის გათვალისწინებისა კონკრეტული გარემოსადმი და სხვა.

გამოკვლევულ იქნა აგრეთვე სამიწათმოქმედო კულტურის კომპლექსში სარწყავი სისტემაც, მოდგამის ინსტიტუტი, შეპირობებული დიდი მასშტაბის მემინდვრობის არსებობით.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ სამიწათმოქმედო კულტურა ისე ღრმად შეჭრილა ქართველი ხალხის ყოფაში, რომ მისი ცალკეული ელემენტები პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად არა მარტო თაყვანისცემის ობიექტადაა ქცეული, არამედ მკვიდრი ადგილი დაიკავა ხალხურ პოეზიაშიც. ხალხურ ლექსებში ფიქსირებულია სახვნელ იარაღთან ადამიანის ურთიერთობა, იარაღის დამზადების პროცესი. ქართულ ლეგენდებში სახვნელი იარაღის წარმოშობის შესახებ დაცული ცნობით, იგი ზეციური საჩუქარია. სახასიათოა ის ფაქტიც, რომ მეზობელ ხალხთა ეპოსში სახვნელი იარაღის გამოგონება ქართველ ხალხს მიეწერება — ქართლებს ოსური ლეგენდით, კოლხებს სკვითური ლეგენდით, და სხვ. ხალხი განსაკუთრებულ სიყვარულს ამყლავნებს გამწევი ძალის — ხარის მიმართ. ეს კარგად ჩანს მთელ რიგ ხალხურ სიმღერებში, რომელიც იმღერება მინდვრის მოხვნისას და ცნობილია სახელწოდებით „გუთნური“ და „ოროველა“. ხალხურ ეპოსში მრავალი მასალა მოიპოვება, სადაც ნათლადაა ასახული ადამიანის დამოკიდებულება, სიყვარული და მადლიერება მუშა-საქონლის ერთგულებისადმი. ამ კავშირში ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ ჩვენს მიერ 1924 წ. სოფ. უდესი (ზემო ქართლი) ჩაწერილ ერთ ლეგენდას, რომელიც ასახავს ხარის ერთგულებას ადამიანისადმი. ლეგენდა ხარისა და ირმის მართონის შესახებ, იმის თაობაზე, რომელი ჩადგებოდა ხალხის სამსახურში — ხარის გამარჯვებით დამთავრდა. ლეგენდის თანახმად, ამ შეჯიბრმა ცის თაღზე თავისი კვალი დატოვა: ი რ მ ის ნ ა ხ ტ ო მ ი და გ უ თ ნ ე უ ლ ი. ლეგენდას მხარს უჭერს წმ. გიორგისთან (წინაქრისტიანული მთვარის ღვთაება, მიწათმოქმედების მფარველი) დაკავშირებული ხარის კულტის მასალებიც. ცნობილია, რომ საქართველოს ზოგიერი საყდარში წმინდა გიორგის ღღეს, გადმოცემით, თვით წმიდა გიორგის მოკვავდა ხარი, რომელსაც მლოცველნი იქვე კლავდნენ და ჭამდნენ. სოფ. უდესი, სოფ. ხანის (იმერეთი) და სოფ. ფხოტრერის (სვანეთი) მასალებით, წმ. გიორგობაზე მიდიოდა ირემი. ის ფაქტი, რომ ქრისტიანულ წმ. გიორგისთან (რომელმაც შეცვალა ქრისტიანული მთვარის ღვთაება) — მიწისმოქმედების მფარ-



ველთან, კავშირში იმყოფება ირემი, სამონადირეო ყოფის წარმომადგენელი, შეიძლება აიხსნას მხოლოდ სინკრეტიზმის ნიადაგზე.

სამიწათმოქმედო მეურნეობის კვლევისას ეთნოგრაფიულმა მასალამ გამოავლინა ხალხის შემოქმედებითი შრომის შედეგები. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ იყო მითითებული საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურის თვითმყოფ ხასიათზე. ი. კლინგენი, ავტორი ცნობილი კაპიტალური ნაშრომისა „მიწისმოქმედების პატრიარქთა შორის“, სხვადასხვა სამიწათმოქმედო კულტურების შედარების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ქართველები ისე მაგრად არიან მიჯაჭვული მიწაზე, როგორც არავინ არსად სხვა ქვეყანაში“.

ცნობილია, რომ მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზები წარმოდგენენ ხელსაყრელ პირობებს მიწათმოქმედებისათვის, სადაც ხარობს სუბტროპიკული ფლორიდან დაწყებული ალპური ზონის მცენარეული. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, მიწათმოქმედების წარმოება მოითხოვდა დამატებულ შრომას. საქართველოში სახნავ-სათესად გამოსადეგი მიწა ყოველთვის ცოტა იყო; მიწის სავარგულების სიმცირე აპირობებდა სიმჭიდროვეს. XIX საუკუნის II ნახევარში მთელ რუსეთის ისტორიაში მოსახლეობის ყველაზე მეტი სიმჭიდროვით გამოირჩეოდა ქუთაისის მაზრა. ასეთ ვითარებაში მშრომელ მოსახლეობას უნდა ეზრუნა მემინდერობის ინტენსიფიკაციისათვის, რისთვისაც საჭირო იყო მიზანდასახული შრომა. ამ მხრივ დაგროვილი მდიდარი ემპირიული მასალა ცალკეული ეფექტური მეთოდების გამოუმუშავებისა გამოვლინდა ქართველ ეთნოგრაფთა სამეცნიერო კვლევა-ძიებისას. სისტემური კვლევით, დადგინდა, რომ მიწათმოქმედება წარმოდგენს ერთიან სისტემას, რომლის ცალკეული ელემენტები სეზონურად შეგუებულია ბუნების რიტმთან. საგაზაფხულო, საზაფხულო, საშემოდგომო და საზამთრო სამუშაოები კარგად ჩანს გლეხური საწარმოო კალენდრის მიხედვით. ამ სისტემის ცალკეული ელემენტები მიკვლეულია სწორედ ქართველი გლეხების შეუპოვარი ძიებით, როგორცაა, პურელის ხალხური სელექცია, სამიწათმოქმედო იარაღის ცალკეული სახეები: თოხი, სვანური კვერი, რაჭული სახვნელი, სამკალი იარაღი შნაკვი, ჩოჩილა ურემი, იმერული ფარცხი. ქართული სამიწათმოქმედო კულტურის ეს თავისებურებები შემთხვევითი არაა. ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად სამიწათმოქმედო კულტურის სიძველეზე და თვითმყოფადობაზე მიგვითითებენ ქართული და უცხოური წყაროები (ასირიული, ქალდეური, ებრაული, ბერძნული, ლათინური, სომხური და სხვა), აგრეთვე არქეოლოგიური განათხარი მასალები. ადამიანის შეგნებული შრომა, ცენტრალური ქართლის, კახეთისა და მესხეთის შერეული ტიპები და კოლხეთის განსაკუთრებული ბუნებრივი პირობები განაპირობებენ აქ მდ. მტკვრის, რიონის, ჭოროხის აუზებში სამიწათმოქმედო კულტურის განვითარებული ფორმების არსებობას. თუმცა აგრარული ყოფისა და კულტურის განვითარება არ მიდიოდა იზოლირებულად, არამედ მეზობელ ხალხებთან კონტაქტში ხდებოდა. ეს კულტურულ-ისტორიული კავშირი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ძველი მიწათმოქმედი ხალხებისა ნაჩვენებია ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების მიერ (ივ. ჯავახიშვილი, ვ. ბარდაველიძე, გ. მელიქიშვილი, გ. ჩიტაია, გ. ჩუბინაშვილი, ო. ჯაფარიძე და ა. შ.).

საქართველოში აგრიკულტურის შესწავლისას მოპოვებული შედეგები გვიკარნახებს, რომ ამ ხაზით საჭიროა მუშაობის გაფართოება, თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნების გათვალისწინება, რიგი თეორიული და პრაქტიკული სამუშაოების წარმოება. უპირველესად საჭიროა ძველადმოსავლეთის კვლევის ახალი მონაპოვრების გათვალისწინების საფუძველზე აგრიკულტურასთან დაკავშირებული საკითხების ინტენსიური შესწავლა.

ქართული ტექნიკური აზრისთვის კვლავ პრობლემად რჩება მთური მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაციის საკითხი. საჭიროა ამ მიმართებით ეთნოგრაფიული მუშაობის გაცხოველება და მის სამსახურში ჩაყენება.

აგროეთნოგრაფიის დარგში მუშაობის ხაზს განსაზღვრავს ადამიანის ფაქტორი. ამიტომ წინ უნდა წამოიწიოს ადამიანის სიმბიოზი მცენარეებთან და ცხოველებთან. საჭიროა ეკოლოგიისა და მეურნეობის ისტორიის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში წარმოჩენა, რადგან კონკრეტულ ბუნებრივ პირობებში ვამოცდილი და გამართლებული სამეურნეო საქმიანობა მკვიდრდება.

საჭიროა მომავალი მუშაობის სფეროს გაფართოება. ამ ხაზით უნდა გაძლიერდეს კავკასიის მოძმე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან კავშირი, მეცნიერული თანამშრომლობა და მიზანმიმართული კოორდინაცია, რიგი ერთობლივი პრობლემების დამუშავება. კერძოდ, ტერასული სისტემის გაღრმავებული შესწავლა, საქართველოს გარდა დაღესტნისა და სომხეთის მოქმედი და ნაშალი ტერასული მეურნეობის შემადგენელი ელემენტების, ასევე სოციალური და სულიერი კულტურის მოვლენების წარმოჩენა, ზოგადკავკასიური ბუნების მიგნება.

თანამედროვე პირობებში თავი იჩინა ტრადიციული ფორმების შემდგომი რაციონალიზაციისა და განვითარების საჭიროებამ, მეორე მხრივ, ზოგიერთი ტრადიციული ფორმის შეცვლის და რიგი სამეურნეო-ტექნიკურ სიახლეთა განვითარების აუცილებლობამ. ამ მიმართულებით, სიახლე იქნება ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება სამიწათმოქმედო სისტემაში შემავალა ცალკეული ელემენტებისათვის, კერძოდ, ლითონის იარაღების ქიმიური მეთოდებით დამუშავება.

სამრეწველო და ტექნიკური პროგრესის არნახული ტემპით ზრდა ქართული ეთნოგრაფიისაგან მოითხოვს ინტენსიური საკვლევადიებო მუშაობის ჩატარებას. თანამედროვე პირობებში, მეურნეობისა და წარმოების წესიც ძირფესვიანად შეიცვალა. წარმოიშვა თვისობრივად ახალი გავება, მეურნეობის ახალი ფორმები. ამასთანავე საქართველოს რიგ რეგიონებში საწარმოო-სამეურნეო დარგი ისევ ტრადიციულ ფორმებსა და პრინციპებს ემყარება. საშური საქმეა აქ მიმდინარე ეთნიკური პროცესების კანონზომიერებათა შესწავლა. მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკით გამოცდილი სასარგებლო ტრადიციული ჩვევების ადგილობრივი სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩაყენება, მეორე მხრივ, ზოგიერთი ტრადიციული, მაგრამ სადღეისოდ დრომოჭმული ფორმების შესწავლა და მათთან ბრძოლის კონკრეტული მეთოდების შემუშავება. ამ რიგის საკითხები დღის წესრიგში დააყენა რიგი სამეურნეო-ტექნიკურ სიახლეთა განვითარების აუცილებლობამ.

საქართველოსა და კავკასიის სამეურნეო იარაღების ისტორიისათვის

მისხური ჯილდა

1924 წლის ზაფხულში, ეთნოგრაფიული მოგზაურობის დროს, ქვაბლანის ხეობაში (მესხეთი) ჩვენ შემთხვევა გვექონდა მოგზაურობის სხვა ამოცანებთან ერთად მიწის მოხვნის კულტურას გავცნობოდით და სახენელი იარაღის ტიპები შეგვესწავლა. ამ ხეობაში, მიღებული წესის თანახმად, საყანე მუწების ერთი მესამედი ჩვეულებრივად ერთი წლით ისვენებს. დასვენებულ მიწას აქ უ რ წ ყ ა ვ ი ყ ა ნ ა ანუ კ უ რ ც ხ ა ლ ი² ჰქვია. ანულის ასეთ მიწას შესაძლებლად გაზაფხულზე, აპრილში ან მაისში, ჯერ გუთნით ან ჯილდით მოხნავენ, რასაც გათერძვა ეწოდება, შემდეგ მკათათვეში ჯილდით ან არონა // არუნათი ისევ მოხნავენ ანუ გაოშვენ, ხოლო სექტემბერში, როცა უკვე პურს „მიბარჩან“, მიწას არონა // არუნათი ჩახნავენ, ჩაღარავენ ან გახარვენ³.

გლეხების აზრით, გუთნით ან ჯილდით ხნულზე თესლი მიწაში ღრმად მოდის. „მიწა უფრო დაწულია, მას ჯანი მიეცემა მზისაგან“, ასე რომ, იგი „ნაკელის ყაიდაზე მოდის“. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ გლეხებს კარგად ესმით გუთნის უპირატესობა. მათი სიტყვით — ჯილდაში ხარებს უჭირთ, ისინი ხშირად შედგებიან ხოლმე, „გუთანში კი საათივით მიდიან“. მაგრამ გუთნას ამ უპირატესობით სარგებლობა მხოლოდ შეძლებულთ, ბევრი მიწის მქონეთ უხერხდებოდათ, ღარიბი და საშუალო გლეხი კი ჯილდითა და არონა // არუნით იოლს ვადიოდა. ყოველ შემთხვევაში ქვაბლანის ხეობა უმეტეს მოსახლეობაში ჯილდა საყოველთაო სახენელ იარაღს წარმოადგენს. (ტაბ. 14).

ჯილდა საკმაოდ თავისებური სახენელია, რომელიც დიდად მნიშვნელოვანია სახენელი იარაღის ისტორიისათვის საზოგადოდ და კერძოდ საქართველოში. მისი გავრცელების არეალი ამჟამად შემოფარგლულია ახალციხისა და

¹ გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლანში, „მომომხილველი“, ტ. I, 1926, ტფ., გვ. 137—156.

² უფრო ზუსტად კურცხალი მომკილ, მოთიბულ ყანას ჰქვია; მომკილი ყანის ადგილზე დარჩენილი ღეროების ნაძირალს. საბას მიხედვით (ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძის და ფროფ. აკ. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928), „კურცხალი (კრჩხალი) ორწელ უთესელი ნარბილი“-ა. შეად. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, ს. პეტერბურგი, 1846.

³ X. В е р м и ш е в, Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии, МИЭБГКЗ, т. 3, ч. 2, стр. 148; X. В е р м и ш е в, Земледелие у государственных крестьян Закавказского края СМЭБГКЗ, т. 4, ч. стр. 282.

ახალქალაქის მაზრებით და, როგორც დამოწმებულია⁴, იგი განსაკუთრებით სახმარი იარაღია ამ მაზრების ძირითადი, აბორიგენი მოსახლეობისათვის (მუსლიმანი, კათოლიკე და მართლმადიდებელი ქართველებისათვის).

ჩვენ მიერ ქვაბლიანის ხეობის სხვადასხვა სოფელში შესწავლილ, გაზომილ და ჩახაზულ ჯილდას შემდეგი ნაწილები შეადგენს: (ტაბ. 14, სურ. 3).

კ ბ ი ლ ა ი — სახენელი იარაღის ქუსლი, მთლიანი ხისაა, მომეტებულია რცხილის, ის წინ წაწვერილია, ბოლოსაკენ თანდათან მსხვილდება, განიერდება და ბოლოვდება ზემოთ აშვერილი ორი ყურიით. ქუსლის წვერზე წამოგებულია სწორგვერდებიანი სამკუთხა სახის სახენისი. კ ბ ი ლ ა შ ი ყურებთან ერთად თავით შევტად ჩაყენებულია მ ა ნ ქ უ ა (იფნის, რცხილის ან სხვა ხის), რომელსაც ზემო ნაწილში სახელური აქვს ჯილდის დედისათვის. ამავე ქუსლში შევტადვე ბოლო ნაწილით გაყრილია ხ მ ა ლ ა ი (იფნისა). რ ვ ი ლ ა ი (იმავე რცხილის ან იფნის) მთლიანია, ბოლოში მოხრილია, ხოლო ყელი მოღერებული აქვს. იგი ბოლოთი გაყრილია მანქუაში, ხოლო მის შუაწელში გაყრილია ხმალი. რვილას ყელთან აქვს კორა, რომლის შემწეობით იგი დამაგრებულია ფ ა მ ფ ა ლ ა კ ზ ე.

ფამფალაკი შედგება დ ე რ ძ-გოგორების შოლტისა და უღლისაგან. ღერძის ბოლოებში გაყრილია გოგორები. გოგორები ორივე ერთი ზომის არის. გოგორას აქვს ხუნდი (მთლიანი ხე), ფერსოები (ოთხი ცალი — ფერსოს მასალა ბუნებრივად მოგრებილი ხეა, წიფელი ან ლეკი) და სოლები (12—16 ცალი). ღერძის თავში გოგორას დასამაგრებლად ჭილიმილია ჩასმული (ნაჩვრეტში). ღერძშივე შუაზე შოლტის ბოლოა გაყრილი, რომელიც ჭ ა ნ ქ ი ქ ე ბ ი თ ა ა დამაგრებულია.

შოლტაი მთლიანი დაკუთხული ხეა — „ძეწნა“, არჩი, მუხა, შავი ხე ან „ღცილა“, რომელსაც ბოლოსთან აქვს ამოჩვრეტილი საუღლის გამოსამაგრებელი (საუღლე—ჯამბარა ჩვეულებრივად ხარის ტყავისაა). შოლტის პირზე ორი წაფელია ამოჭრილი მეხრისათვის შოლტაზე დგომის გამაადვილებლად, აქვეა კორა ჭენჯილის გამოსაბმელად (ჯენჯილი რკინისაა და ახალციხიდან მოაქვთ). თავში შოლტას აქვს ორი ჭ ა ნ ქ ი კ ი და ასაბმელი შოლტაზე უღლის დასამაგრებლად. აქვე ჰკიდია რკინის ან წნულის ჩამოსაკრავი, რომელშიაც ჭენჯილია გაყრილი იმ მიზნით, რომ წინა უღლის ხარების გადახვევ-გადმოხვევის დროს საძირის ხარებს ჭენჯილი ფეხებში არ გამოედოს.

შოლტაზე დამაგრებულ უღელს აქვს: კოტეები (ასაბმელის დასამაგრებლად), უღლის ხე, ტაბიკები და აპეურები. უღლის ტაბიკები ჩვეულებრივად მუხის ან ურძანისგან კეთდება. ამ უკანასკნელი ხის ტაბიკი, ქვაბლიანის გლეხების აზრით, ხარებს ავი თვალისაგან იცავს. აქვე თქვეს: გადმოცემით ვიცით, კოწახურის ტაბიკებიც კარგია ავი თვალის საწინააღმდეგოდ.

შოლტაზე დამაგრებულ უღელს აქ საგურავი უღელი ჰქვია. იგი წინა ხარების უღელთან შედარებით მოკლეა და რამდენადმე მოხრილი, რათა ხარებმა კვალში იარონ, გოგორები კვალს მიჰყვეს და მით ჯილდამ „რიგიანად და წმინდად მოხნას“. წინა უღლებს საწყები უღლები ჰქვია. ჯილდაში ჩვეულებრივად სამი ან ოთხი უღელი ხარი შეეხმის.

⁴ X. В е р м и ш е в, Экономический быт государственных крестьян..., стр. 141—148; მისივე, Земледелие у государственных крестьян..., СМНЭБГКЗ, т. IV



ჯილდა ადგილობრივ მზადდება. ხის მასალა მახლობელი ტყეებიდან მო-
 აქვთ. ამ სახენელი იარაღის გასაკეთებლად შემდეგი იარაღები (აჯათი) იწ-
 მარება: 1. ფეხეჩო (შეადგენს — პირი, სალტა, სოლი და ტარი);
 2. ხელეჩო (ყუაზე დაწეწილია, რომ ლურსმანი კარგად მოეცილოს);
 3. ცული (თურჩიბალთა); 4. ქართული ცული; 5. ნაჯახი (იგივე
 თურქული ცული, მხოლოდ ზომით მცირე); 6. სატეხი; 7. ბურღი (აქვს
 წვერი, ფრთიები, ხოვილი). აქ ჩამოთვლილ იარაღებს პირზე ჩი-
 ლიკი (ფოლადი) აქვს გადაკრული; 8. თოხმახი (მთლიანი ხისაგან —
 იფნი).

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ ქვაბლიანის ჯილდას ეთანატოლება ის სახე-
 ნელი იარაღი, რომელიც დამოწმებული აქვს ა. პეტცოლდს ახალციხის მიდ-
 მოებისათვის თავისი მოგზაურობის დროს ამ მხარეში (1863—1864 წწ.)⁵. მია
 ნაწრომში მოყვანილი არის ამ იარაღის როგორც აღწერილობა, ისე სურათაც
 (სურ. 13). მსგავსად ქვაბლიანის ჯილდისა ა. პეტცოლდის ზემოთ მითი-
 თებულ სახენელ იარაღსაც აქვს ყურებიანი ქუსლი—წინ წაწვერილი, ბოლოსა-
 კენ დამსხვილებული და განიერი; მას აქვს აგრეთვე ფამფალაკიც. აღწერილობაში
 პეტცოლდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ იარაღის ქუსლს და აღ-
 ნიშნავს მის თავისებურებას, რაც ქვაბლიანის ჯილდის თავისებურებასაც შე-
 აღგენს.

პეტცოლდი წერს: „Die sohle dieses Hackens hat eine ganz eigentü-
 mliche Gestaltung. Sie ist aus einem starken stück noiz in der Art gefe-
 rtigt, dass sie nach ninten zu bedeutend breiter und dicker wird, und, indem
 sie sich nach hinten und oben krümmt, zwei seitlich abstehende Flügel
 oder Ohren bildet, welche die teilweise Rolle von Streichbrettern zu über-
 nehmen im Stande sind.“

სამწუხაროდ, არც ამ ამონაწერში და არც სახენელი იარაღის აღწერილო-
 ბის სხვა ადგილებში პეტცოლდი არ იძლევა იარაღის ადგილობრივ სახელწო-
 ლებას. მაინცა და მაინც არც თუ ავტორის მიერ ამ ფამფალაკიანი სახენელი
 იარაღისათვის მიკუთვნებული გერმანული ტერმინი Haken-იც გამოდგება.
 მაგრამ ამ გარემოებას, სახენელი იარაღის სახელწოდების მოუცემლობას, რო-
 გორც ამას ქვემოთ ნათლად დავინახავთ, სახენელი იარაღების სახის შემს-
 ვავსებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ყოველ შემთხვევაში პეტცოლდის მიერ
 ახალციხის მიდამოებში დამოწმებული სახენელი იარაღი⁶ ეჭვმიუტანლად ქვა-
 ბლიანის ჯილდის ტიპის სახენელი იარაღია.

პეტცოლდისაგან დამოუკიდებლად ვერმიშევიც აღნიშნავს ჯილდის კონს-
 ტრუქციის თავისებურებას. ვერმიშევის მიხედვით, ეს თავისებურება ჯილდას

⁵ A. Petzoldt, Der Kaukasus. Eine natur-historische sowie and und volkswir-
 schaftliche studie, 2—er B., Leipzig, 1867, 126—127.

⁶ A. Petzoldt, op. cit.

ყურიან ქუსლზეა დამყარებული⁷. ამ ავტორის ნაკლებოვანი აღწერილობიდან გარკვევით არ ჩანს, მის მიერ ნაგულისხმევი ჯავახურ-მესხური ჯილა ფამფალაკიანია თუ არა, ამასთანავე, იმავე ავტორის აზრით, ჯავახურ-მესხური ჯილა მთელს ამიერკავკასიაში, ახალაქალაქ-ახალციხის გარდა, ერევნის მაზრაში იხმარება⁸. ვერმიშევი თავისი აზრის დასამოწმებლად მიუთითებს ფ. მარკოვის შრომაზე⁹ მაგრამ, მარკოვის აღწერილობის მიხედვით, ერევნის მაზრაში ხმარებულ „ჯილის“ (Джилги) მესხურ ჯილასთან ასეთი კავშირი არ აქვს. ერევნის მაზრის ჯილი წარმოდგენილია უფამფალაკოდ და, რაც მთავარია, მისი ქუსლი უყუროა. სამაგიეროდ, მას გუთნის მსგავსად აქვს ფრთა. ამიტომ ერევნის მაზრის ჯილი მესხურ ჯილას უფრო სახელწოდებით ემსგავსება, ვიდრე კონსტრუქციით და კონსტრუქციის ელემენტებით.

საბას ლექსიკონის განმარტების მიხედვით, წინააღმდეგ ერევნის მაზრის ჯილისა, „ჯილა უფრო ერქვანია“, რომელსაც „ოთხი ან ხუთი უღლეური მოებმის“¹⁰, საბას განმარტება ჯილასათვის უთუოდ გულისხმობს ფამფალაკს (შეად. აქვე, შენიშვნა 10), ხოლო იგულისხმება თუ არა ჯილის ქუსლისათვის ყურები, ახსნიდან ეს არ ჩანს.

მაგრამ ჯილა, როგორც სახენელი იარაღის სახელწოდება, შენახულია აგრეთვე აჭარაშიც. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცულია აჭარის ჯილის სურათი (განაზომებით). იგი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული კავის ჩვეულებრივ ტიპს. მხოლოდ მისი უყურო ქუსლი კუთხუთხიანია და გვერდებზე საქლეში აქვს დაკრული, ფამფალაკი მასაც აღარ აქვს (ტაბ. 15).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან (სახელწოდება ჯილა — ქვაბლიანში, ერევნის მაზრაში, საბას ლექსიკონში და აჭარაში) აშკარად ჩანს, რომ ერთი და იმავე სახელწოდებით სხვადასხვა სახის სახენელი იარაღია აღნიშნული. ამიტომ მხოლოდ სახენელი იარაღების კონსტრუქციული და ფუნქციონალური თავისებურებების გარკვევით ხდება შესაძლებელი მათი ტიპისა და განვითარების საფეხურების დადგენა¹¹.

⁷ ვერმიშევის აღნიშნული აქვს, თითქოს ყურები მიმაგრებულია ქუსლის ბოლოზე; („Особая широкая деревянная дугообразная часть приклепленная к концу подошвы в перпендикулярном направлении“) პეტკოლდის აღწერილობისა და ჩვენი დაკვირვების თანახმად, ყურები ქუსლთან ერთად მთლიანი ხისაა.

⁸ Х. В е р м и ш е в, Земледелие..., стр. 263.

⁹ Ф. М а р к о в, ЭБГК Эриванского уезда, МИЭБГКЗ, I, III, г. I, стр. 88—89.

¹⁰ საბა, ლექსიკონი. სიტყვების ქვეშ ჯილა და ერქუანია. „ფთე — ერქუანთ საგვერდული ფიცარია“; „ერქუანი — კარმრავალბმული“ სახენელი იარაღი და „ყოველთავე“ სახენელი იარაღის „სახელი ზოგად“.

¹¹ რა კავშირი აქვს ჩვენს ჯილასთან თურქულში მოცემულ სიტყვა *ჟილ-სი*, რომელიც ლექსიკონში ასეა განმარტებული: „an extra yoxe of ofen used in qoinq upa hill“ — ცალკე განხილვას მოითხოვს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ალბულაღის რაიონის ოსებში სახენელი იარაღის სახელწოდებად მიღებული სიტყვა *აჯილა*, თუ ამ დასახელებაში გაუგებრობას არ აქვს ადგილი (გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან ალბულაღის რაიონში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, ტფ., 1928, გვ. 212—214).

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენად საინტერესო სახენელი იარაღი მესხური ჯილდა თავისი კონსტრუქციის მიხედვით. ფამფალაკის შემწეობით იგი გუთნის კონსტრუქციის თავისებურებას ატარებს და უფროთობის გამო აჩაჩა-კავს უახლოვდება. სამაგიეროდ, თავისი ყურიანი ქუსლის გამო მესხურა ჯილდა სრულიად თავისებურ გუთან აჩაჩა-კავისაგან განსხვავებულ კონსტრუქციულ ელემენტებს შეიცავს.

ამ კონსტრუქციულ თავისებურებაზეა დამყარებული მესხური ჯილდის განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულებაც.

როგორც ცნობილია, აჩაჩა-კავის ტიპის სახენელი იარაღი ხვნის დროს მიწას ათხრის ხოლმე, გუთანი კი, გარდა იმისა, რომ ღრმად ხნავს, მოხნულ ბელტებს აბრუნებს და რამდენადმე ფშენის კიდევც. მესხური ჯილდის ფუნქციონალური უპირატესობა, აჩაჩა-კავთან შედარებით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხვნის პროცესში მოხულ მიწას აბრუნებს. ამ დანიშნულებას იგი ასრულებს ყურიანი ქუსლის შემწეობით. მას შემდეგ, რაც ათხრილი მიწა ქუსლზე მოექცევა, მას ხმალა ორად გაკვეთს და ქუსლის ყურებისაკენ დატურდება — აშვერილი ყურების შემწეობით ბელტი გვერდზე გადაწევა და რამდენადმე პირით ქვეშ მოექცევა. რასაკვირველია, ამ პროცესს მესხურა ჯილდის ქუსლ-ყურები საკმაოდ პრიმიტიულად ასრულებენ გუთნის ფრთასთან შედარებით, მაგრამ ეს მთავარი არ არის. ამის არსებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მიზნად არის დასახული ქუსლისა და მისი ატრიბუტების გამოყენებით მიღწეულ იქნეს კონკრეტული ამოცანის შესრულება. სახენელი იარაღის ამგვარი გამოყენება ჩვენ მოცემული გვაქვს არა მარტო მესხურ ჯილდაში, არამედ ზოგიერთ სხვა უფამფალაკო აჩაჩა-კავის ტიპის სახენელ იარაღებში და კერძოდ მესხურ არონაი // არუნაიშიც.

მესხური არონაი // არუნაი

მესხური არონაი // არუნაი ჩვენი მოგზაურობის დროს შესწავლილ (გაზომილ და ჩახატულ) იქნა ქვაბლიანის ხეობის სოფ. არალში (ტაბ. 15, სურ. 2). მას შეადგენენ: სწორგვერდებიანი რკინის სახნისი, კბილაი, რომელსაც ბოლოში წყვილი ყური აქვს, როგორც მესხური ჯილდის ქუსლს. ქუსლში, ერთი მხრით, გაყრილია ხელნა, ხოლო, მეორე მხრით, ხმალაი. რვილას ნაცვლად არონაი//არუნაის აქვს ბოლომოხრილი მხარი. მხარი ბოლოთი გაყრილია. ხელნაში, ხოლო მხარში თავის მხრით გაყრილია ხმალა. მხარი რვილასთან შედარებით გრძელია, მის თავზე დამაგრებულია უღელი ხარებისათვის ჩვეულებრივად არონაი // არუნაიში ყვეარი ხარია ხოლმე გაბმული (ტაბ. 23, სურ. 2) შეად. ფოტო სურათი.

(K. Weule, Leitfaden der völkercunde, Leipzig und wien, 1911, Taf. 20.)¹² იგი მესხური ჯილდის მსგავსად შეძლებისდაგვარად მიწას თხრის და კიდევც აბრუნებს. ამიტომ მისი ფუნქცია მესხური ჯილდის ფუნქციას შეიცავს. ცხადია, არონაი // არუნაის ღრმად ხვნა ისე არ ეხერხება, როგორც ჯილდას, მაგ-

¹² თუმცა აქ მოცემულ სურათს ზოგადი სახელწოდება აქვს მიწერილი Askerbestellung in Crusion (kaukasus) მაგრამ სახენელი იარაღის სახის, მხენელების ტიპების და სოფლის ლანდშაფტის მიხედვით კარგად ჩანს, რომ იგი მესხურ არონაი // არუნაის გამოხატულებას იძლევა.

რამ იგი ფამფალაკის გარეშე, კონსტრუქტიულად არსებითად მესხურ ჯილღასთანაა დანათესავებული (შეად., კონსტრუქტიულად ხუნძახური სახენელი იარაღი)¹³.

ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია ვერმიშევის აზრი მესხური არონაი // არუნაის და შორაგელის მაზრის *აღიღ*-ის იგივეობის შესახებ¹⁴. ამ ორ სახნავ იარაღს შორის მსგავსება შეიძლება მხოლოდ სახელწოდებაში იყოს, კონსტრუქტიულად და ფუნქციონალურად კი ესენი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან.

შორაგელის მაზრის *აღიღ* წარმოადგენს ისეთ სახენელ იარაღს, (ტაბ. 27 სურ. 1.) რომლის მხარი თავისი ბოლოთი დაკრულია ქუსლზე და ხელნაც მხარშია გაყრილი. ეს გარემოება დიამეტრალურად ასხვავებს *აღიღ*-ს მესხური არონაი // არუნაისაგან და ტიპოლოგიურადაც სხვაგვარ კვალიფიკაციას მოითხოვს¹⁵. ესეც რომ არ იყოს, შორაგელის *აღიღ*-ს არ გააჩნია ყურები და არც ქუსლი აქვს იმ სახის, რომ მესხური არონაი // არუნაის ფუნქციონალური დანიშნულება სავსებით შეასრულოს.

რაც შეეხება სახელწოდებას *აღიღ*-ს არონაი // არუნაი (საბას მიხედვით, არონა ყევაარი ხარის სახენელ იარაღს ეწოდება), იგი აქაც, ჯილღის მსგავსად, არ იძლევა მტკიცე დასაყრდენს სახნავი იარაღის კონსტრუქციისა და ფუნქციის მის სახელწოდებასთან შესათანხმებლად.

ცნობილია, რომ *აღიღ* ინდოევროპული ძირის სიტყვაა, რომელიც სახენელი იარაღის სახელწოდებად გავრცელებული იყო და არის ინდოევროპულ ხალხებში¹⁶. მაგრამ ამ ძირისგან ნაწარმოები სიტყვით აღინიშნებოდა და ეხლაც აღინიშნება უმეტეს შემთხვევაში აჩაჩა-კავის პრიმიტიული სახის სახენელი იარაღები. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ძირის სიტყვას დაწინაურებულ მესხური ჯილღა არონაი // არუნაის სახის სახენელ იარაღთან.

როგორც ფიქრობენ, რომში „ყურებიანი“ სახენელი იარაღი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში შემოიღეს (ტაბ. 26, სურ. 2), რომ ამას რაიმე კავშირი ჰქონდეს მესხურ ჯილღა-არონა//არუნაისთან, ძნელი წარმოსადგენია. და ეს არა ამიტომ, რომ ამას რომისა და ქართველური ტომების კულტურული ურთიერთობა ეწინააღმდეგებოდეს—ამ მხრივ ისტორიული ფაქტები კულტურული

¹³ იხ. ამ სახენელი იარაღის სურათი: E. Zichy, Voyages au Caucase et en Asie centrale, 1, Budapest 1897, pl. XLI, 3; Byhan, kaukasien, Ost und Nordrussland, Finland, Buchan—illustrirte Völkerkunde—11,2 Stuttgart, 1926, გვ. 788. ზიჩის წიგნში უღელი მხარზე დაკრულია ქვემო ზეწრით, რაც შეცდომაა, ამასვე იმეორებს ბიჰანის სურათიც.

¹⁴ X. Вермишев, Экономический быт..., стр. 140. ვერმიშევი მესხურ არონაი/არუნაის აღნიშნავს ტერმინით „ароп“, რაც სწორი არ არის.

¹⁵ შეადარე აღბულაღის რაიონის სახენელი იარაღების ტიპოლოგია (გ. ჩიტიაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, 1928, ტფ., გვ. 218). ვსარგებლობთ შემთხვევით და აღნიშნავთ, რომ ტიპოლოგია არ იძლევა საკვლევო ობიექტის ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას და მით უფრო არც გენეალოგიას.

¹⁶ R. Braungart, Die Urheimat der Landwirtschaft aller indogermanischen Völker an der Geschichte der Kulturpflanzen und Ackerbaugeräte in Mittel—und Norddeutschland nachgewiesen, neidelberg 1912, p. 139. „Araror, arbo, ardes, aad“.

ურთიერთობის სასარგებლოდ ლაბარაკობს: მაგრამ აქ სულ სხვა მოსაზრებებია მხედველობაში მისაღები: ჯერ ერთი — „ყურებიანი“ (binae aures) სახენელი იარაღი რომშიც უცხოეთიდან შენაძენი კულტურული ელემენტია (ციზალპინის გალიიდან შემოდის). მეორე binae aures რომულ სახენელ იარაღს ქუსლის შუა წელზე აქვს მიმაგრებული, იგი დამატებულ ელემენტია ქუსლზე, — მაშინ, როდესაც მესხური ჯილდა-არონი // არუნის ყურები ქუსლის ბოლოშია მოქცეული და ქუსლთან ერთად მთლიანი ხისგანა გამოთლილი. ეს უკანასკნელი გარემოება უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სახენელი იარაღის კონსტრუქციული და ფუნქციონალური ნაკლის დაძლევა ამავე იარაღში მოცემული ელემენტის შინაგანი გაუმჯობესების გზით არის შესრულებული. ის გარემოება, რომ საქართველოში სახენელი იარაღების ქუსლის მრავალი ვარიანტია მოცემული — ამავე აზრს უფრო მეტად ცხადყოფს. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ ყურებიანი ქუსლის სახენელი იარაღის წარმოშობა (მესხური ტიპის ჯილდა არონი // არუნაი სპონტანური მოვლენა და არა სესხების გზით მიღებული, ამ წარმატების ძირი ადგილობრივ არის საძებარი. კიდევ მეტი: სახენელი იარაღის (გუთნის) კონსტრუქციაში ფრთის გაჩენაც ამ გზით უნდა იქნეს გამოკვლეული¹⁷.

სახენელი იარაღების ქუსლის ზოგიერთი ვარიანტისათვის

სახენელი იარაღის ქუსლის ერთ-ერთ საინტერესო ვარიანტს რაჭული სახენელი იძლევა. სახენელის მოდელი ჩვენ ჩამოგვიტანა (სოფ. ზნაკვადან) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ლ. ტურძელაძემ. სახენელს შეადგენენ: ქუსლი, ხელა, კავი, წინმავალი, სახნისი, ჯამბარა და უღელი.

ამ სახენელი იარაღის ქუსლი იმ რიგად არის გაკეთებული, რომ სახნისით ახბრილი მიწა ქუსლის გვერდებს აჰყვეს და ქუსლის ბოლოში გვერდზე გადაწვეს. ამ მიზნით თავში წაწვერილი ქუსლი ბოლოსაკენ თანდათან მალღებდა და გვერდებიც გუთნის ფრთის სიბრტყის სახეს ღებულობს. სახენელის ქუსლს რომ მიზნად მიწის გადაბრუნება აქვს დასახული, ეს იქიდან ჩანს, რომ, როდესაც ქუსლს ამ ოპერაციის შესრულება უჭირს, მხენელი ხელით შველის მიწის ბელტს გადაბრუნებაში. ქუსლი კეთდება მთლიანი ხისგან, სიმსუბუქისათვის მის ძირში ღარია ამოღებული.

ქუსლის გარდა სახენელს საინტერესო აქვს კავი. კავის თავში რიკებით დამაგრებულია წაწანა ანუ წინამავალი; ამ უკანასკნელს აქვს ნიკბები ჯამბარას გამოსაბმელად, რომელზედაც მოშორებით უღელი ხარი გაებმის.

ხნის დროს როდესაც სახნისი მიწაში მუშაობს, წაწანა მიწის ზედაპირზე დადის, ხოლო ქუსლის ბოლო შესაფერისად ზევით არის ახბრილი. სახენელს დასაველებლად ან დასავეკებლად ორი საშუალება გააჩნია: ქუსლის ამალღება ან დაშვება ქუსლის სოლის შემწეობით (ქვემოდან) და ჯამბარასათვის ნიკბის გამოცვლა.

¹⁷ R. Braungart, Die Ackerbaugeräte in ihrem praktischen Beziehungen, neidelberg, 1887.

ეს სახენელი იარაღი პეტცოლდსაც აქვს აღწერილი და ჩახატული¹⁸. პეტცოლდი აღნიშნავს სახენელის ქუსლის განსაკუთრებულ თავისებურებებს. მისი აღწერის მიხედვით, ქუსლი არ მარტო გუთნის ფრთის მოვალეობას ასრულებს, არამედ ზურგის წიბურის შემწვობით ხმალას მოვალეობასაც¹⁹.

საზოგადოდ პეტცოლდს ეს სახენელი ფრიად ღირშესანიშნავ იარაღად მიაჩნია. სამწუხაროდ, რამდენადაც პეტცოლდის მიერ ამ იარაღის აღწერილობა ქუსლის მიმართ დეტალურია, წაწანა-წინმავალას შესახებ მას მეტად მცირე ცნობები მოეპოვება. სურათის მიხედვით იქ კავი და წაწანა ხელნას ჰორიზონტზეა მოცემული, რომლის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ წაწანა-წინმავალა სახენელის მუშაობის დროს მიწაზე კი არ დადის, არამედ მის ზემოთ ხელნა-კავის ჰორიზონტალური ხაზით მუშაობს. ამას აგრეთვე ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ პეტცოლდი წერს: „Die zugtiere werden unmittelbar an den, vorderen Teil des hackenbaumes angespannt“ (op. cit., p. 130). ეს შეცდომაა. უფლის ხარები რომ უშუალოდ სახენელის კაცს-წაწანას მოებას, მუშაობის დროს სახენელის ქუსლი და სახნისი წამოყირავდება და ხენას ვერ შეძლებს²⁰.

ამგვარივე საგულისხმო ქუსლი აქვს სვანურ ჰან ც ვ ი შ - ს ა ც. იგი თითქმის იმგვარივეა, როგორც რაჭული სახენელის ქუსლი (ტაბ. 10 სურ. 2). აღსანიშნავია, რომ სავსებით თავისებური ქუსლის ტიპები მესხეთსა, რაჭასა და სვანეთშია დაცული. ეს შეხვედრა თავისთავად მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს.

მიუხედავად ამისა, ქუსლის სხვადასხვა ვარიაციები სხვა კუთხის სახენელ იარაღებსაც ახასიათებს. ამ ვარიაციებს ფუნქციონალურად სხვადასხვა დანიშნულება აქვთ დაკისრებული და კონსტრუქციულადაც მნიშვნელობას მოკლებული არ არიან, მაგალითად, ფშაური აჩაჩის, ორხელასი, იმერული კავის, აჭარულ ჯილას ქუსლი და სხვა. სახენელი იარაღების ქუსლის ვარიაციების სიმრავლე იმას მოწმობს, რომ ქუსლის გაუმჯობესების ცდებს აქვე ჰქონია ადგილი და სპონტანური ხასიათის ყოფილა. ამიტომ მესხური ჯილა არონაი // არუნაის ყურებიანი ქუსლის წარმოშობაც უთუოდ შეიძლება სპონტანურობის ნიშნად იხსნას.

¹⁸ A. Petzoldt, op. cit.

¹⁹ A. Petzoldt, op. cit.; მკვლევარი სახენელს ქუსლს ასე აღწერს: „Was insbesondere die Sohle anlangt, so ist sie aus einem massiven stück holz herausgearbeitet, und stellt einen dreiseitigen keil dar. Die untere Fläche dieses keiles verläuft, von der spitze des keiles ausgehend, anfangs in horizontaler richtung, und nur zuletzt erst sie sich hinten noch und steil in die höhe. Die beiden nach oben gerichteten. flächen dieses keiles dagegen bilden, indem die eine nach rechts, die andere nach links geneigt ist, ein von vorn nach hinten immer höher ansteigendes dach, von dessen oberfläche die erde sehr gleichmassig zu beiden seiten der gemachten furene abfällt. Die von dem zusammenstoss dieser beiden flächen gebildete kante spielt dabei, was nicht zu übersehen ist, die rolle eines sech. Ubrigens ist der hintere theil dieser keilförmigen sohle nicht massiv, sondern von da ab, wo die erstbeschriebene untere fläche anfangt nach hinten zu aufzusteigen, ist der holzkeil ausgehöhlt, wodurch das ganze geräth leichter wird“ (op. cit., p. 130).

²⁰ ამგვარივე შეცდომა განმეორებული აქვს „სახენიელის“ სურათზე ს. მაკალათიას (მთის რაჭა, ტფ., 1929, გვ. 30), აქაც სურათიდან არ ჩანს, რომ სატარას წინა ნაწილი მუშაობის დროს მიწაზე დადის, თუმცა ამას გვაფიქრებინებს, ერთი მხრით, სატარას სახელწოდება და, მეორე მხრით, წაწანაზე გამოხმული ჯენჯილი. ს. მაკალათიას ტექსტში სახენელის აღწერილობა არ მოიპოვება.

ამგვარად, აქ განხილული მასალა შემდეგ დასკვნებს იძლევა:

1. სახენელი იარაღების სახელწოდება უმეტეს შემთხვევაში არ შეესიტყვება სახენელი იარაღების კონსტრუქციულ და ფუნქციონალურ რაობას. ადგილი აქვს ერთისა და იმავე სახელწოდებით სხვადასხვა კონსტრუქციისა და ფუნქციის, სხვადასხვა ტიპისა და განვითარების სხვადასხვა საფეხურის სახენელი იარაღის დასახელებას. ამიტომ მთავარი მნიშვნელობა სახენელი იარაღის ისტორიისათვის ამ იარაღების კონსტრუქციისა და ფუნქციის გამოკვევას ენიჭება.

2. მესხური ჯილდისა და არონაი// არუნაის კონსტრუქციულმა და ფუნქციონალურმა შესწავლამ აღმოაჩინა, რომ ამ იარაღების სახით ჩვენამდე მოღწეულია მეტად საყურადღებო, თავისებური და სახენელ იარაღთა ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ტიპი. ეს თავისებურება ამ იარაღების ყურიან ქუსლშია მოქცეული, რომლის ფუნქციონალური დანიშნულებაც თავისებურია.

3. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახენელი იარაღების ქუსლი მრავალი ვარიაციითაა წარმოდგენილი.

4. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახენელი იარაღების ქუსლის მრავალი სახით არსებობა გვაფიქრებინებს, რომ მესხური ჯილდისა და არონაი²/ არუნაის თავისებურება — ყურიანი ქუსლი — ადგილობრივად წარმოშობილ, სპონტანურ მოვლენას წარმოადგენს.

1930 წ.

ქსნური მთის გუთანი

ენიმკის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს ქსნის ხეობას მთიან ზოლში¹, 1938 წლის შემოდგომაზე, ჩვენ დავადასტურეთ სახენელი იარაღის ერთი სახე, რომელიც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დღემდე გარკვეული არ არის. ამ სახენელ იარაღს აქ სხვადასხვა სახელი ეწოდება. სახელდობრ, აჩაჩა-გუთანი (ს. ლარგვისი, ს. ხარბალი), მთის-გუთანი. (ს. დადიანეთი—ხადილანი, რევაზიანი, შალიანთ-კარი, წინა-დადიანეთი)² და გუთონ (ს. ხრომის წყარო — ოსებში)³.

სოფლებში სახელწოდება აჩაჩა-გუთანი ამ მიწისმოქმედების იარაღს განეკუთვნება იმდენად, რამდენადაც მას ჩვეულებრივი აჩაჩის, განსაკუთრებით ეგრეთწოდებული ფშაური აჩაჩის⁴, ქუსლის მსგავსი ქუსლი აქვს. საგულისხმოა, რომ ქსნის ხეობის ზოგიერთ სოფელში აჩაჩა-გუთნის ქუსლს გუთანი და გუთონ (ოსებში) ეწოდება. ეს სახენელი იარაღი ჩვეულებრივს, ბარულ გუთანს მიემსგავსება თავისი მოკლე მხრით, მთის-გუთანი მას ეწოდება განსხვავებით ბარული, დიდი გუთნისაგან, რადგანაც სოფლების განმარტებით: მთის გუთანი საცალკელი სახენელია, ხოლო დიდი გუთანი საორკელი⁵.

რაც შეეხება ოსებში დამოწმებულ სახელწოდება გუთონს ის ქართულში მოცემული ტერმინის—გუთნის შესატყვისია.

შემოდასახელებული სახენელი იარაღი—აჩაჩა-გუთანი, მთის-გუთანი, გუთონ—გაბატონებულია ქსნის ხეობის მთიან ზოლში; ის, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, თავისი კონსტრუქციით პირველ რიგში მთის ზოლის მიწის-

1 შდრ. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ტფ., 1904, გვ. 100; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, ტფ., 1930, გვ. 27; შმდ. ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერის დავთრების მიხედვით.

2 საყურადღებოა, რომ აქ სოფლები უმეტესწილად ხეობებს აღნიშნავენ, რომლებსაც აქვთ საკუთარ უბნები. მაგ., ცხავატურას ხეზე გაშლილ მოსახლეობას სოფ. ცხავატი // ცხავატი ეწოდება. ის შვიდი, ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებული, უბნისაგან შედგება: 1. წინაუბანი, 2. გოგიაანი, 3. ჩუმაანი, 4. ყივტკარი, 5. გოგჩიანი, 6. სუხანი, 7. ღაოლეთი. ასევე დადიანეთი 1. წინა დადიანეთი, 2. რევაზიანი, 3. შალიანთკარი, 4. ხადილანი. ხეობის უბნები ურთიერთშორის ეკზოგამურობის წესს იცავენ.

3 ქსნის ხეობის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. იხ. გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის 1938 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის მოკლე ანგარიში, ენიმკ-ის მოაპზე, ტ. IV, ნაკვ. 3.

4 აჩაჩის სურათები იხ. გ. ჩიტაია, მოგზაურობა ალბულახის რაიონში, სმმ, ტ. 4, ტფ., 1928.

5 კ. შალიკოვის აღწერილობაში (Описание ксанского участка, ЭҚОРГО, XVI, 1984) მოხსენებული малыни плугами ქვეშ ეგების მთის გუთანი იგულისხმება. გვ. 255.

მოქმედებასთანაა შეფარდებული და ამდენად მას უფრო მეტად შეეფერება სახელწოდება მთის-გუთანის, ხოლო იმ მიზნით, რომ ეს სახენელი იარაღი თავისი სახელწოდებით განსხვავდებოდეს რაჭული სახენელი იარაღისაგან, რომელიც, როგორც ერთ ჩვენს ადრინდელ ნაშრომში⁶ დავრწმუნდით, აგრეთვე მთის-გუთანია, შეფარდებული ფერდობის ნიადაგთან, რელიეფთან, და სპეციფიკურ პირობებთან. — მას ქსნური მთის-გუთანის უნდა ეწოდოს. (ტაბ. 19).

ქსნური მთის-გუთანის ტიპური ეგზემპლარი ჩვენ მიერ შესწავლილი იყო ს. დადიანეთის ერთ-ერთ უბანში, სახელდობრ ხადილანში. ამ სახენელ იარაღს აქვს (ტაბ. 19):

1. მ ხ ა რ ი // მ ვ ა რ ი, იფნისა; ოთხკუთხედად გათლილი, მოხრილი ხე, რომელიც ბოლოში ოდნავ განიერია, ხოლო თავში ვიწრო. მხარის სიგრძე — 130 სმ, უდიდესი სისქე — 10×10 სმ; მოხრილ კუთხესთან ქუსლში გაყრილი მხარის ნაწილი — 35 სმ. სიგრძის. მხარისათვის მასალა მოიპოვება ტყეში ბუნებრივად მოხრილი ხეების სახით. მხარი თავის ბოლოთი ქუსლშია ჩამჯდარი. მას შუაში წელზე აქვს ნაჩვრეტი სასაკვეთელი, რომელშიც საკვეთელი გაეყრება ხოლმე. გარდა ამისა, მხარს თავთან აქვს ნაჩვრეტი, რომელშიც საცორავია გაყრილი. მხარის თავზე ჩხირებით მიმაგრებულია წრწენა.

2. წ რ წ ე ნ ა, ხისგან გამოთლილი კაკუჭია, რომლის სიგრძეა 40 სმ წრწენა თავისი ჰორიზონტალური ნაწილით მხარის თავზეა მიმაგრებული ქვემოდან ორი ჩხირით. მის წინა ნაწილს აქვს ნაჩვრეტი, რომელშიც ჩვეულებრივად გაყრილია წნელის რგოლი მასზე ჯამბარის გამოსაბმელად. ზოგჯერ ეს რგოლი რკინისაა.

გარდა ამისა, წრწენას ქვემოთ დაკრული აქვს ბრტყელი რკინა, ეგრეთწოდებული მხარის რკინა ანუ საცვეთი. საცვეთი უკეთდება იმ მიზნით, რომ წრწენა მიწაზე ცურვით არ გაცვდეს. წრწენას დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს სახენელის მხარის მოძრაობას იმ მხრივ, რომ მხარის თავი ადვილად ჩაჰყვეს და ამოჰყვეს მიწის უსწორმასწორო რელიეფს. წრწენა მიწაზე მიცურავს მაშინ, როდესაც სახენელი თავდაღმართზე მიდის, არ აძლევს საშუალებას, მხარის თავს ჩაერჭოს მიწაში. ეს გარემოება საგრძნობლად უმსუბუქებს მუშაობას სახენელი იარაღის გამწვევ ძალას და მგუთნავს. ამ შემთხვევაში წრწენა არსებითად იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორც რაჭული სახენელის წ ე წ ე ნ ა // წ ი ნ მ ა ვ ა ლ ა⁷. ქსნური მთის გუთანის მხარის თავის საყრდენს მუშაობის დროს წრწენა წარმოადგენს.

3. ს ა ც ო რ ა ვ ი; მოკაკული ტოტია, რომელიც გაყრილია მხარის თავთან. საცორავის დანიშნულებას შეადგენს, რომ მისი აწევ-დაწევით ხელი შეუწყოს ხნულის გაღრმავებასა და გავაკებას.

4. გ უ თ ა ნ ი; გუთანს ამ სოფელში სახენელი იარაღის ქუსლს უწოდებენ. ის შერჩეული ბუნებრივი ორკაბა ხეა, რომლის სიგრძეა 102 სმ. მას აქვს წაწვეტილი წვერი, რომელზედაც სახნისია წამოცმული. გუთანს ანუ ქუსლს აქვს საშრუე (ცხვირი), რომლის დანიშნულებაა სახნისით აჭრილი ბელტი გავ-

6 გ ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახენელი, ენიშკის მოამბე, ტ. I, ტფ., 1937, გვ. 291.

7 გ ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახენელი, გვ. 251.



ლიჯოს. გარდა ამისა, ქუსლს ბოლოში აქვს ფთეე-ბი, ორკაბა სახისა, ქუსლთან მთლიანი. ამ ფთეების დანიშნულებაა, სახნისის მიერ გავლებული კვალი გააგანიეროს, აჭრილი ბელტი „აადოს და მიწა გათხუნოს“. ყოველივე ზემოთთქმულთან ერთად გუთანს აქვს ნაჩვრეტი, რომელშიც ჩამჯდარია მხარისა და ხელნას ბოლოები.

5. **კ ე ლ ნ ა // ხ ე ლ ნ ა**, მთლიანი ორტოტიანი ხის კეტია, რომლის ტანი ოთხკუთხედადაა გათლილი და თავისი ბოლოთი ჩამჯდარია ქუსლის ნაჩვრეტში. ხელნის ტოტები გვერდებისკენაა გადაშვერილი იმ მიზნით, რომ გუთნისდენას კარგად მოუვიდეს ხელში. ხელნის ტანის სიმაღლეა 30 სმ, ტოტების სიგრძე 112 სმ. ხელნების შესახებ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მათი ტანი მოკლეა და ტოტებიც შესაბამისად დაბალი. ეს გამოწვეულია იმით, რომ მგუთნავმა ადვილად შეძლოს სახენელის აწევა და დაწევა ხელნების შემწეობით, სახენელი იარაღის შესაფარდებლად რელიეფთან.

6. **ს ო ლ ი**, ხისაა, გაყრილია ქუსლის (გუთნის), ნაჩვრეტში მხარსა და ხელნას შუა. მისი აწევ-დაწევით რეგულირდება ღრმად და პირად ხენა. გუთანს სოლი აქვს ქვემოთაც. ეს უკანასკნელი უფრო პატარაა, ვიდრე ზემო სოლი.

ამგვარ სოლს, რომელიც მხარსა და ხელნას შუაა გაყრილი, მ. მაჩაბელი უწოდებს — **კ ო კ ო შ ა ს** (გორის მაზრის მასალების მიხედვით)⁸. ჩვენ მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით, სახენელი იარაღის ამ ნაწილს **ს ო ლ ი**, **დ ი დ ა ს ო ლ ი** ეწოდება. კოკოშა სახენელი იარაღის სხვა ნაწილს, სხვა სახისა და სხვა ფუნქციისას აღნიშნავს, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

7. **ს ა ხ ნ ი ს ი**, რკინისაა, პირზე ფოლადდაკრული, სამკუთხა, აქვს **წ ვ ე რ ი**, **ყ უ რ ე ბ ი** და **ყ ბ ა**. წამოცემის ყბით ქუსლის წვერს (აღწერილია სოფელში ნახული ეგზემპლარების მიხედვით).

8. **ს ა კ ვ ე თ ე ლ ი**, რკინისაა, პირზე ფოლადდაკრული, დანისებრი, გრძელტარაიანი, ტანით გაყრილია მხარის ნაჩვრეტში, სადაც დამაგრებულია ხის სოლებით (აღწერილია სოფელში ნახული ეგზემპლარების მიხედვით).

9. **ჯ ა ჭ ვ ი ს ვ ა მ ო ს ა ბ მ ე ლ ი**, ჩვეულებრივად წნელის რგოლია, რომელზედაც გამოებმება ჯამბარა. ზოგჯერ ეს რგოლი რკინისაა (წინა დადიანეთი) და სახელად **წ ე რ წ ე ნ ა** ჰქვია.

ზემოთ ჩვენ მიერ აღწერილი ქსნური მთის-გუთნის ნაწილებს ქსნის ხეობის ზოგიერთ სოფელში სხვადასხვა სახელი ჰქვია.

II

ზემოთ აღწერილი ქსნური მთის-გუთანი ყურადღებას იპყრობს პირველ რიგში თავისი მხარით. მას აქვს მოკლე მხარი, რომელიც არ სწვდება ხარების უღელს, არამედ უღელთან დაკავშირებულია წრწე-ნას თავზე გამობმული გრძელი ჯამბარას შემწეობით. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

აქ იციან **ანეული** (ზაფხულში — ივლისი, აგვისტო). ანეულად ხნავენ მეტწილად **ზ ვ ა რ ე შ ი**. ზვარე იმ ადგილ-მამულს, ტყეს ეწოდება, რომე-

⁸ С. Мацабели, Описание экономического быта государственных крестьян Горьковского уезда, Тифл. губ., МИЭБГКЗК, т. VI, стр. 208.



ქსნური მთის-გუთნის ნაწილების სახელები
სოფლობრივად

ლარგვისი	ხარბალი	ხადილაანი	წინა და დიანეთი	ხრომის წყარო
მხარი	მხარი	მხარი/მგარი	მხარი	გუნონ
ხელნები	ხელნები	ველნები	ხელნა	ხელნა
სოლი	სოლი	სოლი	სოლი	ცურკ
ქუსლი, წვერი	ქუსლი	გუთანი: საშრუე	გუთანი: სასახნისე, სასახნის	გუთონ
ფთე	ფთე	ფთე	ფთე	ბახგი
სახნისი	სახნისი	სახნისი: წვერი, ყურები, ყბა	სახნისი: ყურები, ყელი, წვერი	ვსუნ
საკვეთელი	საკვეთელი	საკვეთელი: სასაკვეთლე	საკვეთელი: სასაკვეთლე	ჭგრ—ლა
წერწენა	რწენა//წრწენა საცური//საცორავი	წრწენა საცორავი მხარის რკინა//საკვეთი, ჯაჭვის გამოსაბმელი// წერწენა		წრწენა . კვანტე

ლიც სამხრეთით მდებარეობს და რომელსაც მზე დასცქერის. იციან აგრეთვე ნაოში (სექტემბერში. ნაოშსაც მეტწილად ზვარეში ხნავენ) და ახალთესლი (გაზაფხულზე) — იხვენბა მეტწილად ჩრდილებში (ჩრდილოეთის მხარე).

აქვე მიღებული იყო ახოს აღება⁹. წინასწარ დიდ ხეებს შემოყვერა ვედნენ, შემდეგ გასხლავდნენ: ახალ ტყეს მოჭრიდნენ, ძირებზე ფიჩხს დააწყობდნენ და ცეცხლს წაუტიდებდნენ. ახლადაღებულ ახოზე სახენელი იარაღი არ გაივლებოდა. ჯერ ფიჩხის შესაგროვებელ იარაღს გაავლებდნენ და შემდეგ დაქორჩავდნენ ქორჩით¹⁰.

უმთავრესად აქ ითესებოდა ქერი, დიკა, ჭოი და ახალთესლი. ერთ წელიწადს დასვენებულ მიწას უწოდებენ ყამირს, ხოლო ორს — ახალნატენი. საყანე მიწები აქ უმთავრესად ფერდობებზეა, მწირია და მეტად მძიმე სამუშაოდ იმის გამოც, რომ ფერდობის რელიეფი უსწორმასწოროა. ეს მხარე ტიბური მთის ზოლია, სადაც წამყვანი როლი მეურნეობაში მესაქონლეობას ეკუთვნის, ამიტომ მიწისმოქმედება აქ მეორე რიგის მეურნეობაა.

ვახუშტის გეოგრაფიაში ეს რაიონი ასეა დახასიათებული: „ზებე ყურეს მთა არის თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლედამ და აღმოსავლედამ ალევის მთის ცხვირი და დაავიწროებს კსანს კლდითა. ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე, კსანი არის ვენახოვანი, ხილ-

⁹ შდრ. გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი, გვ. 274.
¹⁰ შდრ. ხევსურული ქორჩი.



ანი, მოსავლიანი, ვითარცა აღვსწერეთ და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდროდ, უვენახო, უხილო მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა“¹¹. საყანე მიწების ზედაპირის მეტისმეტად უსწორ-მასწორობისა და ვაკე ადგილების მეტისმეტი სიმციროს გამო აქ ბარული გუთანი მუშაობას, ცხადია, ვერ შეძლებს.

ქსნის ხეობის მთის ზოლში ტიპური ალპური ლანდშაფტის მეურნეობა იყო. მთის ზოლის პირობებში სახნავი მიწის მეტისმეტად სიმციროს გამო მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისაგან გამოეგლიჯა საყანედ გამოსადეგი მიწის თითოეული ნაკუწი: მას წინასწარ უნდა აეკრიფა ქვები, მოეზიდა მიწა, პატივი და შემოეყორა. ასეთ პირობებში მიწის ღრმად მოხვნას შეეძლო გამოეწვია ნიადაგის ჩამოწოლა და დედო-მიწია (ამ შემთხვევაში კლდის) გაშიშვლება. როგორც ირკვევა, ძველი ნაშთების მახედვით, ნიადაგის ჩამოწოლის წინააღმდეგ აქ ზომებსაც იღებდნენ. ცხავატურას ხეობის ზერებში დღესაც ჩანს ტერასებურად აგებული ყორეები, რაც ფერდობებში ნიადაგის დაქანების წინააღმდეგ ყოფილა გამოყენებული.

მეორე მხრით, აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის ჩვენებით, აქ გვალვა და ქარი შედარებით ნაკლებია. ეს გარემოებაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ხვნის პროცედურებზე და შესაფერისი წესების დაცვას მოითხოვს.

ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ქსნის ხეობის მთიან ზოლში ლეწვა საქონლის ფეხით წარმოებს. გადახურული კალოს შუაში დგმული ბოდის გარშემო მიწაზე დაგებულ ძნებზე ტრიალებს პირუტყვი, რომელიც ფეხით ჩაღავს ძნას. ამ წესით კალოობის ჩვეულებას მოსახლეობა იმით ხსნის, რომ აქ ავღარი ხშირია, ხოლო გასანიავებლად გამოსაყენებელი ქარი იშვიათად იცისო.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ცხადია, რომ აქ ისეთი სახვნელი იარაღი იყო საჭირო, რომელიც შეფარდებული იქნებოდა ფერდობის ნიადაგთან, რელიეფთან და მეურნეობის სპეციფიკურ პირობებთან. სწორედ ამ პირობებთან კარგადაა შეგუებული ის სახვნელი იარაღი, რომელსაც ქსნური მთის-გუთანი ეწოდება.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ქსნურ მთის-გუთანს ახასიათებს მოკლე მხარი, რომელსაც თავზე წრწენა აქვს მიმაგრებული. მუშაობის დროს ამ სახვნელი იარაღის ეს ნაწილი მიწაზე მიფოფხავს. ეს გარემოება უადვილებს მუშაობას როგორც გამწევ ძალას, ისევე გუთნისდენას უსწორ-მასწორო ფერდობის მოხვნის დროს თანაბრად გაატაროს კვალი და ორნატი თანაბარი სიღრმისა გაავლოს.

ამ სახვნელის ეფექტურად გამოყენებას ასეთ პირობებში ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ სახვნელს აქვს გრძელტოტებიანი ხელნები. მუშაობის დროს გუთნისდენას ხელნებზე ორივე ხელი აქვს ჩაჭიდებული; ეს მგუთნავს აძლევს საშუალებას სახვნელის ქუსლი და, მამასადამე, სახნისაც ზომაზე ასწიოს და დასწიოს იმასთან შეფარდებით, თუ როგორია მიწის ზედაპირი. ამგვარი ოპერაცია მგუთნავისათვის აუცილებელია, რამდენადაც, თუ მან არ ასწია და დასწია ქუსლი ხელნების შემწეობით. მოხვნა, მიწის უსწორ-მასწორო რელიეფის პირობებში მეტისმეტად გაძნელებდა. მხვნელს ამ ოპე-

¹¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ტფ., 1904, გვ. 100.

რაციის შესრულებას უადვილებს მხარის თავზე მიმაგრებული წრწენა, რომელზედაც მხენელი სახენელს თავს დაუჭერს ხოლმე. მთის ძირში და ბარში ასეთი რთული ოპერაციის წარმოება გუთნისდენად არ სჭირდება.

რაჭულ სახენელს, რომელიც აგრეთვე მთის (ფერდობის) გუთანია, ბრტყელი ქუსლისა და გრძელტოტებიანი ხელნის ნაცვლად ოვალური ქუსლი აქვს, რომელიც არეგულირებს სახენელის მუშაობას ფერდობის უსწორ-მასწორო რელიეფის პირობებში. აქ მხენელს მხოლოდ ცალი ხელით უჭირავს ხელნის ტოტი, რადგანაც, ქსნურ მთის-გუთანთან შედარებით, ეს სახენელი იარაღი კონსტრუქციულად დაწინაურებული სახენელი იარაღია.

ჩვენ მიერ ქსნის ხეობაში ფიქსირებული წრწენა // რწენა ორი სახისაა როგორც ერთი, ისე მეორე მოკლებულია ჭდეებს. იმ ატრიბუტს, რომელიც რაჭული სახენელი იარაღის წეწენა // წინმავალს აქვს. როგორც ვიცით. ზემოთ მოხსენიებულ წეწენის ჭდეებს რაჭაში იყენებენ როგორც ერთ-ერთ საშუალებას კვალის გასაღრმავებლად და დასავაკებლად.

მაგრამ რაჭული სახენელისაგან ქსნური მთის-გუთანი არა მარტო წეწენის ჭდეებით განსხვავდება, განსხვავება უფრო შორსაც მიდის. მათ აქვთ განსხვავებული ქუსლი და ხელნა, იმ დროს, როდესაც ქსნურ მთის-გუთანს ქუსლი (გუთანი) ჰორიზონტალურად აქვს მოცემული, სწორია და ფრთიანი, რაჭული სახენელის ქუსლი ოვალურია და ფარფლიანი, რაჭული სახენელის ხელნა ერთ-ტოტიანია ხოლო ქსნური მთის-გუთნისა — ორტოტიანი. მიუხედავად ამისა, რაჭულ სახენელს ქსნურ მთის-გუთანთან ანათესავენს მოკლე მხარი და წეწენა.

III

ქსნური მთის გუთნის ფუნქციის კიდევ უფრო მეტად გარკვევის მიზნით უნდა ყურადღება მიექცეს ამ სახენელი იარაღის ქვესახეებს. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ქსნის ხეობის მთიან ზოლში არსებითად სახენელი იარაღის ერთი ტიპია გაბატონებული, სახელდობრ, ზემოთ აღწერილი ქსნური მთის გუთანი. მხოლოდ იქ, სადაც მთის ზოლი მთის ძირში გადადის, სადაც ვაკე ადგილი ბევრია, სადაც უსწორ-მასწორო რელიეფი ნაკლებადაა მოცემული, სახენელ იარაღად ქსნური მთის გუთნის ქვესახეა მიღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბ ა რ უ ლ ი (ლენინგორამდე), მ თ ი ს ძ ი რ ი ს (დაახლოებით ლარგვისამდე) და მ თ ი ს ზ ო ლ ი ს (ლარგვისს ზევით)¹². ამასთან შეფარდებით წამყვანი სახენელი იარაღებიც გარკვეული სახისანი არიან თითოეულ ზოლში. ასე, მთის ზოლში — მ თ ი ს-გ უ თ ა ნ ი, მთის ძირში — ო რ ხ ე ლ ა გ უ თ ა ნ ი (ქსნური მთის გუთნის ქვესახეობა) და ბარის ზოლში — ბ ა რ უ ლ ი გ უ თ ა ნ ი¹³.

ქსნური მთის-გუთნის ქვესახე არსებითად იგივე მთის-გუთანია, მხოლოდ მას არა აქვს წრწენა, ამ იარაღის მხარს აქვს ს ა ც ო რ ა ვ ი და ს ა ც ვ ე თ ი ა ნ ერთ-ერთი მათგანი. ზოგიერთ შემთხვევაში სახენელი იარაღის ამ ქვესახეს არც საცორავი და არც საცვეთი არა აქვს, მაგრამ მხარის თავი ისეა მოყვანილი, რომ დროდადრო, საჭიროების მიხედვით, მიწაზე ფოფხვა შეუძლია.

12 შდრ. მეგრულში: რ წ ე ნ ი, დ ო ვ ბ ე რ ი, ლ ა კ ა დ ა, გ ო ლ ა.
13 იმერეთის ვაკეში სახმარ სახენელ იარაღს მაღალი კაკი ეწოდება, ხოლო გვერდში — დაბალი კაკი. განსხვავებულია სახნისიც: ა) საბილარი, ბ) საქვეთი. (იხ. 1938 წლის იმერეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები, ენიშკის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი).

მართლაც, მთისძირის რელიეფის პირობებში საჭიროებას არ წარმოადგენს სახვნელი იარაღის თავის მუდმივად მიწაზე ფოფხვა, როგორც ამას მოითხოვს მთის ზოლის უსწორ-მასწორო რელიეფი. საგულისხმოა, რომ სახვნელი იარაღის ამ ქვესახეში წრწინას მაგიერ ზოგიერთ შემთხვევაში რკინის გამოსაბმელია მოცემული და ამ გამოსაბმელს ტერმინი წრწინაც კი მიუსაკუთრებია (ს. წინა დადიანეთი). მთის გუთანთან მას საერთო აქვს მოკლე მხარი, ორკაპა ქუსლი და ხელნები.

არსებითად ქსნური მთის-გუთნის ეს ქვესახე, ორხელა გუთანის სახვნელი იარაღია, რომელიც ორხელას და ორხელა-გუთნის სახელწოდებით ჩვენ მიერ დამოწმებული იყო მთისძირის ზოლის მეურნეობებში — ს. ყოჩაღისში (ქართლი), ს. პატარა ტუსრები (ს. რეხასთან) და სოფლები: მთისძირი, შქმერი (რაჭაში)¹⁴, იგი უმთავრესად ქართლში გავრცელებული იარაღი ყოფილა; ამას ადასტურებს ახლახან მოპოვებული ცნობებიც. ნ. რეხვიაშვილის (ექსკურსია ზემო რაჭაში, 1938) მიერ დამოწმებულია, რომ ს. წედისის კარგად ცნობილ სამჭედლოებში საგანგებოდ უკეთებიათ ორხელების სახნისები ქართლში გასაყიდად¹⁵.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ორხელას სახელწოდებით ისეთი სახვნელი იარაღია აღწერილი, რომლის ნიშანდობლივი ელემენტები აჩაჩას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ნამდვილ ორხელას.

ქ. ვერმიშევი ორხელას შესახებ წერს ასე: „Орхели, употребляемая в Горийском уезде при второй весенней вспашке, а также для разрыхления почвы после уборки кукурузы, представляет ту же ачачу, которая описана нами выше, с тою разницею, что в орхели имеется особое приспособление — кокоша, с помощью которого можно увеличивать или уменьшать глубину борозды“¹⁶.

იმისათვის, რომ ასე თუ ისე გავერკვეთ ზემომოყვანილ აღწერილობაში, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ წარმოიდგენდა ვერმიშევი აჩაჩას. იმავე ვერმიშევის მიხედვით აჩაჩა იგივე არორაა, რომელიც გამოიყენება ალექსანდროპოლის მაზრაში“, ხოლო არორის შესახებ იგივე ავტორი წერს, რომ „арор, употребляемый армянами в Александропольском и др. уездах, состоит из короткого заостренного обрубка какогонибудь крепкого дерева и длинного грядиля, которые, скрепляясь образуют ряд крюка под углом 45°“¹⁷.

აქ მოტანილი ამონაწერებიდან ორხელას შესახებ არავითარი გარკვეული აზრის გამოტანა არ შეიძლება. ამდენად ამავე ამონაწერების მიხედვით შეუძლებელია აჩაჩის სახეობის დადგენა. ქართული აჩაჩა სავსებით გარკვეული სახის სახვნელ იარაღს წარმოადგენს, რომელიც ორი ქვესახითაა მოცემული: ხევსურული და ფშაური¹⁸. ხევსურული აჩაჩის მხარის ბოლო გაყრილია ქუსლში, ხოლო ფშაური აჩაჩის მხარი ხელნაშია გაყრილი. ორივე შემთხვევაში

¹⁴ გ. ჩიტიია, რაჭული სახვნელი.

¹⁵ ნ. რეხვიაშვილი, ზემო რაჭაში მივლინების ანგარიში, ენისკის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. 3.

¹⁶ Х. В е р м и ш е в, Земледелие государственных крестьян Закавказского края СМИБГКЗК, IV, сс. 261—262.

¹⁷ Х. В е р м и ш е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

¹⁸ გ. ჩიტიია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა, სმმ, ტ. IV, 19, გვ. 271

შესაძლებელია მხარისა და ქუსლის რეგულაცია კვალის დასაღრმავებლად და დასავაკებლად. სხვა სახითაა არორას მხარი ქუსლთან დაკავშირებული. ისინი თავიანთი ბოლოებითაა ურთიერთზე მიმაგრებული იმდაგვარად, რომ მათი აწევ-დაწევა არ შეიძლება¹⁹. ამიტომ აჩაჩის განსაზღვრა, როგორც არორისა, სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული. აქედან ჩანს, რომ ვერმიშვეს სრულიად კალბი წარმოდგენა ჰქონია აჩაჩას აგებულებაზე.

უფრო მეტი შეუსაბამობა ახასიათებს ვერმიშვეის მიერ ორხელას განსაზღვრას. ვერმიშვეის მიხედვით, უკეთეს ორხელა იმგვარი აჩაჩაა, რომელიც იგივე არორია, ხოლო არორს კვალის გაღრმავება და დავაკება თავისი კონსტრუქციის მიხედვით არ შეუძლია. როგორ უნდა იყოს ამ ტიპის სახვნელ იარაღში გამოყენებული სახვნელი იარაღის ის ელემენტი, რომელსაც ვერმიშვეი კოკოშას უწოდებს.

ვერმიშვეი კოკოშას განმარტებისას ასახელებს ს. მაჩაბლის ნაშრომს და მისგან მოაქვს ამონაწერი. ჩვენც მაჩაბელს მივმართავთ. კოკოშას შესახებ მაჩაბელი წერს: „кокоша—небольшая прямоугольная толстая доска, вкалываемая в нижнюю, основную часть орхели, между рукояткой и изогнутой дышлом сохи. Когда кокоша вынута из доски, тогда последняя во лчитя по земле, и укрепленный в ней лемах пашет глубоко; когда же нужно пахать неглубоко, то вкалывают кокошу в доску, которая с лемехом поднимается над уровнем земли, и кокоша, высовываясь наружу, волочится по земле. Очевидно, чем глубже кокоша вкалывается в доску, тем более уменьшается глубина вспашки и обратно“²⁰.

აქ მოყვანილი აღწერილობის მიხედვით კოკოშა სახვნელი იარაღის ნაწილი ჩანს, რომელიც ხელნასა და მხარს შორის ჩაედგმის ხოლმე და რომელსაც ჩვეულებრივად დიდი სოლი ეწოდება²¹. ამ სოლის დანიშნულებაა როგორც მხარისა და ხელნას დამაგრება ქუსლში, ისევე კვალის დავაკება და დაღრმავების მოწესრიგება. ასეთი სოლი, მართლაც, აქვს ორხელას, თუმცა ის აქვს აგრეთვე ხევსურული ტიპის აჩაჩას და რაჭულ სახვნელსაც. ზოგიერთ შემთხვევაში ხელნისა და მხარის ქუსლში გასაყრელ ნაჩრეტში ერთი სოლი ზემოდან და ერთი ქვემოდან (ეწოდება ჩოჩილა) უკეთდება²². სახვნელი იარაღის შემოხსენებული ორი სოლის აწევ-დაწევით რეგულირდება ღრმად და პირად ხვნა. ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს ისეთ მდგომარეობას, რომ სოლი სრულიად ამოღებული იყოს, როგორც მაჩაბელი ამბობს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მხარსა და ხელნას ქუსლში არაფერი არ დამაგრებდა და სახვნელიც მუშაობას ვეღარ შეძლებდა. ყოველ შემთხვევაში, სახვნელი იარაღის ამ ნაწილს სოლი ან დიდი სოლი ეწოდება, ხოლო კოკოშა // კოკოსა, ჩვენ მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით, სახვნელი იარაღის ის ნაწილია, რომელსაც ქსნის ხეობაში საცორავი ეწოდება. როგორც კოკოშა // კოკოსა, ისე საცორავი ქსნური მთის-გუთნის და მისი ქვესახის (ორხელა გუთნის) ნაწილს

19 გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისთვის, სპმ, ტ. V, გვ. 274.

20 С. М а ч а б е л и. Описание экономического быта государственных крестьян Горийск. уезда, Тифл. губернии, МИЭБГКЗК, VI, с. 208.

21 გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახვნელი, გვ. 261.

22 გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 251.

შეადგენს. სახენელი იარაღის ამ ნაწილს მის კონსტრუქციაში სახეებით გარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული.

მაგრამ, თუ ერთი მხრით, მაჩაბელმა და ვერმიშევემა ასეთი არასწორი განმარტება და სახელწოდება მოგვცეს ორხელას იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც გარკვეული სახელი და ფუნქცია აქვს, მეორე მხრით, მათ გვერდ აუხვიეს ორხელას არსებით ნაწილებს — არ დაასახელეს არც ერთი ელემენტი (მოკლე მხარი, ორკაპიანი ქუსლი, ორტოტიანი განიერი ხელნა), რომელიც ამ სახენელ იარაღს ნიშანდობლივად ახასიათებს და რომლის მიხედვითაც ეს იარაღი გამოიყოფა სხვა სახის სახენელი იარაღებიდან.

სამწუხაროდ, ზემოთქმულით არ ამოიწურება გაურკვეველობა ორხელას აღწერის საკითხში. ვერმიშევის აღწერის მიხედვით, ორხელა საგაზაფხულო მეორე ხენის და სიმიანდის აღების შემდეგ მიწის გასაფხვიერებლად სახმარი იარაღია. ნამდვილად კი იგი იხმარება მთისა და მთისძირის ზოლში როგორც ანულის, აოშვის, ისე ახალთესლის ხენის დროს.

ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში²³, ციტირებული ავტორები ამჯერადაც ვერ ერკვევიან სახენელი იარაღების სახეებში და არ აქვთ რეალური წარმოდგენა მათს ფუნქციონალურ დანიშნულებაზე, ამიტომ ოთხმოციანი წლების სოფლის მეურნეობის აღმწერებს სრულიად შეუმჩნეველი და აღუწერავი დარჩათ სახენელი იარაღის ის ტიპი, რომელმაც რაჭული სახენელის, ქსნური მთის-გუთნის და ორხელა გუთნის სახით ჩვენამდე მოაღწია და რომლის შესახებ, მართალია, არა ზუსტი ბუნდოვანი და გაურკვეველი ცნობები ლიტერატურაში მოიპოვებოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

IV

პაროტის მიერ თავის მოგზაურობაში²⁴ მოყვანილი კახური სახენელი იარაღის საკმაოდ ბუნდოვანი სურათი, ყოველ შემთხვევაში, წარმოგვიდგენს სახენელი იარაღის იმ ტიპს, რომელსაც მოკლე მხარი აქვს და რომელიც ჯამბარის შემწეობით გამოებმის უღელს, როგორც ამას ადგილი აქვს რაჭულ სახენელში, ქსნურ მთის-გუთანში და ორხელა გუთანში²⁵. უნდა ვიგულისხმობთ, რომ ამ სახენელ იარაღს წარწენა მხარის თავზე აქვს მიმაგრებული.

²³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, გვ. 137.

²⁴ F. Parrot, Reise rum Ararat, Bre 1834, გვ. 34; მისივე, Journey to ararat London, 1845.

²⁵ პაროტის წიგნში მოცემული სახენელი იარაღის სურათი გადაბეჭდა ჯერ K. Rau-Geschichte des Pfiuges, Heidelberg, 1845 ხოლო ამ უკანასკნელის მიხედვით ბიჰანმა გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი: Kaukasus. Ost und Nord-russland Fienland-B u s h a n-ის „Illustrierte Völkerkunde, Stuttgart 1925 და ფრანგულად La civilisation Caucasiennne Preiace et traduction du D-r G. M o n t a n d o n, Paris 1936. ბიჰანის მიერ მოცემული ამ სახენელი იარაღის აღწერილობა სრულ გაუგებრობაზეა აგებული, იხ. G. Montandon, Traité d'ethnologie culturelle, Paris 1934, გვ. 226—57. ბიჰანის ნაშრომში ამ სახენელი იარაღის დეტალები სურათზე (დამახინჯებულია. (შემოხსენებული კახური სახენელის სურათზე იხ. გ. ჩიტაია. რაჭული სახენელი, გვ. 266), ბიჰანის ნაშრომის გერმანულ გამოცემაზე იხ. რეცენზია (გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, მიმოხილველი, ტ. I, ტფ., 1926. გვ. 276),

ჰაქსტჰაუზენს, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა 1843 წელს და რომელმაც თავისი მოგზაურობის შედეგები დაბეჭდა ჯერ ინგლისურად (1848), შემდეგ ფრანგულად (1852) და გერმანულად (1856 — არსებობს ამ უკანასკნელის შემოკლებული, არაზუსტი და მეფის ცენზურის მიერ დამახინჯებული რუსული თარგმანი), აქვს მოყვანილი სახვნელი იარაღის სურათი²⁶ (ტაბ. 26), რომელიც მას ოსეთში ჩაუხატვინებია და რომელსაც თვითონ sibir-ს უწოდებს.

ჰაქსტჰაუზენის მიერ მოცემული სურათი სიზუსტის მხრივ ეჭვს ბადებს. ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს ზუსტად ჩახატული ამ სახვნელი იარაღის ხელნები. სურათზე ხელნა წარმოდგენილია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქუსლში ჩასმული ტოტების სახით, რომლებიც ამავე დროს საკმაო მანძილით არიან დაშორებული მხარისაგან. ამ სახით ხელნების გამოყენება მუშაობის პროცესში წარმოუდგენელია, რამდენადაც ამ დროს როგორც ერთი, ისე მეორე ტოტი ქუსლში ვერ დამაგრდება. გარდა ამისა, სურათზე ბუნდოვნად ჩანს მხარის ძირთან სამი სოლი, რომლებიც როგორც მხარს, ისე ხელნას ქუსლის ნაჩვრეტში უნდა ამაგრებდნენ, ნამდვილად კი სოლები ხელნებიდან არამცირე მანძილით არიან დაცილებული.

გაუგებარია აგრეთვე მხარის თავში გაყრილი რგოლი. შეიძლება მხატვარს უნდოდა ქსნური მთის-გუთნის წრწენა დაეხატა, მაგრამ სახვნელი იარაღის კორასებრი ნაწილაკი გამოუვიდა. მასზე ჯამბარა უცნაურად არის გამოხმული. საერთოდ სურათი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ის ადგილზე, ნატურიდან დახატული არ უნდა იყოს, არამედ სიტყვიერი გადაცემის მიხედვით შეთხზული.

სამწუხაროდ, გაუგებრობა ამ სურათთან დაკავშირებით ამით არ ამოიწურება. ჰაქსტჰაუზენს ამ სახვნელი იარაღის შესახებ ნათქვამი აქვს:

„Von den Ackerwerkzeugen fiel mir der Pflug (Sibir) auf, der ganz abweichend von denen der übrigen kaukasischen Völker construiert ist. Seine Konstruktion ist dem des mecklenburgischen Hakenptiugs ähnlich“²⁷.

აქ მოტანილი ამონაწერების შესახებ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეს არ შეეფერება ავტორის მოსაზრება, თითქოს ასეთი სახვნელი ოსებს გარდა არც ერთ სხვა ხალხს კავკასიაში არ მოეპოვება. იმდენად, რამდენადაც მოცემული სურათი სახვნელი ტიპის დადგენის საშუალებას გვაძლევს (მოკლე მხარი), ამ სახის სახვნელი პირველ ყოვლისა ქართველ ტომებში მოიპოვებოდა და მოიპოვება (შდრ. ზემომოყვანილი მასალა). ჩვენი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ამ ტიპის სახვნელ იარაღს ჩრდილო კავკასიის ოსები რაჭველებისგან იძენდნენ ხოლმე²⁸. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. ლიახვისა და ქსნის ხეობის ოსები სახვნელი იარაღის ამ ტიპს გუთონს და ორხელას უწოდებენ, ხოლო ჰაქსტჰაუზენის მიერ მოხსენიებული Sibir-ი (ირონული ძებერ და დიგორული ძუბურ) სხვა სახის სახვნელ იარაღს განეკუთვნება²⁹, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

²⁶ A. Haxthausen, Transkaukasien, Lpz. 1856, ტ. II, გვ. 3.

²⁷ ჰაქსტჰაუზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

²⁸ გ. ჩიტიია, რაჭული სახვნელი, გვ. 247.

²⁹ გ. ჩიტიია, დასახ. ნაშრომი, გვ. 169, სურ. 19.

გასაოცარ შეუსაბამობას წარმოადგენს ამ სახენელი იარაღის მეკლენ-ბურგის *Naken*-თან მომსგავსება. მათ შორის მსგავსება თითქმის არაფერში არ არის. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეკლენბურგის სახენელი იარაღის მხარი უღლამდე აღწევს, მაშინ, როდესაც ჰაქსტჰაუზენის მიერ მოყვანილი სახენელი იარაღის ისევე, როგორც საერთოდ ქსნური მთის-გუთნისა და ორხელა გუთნის მხარი, მოკლეა და უღელს ჯამბარას მეშვეობით გადაებმის ხოლმე. ასევე განსხვავებულია ამ ორი იარაღის ქუსლი და ხელნა. ამასთანავე სახნისი მეკლენბურგის სახენელს რუსული სოხას ტიპის სახნისის კვალობაზე აქვს დამაგრებული სახენელის ქუსლის ეშვზე როდია წამოცმული, არამედ მხარზეა მიმაგრებული ნახევრადვერტიკალური სახით.

ეტყობა, რომ ჰაქსტჰაუზენი ვერ გარკვეულა სახენელის ტიპებში და საესებით განსხვავებული სახენელი იარაღების სახეები ერთიმეორისათვის მაუმსგავსებია. ტენდენციურობა, რომელიც ამ შედარებას ახასიათებს, ჰაქსტჰაუზენის ნაშრომში შემთხვევითი არ არის, იგი მომდინარეობს ავტორის იმ შეხედულებიდან, რომ ოსებში შემონახული მატერიალური კულტურის ობაექტები გერმანული წარმოშობისაა. მაგ., საღვებელი, ფორცხი, მერხი და სხვა ისევე, როგორც სახენელი იარაღიც. ნამდვილად კი, როგორც დავრწმუნდით, მეკლენბურგის სახენელსა და ჩვენებურ სახენელს შორის არც ტიპოლოგიურადაც და არც დეტალებში მსგავსება არ არსებობს. ამიტომ ამ უკანასკნელის მეკლენბურგის სახენელიდან მომდინარეობა ყოვლად მიუღებელი აზრია.

ჰაქსტჰაუზენის მიერ წამოყენებული დამსგავსების ხელოვნურობა ბრაუნგარტსაც უგრძნია და თავის მხრივ ახალი აზრი წამოუყენებია³⁰. მისი შეხედულებით, ჰაქსტჰაუზენის მიერ მოყვანილი სახენელი იარაღი გუთურია. მაგრამ ეს შეხედულებაც მიუღებელია, ვინაიდან, ერთი მხრით, ჰაქსტჰაუზენის მიერ მოცემული სახენელი იარაღის ჩანახატი დაზუსტებას საჭიროებს, ხოლო მეორე მხრით ეს სახენელი იარაღი ტიპოლოგიურად რაჭული სახენელი იარაღის ტიპს განეკუთვნება. ხოლო რაჭული სახენელი, როგორც ვიცით, იმავე ბრაუნგარტს წარმოშობით ჯერ გერმანულად, შემდეგ სპარსულად ჰქონდა გამოცხადებული. ამის შემდეგ ჰაქსტჰაუზენის მიერ ჩახატული სახენელის გუთურ სახენელად აღიარება, რომელიც ტიპოლოგიურად თვით საჭიროებს დადგენას, მიუღებელია.

ზემოთქმულს უნდა დავძინოთ, რომ გუთურში მოხვნის პროცესის აღსანიშნავად გამოყენებული ყოფილა სიტყვა *arjan*, რომელსაც უკავშირებენ ბერძნულ სიტყვას *ἀρῆα* ამ უკანასკნელიდან გამოჰყავთ სომხური *արաღ*³¹ *Արաღ*, როგორც ზემოთ დავინახეთ, არსებითად განსხვავდება ქსნური მთის უთნისა და ორხელა გუთნისაგან.

³⁰ R. Braungart, Die Urheimat der Landwirtschaft aller indogermanischen Völker, an der Geschichte der Kulturpflanzen und Ackerbaugeräte in Mittel-und Nord-europa nachgewiesen, Heidelberg 1912, გვ. 265.

³¹ Em. Boisacq, Diction. etymologique de la langue gr. Heid-Paris 1937^a, s. v *ἀρῆα* გვ. 80. Feist, Vergleichende Wörterbuch Colischen Sprache etc., Leiden 1936 s. v. *arjan*.

რაც შეეხება გუთურად ცნობილ — *haha* სახვნელ იარაღს, იგი რუსულ სოხას სახის სახვნელი ყოფილა. ეს უკანასკნელი ტიპოლოგიურად სავსებით განსხვავებული იარაღია ორხელა გუთნისაგან³².

კერძოდ, რაჭული სახვნელის შესახებ ჩვენ დადგენილი გვექონდა, რომ ის არც ირანული და არც გერმანული სახვნელებისაგან დამოკიდებული არ არის, არამედ მიღებულია ქართველი ტომების იარაღების ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით და უძველესი სახვნელი იარაღის ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს³³. რამდენადაც ქსნური მთის-გუთანი და ორხელა გუთანი, ისევე როგორც ჰაქსტჰაუზენის *Sibir*-ი, რაჭული სახვნელის ქვეტიპს ეკუთვნიან, ისინი რაჭული სახვნელის ქვესაფეხურს წარმოადგენენ და ამდენად ქართული ტომების უძველესი ხანის კულტურის მონაბოვარს ეკუთვნიან.

რაც შეეხება ტერმინს *Sibir*-ს რომელიც ჰაქსტჰაუზენს სახვნელის სახელწოდებად მიანიჭა — ის არაა ზუსტი ტრანსკრიპცია ოსური ძებურ (ირონულად) // ძუზურ (დიგორულად)³⁴. ეს უკანასკნელი ძებურ // ძუზურ ისეთ სახვნელს აღნიშნავს, რომელსაც გადაბმული მხარი აქვს, უსაკვეთლოა, ხოლო ხელნაერთოტიანია³⁵. (ტაბ. 25).

ამგვარი სახვნელი ინგუშებსაც მოუპოვებთ იმ განსხვავებით, რომ ინგუშურ სახვნელს საცორავი აქვს³⁶. სახვნელი შედგენილი მხარით დამოწმებულია მოხვევებსა და ინგილოებშიც³⁷. ხრისტიანოვიჩის მიხედვით, მოხვევური სახვნელიდან უნდა წარმოსდგებოდეს ინგუშებში ხმარებული „ქართული ტიპის სახვნელი“. სპორადულად ეს სახვნელი იარაღი ქართლსა და სომხეთშიც მოიპოვება³⁸. აგრეთვე მას პარალელები აქვს სირიაში³⁹, პალესტინაში, არაბეთში, და უძველესი ხანის სახვნელ იარაღებში — ბაბილონში, ხეთაში, ეტრუსკებში⁴⁰, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, რამდენადაც ცნობილია ლიტერატურაში. გრძელი და მოკლემხრიანი სახვნელის გავრცელების არე აქ დართულ კარტოგრაფიაზე მოცემული (იხ. კარტოგრაფია (ტაბ. 19) კარტოგრაფიაზე გათვალისწინებული არ არის ბარული გუთნის გავრცელება).

³² V. Hehn, Kulturpflanzen und Haustieren⁸, გვ. 565, J. Hoops Waldbaum und Kulturpflanzen in germ. Altertum, Strassburg 1905, გვ. 499 შმდ; Feist, op. cit. s. v. hoha.

³³ გ. ჩიტიაია, რაჭული სახვნელი, ენციკლ-მომამბე, ტ. I, გვ. 290.

³⁴ W. Miller, Ossetisch—russisch—deutsches Wörterbuch. Herausgegeben und er-gentzt von Freiman, Ленинград 1927, წ. I, გვ. 539.

³⁵ ამ სახვნელის სურათი (ჩრდ. ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციის მიხედვით) იხ. გ. ჩიტიაია, რაჭული სახვნელი, გვ. 269.

³⁶ სახვნელის სურათი. იხ. გ. ჩიტიაია, დასახ. ნაშრომი, შდრ. В. Христианов и ч, Нагорная Ингушетия, Тругы С-Кавк. Ассоциациии НИИ, № 36; Институт местной экономики и Культуры. Ростов н/Д, 1928. кар. 18 „Деревянный плуг Грузии“.

³⁷ მოხვევებში ამ ტიპის სახვნელი იარაღის შემადგენელი მხარის წინა ნაწილის „წრწენი“, ხოლო ინგილოებში „ულამა“ (შდრ. „ულამა — მრავალტვირთული გრძელად მომავალი“. საბა). ინგილოური სახვნელის აღწერილობა და სურათი გადმოგვცა მასწავლებელმა მ. ქიქოძემ, ამისათვის მას მადლობას მოვახსენებთ.

³⁸ შდრ. გ. ჩიტიაია, ეთნოგრ. მოგზაურობა, სმმ, ტ. IV.

³⁹ P. Leser, West-östliche Landwirtschaft. Kulturbeziehungen zwischen Europa, dem Verderen Orient und dem Fernen Osten, Schmidt's—Festschrift, Wien 1928, გვ. 434.

⁴⁰ გ. ჩიტიაია, რაჭული სახვნელი, იხ. გადაბმული მხარის ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ.



ჩვენ ზემოთ გავარკვეით, რომ ორხელა გუთანი ქსნური მთის-გუთანა ურთ-ერთი სახეობაა. ამავე ორხელა გუთნის ნაირნაირი ვარიანტები გვხვდება მთისძირის ზოლის მეურნეობაში.

ცნობილია, რომ მთასთან შედარებით მთისძირის ზოლში მეურნეობის განვითარებისათვის უკეთესი პირობებია შექმნილი. ამით აიხსნება ისიც, რომ ამ ზოლის სოფლის მოსახლეობა მთელს მსოფლიოში მეტად შემჭიდროებულია. საწარმოო ძალთა განვითარებისათვის აქ მეტი შესაძლებლობაა. ამიტომ გასაკვირი არ არის თუ ჩვენ ამ ზოლის მეურნეობაში ორხელა გუთნის ნაირნაირ ვარიანტებს ვამოწმებთ. აქ დადასტურებული იყო შემდეგი ორხელები: უწეწენო, უსაცორავო, საცორავიანი, უსაკვეთელო და სხვა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ქსნურ მთის-გუთანში მხოლოდ ერთი უღელი ხარი შეეგმის, მთისძირის ზოლის სახენელებში ორს, სამს, ოთხს და მეტს უღელ ხარს შეუბამენ ხოლმე, მაგალითისათვის ვასახელებთ ზემო-ბოლის ორხელა გუთანს (ტაბ. 20).

ორხელა გუთნის ეს ვარიანტი არა მარტო მასში შებმული ხარების რაოდენობით უახლოვდება ბარულ გუთანს, არამედ კონსტრუქციულადაც ახლი დგას მასთან: მოკლე მხარი, მხარი ხელნაში გაყრილი, ხმალა, შოლტა და სხვა. ბარულ გუთანთან შედარებით მას ლერძ-გოგორები და ფრთა აკლია, ხოლო შესწური ჭილღისაგან მხოლოდ ლერძ-გოგორები განასხვავებს. ყველა მონაცემის მიხედვით ირკვევა, რომ ზემობოლის ორხელა გუთანი ბარულ გუთანში გადასვლის ერთ-ერთი საფეხური უნდა იყოს.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ტერმინი გუთანი დიფერენცირებულად ბარის, მთის ზოლისა და მთის სახენელს აღნიშნავს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ტერმინი გუთანი, შეიძლება სახენელი იარაღის ზოგადი სახელწოდება იყოს. ამ გაგებით ეს სახელწოდება საბას განმარტებას ემთხვევა როგორც ვიცით, საბას მიხედვით: „გუთანი... ერქვანსა ჰქვიან“, ხოლო „ერქვანი არის ყოველივე (სახენელის) სახელი“. ცნება გუთნის შესახებ ზემომოყვანილი აზრი რომ სწორი უნდა იყოს, სხვა მხრითაც მტკიცდება.

ცნობილია, რომ ტერმინი გუთანი მრავალ კავკასიურ ენაში მოიპოვება, მაგ., აფხაზურში, ინგუშურში, ჩაჩნურში, კვირულში, ლაქურში⁴¹. ეგვეც სახელწოდება არის სომხურში, ოსურში, აზერბაიჯანულში და თურქულში. ამ უკანასკნელთ ეს ტერმინი ნასესხები აქვთ, ვინაიდან არც ინდო-ევროპულ და არც თურქულ (ისევე როგორც სემიტურ) ენებში ამ სიტყვის ძირს ახსნა არ მოეპოვება.

აქვე უნდა აღინიშნოს, ტერმინი გუთანი მხოლოდ ფამფალაკიან ფრთიან სახენელს როდი აღნიშნავს, არამედ ის სხვადასხვა სახის სახენელს ასახელებს. კერძოდ ინგუშებსა, ჩაჩნებსა და დაღისტნის ზოგიერთ ტომებში გუთონ, გუთონ — ხევსურული აჩაჩის ტიპის სახენელ იარაღს ეწოდება. ჩვენ გამორკვეული გვქონდა⁴², რომ ეს სახენელი იარაღის უძველესი სახეა, რომელიც წინააზიაშია წარმოშობილი და რომლის განვითარების უმაღლეს საფეხურს ქართველი ტომების მიერ შექმნილი რაჭული სახენელი წარმოადგენს. ეს უკ-

⁴¹ ივ. ჯაგახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, ტფ., 1930, გვ. 232—234.

⁴² გ. ჩიტია, რაჭული სახენელი, გვ. 290—291.

ნასკნელი თავისი ფარფლიანი ქუსლით და წეწენა // წინმავალათი მთის პირობებში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ბარში რთული სახვნელი იარაღი — გუთანი, თავისი ფრთითა და ფამფალაკით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართველ ტომებში გუთანი ზოგადი ტერმინია, — რომელიც მთის-გუთანს, ორხელა გუთანს და ბარულ გუთანს აღნიშნავს, ზოგადად ამ სახვნელებს მოკლე მხარი ახასიათებს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მოკლე მხარი გადაბმული მხარიდან მიღებული ელემენტი, ხოლო გადაბმული მხარი აგრეთვე უძველესი წინააზიური სახვნელი იარაღების დამახასიათებელი ნაწილია.

ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ შემდეგი: ქართველ ტომებში ტერმინ გუთნით აღნიშნება არა მარტო სახვნელი იარაღი, არამედ სახვნელი იარაღის ქუსლიც (ქსნის ხეობა, ქობულეთში, ს. ბობოყვათი, სადაც ჯილდის ქუსლსა გუთანი ჰქვია). ეს გარემოება ანგარიშგასაწევი ფაქტია, რამდენადაც ერთი და იგივე ტერმინი გუთანი სახვნელ იარაღს აღნიშნავს მთლიანად და კერძოდ მის ნაწილსაც — ქუსლს. ეს ფაქტი შეიძლება ტერმინის სიძველის ნიშნად მივიჩნიოთ. ამგვარი მოვლენა დადასტურებულია ხელნას მიმართაც. ქართული ტერმინი ერქვანი სახვნელსაც აღნიშნავს მთლიანად და მის ერთ-ერთ ნაწილს ხელნას.

ტერმინი გუთნის სიძველე შეიძლება სხვა გარემოებითაც დადასტურდეს. შედარებით ძველი წარმოშობის ხალხურ ზღაპრებში სახვნელი იარაღის აღსანიშნავად „გუთანია“ ნახმარი (მაგ., მეგრულ ზღაპრებში). ასევე ქართველი მთიელების ძველებური წარმოშობის ტექსტებში ტერმინი გუთანი და მის პარალელურად სახვნელი გვხვდება. მაგალითად:

1. „ჯარ-გუთან გამსვლელსა, ნაენავ-ნათესსა ხეავ-ბარაქა მიეცა“ (ს. ჯვარბოსელა, თუშეთი).
2. „ჯარ-გუთან წალმ წალგვარიდი“ (ს. ჯვარბოსელა, თუშეთი).
3. „მეგუთნე იყოს, ხარ-გუთანი გაუმართე“ (ფშაური).
4. „შენ სწყალობდი ჩვენის გამკვლევისას ფურსა, გუთანსა, ჯარის ნაენავსა, ფურის ნაწველსა“ (ს. ახიელი, ხევსურეთი).
5. „ჯარისად დადებულ უღელი-დ გატანილ საჯვნიელი მშვიდობით დაამთავრებოთ“⁴³.

მოყვანილი მასალების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გუთანი ძველი ტერმინია, რომელიც ზოგადკავკასიური კუთვნილების სიტყვაა და რომელიც თავდაპირველად პრიმიტიული (ხევსურული აჩაჩის ტიპი) სახვნელი იარაღს აღნიშნავდა, შემდეგში ამ იარაღის დაწინაურებასთან ერთად ტერმინი გუთანი დიფერენცირებულად მთის-გუთანს, ორხელა გუთანს და ბარულ გუთანს განეკუთვნება.

ის გარემოება, რომ სახელწოდება გუთანი სომხებს, აზერბაიჯანელებს, უბურთურებს ფამფალაკიანი სახვნელი იარაღის აღსანიშნავად აქვთ ნასესხებუ, ადასტურებს, რომ სესხება მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც გუთანი უკვე ფამფალაკიან სახვნელ იარაღს აღნიშნავდა. ამ დროს პრიმიტიულ, ხევსურულ აჩაჩას ტიპის სახვნელ იარაღს უკვე გავლილი ჰქონდა გზა ხევსურული აჩაჩადან რაჭულ სახვნელამდე, პრიმიტიულ სახვნელიდან ბარულ გუთნამდე.

⁴³ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმ. საქართველოს მთიელების სასულიერო ტექსტები, მსე, ტ. 1, გვ. 18, 22, 23, 26.

რამდენადაც ფამფალაკიანი სახვნელი სომხებს, თურქებს, აზერბაიჯანელებს და სხვებს ქართველი ტომებიდან მიუღიათ, აშკარაა, ფამფალაკის წარმოშობა ამ უკანასკნელებში უნდა ვეძიოთ.

საკითხის ამგვარი დასმა მართებულია, რამდენადაც ქართველ ტომებს სახვნელი იარაღის გაუმჯობესების საქმეში არა მცირედი წვლილი აქვთ შეტანილი. ეს შეეხება როგორც სახვნელი იარაღების ტიპებს მთლიანად. ისე კერძოდ, სახვნელი იარაღის შემადგენელ ცალკეულ ნაწილებს: ქუსლი, მხარი, საკვეთელი, ყურები და სხვ. ამის ერთ-ერთ საბუთს საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული სახვნელი იარაღების მეტად მდიდარი ნაირსახეობა წარმოადგენს.

მართლაც, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ წეწენიანი და შოლტიანი სახვნელი იარაღის არსებობის ფაქტს (რაჭული, სახვნელი, ქსნური მთის-გუთანი, ზემობოლოს ორხელა გუთანი) და ბარის პირობებს, სადაც წეწენა რბილ ყამირზე ვერ იმუშავებს, ღერძ-გოგორების გამოყენება სახვნელი იარაღის კომპლექსში აუცილებელი იყო. ეს მით უფრო გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ წეწენიანი სახვნელის წარმოშობის საფუძველი მეგრული ფრჩხილიანი სახვნელი და იმერული ფრჩხილებიანი-გოგორებიანი ურემი უნდა ყოფილიყო. ამ ურემის ღერძისა და თვლების (გოგორების) გამოყენება ბარული ტიპის გუთანში უკვე არსებული წეწენიანი, მოკლემხრიანი (ქსნური მთის-გუთანი, ორხელა გუთანი, რაჭული სახვნელი) და შოლტიანი (ზემობოლოს ორხელა გუთანი) სახვნელების არსებობის პირობებში სახვნელი იარაღების განვითარების ერთადერთ შესაძლებელ გზას წარმოადგენდა. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველი ტომების გარეშე ფრჩხილებიანი-თვლებიანი ურემი სხვაგან დამოწმებული არ არის. ეს ურემი ქართველი ტომების ერთ-ერთი კულტურული მონაპოვარია.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ გუთნის ფამფალაკის ისევე, როგორც მთლიანად ბარული გუთნის წარმოშობისათვის ქართველ ტომებში ყველა წინაპირობა იყო მოცემული. ამიტომ რეტიის გალიიდან რომაელების მეშვეობით ფამფალაკის (თუნდაც ტოლთვლებიანისა) მომდინარეობა დამაჯერებელი არ არის. ეს წინაპირობაა, სათანადო სამეურნეო ვითარებასთან ერთად, შუალედი რგოლის არსებობა რაჭული სახვნელის, ქსნური მთის-გუთნის და ორხელა გუთნის სახით, ერთი მხრით, ხოლო ფრჩხილებიანი სახვნელის და ფრჩხილებიანი-გოგორებიანი ურემის არსებობა, მეორე მხრით.

ზემომოყვანილი და განხილული მასალა შემდეგ დასკვნებს იძლევა:

ქსნური მთის-გუთანი სახვნელი იარაღის ის სახეა, რომელიც დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში არ ყოფილა გარკვეული და მისი მნიშვნელობა სახვნელი იარაღების ისტორიისათვის დადგენილი.

ქსნის ხეობაში ამ იარაღს ეწოდება მთის-გუთანი (ს. დადიანეთი, ხადილანთი, რევაზიანი, შალიანთკარი, წინადადიანეთი), აჩაჩა გუთანი (ს. ლარგვისი, ხარბალი) და გუთონ (ს. ხრომისწყარო).

ქსნური მთის-გუთნის ტიპური ეგზემპლარი შედგება მხარის, წრწენის, საცორავის, გუთნის, ჯელნების, სოლის, სახნისის, საკვეთლისა და ჯაჭვის გამოსაბმელისაგან. ნაწილების სახელები ქსნის ხეობის მთიან ზოლში სხვადასხვა ვარიანტებით გვხვდება.

ქსნური მთის-გუთნის კონსტრუქცია ყურადღებას იპყრობს პირველ რიგში თავისი მოკლე მხარით, რომელიც არ სწვდება უღელს, მხარის თავზე წრწენა აქვს მიმაგრებული. ეს უკანასკნელი სახენელის მუშაობის დროს მაწაზე მიფოფხავს. ამ სახენელის თავისებურებას აგრეთვე შეადგენს გრძელტოტებიანი და მოკლეტანიანი ხელნა. გრძელტოტებიანი ხელნა გუთნისდღდას საშუალებას აძლევს სახენელის ქუსლი და მასთან ერთად სახნისიც სახნავის ზედაპირთან შეფარდებით ზომამზე ასწიოს და დასწიოს. მთის ზოლის მიწის უსწორმასწორო რელიეფის პირობებში ამგვარი ოპერაცია მგუთნავისათვის აუცილებელია. ამ ოპერაციის შესრულებას მას უადვილებს მარჯვე ხელნებთან ერთად მოკლე მხარი თავის წრწენით.

სახენელი იარაღის ნაწილების ზემონაჩვენები ფუნქციონალური თავისებურებები შეფარდებულია მთის ზოლის მეურნეობის მოთხოვნილებებთან.

ქსნის ხეობაში მეტად თვალსაჩინოდაა მოცემული მთის, ძირის და ბარის (სამეგრელოში — გოლა, ლაკადა, რზენი) მეურნეობის პირობებთან შეფარდებული სახენელი იარაღების ტიპები: როდესაც მთის ზოლში ქსნური მთის გუთანია ხმარებაში, მთის ძირში ორხელა გუთანია დამოწმებული, ხოლო ბარში — კომპლექსური სახენელი, ბარული გუთანი გვხვდება.

ორხელა გუთანი არსებითად ქსნური მთის-გუთანია, რომელსაც არა აქვს წრწენა. მთის ძირის ზოლში ეს სახენელი იარაღი მრავლად გვხვდება: ლიახეზე, რიონზე, ხრამზე და სხვ. ამ იარაღის სახნისი სპეციალურად მზადდებოდა და სა ო რ ხ ე ლ ე ეწოდებოდა.

სპეციალურ ლიტერატურაში (მ. მაჩაბელი, ქ. ვერმიშევი, ჰაქსტჰაუზენი) ამ სახის სახენელი იარაღის მეტად ბუნდოვანი აღწერილობაა მოცემული.

ვერმიშევი ორხელა გუთანს აჩაჩისაგან ანსხვავებს მხოლოდ კოკოშია. ხოლო აჩაჩი, ვერმიშევის თქმით, იგივე არორია. ამ უკანასკნელს ორხელასგან არსებითი განსხვავება აქვს. მაჩაბელი და ვერმიშევი ორხელას კოკოშას უმართებულად იმ სოლს უწოდებენ, რომელიც ამაგრებს ხელნას ქუსლში. ორივე ავტორს ორხელას ძირითადი მახასიათებელი ელემენტები (მოკლე მხარი, განიერთოტებიანი ხელნა) დასახელებული და აღწერილი არა აქვთ.

ჰაქსტჰაუზენის ნაშრომში მოცემული ორხელას ჩანახატი დეტალებში შესწორებას მოითხოვს. გარდა ამისა, არ არის მართებული ჰაქსტჰაუზენის მოსაზრება, თითქოს ორხელა კავკასიის ხალხებიდან მხოლოდ ოსებს მოეპოვებათ და რომ ეს სახენელი (Sibir) კონსტრუქციულად მეკლენბურგის Hakenpfлюc-ის მსგავსია (ähnlich), ავტორის ეს უკანასკნელი შეხედულება შეუწყნარებელია რამდენადაც Hakenpfлюc-ი განსხვავდება ორხელა გუთნისაგან მხრით, ქუსლითა და ხელნებით.

ბრაუნგარტი ჰაქსტჰაუზენის ორხელას (Sibir) გუთურ სახენელად მიიზნევს. ბრაუნგარტის შეხედულებაც მიუღებელია, ვინაიდან გუთური სახენელი (გუთურად hoha) რუსული სოხას-ს სახის სახენელია. ხოლო რუსული სოხა კონსტრუქციულად ორხელა გუთნისაგან სავსებით განსხვავებული იარაღია.

ორხელა გუთნის შესანიშნავ ვარიანტს ზემობოლის სახენელი წარმოადგენს. ის თავისი მოკლე და ხელნაში გაყრილი მხარით, ხმალათი, შოლტათი და მასში შესაბამელ ხართა რაოდენობით ბარულ გუთანს და მის ვარიანტს — მესხურ ჯილდას ემსგავსება. ყველა მონაცემების მიხედვით ის ბარულ გუთანში ვადასვლის ერთ-ერთი რგოლი უნდა ყოფილიყო.

ტერმინით „გუთანი“ ქართლში აღინიშნება ბარის, მთის ძირისა და მთას სახენელი იარაღები. ზოგიერთ ქართველ ტომში გუთანი სახენელის ქუსლსაც ეწოდება. ეგვევ ტერმინი მოიპოვება კავკასიელ ხალხებში, სადაც ეს ხევესურული ტიპის აჩაჩის სახენელს აღნიშნავს. ის აქვთ სესხების გზით მიღებული სომხებს, თურქებს, აზერბაიჯანელებს, რომლებშიაც ის კომპლექსურ სახენელს აღნიშნავს. მეგრულ ზღაპრებსა და ქართველი მთიელების უძველესი ხანის ტექსტებში ეს ტერმინი პრიმიტიულ სახენელს ეწოდება, რაც ამ სახელის სიძველეს ამტკიცებს. ის გარემოება, რომ სომხებს, აზერბაიჯანელებსა და თურქებს გუთანი ნასესხები აქვთ ფამფალაკიანი სახენელის აღსანიშნავად ადასტურებს, რომ სესხება მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც გუთანი ფამფალაკიან სახენელ იარაღსაც ეწოდებოდა. ამ დროს ხევესურულ აჩაჩას გავლილი ჰქონდა გზა პრიმიტიული სახენელიდან ბარულ გუთნამდე.

ქართველ ტომებს სახენელი იარაღების გამოგონება-დაწინაურებაში არა მცირედი წვლილი აქვთ შეტანილი. ეს ეხება როგორც სახენელი იარაღების სახეებს მთლიანად, ისე მათ შემადგენელ ნაწილებს, კერძოდ, ქუსლს, მხარს, საკვეთელს, ყურებს და სხვა.

დამტკიცებულია, რომ ქართული სახენელის წარწენას წარმოშობა მეგრულ ფრჩხილიან სახენელს და იმერულ ფრჩხილებიან-თვლებიან ურემს უკავშირდება, ხოლო ფამფალაკიან გუთანში მოცემული ღირღიტა იმერულ ფრჩხილებიან თვალს იმეორებს. წარწენიანი, მოკლე მხარიანი და შოლტიანი სახენელების (რაჭული სახენელი, ქსნური მთის-გუთანი, ზემობოლის ორხელა გუთანი) ორსებობის პირობებში ფრჩხილებიანი ურემის თვლების გამოყენება ბარული გუთნის მისაღებად სახენელი იარაღების შინაგანი განვითარების ერთადერთი შესაძლებელი გზა იყო.

ჩვენებური ბარული გუთნის ღერძ-თვლების რეტიის გალიიდან რომაელების მეშვეობით მომდინარეობა, მას შემდეგ, რაც ჩვენი სახენელი იარაღების შინაგანი განვითარების ფაქტი დადასტურდა, მიუღებელია და უნდა მოიხსნას.

ქსნური მთის-გუთანი ზემოდასახელებული სახენელი იარაღების განვითარების (პრიმიტიული აჩაჩადან — ბარულ გუთნამდე) ერთ-ერთი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი შუალედი რგოლია.



რატული სახენელი

I

რატაში შემონახული სახენელი იარაღის ორი ძირითადი სახიდან ერთი მეტად თავისებურ ტიპს წარმოადგენს. ამ ტიპის სახენელი იარაღის თავისებურებას ამჟღავნებს როგორც მისი აღნაგობა, ისე (და კიდევ უფრო მეტად), ის ფუნქცია, რომელიც მას დაკისრებული აქვს.

სახენელი იარაღის ამ ტიპის გავრცელების არეს უპირატესად ზემო რატა წარმოადგენს, თუმცა აქა-იქ ქვემო რატაშიც გვხვდება. ის აგრეთვე მოიპოვება ლეჩხუმსა² და სვანეთში³. მთიულების⁴ მიერ დამზადებული სახენელი იარაღი დიდგორშიც მიჰქონდათ ადგილობრივ სახმარებლად (ტაბ. 16).

რატაში სოფლის მეურნეობის ამ იარაღის ზოგადი სახელწოდებაა სახენელი (სოფლებში: ღარი, ზნაკვა, ბარი, ღები, ჭიორა, გლოლა და სხვ.) და სახენელი (სოფ. სორი), თუმცა მასვე სოფ. წესში საგანგებო სახელაქვია: წეწენა⁵. ძველად ამავე სახენელის სახელი სამგრევი ყოფილა (სოფ. ჟაშქვა).

სახენელის // სახენელის ანუ წეწენას ერთი ეგზემპლარი ჩამოტანილია ს. ღარიდან საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების დავალებით მხატვარ უ. ჯაფარიძის მიერ 1932 წ. და ამჟამად ექსპონირებულია იმავე განყოფილების მიერ მოწყობილ სვანეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე (კოლექციის № 30—32) (ტაბ. 17). ხოლო სახენელი იარაღის ამავე სახის ერთ-ერთი ვარიანტის მოდელი სოფ. ზნაკვიდან ამავე განყოფილების დავალებით მასწავლებელ ლ. ტურძელაძის მიერ 1929 წელს არის¹ გადმოგზავნილი და საქ. მუზეუმის (კოლ. № 97—29) იმავე განყოფილებაშია დაცული. ამ კოლექციები-

¹ ზემო რატა ეწოდება სოფ. წესს, ზევით რატას.

² ა. ჭელიძის ცნობით.

³ G. Merzbacher, Aus den Hochregionen des Kaukasus Wanderungen, Erlebnis, Beobacht., Lpz. 1901, გვ. 381, სურ. 34, მარცხენა სახენელი.

⁴ ასე უწოდებენ თავის თავს ზემო რატის სამი სოფლის: ღების, ჭიორას და გლოლას რატელები, ხოლო მათს მხარეს მთიულეთს (შდრ ჯაფარიძეების სიგელი. ს. კაკაბაძე, წერილები, ტფ., 1914, გვ. 126—132). ამიტომ ამ მხარისათვის „მთის რატის“ სახელის მიკუთვნება, შეცდომაა.

⁵ ივ. ჯავახიშვილის მიერ დასახელებული ტერმინი ოჩოჩა (სოფ. წესი) რატაში ხმარებული სახენელი იარაღის მეორე ძირითად ტიპს აღნიშნავს (საქართველოს ეკონომიური ისტორიი, წ. I, ტფ., 1930, გვ. 198).

დან უკანასკნელი, მოდელი, ჩემ მიერ აღწერილი და დაბეჭდილი იყო საქ. მუზეუმის მოამბეში⁶. ხოლო ღარის კოლექცია პირველად ქვეყნდება აქ უმთავრესად იმ მასალებზე დაყრდნობით, რომელიც შეეგაროვეთ რაჭაში ჩვენი მუშაობის დროს 1931 წელს.

ეს სახვნელი დამზადებულია სოფ. ღარში გლეხის პ. ალიხანაშვილის მიერ. სახვნელის სიგრძეა უღვედოდ 170 სმ. სახვნელს აქვს: ხელა, რიკები, სატარი, ფიცარი, ერქვანი, სოლი, სახნისი და ღვედი.

სახვნელის სატარი წარმოადგენს თელისაგან დამზადებულ ოთხკუთხედად გათლილ მოხრილ ხეს, რომელიც ბოლოში განიერია, თავში ვიწრო. სატარის სიგრძე 142 სმ-ია, ხოლო უდიდესი სისქე 6×9 სმ. მოხრილ კუთხესთან ქუსლში გაყრილი სატარის ნაწილის სიგრძეა 34 სმ. სატარისათვის საჭირო და გამოსადეგ მასალას გლეხები ტყეში პოულობდნენ ბუნებრივად მოხრილი ხეების სახით, ან კიდევ აღრიდანვე ახალგაზრდა ხეს მოხრიდნენ მის წვერზე ღვლერჭით სიმძიმეს ჩამოკიდებდნენ, რის გამო ხე მოკაული იზრდებოდა. სატარის თავზე ქვემოდან მიმაგრებულია ხელა. სატარის ბოლომოკაული ნაწილი ფიცარშია ჩამჯდარი.

სახვნელის ფიცარი, ცალკეულად აღებული, გვერდიდან კეხს მიემსგავსება, რომელსაც ოვალურად ამოქნილი გვერდები (ფარფლები) აქვს, ერთ ბოლოზე (თავში) წაწვერილი და დათხელებული, ხოლო მეორე ბოლოზე გაგანიერებული და შუაზე ნაწიბურიანი. ფიცარს ბოლოში აქვს ოთხკუთხედი ნაჩვრეტი სატარის და ერქვანის გასაყრელად. ქვემოდან ფიცარი ამოღარულია. მას აქაც შუაში ნაწიბური ჩაუდის⁷. ფიცარი მთლიანი ხისაგან კეთდება. ამ შემთხვევაში ის თელაა (ზომა 140×30 სმ).

ხელა მოკაული ოთხკუთხედად გათლილი კავია, რომლის სიგრძე 40 სმ, ხოლო კბილის — 32 სმ. კბილს აქვს სამი ჭდობილი. ხელა თავისაგრძელი ნაწილით დაკრულია სატარის თავზე ქვემოდან ორი რიკის შემწობით. თითოეული რიკის სიგრძეა 18 სმ და 20 სმ, მათი დიამეტრები ქვემოთ 3 სმ, ზემოთ 2 სმ. ერქვანი კაბიანი კეტია, რომლის სიგრძეა 44 სმ, კაბისა — 20 სმ, რკინის სახნისი სამკუთხის სახისაა. მისი უდიდესი სიგრძეა 25 სმ, უდიდესი განი 20 სმ, აქვს წვერი, ფრთები და ყუა. სახნისი წამოცმულია ფიცრის წვერზე. ფიცრის ნაჩვრეტში ჩასმულ სატარს და ერქვანს სოლი იჭერს ხელაზე გამობმულია ღვედი, რომლის მეორე ბოლო უღელზეა მიბმული. ხშირად ღვედს (მას ჯამბარაც ეწოდება) ღვლეჭი (წნელისა) სცვლის.

6 გ. ჩიტიია, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1930, გვ. 282, და შმღ.

7 ლეჩხუმში ქუსლის ასეთ ნაწიბურებს მამაკაცის ასოს სახელი ეწოდება; სვანეთში ყურნა ქუსლის სოლს ჰქვია. სახვნელის ნაწილების არანაკლებ საინტერესო ტერმინებზე შემოუნახავს აქარულს: კაცაა, ძაღლაა; თუშურს: კვიცი, საშრუვე, კანწა, ჯაა (შდრ. ცხრილს, ქვემოთ). ასევე სასქესო ორგანოს სახელი ჰქვია წალკაში გუთნის კორას — ტაშშახ.

იმისათვის რომ ხელა მტკიცედ იყოს სატარზე მიმაგრებული, ღვლეკს ან ღვედა იყენებენ ხოლმე.

სახენელი იარაღის ამ ტიპის შემადგენელი ნაწილების სახელები სხვადასხვა სოფელში რამდენიმედ ნაირნაირია. ამის ნათელ სურათს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი იძლევა;

როგორც ვთქვით, სახენელი დამზადებულია ადგილობრივი გლეხის მიერ ადგილობრივი მასალისაგან, ხოლო სახნისი მოხელის მიერ არის გაკეთებული.

ადრინდელი ცნობების მიხედვით, ზემო რაჭაში, სახელდობრ ს. წედისში, რკინის მადანი იყო, რომელსაც მახლობელი სოფლის მცხოვრებნი იღებდნენ, ადნობდნენ და ნადნობიდან ამზადებდნენ თოხს, ცულს, ბარს, სახნისსა და სხვას⁸. წედისის რკინის მადნის, რკინის გამოდნობის და რკინის იარაღების დამზადების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ გულდენშტედტს (XVIII ს.)⁹ აქვს მოყვანილი, ხოლო სახნისი და რკინის ზოდი XI საუკუნის რაჭაში დამოწმებულია როგორც მიწის ღირებულებაში მისაცემი გადასაცვლელი ობიექტი¹⁰.

ჩვენს სახენელთან წარმოდგენილი სახნისი თავისი ჯურა ობიექტების საუკეთესო ნიმუშია.

⁸ A. Petzholdt. Der Kaukasus. Eine naturhistorische land- und volkswirtschaftliche Studie, I Bd., Lpz. 1866, გვ. 317 და 319. Petzholdt-ი სხვათა შორის აღნიშნავს, „Am morgen kommt der Mann mit einem Körbchen Eisenerz zum Hütte, und noch lange vor Abend verlässt er die Hütte mit der fertigen Hacke (ober was er sonst sein mag)“, გვ. 319—320.

⁹ J. G ü l d e n s t ä d t, Reise durch Russland und im Caucasische Gebürge, [II], St.-Petersburg 1787, გვ. 310; აგრეთვე, ვახუშტი, საქ. გეოგრა., გვ. 286;

¹⁰ თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 46, ნიკორწმინდის სოფელი: ივ. ჯ ა ვ ა ხ ი-შვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, ტ. I; გვ. 101; გულდენშტედტისა და პეტცჰოლდტის გარდა (პეტცჰოლდტს ნაშრომში წედისის სადნობი ქურების სურათებიც აქვს მოყვანილი) წედისის რკინის მადანს ეხებოან:

Koch, Reise durch Russland nach dem kaukasischen istmus etc., ტ. II, გვ. 84; Abich. Prodrum etc., გვ. 63; E. В е й д е н б а у м, Заметки об употреблении камня и металлов у Кавказских народов: Изв. Кав. Отд. Р. Г. О-ва, 1887, ტ. IV, გვ. 257 Акты Археографической комис., გვ. IV, 61, № 231, გვ. 186—288; Радле. Зап. КОРГО, ტ. VII, გვ. 187 და სხვები. უნდა აღნიშნოს, რომ წედისის რკინის მადნის ამოღებისა და დამუშავების ტექნიკის შესწავლას უაღრესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წედისის მადანთან დაკავშირებულ ხალხში ადგილობრივ შემონახული გადანაშთების შეგროვება; სამწუხაროდ, 1935 წელს ლენინგრადში დაბეჭდილ მონოგრაფიაში, Г. Деген-Ковалевский. К истории железного производства Закавказья. По материалам раскопок Чуберской железоплавильни—в Свания (Изв. ГАИМК №1. 120), ავტორი წედისს ნიშანდობლივ არ იხსენებს და არც მის მიერ დასახელებულ ლატერატიურაში პეტცჰოლდტი, გულდენშტედტი და სხვები აღნიშნული არ არიან. საკვირველია აგრეთვე, რომ ავტორი არ იცნობს მის თემასთან უშუალოდ დაკავშირებულ სვანეთის ეთნოგრაფიულ მასალებს, კერძოდ, არა აქვს აღნიშნული ის დიდი როლი, რომელიც მჭედელს აქვს სვანების რიტუალში განკუთვნილი და არ იცის სვანი ოქრომჭედელი ქალების არსებობა: აგრეთვე არა აქვს გამოყენებული სვანური პანთეონის ღვთაება სო ლ ა მ ი || სო ლ ო მ ი, რომელიც ითვლება ხელოსანობისა და ხელოვნების მფარველად, კერძოდ, სამუშაო იარაღების და მათ შორის სახენელ-სახნისის მფარველად. ერთ-ერთ ლეგენდამი სოლამი გამოყვანილია მჭედლად, რომელსაც მიმართავენ ჯგერაგი ისეთი ისრის წვერის გამოსაჭედად, რომელსაც კეთების დროს სილა არ უნდა შეეროს. ლეგენდა ჩაწერილია ცხუმარის საზოგადოებაში, ს. სვიფს, 63 წ. დიმიტრი ჯაჭვლიანისაგან 1936 წ. ზაფხულში დოც. ვ. ბარდაველიძის მიერ, რომელსაც აგრეთვე ეკუთვნის ზემომოყვანილი სოლამის ბუნების დადგენა.

სახენელის //სახნელის//სამგრევის ნაწილების სახელები სოფლობრივად

ს. პატარა ონი	ს. ღარი	ს. წესი	ს. ზნაევა	ს. ლევი	ს. ბარი	ს. გაშქვა	ს. ხეითი	ს. სხევა	ს. ცხობრი
სახნისი ქუსლი	სახნისი ფიცარი	სახნისი ქუსლი	სახნისი ქუსლი	სახნისი ფიცარი	სახნისი ფიცარი	სახნისი სახენელი ფიცარი: ქუსლი, ფარფლი საშუე//საეშუე	სახნისი სახენელი დიდი სოლი, საროჩი	სახნისი სახენელი ფიცარი	სახნისი სახე. ქუსლი// სახენის ფიცარი
ერქვანი წეწუნა	ერქვანი სატარი	ერქვანი კავი	ხელა კავი	ერქვანი კავი// სატარე	ხელა ქუსლი	ხელა სატარი	ერქვანი ხელა	ხელა კავი	ხელა სატარი
კავეშა ჯამბარი	ხელა ღველი- ღელეჭი	ხელა ღველი- ღელეჭი	წინაწა//წინამავალა ჯამბარა-ღელეჭი	ხელა ჯამბარა- ღელეჭი	წინაკავი ჯამბარა	წეწუნა ჯამბარა	რქვანი ჯამბარა	წინაკავი//წი- ნამძლოლი ჯამბარა	წეწუნა ჯამბარა

ასევე სანიმუშოდაა გაკეთებული სახვნელის ხის ნაწილებიც, კერძოდ სახვნელის ფიცარი. ის ხეზე ხურობის საუკეთესო ნიმუშია. თავისი სიმეტრიულობით, დამთავრებული ხაზებით და სტრუქტურით ფიცარი ხუროს მიერ ნათლად გამიზნულ და მიღწეულ ნაქნარს წარმოადგენს. ცნობილია, რომ რაჭველები საზოგადოდ არიან კარგი ღურგლები, ხის ხუროები. ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს¹¹ და აგრეთვე პეტცჰოლდტი და სხვებიც აღნიშნავენ¹². მაგრამ რაჭულ სახვენელში არა მარტო ფიცარია კარგად დამუშავებული და დამზადებული სახვენელი იარაღის ნაწილი, არამედ ამავე იარაღის სხვა ნაწილებიც: ხელა // წეწენა, სატარი და ერქვანი. სახვენელის ეს ნაწილები ყველა ერთად იმდენად კარგად არიან ერთიმეორესთან შეწყობილი, რომ ადამიანი გაკვირვებას ეძლევა ამ სახის სახვენელი იარაღის არსებობის გამო. გაკვირვებას იწვევს სწორედ ის გარემოება, რომ სახვენელი თავის ძირითად ნაწილებში გამოსულია პრიმიტიული სახის სახვენელისაგან, ხოლო პრიმიტიული სახვენელის ნაკლი მასში დაძლეულია ამ სახვენელი იარაღის ელემენტების შენაგანი გაუმჯობესების გზით. კიდევ მეტი: გაუმჯობესება შეფარდებულია სახნავი მიწის აღნაგობასა და ძალასთან. საერთოდ კი ყველაფერი ამყლავნებს, რომ ამ იარაღის შექმნაზე არა მცირედი შრომა და დროა დახარჯული, რაც უთუოდ გამართლებული უნდა ყოფილიყო ამ იარაღის კონსტრუქციაზე და მის ნაწილებზე დაკისრებული ფუნქციით.

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ სახვენელის სახის იარაღი ზოგიერთი ქართველი ტომის გარდა არსად მოიპოვება. რამდენადაც ეს ცნობილია ლიტერატურაში.

პეტცჰოლდტმა, რომელმაც ეს სახვენელი 1864 წ. ივლისში ქ. ონის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში ნახა და მისი სურათი თავის ნაშრომში დაბეჭდა, აღნიშნა, რომ რაჭული სახვენელის კონსტრუქცია მეტისმეტად ორიგინალურია თავისი ხელათი, ქუსლითა და მხარით, ქუსლისა და ხელას ურთიერთთან დაკავშირებით. მასვე აღნიშნული აქვს, რომ ეს სახვენელი მშვენიერი სახვენელი იარაღია¹³.

11 გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლეხის სახლი ქვაბლიანში. „მომომხილველი“, ტ. I, გვ. 139.

12 პ ე ტ ც ჰ ო ლ დ ტ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 320: Обзорение Российских владений за Кавказом, 1836, ნაწ. II, გვ. 105 ბ ო ბ ი ლ ე ვ ი აღნიშნავს, რომ ნიკორწმინდის მცხოვრებნი ამზადებენ კარებს, ჩარჩოებს და მოაჯირების მოჩარხულ რიკებს და გასაყიდად გააქვთ ბაზარზე, Ф. Б о б ы л е в, Несколько мыслей об Имеретии в сельского-хозяйственном отношении: Зап. Кавказского о-ва сельск. хозяйства, 1856, გვ. 248.

13 P e t z h o l d t, op. cit., ტ. II, გვ. 129—30, შდრ. მ ი ს ი ვ ე, op. cit., ტ. I, გვ. 220. Petzholdt-ს სხვათა შორის ნათქვამი აქვს Ich, sah hier ausser dem mir von der Reise her bereits Bekannten noch manches Neue und Interessante, namentlich erregten, ganz abgesehen von dem eigenthümlichen Pfluge der Ratschia, verschiedene zur Bearbeitung des Holzes bestimmte Handgeräthe meine Aufmerksamkeit» (ტ. I, გვ. 320) და შემდეგ: «Ein ganz merkwürdiges Gerath². Die Construction dieses Hackens (ავტორის სახვენელი იარაღის ტერმინები არეული აქვს—გ. ჩ.) ist durch und durch originell, man mag auf die Stellungsrichtung, ober auf die Art und Weise, der wie Pflugbaum und die Sterzen mit der Sohle in Verbindung gebracht worden ist, oder die Form der Sohle selbst hinblicken» (ტ. II, გვ. 129).

რ. ბრაუნგარტიც აღიარებს, რომ რაჭული სახენელი უაღრესად სანტი-
რესო სახენელთა ტიპს ეკუთვნის¹⁴. თავის ნაშრომში ბრაუნგარტი ცდილობს
რაჭულ სახენელს გამოენახოს მსგავსი სახენელი იარაღები, ერთი მხრით, ბერ-
ძნული ქალღმერთის კორას სახენელ იარაღში¹⁵ (ტაბ. 25) და, მეორე მხრით,
ირანულ სახენელში, თუმცა ამავე დროს თვითვე აღიარებს, რომ რაჭული ირა-
ნულთან შედარებით ათასი წლების მანძილზე დაწინაურებული და სახეცვლი-
ლი იარაღია¹⁶.

რ. ბრაუნგარტს მოჰყავს აგრეთვე ცნობა იმის თაობაზე, რომ მას რაჭული
სახენელი იარაღის მსგავსი სახენელი თითქოს ტიროლში უნახავს, ხოლო ოც-
დაათი წლის შემდეგ მას ის ვედარ უპოვია¹⁷. ეს ცნობა ეჭვს იწვევს იმის გა-
მო, რომ ბრაუნგარტს სხვა ადგილას გამოთქმული აქვს აზრი, რომელიც გა-
გებული უნდა იქნეს ისე, რომ მას რაჭული სახენელი იარაღის მსგავსი იარაღი
შუა ევროპაში არ ეგულება. სახელდობრ, ბრაუნგარტს პეტცჰოლდტის მი-
საზრებაზე რაჭული იარაღის იშვიათი ორიგინალობის შესახებ, ნათქვამი აქვს,
რომ ეს მოსაზრება ეხება ჩვენში, ევროპაში, უცნობ ი რ ა ნ უ ლ ი (ხაზგასმუ-
ლი ჩემია—გ. ჩ.) სახენელის ტიპს¹⁸. ამგვარად, რაჭული სახენელის ტიპი
ავტორისათვის თითქოს ირანულ სახენელშია საძებარი. ამასთან დაკავშირებით
იგი ქართველების ირანელობის თეორიას ქმნის და როდესაც ამისდა მიუხე-
დავად რაჭული სახენელის ჩამომავლობის საკითხის დამაჯერებლად გადაწყვე-
ტაში თავს დარწმუნებულად ვერ გრძნობს, ახლა სხვა გზას მიმართავს და
სხვა აზრს გამოთქვამს. ის ამბობს, რომ რაჭული სახენელი, ცხადია, გარდა-
მავალი ფორმაა კორასა და პაპაუს სახენელ იარაღსა, ერთი
მხრით, და სოლისებური¹⁹ სახენელი იარაღის ტიპთა (Keilpflugtypus) შორის,
მეორე მხრით¹⁹. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენად მცდარია ბრაუნგარ-
ტის შეხედულებები რაჭული სახენელის შესახებ და ვუჩვენებთ, რომ რაჭულ
სახენელს საერთო არა აქვს რა არც ირანულთან, კერძოდ, და არც ინდო-
ევროპულ სახენელთან, საზოგადოდ.

ლეზერს თავის ნაშრომში (Entstehung Verbreitung des Pfluges etc.
გვ. 553). მოჰყავს პეტცჰოლდტიდან რაჭული სახენელის აღწერა და სურათები.
მხარის მიხედვით²⁰ (ტაბ. 18). ის რაჭულ სახენელს მისი კვალიფიკაციით დადგე-
ნილ²¹ Jochpflug-ის ტიპს მიაკუთვნებს. ამგვარი მიკუთვნება მხედველობაში

¹⁴ R. Braungart, Die Urheimat der Landwirtschaft aller indogermanischen
Völker, au der Geschichre der Kultupflanzen und Ackerbaugeräte in Mittel und Noid-europa
nachgewie sen, Heidelberg 1912, გვ. 263.

¹⁵ ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

¹⁶ ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

¹⁷ ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 265. შდრ. P. L e s e r, Entstehung und Ver-
breitung des Pfluges, Anthropos—Ethnologische Bibliothek, ტ. III, ნაკ. '3, Münster
W. 1931, გვ. 446

¹⁸ B r a u n g a r t, op. cit. გვ. 264. ის წერს: «Petzholdt nennt die Konstruktion
dieses Hakens durch und durch original (es handelt sich eben um einen uns in Europa
nicht bekanten iranischen Pflugtypus)».

¹⁹ სოლისებრი სახენელის შესახებ იხ. ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96;
K. R a u, Geschichte des pfl, გვ. 16, 65, შედ. L e s e r, op. cit. გვ. 24; იქვე, შენიშვნა 44-

²⁰ ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

²¹ ლ ე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 363.

²² ლ ე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—7.



იღებს სახენელი იარაღის მხოლოდ ერთ ნაწილს და უგულვებელყოფს ამ იარაღების სხვა არსებით მხარეებს. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, რაჭული სახენელი იარაღისათვის ადგილის მიკუთვნება სახენელი იარაღების საკლასიფიკაციო სისტემაში შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენი სახენელი იარაღის ქუსლის კონსტრუქცია არ იქნა მხედველობაში მიღებული. ამას გარდა, ლეზერის კლასიფიკაცია არაფერს იძლევა რაჭული სახენელი იარაღის წარმოშობის საკითხებისათვის. ამავე დროს ლეზერი შეცდომაშია შეყვანილი პეტცჰოლდტის მიერ სახენელის მხარის ყალბი აღწერილობით. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ივ. ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ ნაშრომში (საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1930 წ.) რაჭული სახენელი დასახელებული არა აქვს და იგი არც რაჭულის მინამსგავსი სახენელების საკითხს ეხება. მას მხედველობიდან გამოპარვია პეტცჰოლდტის ადრინდელი მასალა რაჭული სახენელის შესახებ, ხოლო კორესპონდენტს რაჭიდან მისთვის ცნობა მიუწოდებია სახენელი იარაღის სხვა ტიპის (ო ჩ ო ჩ ა ს) შესახებ²³.

ივ. ჯავახიშვილის მიერ დასახელებული რაჭული ოჩოჩა საკმაოდ განსხვავებულ სახენელ იარაღს წარმოადგენს რაჭულ სახენელთან შედარებით. მისი ქუსლი უფარფლოა; განსხვავებულია აგრეთვე ამ ორი იარაღის მხრებიც. იმ დროს, როდესაც ოჩოჩას მთლიანი გრძელი მხარი აქვს, რომლის თავზე უღეღია გამობმული, რაჭული სახენელის მხარი მოკლე სატაროს წარმოადგენს, რომელსაც სპეციალური იარაღი, კ ა კ უ ჭ ა, მოეპოვება ჯამბარას გამოსაბმულად²⁴.

რაჭულ სახენელთან კონსტრუქციულად უფრო ახლო დგას რაჭის ზოგიერთ სოფლებში (უბირატესად ს. მთისძირი, შქმერი, ღები, ჭიორა) ხმარებაში მყოფი — ო რ ხ ე ლ ა. ორხელა თავისი კ ა კ უ ჭ ა თ ი (ქართლელები უწოდებენ კ ო კ ო შ ა -ს²⁵ ოსები კ ო კ ო ს ა -ს) და მოკლე მხარით (რაჭველები—ს ა ტ ა -რ, ო, ს ა ტ ა რ ე) რაჭული სახენელის მინამსგავსი იარაღია. ორხელა ჩვეულებრივად ყვევარს და მეტს ხარს შეიბამს, ოჩოჩა ერთ უღელს — ისევე როგორც რაჭული სახენელიც, მაგრამ გამწევი ძალის სიმრავლისა და თანატოლობის მიუხედავად, რაჭული სახენელი²⁶ ორხელასა და ოჩოჩასთან შედარებით თავისი კონსტრუქციისა და დაკისრებული ფუნქციის მიხედვით მათზე მაღლა დგას. ამას რაჭული სახენელის ძირითადი ნაწილების ყოველმხრივი ანალიზი ნათლად დაგვანახებს.

23 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.—შდრ. აქვე ზემოთ, გვ. შენიშვნა 1.

24 ივ. ჯავახიშვილის მიერ (დასახ. ნაშრომი, გვ. 198). ოჩოჩას ქუსლისათვის დასახელებული ტერმინი ო რ ნ ა ტ ი (პარალელთა არ ნ ა დ ი) ზემო რაჭაში აღნიშნავს საკლოე იარაღს არნადს (შდრ. ა რ ნ ა დ ი (საბა). ა რ ნ ა ბ ი (საბა) და ა რ ნ ა გ ი (ხევსურულა). რაჭული არნადი // ორნატის შესახებ ცნობა მოგეაწოდა დოც. შ. ძიძიგურმა, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ.

25 მესხეთში კ ო კ ო შ ა კ ი ერდოს აღნიშნავს (იხ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, გლეხის სახლი ქვაბლი-ანში, მემომხილველი, ტ. I, გვ. 146);

26 ი. ბ ა ხ ტ ა ძ ე (МИЭБГКЗК, 1886 წ., II, გვ. 50) რაჭისათვის მხოლოდ ერთი ტიპის (იმერული კავის) სახენელი იარაღის არსებობას ამოწმებს, რაც არც თანამედროვე და

რაჭული სახენელის ხის ნაწილების დამზადება შემდეგი იარაღების შემ-
წობით წარმოებს: ცული, ნაჯახი, ჩულუხი, თეგი, პირთხელი,
კობოსანი, სატეხი, ეჩო და კვერკვეშო. ამ იარაღებიდან ზოგი-
ერთი მეტად საყურადღებო ობიექტია მეცნიერული კვლევისათვის²⁷. კერძოდ,
რაჭაში ხმარებული ცული, ქართულ ცულის სახელწოდებით, გავრცე-
ლებულია მესხეთში²⁸. ნაჯახი მეგრულ-იმერული ტიპისაა. დიდი ზომის ნაჯა-
ხისათვის რაჭაში ძველად აფთი²⁹ ანუ ცულა-აფთა უწოდებიათ. (ტაბ. 17).

ასევე მნიშვნელოვანია ჩულუხიც³⁰, რომელიც ერთ-ერთი მთავარი იარაღია
რაჭული სახენელის ფიცარის, ანუ როგორც მას სხვაგვარადაც უწოდებენ—
სახენელი ფიცარი, ქუსლი, სახენის ქუსლი და სახენის
ფიცარი—დასამზადებლად. ფიცრის გასაკეთებლად ჩვეულებრივად ისეთ
ხის ძირს შეარჩევენ ხოლმე, რომელიც ბუნებრივად ცოტათი მოხრილი და
უროკო იქნება. ხის ასეთი ნაჭრისაგან ცულით ჯერ მორს დაამზადებენ, შემ-
დეგ მას გათლიან ნაჯახით, გამოაკოპიტებენ, ჩაუთლიან გვერდებს, ამო-
ფარფლიან და ჩულუხით ძირს ამოტეხენ. ასე დამზადებული ფიცარი ჩა-
ნებული ქუსლია, რომელიც გამოირჩევა სახენელი იარაღების სხვა ქუსლები-
საგან არა მარტო თავისი ფორმით, არამედ ფუნქციითაც. ის კარგად ასრულებს
იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებული აქვს გუთნის ფრთას.

როგორც ცნობილია, გუთნის არსებითი დანიშნულება მდგომარეობს:
პირველი — გაავლოს ღრმა კვალი, მეორე — აჭრილი მიწის ბელტი გადააბრუ-

მით უფრო არც ოთხმოციანი წლების რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს არ შეეფერება.
ბახტაძისათვის, ისევე როგორც ვერმიშევისათვის (МИЭБГКЗК, 1888 წ., ტ. IV) უცნობია
რაჭული სახენელი, აღწერილი პეტტკოლდტის მიერ სამოციანი წლებში. საფიქრებელი კი იყუ-
რომ ეკონომიკური ყოფის შესახებ ნაკრებ ნაშრომში ყურადღება მიექცეოდა სახენელი იარა-
ღების ყველა სახეს. პეტტკოლდტის მოგზაურობის წინასწარი ანგარიში დაიბეჭდა სოფლის
მეურნეობის საზოგადოების ჩანაწერებში (ЗКОСК, 1864; ნაკ. I გვ. 1—34), ხოლო ანგარიშის
ზოგიერთი დებულების კრიტიკა იმავე ჩანაწერების მეორე ნაკვეთში (გვ. 34—62). ზემორე
მოხსენებული სახენელი იარაღებიდან ნიშანდობლივ რომელი ერთი იგულისხმება გიულდენ-
შტედტის ცნობაში რაჭული სახენელი იარაღის შესახებ (Reise atc), ძნელი გადასაწყვეტია
(შდრ. ივ. ჯაეახიშვილი, ეკონომ. ისტორია, ტ. I, გვ. 199),

²⁷ ხის დასამუშავებელი იარაღების შესახებ რაჭაში ზოგადი მოსაზრებები იხ. პეტტ-
კოლდტი, ტ. I, გვ. 420 და ტ. II, გვ. 47—48, შდრ. ზემოთ გვ. შდრ.: Бахтадзе,
экономический быт гос. крестьян Рачинского уезда, Кутаисской губернии МИЭБГКЗК,
ტ. II, გვ. 107; აგრეთვე, გვ. 51, სადაც ბახტაძე ამჟღავნებს რაჭული შრომის იარაღების
სრულ შეუფასებლობას პეტტკოლდტის აზრის წინააღმდეგ.

²⁸ გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახენელი იარაღების ისტორიისთვის, საქ. სახ.
მუზეუმის მოამბე, ტ. V, გვ. 274 და სურ. 6.

²⁹ შდრ. საბა: „აფთი — მახვილია ბრტყელი და ტარგრძელი (ტარდასხმული. ტარო-
სანი)“. გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, გვ. 294—95: ხე-
სურული აფთარი საცერულის ერთ-ერთი სახეა.

³⁰ „ჩულუხი—დიდი საქრეთელი“ (საბა). შდრ. ხევსურული საქვრეთელი



ნის და დაფშვნას, მესამე — თავისი კონსტრუქციის გამო რვილის თავს მყარი სადგარი მისცეს, რაც გამწვევ ძალას მუშაობაში ხელს უწყობს და მუშაობას უადვილებს.

ასევე ცნობილია, რომ ბელტის გადაბრუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლისათვის, ვინაიდან გადაბრუნებულ ბელტზე ეფექტურად მოქმედებს მზე და წვიმა. მხოლოდ მზისა და წვიმის მოქმედება ინტენსიური ქიმიური პროცესების გამო საყანე მიწას ანოციერებს და მოსავალს აუმჯობესებს. მესხების თქმით, გუთნით ან ჯილდით ხნულზე „მიწა უფრო დაწულია, მას ჯანი მიეცემა მზისაგან“³¹. ამ მოვალეობას გუთანი ფრთის შემწეობით აღწევს. იმის მიხედვით, თუ რამდენად მოხერხებულად არის ფრთა გუთნის ქუსლსა და მანქვაზე მიგრებული: სწორად, ირიბად ან კიდევ იგივე ფრთა ოვალური სახისაა — ამდენად ის უკეთ აბრუნებს ბელტს და უკეთ ფშვნის მას. უკანასკნელი სახის ფრთა შედარებით ახალი შენაძენია ევროპის სახვნელი იარაღების ინტორიაში. ბურჟუაზიული მეცნიერები ევროპაში ოვალური ფრთის გაჩენას შორეული აღმოსავლეთის გავლენას მიაწერენ და XVII—XVIII საუკუნეებს მიაკუთვნებენ³². მაინც და მაინც არც შორეული აღმოსავლეთის სახვნელი იარაღის ოვალური ფრთა უნდა იყოს თავისი წარმოშობით დიდად ხნიერი ევროპის ოვალურ ფრთასთან შედარებით³³.

სულ სხვა სურათს ვხედავთ ჩვენ ქართველი ტომების სახვენელ იარაღებში. აქ სახვნელი იარაღების ქუსლის ნაირნაირი სახეობაა დამოწმებული. ამავე დროს ქუსლის ელემენტების შინაგანი გაუმჯობესება ისე შორს არის წასული, რომ ზოგიერთი მათგანი იმავე როლს ასრულებს, რომელიც დაკისრებული აქვს გუთნის ფრთას. კერძოდ, თუ დაკვირვებით შევისწავლით რაჭულა სახვნელის ქუსლს, მეტად საგულისხმო შედეგს მივიღებთ. აღმოჩნდება, რომ ამ სახვნელი იარაღის ქუსლი შემძლეა, თავისი მოწყობილობის გამო, გუთნის ფრთის მოვალეობა შეასრულოს და კიდევ მეტი — გუთნის დაწინაურებული ფრთის მოვალეობა, ოვალური ფრთის ფუნქცია. აღმოჩნდება აგრეთვე ისიც, რომ ის თავისი კონსტრუქციის გამო გამწვევ ძალას მუშაობას უმსუბუქებს.

მართლაც ამ სახვნელი იარაღის მუშაობის პროცესში სახნისის მიერ აჭრილი ბელტი ქუსლის ეშვიდან თანდათან მიჰყვება ქუსლის ფარფლის ზემოთ და ქუსლის ოვალური მოყვანილობის გამო მისი ზემო ნაწილიდან გადაბრუნებული ქვემოთ ეცემა. ამ პროცესში სამი გარემოებაა საყურადღებო: ერთი მხრით, ქუსლის ოვალობა, რომელიც ხელს უწყობს აჭრილი ბელტის მოძრაობას ქუსლს ზემოთ, აადვილებს თვით ამ მოძრაობას და ბელტის გადაბრუნებას; მეორე მხრით — გადაბრუნებული ბელტის დაცემა ქუსლის ბოლო ნაწილის სიმალიდან აადვილებს ბელტის დაფშვნას; ხოლო, მესამე მხრით, მხედველობაში მისაღებია ის, რომ მუშაობის პროცესში სახვნელის ქუსლი პორიზონტალურად კი არ ძევს მიწაზე, არამედ წაგვერდილია ისე, რომ აჭრილი ბელტი ქუსლის ერთ გვერდს მიჰყვება ხოლმე, ხოლო მეორე გვერდი ბელტის გადაბრუნებაზე მუშაობს სახვნელი იარაღის ნაკვალევის გავლისას შემობრუნების შემდეგ.

³¹ გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 269.

³² L e s e r, Entstehung und Verbreit. d. Pfluges, გვ. 442—458; მისივე, Westöstliches Landwirtschaft, Wien 1928, გვ. 444 და შემდ.

³³ T h o m s o n, Illustrations of China and its people etc., London 1873—74 ტ. 2, სურ. № 5.

პეტცკოლდტს თავის ნაშრომში³⁴ აღნიშნული აქვს, რომ რაჭული სახენწე-
ლის სახნისის მიერ აჭრილი მიწა ქუსლის ორივე გვერდზე თანაბრად აჰყვება
ხოლმე და რომ ქუსლის ნაწიბური ხმალას მსგავსად მიწას ჰკვეთს და მას
ქუსლის ორივე გვერდზე ანაწილებს. ეს აშკარა შეცდომაა. როგორც ზემოთ
აღვნიშნეთ, სახენწელის ქუსლი წაგვერდილი მუშაობს; აჭრილი ბელტი ცალ
გვერდზე მოძრაობს მაშინ, როდესაც მეორე გვერდი მიწას პირად მიჰყვება³⁴.
ამ შემთხვევაში რაჭული სახენწელის ქუსლი ისევე მოძრაობს, როგორც კავის
ქუსლი. ეტყობა პეტცკოლდტს მუშაობის პროცესში არ უნახავს რაჭული სა-
ხენწელი და თავისი დასკვნა თეორიულ მოსაზრებაზე დაუყარებია. პეტცკოლ-
დტი ამოწმებს, რომ რაჭული სახენწელი და სხვა იარაღები მან გაიცნო იმ გა-
მოფენაზე, რომელიც ონის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში მას ონის მახარის
უფროსმა მოუწყო³⁵. იმის გამო, რომ პეტცკოლდტს რაჭული სახენწელი მუშა-
ობის პროცესში არ უნახავს, მას დაშვებული აქვს მეორე უფრო მნიშვნელო-
ვანი შეცდომა. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

რაჭული სახენწელის ქუსლის ამ სახით მუშაობის გამო კვალის გავლება
რაჭაში აქ მოცემული სქემის მიხედვით წარმოებს (ტაბ. 21 სურ. 3).

ზემოთქმულით მარტო არ ამოიწურება რაჭული სახენწელის ქუსლის უპი-
რატესობა მის ფუნქციასთან დაკავშირებით. როგორც ს. ლარის სახენწელის
ქუსლის აღწერის დროს აღნიშნული გვქონდა, ქუსლის ძირი გულამოღარუ-
ლია, რაც სახენწელ იარაღს დამატებით უპირატესობას ანიჭებს. ერთი ის, რომ
ამოღარულში ადვილად გადის ძირის მიწა. მიწა არ ედება ქუსლის ძირს. ეს
უადვილებს ხარებს მუშაობას. მეორე მხრით, ქუსლის მოყვანილობის გამო
მასში ჩამჯდარი მხარის ბოლო არ ეთრევა მიწაზე, როგორც თვით ეს ბოლო
ისე არც სოლები, რომლებიც ერთი ზემოდან, ხოლო მეორე ქვემოდან ამაგ-
რებენ მხარს ქუსლში (ზემო სოლს ს. ხეითში დ ი დ ი ს ო ლ ი ეწოდება, ხოლო
ქვემოს — ს ა ჩ ო ჩ ი), როგორც თავის ადგილზე ვნახეთ სოლებს მხარის
ქუსლში დამაგრების გარდა ეკისრებათ სახენწელის მიერ გასავლები კვალის
დაღრმავება და დავაკება.

იმის გამო, რომ არც მხარის ბოლო, არც სოლის თავ-ბოლოები მიწაზე
არ ეთრევიან, გამწვევ ძალას მუშაობა უადვილდება, გარდა ამისა, თუ მხედ-
ველობაში მივიღებთ, რომ ქუსლი ფარფლიანი და გულამოღარულია, მაშასა-
დამე მსუბუქი, ცალგვერდზე მუშაობს და არა ორივეზე — აშკარაა თუ რამ-
დენად უმსუბუქდება მუშაობა სახენწელის გამწვევ ძალას.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ რაჭული სახენწელის ქუსლი სახენწელი
იარაღის დაწინაურებული, განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ელე-
მენტია, რომელიც გუთნის ფრთის მოვალეობის შესრულების შემძლეა და
სახენწელის გამწვევი ძალის მუშაობის შემამსუბუქებელი. ცხადია, ასე დაწი-
ნაურებული ქუსლი ერთბაშად არ გაჩნდებოდა. მას უნდა გაველო განვითარების
სხვადასხვა საფეხური, ვიდრე თავის სრულ სახეს მიაღწევდა. ამ ქუსლის
წინამორბედი სახეები ქართველ ტომთა სახენწელი იარაღების ქუსლის ტიპებ-
ში უნდა ვეძიოთ.

³⁴ პ ე ტ ც კ ო ლ დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.

³⁵ იქვე, გვ. 320.

პროფ. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ჩვენში მრავალნაირი სახენელი იარაღების ნაირნაირი სახეების დიდი რაოდენობით შემონახვის გამო, შეიძლება საქართველოს სახენელი იარაღების ცოცხალი მუზეუმი ვუწოდოთ³⁶. კიდევ მეტი უფლებით ჩვენ შეგვიძლია საქართველოს ასეთი სახელი მივაკუთვნოთ აქ შემონახული სახენელი იარაღების ქუსლების ნაირნაირობის გამო.

თუ რამდენად მრავალრიცხოვანია ქუსლების სახეები ჩვენში, აშკარად ჩანს იმ მასალიდან, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს. ქართველ ტომებს სახენელი იარაღის ქუსლების ფორმისათვის დიდი ხანია ყურადღება მიუქცევიათ და მათი მრავალნაირი სახე შეუქმნიათ.

სამწუხაროდ, დღემდე ჩვენში შემონახული სახენელი იარაღის ქუსლის ყველა სახე ფიქსირებული არ არის. არ ჰქონია ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული სპეციალურ ლიტერატურაში³⁷. აქა-იქ მითითებულია ყურთან და უყურო ქუსლზე, არის მიქცეული ყურადღება ქუსლის ზოგიერთ სახეზე, მაგრამ ქუსლის სახეების დეტალური შესწავლა, მათი გამოყენების ეფექტურობა, შეფარდება ნიადაგთან, გამწვევ ძალასთან დაკავშირება და სხვა არავის უწარმოებია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ქუსლი სახენელი იარაღის კომპლექსის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

ერთს ჩვენს ადრინდელ ნაშრომში ქართველი ტომების სახენელი იარაღის ქუსლის სახეების სქემა გვქონდა მოცემული³⁸. ამჟამად მასალა გაცილებით მეტია შეგროვილი, ვიდრე სქემის შედგენის დროს იყო. ამ მასალაში წარმოდგენილი სახენელი იარაღების ნაირნაირი სახის სიუხვე ადვილად დაარწმუნებს მკვლევარს, რომ ქართველ ტომებს დიდი და ხანგრძლივი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონიათ და რომ მათ ბევრი უშრომიათ სახენელი იარაღის გაუმჯობესებისათვის საერთოდ და კერძოდ ქუსლის გაუმჯობესებისათვის.

მართლაც, ჩვენ გვაქვს (ტაბ. 28) ერთი მხრივ, ისეთი ქუსლი, რომელიც მხართან ერთად მთლიან ხეს წარმოადგენს ისევე როგორც ქუსლი, რომელიც ხელნასთან ერთად მთლიანი ხეა. მეორე მხრივ, საკუთრივ ქუსლად დამზადებული ნიმუშებიდან ზოგიერთი სამკუთხედის სახისაა, ზოგიერთი ოთხკუთხედისა ან პრიზმატულია, ზოგს კიდევ აქვს ეშვი, ლაშეზი, ფრთები, ყურები, ხის საკვეთელი გვერდზე და საქლეშები. განსაკუთრებული ყურადღება ჰქონიათ მიქცეული ქუსლის ძირისათვის. აქაც ნაირნაირობაა დამოწმებული. თუ მათგან ერთ ნაწილს ბრტყელი ძირი აქვს, მეორეები ზემოთ ბრტყელია, ხოლო ქვემოთ მომრგვალებული. ქუსლის ეს სახე იმერულ კავს ახასიათებს. ამ ქუსლის განივი ჭრილი ნახევარი წრის სახისაა. ამ სახის ქუსლი სპეციალურ ლიტერატურაში, რამდენადაც ჩვენ მას ვიცნობთ, არსად შეგვხვედრია, ის დეტალური დაკვირვებისა და შესწავლის ღირსია³⁹.

ქუსლის ძირის შემდეგ სახეს წარმოადგენს გვერდებში ამოღარული ქუსლი, რომელსაც შუაში ამოზურცული ზურგი აქვს⁴⁰, ამ სახის ქუსლი მიწას უმთავრესად ძირის ზურგით ეხება, რაც გამწვევი ძალის მუშაობის შენამსუბუქებულია.

36 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი.
37 იხ. თუნდაც ლეზერის, ბრაუნგარტის, ჰანის და სხვა ნაშრომები.
38 გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახენელი იარაღების ისტორიისათვის, სმ. ტ. 5, გვ. 285.
39 შდრ. ამ ქუსლზე პეტეკოლდტის ზერლე დაკვირვებები, დასახ. ნაშრომი. გვ. 127—129.
40 შდრ. გ. ჩიტაია, მასალები... საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, გვ. 282; სურ. 10 და სხვა.



არსებობს აგრეთვე ისეთი ქუსლი, რომელსაც ძირი ოთხკუთხედად აქვს ამოღარული (თ უ შ უ რ ი ა ჩ ა ჩ ა).

რაჭაში ისეთი სახენელი იარაღიცაა დამოწმებული, რომლის ქუსლი თავის კონსტრუქციის გამო სახნისით გაჭრილ კვალს აგანიერებს და მიწის დაფშენას უწყობს ხელს. ამ ქუსლს ბოლოზე განიერი ყურები აქვს. ეს სახენელო იარაღი აქ ო რ ხ ე ლ ა ს სახელითაა ცნობილი და დამოწმებულია სოფ. მთის კალთაში, სოფ. შქმერში და ზოგიერთ სხვა სოფელშიც.

ორხელა მრავალმხრივ საინტერესო იარაღია⁴¹, მაგრამ ამჟამად ჩვენ მასზე არ შევჩერდებით. შევხებით მხოლოდ მისი ქუსლის ყურებს, რამდენადაც მათ კავშირი აქვთ რაჭული სახენელის ქუსლთან.

ორხელას ისევე, როგორც ქართველი ტომების სხვა სახენელ იარაღებს, ყურები ქუსლის ბოლოში აქვს ხოლმე და ქუსლთან ერთად მთლიან ხეს წარმოადგენს. ამ გარემოებას მცირედი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს და სათანადოდ უნდა შეფასდეს. პირველ ყოვლისა, ეს ამტკიცებს იმას, რომ ყურები ამ სახენელ იარაღში დამატების სახით როდია მოცემული, როგორც იმას ადგილი ჰქონდა რომაულ სახენელ იარაღებში; აგრეთვე ეს ამოწმებს, რომ ყურები ქუსლის ბოლოშია ხოლმე და არა მის შუა წელზე, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ იმავე რომაულ სახენელებში. კიდევ მეტი შეიძლება ითქვას: ყურები ქუსლის ტიპების მთლიან სახესთან არის დაკავშირებული და ამდენად უთუოდ ქუსლის შინაგანი განვითარების შედეგია. ქართველი ტომების სახენელი იარაღების ყურების შესახებ საერთო წესს თითქოს ერთი შემთხვევა არღვევს, რომელიც არ ეთანხმება ზემოთ ყურების შესახებ მოყვანილ ფაქტიურ მასალას. ეს შემთხვევა ჩვენ გვაქვს აჭარული ჯილის ერთ ქვესახეში, რომელსაც ყურები ქუსლზე აქვს დამატებული. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს დამატება მაინც ქუსლის ბოლოშია მოქცეული.

შეიძლება ითქვას, რომ არც მესხური არონაის, არც მესხური ჯილის, არც ქართლური ორხელას, არც ფშაური აჩაჩის და აჭარული ჯილის ყურებს რომაულ *binae aures*-თან⁴² კავშირი არა აქვს. ამდენადვე პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება მესხური ყურიათი არონაის და რომაული ყურიათი სახენელის იგივეობის შესახებ, ყურების მსგავსების მიხედვით, მცდარი უნდა იყოს⁴³. თუნდაც რომ დამტკიცდეს ტერმინი არონაის ინდოევროპულობა, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ ინდოევროპული ტერმინით სომხებში დამოწმებული სახენელი იარაღის არორის არც ერთ სახეს ყურები არა აქვს⁴⁴. მეორეც, თვით რომში ყურიათი სახენელი ციზალპიის გალიიდან შეტანილი ჩანს და რომაული კულტურის ელემენტი არ უნდა იყოს. ხოლო ჩვენი სახენელი იარაღის ყურები ქუსლის შინაგანი განვითარების შედეგად არის მიღებული.

ზემოთ დასახელებული ქუსლის სახეებს შორის რაჭული სახენელის ქუსლი იშვიათ მიღწევას წარმოადგენს. ის, როგორც დავინახეთ, ძირში ამოღარულია, ხოლო ზემოთ ოვალური სახისაა. ამ მთავარი თვისებებისა და სხვა დეტალების გამო ის საუტყხოოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

⁴¹ „ორხელას“ შესახებ იხ. ზემოთ.
⁴² იხ. *l e s e r, Entstund verbr etc.* გვ. 476, 238 და შემდ.
⁴³ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ე. წ. ისტორია, ტ. I, გვ. 257—58.
⁴⁴ გ. ჩ ი ტ ა ი ა. მასალები საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, გვ. 280—81.



აქვე უნდა ითქვას, რომ ეს იშვიათი ქუსლი იზოლირებული არ არის ქართველი ტომების სახენელი იარაღების ქუსლის სხვა სახეებიდან. იგი მალე მალე სახენელი იარაღის ქუსლების თანდათან განვითარებით. ამ სახენელი იარაღის ქუსლის განვითარების წინასაფხურს სოფელ ზნაკვის სახენელი იარაღის ქუსლი⁴⁵ უნდა წარმოადგენდეს, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, მესხური ჯილის და აჭარული ჯილის ქუსლები⁴⁶. მორის გამოყენება სახენელი იარაღის მთლიანი მხარისა და ქუსლისათვის, ხოლო შემდეგში ცალკე გამოყოფილი ქუსლის თანდათან განვითარება — ასეთია რაჭული სახენელის ქუსლის განვითარების გზა. ცხადია, რაჭული სახენელის ქუსლის ასეთი განვითარება უნდა პასუხობდეს სათანადო სამეურნეო დაკვეთას და დაკვეთის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რაჭული სახენელი ანალოგს პოულობს მესხური ჯილის ქუსლში. მესხური ჯილის ქუსლი, მსგავსად რაჭული სახენელის ქუსლისა, ბოლოსაკენ თანდათან განიერდება, ზემოთ არის ახრილი და ორი ფრთით ან ყურიით ბოლოვდება. ბელტის გადასაბრუნებლად ისიც საკმარისად არის მოწყობილი. ამ ქუსლის ქვემო ნაწილიც, მსგავსად რაჭული სახენელის ქუსლისა, მორკალულია და არა სწორი⁴⁷.

არც აჭარული ჯილის ქუსლთან რაჭული სახენელის ქუსლის შეხვედრაა შემთხვევითი. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ სახენელი იარაღის ქუსლის გაუმჯობესებაში მონაწილეობა სხვადასხვა ქართველ ტომს მიუღია და თავისი წვლილი შეუტანია.

ყოველ შემთხვევაში, რაჭული სახენელის ქუსლი ქუსლების განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, განვითარების ეს საფეხური მიღწეულია მარტივი სახენელი იარაღების ფარგლებში. იგი ძალზე უკან ტოვებს სახენელი იარაღების სხვა სახის ქუსლებს — ისეთებსაც კი, რომლებიც დამატებული ფრთებით და ყურებით არის წარმოდგენილი.

ამიტომ ეს ქუსლი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ გარდამავალ ტიპად კორა-პაპაუს სახენელი იარაღის ქუსლიდან სოლისებური სახენელი იარაღის ქუსლზე, როგორც ამას ბრაუნგარტი ფიქრობს. ჩვენი სახენელი იარაღის ტიპი გაცილებით მალა დგას თითოეული ზემოთ დასახელებული სახენელი იარაღის ქუსლების ტიპზე და ამდენად ის არ შეიძლება მოექცეს შაუ შუა. არც კორას სახენელს, არც პაპაუს და არც ეგრეთწოდებულ სოლისებური სახენელის ქუსლებს რაჭის სახენელი იარაღის ქუსლის მაღალგანვითარებული და სრულყოფილი ნაწილები არ გააჩნიათ, კერძოდ, მათ არ აქვთ ფარფლები. ეს კი რაჭული სახენელი იარაღის ქუსლის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს. ამიტომ მცდარია ბრაუნგარტის შეხედულება. ბრაუნგარტი ჯეროვნად ვერ აფასებს რაჭული სახენელის ქუსლის კონსტრუქციას და მის ფუნქციას, ამის გამო ის მცდარ დებულებას აყენებს⁴⁸.

45 გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები..., საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, გვ. 282; სურ. 10.

46 შდრ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები..., საქართველოს მუზ. მოამბე, ტ. V; გვ. 274 და 276; სურ. 6 და 7.

47 პ ე ტ ც კ ო ლ დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 127, სურ. 4.

48 ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ი ს შ ი ე რ სოლისებური სახენელის ცნების დაუდგენლობის შესახებ ახ. Lesser, Enfst. und verbr. etc., გვ. 339.

როგორც ითქვა, რაჭულ სახენელს ახასიათებს ფარფლიანი ქუსლი. ფარფლების შემწეობით ეს სახენელი იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც გუთნის ფრთა, რასაკვირველია, მარტივი სახენელი იარაღის ფარგლებში. როგორც ვიცით, რაჭული სახენელის ფარფლები ოვალური სახისაა და ამდენად ის შემძლეა შეასრულოს ის ფუნქცია, რომელიც გუთნის ოვალური სახის დაწინაურებულ ფრთას აქვს დაკისრებული. მაშასადამე, ჩვენი სახენელის ფარფლები გაცილებით მალა დგას გუთნის ჩვეულებრივ ფრთებზე, რამდენადაც ოვალური ფრთა ევროპის სახენელ იარაღებში შედარებით ახალი შენაძენი ელემენტია, ხოლო იმავე ფუნქციის ფარფლიანი ქუსლი რაჭულ მარტივ უძველესი ხანის იარაღს ახასიათებს — კიდევ უფრო მეტად გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ ფარფლიანი ქუსლი ჭარბველ ტომებში შექმნილი სახენელი იარაღის ორიგინალური ელემენტია, რომელსაც ანალოგი არა აქვს არც ირანულ და არც სხვა ინდოევროპულ სახენელ იარაღებში.

III

რაჭულ სახენელს თავისებურება ახასიათებს მხარის — იგივე სატარის // სატარეს // ხელას // კავის მიხედვითაც. იმ სახენელ იარაღებთან შედარებით, რომელთაც მხარი უღლამდე მიუღიით და რომლის თავზე უშუალოდ უღელია დამაგრებული — რაჭული სახენელის მხარი შედარებით მოკლეა, იგი უღლამდე არ სწვდება და უღელთან გრძელი ჯამბარას, ღვლეჭის ან ღვედის შემწეობით არის დაკავშირებული.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რაჭული სახენელის მხარის ბოლო ისე მოხერხებულად არის ჩასმული ქუსლში, რომ მხარის თავი ქვემოთაა დახრილი⁴⁹, მაშინ როდესაც გრძელმხარიანი სახენელის მხარის თავი პირიქით ზემოთ არის აშვებული, სახენელი იარაღის ერთიცა და მეორე სახეც გარკვეულ მიზანს ემსახურება და სათანადო დანიშნულებით არის გამართლებული. გრძელი მხარის თავის საყრდენს უშუალოდ უღელი წარმოადგენს, რომელშიც ხარებია შებმული და ამიტომ მხარის თავის სიმაღლე ხარის სიმაღლესთან უნდა იყოს შეფარდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სახენელის სახნისი და ქუსლი აყირავდება და მიწას ვერ მოხნავს.

იმ მიზნით რომ სათანადო სიმაღლეზე მოვიდეს სახენელის მხარის თავი — სხვადასხვა ტომებში სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ ხოლმე: ან ირჩევენ სათანადოდ მოხრილ ხეს და მისგან გამოთლიან მხარს (იხ. სვანური ღენ-

⁴⁹ პეტკოლდტის ჩანახატზე (op. cit., II, გვ. 129, სურ. 6) რაჭული სახენელის მხარის თავი აშვებულია. ეს შეცდომაა. მძიმე შეცდომაა აგრეთვე ის, რომ პეტკოლდტის აზრით, რაჭულ სახენელში უღელი უშუალოდ მხარის თავზეა დაკრული, რომ მას ხარები ასე დაკრულ უღლიდან ეზიდებიან. ეს სახენელის კონსტრუქციის მიხედვით შეუძლებელია, სახენელი რომ ისე მუშაობდეს, როგორც პეტკოლდტს აქვს აღწერილი, სახენელის ქუსლის ეშვი და სახნისი აყირავდებოდა და ხენას ვეღარ შეძლებდა. პეტკოლდტის მცდარ აღწერას შეცდომაში შეუყვანია ლეზერიც. (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 353).

წიქიში) (ტაბ. 10) ან მხარს ორი ნაწილისაგან ამზადებენ. ნაწილებს ბოლოებით ერთმეორეს გადააბამენ იმ მიზნით, რომ მხარის თავი აღმა მოვიდეს (იხ. მოხეტური⁵⁰, მთიულური⁵¹, ინგუშური⁵² სახენელები და ოსური ძებურ (ირონულაღ) // ძებური⁵³ (დიგორულაღ).

მაგრამ არის შემთხვევაც, როდესაც მოკლე მხარის თავში გაყრილია ჯაბარა და ეს უკანასკნელი თავისი მეორე ბოლოთი მხარის თავიდან საჭირო მანძილზე უღელზეა მიბმული. ამ შემთხვევაში მხარის თავს არავითარი საყრდენი არა აქვს, რის გამო ის მუშაობის პროცესში აქეთ-იქით ქანაობს და მიაოცულად მოქმედებს სახენელის გამწვევ ძალაზე, ხარების ქედზე. ამგვარი სახენელი ჩვენში ორხელას სახელითაა ცნობილი (დამოწმებულია ჩვენ მიერ სოფ. ყორნისში). სახენელი იარაღის ამ ტიპს უნდა ეკუთვნოდეს ის სახენელი, რომლის საკმაოდ ბუნდოვანი სურათი, ჩახატული XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში კახეთში, მოიპოვება პაროტის წიგნში (Reise zum Ararat, BrI. 1834, გვ. 58):

აქ მოცემული ორხელას სურათი ამ სახენელი იარაღის ერთ სახეს წარმოადგენს. მისი მეორე, უფრო მეტად გავრცელებული სახე, ფიქსირებულია ზემო რაჭაში (სოფლებში: შქმერი, მთისძირი, ცხმორი) და სოფ. პატარა ტუსრებში (ს. რეხას ზემოთ), ლიტერატურაშიც ცნობილია⁵⁴. ამ უკანასკნელში ორხელა აღწერილია მეტად ბუნდოვნად, ნაკლულად და არაზუსტად⁵⁵.

რაჭაში აქა-იქ ხმარებული ორხელა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება ქუსლი, სატარი, ხელა, კაკუჭა, რგოლი, ფთე, საკვეთელი, სახნისი, სოფ. პატარა ტუსრების ოსებში ხმარებულ ორხელას შეადგენს: ქუსლი, ყური, გვინონ (მხარი), ხელა, კებალ (რიკი), ვსენ (სახნისი), მძვრლა (საკვეთელი⁵⁶) და კოკოსა⁵⁷.

50 მოხეტურში შედგენილი მხარის წინა ნაწილს წერწენი ეწოდება.

51 მთიულურში ნარწენი ეწოდება მხარის თავში ამოჩვეტილ საბეწვე ადგილს.

52 ინგუშური სახენელის სურათი გადაღებულია ინგუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ქ. ორჯონიკიძე) 1936 წ. მუზეუმის დირექციას მადლობას მოვახსენებთ კოლექციის სურათით სარგებლობისათვის.

53 ძებურის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., ტ. 1, გვ. 63, ოსური ძბრის სურათი გადაღებულია ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ქ. ორჯონიკიძე), კოლექცია № 24. მუზეუმის დირექციას მადლობას მოვახსენებთ კოლექციის სურათით სარგებლობისათვის.

54 С. М а ч а б е л и, Описание экон. быта госуд. крестьян Геринского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК. т. VI, 208; X. В е р м и ш е в, Земледелие госуд. крестьян Закавказского края: СМИБГКЗК. т. IV, გვ. 251—62.

55 შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1, გვ. 194.

56 ძვრლას შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, დას. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 235.

57 ი. პაქსტაუზენს (Transkaukasien etc., ტ. II) მოყვანილი აქვს ოსებში ნახულ ორხელა, რომელსაც Sibir-ს უწოდებს. ის ამბობს, რომ ამ სახენელი იარაღის მსგავსი მას ოსებს ვარდა კავკასიის სხვა ხალხში არ უნახავს და რომ Sibir მეკლენბურგინ სახენელს მიაგავს. მეკლენბურგისა (მეკლენბურგის სახენელის სურ. იხ. Zeser, op. cit.



ეს სახენელი იარაღი განკუთვნილია შედარებით მძიმე მიწების სახნავად. ჩვეულებრივად ის ორ-სამ უღელს შეიბამს ხოლმე. ორხელა, რასაკვირველსა, თავისი კონსტრუქციით განირჩევა აჩაჩისა და ოქოქისაგან. ამათგან განსხვავებით მას განსაკუთრებით განსხვავებული კოკოშა (ქართლში ასე ეწოდება), კოკოსა (სოფ. პ. ტუსრები), კაკუჭა (რაჭა) აქვს. ეს განსხვავებული ელემენტი ამ სახენელ იარაღს გამოჰყოფს სხვა ასეთი იარაღიდან და უფრო მეტად მას რაჭული სახენელის ტიპს მიაკუთვნებს.

ორხელას კოკოშა // კოკოსა // კაკუჭა, რასაკვირველია, სახენელი იარაღის ხმალას არ უდრის, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა. სახენელი იარაღის ამ ნაწილის ლიტერატურაში ბუნდოვანი აღწერილობის მიხედვით⁵⁸, ეს შეუძლებელიც არის. ვინაიდან კოკოშა მოკაული ტოტია (მოკაკუჭებულნი⁵⁹), რომელიც ხმალას მოვალეობას თავისი მოყვანილობით ვერ შეასრულებს. კოკოშა // კაკუჭა მხარის თავშია გაყრილი და არა მხარის თავზე დაკრული, როგორც წეწენა // წინმავალა (ამის შესახებ ქვემოთ). ორხელას კოკოშას დანიშნულება მდგომარეობს მასში, რომ მისი აწევ-დაწევი ბნულის გაღრმავებას ან დავაკებას ზელი შეეწყოს. ზომამზე დაყენებული კოკოშა სახენელის მუშაობის პროცესში ხელს უშლის სახენელის მხარის თავის დახრას, რაც თავის მხრივ აძნელებს სახენელის ქუსლის ეშვისა და სახნისა ზომამზე მეტად ღრმად ხვნას.

ზემოთ აღწერილი სახენელი იარაღების მხრების ტიპებისაგან განსხვავებით სხვაგვარადაა მოწყობილი რაჭული სახენელის მხარი. როგორც აღნიშნული გვექონდა, მისი თავის საყრდენს უღელი კი არ წარმოადგენს, არამედ მასზე მიმაგრებული მოკაული ჭდობილი კეტი წეწენა // წინმავალა, რომლის ქვემო ნაწილი მიწაზე ცოცავს ხოლმე და ამავე დროს მხარის თავის საყრდენია. სწორედ იმის გამო, რომ რაჭული სახენელის მხარის თავი დახრილია და არა პარალელური სახენელის ქუსლთან, როგორც ამას ადგილი აქვს ორხელაში, რაჭული სახენელის წეწენა // წინმავალა ორხელას კოკოშასთან შედარებით მოკლეა და თითქმის მუდმივად მიწაზე მავალი, კოკოშა კი შედარებით გრძე-

გვ. 112, ტაბ. 3, სურ. a, b, c.) და ორხელას მსგავსებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან კონსტრუქციულად ისინი განსხვავებული სახენელი იარაღებია. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მეკლენბურგის სახენელის მხარი გრძელია და მისი თავი უშუალოდ უღელზეა დამაგრებული. ხოლო რაც შეეხება პაქსტაუზენის მოსაზრებას: თითქოს ორხელა ოსებს გარდა კავკასიის სხვა ხალხებში არ მოიპოვება, დაუკვირვებლობის შედეგია. პაქსტაუზენი ის ავტორია, რომელმაც რუსეთში თავის დროზე სასოფლო თემი აღმოაჩინა, შდრ. K. Marx, Kommunistisches Manifest, Moskau, 1932, გვ. 6, შენ. 1, იხ. Haxthausen, Studien über die inneren Zustände und das Volksleben und insbesondere die ländliche Einrichtungen Russlands, Bre 1847.

ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ს დაუსახლებლად პაქსტაუზენის მიერ მოყვანილი „Sibir“-ი გუთურ სახენელად აქვს გამოცხადებული (Braunqart, op. cit., გვ. 265).

ტერმინი Sibir ძებგრ//ძებტურ-ის არა ზუსტი ტრანსკრიპცია უნდა იყოს (იხ. W. Müller, deutsches Wörterbuch herausg und erq v. Freiman, Leningrad, 1927 ტ. I, გვ. 359—616).

⁵⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 194—195; შდრ. С. М а ч а б е л и. Эконом. быт. гоет крестьян Горийского у., Тифл. губ. МИЭБГКЗК, ტ. VI, გვ. 208; В е р м и ш е в, Земледелие госуд. кр. Закавказск. края: СМНЭБГКЗК, ტ. IV, გვ. 262.

⁵⁹ „კაკუჭი: მოკაკუჭება, მოღუნვა, მოკაკვა“ (ვ. ბერიძე. სიტყვის კონა, СПб., 1912, Мая. VI).

ლია და მხოლოდ დროდადრო ეხება მიწას. ამის გარდა წეწენა // წინმავალა ქდობილების შემწეობით არეგულირებს ღრმად და პირად ხვნას. ამა თუ იმ ქდობილში გამობმული ჯამბარა // ღვედი // ღველექი ზომასე აყენებს სახენელის მხარს და მის ქუსლ-სახნისსაც.

მაგრამ ხვნის რეგულირება რაჭულ სახენელში არა მარტო წეწენა // წინმავალას ქდების შემწეობით ხდება, არამედ ქუსლის სოლების დამწელებითაც. მხარის ძირის აწევ-დაწევით, რაც სოლების (დიდისოლი და საჩოჩი) საშუალებით ხდება, ან პატარავდება მანძილი მხარსა და ქუსლს შორის ან პირიქით. ამის შემწეობით სახენელი სათანადოდ აღრმავებს ან ავკებს კვალს.

ამგვარად წეწენა // წინმავალას დანიშნულებას შეადგენს: 1. იყოს საყრდენი სახენელის მხარის თავისათვის. ამის და იმის გამოც, რომ ის მიწაზე ცოცავს, გაუადვილოს ხარებს მუშაობა და 2. ხელი შეუწყოს სახნავის დაკეპას და დაღრმავებას. ამ დანიშნულებიდან ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით წეწენა // წინმავალას პირველი ფუნქცია იპყრობს, ვინაიდან წეწენა // წინმავალა ამის მიხედვით მარტივი სახენელი იარაღის პირობებში დაახლოებით იმავე როლს ასრულებს, რასაც გუთანში ფამფალაკი. როგორც ცნობილია, გუთნის ფამფალაკის ძირითადი დანიშნულებაა იყოს საყრდენი გუთნის რველა-მხარის თავისათვის და მით გაუადვილოს გამწევ ძალას მუშაობა. დაახლოებით ამავე როლს ასრულებს რაჭული სახენელის წეწენა // წინმავალა, მაშასადამე ამ შემთხვევაშიც რაჭული სახენელი გუთნის ერთ-ერთ ფუნქციას, მარტივი სახენელის პირობებში, მეტ-ნაკლები შედეგებით ასრულებს.

ცხადია რაჭული სახენელის წეწენა // წინმავალას, ისევე როგორც მის ფარფლებიან ქუსლს (იხ. ზემოთ) თავისი სახე ერთბაშად არ მიუღია და მასაც სტრუქტურის განვითარების სხვადასხვა საფეხური უნდა გაეგლო. ერთი მხრით, საფიქრებელია რომ წეწენა // წინმავალას წინა საფეხურს ორხელას კოკოშა შეიძლება წარმოადგენდეს; კონსტრუქციულად ეს შეუძლებელი არ არის, ოღონდ იმ წინასწარი პირობით, რომ თავდაპირველადვე მოცემული უნდა ყოფილიყო სახენელი იარაღის მხარის თავდახრილობა, რაც, როგორც ვიცით, დაკავშირებულია რაჭული სახენელის ქუსლის სახესთან.

მეორე მხრით, ჩვენ ანალოგი გვაქვს მეგრულ სახენელში. ამ სახენელს მხარი დაყრდნობილი აქვს წინმავალ მოწყობილობაზე, არა ფამფალაკის თვლებიან მოწყობილობაზე. სერენას თავის ნაშრომში (Un tour en Mingrelie (le tour du Monde ტომი XVI გვ. 411) მოცემული აქვს მეგრული სახენელი იარაღის სურათი, რომელიც მას გაუკეთებია ერმაკოვის ფოტოგადაღების მიხედვით⁶⁰. სურათზე მოცემული მარტივი სახენელი იარაღის მხარის თავი წინმავალ ფრჩხილებზეა დაყრდნობილი. ფრჩხილის ბოლო მიწაზე მიცოცავს, ხოლო მისი თავი ხარების უღელზეა დამაგრებული. ყოველ შემთხვევაში აქ იგივე პრინციპია დაცული, რომელიც ე. წ. იმერულ მთის ფრჩხილებიან ურემშია გამოყენებული. როგორც ვიცით, იმერული მთის-ურმის ხელ-

⁶⁰ მეგრული სახენელი იარაღის შესახებ Serena, სხვათა შორის, წერს: «La charrue du paysan mingrelien est d'une simplicité toute biblique: elle consiste en un morceau de bois horizontal, recourbé à angle aigu, auquel on abapte un bout de fer large comme la main; une branche d'arbre torse est le timon où s'attelle la paire de bœufs ou de buffles» (გვ. 412).

ნების თავები მალალ ფრჩხილებშია გაყრილი. ფრჩხილების ბოლო მიწაზე ეთრევა, ხოლო მათი თავები უღელზეა მიმაგრებული; სხვათაშორის, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ სახის ურემი სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დასავლეთ საქართველოს გარდა სხვაგან დამოწმებული არ არის, ისევე როგორც მეგრული ფრჩხილებიანი სახენელი იარაღი⁶¹.

ამგვარად, რაჭული სახენელის წეწენა // წინმავალას განვითარების გზა ისევე ქართველი ტომების შრომის იარაღების ნაწილებშია მოცემული და ამ იარაღების ნაწილების განვითარების შედეგად ან მათი აგებულების პრინციპის გამოყენებით არის მიღებული. ისევე როგორც რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი, მისი წეწენა // წინმავალა ქართველი ტომების მიერ შექმნილი სახენელი იარაღის თავისებურებაა. რაჭული სახენელის სხვა ნაწილებიც სათანადოდ შეწყობილია მის ძირითად ნაწილებთან, ყველა ერთად კი ქმნის იმ სახენელ იარაღს, რომელიც, როგორც დავინახეთ, იშვიათია თავისი კონსტრუქციითა და ფუნქციით.

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება საკითხი, რა სახის მეურნეობას უპასუხებს ეს სახენელი, უკეთ რა სამეურნეო პირობებთან არის ის შეთანხმებულ-შეგუებული?

პროფ. ი. ჯავახიშვილის მიერ ძველი წყაროების მიხედვით შედგენილ ბოტანიკურ-აგრონომიულ რუკაზე⁶² რაჭა სამ ზოლშია მოქცეული: ვენახ-ხილიანსა, უვენახ-ხილოსა და ბალახ-ყვავილიანში. როგორც ცნობილია, ვაზის კულტურა საერთოდ მიწისმოქმედების უმაღლეს საფეხურს მიეკუთვნება⁶³. რაჭაში საყანე კულტურაც მალალ დონეზეა.

დასვენებულ მიწას აქ ყამირი ეწოდება, ხოლო გაუტეხავ მიწას მოუძვრელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ყამირი ის ტერმინია, რომლითაც ქართველი ტომების ძველი მიწისმოქმედების რთული სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი აღინიშნება. ამ სისტემის მიხედვით ერთი წლის დასვენებულ მიწას ნაცვარალი ეწოდება, ორი წლისას — რცხალი⁶⁴, სამისას — ნახხატი, ოთხისას — ყამირი, ხოლო ხუთისას — კორდი⁶⁵.

61 ამასთან დაკავშირებით საინტერესო შესაძარბეღ მასალას წარმოადგენს აჭარული ციგა მაგრამ ამაზე შემდეგ. კავკასიური ურმის შესახებ იხ. Parrot, op. cit., გვ. 250—251; Peitzholdt, op. cit., ტ. II, გვ. 154—157; Haxthausen, op. cit., ტ. I, Норса Albanien, Bauten, Trachten und Geräte, Brl—Lpz., 1925, გვ. 225; Р. Эристов, Имеретия в сельско-хозяйственном отношении: ЭКОСХ за 1876, გვ. 14—15; Бобылев; Несколько мыслей и замечаний об Имеретии в с—х. отношении: ЭКОСХ за 1886, გვ. 105; Hahn, Die Haustiere und ihre Beziehungen zur Wirtschaft des Menschen, Lpz. 1896 (ეტირუსკული ურემი); Byhan, Kaukasien, Ost-und Nordrussland, Fienland—Buschan-ის Illustrierte Völkerkunde-ში, Stuttgart 1925, გვ. 107 და შმდ., 747; E. Zichy, Voyages au Caucase et en Asie Centrale, Budapest 1897, ტ. I, გვ. 20.

62 ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომ. ისტორია, ტ. I, დანართი.

63 ქართველი ტომების ვაზის კულტურა დაკავშირებულია დიდ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებთან. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომ. ისტ., ტფილისი, 1936, ტ. II, მევენახეობა, გვ. 249 და შმდ.

64 „კურცხალი (კრჩხალი) — ორწეულ უთესველი ნარბილი“ (საბა); შდრ. გ. ჩიტაია, მასალები... საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, გვ. 269.

65 იხ. Обзорение русск. владений за кавказом, СПб., 1836. ტ. II, გვ. 60; შდრ. ს. ა. ბ.: „კორდი“, „ნაკორდალი“, „ყამირი“, მოაგონეთ ზალხური ლექსიდან:

„ყანა ხარ, ყანა ყამირი,
ჯერ კორდი გაუტეხელი“.

როგორც ჩანს რაჭაში, ადრე ტყის გატეხა სკოდნიათ საყანედ — მოახოებია. ამ მიზნით წინწინ ხეებს შეეყვებოდავენ, კანს გააცილიდნენ. შეყვერილ ხეებს გახმობის შემდეგ დაწვავდნენ ხოლმე. ფერფლსა და ნაცარს იყენებდნენ მიწის საპოხად⁶⁶. იცოდნენ აგრეთვე ყანის განოყიერება საქონლის პატივით, ნეხვიით, რომელიც ზამთარშივე გაჰქონდათ მოწნული ხვირიო ყანაში. არსებობდა თესლის შენაცვლება: ქერი, პური, დიკა, აგრეთვე ანეული და საგაზაფხულო ხვნა, გადახვნა და აღმა-ჩაღმა ხვნა სისტემიდან — გათერძვა, გაოშვა და გახარვა⁶⁷. აქ ხვნას წინ უსწრებდა საყანეს მოკარება — ქვებისაგან გაწმენდა. მხენელს ხენის დროს თანვე მიჰყვებოდა მთოხნელი, რომელიც „თოხით ბელტს ამტვრევდა“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჩოჩით ხნავდნენ. ყანა ითესება მოხვნის უმაღვე⁶⁸. ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ რაჭა-ლეჩხუმში ენდემური პურეულებია დამოწმებული (ასლები — მახა, ზანდური და სხვ.)⁶⁹.

როგორც საფიქრებელია, ეს ენდემური პურეულები ქართველი ტომების უძველეს კულტურას ეკუთვნიან. ქსენოფონტეს ცნობით ასლები ჭანებშიც (თუბალები) ყოფილა გავრცელებული⁷⁰. დამახასიათებელია, რომ რაჭაში ამ ენდემური პურეულების „საკრეფავად“ განსაკუთრებული წესი არსებულა. ხოლო ლეჩხუმში ეს წესი დღემდეა შემონახული. ამ წესის მიხედვით ლეჩხუმში მახა და ზანდური იკრიფება იარაღით, რომელსაც შანკვი ეწოდება⁷¹. შანკვი და მისი გამოყენება ასპ. ნ. რეხვიაშვილს ასე აქვს აღწერილი⁷². „ს. ოყურეში, 1936 წ. ივლისის 10. მახა და ზანდური საცეხვი პურია, რომლებიც შანკვათ იკრიფება. შანკვი შესდგება ორი თანატოლი ჯოხისაგან, რომლებიც გადაბმულია ერთ თავში მოძრავად თოკით. გახსნილი შანკვი რამდენიმე თავთავს მოიყოლებს ჯოხებს შუა და ჯოხებით ღეროებს გადაამტვრევს თავთავის ქვემოთ. მოკრეფილ თავთავებს იქვე კალათში აწყობენ, კალათიდან ბოყვში და შემდეგ ურმით ეზიდებიან შინ. ამას მოკრეფას ეტყვიან, ხოლო ღომისა და მჭადის

⁶⁶ შდრ. Цветков, сел. Мухури, газ. „Кавказ“, 1851, 15.

⁶⁷ ივ. ჯაფარიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., ტ. 12, გვ. 256—57; გ. ჩიტაია, აღიგენის რაიონი ეთნოგრაფიულად. შდრ. წინააზიის უძველესი მიწისმოქმედების კულტურის ხენის სისტემა—A. Deimel, Ackerbau in sumerischer zeit, Reallexikon der Assyriologie, Brl—Lpz. 1929, ტ. I, ნაკვ. I.

⁶⁸ შდრ. წინააზიის უძველეს მიწისმოქმედებაში დამოწმებული თესვის წესები: Deimel, op. cit; Ed. Hohn. Die Haustiere und ihre Beziehungen zur Wirtschaft des Menschen, Lpz. 1896, გვ. 96 და შმდ; Braungart, op. cit.

⁶⁹ ივ. ჯაფარიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., ტ. 12, გვ. 394—95; Декабрелевич и Менабде. К изучению полевых культур Зап. Грузии, ტ. I, გვ. 236; ა. აბესაძე, ზორბლის ახალი სახის Triticum Timopheevii Zhuk სა და საქართველოში მისი გავრცელების შესახებ, გვ. 56—57; Н. Вавилов, Мои путешествия в Испанию. „Новый мир“, 1937, წ. 2, გვ. 217.

⁷⁰ Anabasis, წ. V, თავი 14, § 27.

⁷¹ შანკვი ასპირანტ რეხვიაშვილის ჩანაწერის მიხედვით. ხოლო სუბატაშვილს (ლეჩხუმის მაზრის ასლები: ექსპ. აგრონ. ინსტიტუტის მოამბე, 1929, I, გვ. 38) დამოწმებული აქვს შანკვი. შდრ. ივ. ჯაფარიშვილი, დს. ნაშრომი, ტ. 12, გვ. 345.

⁷² ასპირანტ ნ. რეხვიაშვილს აღწერილობისა და სურათის გადმოცემისათვის მალაზობას მოვასხენებთ.

აკრეფას, რომელთაც დანით ჭირან — მოჭრა ეწოდება. მახასა და ზანდურის დარჩენილ ღეროს — კორომას ძირიანად ხელით ჰგლეჯენ, მათ ძნებულ ჰკრავენ და მით სახლებს ხურავენ⁷³.

ზემოთ აღწერილი მეურნეობის, რომელიც წინა კაპიტალისტურ ხანაში ჩამოყალიბებული, შემადგენელი კომპონენტები შეგუებული იყო რაჭის ჰავის, რელიეფის, ნიადაგის კონკრეტულ და საკმაოდ თავისებურ პირობებთან და განსაზღვრული იყო მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციის საწარმოო ძალთა დონით. აქ იხენება და ითესება ვაკეზე, ხოლო უფრო მეტად ფერდობებზე, განსაკუთრებით, ზემო რაჭაში, ჩვენი სახვნელის გავრცელების არეში. ფერდობის ზედაპირის მიწა, ერთი მხრით, ჩვეულებრივად ნიაღვარს ჩამოაქვს ხოლმე, ხოლო მეორე მხრით, მისი ზედაპირი ამასთანავე შედარებით მშრალია. ამის გამო ძველი მეურნეობის პირობებში, როცა მოწინავე სოციალისტური მეურნეობის აგრო-კულტურული ღონისძიებები განხორციელებული არ იყო, შემდეგ სურათს ხედავდა დამკვირვებელი. ფერდობზე აუცილებელი იყო მიწის ღრმად მოხვნა, რომ ფერდობს ნიადაგი უკეთ დაემაგრებინა და ამასთანავე მარცვლისათვის საჭირო სინესტე შეენახა. ასეთივე პირობები იწვევდნენ ფერდობზე ხვნის უმაღვე თესვას. ვაკეზე მიწის შედარებით სინესტის გამო ღრმად მოხვნა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა. მხოლოდ იქ, სადაც გვალვის საშიშროება არსებობდა, ღრმა ხვნა მაგარ და რბილ მიწაზე აუცილებელი ხდებოდა.

ასეთ ბუნებრივ და სამეურნეო პირობებთან, ზემოდასახელებულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობაში, რაჭული სახვნელი სათანადოდ შეწყობილი შრომის იარაღი იყო. ეს სახვნელი იარაღი, რომელიც ერთი უღელი ხარით მუშაობს, თავისი სიმსუბუქით, ქუსლის და წეწენას კონსტრუქციით ხნულის გასაღრმავებელი და დასავაკებელი საშუალებებით, კარგად ეგუებოდა ფერდობისა და ვაკის პირობებს. განსაკუთრებით იგი ზედგამოჭრილი იყო ფერდობის მოსახნავად. სხვათაშორის, რაჭული სახვნელი კარგად მუშაობს ფერდობის ამოკორდილ ადგილებზე, ვინაიდან წეწენა // წინმავალს შემწეობით ადვილად ეგუება ნიადაგის რელიეფს. სახვნელის მუშაობის ასეთ თვისებებს აგრეთვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ის ფერდობის პირობებში გუთნის მსგავსად მუშაობს, ვინაიდან ბელტებს აბრუნებს, ფშვნის და გამწევე ძალას მუშაობას უმსუბუქებს. არსებითად ეს სახვნელი იარაღი თავისი შემადგენელი ნაწილებით სახვნელი იარაღების მარტივ სახეობას მიეკუთვნება, თუმცა მას თავისი ძირითადი ნაწილები იმდენად გაუმჯობესებული და დაწინაურებული აქვს, რომ უკან ტოვებს მისი სახის ყველა სახვნელს და თავისი ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. თავისი დაწინაურებული კონსტრუქციის გამო რაჭული სახვნელი — მთის გუთანია. იქ, სადაც გუთანი ვერ მუშაობდა, ხოლო ნიადაგი შედარებით ღრმა ხვნას და ბელტის გადაბრუნებას საჭიროებდა — რაჭული სახვნელი გუთნის ფუნქციას ასრულებდა და სათანადო შედეგს აღწევდა. იმდენად, რამდენადაც გუთანი ბარის მიწას მოქმედებასთან იყო დაკავშირებული, რაჭული სახვნელი მთის, ზეგანის მეურ-

73 საბა: „კორომი — ხენი ჯგუფად მდგარნი“. როგორც ირკვევა, შნაკვი // შნაკვი სოფლის მეურნეობის აგრეთვე დამახასიათებელ და იშვიათ იარაღს წარმოადგენს, რომლის ანალოგი მხოლოდ ესპანეთში, ასტურიაში, მოიპოვება (იხ. Н. В а в и л о в, Путешествие в Испанию, „Новый мир“, 1937 წ., № 2, გვ. 247, 249 და 250 (სურათები).

ნეობის იარაღად იყო მიჩნეული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამ სახენელ იარაღს ჩვენ რაჭა-ლეჩხუმში და მესხეთის პლატოზე ვპოულობთ. ქართველი ტომების, მუსკების და ტაბალების, დაწინაურებული მიწისმოქმედების შესახებ მოგვითხრობენ ასურული წყაროები. როგორც ირკვევა, ეს დაწინაურება გამოიხატებოდა არა პურეულისა და ვაზის კულტურების ხაზით, არამედ მიწისმოქმედების იარაღების, კერძოდ, სახენელი იარაღების გაუმჯობესების მხრივაც. რაჭული სახენელიც თავისი ორიგინალური ფარფლიანი ქუსლით და დაწინაურებული წეწენა // წინმავალათი ქართველი ტომის მიერ შექმნილი სახენელი იარაღია. ამიტომ ამ სახენელის ინდოგერმანულ სახენელ იარაღად მიჩნევა ყოველად დაუშვებელია.

IV

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბრაუნგარტს რაჭული სახენელი ეგრეთწოდებული ბერძნული ქალღმერთის კორას სახენელის მინამსგავსად ჰქონდა მიჩნეული⁷⁴. მაგრამ თუ ამ ორ სახენელს ერთიმეორეს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ის თავისებურებანი, რომლებიც რაჭულ სახენელს ახასიათებს (ფარფლიანი ქუსლი, წეწენა, გულამოღებული ქუსლის ძირი), კორას სახენელს არ მოეპოვება, ამიტომ ამათი მსგავსების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. აქ შეიძლება აღნიშნულ იქნას, რომ როგორც ერთს, ისე მეორეს მოკაული მხარი აქვს და ეს გარემოება მათ, მხრების სახის მიხედვით, სახენელების ერთ გარკვეულ ტიპში აქცევს⁷⁵. მაგრამ სახენელების ერთ-ერთი ძირითადი ტიპი, რომლის განვითარებულ სახეს რაჭული სახენელი წარმოადგენს — თავისი წარმოშობით წინააზიური ტიპია და ამდენად ინდოევროპულ სახენელთან საერთო არა აქვს რა. ასევე კორას სახენელიც არაინდოევროპული წარმოშობისაა (იხ. ქვემოთ).

მეორე მხრით ბრაუნგარტი ცდილობს, ამავე იარაღს ანალოგი მოუნახოს ირანულ სახენელში. მაგრამ აქაც ინდოგერმანული თეორიით გატაცებული ავტორი შეცდომას უშვებს. ამ შემთხვევაშიც ირანულ სახენელს არ მოეპოვება არც ფარფლიანი ქუსლი და არც წეწენა // წინმავალა. მას აქვს ოთხკუთხედა ქუსლი, რომელიც რაჭული სახენელის ქუსლისაგან დიამეტრალურად განსხვავდება. ამ უკანასკნელში ჩვენ გვაქვს ოვალურად ამოთხრილი ქუსლის ძირი, რომელსაც შუაზე ნაწიბური ჩაუდის და რომლის მსგავსი ირანულ სახენელს არ მოეპოვება. კიდევ მეტი, რაჭული სახენელის ქუსლის ძირის გულამოღარულობა ემსახურება არ მარტო იმას, რომ შეამსუბუქოს ქუსლი, როგორც ამას ირანულ სახენელშიც ვხედავთ, არამედ იმასაც, რომ სახნისის მიერ აჭრილ მიწის ნაწილს გასავალი მისცეს ქუსლის ძირში და მით ხელი შეუწყოს კიდევ უფრო მეტად სახენელის გამწვევ ძალას, ხარებს, მუშაობაში. ამას მსგავსი ბრაუნგარტის ირანულ სახენელს არაფერი არ მოეპოვება. ესეც რომ არ იყოს, ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ ქართველი ტომები რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ სახენელი იარაღის ქუსლების დაწინაურებას საერთოდ და კერძოდ ქუსლის ძირებს. აქ მოცემული ქუსლის სახეები, ირანული პრ-

⁷⁴ კორას სახენელის სურათები. (ტაბ. 25).

⁷⁵ გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფ. მოგზაურობიდან, etc საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, გვ. 216—218: „ხევსურული“ და „ფშაური“ სახენელები.

მიტიული ქუსლის სახესთან შედარებით, მაღალგანვითარებული ქუსლის ტიპებს ეკუთვნიან, რომელნიც საკუთარი სახენელი იარაღის ქუსლის შინაგანი განვითარებით არიან შექმნილნი და არა სესხების გზით მიღებულნი. ირანელების მიმართ შეიძლებოდა პირუკუ დასმულიყო საკითხი, რამდენადაც ირანში ქართული გუთანია გავრცელებული⁷⁶.

აგრეთვე, განსხვავებულია ირანული სახენელის მხარი (ტაბ. 27). რაჭული სახენელის მხარისაგან კერძოდ, ხოლო საერთოდ მოხრილი მხარის ტიპისაგან (ხევსურული სახენელი)⁷⁷. როგორც ვიცით, რაჭული სახენელის მხარი, ისევე როგორც ქართველ ტომებში გავრცელებული ხევსურული აჩაჩის ტიპის მხარი, თავისი ბოლოთი ჩასმულია ქუსლში, სადაც სოლების შემწეობით შეიძლება ქუსლის და მხარის აწევ-დაწევა სახნავის დასავაკებლად ან დასაღრმავებლად. ირანულ სახენელს კი მხარის ბოლო დაკრული აქვს ზემოდან ქუსლის ბოლოში, ან კიდევ სახენელის ხელნებში უძრავადაა გაყრილი. ამის გამო ეს სახენელი მოკლებულია კვალის დასაღრმავებელ და დასავაკებელ საშუალებას. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ირანულ სახენელს და რაჭულ სახენელს შორის განსხვავება არსებობდა. საერთოდ, ირანული სახენელი ჩი ფ ტ ი ს სახელით ცნობილი სახენელი იარაღის ტიპისაა უფრო მეტად, ვიდრე რაჭული მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მხრიანი სახენელი იარაღის ტიპისა⁷⁸, რაც შეეხება ამ ორი სახენელი იარაღის ხელნებს — მათი მსგავსების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ამგვარად, ბრაუნგარტის როგორც პირველი, ისე მეორე მოსაზრება, როგორც დავინახეთ, დაუსაბუთებელი და მიუღებელი შეიქნა. დავგრჩა განვიხილოთ იმავე ბრაუნგარტის მესამე მოსაზრება, რომლის მიხედვით რაჭული სახენელი გარდამავალი სახეა კორა — პაპაუს⁷⁹ სახენელიდან სოლისებურ სახენელზე⁸⁰.

ბრაუნგარტის ამ მოსაზრების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ აღიარებული სოლისებური სახენელის ტიპი მყარად დადგენილი არ არის⁸¹. როგორც ჩანს, ავტორსაც ეპარება ეჭვი ამ ტიპის არსებობის შესახებ. კიდევ მეტი, ავტორი ფიქრობს ამ ტიპის დადგენას რაჭული სახენელის შემწეობით, იმ სახენელი იარაღის, რომელიც თვით მოითხოვს სახეობის თვალსაზრისით სათანადო სატიპოლოგიო კლასიფიკაციაში გარკვეული ადგილის მიჩენას.

76 ლე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 36, ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 296, სურ. № 222, გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, ტ. II, გვ. 482, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 232;

77 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, სმმ, ტ. 4, ტფ., 1928, გვ. 218.

78 ჩიფტის შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 244; ჩიფტის უძველესი სახე დამოწმებულია ფრიგიაში, იხ. ლე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 351, სურ. 200. აღსანიშნავია, რომ შრადერი (Reallex. der Indogerm. Altertumskunde, Ackerbau) ირანულში სახენელისათვის საერთო ინდოევროპული ძირის სიტყვას ვერ პოულობს.

79 პაპაუს სახენელის სურათი იხ. ლე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 5 და გვ. 472.

80 Braungart, Urheim etc. გვ. 338. ის წერს: «Wer bei diesen Pflügen (სოლისებური სახენელი—Keilpflugtypus) einen Zweifel hegen sollte, der wolle nur den Pflug der Raca in Transkaukasien (fig. 204) als den offenbaren Uebergangspflug zwischen dem Pflug der Kora und von Papau und dieser Gruppe ansehen».

81 კრიტიკა სოლისებური სახენელის ტიპის არსებობის შესახებ იხ. ლე ზ ე რ თ ა ნ.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბრაუნგარტის განსაზღვრა კორასი, პაპაუს და ეგრეთწოდებული სოლისებური სახვნელებისა დამყარებულია ამ სახვნელების ქუსლების ზოგად სხვაობაზე. როგორც ვიცით, კორას, პაპაუს და ეგრეთწოდებული სოლისებური სახვნელები და მათი ქუსლების სახეები პრიმიტიულ საფეხურს არ ვასცილებიან. რაჭული სახვნელის ქუსლთან შედარებით ისინი კონსტრუქციით და ფუნქციით მეტად ჩამორჩენილი სახეებია. როგორც ზემოთ დავრწმუნდით რაჭული სახვნელის ქუსლი, სახვნელი იარაღების ქუსლების განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ეს ქუსლი თავისი დაწინაურებული ნაწილების გამო, მეტად რთული დანიშნულებისაა და რთულ ფუნქციას ასრულებს, რომლის შესრულება კორას, პაპაუს და ეგრეთწოდებულ სოლისებური სახვნელის ქუსლებს არ შეუძლია. ამიტომ, არ შეიძლება რაჭული სახვნელის ქუსლის კორა-პაპაუს და ეგრეთწოდებულ სოლისებური სახვნელის ქუსლებს შორის დაყენება და ამათ შორის გარდამავალ სახედ წარმოდგენა, ასევე მთლიანად რაჭული სახვნელი მეტად დაწინაურებული სახვნელი იარაღია კორა-პაპაუს და ე. წ. სოლისებურ სახვნელებთან შედარებით.

ამგვარად, როგორც პირველი ორი, ისე ეს მესამე მოსაზრებაც რაჭული სახვნელის შესახებ ბრაუნგარტს დასაბუთებული არ აქვს და მიუღებელია.

რაჭული სახვნელის შესახებ ბრაუნგარტის ზემოთ დასახელებული შეცდომები დამყარებულია ავტორის იმ ყალბ დებულებაზე, რომლის მიხედვით სახვნელი იარაღის დაწინაურებული სახეები მხოლოდ და მხოლოდ ინდო-გერმანელების მიერ არიან შექმნილი. კერძოდ სახვნელი იარაღის ის ტიპი, რომელიც მოცემულია ქუსლში ჩამჯდარი მხარის სახით (იგივე კორას, იგივე პაპაუს, ჩვენებური ხევსურული აჩაჩის ტიპი) ირანელების მიერ⁸² არის კაკკასიაში შემოტანილი საშუალო ევროპიდან, საიდანაც ეს სახვნელი იარაღი ბერძნებმაც მიიტანეს საბერძნეთში⁸³.

ბრაუნგარტი ფიქრობს, რომ ამ ტიპის სახვნელი იარაღის წარმოშობა ძველ ბაბილონსა და წინააზიაში არ შეიძლება მომხდარიყო, რადგანაც ეფვრატსა და ტიგროსზე შექმნილი სახელმწიფოები — მხედრობაზე, გრძნობის კულტზე და ხელოვნებაზე დამყარებულნი — მოკლებული იყვნენ სასოფლო მეურნეობის საფუძველს. ამიტომ აქ შეიქმნა განვითარების უნარს მოკლებული ფალოსისებური სახვნელი იარაღი, ხოლო გერმანელებმა წარმოშვეს განვითარების უნარის მქონე სახვნელი იარაღის ეს ტიპი, რომელმაც განვითარებული გერმანული გუთნის სახით მთელი მსოფლიო დაიპყრო⁸⁴.

ძველ ბაბილონში სოფლის მეურნეობის ბაზისის არსებობის უარყოფა ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. როგორც ცნობილია, ძველ ბაბილონს ახასიათებდა ირიგაციის რთული სისტემა, ხვნა-თესვის და მოსავლის აკრეფა-მომარაგების რთული

⁸² ირანში ამ ტიპის არსებობა დამოწმებული არ არის.

⁸³ Braungart — წერს «sie (ირანელები) hatten sie (აჩაჩები) von der Mitteleuropa mitgenommen, woher auch die Griechen diese Geräte haben» (Urheimat etc., გვ. 264).

⁸⁴ Braungart, op cit., გვ. 392; «Der altbabylonische phalusartige Pflug war ungeeignet und unentwicklungsähig... Die nur auf Kuns, Sinnenkultus und Armee begründeten Euphrat-Tigris Staaten waren sehr kurzlebig, weil die landwirtschaftliche Basis fehlte. Der ganz andersartige, entwicklungsfähige und höchst gefährte germanische Pflug herrscht heute in der ganzen Welt».

წესები და უაღრესად განვითარებული მიწის, ხვნა-თესვისა და მოსავლეს-კულტი, რაც უდაოდ ამტკიცებს მის სოფლის მეურნეობაში მიწისმოქმედების უდიდეს როლს და მნიშვნელობას⁸⁵. ამდენად, ამ მეურნეობაში გარკვეული როლი სახვნელ იარაღსაც უნდა ჰქონოდა. სხვა არის, თუ ვიტყვი, რომ ძველი ბაბილონის მეურნეობის პირობებში მიწის ნიადაგის თავისებურების გამო (მორწყული რბილი მიწა) ეგების რთული იარაღის არსებობა აუცილებელსა-ქირობას არ წარმოადგენდა, როგორც ამას მოითხოვდა წინააზიის სხვა მხარეების მაგარი და მალალი აგროზოლის ნიადაგი (მაგ. კაბადუკია, პონტო და სხვა). კერძოდ არ ჩანს, რომ ბაბილონის სახვნელ იარაღებს ლითონის ნაწილები ჰქონდეს⁸⁶. (ტაბ. 26). ყოველ შემთხვევაში სახვნელი იარაღის ის ტიპი, რომლის აღმოჩენას ბრაუნგარტი გერმანელებს მიაწერს, ძველ ბაბილონსა და წინააზიის სხვა მხარეებშიც დამოწმებულია უძველესი ხანიდან. ეს სახვნელი იარაღის ის ტიპია (Pflug mit Krümmel) რომელიც, მართლაც, განვითარების უნარის მქონე შეიქმნა და რომლის განვითარების უმაღლეს საფეხურს რაჭული სახვნელი წარმოადგენს.

რაჭული სახვნელის უახლოესი კავშირი სახვნელი იარაღის ამ ტიპთან სვამს საკითხს ამ ტიპის წარმოშობის შესახებ.

ბრაუნგარტის მტკიცებით, ძველ ბაბილონში (ტაბ. 26) მხოლოდ ერთი სახის სახვნელი იარაღია დამოწმებული, სახელდობრ ფალოსისებური; მაგრამ აქვე მოცემულია, ფალოსისებურ სახვნელ იარაღს გარდა, სახვნელ-სათესი მოწყობილობით⁸⁷ და, აგრეთვე, სახვნელი მოხრილი და ორნაწილედანი მხარით. ეს უკანასკნელი ხეტების ქვეყნიდანაც არის ცნობილი⁸⁸ და მისი ქვესახეებიც ნოიპოვება⁸⁹. წარმოშობით ეს ტიპი წინა აზიის კულტურული მონაპოვარია და ინდო-გერმანულ საშუალო ევროპასთან საერთო არაფერი აქვს. პ. ლეზერი, რომელიც ეგრეთწოდებული კულტურულ-ისტორიული სკოლის მიმდევარია და, მამასადამე, მას ვერ დაეწამებთ ინდო-გერმანელების როლის მიჩქმალვის სურვილს, ეკამათება ბრაუნგარტს. ამ ტიპის სახვნელის წარმოშობის შესახებ და ფაქტების ზეგავლენით იძულებულია აღიაროს, რომ სახვნელი იარაღის ეს სახე თუმცა აქვთ ძველ ბერძნებს, რომაელებს, გერმანელებს და სხვა ინდო-გერმანელ ტომებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს სახვნელი

⁸⁵ შდრ. Herodot, I, 193, IV, 198; Deimele, Ackerbau in sumerischer Zeit; მისივე, Ackerbau in altbabylonischer Zeit- ორუე მოთავსებულია „Reallexikon der Assyriologie. ტ. II; Ed. Meyer, G. d. A.; Ed. Hahn, op. cit., გვ. 96-97; მისივე, Von der Hake zum Pflug, Lpz. 1915, მოყავს Seler-ის რეცენზიას მხედვით; Z. f. Ethn., jhrg 1915, გვ. 380; V. Scheil, La charrue Symbole de Ningirsu: Revue d'assyriologie et d'archéologie orientale, Paris 1937, ტ. 34 № 1, გვ. 42. Древний Восток, М. 1936, გვ. 74 და შშლ. განსაკუთრებით H. Prinz, Babyloniens Landwirtschaft: Weltwirtschaftliches Archiv, 1916 ტ. II, I, გვ. 1-42; Б. Туряев, Классич. Восток, Л. 1924, ტ. 1. გვ. 144, 158.

⁸⁶ Prinz, დასახ. ნაშრომი გვ. 16, შენიშვნა I.

⁸⁷ ამგვარი იარაღი დამოწმებულია თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვანის ვილაიეთის ალჯევაზისა და არკიშის მაზრებში (ეურნალი „Umrz“ 1904 წ., № 3, გვ. 47): ეს საინტერესო იარაღიც წინააღმოსავლეთის კულტურის მონაპოვარს წარმოადგენს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

⁸⁸ O. Weber, Die Kunst der Hethiter, Orbis pictus, წ. 8, Brl., 1920 r., ტაბ. 48.

⁸⁹ Prinz, დასახ. ნაშრომი, გვ. 8-9

შოეპოვებათ ბაბილონელებსა და ეტრუსკებს, ამეღავენებს ამ სახენელი იარაღის არა ინდო-გერმანულ წარმოშობას, რომ ეს იარაღი წინააზიაში ინდო-გერმანელებამდე არსებობდა. კიდეც მეტი, ლეზერის შეხედულებით, სახენელი იარაღის ეს სახე ხმელთაშუა ზღვის აუზიდან (უნდა ვიგულისხმობო ამ ზღვის აღმოსავლეთის კუთხე) ვრცელდება ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით⁹⁰.

დაახლოებით ამავე აზრის არიან B. Morcsa⁹¹ და Ed. Hahn⁹² ამთვან პირველი ამ ტიპის სამშობლოდ შუამდინარეთს თვლის, ხოლო მეორეს ამავე შუამდინარეთიდან გამოჰყავს მიწის ხენის კულტურაც. სხვათა შორის Morcsa ამოწმებს, რომ ამ ტიპის სახენელი იარაღი დღემდე შემონახულია კავკასიასა, არაბეთსა და სირიაში.

ამგვარად, ბრაუნგარტის მტკიცების წინააღმდეგ, ირკვევა, რომ სახენელი იარაღის ეს ტიპი არამც თუ არ არის გერმანული და საერთოდ ინდოგერმანული წარმოშობისა, არამედ ის წინააზიაშია შექმნილი, უთუოდ მისი უძველესი აბორიგენი მოსახლეობის იმ ტომებში, რომელთაც დაწინაურებული მიწისმოქმედება ჰქონდათ და რომელნიც საერთოდ ცნობილნი არიან კულტურული მიღწევებით. ტერიტორიულად ამ ტიპის სახენელი იარაღის შექმნა იქ უნდა მომხდარიყო, სადაც მიწის ნიადაგი სახენელის მუშაობას მეტ მოუზონილებას უყენებდა.

საკვირველ მსგავსებას ამეღავენებენ ეტრუსკული და მეგრულ-იმერული სახენელები. აქ მოტანილი ეტრუსკული სახენელი (ტაბ. 26) სრულ ანალოგს პოულობს მეგრულ სახენელში (ტაბ. 22). მსგავსება იმდენად ყოველმხრივია, რომ იგი აშკარადება სახენელების ყველა ძირითად ნაწილსა და დეტალებში. კერძოდ, მათი მხარი, ქუსლი და ხელნა ერთი და იმავე სახისანი არიან.

ეს ეტრუსკული სახენელი აგრეთვე კარგად ემსგავსება მეგრულ აგაფა // გაფას (ტაბ. 21) და ეგრეთწოდებულ იმერულ კავსა და ოჩოჩას. მსგავსება აქაც არა მარტო ტიპოლოგიურია, არამედ უფრო მეტიც — როგორც ერთს, ისე მეორეს მოხრილი მხარი, ტოტიანი ხელნა და ეშვიანი ქუსლი ახასიათებს⁹³. განსხვავებას წარმოადგენს მეგრულ-იმერული სახენელის ამ სახის განაწევრებული მხარი და ქუსლი, რაც სახენელი იარაღის ამ ტიპის განვითარების შედეგია. ისევე, როგორც ამავე მეგრულ-იმერული სახენელების ოვალური სახის ქუსლის ძირები მეორე სახის ეტრუსკული სახენელიც მეგრულ სახენელს

⁹⁰ ლეზერი სხვათა, შორის, წერს, *op. cit.*, გვ. 483: «Ernst zu nehmen ist die Ansicht. Braungarts, die Pflüge mit Krümmel seien indogermanischen Ursprungs. In der Tat könnte man bei flüchtigem Zusehen diesem Gedanken anhängen, sind diese Pflüge doch etwa von den alten Griechen und Römern und in der von Slaven, Germanen und Romanen, von Armeniern und Indern belegt. Aber ich glaube, dass man bei eingehenderer Prüfung sehr schnell von dieser Auffassung abkommen muss. Das Vorhandensein dieser Pflüge bei Babyloniern und Etruskern beweist, dass sie zum mindesten hier schon vorindogermanisch sind. Und ihre Verbreitung glaube ich am zwanglosesten durch die Annahme erklären zu können, dass diese Pflüge von den Ländern um das Mittelmeer aus nach Norden und Osten ausgestrahlt sind».

⁹¹ B. N o p c s a, Zur Genese der primitiven Pflugtypen Z. f. Ethn, 1919, N 4—6, გვ. 239.

⁹² Ed. H a h n, Von der Nake zum Pflug, Lpz. 1915 (იხ. აქვე, შენ. 3).

⁹³ შდრ. L e s e r, Entstund verbr., გვ. 354, 226 და 461.

ემთხვევა. ორივე შემთხვევაში ქუსლი და მხარი მთლიანი სახისა და ფორმითაც ერთიმეორეს სავსებით ემსგავსებიან. ამავე ეტრუსკული სახეების ანალოგია ქართული ჩუთი⁹⁴ (ტაბ. 12). მართალია, სურათზე მოცემულ ეტრუსკულ სახენელს ხელნა არა აქვს, მაგრამ ეს გარემოება გასაგები გახდება ჩვენთვის, თუ მოვიგონებთ, რომ ამ სახის სახენელს ძველად საომარ იარაღად იყენებდნენ ხოლმე. ცხადია, ამ მიზნით გამოყენებული სახენელი იარაღისათვის ხელნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა⁹⁵.

ეტრუსკული სახენელის ორივე სახე, ისევე როგორც მეგრული სახენელები ოგაფა// აგაფა, ოჩოჩა, იმერული კავი, ქართლური ჩუთი და ხევსურული აჩაჩა სახენელი იარაღის იმ ძირითად ტიპს ეკუთვნიან, რომელიც ხასიათდება მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მხარით. ამ ტიპის შესახებ დაწერილებით ზემოთ ვგვქონდა საუბარი, სადაც დადგინილი იყო, რომ სახენელი იარაღის ამ ტიპის ზედმიწევნით განვითარებულ სახეს რაჭული სახენელი წარმოადგენს. ამავე დროს სახენელი იარაღების ეს ერთ-ერთი ძირითადი ტიპი ყველა ქართველ ტომშია გავრცელებული და მათთვის დამახასიათებელ სახენელი იარაღის ტიპს წარმოადგენს⁹⁶. ამიტომ მცდარია ლეზერის მტკიცება, თითქოს სახენელი იარაღის ეს ტიპი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყოს გავრცელებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ოთხმხრიანი სახენელი (vierseitige) ახასიათებდეს⁹⁷, ეგრეთწოდებული ფშაური აჩაჩი⁹⁸. ფშაური აჩაჩის ტიპი აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ხევსურული აჩაჩის ტიპთან შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, ხოლო ხევსურული აჩაჩი (სახენელი მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მხარით) მრავლად და სხვადასხვა სახითაა მოცემული⁹⁹.

წინააზიის უძველეს აბორიგენ მოსახლეობას სხვა ტომებთან ერთად ეტრუსკებიც ეკუთვნიან, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მათ შემონახული ჰქონიათ სახენელი იარაღის ეს სახე (ტაბ. 26).

ეტრუსკები ცნობილი არიან სახელწოდებით ლათ. Etrūsci, Tusci, ბერძნ. Tyrsenoi, Tyrrenoi, ხოლო თავის თავს ისინი უწოდებდნენ Rasna, Rassena. ფარიონ მენებტაპის ცნობაში ეტრუსკები მოხსენიებული არიან Turšā სახელწოდებით—

⁹⁴ გ. ჩიტიანი, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან..., etc საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, გვ. 213; სურ. 4.

⁹⁵ შდრ. e s e r, L. Entst. und verbr. გვ. 220—222; მოიგონეთ საბრძოლველი სახნისი „ვეფხისტყაოსანი“, ტ. ტ. 1037 და 1042 (კაკ. გამოც.) და საბრძოლველი სავეთელი, „მსაჯულთა“ 3,3.

⁹⁶ მესხური სახენელის სახეები ცალკე განხილვას მოითხოვენ.

⁹⁷ L e s e r, Entst. und verbr., გვ. 525, შენ. 116.

⁹⁸ „Der vierseitige pflug-ის განსაზღვრისათვის იხ. Z e s e r, დასახ. ნაშრომი გვ. 4. ფშაური აჩაჩის შესახებ იხ. გ. ჩიტიანი, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან, etc. გვ. 218. ამ სახის სახენელ იარაღს წალკელ ურუმებში „შეიტან ჩიფტი“ (ეშმაკის ჩიფტი) ეწოდება.

⁹⁹ ხევსურული აჩაჩის ტიპიდან ფშაური აჩაჩის ტიპის განვითარების შესახებ ჩვენთვის მიუღებელია მტკიცება, იხ. ოვ. ჭავჭავაძის „საქ. ეც. ისტ.“ 1, გვ. 170—71, სახენელი იარაღის ამ ორი ტიპის წარმოშობის შესახებ საწინააღმდეგო აზრი იხ. Lezer, დასახ. ნაშრომი გვ. 500 და შემდ.: N o p e s a, დასახ. ნაშრომი, გვ. 234; შდრ. გ. ჩიტიანი, ეთნოგრაფიული მოგზ., საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, გვ. 216—217.



Aqaiwaša, Luka, Šardana, Šakaruša-სთან ერთად, როგორც „ხალხი ზღვის ქვეყნებიდან“, „ჩრდილოეთის ქვეყნიდან მოსული ხალხი“, ხოლო რამზეს III ხანაში იგივე Turša||Tuirša დასახელებულია Šardana, Šakaraša „Sakarasa“ ფარსევლებთან და სხვებთან ერთად¹⁰⁰. პეროდოტეს¹⁰¹ ცნობით, ეტრუსკების წინაპარი ტირსენი ყოფილა შვილი ლიდის მეფისა. ამავე ლეგენდის მეორე ვარიანტით, ეტრუსკების წინაპრად დასახელებულია ტარხონი, შვილი ტირსენისა¹⁰². ტარხონსაც გარკვეულად იმავე წინააზიის, უკეთ მცირე აზიის, კულტურულ წრესთან მივყავართ ღვათება თარხონთან დაკავშირებით¹⁰³. ამიტომ მეცნიერთა დიდ უმრავლესობას დამტკიცებულად მიაჩნია ეტრუსკების მცირე აზიიდან. უკეთ ლიდიიდან წარმომდინარეობა და მათი კავშირი და ნათესაობა კავკასიისა და ქართველ ტომებთან¹⁰⁴.

როგორც ცნობილია, წინააზიის უძველეს მოსახლეობას, სხვა ხალხთა შორის, თირსენ // ეტრუსკებთან ერთად ეკუთვნიან: ხეტები, ხურები, ხალდეები, ლიდიელები, მოსხები, თუბალები და სხვები¹⁰⁵, რომლებიც მეცნიერებაში იწოდებიან — ალაროდიელებად¹⁰⁶, სუბარელებად¹⁰⁷ და იაფეტაიანებად.

¹⁰⁰ Ed. Meyer, Geschichte des Altertums, St. und Brl., 1928, ტ. II², ნ. 1, გვ. 555—56; შდრ. D. F i m m e n, Die Kretisch-Mykenische Kultur, Lpz. und Brl. 1921, გვ. 191; Paulys, Realenzyklopädie des class. Altertums, N. B., St. 1909, ტ. VI; Er. H o m m e l, Cr. Geogr. und Gesoehichte des Alten Orients, München 1904, Erst. Hälfte, გვ. 63—70, მისივე, Ethnologie und Geogr. d. Alten Orients, München, 1926, 63—70 და 1001—1004, სადაც უკანასკნელი ხანის ლიტერატურაცაა დასახელებული, იხ. აგრეთვე, წინა სიტყვაობა, გვ. VII.

¹⁰¹ Herodot., 2, 94.
¹⁰² Strabon., Geographica, ed. A. Meineke, Bibl. Teubneriana, Lpz 1913, გვ. 219 და შმდ.

¹⁰³ პროფ. ს. ჯანაშია, ხეტების ისტორიისა და ენის საკითხებისათვის, გაზ. „კომუნისტა“, 21 დეკ. 1936 წ.; შდრ. Er. H o m m e l, Grundriss d.G.etc., გვ. 63 Hommel—ს. ამ ღვათების სახელს Tarquinius და Tarquinii უკავშირებს: შდრ. B. H r o z n y, Weiteres zu den Ländern Churri und Mitanni. Das Land Maiteni: Archiv Orientalni, vol. I, № 2, გვ. 253, შუნ. 1.; მისივე, Die Länder Churri und Mitanni und die ältesten jnder. Archiv Orientalni, vol. I, № 2, გვ. 109.

Hrozny-ს შესაძლებლად მიაჩნია ეს სახელი დაუკავშიროს მეოტიელი დედოფლის Tirgatao-ის და სკვითების მითითრი წინაპრის Targitao-ის სახელს. საყურადღებოა, რომ ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ-ვილი სკვითების იმავე ლეგენდაში მოხსენებული ტარგიტაის შვილის ეპონიმურ სახელწოდებას „კოლაქსაი“-ს. კოლხთა ტომის „კორაქს“-ს გაპიროვნებულ სახელად მიიჩნევს (ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ-ვილი, მკონ. ისტ., ტ. 1², გვ. 264).

სახელწოდება ტარხონი უძველეს ცნობებში სხვადასხვა სახითაა ცნობილი: Tarku, Tarchu Tarchunasi, Tarchuzima Tarchuntišgaš და Tarchunda (შდრ. Forrer ZDMG. 76, 1922 Hommel, დასახ. ნაშ, გვ. 1000). ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ადგილის სუფიქსის—nda შესახებ. პარალელებით—inda,—anda, იხ. A. C h r i s t i a n, Altkleinasiatische Völker Reallex. der Assyriologie, ტ. I, ნაკვ. 1—2.

¹⁰⁴ H o m m e l, Ethn. etc., გვ. 63 და შმდ.: აგრეთვე 1001—1004; H e b i n g, Kleinasiatisch - etruskische Namengleichungen: Sitzungsberichte der Bayerisch. Akad. 1914 H. M a r p, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидаании Средиземно-морской культуры. Избранные работы, ტ. I, № 1, 1932, გვ. 107 და შმდ.

¹⁰⁵ A. C h r i s t i a n, Altkleinasiatische Völker: Reallex. der Assyriologie, ტ. I 6. 1—2, გვ. 82—83.

¹⁰⁶ Arth. U n g n a d, Die achtesten Völkervanderungen Vorderasiens, Breslau, 1923 გვ. 9 და შმდ.

¹⁰⁷ „ძენი იაფეთისანი: დამერ და მავოგ, და მადამ, და იოავან, და ელისა, და თობელი და მოსოქ და თირას“, შესაქმეთა წიგნის ამ ნუსხაში მოხსენებული თირას-ის შესახებ იხ. H o m m e l, დასახ. ნაშრომი შვ. 64, შუნ. 8: E d. M e y e r, c. d. Alt, ტ. II², გვ. 556, შუნ. 2.

ამ ხალხთაგან თუბალ // ტიბარენები და მოსხი // მესხები განსაზღვრულ პერიოდში მეზობლობდნენ ლიდიელებს, მამასადამე თირსენ // ეტრუსკებსა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ „შესაქმეთა“ წიგნის ცნობილ გენეალოგიურ ნუსხაში (10,2) იაფეტის შვილად თუბალისა და მეშენის გვერდით თირასია დასახელებული¹⁰⁸, სხვათაშორის, ერთი საყურადღებო ცნობა შემოუნახავს ეტრუსკებს // თირსენების შესახებ ეგვიპტურ წყაროს. სახელდობრ ის, რომ Turš-ებს წინადაცვეთის ჩვეულება ჰქონიათ¹⁰⁹, როგორც კოლხებს.

წინააზიის იმავე აბორიგენ მოსახლეობას მიეკუთვნებიან ის ტომებიც, რომლებიც ხატოვან დამწერლობას ხმარობდნენ. ეს ტომებიც ლიდაში და მის მეზობელ ქვეყნებში ბინადრობდნენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ხატოვან დამწერლობაში დამწერლობის ერთ-ერთ ნიშნად გამოყენებულია, თუ არ ვცდებით, სახნისის გამოხატულება. თუბალების და მუსკების დაწინაურებული სოფლის მეურნეობის შესახებ, ზემოთ გვქონდა გაკვირვითი საუბარი. ამათი კულტურული მოქმედების ასპარეზი, განსაზღვრულ პერიოდში, თირსენ-ეტრუსკების მახლობლად იყო. ამას უნდა დავძინოთ ისიც; რომ ამავე ტომებს ეხება ცნობა ლითონის დამუშავების მაღალი კულტურის შესახებ¹¹⁰, ისევე როგორც საზოგადოდ ქართველ ტომებს განეკუთვნება ვაზის დაწინაურებული კულტურა¹¹¹. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ჩვენ ზემოთხსენებული მოხრილი მხრიანი სახენელის წარმოშობას ამ ტომებს მივაკუთვნებთ, ვინაიდან ბაბილონთან შედარებით აქ, მცირე აზიაში, მიწის ნიადაგი სახენელ იარაღს მეტ მოთხოვნილებას უყენებს და მისგან მეტ ეფექტიანობას მოითხოვს; ხოლო სახენელი იარაღის ამ სახისაგან განვითარებულ რაჭულ სახენელს თუბალურ ტომებისად მივიჩნევთ¹¹², რომელთაც სათანადო მეურნეობა ახასიათებდათ და სათანადო დაწინაურებული სახენელი იარაღის მოთხოვნილება ჰქონდათ.

ამ უკანასკნელ დებულებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ეს დაწინაურებული სახენელი იარაღი იზოლირებული მიღწევა კი არ არის, არამედ აქვე, ამავე ტომებში დამოწმებულია სხვა მიღწევებიც სოფლის მეურნეობის დარგში. ასეთ დაწინაურებულ ობიექტებიდან დასავლეთ საქართველოსათვის ამჟამად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ: იმერული ფარცხი, ჩოჩიალა ურემი,

¹⁰⁸ E. d. Meyer, დასახ. ნაშრ. ტ. II², ნ. 1, გვ. 557 და შენ. 2. ბოლო ხანებში ირკვევა, რომ ფარონ მენებტაჰის სიაში მოხსენებული ხალხებიდან Aqaivasa-ს არ ჰქონია წინადაცვეთის ჩვეულება B i s s i n g. Die angebliche beschnittenen Aqaiwascha: Zeitschr. für Egyptische Sprache und Altertumskunde, 72 B., 1 H., გვ. 74—76.

¹⁰⁹ B. H r o z n y, Les inscriptions Hitittes Hieroglyphiques, livr. II, Praha, 1934, გვ. 138.

¹¹⁰ იხ. ნ. შარო, ივ. ჯავახიშვილი.

¹¹¹ იხ. ნ. შარო, ივ. ჯავახიშვილი, Schrad er

¹¹² ცნობილია, რომ ცნება თუბალი, ისევე როგორც კოლხი, ცალკეული ტომების გაერთიანებას შეიცავდა.

სენური კევრი¹¹³, შნაკვი // შანკვი (იხ. ზემოთ), იმერული კავი, აგრეთვე სელის მაღალი კულტურა და მოშინაურებული ენდემური მარცვლები.

სახენელი იარაღის შესახებ ჩვენ კიდევ მეტის თქმა შეგვიძლია. ბერძნული ლეგენდა კოლხებს უკავშირებს ანდამატის საუკეთესო სახენელ იარაღს, რომელიც თითქოს ჰეფესტოსმა კოლხთა მეფე აეტს გაუკეთა. ბერძნების ჰეფესტოსი სვანების სოლამია, რომელიც გამომგონებლობისა და ყოველგვარი ნაქნარის სიკარგის ღმერთაკაცი და სახენელ-სახნისის მფარველია (იხ. ზემოთ) იმავე აეტს ცეცხლმქშინავი სპილენძის ჩლიქებიანი ხარები ჰყოლია. ეს მათი მთლიანად კოლხების მიწისმოქმედების მაღალხარისხოვანი კულტურის დამამტკიცებელი და სახენელი იარაღის საუკეთესო ხარისხის მაჩვენებელია¹¹⁴.

პროფ. ი. ჯავახიშვილი სამართლიანად სკვითურ ლეგენდას, ციდან ჩამოვარდნილი ოქროს სახენელის შესახებ, კოლხების ტომს უკავშირებს (კორაქსი)¹¹⁵. არა ნაკლებ საყურადღებოა ოსური ლეგენდა, რომელიც პირველი გუთნის გაჩენას ქართველებს მიაწერს¹¹⁶. ოსური ლეგენდა საკმაოდ ქრისტიანიერებულია. ხოლო ამავე ლეგენდის წარმართული უძველესი სახე კახელებს აქვთ შემონახული. კახურ ლეგენდაში; გიორგის და სოლომონის ნაცვლად მოქმედ პირებად კაცი, მზის დედა და მზეა გამოყვანილი¹¹⁷. გაძნელებული მშობიარობის პროცესში მელოგინე ქალის ერთი ვინმე ჭირისუფალთაგანი მიემგზავრება ზეცაში, რათა მზის დედას გასაჭირი მოახსენოს და შველა სთხოვოს. გზად ის მხენელს შეხვდება, რომელიც რკინის გუთნით ხნავს და მიუხედავად იმისა, რომ მეტად კარგი ხარები ჰყავს, მოხნული მცირე გამოუღდის. მხენელი მგზავრს სთხოვს გადასცეს მისი გაჭირება მზის დედას და შველა სთხოვოს. ზეცაში ირმის ზურგით და რქის საშუალებით ასული მგზავრი მზის დედას მოახსენებს მშობიარის, გუთნის დედის, ცხვრის, მეცხვარის, მგლის და ირმის გასაჭირზე. მზის დედა მგზავრს გადააქცევს ნემსად, კედელზე მიამაგრებს და მგზავრობიდან დაბრუნებულ მზეს ჰკითხავს, თუ რა ნახა მან დედამიწაზე. მზე მოუყვება მშობიარის, გუთნისდედის, ცხვრის, მეცხვარის, მგლის და ირმის გასაჭირს და თანვე მათი გასაჭირის საწინააღმდეგო საშუალებებს ასახელებს; მზე გუთნისდედის თაობაზე ამბობს: მეგუთნეს ვერ მოუფიქრებია, რომ გუთანს რკინისა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სახნისი და საკვეთელი (რუსულ ტექსტში შეცდომით თარგმნილია „резец и стержень“), მაშინ გუთანი შემსუბუქდება და ხარები ბევრს ორნატს გაავლებენ და ბევრს მოხნავენ. ამ ლეგენდაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული რკინის საკვეთელსა და სახნისს. ეს რთული სახენელი იარაღის არსებობას გულისხმობს, როგორც პრინცს აქვს გამორკვეული, ძველ ბაბილონში სახენელებს სახნის-საკვეთელი არ გააჩნიათ. ხეთის სამეფოში ხატოვანი დამწერლობის მქონე ტომებში ლითონის სახნისის არსებობა სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ (იხ. ზემოთ). ლეგენდების მიხედვით და ქართველ ტომებში ლითონის კულტურის და განვითარებული მიწისმოქმე-

¹¹³ კევრის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 92—93; აგრეთვე სტ. მენთე შაშვილი, კევრი, საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, გვ. 83—88.

¹¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. 12, გვ. 263; ს. ჯანაშია, საქ. ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს. (კონსპექტი); ტფ., უნივ. შრომები, ტ. V, 1936, გვ. 62.

¹¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. ტ. 12, გვ. 264;

¹¹⁶ იხ. ჩვენი ჩანაწერი: ეთნოგრ. მოგზ., საქ. მუზ. მოამბე, V, გვ. 119.

¹¹⁷ Н. Степанов. Поверия грузин Телавского уезда: СМОМПК, XVII, № 7. II, 23. 129—35.

დების არსებობის პირობებში სადაო აღარ უნდა იყოს სახნის-საკვეთელს წარმოშობის¹¹⁸ საკითხი, მაგრამ ამჟამად ამ საკითხზე ჩვენ არ შევჩერდებით. არ შევჩერდებით აგრეთვე ზემომოყვანილ ლეგენდებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლეგენდებიდან აშკარად ჩანს ის, რომ სახენელი იარაღების გამოგონება-დაწინაურებაში ქართველ ტომებს საპატიო დამსახურება მიუძღვით, ამდენად სავსებით ბათილდება რაჭული სახენელის ინდო-გერმანული წარმოშობა და ირკვევა, რომ არა თუ რაჭული სახენელი არ არის ინდო-გერმანული წარმოშობისა; არამედ სახენელი იარაღის ის ტიპიც, რომლისაგან ძირითადად განვითარდა რაჭული სახენელი, გერმანული არ არის, იგი წინააზიური წარმოშობისაა და მიეკუთვნება ალაროდელ-სუბარელ ტომებს და ამ ტომთა დღევანდელ წარმომადგენლებს — ქართველებს.

ამგვარად, ყველა ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ რაჭული სახენელი თავისი ფარფლიანი ქუსლით და წიწწა // წინმავალთი მეტად თავისებური სახენელი იარაღის სახეა, რომელსაც ქართველ ტომთა სახენელი იარაღების გარეშე ანალოგი არა აქვს სხვა ხალხთა სახენელებში. საზოგადოდ და ინდოევროპული ტომების სახენელ იარაღებში კერძოდ, ბრაუნჰარტის მტკიცების წინააღმდეგ, რაჭული სახენელი არც ირანულ და არც საშუალო ევროპის სახენელებისაგან დამოკიდებული არ არის, არამედ ის მიღებულია ქართველი ტომების (კერძოდ, თუბალური ტომების) სახენელი იარაღების ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით და უძველესი სახენელი იარაღის ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს, მის გვირგვინს წარმოადგენს.

ამასთანავე რაჭული სახენელი თავისი მეტად დაწინაურებული ფარფლიანი ქუსლით და წიწწა // წინმავალთი უძველეს სახენელთა მარტივი კონსტრუქციის ფარგლებში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც რთული სახენელი იარაღი, გუთანი თავისი ფრთითა და ფამფალაკით. კიდევ მეტი, რაჭული სახენელი თავისი ოვალური (ფარფლიანი) ქუსლით რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს ევროპული გუთნის შედარებით ახალ შენაძენს — ოვალურ ფრთას. რაჭული სახენელი უმეტესაკლებოდ მთის გუთანია, შეფარდებული ფერდობის ნიადაგთან, რელიეფთან და სპეციფიკურ სამეურნეო პირობებთან.

არსებითად რაჭული სახენელი, როგორც სახენელი იარაღების გარკვეულ სახე, წარმოადგენს სახენელთა იმ ძირითად ტიპს, რომელიც შექმნილია წინააზიაში და ეკუთვნის წინააზიის უძველეს კულტურულ მოსახლეობას — ქართველ ტომთა წინაპრებს ალაროდელ-სუბარელი ტომების სახით საზოგადოდ, ხოლო თუბალ-მუსკ-თირსენებს (ეტრუსკებს) კერძოდ. სახენელი იარაღის ეს ტიპი კავკასიაში მრავალი სახით, ქვესახითა და ვარიანტებით არის დამოწმებული. ამავე დროს ქართველ ტომებში სახენელი იარაღების მაღალი კულტურის აზსებობას სხვა მონაცემებს გარდა ბერძნული, სკვითური და ოსური ლეგენდები ადასტურებენ ისევე, როგორც საკუთრივ ქართული გადმოცემები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაჭული სახენელი დასავლეთ საქართველოს ქართველ ტომთა ერთადერთი მიღწევა კი არ არის, არამედ მათში დამოწმებულია მრავალი სხვა კულტურული მონაბოგარი. მაგ.: იმერული ფარცხი, ჩოჩიალა ურემი, სვანური კევრი, სამკელი იარაღი შნაკვი, ენდემური პურეულები და სხვ.

1937 წ.

¹¹⁸ საკვეთელის შესახებ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ენ. ისტ. ტ. 12, გვ. 253—55,

რატული სახვნელის ფარფლიანი ჟუსლი

I

რატის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახვნელი იარაღები ორი ძირითადი სახითაა მოცემული: ერთია რატული სახვნელი ფარფლიანი, ოვალურგვერდიანი ჟუსლით და მეორე იმერული კავი ოვალურ-ძირიანი ჟუსლით.

ჩვენს ერთს ადრინდელ ნაშრომში გარკვეული გვექონდა, რომ რატული სახვნელი თავისი ფარფლიანი ჟუსლითა და წეწენა-წინამავალათი მეტად თავისებური სახვნელი იარაღის სახეა, რომელსაც ქართველების სახვნელი იარაღების გარეშე სხვა ხალხთა სახვნელებში ანალოგი არ მოეპოვება საზოგადოდ და ინდოევროპული ხალხების სახვნელ იარაღებში კერძოდ¹.

ეს უნიკალური იარაღი მიღებულია ქართული (თუბალურ-მესხური) სახვნელი იარაღების ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით და უძველესი სახვნელი იარაღის ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

კერძოდ, ამ სახვნელი იარაღის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის, ფარფლიანი ჟუსლის შესახებ ჩვენ ვწერდით, რომ რატული სახვნელის ჟუსლი ამ იარაღის დაწინაურებული, განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ელემენტია, რომელიც გუთნის ფრთის მოვალეობას ასრულებს და სახვნელის გამწევე ძალას მუშაობას უმსუბუქებს².

ამ მეტად თავისებური სახის ჟუსლის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს სახვნელი იარაღების განვითარების ისტორიისათვის და ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ მას ერთხელ კიდევ ჩვენი დაკვირვების საგნად გავხდით.

ცალკეულად აღებული რატული სახვნელის ჟუსლი გვერდიდან კეხს მიემსგავსება, რომელსაც ოვალურად ამოჭრილი გვერდები (ფარფლები) აქვს. ჟუსლი ხის ერთიანი მორისაგანაა გათლილი. მისი ერთი ბოლო (თავში) წაწვერილი და წათლილია, მეორე — გაგანიერებული, ხოლო წელი ნაწიბურიანია. ჟუსლს ბოლოში ოთხკუთხედი ნაჩვრეტი აქვს სატარისა და ერქვანის გასაქრელად. ჟუსლი ქვემოთ ამოღარულია. მას აქაც შუაში ნაწიბური ჩაუდის (ჟუსლის ასეთ ნაწიბურს ლეჩხუმში მამაკაცის ასოს სახელი ეწოდება, ხოლო სვანეთში ჟუსლის სოლს ყურნა ჰქვია.).

ამგვარი ჟუსლი შემდეგი დეტალებისაგან შედგება: საშუე ანუ საეშვე, ნაწიბური, ფარფლი, ნაჩვრეტი, ლაში, დიდი სოლი და საჩოჩი სოლი (ტაბ. 29).

¹ გ. ჩიტაია, რატული სახვნელი, ენიშვის შობაზე, ტ. I, ტფ., 1937.

² გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

ფუნქციის მიხედვით, ფარფლიანი ქუსლი სახენელი იარაღის მუშაობის პროცესში რთულ მოვალეობას ასრულებს. ხენის დროს სახნისის მიერ აჭრილი ბელტი ქუსლის საშუედან თანდათან მიჰყვება ქუსლის ფარფლს ზემოთ და ფარფლის ოვალური მოყვანილობის გამო, მისი ზემო ნაწილიდან, ბოლოდან — გადაბრუნებული ქვემოთ ვარდება. ამ რთული პროცესის წარმატებით შესრულება ოთხი მონაცემითაა შეპირობებული.

I ქუსლის ოვალურობა ხელს უწყობს აჭრილი ბელტის მოძრაობას ქუსლის ქვემოთ ზემოთ. ის ამ მოძრაობას აადვილებს და ბელტის გადაბრუნებას შეეღის.

II. ოვალური ქუსლის მაღლა აშვერილი ბოლო ნაწილიდან — ლაშიდან ბელტის ძირს დაცემა ხელს უწყობს მის დაფშვნას.

III. მუშაობის პროცესში სახენელის ქუსლი მიწაზე ბრტყლად კი არა ძევს, არამედ წაგვერდილია ისე, რომ აჭრილი ბელტი ქუსლის ერთ ფარფლს მიჰყვება ხოლმე.

IV. ქუსლის საშუე ბელტს ჰკვეთს, ჰგლეჯს, რასაც სხვა ტიპის სახენელ იარაღში (მაგ. ფშაურ აჩაჩში) ხ მ ა ლ ა ასრულებს ნაკლები ეფექტურობით.

გარდა ზემოთქმულისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქუსლის ძირი გულამოდარულია, ამის გამო ქუსლი მსუბუქია, მის ძირს მიწა არ უძნელებს მოძრაობას და მასში ჩამჯდარი მხარის ბოლო და სოლების თავბოლოებიც ნიადაგზე არ ეთრევა.

იმის გამო, რომ არც მხარის ბოლო, არც სოლების თავ-ბოლოები და თვით ქუსლის ძირის დიდი ნაწილი მიწას არ ეკარება, და იმის გამოც, რომ ქუსლი ფარფლიანი და გულამოდარულია და ცალ გვერდზე მუშაობს, სახენელი იარაღის გამწვევ ძალას ერთიორად და მეტადაც უმსუბუქდება მუშაობა. უმსუბუქდება მუშაობა მგუთნავსაც. ერთი სიტყვით, ნაკლები ენერგიის დახარჯვით მეტ ეფექტურობას ვალწევთ.

ცხადია, ასეთი სახის დაწინაურებული ქუსლი ერთბაშად არ განდებოდა. განვითარების პროცესში მას მრავალი საფეხური უნდა გაევილო, ვიდრე სრულქმნილი განდებოდა. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი სიმეტრიულობით, დამთავრებული ხაზებითა და სტრუქტურით ოსტატის მიერ ნათლად გამიზნულ და მიღწეულ ნაქნარს წარმოადგენს, რომლის შექმნას წინ უძღოდა მრავალი თაობის მუშაობა სახენელი იარაღის ქუსლების ნაირნაირ სახეებზე. ამ ქუსლის წინამორბედი სახეები პირველ რიგში ქართველი ხალხის სახენელი იარაღის ქუსლის ტიპებში უნდა ვეძებოთ.

II

იმდენად, რამდენადაც შესწავლილია ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილე, შეიძლება ითქვას, რომ ამ სინამდვილემ თითქმის არ იცის სახენელი იარაღის ისეთი ტიპი, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ქუსლი არ ჰქონდეს. გამოწავლის მხოლოდ ორი შემთხვევა წარმოადგენს.

ერთი შემთხვევაა თუშური კავი. ეს თავისებური სახენელი იარაღი მხოლოდ თუშეთში გვხვდება. 1932 წელს ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა თუშური კავი შეგვესწავლა ადგილობრივ, შემდეგ სოფლებში: ჯვარბოსელი, ფარსმა და დიკლო. ეს იარაღი შედგება: ტარის, ისრის (საბეწვე),

ბარის³ (ანუ საკვეთლის), ხვრეტის, ერქვანას, ერქვანას სახელის ხელსაკიდისა და ბობოჩიკისაგან⁴ (ტაბ. 9).

ამ იარაღის თავისებურება მდგომარეობს მასში, რომ მისი მხარი ბოლოში ზემოთაა აშვერილი. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემულ სახენელ იარაღებს ჩვეულებრივად მხარი ბოლოში მოხრილი და ქუსლში ჩამჭდარი აქვთ, ან კიდევ პერპენდიკულარულად ხელნაშია გაყრილი. გარდა ამისა, თუშურ კავს არა აქვს ქუსლი და არც სახნისი. მის მხარში საკვეთლის მსგავსი იარაღია (ბარი) გაყრილი. არსებითად ეს იარაღი მიწის მოხვნასთან დაკავშირებულ ფუნქციას მხოლოდ ამ საკვეთლის, ბარის შემწეობით ახორციელებს.

თუშეთში, სადაც მიწისმოქმედებისათვის თავისებური პირობებია, ამ კავის დანიშნულებაა მაგარი მიწის ნიადაგი გაწეროს, რათა გაწერილზე მეორე ტიპის სახენელმა იარაღმა საჯნულმა ადვილად მოხნას. ჩვეულებრივ, ერთი უღელი ხარით თუშური კავი წინ უძღვება საჯნულს და ნიადაგს წერავს, ხოლო მას მისდევს საჯნული ყევიანი ან მეტი ხარით და მიწას ხნავს. მიწის მოხვნის ზემოდასახელებული პროცესი შეფარდებულია თუშების მთის ზოლის მეურნეობასთან და მის ბუნებრივ პირობებთან: ხრიოკი, მწირი და ფიცხი ნიადაგი პლუს მთაგორიანი რელიეფი.

ამ სახენელ იარაღს, თუშურ კავს, არც ქართულ ისტორიულ წყაროებში დამოწმებულს და არც სხვაგან ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემულს, ჩვენს სახენელ იარაღებში ანალოგი არ მოეპოვება. გამონაკლისს ერთად ერთი შემთხვევა წარმოადგენს, სახელდობრ, ეგრეთწოდებული ოქოქა. ამ ოქოქას სურათი, მოგონებით აღდგენილი ტყვიაველი კეცხოველის მიერ, გამოქვეყნებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ (წიგნი I, გვ. 196, სურ. II). სამწუხაროდ, ჩვენ მიერ წარმოებულმა გამოკითხვამ ტყვიავესა და მეზობელ სოფელში (მერეთში) არ დაადასტურა ოქოქას სახის სახენელი იარაღის არსებობა. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ოქოქა სოფლელებს აჩაჩისებურ იარაღად აქვთ წარმოდგენილი.

სახენელი იარაღების შესახებ არსებულ ლიტერატურაში თუშური კავის ტიპის იარაღი დასავლეთ ევროპის მთიან ზოლშია დამოწმებული. იგი ცნობილია უნტერკერტენსა და კირხბახში (გერმანია) და აგრეთვე შვედეთშიც⁵. ეს იარაღი აქაც მთის ზოლის მიწის მეურნეობასთან ჩანს შეფარდებული, თუმცა ამგვარი იარაღი რაღოს სახელწოდებით უკრაინაშიც მოიპოვება⁶. რამდენად ძველია თავისი წარმოშობით თუშური კავი ამჟამად ძნელი სათქმელია, მხოლოდ ის გარემოება, რომ კავის საკვეთელს ბარის სახელწოდება (ძველი ქართული ტერმინი) შემოუნახავს, შეიძლება ამ თავისებური სახენელი იარაღის სიძველის მაჩვენებელი იყოს.

მეორე მაგალითია გურული კავი. სახელწოდება „გურული“ პირობითია, რამდენადაც ეს იარაღი თითქოს გურიისათვის არის დამოწმებული. გურული კავის სურათი გამოქვეყნებულია ა. ბიჰანის ნაშრომში (სურ. 410, 4,

³ ტერმინი ბარი თოხის აღსანიშნავადაც იხმარება.

⁴ თავისებური ტერმინები აქვს თუშურ საჯნულსაც: მჯარი, მჯარის ენა, კვიცა, სოლი, საჯნულელის ჯაა, ერქვანა, ერქვანას ტარი, ჯორჯა, ქუსლი, საშრუე, ბუდე, საჯნისი.

⁵ P. L e s e r, Entstehung und Verbreitung des Pfluges, Leipzig 1930, გვ. 139; შდრ. K. R a h m m, Beiträge etc., B 2, Taf. II, სურ. 5, 6 და 16.

⁶ D. Z e l e n i n, Ostslavische (russische) Volkskunde, Brl. 1932, გვ. 16.

გვ. 620), იგივე დაბეჭდილია ამ ნაშრომის ფრანგულ თარგმანში⁷, სადაც მთარგმნელის შენიშვნაში ვკითხულობთ, რომ სახენელის ეს ტიპი ბარ-სახენელის სახეს ეკუთვნის. სხვათა შორის, ფრანგული და გერმანული გამოცემების მითითებები გურული სახენელი იარაღის სურათზე ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ სახენელი იარაღის სურათი ბიჰანს ამოუღია კ. რაუს ნაშრომიდან „Geschichte des Pfluges“, მაგრამ ამ ნაშრომში არ ჩანს, თუ რა გზით აქვს ავტორს ეს სურათი მოპოვებული.

გურიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ სახის სახენელი იარაღის არსებობა არ დადასტურდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კორესპონდენტებს არაერთგზის მიჰცათ სათანადო დავალება.

ამ სახენელ იარაღს, გურულ კავს, განსაკუთრებული სახის ქუსლი აქვს, ის წარმოადგენს ორკაბა კეტს, რომლის წვერზე სახნისი უნდა ყოფილიყო წამოცმული (სურათზე სახნისი ნაჩვენებია არ არის), მის ბოლოში სახელურია გაყრილი. ამ იარაღს, მხარის გარდა, პატარა ზომის ხმალაც მოეპოვება.

III

ამ ორი გამოჩაყლისის გარდა, ქართული სახენელების ქუსლები არსებითად ერთ ძირითად ტიპს განეკუთვნებიან: სახენელის ქუსლი ყოველთვის ჰორიზონტალურ მიმართებაშია ნიადაგთან, მიწასთან, სახენელი იარაღის ქუსლის ეს ძირითადი ტიპი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნაირნაირ სახეებითა და მრავალი ვარიანტითაა მოცემული. სახენელი იარაღის ქუსლებზე შესახებ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ქართველ ტომებს ქუსლებს დაწინაურებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევიათ და მათი მრავალგვარი სახე შეუქმნიათ.

მართლაც, ქართველი ტომების სახენელ იარაღებში, ერთი მხრით, ჩვენ ისეთი ქუსლი გვაქვს, რომელიც მხართან ერთად მთლიანია, ან კიდევ ხელნასთან ერთად მთლიანი, მეორე მხრით, საკუთრად ქუსლად დამზადებულ ეგზემპლარებიდან შეიძლება დავასახელოთ ქუსლების შემდეგი სახეები: ოთხკუთხედი, პრიზმული, აგრეთვე ეშვიანი, ლაშიანი, საქლეშიანი და ყურიანი ქუსლები, ქუსლები ოვალური ძირით, ხერხემლიანი (ნაწიბურებიანი) ძირით, ქარამოდარული და, უკანასკნელად, ფარფლიანი ქუსლი (სხვადასხვა ვარიანტებით)⁸.

ზემოჩამოთვლილი ქუსლის ნაირნაირი სახეებიდან აშკარად ჩანს, რომ არ დარჩენილა ქუსლის არც ერთი ნაწილი, რომელსაც გაუმჯობესების ხელი არ შეხებოდეს: ა) ქუსლის ზედაპირი, ბ) ქუსლის ბოლო, გ) ქუსლის გვერდები, დ) ქუსლის საშრუვე, ე) ქუსლის ძირი და ქუსლის წვერი, რომელზედაც უნდა მოერგოს რკინის სახნისი (მაგალითად, ს ა ქ ვ ი ე და ს ა მ ბ ი ლ ე).

ქუსლის ძირის გაფორმების მიხედვით ჩვენში რამდენიმე სახის ქუსლია მოცემული: ოვალურად გამოყვანილი ძირი (იმერული კავი), რომელიც ზოგიერთ ვარიანტში პატარა ყურებით ბოლოვდება; ბრტყელძირიანები (ქართ-

⁷ A. B y h a n. La civilisation Caucasiennne, Paris, 1936, გვ. 50.

⁸ შდრ. გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახენელი: ენიმკი-ს მოამბე, ტ. 1; მ ი ს ი ე ვ ე, საქართველოს სახენელი იარაღების ისტორიისათვის: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V.

ლური აჩაჩა, ორხელა), ხერხემლიანი ძირი (ლეჩხუმი, სვანეთი), ოთხკუთხედად ამოღარული ძირი (თუშეთი) (ტაბ. 30) ოვალურად ამოღარული ძირი (რაჭული, მესხური, სვანური).

ამგვარადვე მრავალი სახითაა წარმოდგენილი ქუსლის ზედაპირი: ბრტყელი (მეგრული კავი), ხერხემლიანი (სვანური), საშრუვიანი (გურული კავი), სამკუთხედო (მეგრული ოგაფა) და სხვა. (ტაბ. 30).

ასევე ქუსლის ბოლო მოცემულია: ორკაპიანი, ყურიანი და საქლეშიანი, ხოლო ქუსლის გვერდები: სწორკუთხედიანი, ნახევრად ოვალური და ოვალური სახისა.

ცნობილია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქუსლს ხვნის პროცესში. არსებითად ეს იყო ძირითადი სამუშაო ნაწილი სახვნელი იარაღისა, რომლის შემწეობით წარმოებდა მიწის ღრმად და პირად მოხვნა, მოხუნლის დაფშვნა, ბელტის გატეხა, ბელტის გადაბრუნება და მუშაძალის ეფექტურად გამოყენება (მგუთნავისა და ხარების). იმის მიხედვით, თუ რა სახის ქუსლი ჰქონდა სახვნელ იარაღს, თვით სახვნელი იარაღიც მეტი თუ ნაკლები ეფექტის მიმცემი იყო: რამდენად მოხერხებული სახის იყო სახვნელი იარაღის ქუსლი, იმდენად ღონიერი იყო თვით სახვნელი იარაღიც. რასაკვირველია, ქუსლის ნაირსახეობა წინასწარ შეფარდებული უნდა ყოფილიყო მოსახნავი მიწის პირობებთან, ქუსლი შეგუებული უნდა ყოფილიყო ნიადაგის, ადგილის რელიეფისა და მოსაწევი კულტურის პირობებთანაც.

ეფექტიანი მიწისმოქმედების საწარმოებლად ქართველ ხალხში დიდი გამოცდილება და ცოდნა იყო დაგროვილი. მაგალითისათვის დავასახელებთ მიწის მოხვნას მაღალი და დაბალი კავით. რბილ მიწაზე იხმარებოდა მაღალქუსლიანი კავი, ხოლო მაგარ მიწაზე დაბალქუსლიანი. ამის შესაბამისად სახვნელ იარაღს პირველ შემთხვევაში სამბილე სახნისი უკეთდებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში—საქვე. სახვნელი იარაღის ქუსლის ფორმის შეგუება ხდებოდა აგრეთვე წყალგამტარ და წყლის არაგამტარ თიხიან ნიადაგთან. შეგუებული იყო აგრეთვე სახვნელი იარაღი და მისი ქუსლი ღრმად და პირად ხვნასთან. იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი ნოტიო და რბილი იყო, აჩაჩა გამოდგებოდა, ხოლო ხმელი და ფიცხი ნიადაგი ღონიერ სახვნელ იარაღს მოითხოვდა.

შერჩეული იყო სახვნელი იარაღი და მათი ქუსლები ადგილის რელიეფთანაც. ერთს ჩვენს ნაშრომში დადგენილი გვაქვს, თუ როგორ არის შეგუებული სახვნელი იარაღი მთის ზოლის, მთის ძირისა და ბარის მეურნეობის პირობებთან. ზემოთ დასახელებული თითოეული ზოლისათვის განკუთვნილი იყო შესაფერისი კონსტრუქციის სახვნელი იარაღი; მთის გუთანი, ორხელა გუთანი და ბარის გუთანი⁹. ამასთან ერთად, წესად მიღებული იყო ანეულად ხვნა, აოშვა, გათერძვა, გახარვა. არჩევდნენ ნიადაგს: ნაცვარალი, რცხალი, ნაჩხატი, ყამირი და კორდი. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ხნულსა და ნიადაგთან შეფარდებით, შერჩეული იყო თესლის ჯიშებიც. ამყამად აღარას ვამბობთ ყანების სარწყავი არხებისა და ფერდობებში საყანე მიწის ჩამოწოლის წინააღმდეგ ტერასებურად აგებული ყორეების შესახებ¹⁰

9 გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, ენიშკის მოამბე, ტ. 5—6, თბ., 1940.

10 გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი.

ასეთ დიდი სამიწათმოქმედო კულტურას ჰქონდა, და არც შეიძლებოდა არ ჰქონოდა, შესაფერისი სახვნელი იარაღები, კერძოდ მიწისმოქმედების მოთხოვნილებებთან შეფარდებული სახვნელი იარაღის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი — სახვნელი იარაღის ქუსლი.

სახვნელი იარაღის ამ ნაწილის აღსანიშნავად ხალხში შემდეგი ტერმინებია შემონახული: სა ხ ვ ნ ე ლ ი, გ უ თ ა ნ ი, ქ უ ს ლ ი, კ ბ ი ლ ა, ჩ ა ფ უ ლ ა, ფ ი ც ა რ ი. რაჭული სახვნელი იარაღის ფარფლიანი ქუსლი ამ მდიდარი სამიწისმოქმედო კულტურის შენაძენია.

როგორც ზემოთ ითქვა, ფარფლიან ქუსლს წინამორბედებიც მოეპოებოდა.

რაჭული სახვნელის ფარფლიანი ქუსლის წინამორბედი მესხური ჯილდის ქუსლია. უკანასკნელი სახვნელი იარაღის სურათი დაბეჭდილია პეტცჰოლდტის ნაშრომში — „Der Kaukasus“ (გამოცა 1867 წელს). ამ სახვნელი იარაღის ქუსლს პეტცჰოლდტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ხაზგასმით აღნიშნავს მის თავისებურებას. იგი წერს: „ამ სახვნელ იარაღს აქვს განსაკუთრებული სახის ქუსლი. ეს ქუსლი დამზადებულია მაგარი ხის ნაჭრისაგან. ის უკანა ნაწილისაკენ თანდათან განიერდება და მსხვილდება ისე, რომ იქმნება გვერდებისაკენ გადახრილი ორი ფრთა ანუ ყური. ამათ ნაწილობრივ შეუძლია გუთნის ფრთის დანიშნულების შესრულება“¹¹. ზემოთ თქმულს პეტცჰოლდტი დასძენს, რომ „Iedenfalis gehört dieses Hacken mehr unter Zahl landwirtschaftlicher Curiosa“. როგორც აქ მოტანილი აღწერილობიდან, ისე მესხური ჯილდის სურათიდანაც, რომელიც პეტცჰოლდტის ნაშრომშია მოცემული, ნათლად ჩანს, რომ ამ სახვნელის ქუსლი რაჭული სახვნელი იარაღის ქუსლის მსგავსია და იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც რაჭული სახვნელის ქუსლი, სახელდობრ: ბელტის გადებრუნება ე. ი. ასრულებს იმავე ფუნქციას, რომელიც დაკისრებული აქვს გუთნის ფრთას.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მესხურ ჯილდას ზოგიერთ შემთხვევაში აქვს არა ოვალური ქუსლი, არამედ ჩვეულებრივი, ასეთ ქუსლზე მირგებულია გუთნის ფრთა, რომელიც თავისი კონსტრუქციით ოვალური ქუსლის ფუნქციას ასრულებს. ეს შენაცვლება გუთნის ფრთისა და ოვალური ქუსლისა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. ასევე შემთხვევითი არ არას ისიც, რომ რაჭული სახვნელის ქუსლს ზოგიერთ სოფლებში ფიცარი ეწოდება, ტერმინი, რომელიც დამოწმებულია ქართლშიც (აქა-იქ) ფრთის სახელწოდებად. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გუთნის ფრთაა და ოვალურ ქუსლს შორის ორგანულ კავშირთან. რაჭული სახვნელის ქუსლის მეორე წინამორბედს წარმოადგენს რაჭული სახვნელი სოფ. ზნაკვიდან. ამ სახვნელის მოდელი დაცულია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში და გამოქვეყნებულია იმავე მუზეუმის მოამბეში, ზნაკური სახვნელის ქუსლი იმრიგად არის გაკეთებული, რომ სახნისით ათხრილი მიწა ქუსლის გვერდებს აპყვეს და ქუსლის ბოლოში გვერდზე გადაწვეს. ამ მიზნით თავში წაწვერილი ქუსლი ბოლოსაკენ თანდათან მაღლდება, განიერდება და გვერდებიც გუთნის ფრთის მოყვანილობას ღებულობს. ამ სახვნელის ქუსლს რომ მიზნად ბელტის გადებრუნება აქვს დასახულა, იქიდან ჩანს, რომ როდესაც ქუსლს ხვნის პროცესში ამ მოვალეობის შეს-

11 ა. პეტცჰოლდტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121—122.

რულება უჭირს, მხენელი ხელით შველის მიწის ბელტს გადაბრუნებაში. ზნაკური სახენელის ქუსლი, პრიმიტიული სახეა მალაღანვითარებული, რაჭული სახენელი იარაღის ქუსლისა. მაგრამ რაჭული სახენელის ფარფლიან ქუსლს წინამორბედი მოებოვება არა მარტო მესხური ჯილდისა და ზნაკური სახენელი იარაღების ქუსლების სახით, არამედ ასეთი წინამორბედებია აჭარული ჯილდის და მეგრული და გურული კავის ქუსლები. ჩვენ აღარ ვახსენებთ სვანური სახენელის ქუსლს, რომელიც სავსებით ანალოგიურია რაჭული ფარფლიანი ქუსლისა (Merzbacher, Hochregion des Kaukasus, Bd. I)

ამ მონაცემების მიხედვით ისახება რაჭული სახენელი იარაღის ფარფლიანი ქუსლის თანდათან განვითარების საფეხურები — აჭარული ჯილდა, მეგრული და გურული კავი, ზნაკური სახენელი, მესხური ჯილდა და რაჭული სახენელი.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი ქართველი ტომების სახენელი იარაღის ქუსლების შინაგანი განვითარებით არის მიღებული. იგი თავისი კონსტრუქციის მიხედვით გუთნის ფრთის ფუნქციას ასრულებს და გუთნის ფრთის წინამორბედია. ამ დასკვნას არამცირე მნიშვნელობა აქვს სახენელი იარაღის განვითარების ისტორიისათვის.

IV

ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპული კომპლექსური სახენელი იარაღის, გუთნის, ოვალური ფრთა შედარებით გვიანი ხანის შენაძენია.

ლეზერის აზრით, ამ სახენელი იარაღის ფრთა შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთშია მოპოვებული, ხოლო ჩინეთიდან XVIII საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში იქნა შეტანილი¹². რ. ჟირლოვი ამტკიცებს, რომ ჩრდ.-დას. ევროპაში შემოდებული გუთნის ოვალური ფრთა არ არის ჩინეთიდან შემოტანილი კულტურის ელემენტი, არამედ ევროპაშივე (ალბათ ჰოლანდიაში) XVIII საუკუნეშია წარმოშობილი და შემდეგ მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული, მისივე აზრით, გუთნის ოვალური ფრთა არის წარმოშობილი ადრე ჩინეთში, ხოლო შედარებით გვიან დამოუკიდებლად ევროპაში¹³.

აკად. ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ I—IV საუკუნეებში საქართველოში ფრთიანი სახენელი იარაღი უკვე არსებობდა. პატივცემული ავტორის აზრით, ჩვენში სახენელი იარაღის ფრთა რომაულ *binæ aures*-ის შემოქმედებითი ზეგავლენით უნდა წარმოშობილიყო¹⁴. ამავე ავტორის მიხედვით რომაული *binæ aures* მესხურ არონაშია მოცემული.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, რომ სახენელი იარაღის ფრთას ჩვენში წინ უსწრებდა რაჭული სახენელის დაწინაურებული ფარფლიანი ქუსლი.

ეს დაწინაურება მოპოვებულია მარტივი სახენელი იარაღების ფარგლებში. იგი უკან ტოვებს სახენელი იარაღების ქუსლებს. ისეთებსაც კი, რომლებიც დამატებული ფრთებითა და ყურებითაა წარმოდგენილი.

¹² ლეზერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

¹³ R. Jirlow, Till svängda plogvåndskivans historia: RIG, Tjugoandra argängen 1939, Stockholm, გერმანული რეზიუმე, გვ. 32.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., ტ. 12, გვ. 258—259.

რომაულ სახენელ იარაღს *binæ aures*-ი ქუსლის შუა წელზე ჰქონდა მი-
მაგრებული ან კიდევ ორი ფიცრისაგან გაკეთებული წვეტკუთხოვნად გამარ-
თული კბილა ედგა. ორივე შემთხვევაში *binæ aures*-ი ქუსლზე დამატებული
ელემენტის სახითაა წარმოდგენილი. ჩვენი სახენელი იარაღის ყურები კი დამა-
ტების სახით როდია მოცემული, არამედ ყურები ქუსლის ბოლოშია მოქცე-
ული და ქუსლთან ერთად მთლიანი ხისგანაა გამოთლილი. ამასთანავე, ყუ-
რები ქუსლის ტიპის მთლიან სახესთან არის დაკავშირებული და ამდენად,
უთუოდ, ქუსლის შინაგანი განვითარების შედეგია. აქ სახენელი იარაღის კონ-
სტრუქციული და ფუნქციონალური ნაკლი დაძლეულია ამავე იარაღში მოცე-
მული ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით. ამას ნათელჰყოფს ჩვენში
დამოწმებული სახენელი იარაღების ყურების მეტად მდიდარი სახეობა¹⁵.

ამიტომ, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ქართული სახენელი იარაღების
ყურებს და მათ შორის მესხური არონას ყურებს კავშირი არა აქვს რომაულ
სახენელ იარაღთან. ამდენად, არც რომაულ ყურებთან სახენელს უნდა ჰქონდეს
კავშირი ქართული გუთნის ფრთის გაჩენასთან, თუნდაც არონას მეშვეობით
ქართული გუთნის ფრთის გაჩენის წინა საფეხური რაჭული სახენელის ფარფ-
ლიანი ქუსლია. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ
გუთნის ფრთა საქართველოში წარმოშობილა და აქედან გავრცელებულა სხვა
ქვეყნებში.

რაჭული ფარფლიანი სახენელი, როგორც სახენელი იარაღების გარკვეუ-
ლი სახე, ეკუთვნის სახენელი იარაღების იმ ძირითად ტიპს, რომელიც შექმ-
ნილია წინა აზიაში და ეკუთვნის წინა აზიის უძველეს კულტურულ მოსახლე-
ობას, მის უძველეს აბორიგენებს, ქართველების წინაპრებს.

ამგვარად, ყველა ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

1. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი ქართული სახენელი იარა-
ღების ქუსლების შინაგანი განვითარების გზითაა მიღებული.
2. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი უძველესი სახენელების მარ-
ტივი კონსტრუქციის ფარგლებში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც რთული
სახენელი იარაღი, გუთანი, თავისი ფრთით.
3. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლის პროტოტიპებია: მესხური
ჯილდის, ზნაკური სახენელის, მეგრული და გურული კავისა და აჭარული
ჯილდის ქუსლები.
4. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი გუთნის ფრთის წინამორბე-
დია. რაჭული სახენელის ფარფლიანი (ოვალური) ქუსლი რამდენიმე საუკუნით
წინ უსწრებს ევროპული სახენელი იარაღის შედარებით ახალ შენაძენს, ოკა-
ლურ ფრთას.

15 საერთო წესს ქართველი ტომების სახენელი იარაღების ყურების შესახებ თითქოს
ერთი შემთხვევა არღვევს. ეს შემთხვევა ჩვენ გვაქვს აჭარული ჯილდის ერთ ქვესახეში: აქ
ქუსლზე ყურები დამატებულია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს დამატება მაინც ქუსლის ბო-
ლოშია მოქცეული.



კოლხური სამკალი იარაღი — შ ნ ა კ ვ ი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში მრავალ სასოფლო-სამეურნეო იარაღს შორის დაცულია თავისებური სამკალი იარაღი, რომელიც შექმნილია 1934 წელს ლეჩხუმში (სოფ. გორდი).

იგი შედგება ორი, თითისტარის სისქისა და თითოეული 50 სმ სიგრძის ჯოხისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ერთ თავში გადაბმულია მოძრავად. ეს მარტივი ხელსაწყო თავისუფალ ბოლოებში იშლება და თავბავეები შეიკრიბება ჯოხის გასწვრივ ხელის მოჭერით, შემდეგ ოდნავ გვერდზე გადაწვენით თავთავი ძირში ტყდება და ცვივა აქვე დადგმულ კალათში. ეს იარაღი განკუთვნილია ისეთი პურეული ჯიშების მოსამკალ-მოსაკრეფად, როგორიცაა მ ა ხ ა .

1934 წლის შემდეგ ასეთი სამკალი იარაღი იმავე ლეჩხუმში რამდენიმე იქნა შექმნილი, რომელთაგან ზოგიერთი გადაეცა იმავე განყოფილებას, ხოლო ორი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული.

ამას გარდა, 1908 წელს ცნობილ ეთნოგრაფს თედო სახოკიას შნაკვი შეუქმნია სამეგრელოში და ლენინგრადის სსრ კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის გადაუცია იმავე წელს. ეს ეგზემპლარი ამჟამად ამ მუზეუმშია დაცული და ექსპონირებულია იქვე საქართველოს ეთნოგრაფიულ გამოფენაზე.

სპეციალურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ამგვარი იარაღი დამოწმებული არ არის. ოღონდ ცნობილ მკვლევარს ნ. ვავილოვს მითითებული აქვს ესპანეთში, ასტურიაში, შნაკვის მავგარი იარაღის არსებობა, რომელსაც ასლის ჯიშის პურეულის საკრეფად იყენებენ¹. ამ იარაღს ასტურიაში ეწოდება mesories (შდრ. ლათ. messor, meto).

ის გარემოება, რომ შნაკვი იშვიათი სამკალ-საკრეფი იარაღია და დაკავშირებულია ისეთ ძველთაძველი პურეულის ჯიშთან როგორიცაა მახა, მისდამი ინტერესს აღვივებს და მის გამოკვლევას აქტუალურს ხდის.

როგორც გარკვეულია. მსოფლიოში გავრცელებული 16 სახის ხორბლიდან (თავისი მრავალი ქვესახეებით) 12 სახე საქართველოშია დადასტურებული. ბევრი მათგანი საქართველოსთვის ენდემურია. აქვეა შემონახული კულტურული ხორბლის ევოლუციის ინიციალური, პირველადი ფორმები.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველადი ფორმები კოლხეთში, მის მთიან ზოლშია დამოწმებული. ეს ის რეგიონია, რომელიც შედის წინააზიის იმ არეში, რომელიც პურის მოშინაურების ერთ-ერთ ცენტრადაა აღიარებული.

ამგვარ პურეულის ჯიშს ეკუთვნის ხორბალი მახა, რომელიც ლათინურ ნომენკლატურაში შესულია Triticum macha Dek. et Men. სახელწოდებით, ხოლო ქართულად აღინიშნება მ ა ხ ა (საბა), ჭანურად მ ო ხ ა (ნ. მარი). ხოლო მეგრულად, ტოპონიმის მიხედვით, აგრეთვე მ ო ხ ა (სოფ. მოხაში).

¹ Н. Вавилов, Мое путешествие в Испанию. „Новый мир“, 1937, кн. 2, 33, 217.

ვლ. მენაბდემ გაარკვია, რომ ხორბლის ეს სახეობა ორმაგი ბუნებრივად მასში მოცემულია, ერთი მხრით, გარეული პურეულის, ხოლო, მეორე მხრით—კულტურული ხორბლის თვისებები. პირველი მათგანის მაჩვენებელია: თავთავის ცვენადობა, ღეროს მტვრევადობა და თვითთესვადობა. მასში წარმოდგენილია აგრეთვე კულტურული პურეულების მიერ შემკვიდრებით მიღებული თვისებები: პოლიპლოიდობა და პოლიგენომობა.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ხორბალი მახა ველური ჯიშისა და კულტურულში გარდამავალი ჯიშისა და ამდენად პურეულის აკულტურაციის პროცესის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი რგოლია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გვარი გარდამავალი ჯიშის პურეული წინააზიის პურეულის მოშინაუბრების არეში, ჩვენამდე მოღწეული სახით, დამოწმებული არ არის. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ზრდის ამ ჯიშის მნიშვნელობას კულტურულ-ისტორიულ-თვალსაზრისით. აქვე უნდა ითქვას, რომ *Triticum*-ების პრიმიტიული ფორმები ნაზი, მტვრევადი ღეროთი ახლო ნათესაობაშია კულტურულ ფორმებთან. მარცვლის გაბნევა მატულობს ღეროს სისუსტის გამო ისე, რომ ეს სისუსტე ამ სახეობათა ველური ხასიათის მაჩვენებელია².

მახას ჯიშის პურეულის სიძველეს ადასტურებს ამ პურეულის მარცვლების აღმოჩენა კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით, ნეოლითის ხანიდან.

ამ ჯიშის სიძველის მაჩვენებელია აგრეთვე სახელი მახას ეტიმოლოგია.

„Маха—Тг. таха—вид пшеницы. Налицо в грузинских диалектах (лечх., рач.). В мегрельском тосча, чанск. тосча. Не исключается реконструкция основы в виде тага (მაგა)—особенно, если иметь в виду наличие материальных параллелизмов в нахско-дагестанских языках, (ср. чеч. — инг. мукх, цезск, махча, дарг. мухчи, арч. маха „ячмень“). Сопоставление принадлежит Кахадзе (ИКЯ, XII, 191—195)“ (Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964).

იმის გამო, რომ მახას ახასიათებს ცვენადობა და ტეხადობა, მას კი არ მკიან ნამგლით, არამედ კრეფენ საგანგებო იარაღით — შნაკვით.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მახასთან თანაარსებობის გამო შნაკვიც უძველესი სამკალი იარაღი უნდა იყოს. მაგრამ, ცხადია, რომ მარტოდ-მარტო ეს საბუთი არ კმარა შნაკვის სიძველის და ასევე კრეფით მკის არქაულობის დასამტკიცებლად.

აქ იბადება, ჩვენდა უნებლიედ, საკითხი სამკალი იარაღის წარმოშობა-განვითარების შესახებ.

ინგლისელი მეცნიერი ფ. სპურელი იმ აზრისაა, რომ მკა თავდაპირველად წარმოიშვა პურეული მცენარის თავთავის მოწყვეტით ან მოჭრით კი არა, არამედ მცენარის ძირფესვიანად ამოგლეჯით. ამ თეორიამ მრავალი მიმდევარი პპოვა მკვლევართა შორის.

მართლაც, ამოგლეჯით მკა დადასტურებულია ბევრგან; ირლანდიაში, შვედიაში, ესტონეთში, კარპატებსა და ცენტრალურ აზიაში. ისტორიული წყაროებიდან მკის ამგვარი მეთოდი დამოწმებული აქვს პლინიუსს.

ჩვენში ამგვარი მკა შემორჩენილი იყო ხევსურეთში, სადაც მას იყენებდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ყანა დაგვალული და ამის გამო დაბალზე იყო ამოსული, ან კიდევ ხრიოკ ადგილზე იყო მოწეული, სადაც ყანა ასევე დაბალია და ნამგლით მკა არ ხერხდებოდა.

² A tel. Steensberg. Ancient Harvesting Implement, Kobenhavn, 1943, გვ. 1

ამ თეორიის სასარგებლოდ შეიძლება ისიც ლაპარაკობდეს, რომ ნ. ვავილოვმა და მისმა მოწაფეებმა დაადგინეს — მარცვლეულის მოყვანა პირველად დაიწყო არა ნაყოფიერ და წყლით უხვ მიწებზე, როგორცაა ეგვიპტე და ბაბილონი, არამედ მთიან ქვეყნებში: აბისინიაში, მახლობელ აღმოსავლეთში და ცენტრალურ აზიაში. ასეთ ქვეყნებს ეკუთვნის კოლხეთის მთის ზოლი, კეიქოღი, ლეჩხუმი და რაჭა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ადრეული პურეულები უნდა ყოფილიყო ზედაპირულ-ფესვიანი და მოკლედეროიანი.

საინტერესო დაკვირვებებია ჩატარებული ბიოლოგების მიერ მარცვლეულის უძველესი ჯიშის ღეროს სიმაგრისა და თავთავების ბუნების შესახებ. მარცვლეულების ჯიშებიდან ყველაზე უფრო ზნექადი ღერო ქერსა აქვს.

ა. ორლოვის მონაცემების მიხედვით, რომელმაც კვლევა-ძიება ჩატარა ქერის „წონასწორობის სიმტკიცეზე“, იაპონიაში, ჩინეთში, ცენტრალურ აზიაში, ინდოეთში, სირიაში, არაბეთსა და ეგვიპტეში ქერის ჯიშები უმთავრესად მაგარდეროიანია და მოკლე — 25—60 სმ-მდე, ხოლო სომხეთში, ანატოლიასა და აბისინიაში საშუალოდ 60—80 სმ, აღმოსავლეთ კავკასიაში, სამხრეთ ევროპასა და სკანდინავიაში — 80—115 სმ.

ამავე მონაცემების მიხედვით, დასავლეთ კავკასიაში, კავკასიის მთიანეთსა და ჩრდილო ევროპაში ქერი რბილდეროიანია და საშუალო სიმაღლის.

აქსელ სტენსბერგი, რომელიც განიხილავს ორლოვის მონაცემებს, ასკვნის, რომ მაღალდეროიანი ქერი ეკუთვნის იმ რაიონებს, რომელთა მცენარეულებს აქვთ უფრო მეტი გენები (მღრ. ვავილოვის გენების ცენტრების რუქა).

აგრეთვე შემჩნეულია, რომ ქერის, ჭვავისა და ხორბლის მარცვლის გაბნევა მატულობს, რაც უფრო სუსტია მისი ღერო, ამასთანავე ამ ჯიშების მარცვლები უფრო მსუბუქია წონაში, ვიდრე ისინი, რომელთაც მაგარი ღერო და უფრო განვითარებული ფხა გააჩნიათ.

თავისთავად ვასაგებია, რომ კულტივირებული მარცვლის უძველეს ჯაშებს ჰქონდათ ფხა და სუსტი ღერო, მათი მკა ამოგლეჯით ან ფესვთან ახლო მოჭრა არაპრაქტიკული იქნებოდა, რადგან ასეთი ოპერაციის დროს მარცვლები დაიკარგებოდა. ამას ისიც უნდა დავმატოვო, რომ პურის ფხას (ბუსუსებს) მიდრეკილება აქვთ მოებლაუჭოს ყველაფერს, რასაც კი მისწვდება, ამის გამო ცვენადობა კიდევ უფრო იზრდება. ამიტომ რაციონალური იქნებოდა დანით (კაყის) ღეროს მოჭრა თავთავის ძირში, რომელიც რაიმე სახის ჭურჭელში უნდა დაგროვდეს, როგორც ხდება ბრინჯის ალების დროს ზოგიერთ ქვეყანაში.

ამოგლეჯის თეორიის საწინააღმდეგოდ ისიც ლაპარაკობს, რომ მარცვლის პირველმა მომყვანმა დაიწყო პურეულის კულტივირება მარცვლისათვის და არა ჩალისათვის. ცნობილია, რომ საქონლის ზამთრის საკვების პრობლემა თანდათანობით გახდა აუცილებელი რკინის ხანის დასაწყისიდან.

უამრავი მაგალითია იმისა, რომ თავთავი და ნამჯა იმეგბოდა ცალ-ცალკე. სათანადო მასალა ცნობილია ეგვიპტიდან, ბაბილონიდან, პალესტინიდან, სტრაბონი, დიოდორე სანდო მასალას იძლევიან რომიდან, გალიიდან, ბრიტანეთიდან. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ჩალას მოსახლეობა იყენებდა ნაგებობის სახურავად, პირუტყვის საკვებად და საშენ მასალაში მასარევედ.



არქეოლოგიური მასალები მოწმობენ სამკალ იარაღებს: ნეოლითის ხანი-სათვის კაყის დანას უტაროს, ნახევრად წრიული კაყის დანას, კაყის დანას წვეტიანი ტარით (ფაიუმი, კაჩანოვი), კაყის ნამგალს ერთიანი ნაჭრისგან, შედგენილ კაყიან ნახევრადმთვარისებურ ნამგალს (სულფერინო)³ და თიხის ნამგალს (ბაბილონი)⁴.

საქართველოში კაყის ნამგლის ჩასართავები ცნობილია ძვ. წ. V—IV ათასწლეულიდან. რამდენადაც ჩანს, უძველესი შედგენილობიანი ნამგალი სწორი არაკბილული სამუშაო პირით ხასიათდებოდა. ამას მოწმობს არახლოს და აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სამოსახლოებზე აღმოჩენილი ობსიდიანის დიდი და პატარა ფირფიტები. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ამავე დროს ხმარებაში ყოფილიყო მორკალული ნამგალიც, რომლის ხის ბუდეში კუთხეამოწეული ფირფიტები იჭდა (კბილანების მქონე). ყანის სამკალად ასეთი იარაღის დაშვების შესაძლებლობას იძლევა დასავლეთ აზერბაიჯანის ძვ. წ. IV ათასწლეულის შობე-თეფეს ჩარჩოში ჩასმული და ბიტუმით დამაგრებული კბილანები⁵. მსგავსი იარაღი აღმოჩენილია ტრიროლიეს უძველეს ფენებში⁶.

საქართველოში, პირიანი, ერთიმეორის მიყოლებით ჩასმული ხის ან ძვლის (ქვედა ყბის) ბუდეში კაყის ან ობსიდიანის ჩასართავები ჩნდება ადრეულ ბრინჯაოს კულტურაში (ძვ. წ. III ათასწლეული). ირკვევა, რომ ამ დროდანვე უკვე ხდება თითოეული ფირფიტის ცალკე დამუშავება.

ძნელია ითქვას, რამდენი ფირფიტისაგან შედგებოდა ნამგლის პირი, რომლის წვერში საგანგებოდ უკვე წვეტიანი ფირფიტაც ისმებოდა⁷. ამათგან ყველაზე ადრეული ჩანს კვადრატულ-სწორკუთხოვანი ფირფიტები (აბელა, დიხაგუძება). შიდა ქართლში ქვაცხელების მეოთხე ფენაში (ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი) გვხვდება ორნაწილიანი, ორი ფირფიტისაგან შედგენილი ნამგლები, რომელთაგან ერთ-ერთს აგრეთვე შევიწროებული წვეტი აქვს⁸.

შუა ბრინჯაოს კულტურის (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) სამოსახლოები აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ შეუსწავლელია და ამიტომ ამ დროის სამეურნეო იარაღების შესახებ მსჯელობა შეუძლებელია.

დასავლეთ საქართველოში ცნობილია ნაოხვამუს ტიპის სამოსახლოებიდან მომდინარე კაყის დიდი ზომის, შედარებით ღრმად ამოღებული (მაღალკბილიანი) ჩასართავები, რომელთა თარიღი დასაზუსტებელია ახალი მასალების შუქზე.

³ ერთ დროს, შედგენილი კაყიანი ნამგლის სამკალად გამოყენების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო ეჭვი. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიჩვენა, რომ კაყის პირებზე შემორჩენია პურეულის ღეროში არსებული სილიკატები, დაეკეება მოხსნილია.

⁴ Axel Steensberg, დასახ. ნაშრომი.

⁵ Н. Б. Нариманов, Древнейшие серпы Азербайджана, „Советская Археология“, № 3, 1964, გვ. 282.

⁶ Е. Н. Библиков, Из истории серпов на юго-востоке Европы, СА № 3, 1962, გვ. 6.

⁷ ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბილისი, 1963.

⁸ ალ. ჯავახიშვილი, ლ. დლოტი, ურბნისი, I, თბ., 1962.

გვიანი ბრინჯოს ხანა — რკინის ათვისების პერიოდი (ძვ. წ. XIV—XI სს.) ხასიათდება ნაოხვამუსა და თრიალეთში⁹ აღმოჩენილი ტიპის კაყის ნამგლის ჩასართავებით. მათი რაოდენობა თანდთან იზრდება. მოგვიანო ხანის ჩასართავებს უჩნდება ფირფიტის პირს ქვემოთ წიბური¹⁰.

როგორც ვხედავთ, არქეოლოგიური მასალა თავთავის კაყის დანით მოჭრას ვარაუდობს, ხოლო ბიოლოგიური გამოკვლევის მიხედვით თავთავის ტყევა-კრეფაა საგულისხმებელი. ეთნოგრაფიული მონაცემები მხარს უჭერს როგორც პირველს, ისევე მეორეს. რაც შეეხება ამოგლეჯის მეთოდს, არქეოლოგიურად დამოწმებული არ არის, თუმცა ეთნოგრაფიული მონაცემებით კარგად დასტურდება.

კოლხურ შნაკვთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შნაკვი იზოლირებული მოვლენა არ არის საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. გურიასა და სამეგრელოში შ ა ნ კ ვ და შ ა ნ კ ი ს სახელწოდებით შნაკვისმაგვარი იარაღი იხმარება (ფიჭის დაწურვის დროს იყენებენ)¹¹.

კიდევ უფრო მეტად საყურადღებოა, რომ ამგვარსავე იარაღს, ოღონდ არ ტ ა შ ა ნ ი ს სახელწოდებით იყენებდნენ აჭარაში ხ ა ს ი კ უ რ ი ს თავთავის საკრეფად ნამგალთან და ხის დანასთან ერთად. ნ. კახიძის ცნობით, იგი წარმოადგენდა 1—1,5 მტკაველი სიგრძის ორ ჯოხს, რომლებიც ერთ თავში ბოლოებით იყო გადაბმული; მზადდებოდა წაბლის, წიფლის, ცხემლის ან ნაძვის ხისგან. მსგავს არტაშანს, მაგრამ უფრო დიდს, ახლაც იყენებენ ცოცხის შესაკრავად, თავლისა და სანთლის დაწურვის დროს¹²; გამოიყენება იგი „ხმელეთის“ ბრინჯის საკრეფადაც.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლუმელას (mergae) და პლინიუსის (pecten) მიერ დასახელებული დღემდე გაურკვეველი იარაღები შნაკვის ჯურა იარაღებია. პირველი მათგანი აღნიშნავს ორთითს, ორკაპს, ხოლო მეორე — ფარცხს, საურველს. ეტყობა, ამ ავტორების დროს შნაკვის ძველი სახელწოდება უკვე დავიწყებული იყო ანტიკურ სამყაროში. რაც შეეხება ქართული შნაკვის დაკავშირებას აქადურ sanaku-სთან, საჭიროებს შემოწმებას¹³. ყოველ შემთხვევაში, ყველა მონაცემის მიხედვით თავთავის კრეფა შნაკვით ერთ-ერთი ძველი მეთოდია.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ შნაკვით კრეფა შემოვიდა თავთავის ხელით მოწყვეტის მაგიერ, ხოლო ამას შემდეგში მოჰყვა მცენარის მოგლეჯა და მოჭრა¹⁴.

აქსელ სტეენსბერგის მიხედვით, ეს ახალი, დღემდე უცნობი (შნაკვით კრეფა) მეთოდი წარმოადგენს ამოგლეჯის შემდგომ საფეხურს მკის განვითარების პროცესში.

როგორადაც არ უნდა იყოს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგარდრო-იანი პურეულის შემთხვევაში ამ კულტურის მომკა სამკალი კაყიანი დანით პრაქტიკულად სავსებით გამართლებულია. ამასთან დაკავშირებით გასათვა-

⁹ Б. К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, ტბ. XLIV—XLV (ზეშტაშენიდან—საფარ-ხარაბას ვახუ). შტრ. Б. К у ф т и н. К проблеме энеолита Внутрен. Картли и Юго-Осетии. საქართ. სახ. მუზეუმის შთაბე, ტ. XIV, 1949, გვ. 17.

¹⁰ არქეოლოგიური ცნობები მოგვაწოდა ტ. ჩუბინიშვილმა.

¹¹ ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 100.

¹² ნ. კახიძე, ცნობები მაჭახლის ხეობიდან (აჭარა).

¹³ არის მოსაზრება (ეთნოგრაფი ჯ. თნიანი), რომ შნაკვი სვანური სიტყვაა: შინაკვი — ხელეური, ხელჩაბლუჯული.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ. 1934.

ლისწინებელია ისიც, რომ როგორც ჩატარებული კვლევა-ძიება გვიჩვენებს, მაგარდეროიანი პურეული ძნელად შესათავსებელია ხშირ ნათესობასთან და ადრე დამწიფებასთან.

ამდენად, სავსებით გამართლებულია რბილდეროიანი პურეულის კრეფა თუ ტეხვა სათანადო საშუალებებით, ჩვენს შემთხვევაში, შნაკვით. ისიც უნდა ითქვას, რომ შნაკვის გამოყენება ვარაუდობს ადამიანის მიერ ხშირი თესვის სისტემაზე გადასვლას და მიწის მთხრელი კეტის ნაცვლად ქარჩის გამოყენებას, რაც მემინდვრობის დარგში წინ წადგმული ნაბიჯი იყო და მემინდვრობის განვითარებაში ახალ საფეხურს წარმოადგენდა.

1969 წ.

მთიულური ქიბორჯი

მთიულური ქიბორჯის საკითხი დაკავშირებულია სახვნელების ისტორიასთან. სახვნელი იარაღების პრობლემა დიდი ხანია დგას სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ იგი საბოლოო გადაწყვეტას ვერ პოულობს რიგი დაბრკოლებების გამო. კონცეპციები, დაკავშირებული იარაღების წარმოშობასა და განვითარებასთან, ფაქტიური მონაცემების სიმციროს გამო უმეტეს შემთხვევაში დამყარებულია სქემატურ მსჯელობასა და სილოგისტურ მტკიცებაზე. არსებობს რამდენიმე სქემა, დამყარებული ამგვარ მსჯელობაზე¹, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა იარაღების განვითარების ისტორია, ხოლო ფაქტიური მონაცემები, რომლებითაც შეიძლება გამართლდეს ეს სქემები, არ არსებობენ.

სამეცნიერო ლიტერატურა იცნობს სახვნელი იარაღების შესახებ საწდო მონაცემებს მხოლოდ რამდენიმე ეპოქისათვის, ხოლო ბევრ შემთხვევაში არსებობს შეუვსებელი ხარვეზი, რომლის დამახასიათებელი ტიპების დადგენა პირობით ხასიათს ატარებს. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტიურ მონაცემებს ყოველთვის არ ახლავს საჭირო სიზუსტე და ამის გამო ასეთ არაზუსტ მონაცემებზე დამყარებული დასკვნა მხოლოდ პირობითი მნიშვნელობისა შეიძლება იყოს. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი: ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ სახნისი, როგორც სახვნელი იარაღის ნაწილი, უნდა არსებულებოდა 3000 წლის წინათ ძველი წ. ა. ამ აზრის ავტორი თავის დებულებას იმაზე ამყარებდა, რომ სუმერულ ტექსტებში მოხსენიებულია საწყობი, საიდანაც ხდებოდა სახვნელი იარაღების გაცემა. იმავე ტექსტებში ამასთან ერთად დასახელებულია ლითონის რაღაც იარაღი. ავტორის ვარაუდით, ეს რკინის იარაღი სახნისი უნდა ყოფილიყო. ეს ფრთხილად გამოთქმული აზრი სხვა მკვლევრებმა გააფართოეს და კატეგორიულ მტკიცებად აქციეს, ვინაიდან ისინი ასკვნიან, რომ 3000 წლის წინათ ჩვ. წელთაღრიცხვამდე ლითონის სახნისი, როგორც სახვნელი იარაღის გარკვეული სახის კომპონენტი, უკვე არსებობდა.

რა თქმა უნდა, ამგვარი მსჯელობა მოკლებულია სიზუსტეს და შეცდომაზეა დამყარებული. ამიტომ ძირითადი პირობა სახვნელი იარაღების განვითარების დასადგენად მდგომარეობს იმაში, რომ მკვლევარი ამოდიოდეს ზუსტი,

¹ K. R a u, Geschichte des Pfluges, Heidelberg, 1845; F. N o p e s a, Zur Genese der primitiven Pflugtypen, Z. F. Ethn., 51, 1919; G. M o n t a n d o n Ologénese coulturelle, Paris, 1930; P. L e s e r, Entstehung und Verbreitung des Pflug, Münster, 1931; E. C. C u r w e n, Prehistoric Farming of Europe and the Neare East: I flough and Pasture, New-York, 1953.

სანდო მონაცემებიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც განვითარების სქემის დასადგენად პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება, გამოყენებული უნდა იქნეს ის მონაცემები, რომლებიც სახენელ იარაღთან, მისი მუშაობის პროცესთან თანაარსებული მოვლენები არიან. ერთს ასეთს, სახენელ იარაღთან დაკავშირებულს, მის გარკვეულ სახეობასთან თანაარსებულ საგანს მთიულური ქიბორჯი წარმოადგენს.

დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საგანს ყურადღება არ ექცეოდა. უკეთ რომ ვთქვათ, ის აღნიშნული არც ყოფილა. რატომღაც სპეციალისტებს, სახენელი იარაღების მკვლევრებს, მისთვის ყურადღება არასოდეს მიუქცევიათ და არ გაუხდიათ თავიანთი შესწავლის ობიექტად. ლეზერის დიდ მონოგრაფიაში „Entstehung und Verbreitung des Pfluges“, რომელშიც თავმოყრილია ყველა დროის, ხალხისა და ქვეყნის სახენელი იარაღების შესახებ არსებული ცნობები, ქიბორჯისა და ქიბორჯის მსგავსი საგნის შესახებ არაფერი არაა ნათქვამი. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას არა მარტო ფაქტიური მონაცემების ლიტერატურაში არარსებობით, არამედ უფრო მეტად იმით, რომ ავტორები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სახენელ იარაღთან თანაარსებულ მომენტებს.

„დაბადების“ მსაჯულთა წიგნის 3,31-ში მოხსენიებულია ანათობის-ქე სამგარი, რომელმაც «... მოსრნა უცხო თესლი ექუსასი კაცი საკვეთილითა ერქუნისათა საცენელისა ვართათა და იცსნა ისრაელ, მანცა»². აქ ქართულად გადმოცემული სახელწოდება — „საკვეთილითა ერქუნისათა საცენელისა ვართათა“ ებრაულ „დაბადებაში“ იწოდება „მალმედ“, ბერძნულში „εμμεισ“, გერმანულში „Ochsenstecken“, ხოლო რუსულში „волоный рожен“. ამ საგნის ებრაული, გერმანული და რუსული სახელები გამოხატავენ მისივე ფუნქციასა და დანიშნულებას, რომ იგი წარმოადგენდა ხვნის დროს ხარების გასარეკ, გასალაღავ კეტს ანუ სახრეს, რომლის ანალოგები მრავლად მოგვეპოვება ძველ მესოპოტამიურ და ძველ ეგვიპტურ ძეგლებზე გამოსახული ხვნის პროცესების კომპლექსში³. ამას გარდა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ებრაული „მალმედ“ უნდა ყოფილიყო წაწვეტებული ჯოხი, რომელსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ პალესტინის თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ სახრე-კეტის სახეობას, ლითონის წვერი უნდა ჰქონოდა⁴. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სახრე-კეტი და ქიბორჯი, მიუხედავად იმისა, რომ ორივენი სახენელ იარაღთან არიან დაკავშირებულნი, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და სხვადასხვა დანიშნულება აქვთ.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა ქიბორჯი მოხსენიებულია სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში და შემდეგნაირადაა განმარტებული: „... ზომიერი ისარი ფრთემობრტყე და პირმობრტყე არს სარჩა; მისგან უგრძესი პირდიდი და ფრთებმალალი არს ქეიბური; ისარი სარჩის მსგავსი და პირგანპებული, მომცრო, არს ქიბორჯი“⁵. ქიბორჯის

² „დაბადება“, ტფ., 1884.

³ Ward, Ceser, Hahn.

⁴ H. Guthe, Die Kurze Bibelwörterbuch, Bri. 1900, შტრ. სახრე XIV საუკუნის მონიატურაზე, აგრეთვე ტრაპიზონის ტაძრის კედლის ქვაზე.

⁵ ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928.

მსგავსი რკინის ისრისპირები, ჩამოტანილი სვანეთიდან, დატულია საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში (კოლ. № 00—36/3).

მთიულეთში ქიბორჯი გვხვდება მეორე სახელწოდებითაც ქიბოჯაი. ამ იარაღის არსებობა მთიულეთის რიგ სოფლებშია დადასტურებული. მაგალითად, სოფ. წყერეში, მულურეში, კიტოხში, იუხოსა და სხვ. ერთი ქიბორჯი, შექმნილი სოფ. წინამგარში, ჩამოტანილია და ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში (კოლ. № 0—31/1—3). ეს ქიბორჯი შვინდის ხისაა, სიგრძეა 150 სმ, თავისა და ბოლოს სისქე 3 სმ; კეტი ბოლოში ორკაპაა, თითოეული კაპის სიგრძეა 3 მ. ჩვეულებრივად ქიბორჯი მზადდება მაგარი ხისაგან (იფნი, ვაშლი, შვინდი და სხვ.). იგი იხმარება ხენის დროს. მეხრე გუთნის თავს წერწენას დააწვება ქიბორჯის ორკაპით და მით არეგულირებს ხენის პროცესს.

ქიბორჯი იხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსახლავი მამული გამოგვალულია ან მოსახლავი მიწაზე ბილიკები და შარავზებია, როდესაც მამული კლდინია, როდესაც მამული ბუხნარია, ე. ი. გამაგრებული, თავის დროზე მოუხნავი, ან მამული ყამირია და ბოლოს, როდესაც ხარები მოკლედ უნდა იქნენ შებმულნი გუთანში.

ხმარების პროცესში ქიბორჯის ორკაპს წეწენაზე გამობმულ თავწნელთან ერთად გაუყრიან პატარა წნელის გურგალს — კაპს, რომელიც გურგალს მოედება, რომ ქიბორჯი არ გაცურდეს გუთნის თავიდან.

ამგვარად, დასტურდება შენდები მნიშვნელოვანი მოვლენა: ქიბორჯი იხმარება ისეთ სახვნელ იარაღთან, რომელსაც ახასიათებს მოკლე მხარი. მეორე მხრით, ქიბორჯი ამ სახვნელ იარაღთან იხმარება ისეთ პირობებში, როდესაც სახლავი ობიექტი — მიწა მოხვნის თვალსაზრისით გარკვეულ სიძნელეებს შეიცავს.

ის გარემოება, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოკლე მხრის მქონე სახვნელ იარაღთან, საკითხს სვამს ამ იარაღის გავრცელების არეების შესახებ საქართველოს ეთნოგრაფიულ პირობებში.

ბოლო ხანებში მოკლემხრიანი სახვნელი იარაღი გავრცელებული იყო მთის ზოლში, სადაც მოსახლეობენ სვანები, რაჭველები, მთიულები და ფშავლები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთში სახვნელი იარაღის ეს ტიპი სპორადულ ხასიათს ატარებს, იმ დროს, როდესაც რაჭა-ლეჩხუმსა და მთიულეთ-გუდამაყარ-ფშავში მასიურად გვხვდება. ამასთანავე, სახვნელი იარაღის ეს სახეობა ჩვენ მოგვეპოვება ქსნის ხეობის მთიან ზოლშიც. გარდა ამისა, მოკლემხრიანი სახვნელი იარაღი აგრეთვე უკლებლივ გვხვდება ისეთ კომპლექსურ სახვნელ იარაღში, როგორცაა ფამფალაკიანი სახვნელები; ჯილბაგოგორა და გუთანი.

ეს ორი უკანასკნელი სახვნელი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ ნაწილებში: ქართლში, კახეთსა და მესხეთში, დასავლეთ საქართველოში ის იხმარებოდა იმერეთის ზემო ნაწილში. ამას გარდა, კომპლექსური გუთანი სავარაუდოდელია სამეგრელოში (XVII საუკუნე), რამდენადაც შესაძლებელია ამის შესახებ ვიქონიოთ წარმოდგენა ქრისტეფორე კატილის ალბომში დაცული სახვნელი იარაღის სურათის მიხედვით.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მოკლემხრიანი სახვნელი ჩვენ მოგვეპოვება ე. წ. ზეგანის სახვნელი იარაღის ტიპშიც, კერძოდ, ზემობოლის სახვნელ

იარაღში⁶. ამ გუთანს ახასიათებს ხელნაში გაყრილი მოკლე მხარი, ორკაპა ხელნა, ქუსლი, ხმალა, სახნისი, საკვეთელი და წერწენა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სახენელ იარაღს ფამფალაკი არ გააჩნია, მასში ოთხი, ხუთი და ექვსი უღელი ხარი შეიბმის ხოლმე. თავისი ძირითადი მონაცემების მიხედვით ზემოთხსენებულ ორხელა სახენელი იარაღი ბარულ გუთანში გადასვლის მათწყებელი ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს.

მთიულეთში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის შედეგად დადგენილია, რომ აქ სახენელი იარაღის ორი ძირითადი სახე გვაქვს. ორივე სახეობისათვის დამახასიათებელი ელემენტია მხარის სიგრძე-სიმაკლე, პირველი ტიპის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მეორე ტიპისაგან მდგომარეობს მასში, რომ ერთ მათგანს ახასიათებს მოხრილი მხარი, რომელიც ქუსლშია ჩამჯდარი, ხოლო მეორეს — სწორი მხარი, რომლის ბოლო ხელნაშია გაყრილი.

აქაურთა გადმოცემების მიხედვით, პირველ ტიპს ეწოდება ქართული სახენელი, ხოლო მეორეს — ფშაური (ორხელა).

ამგვარად, როგორც ქართული, ისე ფშაური სახენელი იარაღებისათვის განმასხვავებელი ელემენტებიდან, ერთის მხრით, მოკალე და, მეორეს მხრით, სწორი მხარია დადასტურებული.

გარდა ამისა, ფშაურ სახენელ იარაღს ქართულისაგან ასხვავებს ხმალა, რაც ქართულ სახენელ იარაღს არ გააჩნია. ეს უკანასკნელი გარემოება სვაჰს საკითხს სახენელი იარაღის ამ ტიპის წარმოშობის შესახებ, რომელსაც ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფშაური სახენელი იარაღი ეწოდება, ხოლო ზოგად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია vierseitige Pflug სახელწოდებით⁷.

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია ის აზრი, რომ სახენელი იარაღის ეს სახეობა თავისი ძირითადი მონაცემების მიხედვით გავრცელებულია, ერთი მხრით, შუაგულ ევროპასა და, მეორე მხრით, აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში. რაც შეეხება კავკასიას, დას. ევროპის მკვლევრები ამ ტიპის გავრცელების არედა მიიჩნევენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას.

კიდევ მეტი, ლეზერის მტკიცებით, სახენელი იარაღის ეს ტიპი ადრე გავრცელებული იყო მთელს კავკასიაში და შემდეგში იგი განდევნა კავკასიის გარკვეული ნაწილებიდან სამხრეთიდან შემოჭრილმა სახენელმა იარაღმა, რომელსაც ახასიათებს მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მხარი.

ამ მტკიცებასთან ერთად ლეზერი აღიარებს, რომ სახენელი იარაღის ეს ტიპი შეიძლება წარმოშობილიყო ან საშუალო ევროპაში, ან უკიდურეს აღმოსავლეთში, ვინაიდან, ლეზერის შეხედულების მიხედვით, საკითხს წარმოშობის შესახებ წყვეტს ამ იარაღის გავრცელების მასიურობა და, ამდენად, მისი წარმოშობა სხვა მხარეში დაუშვებელია⁸.

ლეზერი თვლის, რომ ამ სახენელი იარაღის წარმოშობის ორივე შემთხვევაში, იქნება ეს საშუალო ევროპა, თუ უკიდურესი აღმოსავლეთი, მას ამ სახენელ იარაღს, თავისი მოძრაობისას დასავლეთიდან აღმოსავლეთში თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთში აუცილებლად უნდა გაევილო კავკასიის ტერიტორია.

⁶ გ. ჩიტაია, ქსნური შთის გუთანის, ენიმკის მოამბე, ტ. 5—6.
⁷ Г. Ч и т а я. Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, ВЭК, Тбилиси, 1952.
⁸ Leser, დასახ. ნაშრომი

ლეზერის შეხედულება მიუღებელია, რამდენადაც იგი არსებითად მცდარია. საქმე იმაშია, რომ ამ სახენელი იარაღის ტიპის გავრცელებისათვის შუა ევროპიდან აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში, ან, პირუტყუ, აზიის უკიდურესი აღმოსავლეთიდან შუა ევროპაში სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო საჭირო კავკასიაზე გავლა, რამდენადაც შუა ევროპას უკიდურეს აღმოსავლეთთან აკავშირებს ცნობილი ტრამალეების კორიდორი. ეს კორიდორი კარბატებთან იწყება და აღწევს ჩინეთის ტერიტორიას. კარგად ცნობილია, რომ ამ გზით წინაისტორიულ ხანაში გადადიოდა ფლორისა და ფაუნის მრავალი სახეობა, ხოლო ისტორიულ ხანებში ამ გზით გაუვლია მრავალ არმიას, ხალხს და ამ გზითვე გავრცელებულა კულტურის მრავალი ელემენტი. ამიტომ სავესებით ბუნებრივი იქნებოდა, უკეთეს დაფუძნებით ლეზერის შეხედულება, ამ სახენელი იარაღის ან შუა ევროპაში, ან უკიდურეს აღმოსავლეთში წარმოშობის შესახებ, გვეფიქრა, რომ ეს იარაღი უნდა გავრცელებულიყო ხსენებული ტრამალეების კორიდორზე გავლით და არა შემოვლის გზით.

ის გარემოება, რომ ლეზერს თავისი მტკიცებისათვის ესაჭიროება შემოვლითი გზის გამოყენება, საკითხს აყენებს მისი ძირითადი დებულების დამაჯერებლობისა და მისი მეთოდის სისწორის შესახებ.

საკითხის ჯეროვნად გაშუქებისათვის, ჩვენი შეხედულებით, მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს სახენელ იარაღთან დაკავშირებული ქიბორჯი. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქიბორჯი ისეთ სახენელ იარაღთანაა დაკავშირებული, რომელიც გამძლე და ღონიერი იარაღია და რომელიც იხმარება მძიმე მიწის დასამუშავებლად, ხოლო განსაკუთრებით კი ისეთი მძიმე მიწის დასამუშავებლად, რომელიც მთის ზოლშია მოცემული და, ამდენად, მთის ზოლის რელიეფთანაც არის დაკავშირებული.

იმისათვის, რომ ქართველ მთიელებს შესაძლებლობა მისცემოდათ ასეთ მძიმე პირობებში ეწარმოებინათ მუშაობა, მათ გამოიმუშავეს თავიანთ სამეურნეო პირობებთან შეფარდებით სახენელი იარაღის ორი სახეობა. ხელნებას მიხედვით ერთ მათგანს ეწოდება ორხელა, ხოლო მეორეს — ვერქვანა. ორხელა ეწოდება ისეთ სახენელ იარაღს, რომელსაც ორად განტოტებული ხელნა აქვს და ამასთანავე მხარი მოკლეა. ეს სახენელი იარაღი განკუთვნილია მძიმე მიწების დასამუშავებლად. ორხელა იარაღს ორი ქვესახეობა გააჩნია: ერთი მათგანი შედგენილი მხარის სახითაა წარმოდგენილი. თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ მონაცემებს, დაკავშირებულს ამ სახენელ იარაღთან, აღმოჩნდება, რომ უძველეს სუმერულ სახენელ იარაღებში სახენელი იარაღის ეს ქვესახეობა დამოწმებული. მაგალითად, ურის ყველაზე უძველესი სახენელი იარაღის გამოსახულება ადასტურებს, რომ მას მეტად გრძელი ხელნები მოეპოვება და შედგენილი მხარი აქვს.

სავსებით გასაგებია, რომ სახენელი იარაღის ეს სახეობა თავის ხელნას შემწეობით მხენელს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ მოიხმაროს ეს იარაღი მძიმე მიწების დამუშავების დროს.

ამასთანავე, ეს სახენელი იარაღი, მოკლე მხრით წარმოდგენილი, მძიმე მიწების დამუშავების დროს იყენებს არა მარტო თავის ხელნას (ორხელა), არამედ მუშაობის პროცესში მხენელს ანუ გუთნისდელას და მგუთნავს დახმარებას უწევს მეხრე თავისი ქიბორჯის შემწეობით.

მეორე ტიპის სახენელი იარაღი ვერქვანას სახელწოდებით ორხელას ფუნქციებს მოკლებულია, ვინაიდან მისი ხელნა (ვერქვანა) მხოლოდ ერთი ხელის ჩასაჭიდადაა განკუთვნილი, ხოლო მისი მხარი გრძელია და უღელზეა და-

მაგრებული. ამდენად, სახენელი იარაღის ეს სახეობა მოკლებულია იმ გამკლებლობას, რომელიც ახასიათებს ორხელას, და იმ შესაძლებლობებს, სხვადასხვა ნიადაგის დამუშავების დროს, რომელიც ორხელაშია მოცემული, განსაკუთრებით ორხელას იმ ქვესახეობაში, რომელიც მოკლე მხრითაა წარმოდგენილი. აქვე დავძენთ, რომ მთიულეთში შეკრებილი მასალების მიხედვით ორხელა იგივე ფშაური სახენელი იარაღია, ხოლო ვერქვანა // არქვანა ქართული.

ორხელა სახენელი გავრცელებულია, მთიულეთს გარდა, ხევშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგუშეთში საქართველოდან შესული ორხელა სახენელი იარაღის ტიპი იწოდება ქართულ სახენელ იარაღად.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოხსენიებულ მონაცემებს ორხელასა და ვერქვანის შესახებ, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ და ფშაურ სახენელ იარაღს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ქიბორჯი სახენელი იარაღის იმ ტიპის ატრიბუტია, რომელსაც მოკლე მხარი აქვს და მოკლე მხრის კომპლექსში წეწენაცაა მოცემული.

სახენელი იარაღის მხრის სხვადასხვა სახეები, რომლებიც საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არიან დადასტურებულნი, შემდეგ სურათს იძლევიან: ა) გ რ ძ ე ლ ი მ ხ ა რ ი. უნდა აღინიშნოს, რომ გრძელი მხარი საქართველოს სახენელ იარაღებში ყოველთვის უღლამდის მიღწეული და უღელზე დამაგრებული არაა, არამედ წარმოდგენილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გრძელი მხრის თავი ოდნავ დაცილებულია უღლისაგან და მასთან დაკავშირებულია მცირე სიგრძის ღვედით, ისე რომ მხრის თავი ნაწილობრივ თავისუფალია. ბ) შ ე დ გ ე ნ ი ლ ი მ ხ ა რ ი, ორ ნაწილს შეიცავს. ნაწილები ურთიერთთან ხის რიკულებით არიან შეერთებული. მხრის მეორე ნაწილს უ ლ ა მ ი ე წ ო დ ე ბ ა საინგილოსა და მთიულეთში. ც) მ ო კ ლ ე მ ხ ა რ ი. ამ ტიპის მხარი თავისებური სახითაა მოცემული. მას აქვს: ღვლერჭის რგოლი, რკინის რგოლი, ხის ნამატი, ან წეწენა // წერწენა.

სახენელი იარაღების თითოეული აქ დასახელებული მხარი შეფარდებულია ნიადაგის ნაირსახეობასთან და გამოყენებულია უფრო მეტად იქ, სადაც მისი მუშაობის შედეგად მეტი ეფექტია მოსალოდნელი.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოკლემხარიანი სახენელი იარაღი უმეტეს შემთხვევაში მრავალ უღელ ხარკამეჩს საჭიროებს. მოკლე მხარი ჩვენ გვაქვს მოცემული რთულ კომპლექსურ სახენელ იარაღშიც, რომელსაც ქ ა რ თ უ ლ ი გ უ თ ა ნ ი ე წ ო დ ე ბ ა და რომელშიაც შეიბმის 6—12 უღელი ხარკამეჩი და რომელიც შემძლეა გადააბრუნოს ბელტი 50—60 სმ სიღრმისა. მოკლე მხარი მოცემულია აგრეთვე მესხურ ჯილდაგოგორაში, რომელიც აგრეთვე ფამფალაკიანი სახენელი იარაღია, მხოლოდ უფრო და შეიბამს 5—8 უღელ ხარკამეჩს. იგი მოცემულია მთის ზოლის გუთანში, რომელშიც 6 უღელი ხარკამეჩია შებმული და რომელსაც არა აქვს არც ფამფალაკი და არც ფრთა. ამასთანავე იგი ტიპური ორხელა სახენელი იარაღია თავისი კონსტრუქციის მიხედვით. მოკლე მხარი მოცემულია აგრეთვე რაჭულ სახენელ იარაღსა და ქსნურ მთის გუთანში, რომელიც შეიბამს 2—6 უღელ ხარს. უკანასკნელად, მოკლე მხარი მოცემულია მთიულეთში დამოწმებული ფშაური სახენელი იარაღის ტიპში, რომელშიც შეიბმის 2—3 უღელი ხარი.

ზემოთ მოხსენიებული მოკლემხარიანი სახენელი იარაღებიდან, როგორც ვეცით, ქიბორჯი გამოყენებულია მთიულეთის ორხელა სახენელი იარაღის მუშაობის პროცესში.

ზოგიერთ სწავლულს შორის ფესვგადგმული მოსაზრების თანახმად, საქართველოსა და კავკასიის ძველი ტრადიცია მხოლოდ ისაა, რომ იგი წარმოადგენდა დიდი და მცირე ტომების თავშესაფარს, აქ პოულობდა სადგურს მრავალრიცხოვან ხალხთა ნარჩენები, რომლებიც უხსოვარი დროის გამანადგურებელი ომების შედეგად შემოირეკნენ აქ, ისევე როგორც ქარიშხალს შემდეგ ხომალდის ნამსხვრევები ოკეანის სანაპიროზე გაირიყებიან (რიტერი). ამიტომ ისინი ასკვნიდნენ, რომ საქართველო და კავკასია, ბოლოსდაბოლოს, *refugium gentium* და, უკეთეს შემთხვევაში, გასავალი გზაა, რომლითაც მრისხანე მარშით გადადიოდნენ ესა თუ ის ხალხები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მათი მოძრაობის დროს ისინი გადასცემდნენ კულტურულ მონაპოვარს საქართველოსა და კავკასიის ხალხებს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ კულტურულ ღირებულებებს.

ამ ავტორების მოსაზრებით, საქართველო და კავკასია მოკლებულია თავისთავადი ღირებულების მქონე კულტურას და უკეთეს შემთხვევაში იგი გვევლინება მხოლოდ როგორც გადამცემი რგოლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ისინი არ ითვალისწინებენ, რომ საქართველო და კავკასია წარმოადგენს კულტურის უძველეს კერას, სადაც შეიქმნა თავისებური, მისთვის დამახასიათებელი ცივილიზაცია, რომლის ცალკეული ელემენტები სხვა ქვეყნებშიც კი გავრცელდა.

ქიბორჯის კავშირი ორხელა სახენელ იარაღთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. რამდენადაც ორხელა სახენელი იარაღი მოკლემხრიანი სახენელი იარაღის ტიპს ეკუთვნის, ქიბორჯის საჭიროება ამ იარაღის მუშაობის პროცესში ჰპოვებს თავის გამართლებას. ამასთანავე, ცხადია, რომ მოკლე მხარი სახენელი იარაღის კომპლექსში ერთბაშად არ შეიძლებოდა გაჩენილიყო. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ გრძელი მხრის ფორმის ცვალებასთანაა დაკავშირებული მოკლე მხრის წარმოქმნა.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, უმთავრესად მის მთიან ზოლში, დამოწმებულია სახენელის ისეთი მხარი, რომელიც თუმცა გრძელმხრიანი სახენელი იარაღის ტიპს განეკუთვნება, მაგრამ სწორხაზოვანი კი არ არის, არამედ წელში მოხრილია.

ხენის პროცესში, დროდადრო, საჭიროების მიხედვით, მეხრე ამგვარი მხრის წელს ფხვს აჭერს იმ მიზნით, რომ მიეშველოს გუთნის დედას სახენელი იარაღის სამუშაო ნაწილის რეგულაციაში.

ეს ვითარება, უთუოდ, პირველი საფეხურია ამგვარი სახენელი იარაღების განვითარების გზაზე, ერთი მხრივ, სახენელი იარაღის გრძელი მხრიდან მოკლე მხარზე გადასასვლელად, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის ფეხით მუშაობის ნაცვლად ქიბორჯის გამოსაყენებლად.

თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ სწორხაზოვანი გრძელი მხრის წელში მოხრილი მხრით შეცვლამ დაბადა სახენელი იარაღის კომპლექსში ახალი ელემენტების წარმოქმნის საჭიროება. ერთდერთი ახალი ელემენტია ის, რომ გრძელი, წელში მოხრილი მხრისათვის დახრილობის შეცვლამ გამოიწვია მისი გაყრა ხელნაწი, რაც ჩვენ ფშაურ იარაღში გვაქვს მოცემული.

ზემოთ თქმულს უნდა დავძინოთ, რომ მოკლემხრიანი წეწინიანი სახენელი იარაღის წარმოშობა მეგრული ფრჩხილიანი სახენელისა და იმერული ფრჩხილებიანი-გოგორებიანი ანუ აჩაჩა ურმის წინასწარ არსებობას უკავშირდება. მეგრული ფრჩხილიანი სახენელის მხარი დაყრდნობილია ფრჩხილზე, რომლის

ბოლო, ისევე როგორც აჩაჩა ურემში, მიწაზე ეთრევა, ხოლო თავი უღელს-
უერთდება⁹.

ამგვარად, ირკვევა, რომ ფშაური სახენელი იარაღი ქართული სახენელი
იარაღის შინაგანი განვითარების შედეგადაა მიღებული. იგი ადგილობრივად
წარმოშობილი და არა გარედან შემოტანილი. ამ დებულებას, თავის მხრივ,
ამაგრებს მთიულური ქიბორჯი, რომლის სპეციფიკური დანიშნულება ფშაურ
სახენელ იარაღთან დაკავშირებით ზემოთ იყო გარკვეული და რომელიც სხვა
ხალხების იარაღების კომპლექსში არაა დადასტურებული.

1957 წ.

⁹ მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956. გვ. 76.

გ უ თ ა ნ ი

გუთანი ინდუსტრიამდელ საქართველოში გავრცელებული რთული სახვნელი იარაღის ერთ-ერთი სახეობაა, რომლის ფუნქციას შეადგენს ხვნის პროცესში ღრმა და განიერი კვალის გავლება, ბელტის აჭრა, გადაბრუნება და დაფშვნა. გუთნის გამოყენების შედეგად ნიადაგის სტრუქტურა იცვლება, მცენარეულის ფესვები იშლება, გადაბრუნებულ დაფშენილ ბელტზე კარგად მოქმედებს მზის სხივი და წვიმის ცვარი (ტაბ. 24).

გუთანს ახასიათებს ასიმეტრიული აღნაგობა. იგი ცალმხრივი იარაღია, ცალფრთიანი, მართკუთხა სახნისითა და არატოლფერდა თვლებით. მასში ებმის რვა და მეტი ულელი ხარ-კამეჩი. გამოიყენება გრძელი მინდვრების მოსახნავად, ყამირზე, სადაც გადადის ბელტი და სადაც ანეული ითვისება. მისა გამოყენების არეალია შუა და ქვემო ქართლის (გორი, ტირიფონი, მუხრანი, საგურამო, აშურიათი, ქარელი, წითელქალაქი, კოდა, გარდაბანი) ველები, კახეთის, მესხეთ-ჯავახეთის, თრიალეთის ველები, ხოლო დასავლეთ საქართველოში ჭიათურისა და საჩხერის რაიონების მინდვრები. ღრმად მოხვნა — ანეულად, „საყანედ“, „პურად“ ნიადაგს სინესტეს უნარჩუნებდა და ამით გვალვის გავლენას ანელებდა. მცდარია შეხედულება იმის შესახებ, რომ გუთანა მხოლოდ ბარული სახვნელი იარაღია, იგი კარგად მუშაობს ზღვის დონიდან 1800—1900 მ-ის სიმაღლეზე, თუ კი შესაფერისი მინდვრებია მოსახნავად. დიდი მინდვრების; საბატონო დიდი ყანის, „თავი ყანის“ — ხობაზუნების დამუშავების კომპლექსში შედიოდა გარდა გუთნისა, კოოპერაციული შრომა მოღვაში, ანეული, დოლის პური, საბატონო ორმო, დიდი კევრი, თორნე, მრავალკომლიანი დასახლება. ამ სახის მეურნეობასთან დიდი მასშტაბით ხასიათდება სელთან დაკავშირებული ზეთსახდელები დიდი გელაზებით (ქვის ბორბლის d—2 მეტრია), ვაზის დიდი ქვევრები (100 ლიტრის ტევადობით) და „გმირთ ნაკვეთი“ საწნახლები.

გუთნის ნაწილებია: კბილა (თელა, შეიძლება იფანიც); კბილის ძირი სწორი უნდა იყოს, გათლილი. მისი ერთი გვერდი შუაში ჩათლილია. ჩათლილში მიწა გადაუვლის; ხელკუდი, ტოტი, ხელკუდის ნაჩვრეტა, ხმალი (იფანი). ხმლის ჩხირი. საქლეში, კვალის მანჭა (იფანი, შვინდი), კაკაბი, ფრთის კოფო, ველის მანჭა (იფანი, თელა). ფთე

(თელა, წიფელი უკეთესია). უნდა იყოს სიგანით 14 ვერშოკი¹. ხოლო სიგრძით — 1,5 მეტრი. იგი მიწას აბრუნებს და ჩეჩს. რკინის გუთანის მიწას კვალზე აწყობს, ხისა კი—აფხვიერებს. ფთე დაგრებილია (ოვალური). ხის გუთანი თავისი ფთის შემწეობით ბელტს აიკიდებს და გულაღმა გადააგორებს. ფთის დაბმა წნელით უნდა ზემოთა ნაწილში. სახელები, სახნისი (ცალფრთიანი), აქვს საშური (ბუდე), კვალის ცერი (ფთე), წვერი. დამაგრებულია სოლით, ძელაკი (თელა, იფანი) პარალელური სახელია. გუთანს აქვს: გუთნის თავი, გუთნის უღელი, გუთნის ბუდე || უკანა კუდი, ზალტი, ყვავი, უნდა იყოს ერთ ხაზზე გაწევის მიზანში. საკვეთელი: ფხაღერი, ყუა, საკვეთლის დაყენება უნდა ზომიერ. ზომიერ ნიადაგში საკვეთელი სახნისს შეიძლება დაცილდეს 2-5 სანტიმეტრით. თუ გვალვა დიდია, შეიძლება საკვეთელი სახნისის პირისპირ დააყენონ. გუთნით გავლებულმა სამმა კვალმა უნდა გააყეთოს ორი მეტრი, თითო გავლებამზე სახნის-საკვეთელმა უნდა მოჭრას მიწა 50-60 სმ. ჯამბარა გუთნის თავისა, ღვედია (ამზადებენ ხეხუტები). ჯამბარის ჩხირი, ჯამბარის ყური, ფამფალაკი—ღერძი (თელა), კვალის გოგორა: მორგვი (თელა), სოლი (იფანი), დედალ-მამალი ფერსო (თელა), ჭინჭილაკი (იფანი). ველის გოგორა (ნაწილები იგივე აქვს, რაც კვალის გოგორას). ველის გოგორა კვალის გოგორასთან შედარებით მცირეა, ამას ღირღიტასაც ეძახიან. კარგად გამართული გუთნის კვალის სიღრმე უდრის ველისა და კვალის გოგორების დიამეტრის განსხვავებას. კირჩხა || ჩხა, მასზე დაკიდულია ცული, საჯერო და სხვა ხელსაწყო. შოლტყავი, შოლტყავის ბუდე, სოლები, თავჩხირი, უღლები: გუთნის თავის უღელი (მოკლეა): სატაბაკე საქედური, ტაბიკი (შვინდი) აპეური, კორა (ხარების ძალის გასათანასწორებელი), გუთნის ღვედი, გრძელი უღელი, წინა უღელი, საშუალო უღელი, სარეკლის უღელი, საჯდომი უღელი. წინა და გუთნის საძირის უღელში გამოცდილი ხარება უნდა იყოს (ტაბ. 32).

ზემოთქმულს უნდა დავძინოთ, რომ გუთნის სახნისისა და საკვეთელის დამზადებას სჭირდება ოცი კილოგრამი რკინა, ხოლო რვაუღლიანი გუთნული ღვედის დასამზადებლად საჭიროა ოთხი ხარისა და ორი კამეჩის ტყავი, ასევე, ჯამბარას ერთი კამეჩის ტყავი სჭირდება. აპეურები, სამალდი კიდევ სხვაა, ამ იარაღს გამწვევ ძალასთან ერთად გუთნის დედის გარდა, სჭირდება 5 მეჩრე და 1 მჩეკელი. გუთნის მუშაობის პროცესში გუთნისდღეა მიმართულებას აძლევს შეძახილით, თუ კვალისაკენ უნდა წავიდეს გუთანი ზედა, თუ ველისაკენ გაიში.

იმისათვის, რომ გუთანმა ლარვივით იმუშაოს, მისი ნაწილები ურთულთან შეწყობილ-გამართული უნდა იყოს. გუთნისდღემ ანგარიში უნდა გაუწიოს ნიადაგის პირობებს, ასევე, ხარის ძალას და სახველ იარაღს. გუთნის გაწყობა ხერხდება: მანჭიკე ბიდან, ხმალადან და ჯამბარიდან. ამ მიზნით, კარგი გუთნისდღეა წკირებსაც კი იყენებს, რომლებიც მომარაგებული აქვს ქუდის ფარფლებში. მანჭვიდან გუთანი სოლით სწორდება კბილასთან, რომ მუშაობის დროს გუთნის ტანმა კანკალი არ დაიწყოს; ხმალადან— ასევე სოლებით, რომ კბილა და სახნისი ღრმად ან პირად მუშა-

¹ ვერშოკი უდრის დაახლ. 4,4 სმ.

ობდნენ. ჯამბარას დამოკლება-დაგრძელებით გუთანი და აკვალეს ან და-
 ავალეს. გუთნის მრუდე რვილი მიწას მოგვერდით წამოუწვე-
 ბა, რომ კარგად ამოიღოს. ფამფალაკი ხარებს ტვირთს უმსუბუ-
 ქებს და მუშაობას უადვილებს.

გუთანი და მისი შემადგენელი ნაწილები აღწერილია ხალხურ პოეზიაში,
 სადაც გუთნის ნაწილები ცოცხალ არსებადაა წარმოდგენილი და მათ შორას
 დიალოგია გამართული:

გუთანი ისე გავმართე, როგორც რომ მართებულა:
 პირველ გავთალე ხის რვილი, სახელდებული თელისა,
 მოუქურ სახლმე შუაზედ, შემოუღებრე ყელიცა.
 ყელი კარგად მოუვიდა და შუა წელი სრულია,
 კაკლის დედანი შევაბი შალაშინ გადასმულია,
 ზედ გავუკეთე ხელკუდი, როგორც რომ ჩამოსხმულია.
 იფნის ხმალი გავატარე, ფარებით გათახეულია,
 ღირღიტის მორგვი გავთალე, პიტალო კაკლის გულია,
 მუხისა სოლი ვახმარე, ხელეჩოთ დაწმენდილია,
 ჯავ-რცხილის ფერსო მოვიკიდე, როგორც დულაბი კირია.
 ისე გავმართე გუთანი, როგორც რომ მართებულა.
 ზედ მოვუბი საყვერები, მწნელებით გადაბმულია.
 შიგ დავუმართე უღლები, ახალი დატუსული;
 შიგ ჩავუყარე ტაბიკი, დათლილი შვინდის გულია.
 შევაბი აპურები, ახალი დაგრეხილია;
 შევაბი ხარი-კამეჩი, რქა-კუდი შემკობილია,
 ხარები იყო მალალი და კამეჩები სრულია.
 ზედ შეუდგენენ მებრეები, სიმღერას ამბობენ ტკბილსა;
 მაამო, ხარო შავთელავ, შვინდას უსწორდი მხართანა.

გუთანი XIX საუკუნის პირველ ნახევრისათვის აღწერილი აქვს კლაპროტს,
 ხოლო XVIII საუკუნისათვის—გიულდენშტედტს. ამ უკანასკნელის ნაშრომ-
 ში მოცემულია გუთნის ჩანახატი. გუთნის ჩანახატი XVII საუკუნისა მო-
 იზოვება კასტელის ალბომში. გუთნის გამოსახულება მოწმდება საფლავის
 ქვებზე XI საუკუნიდან. XII საუკუნისათვის გუთნის არსებობას არაპირდა-
 პირი გზით ვადასტურებთ იმ ცნობის მიხედვით, რომელიც თამარ მეფის ის-
 ტორიკოსს მოეპოვება ხვნის შესახებ. ხვნის პროცესში მწაფელები ლექსა-
 ობდნენ თამარის სახელზე.

ამ სახვნელი იარაღის წინამორბედი უნდა იყოს სახვნელი იარაღი, რომე-
 ლიც ჯილა-გოგორის სახელწოდებითაა ცნობილი და მესხეთ-ჯავახეთში
 გამოიყენება, ამ იარაღს, განსხვავებით გუთნისაგან, აქვს სახნისი სამკუთხედის
 ფორმის, ხოლო მისი თვლები ტოლფერდაა. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით,
 გუთანი თავისი ცალმხრივი ფრთითა და ტოლფერდა გოგორებით ჩვენში შე-
 ქმნილი იარაღია. ამას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ იგი უფრო მეტად
 გავრცელებულია საქართველოში, ორგანულად ჯდება საქართველოს სახვნელ
 იარაღების განვითარების სისტემაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ფამფალაკიანი სახვნელი იარაღის წარმოშობის სა-
 კითხი სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საკამათოა. რიგი მეცნიერებისა
 ცდილობს დაამტკიცოს, რომ ასიმეტრიული გუთანი ფამფალაკით, რომაულ
 პერიოდშია წარმოშობილი, სახელდობრ, რეტის გალიაში. ამ აზრს იზიარებ-
 ნენ ფ. პაინე. ბ. ბრატანიჩი. ი. ბალაშა, ივ. ჯავახიშვილი და სხვები, ხოლო
 ეწინააღმდეგებიან ლ. ნიდერე, კ. მოჟინსკი, ფრ. შახი, პ. ლეზერი და სხვები.

ამ უკანასკნელთა მიხედვით, ასიმეტრიული გუთანი გაჩნდა შუა ევროპაში VIII საუკუნიდან. ამ დროს ამ სახენელ იარაღს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ოვალური ფრთა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია იმ დროინდელი რკინის ჯაჭვი-ჯამბარა, განკუთვნილი გუთნის რვილის დასაკვრელად ფამფალაკზე. უფრო მეტად ამ საგნის ექსპერტები ფიქრობენ, რომ ფამფალაკი წარმოშობილია რომის იმპერიაში. ასევე ვარაუდობენ იმავე ხანის ასიმეტრიული სახნისის აღმოჩენას. მაგრამ ამ ობიექტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს სახნისები არ შეიძლება ჩავთვალოთ ასიმეტრიულად. ექსპერტებს მიაჩნიათ, რამდენადაც რომის იმპერიაში შეიქმნა პურზე გადიდებული მოთხოვნილება (ქალაქების ზრდა, მოსახლეობის გამრავლება), ამან განაპირობა მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია.

რაც შეეხება საქართველოს (იბერია), I—V საუკუნეებისათვის ივარაუდება ერქვანის ანუ ჯილა-გოგორის არსებობა, რომელსაც ამ დროისათვის ფამფალაკთან ერთად ჯერ კიდევ მხოლოდ თანატოლფარდოვანი თვლები და სიმეტრიული სახნისი ჰქონდა. ამ უკანასკნელს გვიდასტურებენ განათხარი რკინის სახნისები. წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ ერქვანი ხარმრავალბმული სახენელი იარაღია.

ამ სახენელი იარაღის შემდგომი განვითარების საფეხურია ის, რომ მას უჩნდება ასიმეტრიული თვლები, ასიმეტრიული სახნისი და ამასთან შესაბამისი ცალი ფრთა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ გაუმჯობესებამ ეს იარაღი ჩააყენა მიწათმოქმედების კიდევ მეტად ინტენსიფიკაციის სამსახურში. ამის საჭიროებას მოითხოვდა განვითარებული ფეოდალიზმის ხანის (XI—XII სს.) საქართველოში მოსახლეობის ზრდა, ქალაქების გამრავლება, დიდი საბატონო ყანების არსებობა.

ამგვარი სახენელი იარაღი საქართველოს გარეთ სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში, ადიღესა და ჩრდილო სპარსეთშია გავრცელებული. ევროპაში არასწორფარდოვანი თვლებიანი სახენელი იარაღი მხოლოდ XVII—XVIII საუკუნეებიდანაა ცნობილი, ისევე როგორც ოვალური ფრთა სახენელ იარაღში XVII—XVIII სს-დან დასტურდება. სახელწოდება გუთანი ასევე შესულია აზერბაიჯანულში — ქოთან, სომხურში — გუთან, თურქულში — ქოთან, დაღესტნურ ენებში — ქოთ და ადიღურში (სადაც ფამფალაკის სახელწოდებაშია შეფარებული) — გუთლამიშ. ენის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ გუთანი არ არის არც ინდო-ევროპული, არც თურქულ-მონღოლური, არც სემიტური, არამედ კავკასიური წარმოშობისაა.

ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „ტერმინი გუთანი და ყველა მისი ფონეტიკური სახენაცვალი საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და მისი გავრცელების რადიუსები შორს არ მიდის. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ზემოხსენებული ენებიდან არც ერთს ამ ტერმინის არსებობის ესოდენ ძველი საბუთის წარმოდგენა არ შეუძლია როგორც ქართულს, მაშინ თავისთავად წარმოიშვება აზრი, რომ გუთანი პირველად საქართველოში, სახელდობრ საქართველოში უნდა იყოს გაჩენილი და აქედან გავრცელებული მეზობელ ერთა შორისაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას მხოლოდ ის გარემოება აბრკოლებს, რომ „გუთნის“ ეტიმოლოგია გამოურკვეველია“².

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 12, ტფ. 1930.

სულ უკანასკნელად სტამბოლის უნივერსიტეტის პროფ. Capaoglu შეეცადა გუთანი აეხსნა შუა აზიის თურქულში დადასტურებული სიტყვიდან ქოთ, სადაც ეს სიტყვა აღნიშნავს წრის შემოხაზვას. სემანტიკურად ამგვარი დაკავშირება ხელოვნურად გამოიციკირება და მიუღებელია.

კაპიტალისტური ხანის საქართველოში გუთანს გაუმჯობესების მიზნით გაუკეთდა რკინის ქუსლი და რკინისავე ფრთა, მაგრამ ეს იარაღი, ისევე როგორც სხვა ხალხურ-ემპირიულ ცოდნაზე დამყარებული სახვნელი იარაღები, თანდათან შეცვალა ფაბრიკულმა სახვნელებმა, რომლებსაც ჯერ საქონელი ებმოდა ხოლმე, ხოლო შემდეგ ორთქლის ძალა ეზიდებოდა.

1980 წ.

ქართული უღელი

თემა „ქართული უღელი“ ქართული ეთნოგრაფიული ატლასის ერთ-ერთი შემადგენელი პარაგრაფია. სახელწოდება „ქართული“ — პირობითია, რამდენადაც ხალხი ქართულს უწოდებს იმ უღელს, რომელიც ეგრეთ წოდებული რუსული უღლისაგან განსხვავებულია.

ქართული ეთნოგრაფიული ატლასის შედგენის მიზანია, განზოგადებასთან ერთად, გაარკვიოს ქართული ხალხური კულტურისა და ყოფის შემადგენელი ელემენტები, დაადგინოს კულტურისა და ყოფის ელემენტების გავრცელების არეები დროის გარკვეულ მონაკვეთზე და გამოავლინოს მოვლენების შესაბამისი კანონზომიერებანი. ქართული ეთნოგრაფიული ატლასი მოწოდებულია, განაზოგადოს ის ცოდნა, რაც ქართულ ეთნოგრაფიას გააჩნია ხალხის კულტურისა და ყოფის დარგში.

ქართული ხალხური კულტურისა და ყოფის ერთ-ერთი ელემენტია ქართული უღელი.

საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებასთან დაკავშირებით, მის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი დანიშნულების უღელი დასტურდება: სამარხილე, სალაჩქიმე, საკალოე, სააჩაჩე, საყევერის, საწკეპი, საჯდომი, საძირე და სხვა. ყველა ეს სხვადასხვა სახეობის უღელი დაიყვანება რამდენიმე ძირითად ტიპად. საბარეურშისა, ჩოჩიალა ურმისა და მარხილისა შესაბამისად ბარული; გარდამავალი და მთის ბუნებრივ-სამეურნეო არეებისა ან კიდევ დიდი გუთნისა, ორხელისა და აჩაჩისა, აქაც ბუნებრივ-სამეურნეო არეებთან — ბარისა, გარდამავალი ზოლისა და მთის შესაბამისად.

დიდი გუთნის უღელი გრძელია, ორხლისა — შუათანა და აჩაჩისა — მოკლე; ასევეა ურმისა და მარხილის მიმართაც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ მიერ დასახელებული უღლის თითოეული ტიპი თავის მხრივ შეიცავს სხვადასხვა სახის ვარიანტს დაზუსტებული ფუნქციის შესაბამისად. მაგ., ურემსა თუ გუთანში გამოყენებული წინა ხარების უღელი, ეგრეთწოდებული საყევერის უღელი, განსხვავდება სხვა უღლებისაგან თავისი თათებით. მას აქვს, როგორც ხალხში იტყვიან, მოჩანგლული თათი. იქ, სადაც უღლის საქედური მთავრდება, იწყება მოჩანგლული თათი, რაც იმ მიზანს ემსახურება, რომ ხარი არ დაუსხლტეს უღელს.

ჩვენებური უღლის ძირითადი ნაწილებია: ხის მორი, უპირატესად იფნის ან თელის (შეიძლება წაბლი, მუხა, ვერხვი), რადგან ხალხის შეხედულებით სხვა ხე ფიცხია და ხარებს კისერს დაწვავს; მორის ცენტრში კორაა დატანებული უღელზე — საზიდის ხელნების ღვედით დასამაგრებლად, ან კიდევ აქ ნაჩერეტია თავტაბიკისათვის; საქედური უღლის ის ნაწილია, რომელიც ხარს

ქედზე ადევს საზიდის დასაძრავად. გარდა ამისა, საქედურებთან გაყრილა წყვილი ტაბიკი, უმთავრესად შვინდისა, რადგან შვინდი მოქნილია და ხარს კისერს არ ტყენს. სხვა ირაციონალური შეხედულების თანახმად, რადგან შვინდის ტაბიკი ავი თვალის საწინააღმდეგოა, ამიტომ სატაბიკე უნდა იქნეს მოჭრილი უზმოდ და უმზრახად. უღლის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ძუის ან კანაფის აპეური — ტაბიკების ბოლოში მიბმული და საუღლე სამმაგად დაწნული ღვედი, რომელიც უღლის შუა წელზეა მიბმული.

გარდა იმისა, რომ არსებობს უღელი ორი ხარისათვის, ჩვენში არის აგრეთვე უღელი განკუთვნილი ერთი ან სამი ხარისათვისაც. უღელი ერთი ხარისათვის, ცალ უღელად წოდებული, უმთავრესად განკუთვნილია მთის პირობებისათვის — პატივის ან სამშენებლო ქვის საზიდად ვიწრო გზებზე და ბილიკებზე, ხოლო უღელი სამი ხარისათვის, ექვსტაბიკიანი, — კალოზე პურის საღეწად.

ქართული უღლისაგან განსხვავდება რუსული უღელი, რომელიც რუსების მიერ არის საქართველოში შემოტანილი XIX საუკუნეში. განსხვავება მდგომარეობს მასში, რომ რუსული უღელი ორყბიანია, აქვს ზემოთა და ქვემოთა მორი.

სვანეთში უღლის შემდეგი სახეობებია დამოწმებული:

ა) სახნავი უღელი — ლაჯინაშ უღვა, გრძელია. 2) საღეწი უღელი — ლაჯინაშ უღვა, 3) საზიდავი უღელი — ლალჯინაშ უღვა, 4) ლაჭუნწვიან უღელი — სანაკელი უღელი, 5) საცალხარო უღელი — ლამეშიან უღელი. აქ უღლისათვის გამოყენებულია შემდეგი ხის ჯიშები: ვერხვი, მუხა, წაბლი, იფნი; სატაბიკედ — შვინდი. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთში ხშირია ლამაზად ორნამენტირებული უღლები.

როგორც ცნობილია, ხის დიდ გუთანს 8—10 უღელი ხარკამეჩი ებმოდა, ამთგან თითოეულს საგანგებო სახელები ჰქონდა მიკუთვნებული: საძირის უღელი უმუშაოდ ფამფალაკს ებმის, წინ საგორავი უღელია (კამეჩებისათვის), მის წინ საჯდომი, შემდეგ საწყეპი, კვლავ საჯდომი და საწყეპი, ხოლო სულ წინ საყევარი უღელი.

საგულისხმოა, რომ სომხურს შემოუნახავს გუთნეული ხარკამეჩისა და უღლების არქაული სახელები: სახლი არწივისა, სახლი თავვისა, სახლი ვარსკვლავისა. სომეხი ეთნოგრაფები ამ სახელწოდებების ტოტემისტური ხანიდან მომდინარედ მიიჩნევენ, რაც საეჭვოა.

ზემოთქმულს უნდა დაეძინოთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რკინის (ფაბრიკული) გუთნები შემოვიდა ხმარებაში, ასეთ სახელებში გამოყენებული უღელი შედარებით მოკლე იყო ადრე გუთანთან გამოყენებულ უღლებთან.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ დასახელებული უღლების ყველა სახე საქედურიანია, ე. ი. გამოიყენება ხარის შესაბამელად საზიდარში ხარის ქედზე დადგმული საქედურის შემწეობით.

ძველი ცივილიზებული სამყაროს დიდი ნაწილი იცნობს ამგვარ საქედურიან უღელს, რომელშიც ხარი იყო შებმული და რომლის გავრცელების არე ფართოა!

¹ შეადარე Em. Werth, Grabstock. Hacke und Pflug, 1954, Zudwigsburg. Karte XIX, Zur verbreitung von Rind und Pferd asl Zugtier.

ამისაგან განსხვავებულია ის უღელი, რომელიც ქედზე კი არ ედგმის ხარებს, არამედ რქის ძირში, კვინიხზე მაგრდება ღვედების შემწეობით².

უღლის ეს ტიპი (genickenjoch) ბოლო დრომდე შემონახული იყო ესტონეთსა და ვერმანიაში, ხოლო განათხარი მასალის მიხედვით ცნობილია რკინის ხანიდან. მისი გავრცელების არედი მიჩნეულია ცენტრალური და ჩრდილო ევროპა.

რაც შეეხება საქედურიან უღელს, იგი დამახასიათებელია ხმელთაშუა ზღვის აუზის დასავლეთ აზიის არეალისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში სადაც ცხენია გამოყენებული სახენელ იარაღში, იქ „ხომუტის“ ტიპის უღელს იყენებენ, რაც დამახასიათებელია იმ მხარეებისათვის, სადაც გავრცელებული იყო სოხას ტიპის სახენელი იარაღი.

გარკვეულია აგრეთვე ისიც, რომ ხომუტი გამოყენებული ყოფილა ხარას შესაბამელად სახენელ იარაღში ისეთ ქვეყნებში, როგორცაა მონღოლეთი, ტიბეტი და მისი მომდგომი ქვეყნები აღმოსავლეთით (Werth).

მკითხველისათვის რომ გასაგები იყოს, თუ რა განსხვავებაა საქედურიან და საკვინიხე უღლებს შორის, დავასახელებთ განსხვავების ერთერთ არსებით ნიშანს: საქედურიან უღელს ტაბიკების გასაყრელად ნაჩვრეტები გახვრეტული აქვს ვერტიკალურად, ხოლო კვინიხიან უღელს ღვედების მისამაგრებლად რქებზე ნაჩვრეტი ჰორიზონტალურ ჭრილში აქვს გამოყვანილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დღემდე ცნობილი განათხარი უღლები მხოლოდ დასავლეთ ევროპაშია აღმოჩენილი და ხნოვანებით არც ერთი მათგანი ევროპის რკინის ხანას არ ეკუთვნის, ხოლო რაც შეეხება ჩვენში აღმოჩენილ განათხარ უღელს, მისი ხნოვანება ბრინჯაოს ხანაზე მოდის და თარიღდება მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრით. რა ტიპის უღლებს განეკუთვნება ეს განათხარი უღელი? საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1958 წელს აღმოჩენილი საბინდაღჩოს ყორღანში ხის უღლის ნახევარზე მეტი ნაწილი კარგადაა შენახული და მისი მთლიანი სახის აღდგენა ძნელი არ არის. იგი, როგორც გარკვევა პროფ. დ. კალანდაძემ, მთის მუხისაგან ყოფილა დამზადებული, ხოლო საზიდარის ოთხივე თვალი — ფიჭვისაგან.

განათხარი უღლის გადარჩენილი ნაწილის სიგრძე 148 სმ-ია, ხოლო რესტავრირებული უღლის მთლიანი სიგრძე — 238 სმ.

უღელი თავსატაბიკესთან საკმაოდ სქელია. ცენტრში, იქ სადაც ურმის ხელნების დასამაგრებელი სატაბიკეა ამოკვეთილი, მორი საქედურისაკენ თანდათან წვრილდება 7 სმ-მდე, სივანე ცენტრში — 8 სმ-ია, შემდეგ — 7 სმ.

უღლის საქედური კამაროვანია, კამარის სიგრძეა 38 სმ, გულის — 27 სმ, სიმაღლე — 15 სმ. საქედური წარმოადგენს უღლის მთლიანი მორის გავრცელებას და გადარკალური, კამაროვანი კვეთილობის გამო, მეტად ლამაზი შესახედავია.

კამარის უდიდესი სისქის მიხედვით ჩანს, რომ საუღლე მორი არანაკლებ 20—25 სმ სისქისა უნდა ყოფილიყო.

საქედურის კამარის გარეპირი (თავი) გაკუთხულადაა გათლილი (კუთხე-

² W. Jacobeit, Eine eisenzeitliche Joch aus Nordirland: Ethnographisch-archäologische Forschungen I, 1953, Berlin, გვ. 95.

ებში 6—8 სმ ჯა შუა ნაწილში 4 სმ სიბრტყით), ხოლო საქედურის შიდა პარტი, რომელიც გამწვევ ძალას ქედზე ებჯინებოდა, თანდათან მოკვერცხილ-გაგლუვებულია ისე, რომ ხარის ქედზე უღლის შეხების არეალი საკმაოდ შემცირებულია მის სიგანესთან შედარებით.

საქედურის კამარის ბოლოებთან ორივე მხარეს ამოკვეთილია თითო სატაბიკე (ვერტიკალურად) 3,5 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანისა. თათის მხარეზე ამოკვეთილ სატაბიკეში ტაბიკის ნაჭერი უნდა იყოს ჩარჩენილი.

უღლის ბოლო, ე. ი. თათი, მრგვალადაა შემოკვერცხილი და ზემოთ რქასავით აზიდული, საქედურის კამარისა და თათის აზიდულ ნაწილს შორის მოქცეული არე ისევ მრგვალადაა ამოკვეთილი.

ზემოთ აღწერილი უღელი ტიპოლოგიურად, ეჭვს გარეშეა; ეკუთვნის უღლის საქედურიან სახეობას, ამდენად, ის ხარებისათვის არის განკუთვნილია და თავისი სიგრძის კვალობაზე ურმისათვის ყოფილა გამოყენებული ბარის პირობებში. თავისი ტიპის მიხედვით იგი განეკუთვნება წინააზიურ ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურას, ხოლო თათებით — საყვერის უღელს მოგვაგონებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ განათხარი უღლის შორეულ მემკვიდრედ დასაშვებია მივიჩნიოთ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი საყვერის უღელი, რომელიც ჩამომავლობით სოფელ დიდი გომარეთიდანაა. ერთი და იმავე სახის საგნის საუკუნეების მანძილზე შემონახვა არ უნდა ბადებდეს ეჭვს ამაზე კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ თუ ერთხელ მიგნებულია საგნის ან იარაღის ისეთი ფორმა, რომელიც ეფექტიანია, იგი ხანგრძლივად ინახავს თავს და შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემა. ჩვენს სინამდვილეში ამის მაგალითია შნაკვი, რომელმაც ინიციალურ პურეულთან მახასთან ერთად საუკუნეებს გაუძლო და ფორმის შეუცვლელად დღემდე მოაღწია.

საინტერესო იქნებოდა გაგვერკვია, თუ რა სახელწოდებით უნდა ყოფილიყო ეს უღელი ცნობილი იმ შორეულ საუკუნეებში, რომლებსაც იგი განეკუთვნება.

უღელი, საბას განმარტებით — ვართ ქედსადები ხე შესაბამელად (მითითებულია ფსალმუნი 2,3). საბა აგრეთვე განმარტავს: უღელი ეწოდება სასწორის საკიდარს (მითითებულია გამოცხადება 6,5) და აგრეთვე უღელი — ქრისტეს სათნოების აღებაა.

საყურადღებოა, რომ უღლის სახელწოდებაში ერთი და იგივე ძირია გამოყენებული როგორც ქართულში, აგრეთვე მეგრულსა და სვანურში (უღუ და უღვა). ამავე სიტყვასთან კავშირი უნდა იყოს ავარული *pykb*, ჩაჩხურ-ინგუშური *pykb*, ლაკური *pykb*, ლეზგიური *BHГ*; ინდოევროპულად მიჩნეულ ნებში, სომხურსა და ოსურში უღელი სხვა სიტყვებით აღინიშნება, სომხურად — *լմձ*, ხოლო ოსურად *aefcongz*.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვა (უღელი) განეკუთვნება იმ ხანას, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი საერთო ქართულიდან სვანური და მეგრული, როგორც ამას ფიქრობენ ლინგვისტები.

ინდოევროპეისტები ამავე სიტყვას პოულობენ ხეთურ-ნესიტურში — *ingan*, დამწერლობაში — *i-n-ga-an*, *-i-n-KA.n* სანსკრიტ. *yingam*, ბერძ. *Zugov*, ლათ. *ingum*.

თავისთავად იბადება კითხვა: ნუთუ იმ პერიოდში, რომელსაც განათხარი უღელი ეკუთვნის, ქართველი ტომები ინდოევროპულ სახელწოდებას იყე-

ნებდნენ უღლის აღსანიშნავად და საკუთარი სახელწოდება არ გააჩნდათ ამ საგნისათვის? საბას უღელთან დაკავშირებით მოეპოვება შემდეგი სიტყვები: ცანკუჭუღელი, რომელიც ახსნილია, როგორც წყვილი და კენტი, უღელი ცალი, ლუწი და კენტი. ამავე დროს მასვე მოაქვს სიტყვა ცანკვილი // ცანკლი—კენტი, ვარი (1 კათილორია). ეს მასალა უნებლიედ გვაფიქრებინებს, ხომ არ არსებობდა უღლის აღსანიშნავად სხვა ქართული სიტყვა. ამის საფუძველს შეიძლება იძლეოდეს ტერმინი ყევარი, რომელიც ახლოს დგას საბას მიერ დადასტურებულ კვილ-თან. ეს უკანასკნელი, როგორც ნ. მარი არკვევს, სვანურს შემოუნახავს სიტყვაში de-ge-da (ორისგან არც ერთი, ლათ. neuter). თუ ეს ეტიმოლოგია მართებული გამოდგებოდა, უძველესი განათხარი უღლისათვის შეიძლება გვევარაუდა ზოგადი ქართული სიტყვა ყევარი.

* И. М а р р, О числительных, Избр. работы, III, М.—Л., 1934, стр. 299.



შუმერული კვირი

კარგა ხნის წინათ ჩვენთვის საკმაოდ გარკვეული იყო კვერის წარმოშობის ადგილი და დრო. მოგეხსენებათ, რომ კვერი ერთ-ერთი თავისდროისთვის დაწინაურებული სასოფლო მეურნეობის — პურეულის ლეწვასთან — დაკავშირებული იარაღია.

ჯერ კიდევ კ. მარქსი რომაული მწერლების მონაცემების საფუძველზე წერდა, რომ ეს იარაღი ჩვ. წ. II საუკუნის რომში იყო ცნობილი და გამოყენებული. მას შემდეგ ახალი არქეოლოგიური გათხრების შემწეობით კვერის ბევრი ნაშთი აღმოჩნდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, კერძოდ შემდეგ პუნქტებში: მცხეთაში, ხოვლეში, უფლისციხესა და ცხინვალში. ხოვლე-გორაზე ნაპოვნი კვერები თარიღდება ძვ. წ. XI—IX სს-ით; ცხინვალის მახლობლად, სოფ. ორპირთან, ნანახი კვერები განეკუთვნება ძვ. წ. VIII—VI სს-ს, ამავე პერიოდისაა სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი კვერი. უფლისციხეში ნაპოვნი კვერი კი ძვ. წ. III—IV სს. განეკუთვნება. კასპის რაიონის სოფ. კავთისხევთან აღმოჩნდა გვიანფეოდალური ხანის კვერი.

საყურადღებოა, რომ კვერი გამოყენებული ყოფილა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებით. კვერზე დასვენებული მიცვალებულის დამარხვა ამიერკავკასიის არქეოლოგიური გათხრების მიხედვით არის დადასტურებული. ჩანს, მიწათმოქმედების მთავარი პერსონაჟები — გუთნისდედები კვერზე დაუსაფლავებიათ. ამასთან ერთად, ხაზგასმულია ისიც, რომ ეს ჩვეულება ბოლო დრომდე შემონახული ყოფილა სირიაში¹ და როგორც ახლახან აღმოაჩინა ეთნოგრაფმა გ. გასიტაშვილმა საქართველოში მცხოვრებ ასირიელებსაც ეს წესი ბოლო დრომდე ჰქონიათ დაცული. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ყველაზე უძველესი კვერი, როგორც სალექსო იარაღი, ამიერკავკასიის ხალხების უძველეს მონაპოვარს წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც ორიენტალისტმა სამუელ კრამერმა მიაკვლია შუმერულად დაწერილ ძეგლის ნაშთებს, ე. წ. „გლენხის კალენდარს“², დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ კვერი არა თუ XII—VI სს-შია ცნობილი, არამედ კიდევ უფრო ადრე, ჩვ. წ. 1800 წლიდან.

„გლენხის კალენდარის“ ტექსტი მეტ-ნაკლები სიზუსტით კრამერმა წაიკითხა, თუმცა თვითონვე აღნიშნავს, რომ ამ ძეგლში ხმარებული სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია ძნელად გასარკვევია და მოითხოვს კიდევ უფრო ღრმა შესწავლასა და სათანადოდ გარკვევას. ეს ეხება ტექსტის იმ ნაწილსაც,

¹ გ. ჭალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიადან, თბ., 1960, გვ. 132.

² Сэмюэл Н. Крамер История начинается в Шумере. „Наука“, М., 1965, გვ. 84.

სადაც ლეწვაზეა საუბარი. „გლენის კალენდრის“ სათანადო ქართული ტექსტი შემდეგნაირად იკითხება:

- 87. როცა შენ შეუდგები მარცვლის ლეწვას [სიტყვ. მარცვლის გამოღებას].
- 88. შენი ხალხი [მომზადე ამისთვის],
- 89. კალო შენი მოასწორე,
- 90. კალათები გაამზადე [სიტყვ. წესრიგში მოიყვანე, გაასწორე],
- 91—92. საზიდრებიც წესრიგში იქონიე,
- 93. საზიდრები [...],
- 94. [ლეწვას] მოუნდები 5 დღეს,
- 95. როცა პირს გაუხსნი მარცვალს,
- 96. გამოაცხვე არა — კვერები [სიტყვ. პური].
- 97. როცა შენ მარცვლის ლეწვას [სიტყვ. მარცვლის გახსნას] დაიწყებ,

98. კევრზე [სიტყვ. ხისგან დამზადებულ] მარცვლის გასახსნელად [იარაღზე] კბილები ტყავით მიაკარი [და] ასფალტით მიამაგრე³.

ამ ტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ ქერის გახსნა ლეწვას გულისხმობს. ე. ი. ქერის მარცვლის განთავისუფლებას საბუდრიდან. საერთოდ პურეული მარცვლის გამოთავისუფლების რამდენიმე მეთოდია ცნობილი. ესენია: ფშვნეტა, ბეგვა, ბერტყვა, ჩეჩქვა, კარჭართ ლეწვა და კევრით ლეწვა. რამდენადაც ზემოხსენებულ ტექსტში მარცვლას განთავისუფლება ბუდიდან აშკარაა, ამდენადვე საუკუჰმანოა, თუ რა ხერხით ხორციელდებოდა ასეთი გახსნა ქერისა. ტექსტში დასახელებული საზიდარი არ ჩანს, რა სახის იარაღი იყო, ან მასზე რანაირად მაგრდებოდა ტყავითა და ასფალტით კბილები. ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კბილები გაბურღულ ბუდეებში ჩადებული კავის ან ობსიდიანის კოხებია. „იქ, სადაც კოხები // ქვები თავსდებოდა, საკოხეს ეძახდნენ“, სვანეთში მას კოხის კოდი ეწოდებოდა. კევრის ლეწვითი უნარიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კევრის მოკოხვის ტექნიკას და საკოხე მასალას. ცნობილია სამი სახის საკოხე მასალა: კოხი, კოხი-რკინა და რკინა. საქართველოში უმთავრესად კოხით და კოხირკინით მოკოხვა დასტურდება. კევრისათვის შეირჩეოდა მაგარი ჯიშის ცეცხლგამძლე ქვა — კოხი (ქართლ-კახეთი) // კოჟი (რაჭა-ლეჩხუმი) // ქვიები (მესხეთ-ჯავახეთი) // კაჟი (იმერეთი). ბორჯომის ხეობაში მოსაკოხად ხმარობდნენ შავი ფერის, წყლის ლიბ ქვას. ატენელი მეკევრეები მდ. მტკვრის რიყიდან ეზიდებოდნენ ნაჩვრეტებიან ქვას. ქვემო ქართლში გამოიყენებოდა შავი დოშამა [გრძელი] ჩოფურა ქვა. იმერეთში საკოხეში ბრტყელ კაჟებს აწყობდნენ. საგულდაგულოდ არჩევდნენ მესხეთ-ჯავახეთში კოხს, რომელაც შორეული პუნქტებიდანაც მოჰქონდათ, მაგ. ანდრიაწმინდელები შუაქარავს მთიდან ეზიდებოდნენ საკოხე ქვას, რომელიც ხასი იყო და დანასავით ჭრიდა ბჯას. არალელებს წარბასუბნიდან მოჰქონდათ, ტოლოშელებს — არაგვიდან, ვალელებს — დღვირიდან და ა. შ.

დვინდება ასეთი ფაქტიც, მაგ.: გუჯარეთის ხეობაში (ბორჯომის რ-ნა) „კევრი ადგილზე ითლებოდა, ხოლო მის დასაკოხად ატენელი და ახალქალა-

³ თარგმანი ჩვენი თხოვნით შეასრულა ქართველმა უმუშროლოვმა ჯ. შარაშენიძემ. რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ქელი მკობავები მოდიოდნენ, რომელთაც კოხი თან მოჰქონდათ, რადგან იღ-
გულზე მაგარი ჯიშის ქვა არ იშოვებოდა“⁴.

კოხების დამაგრება კევრის ძირზე ღვედითა და ასფალტით წარმოუდ-
ვენლად გვეჩვენება. ამდენად, „გლეხის კალენდრისეული“ სალენწი იარაღი
ჯარჯარის ტიპის სალენწი მანქანა უნდა ყოფილიყო, რომელიც ძველი ეგვიპ-
ტიდან არის ცნობილი და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, როგორც ეგვიპტე-
ში, ასევე ამიერკავკასიასა და სხვა ქვეყნებში იყო ხმარებაში შემორჩენილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ფინელ ორიენტალისტს სალონენს სავსებით და-
მაჯერებლად მიაჩნია, რომ „გლეხის კალენდრის“ ტექსტის მიხედვით შუმერში
კევრი იყო ლენწვის იარაღად გამოყენებული. მისი აზრით, ეს იარაღი იმგვა-
რივეა, როგორც ამჟამად სირიაში და ამიერკავკასიაში ცნობილი კევრი; ამ-
გვარ აზრს ავითარებს ა. მორისონიც, რომელიც სირიაში გამოყენებულ კევრს
აღწერს: „კალობა ტარდება კევრით — deven, რომელიც ზომითა და ფორ-
მით მოგვაგონებს ახალ ინგლისურ „ქვის ნავს“. იგი შედგება ერთი ან ერ-
ნახევარი მეტრი სიგრძისა და 60 სანტიმეტრი სიგანის ფიცრისაგან, რომელსაც
ერთი ბოლო ოდნავ ზემოთ აქვს აწეული და მის ქვედა მხარეზე მოჭედლია
ბასრი კაჟის ქვები.

როგორც კი პურის ძნებს მაღალ ზვინებად დადგამენ, კალობა იწყება.
ზვინის გარკვეულ ნაწილს ჩამოიღებენ და გაშლიან. იქმნება დაახლოებით
40 სმ სისქის ფენა, რომელიც გაშლილია ზვინის ირვლივ დაახლოებით სამი
ან ოთხი მეტრის სიგრძეზე. ამ ფენაზე გადააქვთ კევრი deven, რომელშიაც
შებმულია წყვილი ხარი, ან უფრო იშვიათად, ცხენი. შემდეგ კევრი მოძ-
რაობს ამ ფენაზე. მეურმე დგას ან ზის კევრზე, რათა მას დამატებითი წონა
მისცეს... როდესაც კევრი ზვინის ირვლივ ტრიალებს, კაჟის ქვები მისი ზე-
დაპირის ქვეშ ჰქრის ღეროებს პატარ-პატარა ნაწილებად და თავთავიდან
გამოაქვს მარცვალი. ყოველ რამდენიმე წუთში ფენა მოძრაობს და ბრუნავს,
ისე რომ არც ერთი მარცვალი არ უნდა დარჩეს თავთავში, როდესაც შე-
მოწმება აჩვენებს, რომ პროცესი დამთავრებულია. დაჭრილ ღეროებსა და
ხორბალს ერთად შეაგროვებენო, თუ მთელი ზვინი ამგვარად არის გალენწილი,
იწყება განიავება⁵.

ამასთან ერთად საკითხი იმ მხრივაც უხდა დაისვას: შუმერეთში მიწათ-
მოქმედება იმ დონეზე იყო განვითარებული, რომ კევრის გამოყენება იყო
საჭირო. როგორც ვიცით, კევრი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ სოფ-
ლის მეურნეობა სათანადო დონეზე იყო განვითარებული. როგორც ვიცით,
ჯერ კიდევ გილგამეშის ეპოქაში შუმერეთში უკვე არსებობს სამხედრო დე-
მოკრატია, რომლის ბაზისია სამიწათმოქმედო თემი, ხოლო შემდეგში სარწ-
ყავი მეურნეობის გაბატონებული მდგომარეობა, თეოკრატიული თემი და ქა-
ლაქ-სახელმწიფოები. ამდენად, სოფლის მეურნეობის აღმავლობა ქალაქის
გაზრდილ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამ მხრივ სოფლის მეურნეობაში
პურეულის ხელით ფშვნის მეთოდი უნდა შეცვლილიყო დაწინაურებული სა-
ლენწი იარაღით.

4 გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962, გვ. 61. შტრ,
გ. გასიტაშვილი, კევრი, „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“. მასა-
ლები, თბ., 1980, გვ. 79.

5 მიუხედავად იმისა, რომ აქ კოხების დამაგრების ტექნიკა არ ჩანს, იგი იმავე სახის სა-
ლენწი იარაღი უნდა იყოს, როგორცაა საქართველოში დადასტურებული კევრი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კრამერის აზრით, „გლეხის კალენდარი“ განკუთვნილი იყო სკოლაში სახელმძღვანელოდ. ამის მიხედვით ამზადებდნენ სოფლის მეურნეობის გამძღოლ მუშაკებს. ესეც, თავისთავად ცხადია, გულისხმობს, რომ მიწათმოქმედება იმ დონეზეა აყვანილი, რომ საჭირო იყო სპეციალისტების სათანადოდ მომზადება.

საკვირველია, რომ „გლეხის კალენდარში“ წარმოდგენილი მიწათმოქმედების სტრუქტურა შეიცავს შრომის ყველა პროცესს და მათთან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. შრომის ეს ელემენტებია: მოკარგვა, განოყიერება, ზენა, ფარცხვა, მორწყვა, თესვა, გახილვა, მკა, ლეწვა, დაუნჯება და ფქვა.

მიწათმოქმედების ეს მოდელი წარმოუდგენლად სტაბილურია მეურნეობის განვითარების მომდევნო პერიოდშიც. ცვლილებებს განიცდის მხოლოდ სამიწათმოქმედო იარაღების მასალა — ხე იცვლება ლითონით. რომ ეს ასეა, კარგად ჩანს იმ ძეგლებიდან, რომლებიც მიწათმოქმედებას აგვიწერენ. ძვ. წ. 1800 წლით („გლეხის კალენდარი“) შემდგომ სოფლის მეურნეობის სისტემა მოცემულია ჩვ. წ. VIII ს. ავტორის ჰესიოდეს ნაშრომში — „შრომანი და დღენი“; შემდეგ ძვ. წ. VI ს. ჩინურ ძეგლში, აგრეთვე ძვ. წ. I ს. რომაელი პოეტის ვერგილიუსის „გეორგიკაში“. მიწათმოქმედების ეს სტრუქტურა დღემდე უცვლელია.

აქვე შევეხებით კევრის იმ სახელწოდებას, რომელიც მორისონს აქვს დადგენილი სირიაში შესწავლილი სალეწი იარაღისათვის. ეს სახელწოდებაა *deven*. შესაძლებელია ეს ტერმინი ახლო იდგეს ქართულ კევრთან და, მეორე მხრივ, კევრი შეიძლება ახსნას პოთულობდეს ინდოევროპულ მასალასთან:

„И.—е.*K¹⁰ern—‘жернов’~сем. *qurn—‘гумно; ток’: угар. grn ‘ток’ ‘судилище’ akkag. tak/qattu ‘ток’; ‘место судилища’, др.—евр. gören ‘ток’, араб. ḡaḡana ‘молоть’, ‘размалывать’, ḡurn—‘ток’, (диал) ‘ступка’, ср. Möller 1911: 99—100; Иллич-Свитыч 1964:5.“

მაგრამ ყოველივე ეს მოითხოვს შემდგომ კვლევა-ძიებას.

დამატებით მივაქცევთ ყურადღებას აგრეთვე ხეთურთან ქართული სიტყვა იმ ან ტ ი-ს მიმართებას:

„ხეთ. išmeri — ლაგამი
išmerijant — ლაგამამოდებული
išmanalla — მეჯინბე

ბერძნ. ჰომ. *μαζ* — ნათ. *μαζος* — ღვედი⁷, საწვევი აღჭურვილობა, ეტლის ძარის ალათა.

ქართული იმანტი ნიშნავს ტაბიკის აპურს. ეს სიტყვა განმარტებულ აქვს ს.ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში, რომელსაც განმარტავს მეორე სიტყვითაც ე ვ ა ნ ი, ორივეს შემდეგი ახსნა აქვს: ე რ ქ ვ ა ნ თ ღ ვ ე დ ი⁸.

1985 წ.

⁶ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984, გვ. 873.

⁸ ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I, თბ., 1966.



ოსური სახვნელი იარაღი — ძუბური

ოსური სახვნელი იარაღის — ძუბურის საკითხი დღემდე გაურკვეველია. სპეციალური ნაშრომი ამ იარაღის თაობაზე არ მოიპოვება, არც მისი სურათის პუბლიკაცია არსებობს. ოსური სახვნელი მეცნიერულად აღწერილი არ არის; მისი სტრუქტურა, ტექნიკა და ფუნქცია გაურკვეველია, არ არის შესწავლილი მისი უმადგენელი ნაწილები და არც სახესხვაობანია დადგენილი. ამავე დროს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. მივმართოთ ფაქტებს: ჰაქსტაუზენმა, რომელიც საქართველოში მოგზაურობდა 1843 წელს და გულმოდგინედ იკვლევდა ამიერკავკასიაში მცხოვრებ ინდოევროპული მოდგმის ტომებს — სომხებსა და ოსებს¹, თავისი მოგზაურობის შედეგები დაბეჭდა თავდაპირველად ინგლისურად (1848 წ.), შემდეგ ფრანგულად (1852 წ.) და გერმანულად (1852 წ.)². ნაშრომში მოყვანილი აქვს სახვნელი იარაღის სურათი, რომელიც მას თითქმის ოსებში ჩაუხატენებია. (ტაბ. 25).

ჰაქსტაუზენის მიერ მოტანილი ე. წ. Sibir-ის სურათი წარმოგვიდგენს ისეთ სახვნელ იარაღს, რომელსაც მოკლე მხარი აქვს, განიერი, გრძელი და ორყურა ქუსლი; ამას გარდა ორტოტიანი ხელნა, საკვეთელი, ჯამბარა, საბეწვე და ერთი უღელი. შეიმჩნევა აგრეთვე მეტნაკლები სიზუსტით წიწვნა-აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს წიწვნა უფრო მეტად რგოლს გამოხატავს, ვიდრე წიწვნა-კავს. ამ რგოლზე ჯამბარა უცნაურადაა გამობმული. უნდა ისაუბროთ იქვე, რომ სურათი საერთოდ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ის აღვილზე, ნატურიდან დახატული კი არ უნდა იყოს, არამედ სიტყვიერი გადმოცემის მიხედვით აღდგენილი.

მაგრამ გაუგებრობა ამ სურათთან დაკავშირებით მარტო ამით არ ამოიწურება. ჰაქსტაუზენი ამ იარაღის შესახებ წერს: „Von den Ackerwerkzeugen fiel mir der Tfluq (Sibir) auf, der ganz abweichend von denen der übrigen Kaukasisehen Völker konstruirfiist. Seine Konstruktion ist dem des mecklemburgischen Hakenpluqs ähnlich“³.

აქ მოტანილი ამოხაჭურის შესახებ პირველყოვლისა ის უნდა ითქვას, რომ ეს სახვნელი (ჩვენი კლასიფიკაციით)⁴, მართლაც, კავკასიის ხალხებიდან მხოლოდ ქართველებში გვხვდება. მისი გავრცელების არე საქართველოს იმ

1 აქვე აღვნიშნავთ, ჰაქსტაუზენი ცნობილი მეცნიერია, რომელმაც რუსეთში სლავიანო-ფილებზე აღრე თემური გადმონაშთი აღმოაჩინა.

2 არსებობს ამ უკანასკნელის შემოკლებული, არაზუსტი და მეფის ცენზურის მიერ დამახინჯებული რუსული თარგმანი, ჩვენ ვსარგებლობთ ამ ნაშრომის გერმანული გამოცემით:

3 A. Haxthausen, Transkauasien, 13. 2, Zpz., 1856. გვ. 3.
4. გ. ჩ ი ბ ა ი ა, სახვნელი იარაღები და სამიწათმოქმედო სისტემები საქართველოში, გვ. 15.



ნაწილშია რომელიც ჭვიბერის ხეობიდან იწყება და ქსნის ხეობით თავდება⁵.

მეორე მხრით, გასაოცარ შეუსაბამობას წარმოადგენს ამ სახენელი იარაღის მეკლენბურგის სახენელთან დამსგავსება. სინამდვილეში, მათ შორის მსგავსება თითქმის არაფერში არ არის.

მეკლენბურგის სახენელი იარაღის მხარი უღლამდე აღწევს, მაშინ როდესაც ჰაქსტჰაუზენის მიერ ფიქსირებული სახენელი იარაღის მხარი მოკლეა და უღელს ჯამბარას მეშვეობით გადადგმის. ასევე განსხვავებულია ამ ორი იარაღის ქუსლი და ხელნა. პირველის ქუსლი მიწისმთხრელია, კვალის გამაგანიერებელი, მეორესი კი ასეთ ფუნქციებს მოკლებულია. პირველის ხელნა ორტოტიანია, ორხელაა, მეორესი — ერთტოტიანი, ერხელა. მეკლენბურგის სახენელს რუსული სოხას ტიპის სახენელის კვალობაზე აქვს გამაგრებული. ის სახენელი იარაღი ქუსლის ეშვზე კი არ არის წამოცმული, არამედ მხარზეა მიმაგრებული ნახევრად ვერტიკალური სახით.

ჩანს, რომ ჰაქსტჰაუზენი ვერ გარკვეულა სახენელის ტიპებში და სავსებით განსხვავებული სახენელი იარაღების სახეები ერთიმეორესათვის მიუშვავსება. ტენდენციურობა, რომელიც ამ დამსგავსებას ახასიათებს, ჰაქსტჰაუზენის ნაშრომში შემთხვევითი არ არის. ის მომდინარეობს ავტორის იმ მცდარი შეხედულებიდან, რომ ოსებში შემონახული მატერიალური კულტურის ობიექტები გერმანული წარმოშობისაა ან ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი. ასეთ საგნებად ჰაქსტჰაუზენი თვლის: სადღვებელს, ფორცხს, მერხს და სხვ., როგორც სახენელ იარაღს ზიბირს.

ჰაქსტჰაუზენის მიერ წამოყენებული დამსგავსების ხელოვნურობა ბრაუნგარდტსაც უგრძნია და თავის მხრით ახალი აზრი წამოუყენებია⁶.

ბრაუნგარდტის შეხედულების მიხედვით ჰაქსტჰაუზენის მიერ მოყვანილი სახენელი იარაღი ზიბირი გუთურია. მაგრამ ეს შეხედულებაც მართებული არ არის, რამდენადაც ეს იარაღი ტიპოლოგიურად განეკუთვნება ორხელა სახენელი იარაღის ტიპს, რომელშიც შედის რაჭული სახენელი იარაღიც⁷, რომელიც ბრაუნგარდტს ჯერ გერმანული, შემდეგ სპარსული წარმოშობისად მიაჩნდა. ამის შემდეგ ჰაქსტჰაუზენის მიერ ჩახატული სახენელი იარაღის გუთურ სახენელად აღიარება, რომელიც ტიპოლოგიურად თვით საჭიროებს დადგენას, მიუღებლად მიგვაჩნია.

ჰაქსტჰაუზენის მიერ ფიქსირებული სახენელი იარაღი სინამდვილეში ოსური სახენელი კი არ არის, არამედ ქართული ორხელაა, მოკლემხრიანი სახენელი იარაღი, რომელსაც არც ტიპოლოგიურად და არც დეტალებში მეკლენბურგულ სახენელ იარაღთან მსგავსება არა აქვს. უნდა ისიც ითქვას, რომ ჩვენებური ორხელა სახენელი იარაღის შესახებ დადგენილია, რომ ის არც ირანული და არც გერმანული წარმოშობის არ არის. ის მიღებულია ქართველი ტომების სახენელი იარაღების ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით და უძველესი სახენელი იარაღის ტიპის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს; იგი ქართველი ტომების ძველი ხანის კულტურის მონაპოვარია.

5 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გუთანი (კარტოგრაფია) ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, გვ. 498.
6 რ. ბ რ ა უ ნ გ ა რ დ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.
7 გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაჭული სახენელი, ენიმკის მოამბე, ტ. I, თბ. 1937.

რაც შეეხება გუთურად მიჩნეულ სახვნელ იარაღს, იგი რუსული სოხას სახის სახვნელი უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი ტიპოლოგიურად სავსებით განსხვავებული იარაღია ორხელა სახვნელისაგან.

სახვნელი იარაღი ორტოტიანი ხელნათი უძველესი დროიდან დამოწმებულია მესობოტამიაში. იგი წარმოშობით ყველაზე ძველია, შემდეგში გადადის სხვადასხვა ტიპის სახვნელში, რომელთაც ერთტოტიანი ხელნები აქვს. ამის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ სუმერეთში დამოწმებული ორტოტიანი ხელნის სახვნელი იარაღი უქუსლო სახვნელი იარაღის ტიპისაა და ამდენად ჩვენბური ორხელასაგან განსხვავებული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სახვნელი იარაღის ტიპი იზოლირებულად არსებული მოვლენა კი არ არის, არამედ ის შეადგენს მთლიანი დიდად განვითარებული და რთული სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომელშიც შედის: გეოგრაფიული მდებარეობა, მიწისმოქმედების სისტემა, ტექნიკა, მუშა საქონელი, მასალა, სოციალური ურთიერთობა და სხვა.

საკუთრივ ოსური სახვნელი ძუბური წარმოადგენს. (თუ ვიმსჯელებთ იმ ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც დაცულია ჩრდილო ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) გრძელმხრიან სახვნელს, რომლის მხარი შედგენილია ორი ნაწილისაგან, ხოლო მისი მოხრილი ბოლო ქუსლშია ჩასმული, აქვს ხელნა (ერთტოტიანი), განიერი ქუსლი და რკინის სიმეტრიული სახნისი.

ძუბურის ნაწილების ოსური სახელებია: გინონ (მხარი), ფსენ || ფხან (სახნისი), ბანანგ || ფანანგ (ქუსლი—ფიცარი), გუჯლუს (ხელტარი), არ (წინამხარი), სარძგ (ღვეურჭი)⁸.

ოსური სახვნელი იარაღის თავისებურება, როგორც საერთოდ გრძელმხრიანი სახვნელი იარაღებისა, მასში მდგომარეობს, რომ მისი მხარი უღელს სწვდება. მოკლემხრიანი სახვნელისაგან განსხვავებით, რომელსაც მხარის თავი ქვემოთ აქვს დახრილი, გრძელმხრიანი სახვნელის მხარის თავი პირიქით, ზემოთ არის აშვერილი. სახვნელი იარაღის ერთიცა და მეორე სახეც გარკვეულ მიზანს ემსახურება და სათანადო დანიშნულებითაა გამართლებული.

გრძელი მხარის თავის საყრდენს მასთან მცირე ღვედის მეშვეობით დამაგრებული უღელი წარმოადგენს, რომელშიც ხარბია შებმული და ამიტომ მხარის თავის სიმაღლე ხარბის სიმაღლესთან უნდა იყოს შეფარდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სახვნელის სამუშაო ნაწილი (სახნისი და ქუსლი) აყირავდება და მიწას ვერ მოხნავს.

იმ მიზნით, რომ სათანადო სიმაღლეზე მოვიდეს სახვნელის მხარის თავი, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. ერთია, როცა სათანადოდ მოხრილ ხეს ირჩევენ და მისგან გამოთლინ მხარს (მაგ., სვანური ლენწვიშ), ან მხარს ორი ნაწილისაგან ამზადებენ. ნაწილებს ბოლოებით ერთიმეორეს გადააბამენ იმ მიზნით, რომ მხარის თავი აღმა მოვიდეს. ამ უკანასკნელის მაგალითებია მოხეური სახვნელი (მხარის წინა ნაწილს წეწენა ეწოდება), მთიულური (მხარის თავში ამოხვრეტილ საბეწვე ადგილს წარწენი ეწოდება), ინგუშური⁹ და აფხაზური სახვნელები¹⁰.

სახვნელთა ასეთ კატეგორიას განეკუთვნება ოსური ძუბური. მასში ისევე, როგორც სხვა გრძელმხრიან ან შედგენილმხრიან სახვნელში, მხოლოდ ერთი უღელი ხარი შეიბმის, მას გარკვეული დანიშნულების შესრულება

⁸ ცნობა მომართა ა. მაგომეტოვმა, ქ. ორჯონიკიძე.

⁹ Х р и с т и а н о в и ч, Горное земледелие ингушей, Ростов н/Д., 1929.

¹⁰ Г. Ч и т а я, О происхождении абхазских пахотных орудий, Сообщ. АН ГССР т. II, 1941, с. 775.

შეუძლია და გარკვეულ მიწისმოქმედების სისტემას განეკუთვნება; სახვნელ იარაღების კლასიფიკაციაშიც გარკვეული ადგილი უჭირავს.

კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული სახვნელი იარაღების ნაირსახეობა სამ ძირითად ჯგუფად ნაწილდება:

1. **საწერა და აჩაჩა სახვნელი იარაღის ტიპი.** სახვნელი იარაღის ეს ტიპი შედგება მხარის, საბეწვის, საკვეთელისა და სახელურისაგან. მას ეწოდება კავ-წერა, საწერა, ბაქეზოქუზლუნ. ადრე ეს სახვნელი მთლიანი ხის კავი იყო, რაზეც მიგვითითებს მისი სახელწოდება — კავი, ხოლო მის პარალელურად არსებული სახელი საწერა კონკრეტულად მის დანიშნულებას, ფუნქციას — წერას აღიშნავს. კავ-წერა რკინის საკვეთელით გამოყენებული იყო მაგარი ნიადაგების გასაწერად. ამ იარაღის კვალდაკვალ მუშაობდა აჩაჩა-სახვნელი, რომელიც გაწერილ მიწაზე კვალს ავლებდა.

ეს სახვნელი გავრცელებულია სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში და დიღოეთში.

ასეთივეა ის სახვნელიც, რომელიც ასახულია ქრისტეფორე კასტელის მიერ XVII საუკუნეში შედგენილ ალბომში. სახვნელი იარაღის ანალოგიურ ტიპს ვხედავთ სერენას მიერ XIX ს. მეორე ნახევარში დახატულ სურათზე, რომელიც სამეგრელოშია ფიქსირებული. ეს იარაღი მრავალმხრივ არის საინტერესო. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მისი მხარი შედგენილია: მხარის მოკლე ნაწილი თავით ჩამჯდარია ფრჩხილში, რომელიც თავისი ქვემო ნაწილით მიცურავს მიწაზე სახვნელი იარაღის მუშაობის პროცესში.

როგორც ცნობილია, სახვნელი იარაღის ეს თავისებურება იმეორებს იმეორული აჩაჩა ურმის კონსტრუქციულ თავისებურებას.

კავ-წერას კავკასიის გარეთ ვხვდებით ავსტრიის ალპებში, სკანდინავიის მთებსა და უკრაინაში.

ამგვარსავე გრძელმხრიანი სახვნელის პრინციპზეა გებული აჩაჩა, რომელშიც მხოლოდ ერთი უღელი ხარი ებმება და თავისი კონსტრუქციით ნიადაგის ასაჩეჩადაა განკუთვნილი.

აჩაჩა შედგება შემდეგი ნაწილებიდან: მხარი, ქუსლი, ხელნა, საბეწვე, რკინის სახნისი, რკინის საკვეთელი. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა მოხრილი მხარი, რომელიც ქუსლშია ჩამჯდარი. აქაც, როგორც კავ-წერაში, მხარი უღლამდე აღწევს. ამ სახვნელს რკინის სახნისი და რკინის საკვეთელი, თავისთავად ცხადია, მხოლოდ გვიან უჩნდება.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ეს სახვნელი იარაღი წარმოდგენილია ნაირი სახეობებით. თუ ერთ შემთხვევაში მისი მხარი და ქუსლი ერთ მთლიან ხედ წარმოგვიდგება, მეორე შემთხვევაში ქუსლი და ხელნა მთლიანი ხისა, გვხვდება აგრეთვე სხვადასხვაგვარი ქუსლი და მხარი.

სახვნელი იარაღის ეს სახეობა გავრცელებულია მთელ კავკასიაში. იგი მთურ მიწისმოქმედებას ემსახურება, ხოლო ბარში უპირატესად მიწის ასაოშავად არის განკუთვნილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახვნელი იარაღი ტიპოლოგიურად ენათესავება ძველ აღმოსავლურსა (შუმერულს) და ხმელთაშუა ზღვის აუზის სახვნელ იარაღებს.



განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აჩაჩას კონსტრუქციაში მხარია და ქუთაისის სხვადასხვა კომბინაციის მიხედვით ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ადვილად შეიძლება თვალი გავადევნოთ მოხრილობრიანი და ქუთაისში ჩამკლარმხრიანი სახვნელიდან თანდათანობით გადასვლის პროცესს ისეთ სახვნელ იარაღზე, რომელსაც აქვს ხელნაში გაყრილი სწორი მხარი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის სახვნელი იარაღი (აჩაჩა) კავკასიაში მაინცდამაინც ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში იყო გამოყენებული. ამ დროისათვის ამიერკავკასიაში უკვე არსებობდა: კევრი, საღვარიანი წისქვილი, შერეული თესლის გამოყენება მოსავლის გადიდების მიზნით, ხარის კულტი, ვეშაპის ქანდაკებები, გამოქვამული ქალაქები, ლითონის, კერძოდ რკინის დამუშავების განვითარებული ტექნიკა და მორწყვის სისტემა.

2. ორხელა სახვნელი იარაღის ტიპი. ორხელა შედგება მოკლე მხარის, ხის კავის, ქუთაისის, ორტოტა ხელნისა და დვედისაგან. ამ სახვნელის კონსტრუქციაში პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მოკლე მხარი, რომელიც უღლისაგან დიდადაა დაშორებული. ამიტომ თავზე მას მიმაგრებული აქვს ხის კაუჭი, კავი. მუშაობის პროცესში კაუჭი თავისი ქვემო ნაწილით მიწაზე ცურავს.

ამავე სახვნელის სხვა თავისებურებას შეადგენს გრძელტოტებიანი, ოღონდ მოკლედროიანი ხელნა.

ასეთი კონსტრუქციის ხელნა მხვენელს საშუალებას აძლევს ხენის პროცესში სახვნელი იარაღი ასწიოს და დასწიოს სახნავი ნიადაგის რელიეფის შესაბამისად. მთის პირობებში ხენის რთული პროცედურა მსუბუქდება, გარდა იმისა, რომ ამ სახვნელს თავისებური ხელნა აქვს, იმიტაც, რომ მას მოკლე მხარი და კაუჭი მოეპოვება. ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორხელა სახვნელში შეიძლება ორი-ოთხი უღლის ხარების შებმა, რაც საშუალებას იძლევა გააფხვიეროს შედარებით ძნელად გასატეხი ნიადაგი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ დროისათვის (ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარი) უკვე გამოყენებულია რკინის სახნისი (სოხუმში აღმოჩენილი სახნისი თარიღდება ძვ. წ. მეორე საუკუნით), ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რამდენად მძლავრი სახვნელი იარაღია ორხელა აჩაჩა სახვნელთან შედარებით.

ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ორხელა სახვნელის მუშაობის შესამსუბუქებლად საქართველოში გამოყენებული იყო სპეციალური საშუალება — ქიბორჯი; ამით გუთნისდედის დამხმარე მუშაკი დროდადრო არეგულირებს ორხელას კაუჭის მოძრაობას.

სახვნელი იარაღის ამ ტიპის გავრცელების არე საქართველოს მთიანეთითაა შემოფარგლული. კავკასიის სხვა ხალხებს შორის, გარდა ქართველებისა, ჩვენ მას ვერ ვხვდებით.

ამ ტიპის სახვნელი იარაღებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას რაჭული სახვნელი წარმოადგენს, რომელსაც მეტად საყურადღებო ფორმას ქუთაისი აქვს. თავისი ოვალური მოყვანილობის წყალობით ამ ქუთაისს შეუძლია გაჭრილი ბელტი გადააბრუნოს და დაფშვას. უფროთა ეს იარაღი, მაგრამ ფარფლიანი (ოვალური) ქუთაისის შემწეობით იმავე ფუნქციას ასრულებს მცირე მასშტაბით, რასაც ფამფალაკიანი დიდი გუთანი თავისი ფრთით.

3. ფამფალაკიანი დიდი გუთანი. ის შედგება ფამფალაკისაგან და სახვნელი იარაღის იმ მუშა ნაწილისაგან, რომელსაც აქვს თავიანი რვილი, კორა, ხელნები, ფრთა (ოვალური), ქუთაისი, კაკაბი, ასიმეტრი-

ული რკინის სახნისი და საკვეთელი. ამ იარაღის დანიშნულებაა ღრმად ხვნა. ამ იარაღის სახნისით აჭრილი ბელტი ადვილად აცურდება ოვალურ ქუსლზე, გადმობრუნებული ძირს ეცემა და იფშვება. გადამბრუნებულ ბელტზე მზის სხივები ძლიერ მოქმედებს, წვიმის წყალიც ღრმად სწვდება და სარეველა ბალახებიც ადვილად ისპობიან. ისიც აღსანიშნავია, რომ ღრმადხვნის წყალობით ნიადაგი სინესტეს დიდხანს ინახავს, რაც ცხელ ზაფხულშიც კი კარგი მოსავლის საიმედო საწინდარია. ეს სახენელი უპირატესად სამეკიდვო, საანეულო სახენელ იარაღად იყო განკუთვნილი. მასში ებმოდა 6—10 უღელი ხარ-კამეჩი. მუშაობის პროცესში ეს იარაღი 40—60 სმ ბელტს ჭრიდა. მისი სახნისი და საკვეთელი ერთად 20 კგ იწონიდა საშუალოდ, ხოლო 4 უღლის ღვედის დასამზადებლად საჭირო იყო 2 კამეჩის ტყავი.

ამ სახენელის კონსტრუქციულ თავისებურებიდან უნდა აღინიშნოს ის, რომ მისი თვლები სხვადასხვა დიამეტრისა იყო. მათი დიამეტრის სხვაობა უღრის კვალის სიღრმეს. მისი მეორე თავისებურებაა მოხრილი რვილი, რაც აპრობებს რვილსა და ქუსლს შორის გაბარიტის სიდიდეს. ყურადღების ღირსია, რომ რვილის მოხრილობა ორ სიბრტყეშია მოცემული — ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურში. შემდეგი თავისებურებაა ამ სახენელის ქუსლად ასიმეტრიული სახნისი.

კავკასიაში ამ სახენელი იარაღის გავრცელება შემოიფარგლება ბარის ზოლით. ის გვხვდება საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, ინგუშეთ-საჩჩანოს, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდოსა და ადიღეს ბარში.

XVIII საუკუნეში ამ სახენელი იარაღის არსებობას ამოწმებს გიულდენ-შტედტი საქართველოში, უკრაინასა და ირანში.

რიგი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იარაღი XII—XIV სს. ამიერკავკასიიდან გავრცელდა სამხრეთისაკენ ირანში, ხოლო ჩრდილოეთით დაღესტანში, ჩერქეზეთში, ვოლგისპირეთსა და უკრაინაში. კავკასიაში ამ იარაღს გამოუწვლად გუთანი ეწოდება. ამავე სახელწოდებითაა ის ცნობილი სპარსეთში. გამოწვლისა ვოლგისპირეთი და უკრაინა, სადაც ეს იარაღი აღინიშნება ტერმინით საბან. ეს თურქულ-მონღოლური სახელწოდება მონღოლების ეპოქაში უნდა გავრცელებულიყო ამ სახენელი იარაღის გავრცელებასთან ერთად. რაც შეეხება სახელწოდება საბანს, შუა აზიაში ამ ტერმინით აღინიშნება უფამფალიკო, სადა კონსტრუქციის სახენელი იარაღი.

ზემოდასახელებული სახენელი იარაღების კლასიფიკაცია ემყარება დაყოფის ისეთ პრინციპს, როგორცაა სახენელი ფუნქცია, წინააღმდეგ ისეთი კლასიფიკაციისა, რომელიც ფორმა-კრიტერიუმზეა დაფუძნებული: ეს უკანასკნელი ითქმის ისეთ ავტორებზედაც, როგორებიცაა Nopsca, Leser, Montandon, Hehn, და Haudricout — Delamarro, რომლებიც კლასიფიკაციის დროს სახენელების ფორმალურ მაჩვენებლებს აქცევენ ყურადღებას. ამის გამო მათი კლასიფიკაციები მოკლებულია დამაჯერებლობას.

როგორც ირკვევა, სახენელი იარაღების იმ კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი, ოსური სახენელი იარაღი ძუბური ექვმიუტანლად კლასიფიკაციის პირველ ჯგუფს განეკუთვნება. მას ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რომლებიც ამ ჯგუფისათვის ნიშანდობლივია: გრძელი, მაგრამ შედგენილი მხარი, მოხრილი ბოლოში და ამ უკანასკნელის ქუსლში ჩამჯდარი, ერთტოტიანი ხელნა და საბეწვე. ყოველივე ამასთან ერთად

მასში მხოლოდ ერთი უღელი ხარი შეიძლება შევხვდეთ და ამდენად ამ იარაღს მხოლოდ ნიადაგის აჩეჩვა შეუძლია. ის მთის თხელი და ფხვიერი ნიადაგების მოხვნას ეფექტურად ემსახურება. სახვნელი იარაღის ეს ტიპი გამოყენებულია კოლხეთის და ლეჩქორანის დაბლობებში, სადაც მსუბუქი ნიადაგი არ მოითხოვს ღრმა ხვნას და სადაც ამ ოპერაციისათვის ერთი უღელი ხარი სავსებით საკმარისია.

მართლაც, ეს იარაღი სავსებით შეგუებულია ოსეთის მთის პირობებთან, რადგანაც ღრმად ხვნა აქ ეროზიას შეუწყობდა ხელს, ხოლო რელიეფის გამო სახვნელ იარაღში ორი და მეტი უღელი ხარის ერთად მუშაობა შეუძლებელია.

ხშირად მკვლევარები ფიქრობენ, რომ რაკი ამა თუ იმ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარტივი იარაღია ხმარებაში, ამ იარაღის გამოყენებელი ხალხი განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე წარმოუდგენიათ. საქმე ის არის, რომ იმ პირობებში, რომელშიც ეს ხალხი ცხოვრობს, რთული იარაღის გამოყენება გამორიცხებულია. ამით მართებული არ იქნებოდა მთის ზოლის ოსების კულტურული დონე პრიმიტიულად დაგვეჩინა.

რაც შეეხება სახვნელი იარაღის ოსურ სახელწოდებას — zybyr || zibur || зывур, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ამ სიტყვის ეტიმოლოგიის ცდა, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ლინგვისტს ვ. აბაევს.

იგი ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა ძველი სკვითური უნდა იყოს, ხოლო მნიშვნელობით მრგვალსა და წამახულს უნდა აღნიშნავდეს; ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს: „იარაღი მახვილი, გამოშვერილი ბოლოთი“¹¹.

ვ. აბაევის მიერ მოტანილი სიტყვის განმარტებაში ჩვენ გვეჩვენება, რომ არ არის ზუსტი ძებურ-ის შესატყვისად მივიჩნიოთ რუსული სიტყვა Соха, როგორც ზემოთ დავინახეთ, ძებურ განეკუთვნება ისეთი სახვნელების ტიპს, რომელთაც ახასიათებთ გრძელი მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მხარი. Соха-ს ტიპის სახვნელებს კი სულ სხვა თავისებურებები ახასიათებთ. თუ მართალი გამოდგა ვ. აბაევის ვარაუდი, ძებური თავდაპირველი მნიშვნელობით მახვილბოლოანი იარაღი უნდა იყოს და ამდენად იგი სოხას ტიპის იარაღს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე აჩაჩას. ასეთი ვარაუდისათვის შეიძლება გამოდგეს დამხმარე მასალად გუთურში შემონახული სიტყვა Нога, რასაც სოხა-სთან აიგივებენ. ძუბურის ამგვარი თავდაპირველი მნიშვნელობა ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ აჩაჩას ტიპის სახვნელ იარაღზე გადმოტანილია ოსების მიერ ის სახელწოდება, რომლითაც ადრე სოხას ტიპის სახვნელი აღინიშნებოდა, მსგავსად იმისა როგორც ოსებმა ორხელა სახვნელ იარაღს ძუბური შეარქვეს.

ამრიგად, სპეციალური ნაშრომი, რომელიც იკვლევდეს ოსურ სახვნელ იარაღს დღემდე არ გამოქვეყნებულა. ა. ჰაქსტაუზენის მიერ გასული საუკუნის ორმოციან წლებში ფიქსირებული სახვნელი იარაღი Sibir არ არის ოსური იარაღი, არამედ ქართული სახვნელი ორხელაა. ამავე დროს მისი მეკლენბურგის სახვნელთან გაიგივება, როგორც ამას ჰაქსტაუზენი და ბრაუნგარტი ჩაიდან მცდარია. ორხელა განეკუთვნება მოკლემხრიანი სახვნელი იარაღის

¹¹ В. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, М.—Л. 1958 „Соха... Наличие слова на территории Южной Руси, с одной стороны, и в осетинском, с другой, позволяет думать о старом скифском наследии... Исходное значение: орудие с острым, торчащим концом“, стр. 408.

ტიპს, რომლის გავრცელების არეალი მხოლოდ საქართველოს მთიანეთის
სახენელი იარაღი მიღებულია გრძელმხრიანი სახენელი იარაღის შემადგენელი
ძირითადი ნაწილების შინაგანი განვითარების შედეგად.

ოსური zybyr||zybur||zyvyr ტიპოლოგიურად განეკუთვნება გრძელ
და მოხრილმხრიან სახენელს. სახენელი იარაღის ეს ტიპი და მისი ვარიანტები
ფართოდაა გავრცელებული კავკასიის მოსახლეობაში. თავის მხრივ ის პოეებს
ანალოგს სუმერულ (ურის) სახენელ იარაღში (gisAPIN).

სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ძუბურის განმარტება საჭიროებს
დაზუსტებას.

ინგუშეთისა და ჩეჩნეთის სახვნელი იარაღები

ქვემოთ განხილულია ის სახვნელი იარაღები, რომლებიც გამოყენებულა იყო ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მთის ზოლის მეურნეობაში.

ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მთიანეთის სამიწათმოქმედო პირობები რიგ თავისებურებებს შეიცავს. აქ მოცემული ვერტიკალური ზონალობა ოთხ რაიონადაა დაყოფილი:

პირველი რაიონი მდებარეობს ზღვის დონიდან 1100—1500 მეტრზე. აქ ყველა კულტურა შეიძლება დაითესოს: ქერი, საგაზაფხულო ხორბალი, შვრია, კარტოფილი და ყვითელი სიმინდი.

მეორე რაიონი 1500—1700 მ სიმაღლეზეა. აქ მოდის საგაზაფხულო ქერი, საგაზაფხულო ხორბალი, კარტოფილი და შვრია.

მესამე რაიონია 1700—1800 მ სიმაღლეზე — მოდის ქერი და კარტოფილი.

მეოთხე რაიონია 1800—2000 მ სიმაღლეზე მოდის ქერი და კარტოფილი.

საგაზაფხულო ხვნა იწყება მარტ-აპრილში. ზოგ შემთხვევაში მაისშიც ხნავენ. ამუშაებენ 1—2 წლის ყამირს ან წინა წლის ნათესს. უმეტეს შემთხვევაში ხნავენ ერთჯერად: ჯერ გაწერენ ნიადაგს საწერით, ხოლო გაწერილზე გაატარებენ აჩაჩას, რომელიც ბელტს აბრუნებს. ხვნის პროცესში მონაწილეობს სამი მუშა და ორი უღელი ხარი. ამ წესით მოხნულის სიღრმე 8—12 სანტიმეტრია, ხოლო მოხნულის ფართობი შეადგენს 0,25—30 ჰა-ს სამუშაო დღის 11—12 საათში.

ზოგიერთ რაიონში, იქ სადაც მსუბუქი მიწებია, საწერას არ იყენებენ და პირდაპირ აჩაჩით ხნავენ. აქ ჩვეულებრივად მოხვნისთანავე თესავენ. თესავს მთესველი თესლისმპირავის დახმარებით. დათესილს კაბდო-ფარცხით ფარცხავენ. იშვიათად იყენებენ კბილებიან ფარცხს.

უნდა აღინიშნოს, რომ თესვის დრო ხშირი გვალვის გამო გაზაფხულზე მცირეა. ამიტომ თესვის ოდნავ დაყოვნებას შეუძლია გამოიწვიოს ნათესის გაცულება. თესვის ვადების განსხვავება მაღალ და დაბალ ზოლებს შორის შეადგენს 5—7 დღეს.

თესლის მოსამზადებლად ხდება შერჩევა უფრო მოსული მსხვილი და მძიმე მარცვლისა, მკის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ადრეულმა ყინვებმა ნათესი დააზრო, სათესლე მარცვალს იძენენ არა ბარში, არამედ მთაში, მთის ყანებში მოწეულს. ნათესის სიხშირე მთაში მეტად დიდია. აქ შემჩნევა გარკვეული კანონზომიერება. რაც უფრო მაღალია ნათესი ზღვის დონიდან—ნათესის სიხშირე იმდენად უფრო მეტია.

აქ მკა იწყება სექტემბრის შუა რიცხვებში, ხოლო მთავრდება ოქტომ-

ბერში. მკის 2—3 კვირის შემდეგ ბულულები მიაქვთ კალოზე, სადაც საჭიროების ფეხის შემწეობით ლეწავენ.

ქვეყნის რელიეფი და ბუნებრივი სახნავი, მამულების სიმცირე, აიძულებდა ადგილობრივ მოსახლეობას საუკუნეების მანძილზე ეზრუნა, რომ ბუნებისათვის გამოეგლიჯა თითოეული ნაკუჭი მიწისა, ცოტა თუ ბევრად გამოსადეგი მარცვლეული კულტურებისათვის. წინასწარ ატარებდნენ მოკარებას, შემდეგ ეზიდებოდნენ მიწას, პატივს და აგებდნენ ყორეებს, რათა დაეცვათ ტერასები (ოროკოები) მეწყერისაგან. აქაური მოსახლეობა იყენებდა მორწყვას.

მოხუცების გადმოცემებით, როდესაც მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე იყო, მიწის ნოყიერების აღდგენის მიზნით იყენებდნენ ანეულით ხვნას. შემდეგში გამოყენებული იყო მხოლოდ ბუსნა და საძოვრად გაშვება¹.

ყამირად მიწის დაგდება მთაში მრავალგვარ სირთულესთანაა დაკავშირებული: ხშირად ასეთი მიწა მეწყერდება ან კიდევ ქვევით დაიხორგება ისე, რომ სახნავად გამოუყენებელი ხდება.

აქ ყველაზე ძვირფასად ცხვრისა და შემდეგ მსხვილი რქოსანი საქონლის პატივი მიაჩნიათ. ცხენისას იყენებენ მხოლოდ კომბოსტოს ბაღის გასაპატივებლად. ერთ ჰა კარტოფილს სჭირდება დაახლოებით 34—86 ტონა პატივი, სიმინდს — 27—75 ტ, ქერს 23—75 ტ, ხორბალს — 25 ტონამდე, ხოლო შვრიას — 17 ტონამდე. პატივი მამულში გაჰქონდათ მაღალ მთიან ზოლში მხოლოდ გაზაფხულზე.

მოსახლეობა ორს, სამსა და ოთხ მინდვრიან სისტემას იყენებდა.

მოსავლიანობა მარცვლეული კულტურებისა აქ სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა ფაქტორებთან არის დაკავშირებული. ზოგ რაიონში ტენიანობას აქვს მნიშვნელობა, ხოლო სხვა რაიონებში საჭიროა ბევრი მზის სხივი და ღრუბლების მაქსიმალური სიმცირე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსავლიანობა გარკვეულ კანონზომიერებით ხასიათდება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. ასე, ზრდის ოპტიმალური პირობებია საგაზაფხულო ხორბლისათვის 1630—1720 მ ფარგლებში, ხოლო ქერს უფრო ფართო ამპლიტუდა აქვს, სახელდობრ, 1500—1750 მ ფარგლებში. შვრიაც კარგ ზრდას იძლევა 1600—1700 მ. ზონაში (იხ. ცხრილი 1).

მარცვლეული კულტურების ოპტიმალური ზრდის ზონალობა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ 1700 მ ზემოთ მარცვლეულებს მოყინავს ხოლმე, ხოლო 1150 მ ქვემოთ მათ ზიანს აყენებს გვალვა და ბურუსი.

მოსავლის გადიდებისა და შემცირების შესაბამისად, აგრეთვე საყანე მამულის მდებარეობისა და ექსპლოატაციის მიხედვით იცვლება სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა. ვეგეტაციის ხანგრძლივობა მცირდება შესაბამისად საყანე მამულის გეოგრაფიული სიმაღლისა.

ისე, როგორც ყველა ხალხი, რომელთათვის მიწათმოქმედებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ინგუშები და ჩეჩნები ხვნის დაწყების წინ იხდიდნენ ამ მომენტთან დაკავშირებულ დღეობას. ნ. ხარუშინის მიხედვით, ინგუშები და ჩეჩნები ხვნის დაწყების წინ სოფლად ერთად იკრიბებოდნენ. თითოეულს მოჰქონდა — ვის რამდენიც შეეძლო, სანოვავე და მოჰყავდა ცხვრები. საყ-

¹ აქვე უნდა აღინიშნოს, ამ მეურნეობაში ძველად ანეული დაკავშირებული იყო ქერის მოწყვესთან, რასაც ლუღისათვის იყენებდნენ.

სიმაღლე მეტრებში	ეულტურები	ფეხბურთის დღეთა რიცხვი	მოსავალი კილოგრამებში 1 ჰა-დან				1000 კილოგრამზე	
			გამატიეებელი		გაუმატიეებელი		ნაშვა მოდის	
			მარც.	ნაშვა	მარც.	ნაშვა	გამატ.	გაუმატ.
მალალი შთის ზოლი (1700 — 1900 მ)	სავაზუფხული ხორ- ბალი	160	458	—	425	9226	—	1365
	ქერი	143	554	1226	190	1500	362	126
	კარტოფილი	163	4502	—	—	—	—	—
	სიმინდი	—	—	—	—	—	—	—
	შვრია	153	—	—	600	900	—	660
შუა შთის ზოლი (1500—1700 მ.)	სავაზუფხული ხორ- ბალი	162	—	1080	333	810	—	400
	ქერი	145	609	833	434	716	718	561
	კარტოფილი	164	—	—	—	—	—	—
	სიმინდი	—	—	—	—	—	—	—
	შვრია	163	541	588	—	780	920	—
ქვემო შთის ზოლი (1100—1500 მ)	სავაზუფხული ხორ- ბალი	173	—	—	225	810	—	277
	ქერი	150	549	955	—	—	570	—
	კარტოფილი	183	3233	—	—	—	—	—
	სიმინდი	193	580	1392	540	540	417	1000
	შვრია	179	885	735	365	750	1204	490

ლექსი საერთოდ კლავდნენ და იმის შემდეგ იწყებოდა ქეიფი ცეკვითა და სიმღერის თანხლებით².

აქვე უნდა ითქვას, რომ აქ ნიადაგები თხელი და მსუბუქია, უპირატესად კირიან-ბუსნიანი.

ასეთია სამიწათმოქმედო პირობები მთიანს ინგუშეთსა და ჩეჩნეთში. ეს პირობები გავლენას ახდენს სახვნელ იარაღებზე. აქ ჩვენ გვაქვს ამ პირობებთან შეგუებული და სათანადოდ ეფექტური სახვნელი იარაღები.

მთიანს ინგუშეთსა და ჩეჩნეთში ორი სახის სახვნელი იარაღია დამოწმებული: 1. ბაქეზ ოგუზ ლუნ. და 2. ნუხ, ანუ ნუოხი.

II

ბაქეზ ოგუზ ლუნ, რომელსაც ქართულში შეესაბამება საწერა და კავწერა, მარტივი იარაღია. იგი შედგება მხარისა, საბეწველისა, ხელნასა და საკვეთელისაგან. ამ ნაწილებიდან ყველა ხისაა, მხოლოდ საკვეთელია რკინისა. მასში მხოლოდ ერთი უღელი ხარი შეიბმის. ამ იარაღის ძირითადი დანიშნულებაა საგზაფხულო ხვნის დროს წინასწარ, ვიდრე აჩაჩი — სახვნელი იარაღი მიწას მოხნავდეს, საყანე გაწეროს, დაწეროს. ნიადაგის გაწერვა ყველაზე უძველესი საფეხურია მიწათმოქმედების ისტორიაში. ჩვენი მასალების მიხედვით, აჩეჩვასა და ხვნას წინ უსწრებდა მიწის გაწერვა.

ამ იარაღის დანიშნულებას კარგად პასუხობს მისი კონსტრუქცია. ის იმდენად სადაა, რომ მას მხოლოდ მიწის გაწერა შეუძლია. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება: ბაქეზ ოგუზ ლუნი თავისი საწერი ფორმით ადრე მთლიანად ხისა უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს გიულდენშტედტის მასალები³. რკინის საკვეთელი ამ იარაღს შემდგომში აქვს შექენილი. ადრე ის წარმოადგენდა ხის მორს, რომლის ტოტი საკვეთლის როლს ასრულებდა.

გავრცელების მხრით ბაქეზ ოგუზ ლუნი გარდა ინგუშეთისა და ჩეჩნეთისა, გვხვდება საქართველოში, სახელდობრ: ხევსურეთში, თუშეთში, სვანეთში; დამოწმებულია ის აგრეთვე დიდოეთში. როგორც ვხედავთ, ამ იარაღის გავრცელების არეალი კავკასიის მთიანეთია. თავისი ფუნქციით ის ყველგან ერთი და იმავე დანიშნულებისაა.

გარდა კავკასიისა, იგი დამოწმებულია ავსტრიის ალპებსა და სკანდინავიის მთიანეთში, აქაც ამ იარაღს მიწის გაწერვა აკისრია და ამ ფუნქციას ასრულებს.

რამდენადაც ამ იარაღის მიწის გაწერვა ევალება და ადრეც ევალებოდა, იგი სახვნელი იარაღების წინამორბედად გვევლინება და კლასიფიკაციაში იმ

² Н. Х а р у з и н, Заметки об юридическом быте чеченцев и ингушей. СМЗ, изд. I при дашковском этнографическом музее, в. III, М. 1888, с. 232; Г. Ч у р с и н, Пра-здняк „выхода плуга“ у горских народов Дагестана, Известия КИАНИ, т. 5, Т. 1927.

თუშები ამ დღეობას ასე იხდიდნენ: „25 მარტს ძვ. სტ., რომელსაც ო ც ო ბ ა ს უწოდებენ, „უღელი იარაღით“ იტყვიან და სამკერ გაატარ-გამოატარებენ სახვნელს ქალები, მოსავალი უფრო ნაყოფიერი იქნებაო. გამოაცხობენ ქაღებს, კოტორებს და სანთლით დაილოცებიან“. (ცნობა მომწოდია შოთა ბაკურაძემ).

³ გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა საქართველოში, თბ., 1962.

სახენელ იარაღთა შორის ექცევა, რომელთაც მხოლოდ გაწერვა და აჩეჩვა შეუძლიათ და რომლებშიც მხოლოდ ერთი უღელი ხარი შეიბმის ხოლმე⁴.

როგორც ცნობილია, რკინის ხანამდე სახენელ იარაღებს არც ერთ ქვეყანაში ლითონის ნაწილები არ გააჩნდათ.

სათანადო წყაროების მიხედვით, სახენელი იარაღი სუმერეთში, ბაბილონში, ასურეთსა და ეგვიპტეში ხისა იყო (სუმერულად ეწოდებოდა გიშ-აპინ, რაც აღნიშნავს ხის იარაღს), საგულისხმოა, რომ საქართველოში რბილი მიწების მოსახნავად იყენებდნენ ისეთ კავს, რომელსაც ქუსლი მაგარი ჯიშის ხისაგან (ძელქვისა) ჰქონდა დამზადებული⁵. ასეთ კავს რკინის სახნისი არ სჭირდებოდა.

ამგვარად ინგუშურ-ჩეჩნური ბაქეზ ოგუზ ლუნ-ის სახით ჩვენ გვაქვს ისეთი სახენელი იარაღი, რომელიც თავისი საწყისი ფორმით უძველეს უქუსლო, მიწის დამწერ სახენელებს განეკუთვნება. მას მოეპოვება ანალოგები როგორც კავკასიაში, ასევე ევროპის მთიან ქვეყნებში.

III

მეორე სახენელი იარაღი, რომელიც ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მთიანეთში იყო ხმარებაში, წარმოადგენს აჩაჩას, რომელსაც აქვს გრძელი მხარი, მოხრილი ბოლო ნაწილით, ქუსლი, რომელშიც ერთის მხრივ მხრის ბოლოა ჩასმული, ხოლო მის წვერზე წამოცმულია რკინის სახნისი. ქუსლამდე ჩასმულია ხელნა, რომელსაც ზემოთ ხელკუდი აქვს მიმაგრებული. გარდა ამისა, მხარს წვერზე რამდენიმე საბეწვე აქვს გახვრეტილი. ამ სახენელ იარაღს ინგუშურად ლამინუხ ეწოდება, რაც ნიშნავს მთის სახენელ იარაღს.

სახენელი იარაღის ზომაზე დასაყენებლად გამოყენებულია სოლები, რომელთა შემწეობით წარმოებს მხრის აწევ-დაწევა ქუსლში. ეს სახენელი მხოლოდ ერთ უღელ ხარს შეიბამს. ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მთიანეთში იგი განკუთვნილია გაწერილ ნიადაგზე კვალის გასაგლებად, მიწის ასაჩეჩავად.

ეს სახენელი იარაღი ფართოდაა გავრცელებული კავკასიის მთიანეთში, ხოლო კავკასიის ბარში ჩვენ მას ვხვდებით იმ ადგილებში, სადაც ანეულის შემდეგ წესად აოშვაა მიღებული (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო-კავკასიის ვაკეები), ან კიდევ ისეთ დაბლობებში (კოლხეთი, ლენქორანი), სადაც მსუბუქი მიწებია, ღრმა ხვნა არ არის საჭირო და ერთი უღელი ხარით ასეთი აჩაჩით იოლად გადაიან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს იარაღი სპეციფიკურია კავკასიის ხალხებისათვის. სახენელი იარაღების კლასიფიკაციის თვალსაზრისით ეს სახენელი იარაღი განეკუთვნება გრძელმხრიან ერთუღლიან სახენელ იარაღებს, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა მიწის აჩეჩვან.

ინგუშეთსა და ჩეჩნეთში ამ სახენელი იარაღის გაუმჯობესებული ვარიანტია ლამინუხი⁶. მას შედგენილი მხარი აქვს რაც იძლევა მეტ შესაძლებლობას, ხარებს კარგად მოერგოს სახენელი იარაღის მხარი და ხარებმა შედარებით იოლად იმუშაონ.

⁴ Г. Ч и т а я, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, ВЭК, Тб. 1952.

⁵ ცნობა მომართა ივანე რუხაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

⁶ გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი.

⁷ А. Г е н к о, из культурного прошлого ингушей, ЗКВ, V, გვ. 741.

ამ სახვნელი იარაღის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ინგუშეთსა და ჩეჩნეთის მთიანეთში იგი საწერისაგან დამოუკიდებლად მუშაობს, როგორც უფრო გამძლე და დონიერი სახვნელი იარაღი.

საკლასიფიკაციო სისტემაში ერთსა და იმავე ჯგუფში ექცევიან ისეთი სახვნელი იარაღები, რომელთაც გრძელი მხარი აქვთ, ერთ უღელ ხარს შეიბამს და განკუთვნილია არა ღრმა, არამედ პირად ხვნისათვის, მიწის ასა-ჩეჩავად.

ამ იარაღს ანალოგი სუმერულ სახვნელ იარაღებში აქვს, ისევე როგორც მისი ანალოგები ხმელთაშუა ზღვის კულტურის არეშიც დასტურდება.

ქართულ აჩაჩად სახელწოდებული ეს სახვნელი იარაღი ინგუშეთსა და ჩეჩნეთში იზოლირებული მოვლენა არ არის. აქვე დადასტურებულია ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ბარში სახელწოდება ისეთი სახვნელის, რომელიც აღნიშნავს მთელ კომპლექტს იმისას, რაც საჭიროა ხვნისათვის, ე. ი. ქართულ გუთნულს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ბარში ქართული გუთანია დამოწმებული. მაგრამ კულტურულ ურთიერთობაზე ინგუშეთ-ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის მიუთითებენ არა მარტო მატერიალური კულტურის მაჩვენებლები, არამედ სულიერი კულტურის ფაქტებიც.

რაც შეეხება სახვნელი იარაღის ინგუშურ-ჩეჩნურ სახელწოდებას ლამინუხ, იგი სავსებით იზოლირებულად დგას ყველა სხვა სახვნელი იარაღების სახელებისაგან, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ კავკასიის სხვა ხალხებში.

ყოველივე ზემოთქმულს დავძენთ, რომ ხშირად იმის მიხედვით, თუ რა სახის სახვნელი იარაღია ამა თუ იმ მხარეში გაბატონებული, ასკვნიან, თუ განვითარების რა დონეა მოცემული. ანგარიში არ ეწევა იმ პირობებს, თუ რა ვითარებაში ცხოვრობს ადამიანთა საზოგადოება. მაგ., იმის მიხედვით, რომ კავკასიის მთიანეთში რთული სახვნელი იარაღი არ იხმარება, მიაჩნიათ სამეურნეო ყოფა პრიმიტიული განვითარების საფეხურზე მყოფად, არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ კავკასიის მთიანეთის პირობებში რთული სახვნელი იარაღის გამოყენება გამორიცხულია. ამდენად აქ ხმარებაში მყოფი ბაქეზ ოგუზ ღუნე და ლამინუხი არ არის იმის მაჩვენებელი, რომ აქ მეურნეობა პრიმიტიულ საფეხურზე იმყოფება.

ჩვენ ვასკვნი: ჩეჩნეთსა და ინგუშეთის მთიანეთის სახვნელი იარაღების სახეობაზე გავლენა მოუხდენია პირველ ყოვლისა მთური თხელი და მსუბუქი ნიადაგების არსებობას. ქვეყნის რელიეფი და ბუნებრივი საყანე მიწების სიმცირე აიძულებდა ჩეჩნებსა და ინგუშებს შეექმნათ ხელოვნური საყანე ნაკვეთები: საჭირო იყო ნაკვეთის მოკარგება, საქვიების (ტერასების, ოროკოების) შექმნა და მიწის და პატივის მოზიდვა ხურჯინებითა და ხელის მარხილებით. აქვე იყო საჭირო ყორების აგება ნაკვეთის დაცვის მიზნით ნიაღვრებისა და მეწყერისაგან.

ინგუშებისა და ჩეჩნების ყოფაში დამოწმებული იყო სახვნელი იარაღების ორი სახეობა.

უქუსლო სახეობის ერთს სახვნელ იარაღს აქვს გრძელი, უღლამდე მწვდომი მხარი, ზელნა, საბეწვე და რკინის საკვეთელი. მისი დანიშნულებაა ნიადაგის გაწერვა. თავისი დანიშნულების მიხედვით ეს იარაღი უნდა იყოს მიწნეული იმ სახვნელი იარაღის წინამორბედად, რომელიც მიწას კი არ წერავს, არამედ ზნავს. თავისი საწყისი ფორმით ეს იარაღი (საწერა ბაქეზ ოგუზ ღუნე)

მთლიანად ხისა იყო, როგორც ეს კარგად ჩანს გიულდენშტედტისა და ზელუ-
ნინის მასალებიდან.

მეორე სახვნელი იარაღი (ლამინ ნუხ, ნუხ, ნუოხ), აჩაჩას სახვნელის სა-
ხეობისა, ფართოდაა გავრცელებული კავკასიის მთიანეთში, მას ჩეჩნეთსა და
ინგუშეთში ორი ვარიანტით ვხვდებით. მისი ერთი ვარიანტი წარმოდგენილია
მოხრილი გრძელი მხრით, რომელიც თავისი ბოლოთი ქუსლშია ჩამჯდარი.
კავკასიის მთიანეთის გარდა სახვნელი იარაღის ეს ვარიანტი ფართოდაა გავრ-
ცელებული ამ ზოლს გარეთაც. იგი კავკასიის ხალხებისათვის სპეციფიკური
იარაღია. გამოყენებულია იგი კოლხეთისა და ლენქორანის დაბლობებში, სა-
დაც რბილი ნიადაგებია და საჭირო არ არის ღრმა ზენა, ისევე როგორც
საოშავი იარაღი ღრმად მოხნულის ასაჩეჩავად და თესვის წინ ხნულის, გასა-
ფხვიერებლად როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში, სომხეთში, და-
ღესტანსა და ჩრდილო კავკასიაში.

ამ იარაღის მეორე ვარიანტს შედგენილი მხარი აქვს. ამით ის წარმოად-
გენს გარდამავალ სახეობას გრძელმხრიანი სახვნელიდან რვილასახვნელის სა-
ხეობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სახვნელი იარაღის ეს სახეობა ცნობილია
ძველს აღმოსავლეთსა (სუმერეთი) და ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურებში
(ეტრუსკები).

1960 წ.

დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო იარაღები

დასახლების ტიპი მთიულეთში

დასახლების საკითხის შესწავლა საქართველოში ახალი თემაა. უკანასკნელ დრომდე მკვლევრები აღნიშნულ საკითხს მხოლოდ გავრით ეხებოდნენ, სისტემატური და სტაციონარული შესწავლის საგანი კი ის არ ყოფილა. აქ ეს საგანი მხოლოდ საკითხის დასმის თვალსაზრისით არის განხილული.

ცნება დასახლება ვარაუდობს ადამიანთა საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას.

ამგვარად გაგებული საკითხი შეიძლება შესწავლილი იქნეს ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენობრივი და გეოგრაფიული თვალსაზრისით. ენობრივი შესწავლა, კერძოდ, გულისხმობს ტოპონიმიკის შესწავლას. ეს უკანასკნელი, როგორც მიჩნეულია სპეციალურ ლიტერატურაში, წარმოადგენს პირვანდელსა და უძველეს „ტიქსტს“.

ქართული ტოპონიმიკა, მცირე გამოწაკლისის გარდა, ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ისეთი ტოპონიმიკური მონაცემები, როგორიც არის დაბოლოებები: -ისი, -ვანი, -ბანი, -კარი, -ახო, -ანი, -იანი, -იონი, -დაბა, -ები, -თა, -მანი და სხვ. დასახლების თვალსაზრისით კვლევის საუკეთესო ობიექტებს წარმოადგენენ (იხ. აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურის სათანადო ნაშრომები).

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს დასახლების არქეოლოგიის საკითხშიაც, რადგან ის ჩვენთან მხოლოდ ჩასახვის პროცესში იმყოფება.

განლაგების მიხედვით ზოგად ლიტერატურაში სამი სახეობის სოფელს განასხვავებენ:

ა. „უწესრიგოდ“ განლაგებული სოფელი.

ბ. ცენტრალური მოედნის გარშემო განლაგებული სოფელი.

გ. ქუჩის გასწვრივ, ერთ ან ორივე მხარეზე განლაგებულ სოფელს სოციალური თვალსაზრისით განასხვავებენ:

ა. შეჯგუფული დასახლება (დამახასიათებელია ფენებად დაუნაწევრებელი საზოგადოებისათვის).

ბ. ცალკე ჯგუფებად დასახლება (დამახასიათებელია ფენებად დანაწევრებული საზოგადოებისათვის — მაღალი წოდება, გლეხები, ხელოსნები და სხვ.)

გ. უბნური დასახლება (დამახასიათებელია მეზობლად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ფენებისათვის).

დასახლების ტიპების შესახებ გარდა ამისა სხვა თვალსაზრისიც არსებობს, მაგალითად:

ა. ახოს აღების სისტემა, მოცემული მეურნეობაში, აპრობებს შეჯგუფულ დასახლებას.

ბ. მესაქონლეობა, რომელიც ვრცელ ფართობს მოითხოვს, აპრობებს კომლთა მცირე რიცხვისაგან შემდგარ დასახლებას.

გ. მიწის ფართობის ეკონომიკა და მტრებისაგან დაცვის საჭიროება აპრობებს ტერასული სახის დასახლებას.

დ. ასევე, მტრისაგან დაცვის საჭიროება აპრობებს მთაზე, მთის მწვერვალზე, აკროპოლისის სახის, დასახლებას.

ე. ტოტემისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია საკარმიდამო დასახლება.

ვ. მატრიარქალურ საზოგადოებაში საქორწინო კლასების არსებობა აპრობებს ქუჩის გასწვრივ დასახლებას.

ზ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და დასახლების ფორმაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწისმოქმედების სისტემას, კერძოდ, მიწის მოხვნის სისტემას.

სახენელის კულტურა იქმნება სპეციალიზებული ტიპის მესაქონლეობისა და მიწისმოქმედების სიმბიოზის თანაარსებობის შედეგად. რაც თავის მხრივ ქმნის მეურნეობის ახალ სახეობას და წარმოშობს გლეხობას. ამის საფუძველზე წარმოიქმნება კომლთა მრავალი რიცხვისაგან შემდგარი დასახლება¹. ამ დებულების საილუსტრაციოდ ასახელებენ ურისა (სუმერეთში) და მაჰანჯოღაროს (ინდოეთში) დასახლების ტიპს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარობებში ინტეგრირებული, მკიდრო დასახლების ტიპი მოცემულია მთის ძირის ზოლში, სადაც ერთ კვადრატულ კილომეტრზე მცხოვრებთა მაქსიმალური რაოდენობა მოდის. ამ ზოლში შემდეგი პუნქტები შედის: ლაგოდეხი, ყვარული, ახმეტა, თიანეთი, დუშეთი, ქვემოჭალა, მეჯვრისხევი, ლენინგორი, სტალინირი, ონი, ლაილაში, ცაგერი, ლექსურა, ლია, ჯვარი, სუხუმი, გაგრა და ლესელიძე.

ასეთივე ვითარება გვაქვს სამხრეთ საქართველოს მთის ძირის ზოლშიც.

სხვაგვარი ვითარება მოწმდება ბარისა და მთის ზოლის საქართველოში, სადაც დასახლება სიმჭიდროვის მხრით შედარებით მარტივი სახით არის წარმოდგენილი.

აქედან გამომდინარე, დასახლების საკითხის შესწავლის დაწყება მთის ზოლიდან მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ. დასახლების საკითხთან დაკავშირებით ბოლო ხანების ლიტერატურა ქვემოთ მოტანილ მონაცემებს შეიცავს.

ლიტერატურის მონაცემები

ფრ. ბაუმჰაუერი² განასხვავებს: ა. მთაში დასახლების ბუნებრივ სიმჭიდროვეს, რაც პირველყოფლისა მიწის სიძვირით იყო გამოწვეული და ამასთანავე მტრების შიშით და მათგან თავდაცვის საჭიროებით აიხსნება. სვანეთში თი-

¹ ეს სიმბიოზი ყოველთვის არ ქმნის სახენელის კულტურას, მაგ., აღმოსავლეთ-სამხრეთი აფრია, სადაც შაშაკაცი მეჯოგეობას მისდევს, დედაკაცი კი მიწას ამუშავებს თოხით.

² Fr. B a u m h a u e r, Forschungen über die Hausformen in Georgien: Mittelingen aus dem Museum für Völkerkunde in Hamburg, XII, Hamburg, 1928.

თოეული კარმიდამო სიმაგრეა. სახლები მთის ძირში ველზეა ერთმანეთისაგან დაშორებით განლაგებული. სვანებს მხოლოდ შინაურებისაგან უხდებოდათ თავის დაცვა, რადგან გარეშე მტრებისაგან ბუნებრივი სიმაგრეებით იყვნენ დაცულნი, რაჭაში: ღებსა და ჭიორაში თუ სახლები ერთმანეთს დაშორებული არიან, სხვაგვარი სურათია გლოლაში, სადაც სახლები ერთმანეთზე მიტყუბული და ტერასულადაა განლაგებული. ეს აიხსნება იმით, რომ იქვე მდებარე მამისონის გადასავალი სოფლის გამაგრებას მოითხოვს (ტაბ. 36).

მდ. ჭანჭახზე საცალფეხო ხიდია აგებული, რომელიც შიშინანობის შექმნევაში ადვილი ასაღებია. ეკლესიიდან, რომელიც სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენს, თითქმის მამისონის გადასვლამდე მოჩანს გზა.

სხვა სახითაა დასახლებული ახალი გლოლა, სადაც ოღური ტიპის სახლები ერთმანეთისაგან დაცილებულია.

ბ. საწინააღმდეგო სურათია დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი), განსაკუთრებით მის დაბლობში. თუ ლეჩხუმის დასახლება სვანეთისა და მთის რაჭის დასახლებას ჰვავს, სამაგიეროდ დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებში სახლები ერთმანეთისაგან ერთი საათის სავალ მანძილზეა დაშორებული და ეს სახლები ხშირად ხეივანებშია ჩაფლული (გ. რადეს შეხედულებით, ეს განსხვავება კულტურული ხასიათისაა, რადგან მთაში მოსახლეობა თავს საკუთარი ძალით იცავდა, ხოლო ბარში კი ქვეყნის დაცვა ბატონებს ეკისრებოდათ).

სხვაგვარია ქართლის სოფელი, სადაც სახლები შეჯგუფებულია და ქუჩა არ ჩანს. მას დამცველი ბურჯები და კოშკები აქვს, ან უკიდურეს შემთხვევაში ეკლესია კოშკებითა და გალავნით. სახლებს კარმიდამო არა აქვს, სოფელი მალლობზეა გაშენებული, ყანები კი მის ქვემოთ იმყოფება.

შ. ჩოჩიას შრომაში³ აღნიშნულია, რომ ძველი სამართლის წიგნები (იგულისხმება ქართული) სახელმწიფოს მოსახლეობას ორ ძირითად ფენად ჰყოფს: ა. სოფელი — მსოფლიონი და ბ. ქალაქი — მოქალაქე. აქედან დასახლებაც ორი სახისაა: ა. სოფლური და ბ. ქალაქური. (ტაბ. 35).

სოფლური დასახლება გულისხმობს გლეხურ დასახლებას — Bauersiedlung Volksiedlung. მაგრამ საქართველოში მოცემულია ნახევრად სოფლური დასახლებაც, სადაც მებოსტნეობასა და მევენახეობას მისდევენ (ტყიბულა, კიათურა).

საქართველოში მოცემულია აგრეთვე საგარეუბნო, ქალაქის გარშემო დასახლებაც, სადაც სოფლიდან ჩამოსულები ერთ ან ოროჯახიან სახლში ცხოვრობდნენ, მაგრამ ეწოდნენ მუშაობას ქალაქში (ფოთი); ცოტა სხვაგვარი ვითარებაა თბილისის გარშემო, სადაც საკმაოდ მრავლად არიან დასახლებულნი დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული მეზღვეები.

საქართველოს სოფლური დასახლება წვრილი დასახლების სახეს ატარებს, ოღონდ დასავლეთ საქართველოში გაბნეული და ცალკე კარმიდამოების (Streusiedlung) სახით არის წარმოდგენილი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი შეჯგუფული სახით (Sammelsiedlung). (ტაბ. 34).

ხშირი მოსახლეობის შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს კარმიდამოები არცთუ ისე შორს არიან ერთმანეთისაგან დაცილებული, ამასთანავე აღსანი-

³ Schal. Tschotschia, Agrarverfassung und Landwirtschaft in Georgien, Berlin—Leipzig, 1927.

შნავია ისიც, რომ გლეხისა და თავადის კარმიდამო ერთმანეთშია შერეული, რის გამო წმინდა გლეხური სოფელი დასავლეთ საქართველოში არ მოიპოვება. ამგვარი შერეული სოფლები დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვისაც, ოღონდ გამონაკლისს შეადგენს სომხებითა და თათრებით დასახლებული სოფლები.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში არ ყოფილა არც დაქირავებული მიწის მუშებისა და არც ინდუსტრიული მუშების სოფლები. იმ სოფლებში, სადაც კერამიკულ წარმოებას მისდევენ, შალი და აბრეშუმი მზადდება ყველგან, ეს სოფლის მეურნეობის, მიწის დამუშავების თანამყოლი ხელობაა.

ავტორის შეხედულებით, დასახლების ფორმას აპირობებს როგორც ხალხის ხასიათი, ასევე ბუნებრივი პირობები. აქედან გამომდინარე, შ. ჩოჩია საქართველოსათვის დამახასიათებელ დასახლების ფორმებად მიიჩნევს:

1. დასავლეთ საქართველოს უმრავლეს პროვინციაში; განსაკუთრებით კი მის დასავლეთ ნაწილში (გურია, სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი, იმერეთი), აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც დასავლეთ საქართველოს ესაზღვრება ქართველებით დასახლებულ სოფლებში ერთმანეთის მოსაზღვრე ცალკე კარმიდამოებია მოცემული. ჩვეულებრივ სოფელი გადაჭიმულია რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, მთავარი და დამხმარე ქუჩების გასწვრივ.

ავტორის აზრით, დასახლების ასეთი სახეობა მომდინარეობს დიდი ოჯახის დროიდან.

სახლი მოთავსებულია 2—6 ჰა ფართობის მამულში. სახლის წინ მდებარე მამულის ნაწილი 3/4-ჰა და მეტიც, ჩვეულებრივ, გამოუყენებელი, დაუმუშავებელი რჩებოდა, რადგან გლეხისათვის სიამაყე იყო ხელშეუხებლობა, თუმცა გაჭირვების შემთხვევაში ამ ადგილს მაინც იყენებდა სიმინდისა და ბაღჩისათვის. ჩვეულებრივად აქ დიდი ხეები დგას, უფრო მეტად ლაზათისათვის, ნაწილობრივ კი ეს ხეები ვაზებისთვისაც არის განკუთვნილი. სახლის უკან სამეურნეო ნაგებობებია განლაგებული. მამულის უახლოესი ნაწილი თუ ბაღჩას ეთმობა, მოშორებით ყანაა მოთავსებული. ეზოს გარდა მეურნეს აქვს საყანე სოფლის გარეთ.

აქ მეურნეობა ორ და სამსისტემიანია, საყანეები გლეხებს შორის დაქაქსულად არის დანაწილებული. ყამირი გამოყენებულია საქონლისათვის.

ჩვეულებრივად სოფელი სოფელს ებმება და ერთმანეთში გადადის.

2. აღმოსავლეთ საქართველოში დასახლება შეჯგუფული სახისაა, რაც უნდა აიხსნებოდეს მთიანი პირობებითა და მუდმივი შიშიანობით. აქ გლეხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ეზოც მეტად პატარაა. მხოლოდ აქა-იქ შევხვდებით მცირე ბაღს. აქ ბევრია ქუჩა და არა ერთი, ან უკეთ, ერთადერთი, როგორც ეს ჩვეულებრივად სხვა ქვეყნებშია ხოლმე. საყანეები და სხვა სამეურნეო დანიშნულების მიწები სოფლის გარეთ იმყოფება.

დასახლების ეს სახეობა, ავტორის შეხედულებით, ბუნებრივი და ისტორიული პირობების შედეგია.

აღმოსავლეთ საქართველო XIII—XIX საუკუნეების მანძილზე მუდმივი ომების ასპარეზი იყო, რადგან ადგილი ჰქონდა მაჰმადიანი მეომარი ხალხების შემოტევებს სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოს მხოლოდ სამხრეთიდან აწუხებდა მტერი.

იმისათვის, რომ მოსახლეობას საფრთხე თავიდან აეშორებინა, სასწრაფოდ და საიმედოდ მოეგვარებინა საზოგადოებრივი დაცვა, ქალები, ბავშვები და მოხუცები საფარებში მოეთავსებინა, საჭირო იყო დაახლოებული დასახლება, როგორც ეს ვენდურ სოფლებშია მოცემული.

ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ქართული ხასიათი წმინდად დაცული არ არის და მის ლიმიტოპულ მხარეებში სოფლები და ქალაქები ძლიერ იყო დასახლებული კულტურის დაბალ საფეხურზე მყოფი უცხო ხალხებით, რომლებმაც თავისი დადი დასვეს დასახლების ტიპს, ხოლო დასავლეთ საქართველოში დასახლების ქართული ხასიათი უკეთესად არის შემონახული, რადგან იქ მოსახლეობა 99,3%-ს ქართველობა შეადგენდა.

დასავლეთ საქართველოში გაბატონებული ტიპი დასახლებისა (გაბნეული ცალ-ცალკე დასახლება) აღმოსავლეთ საქართველოში გლახობამ თანდათან შემოიღო XIX საუკ. სამოციანი წლებიდან.

3. მთის საქართველოს დასახლება გაბნეული სახით არის მოცემული. რადგან აქ მეურნეობას მესაქონლეობა, უპირატესად მეცხვარეობა, შეადგენს; შეჯგუფებული სახის დასახლება კი იქ არის წარმოდგენილი, სადაც ხანგრძლივი იყო მტრის შიში და საფრთხე (ხევსურეთი, ფშავი). გამონაკლისია სვანეთი, სადაც სოფლური დასახლების მაგიერ ცალკე ოჯახური დასახლებაა, წარმოქმნილი, მამისაგან შვილის გამოყოფის შედეგად.

ბ. დეგენ-კოვალევსკის⁴ შეხედულებით, სვანური სოფელი ზემო სვანეთში 2-დან 56 კომლამდე შედგება, ხოლო ქვემო სვანეთში 2—70 კომლამდე, დასახლება აქ მჭიდრო და შეჯგუფულ ხასიათს ატარებს ისევე, როგორც ეს ქალაქშია მოცემული. სოფლის ფართობი იმდენად ინტენსიურად არის გამოყენებული, რომ მხოლოდ ზოგიერთ კარმიდამოს აქვს ეზოში ბაღჩა-ბოსტანი ან სიმინდი. შემჩნეულია აგრეთვე, რომ ყანა სოფელთან ახლოა, ტყე რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, ხოლო საძოვრები ათეული კილომეტრებით. ასეთ დასახლებას დეგენ-კოვალევსკი ადარებს სამეგრელოს, იმერეთსა და გურიაში მოცემულ დასახლების სახეობას და ასკვნის:

„Не вызывает сомнения то положение, что многодворность деревни и плотность заселения ее территории стоят в известных отношениях“; „Хуторская система застройки имеет подворную земельную собственность и напрасно было бы искать здесь большие семьи в нескольких десятках человек, а родовые пережитки здесь сохранились лишь в надстроечных явлениях“. ავტორი ამითაც არ კმაყოფილდება და შემდეგ დასკვნას იძლევა „Соблазнительно установить отсюда прямую и последовательную зависимость — чем крепче родовые связи и отношения, тем теснее застройка поселения. Хуторская система свойственна окончательной парцеляции хозяйства“. (ტაბ. 37)

ავტორის მტკიცების მიხედვით, სვანური სოფლისათვის უხსოვარი დროიდან დამახასიათებელია მრავალგვარიანი, პოლიგენური და არა ერთგვარიანი სტრუქტურა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს შეხედულებას იმის შესახებ,

⁴ Б. Деген-Ковалевский. Сванское село, как исторический источник, Сов. Этно., 1936, № 4—5.



რომ გვარი არ არის წარმოშობილი გაზრდილი ოჯახიდან. ავტორის აზრით, სვანთა საზოგადოებისათვის ერთეულად უნდა იქნეს მიჩნეული არა სოფელი, არამედ თემი.

დეგენ-კოვალევსკი აღიარებს, რომ დასახლების მეცნიერული კვლევა მეტად რთული საქმეა და რომ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი მეცნიერულად დამუშავებული მეთოდოლოგია კი. ამიტომ ის ერთი სოფლის შესწავლით კმაყოფილდება. სახელდობრ, სოფ. სასაშია მისი შესწავლის ობიექტი.

ავტორი შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ სოფ. სასა ნაწილდება შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებად:

ა. 7. განცალკევებული საცხოვრებელი უბანი, სოფელში მცხოვრები 7 გვარის მიხედვით.

ბ. თითოეული გვარის შიგნით 1—2 მოედანი გვაროვნული ყრილობისათვის.

გ. საერთო სასაფლაო, დანაწილებული 7 გვაროვნულ ნაწილად.

დ. საზოგადო მოედანი — თავდაპირველი საზოგადო მოედანი მთელი თემის შესაკრებად.

ე. საზოგადოებრივი სადღეობო მოედანი — წინათ ხეებით დაფარული.

ვ. რამდენიმე სასოფლო საკულტო პუნქტი: მიწისქვეშა (ქვეშეთის), ღმერთისა და ქრისტიანული სამების სახელზე.

ეს ელემენტები საერთოა სვანეთის სოფლებისათვის და ისინი შემთხვევითი კი არ არიან, არამედ ორგანულად არიან აღმოცენებულნი განსაზღვრული საზოგადოებრივი წყობილების დროს. თითოეული ამ ელემენტათაგანი ებჯინება გვაროვნულ *усадьна хутор*-ს.

ლ. პანეკის⁶ მიხედვით, მთიან რაიონებში სოფლები მთის კალთებზეა განლაგებული, სადაც მტერი ადვილად ვერ მივიდოდა და სამეურნეო მიზნებისათვის უფრო მოხერხებული პირობები იყო. აქ საყანე ადგილები ისეა შერჩეული, რომ ადვილად მოხერხდეს პატივის გატანა. ასეთი ადგილები სოფლის მახლობლად, მაგრამ მის ქვემოთ იმყოფება. მთიუღეთის ხეობები ვიწროა. მთების ძირში მთის სწრაფი მდინარეები მოედინებიან, რომლებიც ხშირად იცვლიან მდინარებას და აგროვებენ მრავალ ზრეშსა და რიყის ქვას. ხეობის ძირში დასახლებისათვის არ არის მოხერხებული ადგილი, ამიტომ სოფლები, ჩვეულებრივად, ზემოთ არის კალთებზე განლაგებული.

ყანები უმეტეს შემთხვევაში სოფლის ქვემოთ ან მის გასწვრივ მდებარეობს, ხოლო სათიბები და საძოვრები ზემოთ, ამგვარად, სახლი მოთავსებულია სასარგებლო ფართობთა შორის. ზოგიერთ შემთხვევაში ყანები დიდ სიმაღლეზედაც გვხვდება, საძოვრების ფარგლებში, თუ თოვლი ადრე დადო, ყანის აღებას ვერ ასწრებენ.

მტრისაგან დაცვა არის მეორე გარემოება, რომელიც აიძულებდა მთიელს მაღალ ადგილებს შეეხიზნოდა. ამას ადასტურებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში შემონახული კოშკების ნაშთებიც. მაგრამ მთავარი მიზეზი სოფლის დიდ სიმაღლეზე განლაგებისა არის სამეურნეო პირობები. ამჟამად, როდესაც უკვე ას წელიწადზე მეტია, რაც მთიუღეთში მშვიდობიანობაა, შეიმჩნევა მოსახლეობის ბარში გადასახლების ტენდენცია, მაგრამ ეს იმ შემ-

5. მარქსის მიხედვით, გვარს კარნალური საფუძველი აქვს.

⁶ Л. Панек, Жилище мтиулов, Сборник Музея антропологии и этнографии, т. XI, Л. 1930.



თხვევაში ხდება, თუ კი ქვემოთ დასაძუშაველად გამოსაყენებელი მიწები მოიძებნება. გამოსაყენებელი მიწების ურთიერთობა სახლთან აქაც იგივე რჩება.

ვათვალისწინებელი უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ დასახლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი წყაროს სიახლოვეა.

მიწის სიმცირის გამო მოსახლეობა ტყეს ან კლდეს ართმევს მიწის ნაკვეთებს, ამის გამო სოფლები პატარა-პატარა ერთეულებად გაბნეული. საშუალოდ სოფელი შედგება 10—12 კომლისაგან. სოფლები ზოგჯერ ურთიერთისაგან დიდ მანძილზე არიან განლაგებულნი (მაგ., სოფ. ჩებრუხი 1/2 კმ-მდე), ზოგჯერ კი, პირიქით. ერთმანეთთან მჭიდროდ მიტყუებულნი. სოფლის სახეობა დამოკიდებულია გამოსაყენებელი ფართობისა და ადგილის ტოპოგრაფიული ხასიათისაგან. სოფლების დიდი ნაწილი მდებარეობს სამხრეთის (სამხრეთ-აღმოსავლეთის) ფერდობებზე, სადაც უფრო ადრე დნება თოვლი და სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დაწყებაც ადრე შეიძლება. გარდა ამისა ზამთრობით ამ მხარეს მზე უფრო მეტად ათბობს.

მთიულები მტრებისაგან დასაცავად კოშკებს აგებდნენ, რომელთაგან ბევრი ნახევრად დანგრეული სახით დღემდე არის მოღწეული⁷.

სოფელი გოგნაური

მთიულების დასახლების ტიპის შესწავლის დროს ჩვენ დასახლების ერთეულად ვიღებთ სოფელს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნება ჯერ კიდევ საკლებით გარკვეული და განსაზღვრული არ არის.

ჩვენი კვლევა-ძიება არსებითად დამყარებულია ერთი დასახლებული პუნქტის განხილვაზე, რომელიც შეიძლება ტიპურად იქნეს მიჩნეული. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დასახლებული პუნქტის განხილვის დროს ჩვენ გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომელიც ზემოთ იყო მოხსენიებული და რომელიც გულისხმობს ადამიანთა და შრომის ადგილის მთლიანობას.

სოფელი გოგნაური სამი უბნისაგან შედგება⁸: ზემო უბანი, შუაუბანი და ქვემო უბანი. ზემო უბანში ოთხი საცხოვრებელი ნაგებობაა. ერთ სახლში ცხოვრობენ პატარა კედელაანი, მეორე, დიდ სახლში — დიდი კედელაანი. ამათი სახლები ერთიმეორეზე ისეა მიტყუებული, რომ დიდი კედელაანი პატარა კედელაანის ბანზე ან კალოზე გამოდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატარა კედელაანი, რომელთა წრიდან ხევისბერები დგებოდნენ, წინათ სოფლის ზემოთ განცალკევებით ცხოვრობდნენ, სადაც დღეს მხოლოდ ნასახლარია დარჩენილი, რომელსაც ბერიის სახლი ეწოდება. თავისთავად ცხადია, რომ ხევისბერის განცალკევებული ცხოვრება გაპირობებული იყო მისი „წმიდაობით“.

⁷ Л. Панек, დასახ. ნაშრომი.

⁸ „მთიულების შეჯგუფებული მოსახლეობა მთის კალთაზეა შეფენილი. ზოგან სოფელი ისეა შემკიდრობებული, რომ შორიდან ერთი დიდი სახლი გეგონებათ. სოფელი უგემოდაა გაშენებული, კარმიდამო და ქუჩები არა აქვს. მთიულური ტიპის სახლი ჩვეულებრივად ორ სართულაანია, ქვით-კირით ნაგები“. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, გვ. 97—98.

ამ სოფლისათვის ტიპური ძველებური სახლი შემონახული აქვთ დიდ კედელაანთ. ამასთანავე აღსანიშნავია, ისიც რომ პატარა სახლის გვერდით იყო მოთავსებული ს ა მ რ ე ლ ო ანუ ბ ო ს ე ლ ი, განკუთვნილი დედათწესიანი ქალებისათვის. თუ სამრელო საუწმინდურო ადგილია, ამის საწინააღმდეგოდ, ამავე სახლის კალთს გვერდით დასავლეთის მხარეზე მოთავსებულია ს ა ხ ა რ ე (ხარების სახელებია ზორაი, კვირისა, ხთისიაი), სადაც ჰყავდათ ხატისათვის შეწირული ხარები. ზამთარში, როდესაც ძროხები საფურეში არიან, ხარები სახარეში იმყოფებიან. საფურეში ხარებს არ აბამენ იმიტომ, რომ ისინი არ გაუწმინდურდნენ. ამ ორი სახლის გარშემო მოთავსებულია ბოსტანი და ბაღი. კედელაანთ ბოსტანში მოჰყავთ მხალი (წითელი), ნაცარქათამა, ბალბა, ნიორი; ლობიო და თამბაქო, ხოლო ბაღში უდგათ: პაპაის სხალი, ზემწიფენი (მსხალია), საზამთრო სხალი, მზვრის სხალტკბილია, საზამთრო ვაშლი, კვირითავანი, ყუნწანი (მსხალია), ნამყენანი, ქურწითელანი (მსხალია), დათვის სხალი სხვა.

ამ ორის სახლის ქვემოთ იმყოფება აგრეთვე ორი სახლი ობგაიძეებისა. ოთხივე სახლს ერთი საერობო აქვს თამაზიანთ კალოზე.

ობგაიძეები ცხოვრობენ აგრეთვე ამავე სოფლის ქვემო უბანში, სადაც მათ ოთხი სახლი აქვთ. სახლების გარშემო აქაც ბაღები და ბაღჩებია. ამ ობგაიძეების საერობო იმყოფება ბ ი ჭ ი ა ა ნ თ კ ა ლ ო ზ ე. ქალების საერობონი კი შემდეგ ადგილებში იყო: ერთი ს ა წ ა მ ლ ი ა ს წ ი ნ, მეორე ნ ა ნ ე ე ნ ე ბ ი ს, ხოლო მესამე გ ა მ ა ხ ა რ დ ი ა ნ თ სახლის წინ.

უბანში ექვსი სახლია, რომლებიც ს უ ა რ ი ძ ე ე ბ ს ეკუთვნით. აქვე, გირგოლიანთ სახლის გვერდით, აგებულია ციხე. გარდა ამისა, გირგოლიანთ სახლსა და გზის შუა დაცულია ს ა ნ ა ყ ი ქ ვ ა, რომელიც ძველად მოთავსებული ყოფილა ს ა წ ა მ ლ ი ა შ ი.

ბაღჩები სუარიძეების სახლებსაც აკრავს. ზემოთ დასახლებულ სამ უბანს ორი წყარო აქვს. ზემო უბნისათვის ხელმისაწვდომი „წყარონი“ მახლობელ ხევში იმყოფება, ხოლო შუა და ქვემო უბნისათვის — იმავე ხევის ქვემო ნაწილში, ამ წყაროს კ ო დ ა ეწოდება.

ხატთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად სოფლის მოსახლეობა იკრიბებოდა სოფლის აღმოსავლეთით მდებარე ქედზე აგებულ ღ ა მ ი ს სათევეში. სოფლის სალოცავებიდან, ანუ ხატებიდან, საკუთრივ სოფლის ფარგლებში — ზემო უბნის თავში, იყო ს ა მ ხ თ ო ს ნ ი შ ი, სოფლის ქვემოთ — ს ა ყ დ ა რ ა ი და აქვე ნ ა მ ა რ ხ ე ბ ი, ანუ ს ა კ ა ნ ი (სასაფლაო), წყაროს ხევის გაღმა — ღ ა მ ი ს სათევე ნიში და მის აღმოსავლეთით ვ ე ლ - ზ ე ს ა ყ დ ა რ ი ა, ამავე ქედზე, ჩრდილოეთით — სამხთოს მეორე ნიში და სულ ზემოთ — სამხთო თხილიანი.

სოფლის შიგნით სამივე უბანს ერთმანეთთან აკავშირებს სამარხილე გზა. სოფლიდან მიდის ბილიკები წისქვილებისკენ, რომელთაგან ერთი — ბ უ ჭ უ ლ ა წ ი ს ქ ვ ი ლ ი აღმოსავლეთის ხევში იმყოფება. სოფელს სხვა სოფლებთან

აერთებს სამი გზა. ერთი მათგანი სოფ. სალაჭურიდან ამოდის, მეორე სოფ. ნალიბანიდან, მესამე სოფ. გვიდაქისყელიდან. მეოთხე გზა, რომელიც მარტო ზაფხულობით მუშაობს — გულამაყარზე გადადის.

პირველ გზაზე როგორც გადმოცემიდან ჩანს, სოფლის საზღვარი ყოფილა, სადაც თელათ კარი იყო მოთავსებული. აქ მომსვლელებისათვის ძველად ბაყი უხდევინებიათ. გარდა ოთხი გზისა, რომლებიც ამ სოფელს გარეშე სოფლებთან აერთებს, მასვე აქვს შინაგანი საჭიროებისათვის განკუთვნილი გზებიც. გზები, რომლებიც მიდის სათიბებში, საყანეებში, საძოვრებში, ტყეში და სალოცავებში, შემდეგ სახელწოდებებს ატარებენ: საყოლეთ გზა, ვერხვიანაის გზა, კლდიანაი გზა, საფუცხე ანუ სალოცავის გზა, ზევით ხევთ გზა, ქვევით ხევთ გზა, მზორის გზა.

გზების მოწესრიგებასთან დაკავშირებული საქმიანობა კილოიან კაცს აქვს დაკისრებული. მას ეკითხება გზების გაყვანა, ხიდების გადება, საგულეებლების შერჩევა. აქ ასხვავებენ შემდეგი სახის გზებს: სამარხილე გზა, სალაჩქიმე გზა (ეს გზები მხოლოდ ზაფხულობით გამოიყენება), საალახე გზა და საყინულე გზა. რაც შეეხება საგულეებებს, ისაც ორი სახისაა: საზაფხულო და საზამთრო. ზამთარში, როდესაც თივის ბუღულეების მოძებნა უჭირთ, ხმარობენ სამსჭვალს. აქაური ხიდები შემდეგი სახელწოდებისაა: რიდე (ორხიანი — რიდენი), ლასტიანი ხიდი, დამიწული ხიდი, გაფიცრული ხიდი.

საყანე ადგილები სოფელში შემდეგ სახელებს მიითვლის: ბატარაი, დელაი, ნაფეტარაი, დიდი დელი, ჩირდილი, მუხრანაი; შაკიდაური, პირიქითი შაკიდაური. მდებარეობის მიხედვით საყანე მამულები ასეა დანაწილებული: კარის მამული, ნაფუძარი, ნაპირყური და მთის ყანაი.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საყანეებთან დაკავშირებული სარწყავი რუები, ანუ, როგორც აქ უწოდებენ, წყლის რუი.

დიდი ხევიდან გადმოყვანილია რუ, რომელიც რწყავს, ზამთარში მარხილებისა და საქონლის მიერ დატყეპნილ კარის მამულებს.

სათიბები ცალკე ნაჭრებისაგან შედგება, რომლებიც შემდეგი სახელწოდებისაა: ნაყანევი, მზორე, კოკანეური, წიფე წყლიანი, შიგნითი, წყაროთხევი, საზურგანი.

საყანეებთან და სათიბებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მეკომურეების საკუთრებაში მყოფი ნაკვეთების გარდა, იყო აგრეთვე ხატის ყანები და ხატის სათიბები.

სოფელ გოგნაურის კვირიას ხატს 4 ნაკვეთი მიწა ჰქონდა: ყორათავი — 1 დლიური, სისხლი ფარი — 1 სადილობისა, გორაისძირი — 1 სამხრობისა და ჭიქახი — 1 სადილობისაზე ცოტა მეტი⁹. ეს მამულები სარიგო იყო. ოთხივე ნაკვეთს რიგულობდნენ: ერთ წელს ერთი მოგვარეები ამუშავებდნენ. მეორე წელს ოთხივე ნაკვეთს მეორე მოგვარეები, მესამე წელს მესამე მოგვარეები და და ასე შემდეგ. სუარიძეები კომლობრივად თავის შიგნით ამ მამულებს ასე ინაწილებდნენ: მორიგეობის ერთ წელს სუარიძეების რიგი იყო, შემდეგ ამ მოგვარეთა სხვა სამი კომლი დაამუშავებდა და ასე შემდეგ. ამგვარად, ხატის მამულები დასამუშავებლად სოფლის მოსახლეობას

⁹ ამ სოფელში მიწის საზომები იყო: დლიური — გათენებიდან დაღამებამდე მოხნული; სადილობისა — დლიურის 1/2 ფართობი; სამხრობისა დლიურის 2/3 ფართობი და შაბათისი დლიურზე ნაკლები, ხოლო სამხრობაზე მეტი.

ერთი წლით ეძლეოდა (სოფელში სამი გვარის ხალხია: სუარიძეები — 3 მამა, 10 კომლი, ობგაიძეები — 3 მამა, 6 კომლი და კედელაშვილები — 2 მამა: ბერენი და კედელაანი, 2 კომლი¹⁰).

ხატის მამულების მორიგე დამმუშავებელს მეკუთხუნი ერქვა, მათ კულუხი შობას მიჰქონდათ ხატში. კულუხს შეადგენდა 3 ქვაბი არაყი. ამ დღეს ხატის მზარეულები მეკულუხის სახლიდან ხატის თუნგით აწყულ არაყს ხატში მიიტანდნენ და ხალხს შეასმევდნენ. არაყი წინწანაქარი — „თითზე ნანთები“ უნდა ყოფილიყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხატის მამულში პატივი არ შეჰქონდათ, მაგრამ ცხვარს კი დააყენებდნენ. ვინც ხნავდა, ის ვალდებული იყო მამული მოეკარებინა (მოექვავებინა) კიდევ. ის გვარი, რომელსაც ხატის მამული არ სჭირდებოდა, თავის საწილედ სახატო მამულს სახევეროდ სხვებს ახვენიებდა.

მამულების გარდა ამავე ხატს სათიბი მთებიც ჰქონდა, რომელთაც მორიგეობით სუარიძეები, კედელაშვილები და ობგაიძეები სთიბდნენ და ხატს რვა თუნგ არაყს („თითზე ნანთებს“) აღდგომას უხდიდნენ.

ხატის მთები იყო: წყაროთ ჭევი, გორაის თავი, მზვრის ჭევი, ანუ მზორის ჭევი და შიგნითი.

ყველა ამასთან ერთად სოფელს ჰქონდა ტყე (საშენი მასალა, შეშა, ნეკერი, თაფლი, ხილი), რომელიც უმთავრესად საერთო მფლობელობას შეადგენდა, თუმცა იგი ნაწილობრივ ცალკე მეკომურების საკუთრებასაც წარმოადგენდა ამა თუ იმ ნაკვეთის სახით. სოფლის საერთო სამფლობელოდ ითვლებოდა აგრეთვე საძოვარი.

სოფლის მოსახლეობას ძირითადი სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობის გარდა აქვს აგრეთვე საზაფხულო და საზამთრო ბოსლები, რომლებიც სოფლიდან საგრძნობლად მოშორებულნი არიან (3—4 კმ). მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ დიდკედელაანთ საზამთრო ბოსლები ანუ საძროხეები, რომლებიც სოფლის ორ სხვადასხვა მხარეს მდებარეობენ. ერთი სოფლის დასავლეთით ბოთიანში (აქ ერთი ბოსელი დგას). მეორე — სოფლის აღმოსავლეთით ჩავტევიარში. ბოსელი წარმოადგენს ერთთვალთან, გრძელს, ორად დანაწილებულ ნაგებობას, რომელშიაც საქონელი ორ მწკრივად აბია. იგი „ერთ თვალისანი კალოა“, როგორც აქ მას უწოდებენ, რომელსაც „მოსლები“ ანუ „მალეები“ აქვს. აქვე მოწყობილია კერა.

საზამთრო ბოსელი ჩვეულებრივ ისეთ ადგილზე ეწყობა, სადაც ადვილია საქონლისათვის საჭირო საკვების — ჩალისა და თივის დაგროვება და შენახვა და, გარდა ამისა, საიდანაც ადვილია უმოკლესი გზით საყანებში გატანა ზამთრობით დაგროვილი პატივისა. ის ემსახურება იმ მოთხოვნილებას, რასაც აქაური მეურნეობა უყენებს მთიელს და რაც იმაში მდგომარეობს, რომ დაბალი ტექნიკისა (კერძოდ, ტრანსპორტის) და უგზოობის პირობებში აქაურ მაცხოვრებელს არ შეუძლია ძირითად საცხოვრებელ ადგილზე მიზიდოს და დააგროვოს საქონლისათვის საჭირო რაოდენობის საკვები, ან აქედან გაიტანოს შორეული საყანებისათვის საჭირო პატივი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს;

¹⁰ მ. კედელაძის მთიულეთის ეთნოგრაფიული მასალებიდან.

რომ ზამთრობით საქონლის გამოკვება მთის პირობებში საკვების დიდმა რაგის დაგროვებას მოითხოვს, ვინაიდან ერთი სულის გამოსაკვებად საშუალოდ საჭიროა 80 ფუთი ჩალა, თივა. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს მეურნე იმაში პოულობს, რომ აგებს სოფლის გარეთ, საყანეებისა და სათიბების მახლობლად, საზამთრო ბოსლებს საქონლის საკვებისა და პატივის დასაგროვებლად. ზამთრის გარკვეულ მონაკვეთში აქ ის საქონელთან ერთად ცხოვრობს. აქ საქონელი ან მთლიანად გადმოჰყავს მას, ან მხოლოდ ერთ ნაწილს ამყოფებს.

ამავე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული საზაფხულო ბოსლების არსებობა მაღალ მთიან ზოლში.

აქ იგულისხმება ძროხის საზაფხულო სადგომი. ზაფხულობით აქაურ მეურნეს მეწველი ძროხები მიჰყავს მთაში, რასაც „მთობა“ ეწოდება. საზაფხულო სადგომში უმთავრესად ქალები ეწევიან საქმიანობას. ძროხის საზაფხულო სადგომის ზემოთ ე. წ. საჯარო ვენა თავისი მოჯარავნებით, ე. ი. მწყემსებით. საზაფხულო ბოსელი შედგება ქოხისა და ბაკისაგან. ქოხის ნაგებობაა, რომელიც განკუთვნილია მეძროხეების საცხოვრებლად და რძის პროდუქტების დასამზადებლად. აქ ხდება ერბოს დამზადება ცნობილი რთული პროცესით¹¹; ბაკებში რძის დაყენება, ნაღების მოხდა, შედღვება და კარაქის გადადნობა. აქვე ხდება აგრეთვე ხაჭოს და ყველის დამზადებაც.

ქოხშივე მოთავსებულია კერა. დაახლოებით ამგვარივე ნაგებობებია მოცემული ცხვრის საზაფხულო საძოვრებზე, სადაც დგას ქოხი, რომელშიაც ყველის დამზადება ხდება მწყემსების მიერ და აგრეთვე აქვეა ბაკი იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს თან ახლავს ბერა.

როგორც ცნობილია, ცხვრის საძოვრები მაღალ მთიან ზოლში იმყოფება, ამიტომ აქ აგებული ბაკები ქვისაა, მშრალად ნაგები. ზაფხულის მანძილზე ხშირია ცხვრის ადგილმონაცვლეობის გამო ბაკის შენაცვლება. მთიულეთში ორი ძირითადი სახის ბაკი გვხვდება: გრძელი ბერა და გურგალი ბერა.

პირველი დადასტურებულია ხადაში, გუდამაყარსა და ხევში, მეორე კი გვხვდება ცხავატსა, ჭართლსა და ხანდოში.

საყურადღებოა, რომ საბას მიხედვით, ბერა შუა გასაველია („ორთვე ჰგარეთა გაჰკრვენ და საშუალ კართა რასამე უყოფენ მეწველთა ცხოვართა გასატარებლად. გინა სხვსა რაჲსამესათვის“). ჭანურში კი ბერა ნიშნავს ცხვრის საწველს¹².

სხვაგვარად აქვს განმარტებული სტ. მენთეშაშვილს ქიზიყურში ბერაში წველა.

იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც ბერას ირგვლივ არის მთიულეთში დაგროვილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერა მცირე ბაკის აღმნიშვნელი ტერმინია¹³. აქვე შეიძლება დავურთოთ, რომ მთიულეთის წვრილფეხა მე-

¹¹ გ. ჩიტიია, ხევსურული სახლის „სენე“, ანალები, ტ. I, 1948.

¹² საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928; არნ. ჩიტიბაია, მედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938; სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

¹³ არ უნდა იყოს უმართებულო, თუ ვივარაუდებთ, რომ ლ. მროველის წინადადებაში „და მისცა კახოს შეწვევისათვის შესწია შენებასა ჩელეთისასა. რომელსა ბერ ერქვა პირველ შენებულსა“ (ანაესული, ნუსხა), — ბერა მცირე ციხეს უნდა აღნიშნავდეს.

საქონლეობა ადრე ხევისურული წვრილფეხა მესაქონლეობის ტიპისა უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ამ სოფელში დადასტურებულ შრომის ფორმებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: დიდ-კედელანი 36 სულისაგან შედგებოდნენ, ისინი ითვლებოდნენ ერთ ნახევარი გუთნის, ე. ი. ექვსი საულლე ხარის, პატრონად. მოხვნის დრო საჭიროებდნენ მონდავს და შეიამხანაგებდნენ ნახევარ გუთანს, ე. ი. ერთი უღელი ხარის პატრონს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმება ხდებოდა შობა-ახალწლის წინა დღეებში. თუ რომელიმე მონაწილე პირობას დაარღვევდა, მას ჯარიმა გადახდებოდა. დიდ-კედელანთ თიბავშიც დაკვეთილი მუშა ჰყავდათ. ამავე დროს დიდ-კედელანთ თავის მხრივაც გადიოდნენ დაკვეთილ მუშაში: გზის მშენებლობაში, სახლის აგებაში, ხატის მამულების დამუშავებაში და სხვ.

ამგვარი კოლექტიური სახის შრომა გულისხმობდა კოლექტიური სახისავე გამასპინძლებას, რისთვისაც საჭირო იყო დიდი ტევადობის ნაგებობანი. ჩვეულებრივად, ასეთ შემთხვევებში ერთ ჭერ ქვეშ თავს იყრიდა მთელი სოფლის შრომისუნარის მქონე მოსახლეობა, და ამგვარ შეკრებას აქ სხდომა ეწოდებოდა.

ა ნ ა ლ ი ზ ი

ამგვარად, თუ ზემოთ მოყვანილ მონაცემებს გავითვალისწინებთ, სოფლის შემადგენელი ძირითადი ელემენტები შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

1. სოფ. გოგნაური გაშენებულია სამხრეთის მაღალ ფერდობზე, მზის გულზე, ერთ მათგანში სოფლის ორი წყაროა და ბუჭულა წისქვილი, ხოლო მეორე გამოყენებულია მამულების მოსარწყავად და წისქვილებზე. ვიწროდ გაგებული სოფლის ფარგლებში სახლები შეჭვრეული სახითაა წარმოდგენილი. სახლებს ახლავს მცირე ზომის საკარმიდამო ფართობი. სოფელი სამი უბნისაგან შედგება, რომლებიც ფერდობზე ტერასისებურად არის განლაგებული. ამას უბანთა სახელწოდებაც კარგად ასახავს: ზემო უბანი, შუბანი, ქვემო უბანი.

2. სოფლის სამი უბნიდან ორი მონოგენურია, ხოლო მესამე — ორგვარიანი.

3. ვიწროდ გაგებულ სოფელს გარშემო აკრავს საყანეები, სათიბები, საძოვრები და ტყე. საყანეებისა და სათიბების გამოყენება ნაკვეთების (საწილებების) მიხედვით ხდებოდა. აქ გამოყენებული იყო მიწის დამუშავების სამწლიანი სისტემა. სოფლის ვრცელ ფართობზე ადგილ-ადგილ მოწყობილია საზამთრო და საზაფხულო ბოსლები, რომელთა საჭიროებას აპირობებს მთის ზოლის მეურნეობის ხასიათი: მესაქონლეობა საერთოდ და ნაკვეთის მიწისმოქმედება კერძოდ.

4. შუბანში ციხე-კოშკი¹⁴ დგას. მის მახლობლად საწამლია (თოფის წამლის დასამზადებელი მოწყობილობა) ყოფილა გამართული, რასაც მოწმობს, სახელწოდების გარდა, აქვე შემონახული წამლის სანაყი ქვა. სოფელს

¹⁴ ამჟამად მისი ნაშალია შემორჩენილი.

ქონი აგრეთვე გალავანი, რასაც ადასტურებს გალავნის კედლის ნაშთები (ქვემო უბანში) და გალავნის კარი (თელათ კარი), სადაც გადმოცემის მიხედვით, სოფელს ბაჟის აკრეფა უწარმოებია.

5. სოფელში შემონახული საერო ბო¹⁵ სამი სახისაა: ა) სასოფლო, სამივე უბნისათვის, შუბანში, საწამლიას წინ; ბ) საუბნო და გ) სახატო (კვირიას ხატთან სოფლის გარეთ).

6. ქრისტიანული სალოცავები, საყდარაის სახელწოდებით, მოთავსებულია (ნანგრევებიდან შემონახული) ერთი სოფლის ქვემოთ სასაფლაოსთან (ნამარხევი // საკანი), ხოლო მეორე სოფლის გარეთ კვირიას ხატის საერობოს მახლობლად ველზე. წარმართული სალოცავები (კვირია, სამღვთო და გიორგი) მთის წვერებზე დგას სოფლისაგან დიდი მანძილის დაშორებით. სოფლის მახლობლად გვხვდება ხატის ნიშები. სოფლის გარეთაა აგრეთვე ღამის სათევჯაქს ნიში და ღამის სათევჯაქ, ხოლო სოფლის შიგნით ოგბანთ უბანში — ადგილის დედა.

აღსანიშნავია, რომ ზემო უბანში განცალკევებით დგას ხევისბერის სახლი (ბერის სახლი), ხოლო საცხოვრებელ კომპლექსში გამოყოფილია საწმინდაობაქანი, დედაბოძი და სახარე. საძროხის მახლობლად დედაკაცების სამრელოა მოთავსებული.

7. აქაური ნაირი სახის გზები აკავშირებს უბანს უბანთან, საყანებთან, სათიბებთან, საძოვრებთან, ტყეებთან, ბოსლებთან სალოცავებთან, წისქვილებთან, რუსთან და მეზობელ სოფლებთან.

8. სოფლის ფარგლებში მოქცეული საყანების, სათიბებისა და ტყის ერთი ნაწილი მეკომურთა საკუთრებას შეადგენდა, ხოლო მეორე ნაწილი კი ხატის (კვირიას) კუთვნილება იყო და თემური წესით მუშავდებოდა. საძოვარი სასოფლო მფლობელობაში იყო, ისევე როგორც სასოფლო იყო სარწყავი რუ.

სოფლის სტრუქტურის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს შერწყმულ მეურნეობასთან მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სახით, მაგრამ ეს შერწყმა მოცემულია მთის ზოლის პირობებში და ამდენად თავისებურია.

ასეთი სახის მეურნეობა ძირითადად გულისხმობს ადამიანისა და საქონლის საკვების მოპოვებას ერთი აღებული სოფლის ფარგლებში და ამიტომ ამ სოფლის ტერიტორია ვრცელია და რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. უგზობისა და დაბალი ტექნიკის პირობებში, სადაც არ იყო გამოყენებული ბორბლიანი ტრანსპორტი, ეს მოსახლეობა იძულებული იყო რამდენიმე საცხოვრებელი და, აგრეთვე, სამეურნეო ნაგებობათა პუნქტი გაეჩინა (საფურე სახლში, საზამთრო და საზაფხულო საფურეები სოფლის გარეთ, ისევე როგორც საყანები).

ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე მეურნეობის წარმოება, ხსენებული დაბალი ტექნიკისა და ძნელსავალი გზების პირობებში, მოსახლეობისაგან მოითხოვს გაერთიანებულ შრომას (გზები, რიდეები, საცხოვრებელი ნაგებობანი, ხენა, მკა, საქონლის მოვლა), რაც შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: მონდავი, დაკვეთილი მუშა მესვეურითურთ, შეამხანაგება, ხარნაღი და ყველა ამასთან დაკავშირებული საერთო პურობა — სხ დ ო მ ა.

¹⁵ კაცებისა და ქალების შესაკრები ადგილი. შღრ. ფეხონი // ბეზენე // სუფი // მეიღანი // შეიგანი (შღრ. საბა, ქართ. ლექსიკონი).

ყურადღების ღირსია, რომ მთის ზოლის ამ სახის მესაქონლეობა თავის საშოშივე ატარებს წინააღმდეგობას. მოსახლეობა, პურის შეზიდვის სიძნელესთან დაკავშირებით, იძულებული იყო მესაქონლეობისათვის გამოსაყენებელი მიწის გარკვეული ფართობი სათიბებისა და საძოვრებისათვის წაერთმია და საყანეებად გამოეყენებინა. ასეთ ვითარებაში ერთის გაზრდა შეიძლებოდა მოხერხებულყო მხოლოდ მეორის შემცირების ხარჯზე. ეს გარემოება ხელს უშლიდა როგორც ერთის, ისე მეორის განვითარებას და ძნელად გადასალახავ „მანკიერ წრეს“ ქმნიდა.

დასახლების ამავე ტიპთან არის დაკავშირებული მტრისაგან სოფლისა და ცივის საშუალებები: ციხე, გალავანი. ეს საშუალებები კარგად შეეფერებოდა მაღალმთიანი ზოლის მესაქონლეობას, როდესაც საჭირო იყო მოსახლეობისა და საქონლის დაცვა მეკობრეებისაგან, ამ თავისებური, იმ დროისათვის გამომუშავებული „წარმოებიდან“. დაახლოებით ამავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს იქ შემონახული საკნები (ქვაყუთის ტიპის სამარხები).

განვითარების სხვადასხვა ხანას განეკუთვნება სოფლის სტრუქტურის ზოგიერთი სხვა მაჩვენებელი (წარმართული ხატები, საზოგადოებიდან ხევისბერის გამოყოფა, კერძო საკუთრება მამულებსა და მთაზე, ბაჟის აღება, ქრისტიანული საყდარი), მაგრამ ამაზე აქ არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ამ სოფლის დასახლება ძველისძველი ჩანს და არა გადანაცვლებული, როგორც ამას სხვა შემთხვევებში ვხვდებით. სოფლის გადაადგილება მთიულეთში ახალ სათიბებსა, საძოვრებსა და საყანეებთან დაახლოებას მიზნით იყო გამოწვეული. ეს მოვლენა თავის მხრივ ახოს ალების სისტემას უკავშირდება, რასაც მოწმობს აქ შემონახული ტოპონიმიკური მონაცემები. ჩვენს მთაში ახოს აღება გულისხმობს ყამირის გატეხვას.

როგორც ვხედავთ, სოფლის დასახლების ეს სურათი სრულიად არ ჰგავს იმ სურათს, რომელსაც ზოგი მკვლევარი გვიხატავს, თითქოს მთიულეთის სოფელი უგეგმოდ იყოს აშენებული. ჩვენ დავინახეთ, რომ დასახლების ტიპი რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, რომ აქ ყველაფერი ჯეროვნადაა დაგეგმილი და წინასწარ გამიზნული, რომ აქ მოცემული საცხოვრებელი არე (დასახლების ტიპი), შეპირობებულია მეურნეობის ხასიათით, საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებურებებით და გეოგრაფიული მონაცემებით.

ჩვენს ხანაში მთიანეთში მეურნეობის რაციონალური დაგეგმვა ხელს უწყობს მთიელების დასახლების ტიპის საკითხის ჯეროვნად გადაწყვეტას და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას. სპეციფიური პირობები, რომლებიც მთის ზოლის მეურნეობას ახასიათებს, უნდა იქნეს მიზანშეწონილად გამოყენებული.

1953 წ.

ბლენის სახლი კვაბლიანში*

(დარბაზული ტიპი)

როგორც ვიცით, ამა თუ იმ ხალხში გამომუშავებული და ხმარებაში მიღებული საცხოვრებელი ბინის ესა თუ ის სახე როდია შემთხვევითი გარემოების შედეგი ან აღმშენებლის კაპრიზული გემოვნების ნაყოფი. საცხოვრებელი ბინის ტიპები, როგორც მატერიალური კულტურის სხვა ობიექტებიც, ემორჩილებიან თავიანთი განვითარების გზაზე იმავე საემანსიპაციო პროცესს, რომელსაც ადამიანი თავისი ბრძოლის დროს ქმნის ბუნების ექსტენსიური და ინტენსიური ბატონობის წინააღმდეგ და რამდენადაც ბინა-სახლი მოვლენათა ასეთ კატეგორიას ეკუთვნის, ცხადია, ამდენადაც იგი მაჩვენებელია ხალხის კულტურული მდგომარეობისა და კულტურული დონისა—მისი ხასიათის უტყუვრად მამყლავნებელი სარკეა.

ამიტომ, ვისაც სახლის ტიპების მეცნიერული შესწავლა სურს, ის ვალდებულია ორ გარემოებას, ორ მთავარ მომენტს გაუწიოს ანგარიში, მით უფრო, თუ მას უძველესი სახლის სახეებთან აქვს საქმე. ეს მომენტებია, ერთი მხრით, ქვეყნის ბუნებრივი არე (milieu), რომელიც ადამიანის მიერ ბუნებას წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის ასპარეზია, და, მეორე მხრით, ამ გარემოში მცხოვრები ხალხის კულტურული მდგომარეობა და მისი წარმატება. ამ ორი გარემოების გადაჭდობილობა და გადაჭდობილობისაგან წარმომდგარი სხვადასხვა კონვერგენცია, ჩვენი ფიქრით, უფრო ერთ შემთხვევაში, დამაკმაყოფილებლად ახსნის თვით საცხოვრებელი ბინის ტიპების წარმოშობის საკითხს.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც შემდეგ გარემოებას უნდა გავსვას ხაზი: საკითხის სირთულე და სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ საცხოვრებელი ბინის სახეები თვით ერთსა და იმავე ხალხში, ხშირად თვით ერთსა და იმავე კუთხეში, იმდენად სხვადასხვანაირია, რომ მათი ტიპოლოგიის შედგენა მეტად ძნელი ხდება, ვიდრე თავის მხრით მიკვლეული არ არის მათში წარმოშობის თუ სესხების პირველი წყარო, ხოლო ხალხის კულტურული ვითარება კი, განსაკუთრებით ჩვენში, კავკასიურ პირობებში, სადაც საქმე გვაქვს არა პირველყოფილ ან უკულტურო ხალხებთან მეტად რთული მოვლენაა, რომელსაც მრავალი შემავალი გარემოება ახასიათებს დროის სიღრმესა და სიფართოვეში (გადასახლებანი, უცხოთა გავლენა, უძველესი ხანის დანალექები და

* მოხსენებულია საქ. საისტ.-საეთნ. საზ. საჯარო კრებაზე 1926 წ. 16 იანვარს.

სხვა), — ასე რომ, ამ დროისა და სივრცის ზეგავლენის ფენების აღმოჩენა და მათი დახარისხება მრავალი დაბრკოლების გადალახვას მოითხოვს¹.

შეიძლება გვეფიქრა, რომ საცხოვრებელი ბინის ტიპი, მატერიალური კულტურის სხვა ობიექტებთან შედარებით, უფრო გამძლე და კონსერვატიული მოვლენაა ხალხთა ცხოვრებაში, მაგრამ, გვეონია, ამითაც ფონს მაინცა და მაინც ვეღარ გავალთ.

და რომ მთავარი დაბრკოლებები დაძლეულ იქმნეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, ხელთ გვექონდეს საცხოვრებელი ბინის ყოველივე ტიპის დეტალური სისრულით აღწერა, აღნიშნულ იყოს ასაწერი ტიპის როგორც გარეგანი, ისე შინა კონსტრუქცია, რაც თავისთავად ნათელ წარმოდგენას მოგვცემს სახლის ამა თუ იმ ტიპის შემადგენელ ელემენტებზე და შესაძლებლად გახდის მათი წარმოჩენის წყაროს მიკვლევას. თვით შედარებითი შესწავლა ქართულ-სომხური გლეხური საცხოვრებელი ბინებისა, რომლის საჭიროების შესახებ ლაპარაკობს ლ. მელიქსეთ-ბეგი, მხოლოდ ასეთი აღწერა-შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი და ნაყოფიერიც².

სამწუხაროდ, წინანდელი მკვლევარ-მოგზაურნი, რომელთაც კი უმუშავნიათ ჩვენს მხარეში, სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ საცხოვრებელი ბინების შინაგან კონსტრუქციას, ისინი სახლის გარეგანი მხარის აღნიშვნით და ზოგადი შედარებებით კმაყოფილდებოდნენ³. ამიტომ დღეს ჩვენთვის სრულიად დაკარგულია საცხოვრებელი ბინების ბევრი მახასიათებელი თვისებები მათი გაქრობის გამო და იძულებულნი ვართ ფიქსაცია უქმნათ სასწრაფოდ იმას მაინც, რაც ჯერ კიდევ ასეა თუ ისე შენახულა.

ჩვენი განზრახვაა ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისის მიხედვით აღვწეროთ ქვაბლიანის გლეხური სახლის ერთი ტიპი, რამდენადაც მას ჩვენამდე მოუღწევია, მხოლოდ ვიდრე აღწერას შევუძლებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთ გარემოებაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

კავკასიის შემსწავლელთ არა ერთხელ მიუქცევიათ ყურადღება რომ კავკასიის განსაზღვრულ ნაწილებში ხის დამუშავება-გამოყენების განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა⁴. ძველიდანვე ცნობილია, რომ ხის სახლები, კოშკები და სხვა მეტად გავრცელებული იყო შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროებზე, ხოლო ხის ხელობა წინათაც და თითქმის ამჟამადაც სახელგან-

¹ E. Sarfert, Haus und Dorf bei den Eingeborenen Nordamerikas. Braunschweig 1908, გვ. 1—2; C. Buschan., Illustrierte Völkerkunde-ში M. Habelandt, Die inggermanischen Völker des Erdteils გვ. 3 და შემდეგი stuttgart 1926. აგრეთვე, M. Habelandt, Völkerkunde, Sammlung Goeschen, გვ. 16.

² Л. М. Меликсет-Бекоев, О необходимости сравнительного изучения крестьянских жилищ Армении и Грузии, Изв. Кав. Инст.-Археолог. Института в Тифлисе. Т. III. Тифлис, 1925. გვ. 109. ნახე აგრეთვე გ. ჩიტიია, სენაურის საკურცხილ, საქ. მუზ. შობბე, ტ. II (1923—1925), ტფილისი, 1925 წ. გვ. 90.

³ ამ ნაკლითაა აღბეჭდილი სხვათა შორის შემდეგი ნაშრომებიც: A. von Haxthausen, Transkaukasien. Reiseerinnerungen und gesammelte Notizen. Leipzig 1856 I. T., გვ. 80—81, 148 და შემდეგი; И. Пантюхов, О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тифлис, 1896. გვ. 82 და შემდეგი; K. von Hahn—Kaukasische Dörfer und Haustypen, Leipzig, 1900, გვ. 269—280.

⁴ об. И. Бартоломей, Поездка в Вольную Сванетию, ЭКОИРГО. вып. III. с. 198; Ф. Байерн, Заметки о строительных материалах на Кавказе и за Кавказом, ЗКОИРГО, кн. 5.

თქმულია ჭანეთიდან დაწყებული აჭარა-ზეგანზე გადავლით, ოსეთში, სვანეთსა და რაჭაში.

ვახუშტის ცნობით, როგორც აჭარლები, ისე ჭანებიც — „კაცნი არიან ველოვანნი ხის მუშაკობითა“⁵. სხვათა შორის, XIX საუკუნის დასაწყისს ტფილისში საუკეთესო ხუროებად „იმერლები“ ითვლებოდნენ⁶. საზოგადოდ რომ ჩვენს ტომებში ხის დამუშავება-გამოყენება ძველისძველი მოვლენაა, ამას ამოწმებენ პიპოკრატეს, ქსენოფონტეს, სტრაბონის და ბევრი სხვა მოგზაურის ცნობები⁷. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხის დამუშავება ჩვენში დაბალ დონეზე როდი მდგარა. ამას ამტკიცებს ხის დამუშავების ტერმინების არსებობა ხალხში, როგორც მაგალითად ნ ა ო თ ხ ა ლ ი (ხის დამორვის წესი — დამოწმებულია გურიაში) და სხვა.

ამ მოკლე ცნობების შემდეგ ჩვენ აღარ უნდა გავვიკვირდეს, თუ ქართველების ერთ-ერთ ტომში, მესხეთშიც, ჩვენ შევხვდებით ხის გამოყენებას საშენ მასალად ძველი ტიპის სახლის აგებისას, განსაკუთრებით მისი გვირგვინიანი სახურავისათვის.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ქვაბლიანის ხეობაში ძველი ტიპის სახლი წარმოდგენილია რთული კომპლექსის შენობად, რაც გვაფიქრებინებს, რომ შენობის აგების წინასწარი გეგმებიც უნდა ყოფილიყო ძველ დროში. ძველ საქართველოში ასეთი წინასწარი გეგმების არსებობას ადასტურებს მ. ჯანაშიელის მიერ ძველი ხელნაწერიდან გადმოღებული ახსნა-განმარტება ერთ-ერთი გეგმისა, რომელსაც დართული აქვს თან მომავალი შენობის სურათიც⁸. მოგვყავს ამ ხელნაწერიდან ზოგიერთი ადგილი საინჟინო:

„ქ. მეორე სახლი იქნება სიმაღლით ორ ადღნახევარი და სიგანე გულ ექნება სამი ადლი და კედლის სისქეს მოაკლდება აქეთ და იქით თითო ჩარეკი. ფანჯარა ექნება ასე მრგვალი ნახევარი ადლი ჩვენებური და ცა დაექნება აგურით, როგორც ჩანს (სურათზე) ამ სახით. ეს მესამე სახლიც ამ მეორის სახლის ტოლი უნდა იყოს ბუხრებიც დაატანეთ და ფეხის ადგილიც კომკებს და ეს ზეითი სახლები დაიხუროს ხითა.

ამ მესამე სახლზედ გრეხილ ქვეშ დაატანეთ თახჩა ანუ ქვა ბრელაში და ამ სახით დააწერეთ სხვილის ასოებით:

„ილიძებდით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“.

როდესაც ქვაბლიანის ხეობის გლეხური სახლის შესახებ ვამბობთ, ჩვენ ვგულისხმობთ ამ ხეობის განსაზღვრულ ტერიტორიას, სახელდობრ, ქვაბლიანის, ფოცხოვისა და აბასთუმნის წყლების შესართავიდან მოყოლებული დასავლეთით ზეგანამდე, რომელიც შემდეგ სოფლებს შეიცავს: ფარეხა, ვაღ, არალი, უდე, კახარეთი, ადიგენი, ჩორჩანი, მლაშე, ზარზმა და სადაც საქართველოს მუზეუმის დავალებით 1924 წ. ზაფხულზე ვმუშაობდით მხატვარ მ. შავიშვილთან ერთად.

⁵ ვ ა ხ უ შ ტ ი, Description géographique de la Géorgie, ბროსეს გამოცემა, სპბ გვ. 110 და 130. შეადარე საქართველოს მუზეუმის ხის კოლექციები მესხეთიდან, სვანეთიდან, ოსეთიდან კოლექციებს №№ 50—10: 525 Dir. 46—25 და სხვა: ნახე ბუშანის—Illustrirte Völkerkunde-ში, 1926. Stuttgart, A. B y h a n-ის წერილი: Kaukasien, Ost und Nordrussland. Finland. c. 659.

⁶ Обзорение Российских влад. за Кавказом СПб. 1836. ч. II. с. 105.

⁷ ლ ა ტ ი შ ე ვ ი, Scythica et Caucasia, I.

⁸ დიდად პატივცემულს მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს უ ლ რ მ ე ს მ ა დ ლ ო ბ ა ს მ ო ვ ა ხ ს ე ნ ე ბ თ მ ა თ ი პ ა ლ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი რ ე ვ უ ლ ს თ ს ო ვ ე ბ ის ა თ ვ ის.



აქ, ქვაბლიანის ხეობის ამ ნაწილშიც, პატარა ტერიტორიაზედაც, ცოტა რომ ვთქვათ, სამი ტიპის საცხოვრებელი ბინაა მიღებული: ერთია დარბაზული, მეორე — ოდური და მესამე ე. წ. ლაზური. დაყოფის ძირითად საფუძვლად აღებული გვაქვს შენობის დახურვის წესი.

ამ სამი რიგის შენობებიდან თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ დარბაზულ ტიპზე.

უნდა შევნიშნოთ ამთავითვე, რომ აქაური დარბაზული სახლი რამდენიმედ განსხვავდება ქართლში შენახული, დღემდე ცნობილი გლეხური დარბაზებიდან (დილომი, მცხეთა, ტყვიავი და სხვა)⁹.

პირველ ყოვლისა განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ქვაბლიანის დარბაზი შენობათა მთელი სისტემაა, რომელსაც შეადგენს საცხოვრებელი ბინის გარდა აქვე მოთავსებული ბაჯი, საკუჭნაო, ბოსელი, საბძელი და საფურნე, მაშინ როდესაც ქართლის დარბაზი, რამდენადაც ჩვენ ეს დღეს ვიცით, ასეთი კომპლექსით წარმოდგენილი არ არის. მეორეს მხრით, თვით გვირგვინიანი სახურავის აგებაშიც მათ შორის ცოტა თუ ბევრი სხვაობა არსებობს, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

შევუდგეთ თვით დარბაზის აღწერას.

ქვაბლიანის ხეობაში სახლებს უმრავლეს შემთხვევაში გაზაფხულზე აშენებენ. მასალის დამზადებას ზამთრიდანვე იწყებენ. დარბაზის ასაგებ მასალას შეადგენს ქვა, ტალახი და ხე. ქვა, რიყის ქვა „მინდორშია“, როგორც აქ ამბობენ, და იქიდან მოზიდავენ: ტალახს ადგილზევე ამზადებენ, მაგრამ უპირატესობა ეძლევა ბინალ ან ფატარო ყვითელ თიხას, რომლის მოტანა შეიძლება ახლომახლო ადგილებიდან. ხე ანუ შეშა მახლობელი ტყეებიდან გამოაქვთ სათრევით — ბეშუმის ან აბასთუმნის აგარაკებიდან.

საზოგადოდ, აქ სახლები მთის ფერდობზეა შეფენილი და დარბაზებიც ასეთ ფერდობშია ამოშენებული. როდესაც მასალა უკვე დაგროვილია, ვიდრე ფერდობში შერჩეულ ადგილზე მუშაობას შეუდგებოდნენ სახლის ასაგებად, წინათ ადგილის დალოცვა სკოდნიათ და შესაფერისი ლოცვაც არსებულა, რომლის სიტყვები ხალხის მესხიერებიდან დღეს უკვე გამქრალა. პურისჭამა სამუშაოს დაწყების წინ დღესაც არსებობს. სახლის წინა პირი იქით გავეთდებოდა, საითაც თვით ადგილს უხერხდებოდა.

ადგილის დალოცვის შემდეგ თამალს ანუ საძირკველს გასჭრიან. სხვათა შორის, აქ საძირკველს ბალავარიც ჰქვია, როგორც ეს ჩანს აქვე ჩაწერილი ხალხური ლექსიდან:

„ორთა ძმათა ფალავანთა,
ქვე შეგვიდგამ ბალავარი,
ვინც შეიდ ძმათა გამოიღოს,
იმათ ვეტყვი ფაჰლევანი“¹⁰.

⁹ „გლეხური დარბაზი დილომში“ გაზომა და დახატა ხუროთმოძღვარმა ნ. სევეროვმა; წინასიტყვაობა პროფ. გ. ჩუბინაშვილის, საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამომცემი, ტფილისი, 1922 წ.

¹⁰ შეადარე ამგვარსავე გურიაში ჩაწერილ ხალხურ ტაეზს: Е. Такаишвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, В. 1, Тиф., 1905, ამონაბეჭდი СМОМПК, т. XXXV, გვ. 5; ნახე აგრეთვე Н. Марр, Два Грузинских архитектурных термина „ачрдил“ и „балавар“, ХВ, VI, 1917—20, გვ. 285—298.

თუ მიწა ბინალია, საძირკველი კედელზე უფრო სქელია, ხოლო თუ არა, ბალავარი და კედელი ერთი ზომისა ადის სისწორით, თუმც, უნდა ითქვას, რომ სისწორე ყოველთვის დაცული არ არის ბალავარი ალახს ან ცოტათი მეტს დაიჭერს.

კედლის სისქე ერთი ალაბი იქნება, ხოლო იქ, სადაც ბუხარი უნდა ამოიყვანონ, იგი მეტი მოდის. რასაკვირველია, წინასწარგვა მოფიქრებული, თუ კედელში რა და რა ადგილი უნდა დაუშვან კარებისათვის, დოლაბებისათვის და სხვა. კედელი ადის წყება-წყება 8-8 გოჯი. ავა კი სულ არა უმეტეს 4 ალაბის სიმაღლისა. კედლის გასამართავად ხმარობენ მეღს, ჩიღს (ლარს), ზუზს (სასწორს). ქვების დასამუშავებლად ჩაქუჩსა და ვარიოზს იმარჯვენენ, აგრეთვე რკინის სოლებსაც, სხვათა შორის კარგად იციან ქვის ძარღვის მიკვლევა. იშვიათ შემთხვევაში კედლის საბირეზე ჩატილს ჩაატანენ ხოლმე კედლის ზედა სიმიძის დასამჩატებლად, როგორც ეს მიღებულია ჩვენებური ციხის კედლებში.

ამგვარადაა აგებული კედლები იმ დარბაზული სახლისა, რომლის ინდივიდუალური გეგმა და გაჭრები აქვეა დანართის სახით წარმოდგენილი. მაგრამ, როგორც გეგმიდან დაინახავთ და ზემოთ მოვიხსენიეთ, ეს სახლი რთული შენობაა. ვიდრე სამყოფ-საცხოვრებელ ოთახში მოხვდებოდეთ, თქვენ უნდა გაიაროთ ჯერ კარაპანი, რომლის ერთ კუთხეში დგას ჰამბარი — სახორბლე ჭურჭელი დიდი, კარაპნის ჭერამდე აზიდული, რომელსაც ჭერიდან ხის მილი ჩამოუდის ხორბლის ჩამოსაყრელად ბანიდან, ხოლო მეორე კუთხეში სარძიე ყოფილა მოწყობილი, სადაც საქონლის მოსაწველად საჭირო ჭურჭელი და რძის გამოსაქნელი იარაღი ინახებოდა. გეგმაზე სარძიე აღდგენილია. სინამდვილეში იგი უკვე მოშლილია. კარაპანში მოწყობილია საკოკე, სადაც დგას წყლის ჭურჭელი ხელკოკა, კუტალა და სხვა მისთანანი¹¹.

კარაპანი შედგება ორი წყება სვეტებისაგან, რომელთაც ბოძებსაც უწოდებენ. სვეტებზე საწარბეები აგაწყობილი, ხოლო მათ ზემოთ ბანია მოწყობილი, მიწით დაფარული; საწარბეებზე ჯერ კვანტები აგადებული, ხოლო მათზე დევს ქერები. ზოგიერთი დარბაზული ტიპის ასეთი კარაპნის ბანზე ან ჩელტი დგას მოწნული სიმიძის შესანახად დროებით ან კიდევ ლაზური სასიმიძე. საგულისხმოა, რომ რამდენადაც კარაპანთან დაკავშირებულია ხორბლისა და სიმიძის შენახვის საქმე, ამდენადვე კარაპნის დღევანდელი დანიშნულება უდგება საბა ორბელიანის მიერ აღნიშნულს კარაპნის მნიშვნელობას. საბას თქმით „კარაპანი — არდგმულია“, ხოლო „არდგმული — კალის სახლი“¹².

ნათქვამს უნდა დაუფიქროთ, რომ ზაფხულობით დროგამოშვებით ჯალაბობა საქმობს და პურსა სჭამს მომეტებულ ნაწილად კარაპანში¹³.

კარაპნიდან ფართო კარით, რომელიც შენობის ძირითად კედელშია ამოჭრილი, თქვენ შედიხართ დიდ ოთახში. ეს ოთახი თხელი კედლით შუაზე არის გადატიხრული. ერთ ნაწილში ბაკია მოწყობილი, ხოლო მეორე ნაწილში საკუჭნაო ოთახს წარმოადგენს. ბაკის დანიშნულებაა, რომ იქ საზამთროდ ყოველგვარ სამუშაო იარაღებს ინახავენ, სხვათა შორის, იქვე დგას საქსოვი

11 ნახე საქართველოს მუზეუმის კოლექცია №№ 46—24.
12 საბა-სულხან ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, რ. ერისთავის რედაქტორობით.
13 შეადარე ა. პაქსტაუზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148—149.

იარაღებიც. ბაკის სახურავი კარაპნის სახურავისებურია. საკუჭნაოში კი აწყობა ყოველგვარი საზამთრო ხორავი, ხორბლეულს გარდა, როგორც, მაგალითად, წნილები, ხახვი და სხვა მისთანანი. ზაფხულობით იგი სტუმრებისთვისაც არის განკუთვნილი ისევე, როგორც მაგალითად, სვანეთში — სტუმრებისთვის ის ბინაა მიჩნეული, სადაც ხორავსა და თივას ინახავენ საზამთროდ¹⁴.

საკუჭნაოს სახურავი მოდარბაზულია. თუ რას ნიშნავს მოდარბაზება, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბაკიდან აღამიანი ორი ვიწრო კარით შედის — ერთი მხრით, ბოსელში ან ახორში, ხოლო მეორე მხრით, ჯალაბობის საცხოვრებელ, სამუშაო და დასასვენებელ ოთახში. დარბაზიდან საფურანე ოდაში შეხვალთ, სადაც წინათ თორნე ყოფილა, ბოსლიდან კი კარი საბძელში გადის.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ საკუჭნაოს სახურავი მოდარბაზულია. — ასევე მოდარბაზულია დარბაზის ქერიც. (ტაბ. 38).

ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს მოდარბაზება?

ზემოთ, როდესაც ჩვენ ქვის ხუროს მუშაობას ვაკვირდებოდით, კედლის აგებით დავამთავრეთ ჩვენი საუბარი. მაგრამ ამით როდი დასრულებულა სახლის აშენება. ახლა ხის სამუშაოები იწყება და განსაკუთრებით სახურავის მორთვა, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს შენობის აგებისას. როგორი იქნება სახურავი რა წესით აიგება ის, ამაზე დამოკიდებული ბინის დამუშავება და ჰაერის მტეობაც. სახურავის აგების ერთ-ერთ წესს სწორედ მოდარბაზება წარმოადგენს, რაში მდგომარეობს იგი?

იმ ტიპის შენობაში, რომელიც ჩვენი აღწერის საგანს შეადგენს, ჯალაბობის სამყოფ-საცხოვრებელი ოთახის უკვე ამოყვანილ კედლებთან ხის სვეტებს დასდგამენ თავ-თავის ზომაზე (ინდივიდუალურ გეგმაზე ასეთი სვეტი 16-ია), სვეტების ძირი ქვებითაა შემაგრებული. მათ თავზე ბალიშები ადგას, რომლებიც ხშირად დაჭრელებულია სხვადასხვა ორნამენტებით, განსაკუთრებით იმ სვეტების, რომლებიც ბუხართან და მის პირდაპირ არის. ბალიშებზე გაწყობილია საწარბე ხეები, რომლებიც ერთიმეორეში ბოლოებით ჩაკვეთილ-ჩასმულია. საწარბე ხეებზე ხშირად სიმბოლურ ორნამენტებს ვხვდებით: აღამიანის გულს, მობინადრეთა მარჯვენა ხელს და სხვა. მათზე გადებულია ნიყურები. პირველი წყება ნიყურები მომეტებულად რვაკუთხედად იდება ხოლმე და ამიტომ რიცხვითაც რვაა. მეორე და შემდეგი წყება ნიყურებისა უკვე ოთხკუთხედს შეადგენს და თითოეულ რიგში ოთხ-ოთხია. ეს ოთხკუთხედი, რაც უფრო ზევით ადის, თანდათან ვიწროვდება, ასე რომ უკანასკნელი ზევითა ოთხკუთხედს განი ერთი ადლის მეტი აღარ იქნება. ნიყურებს შორის გამოტოვებული ცარიელი ადგილები ფათხებით ამოიფიცრება. უკანასკნელ ზევითა ოთხკუთხედს, საიდანაც ბინაში სინათლე ჩადის, აქ ერთდოს ანუ კოკოშაკს ეძახიან. წინათ ასეთ ერდოზე სკოდნით ხაფანგების გამართვა, რათა ბანზე მოსიარულენი გაუფრთხილებლობით ერდოში არ ჩავარდნილიყვნენ. აგრეთვე მიღებული ყოფილა ერდოს

¹⁴ ნახე G. R a d d e, Reisen im mingrelischen Hochgebirge und in seinen drel Längehochthälern Rion Tsenis-tskali und Jngur, Tiflis, 1866.

დახურვა სარქველით, რომლითაც სურვილის მიხედვით, ქვემოდანვე აწე-
დაწევა შეიძლებოდა.

ამგვარად შემზადებულ სახურავზე ღრიკებს ჯერ ნაძვის ტოტებით ამო-
აესებდნენ, დააგებდნენ ნაფოტს, მოაყრიდნენ ბზეს, ეკალს და მისთანას, შემ-
დეგ წითელი თიხით შელესავდნენ და როცა გაშრებოდა, მიწას მოაყრიდნენ
და ტკეპნიდნენ. ყოველივე ამის შემდეგ მოდარბაზულად აგებული სახურავი
მზად იყო.

ზოგი დარბაზის გვირგვინის წყება 8—10—12 ყოფილა. რამდენად მაღა-
ლი იქნება გვირგვინი, ცხადია, იმდენად ჰაერის დამტევი და ნათელი უნდა
იყოს თვით დარბაზიც. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა ქართლის და ქვაბლიანის
დარბაზებს შორის.

როგორც დავინახეთ, აღწერილ შემთხვევაში მეორე და შემდეგი წყების
ნიყურებმა ოთხკუთხედები შეადგინა, რამაც გააადვილა, ერთგვარად, სახუ-
რავის დამთავრება. მან ნაკლები წყება ნიყურები მოითხოვა. მაგრამ მოდარ-
ბაზების სხვა ვარიანტიც შეიძლება წარმოვიდგინოთ. სოფ. ვალეს ერთ-ერთ
დარბაზში დამოწმებულია კიდევ ასეთი გადახურვის მეორე სახე¹⁵.

აქ, საწარბე ძელებიდან დაწყებული ნიყურები რვაკუთხედად აღის ერ-
დომდე ისე, რომ ნიყურების რიგი მეტია, თვით გვირგვინი უფრო ლაზათიანია
ჩანს და დაშუქებაც უფრო ძლიერია. ასეთი რვაწახნაგოვანი გვირგვინი ფათ-
ხებს თითქმის არ საჭიროებს და ნიყურებიც უფრო მოკლები აქვს. თვით
გვირგვინი უფრო გუმბათის შთაბეჭდილებას ახდენს¹⁶.

ზემოთ ჩვენ მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ ქართლში შენახული დარ-
ბაზების გვირგვინი განსხვავდება ამგვარივე ქვაბლიანის სახლისაგან. ახლა,
როდესაც ვიცით ქვაბლიანის გლეხური სახლის ამ ტიპის გვირგვინის აგების
სისტემა, ჩვენთვის შედარებაც ადვილია. როგორც ვნახეთ, ქვაბლიანის გვირ-
გვინი ოთახის კედლებიდან იწყება, ქართლის დარბაზის გვირგვინი კი ოთა-
ხის თითქმის შუაგულიდან აღის¹⁷, ოთახის კედლებიდან შორს მდგარი დედა-
ბოძებიდან. ამიტომ ქართლური გვირგვინები, შედარებით ქვაბლიანურთან,
ზომით უფრო პატარა და ოთახის დაშუქებაც სუსტი აქვთ. არას ვლაპარა-
კობთ თვით გუმბათის აყვანის, ნიყურების დალაგების შესახებ.

მაგრამ კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება ქვაბლიანის
და ქართლის დარბაზების გვირგვინების შედარების დროს.

ქართლის დარბაზებში კერა, საცა კი ასეთი შენახულა, ერდოს პირდა-
პირაა მოწყობილი. ქვაბლიანის დარბაზებში კი უკვე დიდი ხანია, რაც კერა
მოშლილია ერდოს ძირში, ოთახის შუაგულში; ცეცხლის ადგილი ბუხარშია
გადატანილი კედელთან. თვით კერის მნიშვნელობა, ჩვენის გაგებით, დაკარ-
გულია. ამიტომ აქ ერდო მარტოდმარტო შუქის გამტარებელია და არა შუქის
და ბოლის, როგორც ქართლში. მაგრამ, რომ აქაც კერა დარბაზის შუაგულში

¹⁵ როგორც ჩანს, ყარაბაღის დარბაზებში მხოლოდ ერთი სახის გადახურვა არსებულა;
ხაზე Ст. Лисициан, К изучению армянских жилищ, Изв. Кав. Историко-археол.
института, Т. III. Тиф., 1925, გვ. 102.

¹⁶ O. von Wessendonk, Archäologisches aus dem Kaukasus. Sonderabdruck aus
dem Jahrbuch des deutschen archäologischen Instituts, 1925 c. 71—„Die Kuppel über dem
Quadrat“.

¹⁷ „გლეხური დარბაზი დილოში“, ტფ., 1922.

უნდა ყოფილიყო, ამტიცებს ქვაბლიანში შენახული, მსგავსად ქართლისა და ოსეთისა, ერდოსთან და ცეცხლთან დაკავშირებული ჩვეულება.

მოხუცებმა ჩვენ გვითხრეს, რომ წინათ საახალწლოდ ოჯახის უფროსი სანოვაგით ავსილი ხონჩით, რომლის კიდეზე სანთლები ენთო, დილაადრან ერდოზე გავიდოდა, შემოილოცებდა, ჯალაბობაში დაბრუნდებოდა და ჯალაბთან ერთად ბუხრის პირად (ქართლში და ოსეთში კერასთან) სუფრას გაშლიდა. ჯავახეთში ასეთი ლოცვაც კი შენახულა. იქ, სხვათა შორის, ოჯახის უფროსი ერდოდან ტაბლაზე დალაგებულ პურს ყრის შიგ სახლში და პურის დაცემის მიხედვით წინასწარმეტყველებენ მომავალი წლის შესახებ¹⁸.

განვავგრძოთ დარბაზის აღწერა.

კედლებისა და ჭერის ამოყვანით როდი დასრულებულა დარბაზის აგება. ახლა საჭიროა ბუხრის ან როგორც იქ ეძახიან ოჯახის მოწყობა. ასეთ ოჯახს შემოსასვლელი კარის პირდაპირ გამართავენ; მის მილს ცეცხლის ბოლი ზევით აჰყავს. სხვათა შორის, ოჯახის მორთვას აქ დიდ ყურადღებას აქცევენ. ოჯახის ძირში ფიქალ ქვებს დააგებენ. გვერდზე ჩაქურგებს დაუდგამენ, რომელსაც ქამარი აკრავს. ქამარი თაღთან ერთად ხშირად მოჩუქურთმებულია, აქვს წარწერები და თარიღი.

„ოჯახში“ მარჯვენა სამკვარე ქვაა მოწყობილი, რომელსაც აგრეთვე კერას ეძახიან. თვით კერას კი აქ ყარაჯას უხმობენ, რომელიც სამფხვს წარმოადგენს, არის ოთხფეხები¹⁹. ბუხარშივე, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქა-იქ შეხვდებით ჯაჭვ-ჯინჯილებს ქვაბების ჩამოსაკიდად. წინათ ეს ჯინჯილები ხისა ყოფილა. ოჯახის თავში (მარჯვნივ) საპატიო ადგილი ახლაც კი მიჩნეულია მოხუცთათვის, რომლებიც გოგორდინეზე²⁰ დასხდებიან ხოლმე. ამავე ოთახის კედლებში დატანებულია თაროები, სალოგინე, დოლაბები და მუსანდარა (მუსანდარაში კიდობანი დევს, ხოლო კიდობანში ჩაქმაჯა—ძვირფასი ნივთების შესანახად). აქვე კედელთან მოწყობილია სექვი—საწოლი ტახტი.

ადრევე ასეთი დარბაზის ერთ კუთხეში მოაწყობდნენ მომალლოდ საპატარძლო ოთახს, რომელშიაც ქორწინების დღეებში ნეფე-დედოფალს დასვაძენ და მოყვრებ-მეზობლები მიულოცავდნენ ხოლმე. ამ ოთახს აჯილაკს²¹ ეძახდნენ. აგრეთვე ცოდნით ბნელი კუნჭულების (ბაითელმას) მოწყობა, სადაც ქალები იმალებოდნენ, როდესაც შიშინაობა იყო და ოჯახის მამაკაცები შინ არ იყვნენ.

დარბაზში შესასვლელი კარი შენობასთან შეფარდებით პატარაა. მისი ჩარჩო შესდგება ცის ანუ ქუდის, ზღურბლის და ამყოლებისგან თვით კარი შეკრულია ფიცრებისგან ბასკებით. ყულაბებზე დაამოკიდებული და აქვს საკეტი ზირზა ანუ ურდული. იღება შიგ ოთახში.

დარბაზში ცნოვრობს, სადილობს, საუზმობს და სტუმრებს იღებს მთელი ჯალაბობა. მხოლოდ ზამთრობით უმეტეს შემთხვევაში ან ბოსელში ან კიდევ საფურნე ოღაში გადადიან.

გავეცნოთ დაახლოებით ბოსელს ანუ ახორს.

18 კობტანაშვილი, „ივერია“ № 256, 1888 წ..
19 შეადარე სვანური „კიარა“, საქარ. მუზ. ეთნოგ. განყოფილების კოლექცია № 50—10/63.
20 ნახე საქართველოს მუზეუმის კოლექცია № 46—24/6.
21 საბას ახსნით. „აჯილა—საქორწილე ტახტი“. ლექსიკონი, ტფ., 1884.



ბოსელი მსხვილფეხა საქონლისთვისაა დანიშნული, სამცხვარო კი სხვაგანაა მოწყობილი²². აქვეა ხბორების დასაყენებელი; გამართულია ბაგები და შუაში მოწყობილია სანარცხელი. საქონელი სვეტებზეა ხოლმე მიბმული ჯინჯილით ან წნელ-ხოლით, რომელიც თავის მხრით მიმავრებულია საულღე თავკარზე. როგორია თვით ბოსლის სახურავი?

მას შემდეგ, რაც ბოსლის კედლების ამოყვანა დამთავრდა, ისევე როგორც დარბაზისა, აქ ოთხი წყება სვეტები იდგმება. კედლებთან დაბალი, ხოლო ორი წყება მაღალი; ბოსლის შუაგულთან ახლოს დაბალ სვეტებზე საწარბე ძელებს გასდებენ, ხოლო მაღლებზე ყოშადებს. საწარბებსა და ყოშადებზე ერთი მეტრის მოცილებით ერთიმეორისაგან გაიდება ყოჩბაშები, ამათზე ჭერები გაიმართება. ყოშადებზე კვანტები მოეწყობა და შემდეგ ფაფხებით ამოიფიცრება. ერთ-ერთ ფათხას ჩაჭრილს დატოვებენ, რაც ერდოს შავივრობას გასწევს. ამ დახურვას აქ ბოსლის დახურვას ეძახიან. ასეთი დახურვის გამო, ბოსელი თუმცა ჰაერმტევი კი არის, მაგრამ დარბაზთან შედარებით ბნელია. ამ წესით აგებული ბოსლის სახურავს იმგვარადვე შეამზადებენ ნაფოტით, ბზით, თიხითა და მიწით, როგორც ეს აღვწერეთ მოდარბაზების დროს.

ასევე და კიდევ უფრო სადაა საბძელისა და ბაკის ჭერები. მათი გადახურვა იმავე სახისაა, როგორც კარაპანის, ამ გადახურვას ჩაღმა დახურვა ჰქვია.

საკუჭნაო ისევეა მოდარბაზული, როგორც დარბაზი. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დათლილი ნიყურების მაგივრად აქ, საკუჭნაოში, ძელები მრგვლად არის გამოყენებული, ან კიდევ შუაზედ პობილი, ეგრეთწოდებული გარსის სახით.

საფურნე ოდის გადახურვა განსხვავებულია. მასში სინათლე ზემოგვერდიდან ჩამოდის. ასე რომ თვით გადახურვა განსაკუთრებული ოდური ტიპის სახურავს წარმოადგენს, ოდურ სახლებში გვხვდება და ამიტომ აქ არ ვეხებით.

ასეთი გლეხური სახლის ბანზე²³ ქვაბლიანში ხშირად კალო იმართება და მასზე სოფლები ჩვეულებრივად კარიდან კარზე გადადიან²⁴.

აი, ასეთია ზოგადი სახე აქაური გლეხის სახლის ერთი ტიპისა. ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს აქ წარმოდგენილი სახლის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ვარიაციები. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია უბაკოდ და უსაკუჭნაოდ. ასეთ შემთხვევაში პირველის მოვალეობას კარაპანი ასრულებს, ხოლო მეორისას იგივე დარბაზი. მაგრამ ეს სხვაობა არსებითად გლეხური სახლის ტიპის სახეს ვერ ცვლის.

საერთოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად ქვაბლიანის ხეობაში მთლიანი დარბაზის ტიპის სახლის მოპოვება ძნელია. ძველი, დიდი ოჯახები უკვე დარღვეულია, მოთხოვნილება ერთ ჭერქვეშ რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებისა აქარ არსებობს, რომელ მოთხოვნილებას გლეხის სახლის ეს ტიპი სავსებით აკმაყოფილებდა, ხოლო გაყოფის დროს შექმნილი ერთეუ-

²² სხვათა შორის, ეს ასეა ახალქალაქის მაზრაშიც, Грикуров, СМОМПК, В. XVII.

²³ ტერმინი ბანის წარმოშობის შესახებ ნახე Н. Марр, Определ. яз. в.г.р. категориях. Тб. 1914, გვ. 36—37.

²⁴ შეადარე Haxthausen, op. c. I. T. გვ. 188.

ლები, ვინ სად ეწყობა და ვინ სად, ყოველი მათგანი თავისი ხვედრი სახლის წილის გადაკეთებას ისწრაფვის. სოფ. არალში 1922 წელს კიდევ ყოფილა მთლიანი სახის დარბაზი, რომელშიაც ოთხმოცი სული ცხოვრობდა. 1923 წელს ოჯახის შემადგენელ წევრებს ეს სახლი დაუყვიათ ისე, რომ უზარმაზარი დარბაზული ოთახის გარდა სხვა აღარ დარჩენილა რა, ახალი დარბაზების აშენებაზე ლაპარაკიც მეტია. მოხუცების თქმით, ამჟამად შენახული დარბაზებიც წინაპართა მესამე-მეოთხე თაობის მიერ არის აგებული. ჩვენს შეკითხვაზე, თუ შემდეგ რად შეწყდა ამგვარი სახლების შენება, გვიპასუხეს, რომ შეშა (ხე), გაძვირდაო.

ახლა ვიკითხოთ, რას ნიშნავს ტერმინი დარბაზი და რა მნიშვნელობა აძლევს მას თვით ხალხი.

როგორც ვიცით, ეს სიტყვა სპარსულია. **تور** ნიშნავს „Thor als Thorweg, öffentlicher Platz“ (იხილეთ Z encker, Arabisch persisch-türkisches Wörterbuch). სიტყვის ეს მნიშვნელობა კარგად უდგება ჩვენს საისტორიო-სალიტერატურო ძეგლებში შემონახულ ტერმინებს „დარბაზობა“, „წესი და რიგი დარბაზისანი“, რაც ჩვენს „კარისგარიგებას“ აღნიშნავს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ჩვენს ციხეებში სადარბაზო, საბჭო ოთახი ციხის შესავალ კარებთან იყო. მაგრამ რა აზრით უნდა მიკუთვნებოდა ეს განსაზღვრული მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა გლეხის სახლს?

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ტერმინი ქვაბლიანის ხეობაში მთელს ნაშენობას, სახლს კი არ აღნიშნავს, არამედ სპეციალურად იმ დიდ ოთახს ჰქვია, რომელსაც მოდარბაზული სახურავი აქვს. მართლია, მოდარბაზული სახურავი აქვს აგრეთვე საკუჭნაო ოთახსაც, მაგრამ იქ ჰერი უფრო დაბალია, ამოყვანილია მრგვალი და გარსიანი ძელებიდან და ამიტომ ისეთ ნთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, როგორც დარბაზი. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკუჭნაო ზაფხულობით სტუმრების დასასვენებელიცაა და ამიტომ მოდარბაზება მასაც შეფერის.

მთელს ნაშენობას აქ სახლს ეძახიან და მხოლოდ და მხოლოდ გვირგვინიან, მოდარბაზულ ოთახს დაერქმევა დარბაზი. გაყრილობის დროს უფროს ძმას უმცროსები ასე მიმართავენ: „შენ დარბაზი (როგორც საუფროსო) და ჩვენ ოღაო“ (საფურნე). აქაური ძველი კაცების წარმოდგენაში დარბაზი ისეთ შენობასთან არის დაკავშირებული, რომელსაც, უთუოდ, ფანჯარა შუაში აქვს. აქვე სოფლელებმა აგვიხსნეს, რომ სადარბაზოდ წასვლა ნიშნავს: „საბაასოდ წავალ, მტერ-მოყვარეობის საქმის გასარჩევად“. დაახლოებით ისევე, როგორც საბა ხსნის, „დარბაზობა საალერსოდ სხვის სახლად მისვლა“ არისო.

აღსანიშნავია, რომ მოგზაურებს, რომელთაც ჩვენ ძეგლებური სახლების აღწერილობები დავეიტოვეს, გლეხის სახლები დარბაზებად მოხსენებული არ აქვთ. არც იმათ, რომელთა აღწერილობა და სურათები ამჟღავნებენ, რომ დარბაზის ტიპის სახლებთან გვაქვს საქმე, მაგალითად — ჰაქსტჰაუზენი, პანტიუხოვი და სხვები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ტფილისის მოქალაქური დარბაზის დარბაზებად მოხსენიება. ნეგრის და მედიჩის მიერ. პირველი მათგანი ამბობს, რომ „შეძლებულნი მოქალაქენი სახლზე მიაშენებენ

ხოლმე „დერბაზს“ (Derbar), ეგრეთწოდებულს საკმაოდ დიდ თაღებზეა და
ოთახებს... დღის სინათლე მხოლოდ ზემოდან ჩამოდის“²⁵, ხოლო მეორე აღ-
ნიშნავს: „ყველა მათგანის (სახლების) სახურავს ეწოდება „დარბას“²⁶.

მესხ-კათოლიკეთა მიერ წარმოებულ მიწერ-მოწერაში რომის პაპთან
XVII—XVIII საუკუნეებში ერთხელაც არ შეგვხვდებოდა ტერმინი დარბაზი,
სახლის აღსანიშნავად, მაშინ როდესაც სიტყვა სახლი²⁷ (უძველესი ქართული
ტერმინი)²⁸, ოდა („ოღის ქირა ბილა წაართვა“, „მაბეინი ოდა“)²⁹ და ოჯახი³⁰
წმირად არის ნახმარი ამავე ხანებში (XVII ს.). ეს ტერმინი იხმარება დასავ-
ლეთ საქართველოში. იქ, როგორც ჩანს, დარბაზები ფეოდალთა სასახლეების
განუყრელ ნაწილს შეადგენდა. მალაქია კათალიკოზ-გურიელი იადიგარის მი-
წერაში ასე წერს: „ამის გარეთ მათხოჯს სასახლე გამიკეთებია და შემიმკია
საყდრითა, ტახტითა, დარბაზითა, დიდის შეფასახლითა, საწოლის სახლითა და
ქიშკრითა და მისი ჯიხურითა“³¹.

მაგრამ არსებობს ერთი ძველი აღწერილობა, რომელშიაც ტერმინი დარ-
ბაზი, მართლაც, იხმარება გლეხის სახლის აღსანიშნავად ყაზახის მაზრაში. ეს
აღწერილობა მოთავსებულია 1836 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში,
რომლის სათაურია „Обозрение Россійских владений за Кавказом“ (СПб.
ч. I. с. 231). მოვიყვან ამ ადგილს: „Жилища тамошния (ყაზახის სტანცია)
суть дорбазы .. для поддержания потолка укрепляют внутри 4 деревянных
столба; крышу делают обыкновенно круглою“.

²⁵ Л. Меликсет-Беков. Старый Тифлис по описаниям А. Негри и Медвич. 1918г. 2—3, с. 107.

²⁶ А. Меликсет-Беков. ср. с. 109.

²⁷ შეშანიცის ცხოვრება, საქართველოს სამოთხე. სპბ., გვ. 183, 187. სერაპიონ ზარბუ-
ლის ცხოვრება, ქართული მწერლობა (მოსე ჯანაშვილისა), ტფ., 1909, გვ. 38; სახლის
ეტიმოლოგიისათვის — ნახე Н. Мзрр. Осн. Таб. древнегруз. яз. СПб., 1908. გვ. 5. —
შენიშვნაში, სადაც ეს სიტყვა შეფარდებულია ებრაულ და არაბულ ძირებთან, ერთი მხრით, ხო-
ლო მეორე მხრით. ჭანურ ო-ხორ-ისთან; მისივე Древнегруз.-русск. словарь к I—2 гл.
ве. Марка СПб., 1913. აქაც სახლი ახსნილია, როგორც სამთაწმინდის ძირი.

ამ სიტყვის მნიშვნელობისათვის ნახე ივ. ჯავახიშვილი, Гсоударственный строй
др. Грузии и др. Армении с. 31; და შემდეგი: ს. კაკაბაძე, სახლი სა-ს პრეფიქსად
თვლის. ხლ ძირს ის უკავშირებს სვანურ ქორს, რაც ნიშნავს ოჯახს და სახლს და რომელაც
იგივე სვანური ყორ-კარი, ეზო არისო (ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკუ-
თხები, ისისტორიო მოამბე, ტფ., 1924, I, გვ. 87—88). საყურადღებოა, რომ სიტყვა კარის
ადრინდელი მნიშვნელობაც შენებულობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ნახე
Н. Марр, Первый средиземноморский дом и его яфетические названия у греков
ἀτράυρον, римлян atrium: ИАН. 1924, გვ. 231; საგულისხმოა, რომ სიტყვა კასრიც შენებუ-
ლობას აღნიშნავს — ნახე წმ. ნისიმეს ცხოვრებაში კასრი სახლ-მღვიმეს მნიშვნელობით
(მ. ჯანაშვილი, ქარ. მწერ., ტფ., 1909, გვ. 73). საბასაც ახსნილი აქვს კასრი, როგორც
„სახლი მომცრო, სათავის წინაო“ და კასრაიცი როგორც „მცირე სახლი“; „ქართლის ცხოვ-
რებითაც“. არჩილ მეფემ ააგო კასრი (მარ. დედ. ვარ., გვ. 260).

²⁸ მ. ი. ხ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკოზისა ქართველთა შორის, ტფილისი,
1902, გვ. 454—55.

²⁹ Idid, გვ. 448, 455.

³⁰ Idid, გვ. 456.

³¹ ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 145. ვახუშტის მოწმობით,
ფეოდალთა დარბაზები ქართული რიგისანი არიან. ის წერს: „სანოვაგე ქართველთა და კახთა
უშეტეს ყოილაშთა რიგის. ხოლო მესხთა-ურუმთა და იმერთა ურთიერთაგან შერეული და
სასახლეთა შენებანი მათივე რიგისა და არღარა ქართული, თვინიერ დარბაზისა“.

მეორე მხრით, აღსანიშნავია, რომ ყარაბაღში ამგვარი ტიპის გლეხური სახლი თათრულ სახელწოდებას ატარებს—*ყარაყამ*, რაც „შავ სახლს“ ნიშნავს³². *ჟიპოქი* იქ მხოლოდ იმ საფარს ჰქვია, რომელიც შესავალ კარებთანაა მოდგმული სახლში³³. ამგვარად, ეს უკანასკნელი სიტყვა—საფარ—შესასვლელი—საკმაოდ გადმოგვცემს მისი სპარსული ექვივალენტის პირვანდელ მნიშვნელობას.

უკანასკნელად კიდევ ერთ აზრს დავასახელებთ დარბაზის შესახებ. კ. ჰანის მოწმობით: „Der Darbasi der ist eine steinere Hüttte, befindet sich in der Regel in der Nähe des shati Dort versammeln sich die Diener am Heiligtum“.³⁴

როგორ უნდა იქმნეს გაგებული ტერმინი დარბაზის შესახებ? ზემოთ წარმოდგენილი ცნობები, მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა, რომელიც ამ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობაშია მოცემული, აშკარაა, რომ დარბაზი ხალხური გაგებით, ერთი მხრით, ისეთ ბინას ეწოდება, სადაც შეიძლება მტერ-მოყვრობის საქმის გარჩევა, ხოლო მეორე მხრით, ეს ისეთი შენობაა, რომელსაც „მოდარბაზულ-მოგვირგვინებული“ სახურავი აქვს და შუქი ზემოდან ჩამოუდის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გვირგვინიანი სახურავი ერდოსა და კერის კულტთან დაკავშირებით სარწმუნოებრივი ხასიათის მატარებელია და მეტად საგულისხმო გაჭიმობას წარმოადგენს. აქ გვირგვინიანი სახურავი ერთგვარი „სახეიმო“ გზაა ზეციური შუქის მისაღებად მორთული³⁵.

მაგრამ ეს უკანასკნელი მიდგომა საკითხს სევამ თვით გვირგვინიანი (დარბაზული) სახურავის წარმოშობის შესახებ, რომელიც თავისთავად მრავალ სხვა საკითხთან არის დაკავშირებული: მაგ.: რამდენად ძველია დარბაზული ტიპის სახლი (ბუნებრივი გარემოს გავლენის საკითხი ამასთან დაკავშირებით უნდა დაისვას), რა კავშირი აქვს დარბაზულ გადახურვას გუმბათოვანთან, რას იძლევა დარბაზების შედარება მღვიმეებში შენახულ სახლებთან (უფლისციხე, ვარძია, ვანის სამეფოს დასავლეთი ნაწილი) და სხვა.³⁶

³² Ст. Лисициан, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 99.

³³ Ibid გვ. 103.

³⁴ კ. ჰანი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 204; ჰანის მიერ მოხსენებული დარბაზებზე როგორც ზეგსურთა ხევისბერის და დეკანოზის მსახურები, გაუგებრობაზეა დამყარებული (ბიანი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 740).

³⁶ განათხარი მასალა ძველი სახლების შესახებ მეტად მცირეა. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ: F. Bayern, *Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien*, Suppl. zur *Zittlhr. f. Ethnologie der B. G. J. Anthr.* 1885, გვ. 31, სადაც ის „რედკონლაგერში“ აღმოჩენილ სახლებს; და სამთავროს ქვედა სართულის გუმბათოვან სამართებს აღიარებს მიწურ სახლებს; ნახე აგრეთვე E. Takajshvili, *Археологические Экскурсии, и зам. В. Н.*, გვ. 81, 84. მტკობაში ნახოსადენთან აღმოჩენილი სახლების შესახებ; აგრეთვე გათხრა საგურამოში 1924 წ.—Von Wessendok, *op. c.* გვ. 51—52. მღვიმეების საცხოვრებელ ბინებთან შედარებისათვის ნახე Lehmann-Haupt, *Armenier einst und jetzt*. *Beil.* 1910. გვ. 102. აგრეთვე Byshuan, *op. cit.* გვ. 680—81; Arthur Haberlandt, *Die Volkümliche Kuitur Europas in ihrer geschichtlichen Entwicklung* Buschan-ის *Illustrirte Völkerkunde B. II. Zweite Teil*, გვ. 406; გუმბათოვანი და გვირგვინიანი სახურავისათვის—J. Strogowski, *Baukunst der Armenier und Europa*, Wien 1918. B. II, გვ. 619 და შემდეგი;



სამწუხაროდ, ამ საკითხების გადაჭრა მათი შეუსწავლელობისა და გამოქვეყნებული მასალის მეტისმეტი სიმცირის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, წამოყენებულ პრობლემებს გვერდი ავუხვიოთ და ამ ხნობით იმ მასალებით დავკმაყოფილდეთ, რომელიც აქ გვაქვს შემოტანილი.

აქ მოყვანილი აღწერილობითი და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები კი ზოგიერთ მოსაზრებებს გვიკარნახებს, რომელთა დამაჯერებლობა, საგნის პერსპექტიული ათვისების მიხედვით, სავსებით პრობლემატურად როდი უნდა მივიჩნიოთ. ეს მოსაზრებები შემდეგია:

ერთი მხრით, გლეხური სახლის დარბაზული ტიპი, როგორც ის წარმოდგენილია ქვაბლიანში, სოციალური მომენტით დაკავშირებული უნდა იყოს დიდ, გვაროვნულ ოჯახთა არსებობასთან, რამდენადაც ის ოჯახის მრავალწევრთ იტევდა და სადაც კერის გარშემო ძველად ოჯახის წევრები (აგრეთვე გვარის). „თავს იყრიდნენ მტერ-მოყვრობის საქმის გასარჩევად“.

მეორე მხრით, მასში ჩვენ გვაქვს მოცემული სარწმუნოებრივი ელემენტები—მოდარბაზებთან და კერასთან და ერდოსთან დაკავშირებული კულტი, რომელიც, შეიძლება, ზე- და ამქვეყნიური ცეცხლის თაყვანისცემის ანარეკლს წარმოადგენდეს. ამ მოსაზრებას აძლიერებს აგრეთვე დარბაზებში შენახული სიმბოლური ორნამენტები, განსაკუთრებით ქართლში დაცული სახეები.

მხოლოდ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მაინცდამაინც ეს მოსაზრებები ჯერჯერობით საბოლოო და განზოგადებულ დასკვნებად არ შეიძლება ჩითვალოს, ვიდრე სტაციონალურად შესწავლილი და სათანადოდ შედარებულ არ არის. ყველა, როგორც საქართველოში, ისე მის მეზობელ ხალხებში, შენახული დარბაზული ტიპის სახლები, ვიდრე არ შემოკრებილა მათთან დაკავშირებული ეთნო-არქეოლოგიური მასალა და არ გაღრმავებულა მათი მეცნიერული დამუშავება.

1926 წ.

Strzygowski-ს მოსაზრებათა შესახებ ნახე მეტად მანამუნელოვანი შენიშვნები დარბაზის გვირგვინთან დაკავშირებით G. Tschubinashwili. Die christliche Kunst im Kaukasus und ihr Verhältnis zur allgemeinen Kunstgeschichte, Monatsheft für Kunstwissenschaft, 1922 № 7—9 Br. 83. 226; von W es e n d o n k, op. c. გვ. 71.



ხმისწერული სახლი „ს მ ნ ი“

ხევისურეთის ქრავალმხრივ საინტერესო ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების ნაგებობები შემდეგი ძირითადი სახეებითაა დამოწმებული: სახლი, სამჭედლო, ბუჭულა (წისკვილი), ბინა (ნაგებობა მთაში, სადაც ზაფხულობით ძროხები აჭყავთ), სამრეცლო, ბედელი, ხატის კოშკი, სამარხი კოშკი, ხატი და სალუდე. ამ ნაგებობათაგან საკუთრად სახლი ისეთი შენობაა, რომელსაც დაკისრებული აქვს როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო ფუნქციები. სახლის ჭერქვეშ მოცემულია ადამიანის სადგომი და მისი მარაგი, ასევე საქონლის სადგომი და მისი მარაგი. სახლისაგან დამოუკიდებლად არსებობენ ისეთი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, როგორცაა სამჭედლო, ბინა, ბუჭულა, სალუდე და ბედელი. ამათგან ორი უკანასკნელი ცალკე ნაგებობის სახით იშვიათად გვხვდება. უმეტეს შემთხვევაში ისინი ხატის შენობათა ნაწილს შეადგენენ.

საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა სახლი ხევისურეთში ოთხი ძირითადი სახითაა დადასტურებული. ამათგან პირველია კალოიანი სახლი, მეორე — კოშკური სახლი, მესამე — საშქლური (ანუ ფშაური) სახლი, ხოლო მეოთხე — ბარული სახლი.

ზემოთ დასახვლებული სახლის სახეებიდან პირველი ძირითადად ხევისურულია. იგი შეგუებულია ხევისურების ძველებურ ყოფასთან და შერწყმულია მათ სამეურნეო ვითარებასთან.

კალოიანი სახლი სამთვალისი (სამსართულიანი) თავგაკრული ნაგებობაა, რომლის პირველ თვალს საკუთრად სახლი ეწოდება. ეს თვალი უმთავრესად განკუთვნილია ყვერფისა (კერა), ჯალაბობისა და პირუტყვისათვის, აგრეთვე ოჯახის ბუნაგის შესანახავად. მეორე თვალს სახელად შერქმეული აქვს ჭერხო. იგი მამაკაცთა სადგომია და ადამიანისა და საქონლის მარაგის საცავი. სახლის მესამე თვალია კალო, ანუ მაღალი ბანი, სადაც ზამთრობით ყინულზე პურს ლეწვენ, ხოლო მისი დაფარვბული კალო ბარგის (საქურვილის, იარალის) შესანახი ფარდულია.

სახლის ამ ტიპის გავრცელების არე ხევისურეთში ნიშანდობლივადაა მოცემული. იგი გავრცელებულია ერთიანად ხევისურეთის ძირითად ნაწილში, პირაქეთ ხევისურეთში, რომელსაც მირგვალი და ბუდე ხევისურეთი ეწოდება. ხევისურეთის ამ ნაწილისათვის კალოიანი სახლი გაბატონებული და დამახასიათებელი სახეობაა. აქა-იქ ეს სახლი ხევისურეთის ორ დანარჩენ ნაწილშიც მოიპოვება, სახელდობრ, მიღმა-ხევსა და არხოტში.

კოშკური სახლი ოთხ ან მეტ თვალიანია. პირველი თვალი მსხვილფეხა საქონლისთვისაა განკუთვნილი (მას საძროხე ეწოდება, თუშური ბაშტი), მეორე — წერილფეხა საქონლისთვის (ზედა შუას უხმობენ), მესამე —

ყვერფისა (კერისა) და ჯალაბობისათვის (შუა), ხოლო მეოთხე — ჭერ-
ხო — მამაკაცებისათვის და მარაგის შესანახავად. კოშკური სახლი გავრცე-
ლებულია ხევსურეთის იმ ნაწილებში, რომელთაც მიღმა-ხევი და არხოტი ეწო-
დებათ. სახლის ეს სახე მეტნაკლებად შეგუებულია პირიქით ხევსურეთის
მაღალმთიანი ზოლის მეურნეობის მოთხოვნილებებთან. მირგვალი ხევსურე-
თისაგან განსხვავებით აქ, პირიქით ხევსურეთში, მეცხვარეობას მეტი მნიშ-
ნელობა აქვს მოპოვებული. პირაქეთ ხევსურეთში თითო-ორიოლა ცხვრის მე-
ტი არა ჰყავო, პირიქითში კი ცხვრის რაოდენობა დიდია. ამ სხვაობას თავისი
განსაკუთრებული გამოსახულება ქსახლის აღნაგობაშიც უპოვია. კალიან
სახლში ცხვრისათვის ცალკე სადგომი არ არის გამოყოფილი, სამაგიეროდ
კოშკურ სახლში მეორე სართული მთლიანად ცხვრისთვისაა განკუთვნილი.
პირველ შემთხვევაში კი სახლის ქვემო თვალის უდიდესი ნაწილი მხოლოდ
მსხვილფეხა საქონლის სადგურადაა მიჩნეული. სახლის ორი სახეობის ზემოთ
დასახელებული ფუნქციონალური სხვაობა მიუთითებს იმ სხვაობაზე, რომე-
ლიც არსებობს მირგვალი ხევსურეთისა და მიღმა ხევსურეთის მეურნეობაში.
სახელდობრ: პირველში ჩვენ გვაქვს უმთავრესად და უპირატესად მსხვილ-
ფეხა მესაქონლეობა, ხოლო მეორეში წვრილფეხა მესაქონლეობა მსხვილფეხა
მესაქონლეობასთანაა შერწყმული. ამას, როგორც ქვემოთ დავრწმუნ-
დებით, არა მცირე მნიშვნელობა აქვს ჩვენი კვლევის საგნისათვის.

ზემოთ ჩვენ მიერ აღნიშნულ სხვაობასთან ერთად გასათვალისწინებელია
ისიც, რომ კოშკური სახლი, პირიქითი ხევსურეთის გარდა, გავრცელებულია
მის ჩრდილოეთით და თუშეთში. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სახლის
ეს სახეობა შეიძლება საზიარო იყოს პირიქით ხევსურეთისა და მისი ჩრდი-
ლოეთისა და აღმოსავლეთის მეზობლებისათვის. სახლის ამ სახეობის ერთ-
თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ მას აქვს ჩარდახი და სათოფურები.

ბარული სახლი ერთვალისაა. ის ქართლური ბანიანი მიწურების ტიპი-
საა. გავრცელებულია პირიქითი ხევსურეთის არხოტის თემში. როგორც ბოლო
ხანების მიწურები, აქაური ბარული სახლიც მიწის ზემოთ მდგარი ნაგებობაა.
მის კედლებს დატანებული აქვს ფანჯრები. ხევსურეთის სხვა ნაგებობათა შო-
რის ეს სახლი დაწინაურებული ტიპისაა. როგორც სხვა შემთხვევებშიც, სა-
ხლის აღნიშნული ტიპი პირველად არხოტში ჩნდება. არხოტი ხევსურეთის
სხვა ნაწილებს შორის ძველიდანვე უფრო მეტად პროგრესული იყო, ხოლო
მირგვალი ხევსურეთი — ტრადიციული და ჩაკერული, მიუხედავად იმისა, რომ
ხევსურეთის ეს უკანასკნელი ნაწილი ქართლ-კახეთის ცენტრებთან ტერიტო-
რიულად უფრო ახლოა. სახლის ეს ტიპი არხოტში სამხედრო გზის მეშვეობით
უნდა იყოს შესული, ბარული სახლი ხევსურეთის ჩრდილოეთითაც მოიპოვება,
რასაც სათანადო ლიტერატურა ამოწმებს¹.

რაც შეეხება ეგრეთწოდებულ საბძლურ სახლს, ის ხევსურეთის სხვა
სახლების მსგავსად ქვითაა აგებული, ოღონდ სხვა ტიპებისაგან განსხვავებით,
მისი სახურავი ორფერდაა, ორწახნაგოვანი. ამ მაჩვენებლითა და თავისი ერთ-
სართულიანობით ეს სახლი ფშაური სახლის გარკვეული ტიპის მსგავსია. მას
ხევსურეთში ფშაური სახლიც ეწოდება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხევ-
სურეთში ორფერდა სახურავი, საბძლურ სახლს გარდა, ხევსურულ ხატებს
აქვთ². ეს ფაქტი იმდენად გავრცელებულია ხევსურეთში, რომ მას არც ერთ

¹ В. Р I а c t s c h h k e, Die Tschetschenen, Hamburg, 1929, с. 77 და შმდ.

² В. Барлавелидзе, Опыт социологического изучения хевсурских верований, Тифлис, 1932, с. 18—19.

გამონაკლისი არ ახლავს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხევსურეთის ხატების სახურავი საგანგებო მზრუნველობის საგანია, მისი შეკეთება მხოლოდ ხატის მსახურთ შეუძლიათ, ისიც ძველი გვარისას, ორფერ-ლოვანი სახურავი ხევსურებისათვის ძველი ხანიდან უნდა იყოს ცნობილი.

ზემოთქმულთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ხევსურეთში საბძღურ სახლი დამხმარე ნაგებობაა, რომელსაც ხევსური იყენებს თავის გამძღოლ მეურნეობასთან (მსხვილფეხა მესაქონლეობასთან) დაკავშირებით. სახელ-დობრ, როდესაც მსხვილფეხა საქონლის საზამთრო საკვები კალოიანი სახლის ჭერბოში გამოილევა (რასაც ჩვეულებრივად ადგილი აქვს გაზაფხულის პირ-ზე), ის თავის საქონელთან ერთად საბძღურ სახლში გადადის, რომელიც სოფლის განაპირას ან ჭალაში დგას. აქვეა დაგროვებული საქონლის საკვები მარაგი. საქონლის გამოკვების გარდა, საბძღურ სახლთან დაკავშირებულია სასუქის დამზადება მახლობელი საყანე მიწებისათვის. გავრცელების მიხედ-ვით სახლის ეს ტიპი სპორადულად გვხვდება, როგორც მირგვალ ხევსურეთ-ში, ისე მიღმახევში (პირიქითში).

როგორც დავინახეთ, ხევსურეთში დადასტურებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ოთხი ტიპიდან ძირითადი, ხევსურე-თისათვის დამახასიათებელი და ტიპობრივია კალოიანი სახლი. ეს სახლი თა-ვისი აღნაგობისა და გეგმის მიხედვით კომპლექსურია, გამოყენების მიხედ-ვით რთული და მთის ზოლის მეურნეობასთან სათანადოდ შეგუებული.

მთის ზოლის მეურნეობა, ხანგრძლივი და ცივი ზამთრისა და სამოდრად ძნელი ხეობების არსებობის პირობებში, მოითხოვს ნაგებობის ისეთ ტიპს, რომელშიც საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ერთად და ერთ ჭერ-ქვეშ არის მოქცეული და ვერტიკალურ განზომილებაშია მოცემული. ამ მხრავ სხვა ვითარებაა ბარის ზოლის მეურნეობაში. აქ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები პორიზონტალურ განზომილებაშია გაშლილი, რამდენიმე სახუ-რავის ქვეშ და ცალკეული ნაგებობის სახითაა წარმოდგენილი³.

როგორც ცნობილია, ტიპობრივი ბარული მიწურის საცხოვრებელი და სა-მეურნეო დანიშნულების კომპლექსი მაშინაც კი, როდესაც ის ერთადაა მო-ცემული, რამდენიმე სახურავის ქვეშ არის მოქცეული⁴. ბარის მეურნეობის პირობებთან შეფარდებით მიწური სახლის კომპლექსი რამდენიმე დამოუ-კიდებელ ერთეულადაც ნაწევრდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს ნა-გებობის კომპლექსი მიწიდან ზემოთ ამოდის. დანაწევრება აქ აშკარადდება. ამ შემთხვევაში ცალკე ნაგებობის სახითაა მოცემული სახლი, ბოსელი, საბ-ძელი, ბეღელი, მარანი და სხვა.

სამაგიეროდ, მთის ზოლის მეურნეობის პირობების შესაბამისად კალო-იანი სახლი მრავალსართულიანი ნაგებობაა, რომელიც ითავსებს სახლს, ბო-სელს, საბძელს, ბეღელს, ერთი სიტყვით, როგორც ადამიანის სამყოფს, ცხო-ველების სადგომს, ასევე ადამიანის საჭმლის მარაგისა და ცხოველის საკვების საცავს. ეს სახლი აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, სოციალურ და

³ გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, 1, ტფ., 1926.

⁴ გ. ჩიტაია დასახ. ნაშრომი

რელიგიურ ფუნქციებსაც ასრულებს. ყოველივე ეს ამ სახლში ერთ ჭურჭეშე, ერთი სახურავის ქვეშაა მოცემული. აქ მაღალ ბანზე ზამთარში კალოობაც კი იმართება ხოლმე.

კალოიანი სახლის სამეურნეო ფუნქციებიდან მთავარია მასთან დაკავშირებული მსხვილფეხა მესაქონლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. იგია ამ საქონლის სადგომი, მისი მარაგის საცავი; აქვე ხდება რძის პროდუქტის დამზადება და შენახვა.

გვეცნოთ კალოიანი სახლის ზოგიერთ მხარეს. (ტაბ. 41).

კალოიანი სახლის პირველი თვალი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1. შინა (შინა მოიცავს ყვერფს, ღომელს, ნაწოლს, სახბორეს, სახოსტაგესა და სხვა); 2. საძროხე; 3. სენე // სენა, 4. ეზო; 5. საცხენე და 6. ქარიპანი. სახლის ამ თვალში აგრეთვე აღსანიშნავია: შუქუმები, დუქანი, კულა, ლიბუ, დარანი, ასაყარი კეზი, ქაზდარი, ზღვე და სხვა.

სახლის მეორე თვალში, ჭერხოში, მოცემულია: 1. წინგარდა; 2. ჭერხოს ქარიპანი; 3. სალოგინე; 4. ჭერხო—ყვერბით, დუქნებით, შუქუმებით, სასწორფრო კარით და სხვ.

მესამე თვალს აქვს მაღალი ბანი და დაფარებული კალო.

სახლის პირველი თვალის შინა ნაგებობის ის ნაწილია, რომელიც განკუთვნილია ჯალაბობის საცხოვრებლად და სამუშაოდ, ცეცხლის ადგილად და ზოგიერთი მარაგის შესანახავად. საძროხესაგან შინა გამოყოფილია ნაწილი ავით (მოწნული კედლით), რომელიც ჭერამდე აღის. შინას გარეკედელში შუქუმია მოწყობილი შუქის შემოსასვლელად, ხოლო შიდა კედელში, რომელიც შინასაგან გამოყოფს სენე // სენას, —საკვამეა ბოლის გასასვლელად. ყვერფზე ჭერში ასაყარია გამართული, რომელზედაც ხის საკიდარი ან რკინის ჯაჭვი ჰქილია. აქვე, ყვერფის მეზობლად, ღომელი დგას, რომელიც პურის საცხოვრებად განკუთვნილი.

ამათ გარდა, შინაში მოთავსებულია სხვადასხვა დანიშნულებისა და სახის კასრები, კარადები, სასანთბე, მაქალოზი და სხვა. კასრებში ინახება წნილები, სატანი და ხორავი. კედლებში დატანებული დუქნები (განჯინები) გამოყენებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთის მოსათავსებლად. აქვე დგას კარადა ჯამებისა და სხვათა შესანახავად და კართანულა — კარადა, რომელიც შინაში შემოსასვლელ კართან დგას და რომელშიც ნაფქავია დაცული. კედლის გასწვრივ ჭერზე მიმაგრებულია ისკორტა, რომელიც გამოყენებულია სხვადასხვა ბუნაგის ჩამოსაკიდებლად. ქინთი, სამარილე, ფანდური, დაშნა, ჯრმალი და სხვ. აქვე დგას ტაბლა და ჩეკი. ყვერფის მიდამო ორ ნაწილადაა გამოყოფილი. სამამაცო მხარეზე მოთავსებულია მერხი // სკამლოგინი, ჩვეულებრივად მდიდრული ორნამენტით შემკული, ხოლო სადიაცოს მხარეზე დევს ჩაფი — მოწნული საწოლი დედაკაცისათვის.

შინასა და საძროხეს კედლები ლიბუზე (საძირკველზე) არის ამოყვანილი. ლიბუს გასწვრივ დარანია მოწყობილი ნიადაგის წყლის ასარიდებლად საძირკველისაგან. სახლის კედელი მშრალადაა ნაგები, ოღონდ საჭირო-

5 შდრ. არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ. 1928, გვ. 161.

ბის მიხედვით ის წვრილი ქვითაა და ჭყორილი და გაგოზილია აზელილი საქონლის პატივით. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთში ქვით მშრალად აგებულ კედელს ყორე ეწოდება. ფიცრისაგან აშენებულს — კედელი, ხოლო შოწნულს — ნაწლავი // ნაწოლა.

სახლის აგების ტექნიკის მიხედვით საგულისხმო ფაქტია ის, რომ მირგვალი ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო დრომდე კირს არ იყენებდნენ. თუმცა ხევსურულ პოეზიაში ქვითკირი მრავალგზის არის მოხსენებული, ხევსური ყოფაში არ იცნობდა არც კირისათვის გამოსადეგ ქვას, არც საკირე ქურას, არც ამ საქმისათვის საჭირო სხვა მოწყობილობასა და იარაღს. ბუნებრივად იზადება კითხვა, ხომ არ არის ამ მოვლენაში მშენებლობის ტექნიკის უძველესი ტრადიცია შემონახული, ხომ არ მომდინარეობს ეს ტრადიცია გმირთ-ნაკვეთ ნაგებობათა ხანიდან, რასაც მხარს დაუჭერდა ხევსურეთის ნაგებობებში დამოწმებული კარის თავქუდის აგების ძველებური ხერხიც.

ხევსურული სახლის ქვემო თვალის ერთს საყურადღებო თავისებურებას მისი თავგაკრულობა შეადგენს. თავგაკრული სახლის ქვემო თვალს უკანა კედელი წინა კედელთან შედარებით დაბალია. ამ კონსტრუქციული წესის მიზანია გაადვილდეს ბოლის დენა საკვამისა და კარებისაკენ.

მაგრამ ხევსურული სახლის ქვემო თვალი სხვა მხრივაც საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი შეიცავს კულტურულ-ისტორიულად ღირებულ მრავალ ელემენტს, რომელთა შესწავლა ქართველი ტომების მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებს გაარკვევს. ეს ელემენტებია ყვერფი, ეზო, კულა, სენე და სხვა. ამათგან ჩვენ გვინდა ერთ ელემენტზე, სახელდობრ, სენეზე განსაკუთრებით შევჩერდეთ.

ხევსურული სენე შინას წინა კედელთანაა მოწყობილი. იგი ერთი მხრით იყენებს შინას გვერდის ყორის. გაგრძელებას, მეორე მხრით — შინას წინა ყორეს, ხოლო მისი მესამე და მეოთხე კედელი მოწნულია (ნაწლავი) და ფიცრული (კედელი). სენეს გვერდის ყორესა და კედლებში შექუთმები დატანებული, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

ხევსურულ კალიბან სახლში სენე ჩვეულებრივ იმ ვარაუდით ეწყობა, რომ იგი სახლის ისეთ კუთხეში უნდა მოწყვეს, სადაც ქარი მეტად სცემს. ამისათვის საჭიროა ეს ვარაუდი სახლის აგებისას წინასწარ იყოს გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ხევსურული სენე თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ შეასრულებდა.

ხევსურული სენე დანიშნულების მიხედვით სახლის ის ნაწილია, სადაც რძის პროდუქტების დამზადება წარმოებს. მასში დგას: 1. საზრისცვრე (რძის ხევსურულად ეწოდება ზისცვარი, აჭარულად სძე, ზე)⁷, რომელშიც ბაკნებია მოთავსებული; 2. გოდრებდაფარებული ბაკნები (ქაზდარზე — ნაიდაგზე); 3. სახეური (ხის ჭურჭელი ნაღებისათვის); 4. საწვეელი; 5. ყურიკა; 6. კასრები (ერბოსა და სატანისათვის); 7. კინჭლე; მასში ჰყიდია: ა. ვარია (სადღვებელი), ბ. საკალტე, გ. ხასუნა, დ. სატანის საწური, ე. წამალა; მასშივე დევს: სერცხა და საწური.

6 ლ. შროველი, ცხოვრ. ქართველთა: ქართლ. ცხ., მარიამ დედოფლისეული ვარ., გვ. 10; W. Beck. Bauten und Bauarten der Chalder: Verhandl. d. Berl. Anthr. Gesellsch., 1895. გვ. (602).

7 სტ. მენთეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. ენიმკის მოამბე, 11, 1939, გვ. 174; არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

უნდა აღინიშნოს, რომ მირგვალი ხევსურეთი განსაკუთრებით მსხვილფეხა მესაქონლეობის ქვეყანაა. მისი მეურნეობის სპეციფიკურობას მსხვილფეხა მესაქონლეობა შეადგენს. იმ დროს, როდესაც მისი მეზობელი ქართველი ტომები თუშები, ფშაველები, მოხევეები, გუდამაყრელები წვრილფეხა მესაქონლეობას მისდევდნენ, — ხევსური ისევ და ისევ ძროხის მეურნეობას არ ემშობებოდა და ძროხასთან დაკავშირებით თავის სახლ-კარს არ სცილდებოდა.

ხევსურეთის ყოფის რიგი მოვლენები მისი მეურნეობის ამ თავისებურებასთან არის დაკავშირებული. ისიც აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში განსაკუთრებით დაწინაურებულია რძის პროდუქტის დამზადება. ხევსურული ერბო თავისი კარგი თვისებებით განთქმულია.

რძის პროდუქტის ამგვარი მაღალი თვისება, რა თქმა უნდა, როდია შემთხვევითი მოვლენა. იგი აქ ორი გარემოებითაა შეპირობებული: 1. რძის პროდუქტის დამზადების შედარებით მაღალი ტექნიკით და 2. ხევსურული ძროხის მაღალი საბონიტეტო თვისებებით. თქმა არ უნდა, რომ ერთიცა და მეორეც ისტორიულად გამომუშავებული, ხალხის შრომითა და ოფლით მოპოვებული მიღწევაა. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ხევსურული ძროხა მრავალი საბონიტეტო თვისებებითაა შემკული. ხევსურებსა და ქართველებს სხვა ტომებს საუკუნეთა მანძილზე დიდად უშრომიათ ამ ჯიშის გაუმჯობესებაზე. თავისი ჩამომავლობით ეს ძროხა ძველი კოლხური ძროხის ჯიშისა უნდა იყოს, რომელსაც, პატარა ტანის მიუხედავად, დიდი წველადობა ახასიათებდა⁸. ხევსურულ ძროხას დღეს ახასიათებს მაღალი წველადობა, ხოლო მის რძეს — დიდი ცხიმინაობა. ხევსურულ ძროხას ეს თვისებები შეძენილი აქვს ადამიანის კულტურული ზეგავლენის შედეგად, კერძოდ, საკვების შერჩევა-გაუმჯობესების გზითაც. საძოვარ-საბალახოს შერჩევას ხევსურეთში დიდი ყურადღება ექცევა.

ცხადია, აგრეთვე, რომ კარგი ერბოს დასამზადებლად აუცილებელი პირობაა სათანადო თვისების რძე. ამასთან ერთად საჭირო და აუცილებელია რიგი ღონისძიებები, რომელთა შემწეობით შესაძლებელი ხდება მაღალი ღირსების პროდუქტის მოპოვება.

ამ ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის ხევსური მეურნის ის შესანიშნავი დაკვირვება, რომლის მიხედვით ერბოს დამზადების პროცესში რძე და რძის ნაღები (ხევსურულად ზეური) არ უნდა დამჟავდეს. ამ ღონისძიების ეფექტური განხორციელებისათვის საუკეთესო პირობას ხევსურული სენე იძლევა.

როგორც ზემოთ ითქვა, სენე ეწყობა სახლის ისეთ კუთხეში, რომელიც ქარის მხარეზეა. აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ სენეს ქვის კედელში (ყორეში), ასევე ფიცრის კედელში (კედელში) მოწყობილია შუქუმები, რომელთა შემწეობით სენეში ჰაერის მუდმივი ცირკულაცია ხდება. ამას არამცირედად ხელს უწყობს სენეს მდებარეობა ქარის მხარეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურები ერბოს მხოლოდ ნაღებისაგან აკეთებენ. იმისათვის, რომ რძემ ნაღები მოიგდოს, ისინი რძეს პირფართო ბანკნებში (გობებში) აყენებენ, რომელთა ერთი ნაწილი სენეში საზიცვრეშია ჩადგმული, ხოლო მეორე ნაწილი აქვე ქაზდარზე დგას. ამ უკანასკნელთ გოდრები ჰხურავთ. რძის თავზე მოდგმულ ნაღებს ხევსურები აგროვებენ აქვე, სენეში მდგარ საზეურში. ამგვარ პირობებში რძესა და ნაღებს დამჟავებისაგან იცავს ჰაერის მუდმივი ცირკულაცია სენეში. რაც შეეხება ნაღებს, ის ორ-

⁸ ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ „ხევსურული ვარია“ (აქვე).

შეაღდა დაცული დამყავების პროცესისაგან, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ნა-
ლები მოათავსეს საზეურში, მას საზეურიდან სისტემატურად აცლიან სველს.
ამ მიზნით საზეურს გვერდზე ძირთან საგანგებო შუშუტი აქვს დატანებული.
ზემოთქმულს ერთვის აგრეთვე სხვა ღონისძიებები, რომლებიც არსებითად
საუკეთესო ღირსების პროდუქტის მიღებასთანაა დაკავშირებული და ამ
დარგში ხევესურთა კულტურული მიღწევების დამადასტურებელია.

ზემოაღნიშნულს ისიც უნდა დავძინოთ, რომ ხევესურული სენე არა მარ-
ტო რძის პროდუქტის დამზადებისათვისაა განკუთვნილი, არამედ სენე ის
ადგილია, სადაც რძის პროდუქტებსაც ინახავენ, ერბოსა და ს ა ტ ა ნ ს. (ყველს)
ამ მხრივ ის რძის პროდუქტის საკუჭნაოც არის. როგორც ვხედავთ, სენე თა-
ვისი დანიშნულების მიხედვით, ორივე შემთხვევაში, რძის მეურნეობასთანაა
დაკავშირებული და ამ მეურნეობის მოთხოვნილებებს ემსახურება.

მაგრამ ხევესურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარტოდმარტო ზე-
მოთქმულით არ ამოიწურება მონაცემები სენეს შესახებ.

ხევესურებში, როგორც ბევრ სხვა ხალხშიც⁹, გავრცელებული იყო თიკან-
ბატენის ბეჭზე მკითხაობა. სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია,
რომ ეს ჩვეულება უძველესი ხანიდან მომდინარეობს¹⁰. ხევესურეთში ბეჭზე
დაწერილი მისხედვით წლის მანძილზე მოსალოდნელი შემთხვევების შე-
სახებ ვარაუდს იჭერდნენ. მკითხაობის საგანი იყო ადამიანის სიცოცხლისა და
მეურნეობის დამახასიათებელი მომენტები. ბეჭზე იკითხებოდა: დ ი ა ს ა ხ-
ლი ს ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი, ს ი ს ხ ლ ი ს მ კ ვ დ ა რ ი, შ ი ნ ა უ რ ი მ კ ვ დ ა რ ი,
ა ხ ა ლ ზ ლ ი ს კ ვ ა ლ ი, ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი, ნ ა ჭ რ ე ვ ი-
ა ნ ო ბ ა, ბ ა ვ შ ვ ი ს ა კ ვ ა ნ ი, ს ა ქ ო ნ ლ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი, მ თ ი ს გ ა-
ტ ე ხ ა და ო ჯ ა ხ ი ს ბ ა რ ა ქ ა (ნაწველ-ნაღვების რაოდენობა) (სურ. 5).

ამ უკანასკნელს ხევესურები ცნობდნენ ბეჭის თავის ხრტილოვანი ნაწი-
ლის მიხედვით. ბეჭის ამ ნაწილს ისინი ს ე ნ ე // ს ე ნ ა ს უ წ ო დ ე ბ ე ნ. რამდე-
ნად დიდია სენე, იმდენად მეტია ოჯახის ბარაქა, ე. ი. მოსალოდნელი ნაწ-
ველ-ნაღვები¹¹. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიასახლისის ნიშანს ბეჭზე
ყვერფი ეწოდება. სამკითხაო ბეჭზე სენე ყვერფის მახლობლადაა მოთავ-
სებული. სამკითხაო ბეჭზე სენეს წარმოჩენა კვლავ ადასტურებს სენე // სენას
კავშირს რძის მეურნეობასთან და ამასთანავე სენეს ამგვარი ფუნქციის სი-
ძველეზე მიუთითებს.

როგორც მარანი ღვინის დასამზადებელი და შესანახავი ნაგებობაა, ხოლო
ბელელი მარცვლეულის საკუჭნაოა, ასევე დიფერენცირებულად ხევესურული
სენე რძის პროდუქტის დასამზადებელი და შესანახავი ნაგებობაა, ხევესურული
კალიონი სახლის ქვემო თვალის ნაწილია. იგი ემსახურება ხევესურეთის სპე-
ციფიკურ მეურნეობას, მსხვილდება მესაქონლეობას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სენე // სენა ხევესურულ პოეზიაშიც მოიხსენიება¹².

⁹ A. H a n t h a u s e n. Transkaukasien, II, Leipzig, 1856, გვ. 172—173.

¹⁰ E. E i s e n b e r g und Paudler. Das Wahrsagen aus dem Schulterblatt eines Sau-
getieres: internationales Archiv für Ethnographie, ტ. XXXVIII, Leiden, 1940, გვ. 112 —
118, რეც. ამ ნაშრომზე იხ. Anthropos, ტ. XXXV—XXXVI, გვ. 387—388, Freiburg, 1942.

¹¹ ვსარგებლობ ასპ. თ. ო ჩ ი ა უ რ ი ს მიერ მოწოდებული მასალით. შდრ. მ. ბ ა ლ ა-
ა უ რ ი, მესაქონლეობის წესები ხევესურეთში, ისტ. ინსტ. ეთნ. განყ. არქივი, ხელნაწ. № 33,
რე. 3, გვ. 137—138; თ. ო ჩ ი ა უ რ ი ს მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ.

¹² ა. კ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევესურული, 1931, გვ. 31.

ხევისურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თავისი დანიშნულების მიხედვით ასე მკაფიოდ წარმოჩენილ სენე // სენას პარალელები ქართველების სხვა ისეთ ტომებშიც მოიპოვება, სადაც მსხვილფხა მესაქონლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სახელდობრ, აჭარლებსა და მესხეთში.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები სამი ძირითადი სახითაა დამოწმებული. ნაგებობათა თითოეული ძირითადი სახე შეფარდებულია აჭარის გეოგრაფიულ პირობებსა და მის სამეურნეო და კულტურულ-ისტორიულ ვითარებასთან. ნაგებობათა ძირითადი სახეები შემდეგია: ჩ ა რ ხ ლ ი და ო რ თ ა // ს ა ხ ლ ი — ბარში, ჯ ა რ გ ვ ა ლ ა-ს ა ხ ლ ი — ფერდაში (ყ ი შ ლ ა), ხოლო ხ უ ლ ა-სახლი მთაში (იაილა). ჩარხილი და ორთა — სახლი ჩვეულებრივად ორ ან სამსართულიანია, ჯარგვალა ერთსართულიანი და ხულა-სახლი წესისამებრ ორსართულიანი. სახლის ეს უკანასკნელი ტიპი მეტად საინტერესოა თავისი აღნაგობით. იგი მოგვაგონებს ძველი კოლხების სახლებს, როგორც ეს ვიტრუვიუსს აქვს აღწერილი¹³.

როგორც ხევისურეთში, აჭარის მთიან ზოლშიც მსხვილფხა საქონლის მეურნეობაა. აჭარელს საქონელი ზამთარში და გაზაფხულზე სოფელში ჰყავს. შემოდგომით, ვიდრე სოფელში ყანები აიღება, ფერდაში ამყოფებს, ხოლო ზაფხულში მთაში მიჰყავს, სადაც თვითონაც ადის ჯალაბობით (იაიდაზე). აქ იგი ხულა-სახლში თვითონაც ცხოვრობს, ღამით საქონელიც უყენია და მეურნეობასაც ეწევა.

ხულა-სახლში ქვემო სართული საქონლისთვისაა განკუთვნილი (ბოსელი), ხოლო მეორე სართული ადამიანის სადგომი, ცეცხლის ადგილი და რძის პროდუქტების დასამზადებელია. მეორე სართულში სამი განყოფილებაა. ი ა ხ ლ უ ლ ი, ს ა ც ე ც ხ ლ უ რ ი და ს ა რ ძ ი ე. ამ უკანასკნელში წარმოებს რძის პროდუქტების დამზადება და შენახვა (კერძოდ კარაქისა).

ხევისურების მსგავსად, აჭარლები კარაქს მხოლოდ ნაღებისაგან დღებავენ¹⁴. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ხულა-სახლის სარძიე თავისი დანიშნულებით ხევისურული კალიიანი სახლის სენე // სენას ადეკვატურია. ხევისურული სენეს მსგავსად, აჭარული სარძიე სახლის ისეთ კუთხეში იგება, სადაც ქარი უფრო მეტად ხვდება. კიდევ მეტი იმისათვის, რომ სარძიეში ჰაერის ცირკულაცია მუდმივად ხდებოდეს, სარძიეს კედლის ძელებს დატანებული აქვს ნახვრეტები (ჭ ი ჭ ი ნ ე ბ ი), რომელთა შემწეობით გარეგანი ჰაერი სარძიეში ადვილად შედის. ამის გამო აქ ჰაერი სათანადოდ იწმინდება და მასში საჭირო ტემპერატურული რეჟიმი მყარდება. ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ, როგორც ხევისურეთში, აქაც სარძიეში პირგანიერი გობებით დგას რძე ნაღების მოსავლებად. აჭარაში სარძიეს ს ა მ ზ ა მ ე ც ე წ ო დ ე ბ ა

თავის დროზე ჯერ ვიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ „აქ (ე. ი. აჭარაში) აკეთებენ ყველს — ერთი იქნების ის, იე, და კლიტრა, არაოღესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებაეს, შემგბარი კეთილ სახმარ არს“¹⁵. ვახუშტის ცნობა იმას მოწმობს, რომ აჭარლები რძის პროდუქ-

¹³ Vitruvius. De architectura libri decem, გამოც. F. Krohn-ისა, Lipsiae, 1912, გვ. 16.
¹⁴ ნაღები იღვენებება ხის ან თიხის საღვებელში, რომელსაც აქ ღ ვ ა რ ი ა ე წ ო დ ე ბ ა (შდრ. ს ტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრომი, გვ. 174—175).
¹⁵ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... თბ., 1941, გვ. 134.

ტების დამზადების ერთ დარგში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილან. მაგრამ აჭარლების ამგვარი დაწინაურება ჩანს აგრეთვე კარაქის დამზადების ხელოვნებაშიც. ჩვენი აზრით, ამას ადასტურებს ზემოთ გამოვლენილი ორი გარემოება: 1. სარძიეს გამოყენება, ხევესურული სენე // სენას მსგავსად, კარაქის დამზადების პროცესში და 2. ნალების შედღვება კარაქად. ზემოთქმულს დაეძინთ, რომ აჭარლები კარაქს ამარილებენ და ტკეჩის ყუთებში ინახავენ, ხევესურები კარაქს ერბოდ ადნობენ და კასრებში ინახავენ.

სარძიეს არსებობა დადასტურებულია აგრეთვე მესხურ სახლში (ქვაბლიანის ხეობა), სადაც ის მოთავსებულია კარაპნის ერთ ნაწილში¹⁶.

სხვა ფუნქცია აქვს დაკისრებული სენე // სენას სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, თუმცა სენე // სენა აქაც ნაგებობასთანაა დაკავშირებული და სახლის ნაწილს აღნიშნავს.

სვანეთში სენაი // სანაი-სა (ბალს ზემოთ) და სენა-ს (ქვემო სვანეთი), სახელწოდებით აღინიშნება სვანური სახლის (ქორის) პირველი სართლის (მაჩუბის) კედლის თახჩა, რომელიც მორწმუნე სვანის ყოფაში განსაკუთრებული დანიშნულებისა იყო. სვანის რწმენით, ყოველ გვარს და გვარში შემავალ ყოველ ოჯახს თავისი მეზირი ჰყავდა ამა თუ იმ უჩინარო ცხოველის სახით: ვერცხლის ან ოქროსფრად მოელვარე თავგი, ზვლიკი, ხბო, კვიცი, ოქროს მამალი, დედალი და სხვა. მეზირი გვარისა და ოჯახის მფარველად ითვლებოდა. ის ოჯახსა და გვარს სიკეთესა და ბარაქას ანიჭებდა. მისი საცხოვრებელი ბინა უპირატესად სვანური სახლის სენაი // სანაი // სენა იყო. აქ, სენაი-სთან, ოჯახის უფროსი ქალი ოჯახისათვის დიდად მნიშვნელოვან რატულას ასრულებდა და მეზირის სახელზე სენაი-ში საგანგებო დანიშნულების კვერს (ქორალეგემს) შედებდა და „ფკაკნით“ (ჯამით) რძეს შედგამდა¹⁷.

ზემოაღნიშნულის გარდა, სენას სახელწოდებით ქვემო სვანეთის ზოგიერთ სოფელში სახლის (ქორ) ზემო და ქვემო სართლის (მაჩუბ და დარბაზ) სარკმელიც აღინიშნება. ამრიგად, ორივე შემთხვევაში სვანური სენაი // სანაი-სენა (თახჩა და სარკმელი) ნაგებობასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე პირველ შემთხვევაში იგი ოჯახის მთავარ კულტს უკავშირდება დაახლოებით ისევე, როგორც ხევესურულ ბეჭის მკითხაობაში სენე // სენა ყვერფთან (კერასთან) და დიასახლისთან ახლო მდგომია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ხევესურულ-აჭარული სენე-სარძიეს მსგავსი ნაგებობის არსებობა დამოწმებული უნდა იყოს XVII საუკუნის სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ქრ. კასტელის ალბომში მოცემულია სახლის სურათი, რომლის ერთ კუთხეში იკითხება წარწერა Cassina, რაც სარძიეს აღნიშნავს. უნდა ისიც ითქვას, რომ ალბანეთის და ალბების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამგვარი სარძიეები დღესაც არის დამოწმებული¹⁸.

მოხვევების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სენა-ს სახელწოდებით აღინიშნება სახლის ის ნაწილი, რომელშიც ინახება ოჯახის ძვირფასეულობა (ტანსაცმელი, სამკაული აგრეთვე ერბო, ყველი და სხვა). აქ სენეს კარებს მაგარი საკეტები აქვს.

16 გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, ტ. I, ტფ., 1926.
17 ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ტფ., 1939, გვ. 163.
18 Fr. N o p c s a. Albanien. Bauten, Trachten und Geräten, Leipzig 1932, c. 21.

მაგრამ ტერმინი სენე // სენა დადასტურებულია არა მარტო ბოლო ხანების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, არამედ ჩვენ მას ვხვდებით XI საუკუნის ისტორიულ დოკუმენტში. საგულისხმევია, რომ ამ დოკუმენტშიც ეს სახელწოდება ნაგებობასთან და რძის მეურნეობასთანაა დაკავშირებული.

ნიკორწმინდის სიგელში იკითხება: სახლი სენაით და ზედა სახლი სენიანი¹⁹. ორივე შემთხვევაში ტექსტი ისეთ ნაგებობას გულისხმობს, რომელსაც სენა აქვს. მაგრამ ამით ჯერ კიდევ გარკვეული არ არის, თუ რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო სენა ნაგებობის კომპლექსში.

ამ საკითხის გასარკვევად ყველაზე ადვილი იქნებოდა სენა-სენაკთან და გვეკავშირებინა და ეს უკანასკნელი ოთახის მნიშვნელებით აგვეხსნა²⁰. ამის საფუძველზე სახლი სენაით და ზედა სახლი სენიანი უნდა გვევარაუდებინა როგორც სახლი ოთახით და ზედა სახლი ოთახიანი. მაგრამ ეს ვარაუდი თავისთავადაც მისაღები რომ იყოს, ამით სენის სპეციფიკური დანიშნულება ამ ეპოქებისათვის (XI საუკუნე) ოდნავადაც არ იქნებოდა გარკვეული.

სამაგიეროდ თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ნიკორწმინდის ძეგლის მონაცემებს ნაგებობათა შესახებ და მათ ფუნქციებს გავეცნობით, სენას საკითხსაც ადვილად გავარკვევთ. ძეგლში ნიშანდობლივად შემდეგი სამეურნეო ხასიათის ნაგებობებია დასახელებული: ბოსელი, ფარეხი, სამეგრეო სახლი, ბეღელი, სამზარეულო სახლი; ამასთანავე ამავე ძეგლში გარკვევითაა მოცემული ცალკეული მეურნეობის ნაგებობათა კომპლექსები სოფლობრივად. მაგალითად, სოფ. ხოტევეში ნაგებობათა კომპლექსს შეადგენს: სახლი სენითა, ორითა ბოსლითა, ბეღელი სადაგი, ბეღელი ხერხული; სოფ. საწიერეში: ბოსელი ქვიტიკირი, ზედა ბეღელი ხერხული; სამზარეულო სახლი, ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანი, სახლი ცოლოფისა, ზედან საჯვარე. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ძეგლში შექმნილი მიწის საფასურად ხშირად დასახელებულია: ზროხა (ჯარი უფური), მოცეთი ზროხაი, ცხენი ხუადი, ცხოვარი, ქალმანი შოლტაი, ჯორი, ჯარის ტყავი, ხატოი, მატყლი, ჯაჭვი, ავშარა, ქვაბი, რკინა, ცვილი, სასკე და სხვ.

ზემომოყვანილი ორი წყება მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ნიკორწმინდის მონასტრის მეურნეობაში წარმოდგენილი იყო როგორც მემინდვრეობა, ასევე მესაქონლეობა, მევენახეობა და მეფუტკრეობა. ამავე ნაგებობათა და გაცემული საფასურების გაცნობიდან ცხადი ხდება, რომ ამ მეურნეობაში მესაქონლეობა ფართოდ იყო მოცემული. კერძოდ დოკუმენტი შეიცავს ცნობას იმის შესახებ, რომ მიწის საფასურად ხატოი კაბიწი გაუციათ. ძეგლში დაცული ცნობების მიხედვით ამ მეურნეობას ემსახურებოდა შემდეგი ნაგებობები: ბოსლები — ზნაკვას, მუხურს, ხოტევეს, საწირეს და ბეთობრელს; ფარეხი ს. ზნაკვას და სამი სამეგრეო სახლი — ბეთობრელს. ეს მონაცემები ააშკარავებენ, რომ მონასტრის მეურნეობაში მსხვილფეხა მესაქონლეობას შედარებით დიდი ადგილი სჭერია. სამწუხაროდ, ნიკორწმინდის ძეგლი დაწერილებით შესწავლილი არ არის, ამიტომ ზედმიწევნით იმის გარკვევა, თუ რა სახით იყო მოცემული სხვადასხვა სამეურნეო ერთეულის ნაგებობათა კომპლექსი²¹, ამჟამად მეტად ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ზემო-

19 თ. უორდანი, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 47—48.

20 ა. კიკვიძე, შუა-სახლი რაჭა-ლეჩხუმში, ენიშის მოამბე, ტ. VI, გვ. 365.

21 საკარმიდამო კომპლექსების საკითხის გასარკვევად შესადარებელ მასალას იძლევა XVII საუკუნისათვის ქრისტეფორე კასტელის ალბომი (შდრ. V. Bellio, lac-



მოყვანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ნიკორწმინდის მონასტრის მეურ-
ნეობაში გარკვეული რიგის ნაგებობანი ან მათი შემადგენელი ნაწილები, მე-
მინდერობას, შევენახეობასა და მესაქონლეობას ემსახურებოდნენ. ამას მოწ-
მობს ძეგლში დასახელებული ნაგებობები: ბელელი, მარანი და სენა. ეს უკა-
ნასქნელი XI საუკუნის რაჭაში იმავე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, რო-
გორც ხევსურული სენა და აჭარული სარძიე, სადაც დაწინაურებული წესით
კარაქის დამზადების რთული პროცედურები ტარდებოდა და სადაც რძის
პროდუქტებს ინახავდნენ.

მაგრამ სენას არსებობა თავისი სპეციფიკური დანიშნულებით XI სა-
უკუნეზე ადრინდელ ხანაშიც არის სავარაუდებელი. ამ ვარაუდს ამართლებს
მცხეთა-სამთავროსა და თრიალეთში ღმობიანი ძველი ხანის (ურარტული და
უფრო ადრინდელი დროისა) სადღვებლები²². ამ მონაცემთან გარკვეულ კავ-
შირშია კლასიკური მწერლობის ცნობა კოლხური ძროხის საბონიტეტო თვა-
სების შესახებ, ისევე როგორც ასურული წყაროების მასალები ურარტე-
ლებსა, თობალებსა და მუსკებში მაღალი დონის მესაქონლეობის არსებობის
შესახებ²³. ძველი ჩანს თვით სახელწოდება სენე, რამდენადაც მისი შესატყვი-
სი უნდა იყოს ხალღური *sini* — სახლი, საცავი²⁴ და ხურული *šen-ni* —
სახლეული, ძმა.

სახელწოდება სენე // სენას თავდაპირველი მნიშვნელობის გასარკვევად
შესაძლებელია ქართული შინა და ხევსურული შინშიც (შდრ. საბა ლექსი,
შინში — დეიდაშვილი, მამიდაშვილი) იყოს გამოყენებული. ამ მიმართულე-
ბით სხვა მასალებიდან გასათვალისწინებელია: ბაცბ, ს ა ნ ი აღნიშნავს კარს,
სახლის შესავალ-გასავალს, ს ა ნ გ ო — კარების მიდამოს, ეზოს²⁵, ს ა ნ ი ალა-
ჩოყის კარი²⁶ და ხევსურული ს ა ნ ა-ღ ე ლ ე — მთაზე გადასასვლელის სახე-
ლია გუდანიდან ბაცალიგოში²⁷.

ამგვარად, ხევსურული სენე // სენა ხევსურული სახლის ქვემო თვალის
ის ნაწილია, რომელსაც საგანგებო დანიშნულება აქვს და რომელიც მჭიდრო-
დაა დაკავშირებული ხევსურეთის მსხვილფეხა მესაქონლეობასთან. სენე თა-
ვისი სპეციფიკური ფუნქციით ქართველ მესაქონლე ტომებში რძის მეურნე-
ობის მაღალ დონეზე მიუთითებს და მის სიძველეს ამოწმებს.

Georgia etc. Roll della Soc. Geograph. ital ser. II, IV, IX, 3884, გვ. 690) XIX საუკუნის
მეორე ნახევრისათვის სახ. მუზ. ეთნოგრ. განყოფ. ნაგებობათა მოდელების კოლექცია და სხვა
(იხ. სურ. 10—11).

²² Б. К у ф т и н, Археологич. раск. в. Триаleti, I, Тбилиси, 19941. გვ. 57,
ტაბ. XXIX.

²³ Luckenbill, Ancient records of Assyria and Babylonia II, 1926.

²⁴ Н. М а р р, Отчет Анийского музея древностей за 1915 г. г. Петроград, 1917,
40.

²⁵ ცნობა მომავლად ენის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრ. დ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ შ ა,
რისთვისაც მაღლობას მოეახსენებ.

²⁶ ჩემი ჩანაწერის მიხედვით, ტბათანა, 1932.

²⁷ ცალკე განხილვას საჭიროებს ოსტრში (დიგ.) შემონახულია *siaks*—აღნიშნავს სი-
ძეს (Вс. М и л л е р, Осетино-русско-немецкий словарь) და რუსული—сени, რომელსაც
H. Benveniste ბერძნულ *Oxiaros, ὄξαρως*-ს უკავშირებს (Origines de la formation des noms
en indoeuropeen, I, Paris, 1935, გვ. 14).



ქართული თორნი

1947 წლის ზაფხულში, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია მუშაობდა ქართლის იმ ნაწილში, რომელიც მდ. ქსანსა და მდ. არაგვის შორის მდებარეობს, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა საგურამოშიც გვემუშავა. საგურამოში ჩვენი ყურადღება სხვა საკითხებთან ერთად იქაურმა თორნეებმა მიიპყრო.

საგურამო ვრცელ მოსახლეობას შეიცავს. მასში შედის საკუთრივ სოფ. საგურამოს გარდა რიგი სხვა სოფლებისა, რომლებიც გაშენებულია მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე ს. ჭობორტიდან დაწყებული — გათავებული იქ, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის. ეს მიკრორაიონი იმავე ხასიათისაა, როგორც სხვა მრავალი მიკრორაიონი, ქართლში რომ ხშირად გვხვდება. მაგალითად: დუშეთი, ქაისხევი, გრემისხევი, ბახალეთი და სხვ.

ზემოთ დასახელებული თითოეული ცალკე მიკრორაიონი მოცულობით სოფელზე მეტია, რამდენადაც მასში, შეიძლება ითქვას, ცალკეული სოფლებია მოცემული. მაგრამ ამავე დროს თითოეული მთვანი შეიძლება ერთ დიდ სოფლად ვივარაუდოთ, რომელსაც ცალკე უბნები აქვს შედარებით პატარა სოფლების სახით. წარსულში მიკრორაიონს ჰქონდა საერთო ხასიათის ელემენტები მეურნეობის, სოციალური ყოფისა და სულიერი კულტურის სფეროში. სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენ გვიძნელდება ასეთ ერთეულს მოვუძებნოთ ქართული სახელწოდება, ამიტომ მას ჩვენ პირობით მიკრორაიონს ვუწოდებთ. ამავე ხასიათისაა ზემოთ დასახელებული საგურამოს მიკრორაიონიც. სოფ. საგურამო ერთ-ერთი სოფელია, მასში შემავალ სხვა სოფლებთან ერთად.

საგურამოს მიკრორაიონში თორმეტი სოფელია: საგურამო, ახალსოფელი, შამკევანი, ნავდარაანთკარი, კოტორაანთკარი, ხურიანი, საქარო, გალავანო, წინამძღვრიანთკარი, ბიწმენდი, ჯილაურა და არაშენდა.

საგურამოს სოფლებიდან თორნეზე მუშაობა სოფელ ბიწმენდში მიგვიხდა. ამიტომ ვიდრე ბიწმენდში შეგროვებულ მასალას აქ მოვიტანდით, მოკლედ შევეხებით სოფლის ზოგად მონაცემებს.

სოფ. ბიწმენდში შემდეგი უბნებია: სუხინთი, ბეკურიანთი, სისაურები, ჩანადირები და ტოგონიძეები. ამასთანავე სოფელი ორ ნაწილად იყოფა: გაღმა უბანი და გამოღმა უბანი, ან კიდევ ზემო და ქვემო ბიწმენდი. სოფლის სახეობები: ბეროანთკარი, ნასყიდობები, ლელები, საახოე, საზედლიანთო, ნავომურლები, თრიმლიანები, დათიას მიწები, ნამგალა („ნამგალივით არი მოქანდული“), პეტუანთ მამულები, ჭალისპირები, გარიყულები, კრიახის ძირები, ლამურები, ბადების ბოლოები, ნაფარეხლები, ფანტიანთ მამულები, გიგოანთ მამულები და ათილას ველები, ბაღები: ფოთოლანთ ველების ბაღები, სუხიანთ ბაღები, ძაღლაურიანთ ნაბაღები. ტყეები: წყაროხევი, ლაფიანხევი, ოზანთ ტყე, ყინულას ტყე, ლაღუშას ტყე, მაყვლიან-

ხევი, ჭინჭრიანი სანახშირე („ნახშირები ეწოთ იქა“), ძველნაკაფი, გაბრუას ნაკაფი, ჟატას ნაკაფი, თავარანგელოზის ტყე, გლახას ნაკაფი, კრიახები, ჯილაურების ნაკაფი, კვირიცხოვლის ტყე, ნიშის ქედი, საახოე, კაკლიან-ხევი, საბუის—ხევი. წყაროები: ზემოუბნის წყარო, ბეკურაანთ წყარო, მალაქიას წყარო, ნაქვირის წყარო, ლევანის წყარო და შაშვების წყარო. ხეები: დიდხევი, პატარახევი, კაკლიანთხევი ლოფანთხევი, ახატანისხევი, ჭინჭრიანთხევი, მთები: გაღმა სოფლის ხრიაკი, გამოღმა ხრიაკი, სათიბლის ქედი, ძველნაკაფის ქედი, წყაროსხევის ქედი და ნიშიქედი. გზები: საჭაბორტოს გზა, ერწოს გზა, მთავარანგელოზის გზა, ნასყიდობების ბილიკა, გაბრუას მამულის ბილიკა, ნიშიქედის ბილიკა, არამენდის ბილიკა. გალავნის გზა, ჯილაურის გზა, ზედლიანთკარის გზა, ახატანის გზა¹.

სოფ. ბიწმენდში შემდეგი გვარები სახლობენ: კაპანაძე, ოქრობირიძე, მამულაშვილი, სისაური, სუხიაშვილი ბეკურაშვილი, რაზმაძე, მგელიაშვილი; შენგელია, ბედუკაძე, სულიაური, მეზვრიშვილი, დავითულიანი, მეძველია და ჩოხელი.

მოსახლეობის საცხოვრებელი ტერიტორიიდან სოფლის კუთვნილებაში მყოფი მამული, ტყე და მთა სამი კილომეტრის მანძილითაა დაშორებული.

სოფლის საცხოვრებელი ნაგებობების უმრავლესობა ორსართულიანია, ქვიტკირით ნაშენები და ქართულკრამიტიანი ორფერდა სახურავით. მშენებლობის ტექნიკა და მასალა ყველასათვის ერთნაირია (რიყის ქვა, კირი, ლამი, ხე); საცხოვრებელ სახლებთან ახლოს, უშუალოდ მის გვერდით, ან ეზოს რომელიმე ნაწილში მოთავსებულია სამეურნეო ნაგებობები: ბოსელი (გომური), ზარ-გოდორი (ერთი ან რამდენიმე), საბძელი, სათონე (გადახურული) ან თონე (გადაუხურავი), საფუტკრე, სალორე და საქათმე. ხშირად სახლის დერეფნის ერთ მხარეზე მოწნული კედლებია შემოვლებული, სადაც პურის კილობანი დგას. თითქმის ყველგან სახურავი (სხენი) გამოყენებულია ძველმანების, სამეურნეო იარაღებისა და ზოგიერთი ბოსტნეულის შესანახავად. სამეურნეო ნაგებობების უმრავლესობა წნულია. ეზო — კარმიდამოს შემოვლებული აქვს ღობე ჯაგისა, ძეძვისა, წნელისა (ხშირად ტყრუშული) და სხვა.

II

როგორც ზემოთ ითქვა, ს. ბიწმენდში თორნე შედის კარმიდამოს კომპლექსში და, როგორც წესი, ეზოშია მოთავსებული. აქ მცხოვრებ გულო სისაურის თორნეც ეზოს ბოლოშია. ეს თორნე, რომლის საერთო სიმაღლე 87 სმ უდრის, ხოლო დიამეტრი ძირში—59 სმ და პირზე—52 სმ-ია. (ტაბ. 43). თითქმის ნახევრად მიწაშია ჩადგმული. თორნის მეორე ნაწილს, რომელიც მიწის ზემოთ იმყოფება, ლასტი აქვს შემოვლებული, ლასტსა და თორნეს შუა მიწა ჩაყრილი, რომლის ზედაპირი დატკეპნილია. ლასტი შელესილი ყოფილა გარედან. ადგილ-ადგილ შემხმარი ტალახი ამოცვენილია. როდესაც თორნეს არ ხმარობენ, მასზე დაფარებულია ფიცრები და ზედ ქვები აწყვია. თორნე ნაყიდა მცხეთის ბაზარში 10 წლის წინათ.

გ. სისაურის თორნის მეზობლად, ნ. ბეკურაშვილის ეზოში, თორნე თითქმის მთლიანად მიწაშია ჩადგმული.

¹ მ. გეგეშიძე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმია (არაგვისა და ქსნის ხეობების მასალების მიხედვით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXVII, 1949.

ამავე უბანში ჩვენ ვნახეთ თორნე, რომელიც ის იყო დაედგათ. მის ლასტის კედლის შელესილობა ჯერ კიდევ არ იყო გამშრალი. გ. სისაურია თორნის მსგავსად ის ნახევრად იყო მიწაში ჩადგმული. იგი ეკუთვნის ნ. სისაურს. გ. სისაურის თორნისგან განსხვავებით, ის ადგილობრივ არის დამზადებული.

თორნეს ასე აკეთებენ: ამოიღებენ თიხას, გაურევენ თხის ბალანს, მერაოდ მოზელავენ ფეხით. მიწაზე, ეზოში ან დერეფანში თორნის ძირის ზომის წრეს შემოავლებენ. მოზელილ თიხას გუნდა-გუნდად დაჭრიან, გრძელი სორსლებით ძირიდან წყება-წყებად თორნის კედელს ამოიყვანენ. ერთი-ორი დღე ამოყვანილი თორნე ადგილზე შრება. შემდეგ მასში ფუტურო შერას ჩააწყობენ, ცეცხლს დაანთებენ, თორნეს ზემოდან დააფარებენ ნაქსოვს, რომ ბოლი არ გამოვიდეს. ბოლი თორნეს გამოაშრობს. ამის შემდეგ თორნეს დამენ სათორნის ორმოში, გარშემო წნელის ლობეს შემოავლებენ. ცარიელ ადგილს თორნესა და ლობეს შორის მიწით ამოავსებენ, დატყეპნიან და თორნეც ამის შემდეგ მზადაა გამოსაყენებლად.

თორნის დამზადება და ჩადგმა კაცსაც შეუძლია და ქალსაც. სოფელში ჩვენ ვნახეთ ბავშვების მიერ თამაშობის დროს დიდების მიბაძვით ამოყვანილი „თორნე“, რომელიც ახლად აგებული თორნის მახლობლად იდგა. ეს „თორნეც“ სორსლებითაა აშენებული.

ამჟამად თორნეს იყენებენ პურის გამოსაცხობად. თორნის ძირში აანთებენ ცეცხლს. ცეცხლის ალი, ჩვეულებრივად, მალაღზე იწევს, კედელი ძლიერ ხურდება, ნაცარი ძირს დადის; ნაკვერცხალს რომ ამოიღებენ, თორნის კედელს სველი ჩვრით ამოასუფთავენ, თორნეს ოდნავ შეანელებენ, ზომაზე დააყენებენ და შეუდგებიან პურის გუნდების ჩაკვრას თორნეში. როდესაც თორნის კედელს გუნდებით დაფარავენ, ზემოდან ფიცრებსა და ჩულს დააფარებენ, ნახევარი საათის განმავლობაში პურები გამოცხვება, თორნეს ჩულს ახდიან და პურებს ამოყრიან.

ზემოთ მოხსენებულ ჩვრის გარდა თორნეზე მუშაობის დროს იხმარება ხეტი (ნაკვერცხლის ამოსაღებად), გრძელტარიანი ასტამი, კავიანი ასტამი, კავიანი შამფური, საჩხრეკი და სხვ. ბიწმენდის ტიპურ თორნეში აქაური პურის 23 ცალი ცხვება ერთ ჯერზე.

თორნის გასაყეთებლად საჭირო თიხა სოფლის ფარგლებში იპოვება. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ს. ბიწმენდში იმერლებს ჰქონიათ გომართული ქვევრების საწვავი ქურები, სადაც დიდი ზომის ქვევრებს წვავდნენ აქვე იყო ქვევრის „ასაშენებლად“ გამოსადეგი თიხაც. სოფელში მჟამად მრავლად იპოვება იმერლების მიერ ადგილობრივად დამზადებული ქვევრები. რომელთაც მოხელის დაღებიც აქვს. აქვე იმერლებს სანახშირეებიც ჰქონიათ. აქ დამწვარი ნახშირი თბილისში უზიდიათ გასასყიდად.

სოფ. ბიწმენდში ჩვენ მიერ ფიქსირებული თორნეების მსგავსი თორნე ვნახეთ სოფ. ჭობორტშიც. ოღონდ აქ თორნე დერეფანშია მოთავსებული. „ეგ თორნე თითონ ქმარმა გააკეთა, იმან ჩადგა“, — ვკითხულობთ მეცნიერი თანამშრომლის ს. ბედუკაძის დღიურში (1947 წ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ჩანაწერი 11 ივლისისა). თორნის დასამზადებლად იყენებენ ყვითელ მიწას, რომელიც აქვე სოფელთან ახლოს არის.

იმგვარადვე, როგორც ს. ბიწმენდში ეზოში ჩადგმული თორნე დადასტურებულია მრავალგან. აქ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ: „ს. ვარსიშაანთ-კარი, ნ. პირმისაშვილის კარმიდამო. ერთსართულიანი, ქვიტკირით ნაგები, ქართული კრამიტით გადახურული სახლი, მიწის იატაკითა და გულთაბოძით. სახლის სხეულზე სანოვაგე ინახება. წინ დერეფანია, რომლის ერთი ნაწილი შემოწნულია, შიგ ამბარი დგას. სახლის ერთ მხარეს აგრძელებს დაბალი და ვიწრო მოწნული საბძელი — გომური, რომელსაც ეზოს მხრიდან პატარა მოწნულივე საღორე აქვს მიდგმული. სახლს მეორე მხრიდან აგრძელებს პატივით შევოზილი საქათმე. ეზოს განაპირას შესავალთან თონეა ჩადგმული, რომელსაც თავი ერთ მტკაველზე აქვს მიწიდან ამოზიდული და შემოწნულია ირგვლივ“ (მეცნიერი თანამშრომლის აკ. კაცაძის დღიური, 1947 წ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 15 ივლისის ჩანაწერი).

ზემოთ აღწერილი ორი ვითარების გარდა, როდესაც თორნე ეზოში და დერეფანშია ჩადგმული, დადასტურებულია ისეთი შემთხვევაც, როცა თორნე სახლის შიდა კომპლექსშია მოქცეული. მთხრობელი ნინო სანდროს ასული მაჩხაძე-ლუნაშვილისა, 1901 წ. დაბადებული, სოფ. ოძისიდან გამოთხოვილი, მოგვითხრობს: „ჩემი მამის ბიძაშვილი იყო გიგლო მაჩხაძე, ჰქონდათ დიდი დარბაზი. შესვლისას იწყებოდა კარაპანი კარგად წამოფარებული. შემდეგ იწყებოდა მარჯვნივ სათონე, შიგ ვარცლით გამართული. იმ სათონესაც ჰქონდა საშუქი ბანი... სათონე პირდაპირ შეერთებული იყო დარბაზთანა, არც კარი ჰქონდა, არაფერი“ (ს. ბედუქაძის ჩანაწერი, იქვე).

უნდა ისიც ითქვას, რომ აქაურ სოფლებში ბაზარში შექმნილი თორნეებიც უდგათ. ს. ქსოვრისში შემდეგი ცნობები ჩავვაწერინეს პურის ცხობისა და თორნეების შესახებ: „მოხელა დედაკაცებმა იციან, საცერში გაცრა, სამტკიცითა მტკიცეთ, რომელიცა ცრის, თხელია. უნდა მოვზილოთ ვარცლში, ნელთბილი წყალი უნდა, ხოლოთ ხაშიც უნდა წინ დლით გაკეთებული, როგაღვიოს. თითონ მყავდება ცომი, როცა შავინახამთ, რამე ბალახი არ ვიცით, ხაშის ცომში. გამომცხობი ატყობს, სანამ აფუვდება, მარილით წყალს აგემოებს და მერე ზილამს ცომსა. თონეში ვაცხობთ. არის ფურნე და უფრო აქეთკენ თონეა მიღებული. წინათ სუ თონე იყო. თონეს ვყიდულობთ, მაგის ოსტატი სხვებია, მააქეთ ახალქალაქიდანა, წითელქალაქი რო არის. ძველიდანვე იქიდან გამოდის, სამიანიც არის და ორნაწილიანიც, შააერთებს და ჩადგამს მიწაში. მიწის სწორეთ იციან, მალსაც. კახეთში ისე იციან, ზეზელა ქალმა დააკრას. აქ არ არის ისე მიღებული, მიწაში რო არის—მაგარია უფრო. ზენკი იქნება უხაშოთ, ის ხმიანდი იქნება მწყემსებმა იციან, მოხელამს თუ არა, ცეცხლში ჩასვამს და არ არის გაღვიებული“ (დღიური, 1947 წ. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, გვ. 147—150).

აქვე დავძენთ, რომ ამ რაიონის ოსებში უფრო მეტად ფურნეა ხმარებაში. ს. ძველ საკრამულოში ოსი გ. ხინჩაგაშვილი მოგვითხრობდა: „ცომი ერთ საათში უნდა გაფუვდეს, ოსები უფრო ფურნეს ვხმარობთ, თორნე არა გვაქვს. კეცები იცოდნენ წინათ ძალიან ხშირად და ახლა აღარ იციან. პური დაგუნდავდება. ამოიღება, გრძელი ფიცარია—ორომი ჰქვიან (ხონსა, ოსურად)-დააწყობ იმ გუნდებს, ამ ხონჩაზე დაავდება. იქ ნიჩაზე დაადება, გააბტყვლიფ და ჩაესხამ ფურნეში (ქერბენ ჰქვიან ოსურად იმ პურსა)“.

თორნესთან დაკავშირებული იყო, როგორც ვარცლი, ორომი, სა-
თხელეები ლაფათა, ისევე მარცვლეულის შესანახი ჭურჭელიც.
„დარბაზში სახლში, მეორე დერეფანში, წინ ფიცრით ამოღობილი ხუთი და
ექვსი გოდორი იდგა, დიდ გოდორში ჩავიდოდა თხუთმეტი კოდი შიგ, ამაში
იყო დოლიპური, მერე დიკა, უფხო პური (ფხა არა ქონდა, ისეთ პურსა ვთე-
სავდით ხოლმე. ეხლა არ არის. შეიძლება იშვიათად სადმე მოვიდეს. ისეთი
პური ცხვება, როგორც თააუხი), ოთხკუთხა ქერი, ექვსკუთხა ქერი, ასლ,
ფეტვი, სიმინდი ხო ვიცით ახლაც არი და წინათაც. სულეველასთვი ცალ-
ცალკე (გოდორი იყო). იმ ასლსა ქერსა, ფეტვსა, რომელსაც უფრო ხშირად
არ ვხმარობდით, ჩაყვრიდით ორმოებში, კალოს პირებზე. გაზაფხულის ნა-
თესი იყო ის უფხო პური, არ ჩამოუტრეხებოდა დოლიპურსა, გამოსავალი მეტი
აქ. ოთხსავ კუთხივ იკეთებდა მარცვალსა და ეს პური ორ კუთხეზე იკეთებდა.
ის არ ვიცი, საიდან მაიტანეს, მამაბაპითვე ითესებოდა, ურევდით იმას იმი გუ-
ლისათვის სხვაში, რო კარგი პური გამოდიოდა. ერთნაირი ქერი გვექონდა,
დაახედამდი ქერი იყო და რო გააღეწამდი პური იყო“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში თორნე გარკვეულ პურის ჯიშებს
ახლდა თან და გარკვეული ზოლის მეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი.
იგი ბარბა და ზეგანის ზოლში გვხვდება, ხოლო მთაში დომელი და ჩიქ-
რთა გაბატონებული. მთის ზოლში პურეული უმეტესად ოდომად იმკება,
ამის გამო კევრით მისი ვალეწვა ძნელია, ხოლო თორნეში გამოცხობა — თით-
ქმის შეუძლებელი. გლეხს შემჩნეული ჰქონდა, რომ დოლისპურსა და თე-
თუსს წებოვანება მეტი აქვს. ვიდრე მთის ზოლის პურებს, განსაკუთრებო-
ცი ოდომად მომკილს.

პურის წებოვანება განსაკუთრებით საჭიროა თორნეში პურის გამოცხო-
ვის დროს, რადგან წებოვანი პურის ცომი თორნეში კუტად არ ვარდება და
ამდენად ცხობის დროს ასეთი პური ზარალს ან არ იძლევა, ან მეტად მცირეს.
კიდევ მეტი, ჩვენებური გლეხი პურისათვის წებოვანების მომატების მიზნით
სარეველა ბალახსაც კი იყენებდა. ასე, შემჩნეული იყო, რომ პურში თუ ზო-
მაზე იყო შერეული მახობელა ბალახის მარცვალი, პურს კარგ გემოს აძ-
ლევდა და, რაც მთავარია, წებოვანებას მატებდა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აღსანიშნავია, რომ თორნესთან და-
კავშირებული პურის ცხობა წმინდა საქმედ ითვლებოდა. „პურს რო ამო-
ხდიდნენ თონიდანა, პირველა პური უნდა მიეტანათ მარჯვენა კუთხეში (სა-
ხლისა), სადაც ანგელოზის კუთხეს ეძახდნენ, დაედოთ პირველა პური“ (დღი-
ური, გვ. 96—97).

უნდა აგრეთვე მოხსენებული იქნეს ისიც, რომ საქართველოს ზოგიერთ
კუთხეში თორნე გამოყენებულია როგორც სითბოს მომცემი წყარო. მაკ,
სოფ. ბალანთაში (ჯავახეთი), როდესაც თორნეში ცეცხლი „დაღადრდება“,
საკვამლე მილს დახურავენ და სახლში სითბო დგება. ასეთ შემთხვევაში ისიც
იციან, რომ ოჯახის წევრები თორნის თავს მიუსხდებიან და ფეხებს თორნეში
ჩააჭიდებენ გასათბობად. ზამთარში აქვე ხშირად წინდებსა და სარეცხს ამ-
რთვენ ხოლმე².

თრიალეთში თორნის თავზე ჩულს დააფარებენ და იქვე დასხდებიან გა-
სათბობად.

² ცნობა მომართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ს. ხოსიტა-
შვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებ.

ლიტერატურული ცნობები ქართველებისა და ქართველების მეზობელი ხალხების თორნის შესახებ მცირეა.

XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში თორნეს ყურადღება მიაქცა ცნობილმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ:

«Гораздо оригинальнее второй род пурне, как обыкновенно называется торне, употребляемый по всей Грузии. В торне пекут хлеб, в деревнях исключительно женщины, а в Тифлисе «базарный чурек» только имеретины. Печь эту образует яма в сажень глубины и полсажени ширины, со стенками из связанных известью глиняных плит, несколько вогнутых внутрь. В деревнях торне расположены около домов или же в переднем отделении жилья, в городе на базарах: длинный дом с торне, которого верх выдается на четверть аршина выше уровня пола, дрова и хворост в заднем отделении, оригинальной формы хлеба и наконец, имеретины в муке с головы до ног, в длинных передниках и с усами, завязанными тесемкою, когда приступают к делу, — вот почему можно узнать базарный торне».³

ამის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს პურის ცხობის პროცესს, აღწერს პურის ფორმებს (შოთი, ლავაში და სხვა) და გამომცხვარი პურის გაყიდვის პირობებს.

ა. ბიჰანის აღწერილობით, ქართული თორნე („torna“), რომელიც ძველგვიბტურის პურის საცხობის მსგავსია. ზემოთ და ქვემოთ ღია, მცირედად გამობერილი თიხის ჭურჭელია დაახლოებით 1 მ სიმაღლით და 1/8 მ დიამეტრით. მას შემოვლებული აქვს იელისა ან შქმერის ღობერი, ხოლო ღობერსა და თორნეს შორის დარჩენილი თავისუფალი არე მიწითაა ამოვსებული და მაგრად დატკეპნილი. თორნის ძირში ნაჩვრეტია დატანებული. ნაჩვრეტში ირიბად მილია გაყრილი. მილი ადის ზემოთ. მისი მეშვეობით პური მოძრაობს თორნის ძირში და ცეცხლს აღვივებს. ამას მოსდევს პურის ცომის ჩაკვრის წესისა და სახურავის დაფარების პროცესის აღწერილობა⁴.

დაწვრილებით აქვს აღწერილი თორნის დამზადება კახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში ლ. ბოჭორიშვილს⁵. ამ აღწერილობებიდან ჩვენ აქ მცირე ნაწილს მოვიყვანთ.

„თორნის გაკეთების დაწყებამდე, მეთორნემ ჯერ წრე უნდა შემოქაზოს, რასაც ქიზიყელი მეთორნეები კავიანი ჯოხის დახმარებით ახდენდნენ (შუა კახეთის მეთორნენი კი მშვილდისებურ ფარგალს იყენებენ) და მუშაობასაც წრის შიგნიდან იწყებენ: თორნის შენების დროს ქიზიყელი ოსტატი თორნეში დგას შიგნით, კახელი კი თორნეს გარედან უვლის გარს.

ქიზიყური თორნე წვრილი და გრძელი ფილთით შენდება შიგნით, კახური კი მოკლე და მსხვილი გუნდით კეთდება.

ამ თავისებურებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა მხრივ ქიზიყური თორნის გამოყვანის ტექნიკა შიგნით კახურისაგან არაფრით განსხვავდება. ჭურჭლისა და თორნის გამოწვა ერთად ხდება ჭურჭელ-თორნის ქურარაში⁶.

ამავე ავტორის აღწერილობის მიხედვით, ცხვატელი ოსტატიც „წინასწარ ჯერ განსაზღვრული დიამეტრის წრეს შემოსწერს და შემდეგ წრეხაზის

³ გაზ. „Кавказ“, 1851 წ. № 20.

⁴ A. B y h a n Kaukasus, Ost-und Mordruslanb, Buschan-ის jlistrierte völkerkunbe-ში ტ. II, 2, Stuttgart, 1926. გვ. 685.

⁵ ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, კახური, თბ., 1948.

⁶ ლ. ბოჭორიშვილი, ქიზიყში მივილინების მოკლე ანგარიში, ენციკლ. მოამბე, ტ. XI, გვ. 273.

მარგლივ მსხვილი სურსვალეების შემოვლებას დაიწყებს. სურსვალეების თანდათანობით, მაგრამ შეუწყვეტელი შემოვლების გზით თორნეს ერთნაირად ამოაშენებს და სულ ბოლოს კი თავს გაუკეთებს. ხოწსა და ტყლაპს ოსტატი თორნის კეთების დროსაც იყენებს. ამოშენებული კედლის გალესვას და გაწმენდას ამ შემთხვევაშიც წყლის დახმარებით ახდენს. ამგვარი ხერხით დამზადებული თორნე გარეგნული მოყვანილობითაც საქართველოს სხვა კუთხეთა და კერძოდ კახელი ოსტატის მიერ გაკეთებულ თორნეს მიემსგავსება⁷.

ირანიდან საქართველოში გადმოსახლებული სირიელების თორნე, სოფ. ძველ ქანდაში დამოწმებული, მიწაში ჩადგმული ცილინდრის ფორმის ღუმელს წარმოადგენს, რომელსაც სიღრმე 70 სმ აქვს, ხოლო დიამეტრი 30 სმ. თორნის თავი შემკულია წრიული ორნამენტებით⁸. (ტაბ. 43).

ზემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე ჩვენ უფლება გვქვს შემდეგი დავასკვნათ:

1. XIX—XX საუკუნის მანძილზე საქართველოში გვხვდება პურის საცობი თიხის ჭურჭელი თონე // თორნე, რომელიც უმთავრესად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და სამხრეთ საქართველოში. იგი დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ნაწილშიც გვხვდება.
2. თონე // თორნე მზადდება როგორც შინაური წესით, ისევე ხელოსნების მიერ; ამ უკანასკნელთ ის ბაზარზე გასაყიდად გამოჰქონდათ.
3. ზომა თონე // თორნისა სხვადასხვაა, თორნე ან მთლიანია, ან შედგება ნაწილებისაგან (ორი, სამი).
4. თონე // თორნე ან მიწისპირამდეა ჩადგმული, ან კიდევ ერთი ნაწილი მიწის ზემოთ დგას.
5. თონე // თორნეს გარშემო წნელის ღობე აქვს შემოვლებული.
6. საქართველოში არა იშვიათად თონე // თორნეს მილი აქვს დატანებული ჰაერისათვის, ცეცხლის გასაღვივებლად.
7. თონე // თორნე იდგმის უფრო ხშირად ეზოში (ბოლო ხანებში), აგრეთვე დერეფანში და სათონე ოთახში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში თორნე გამოყენებულია აგრეთვე როგორც სითბოს მომცემი წყარო სახლში.
8. თონე // თორნეს გამოყენებასთან დაკავშირებულია თავისებური ფორმის პურების გამოცხობა: გომიჯი, შოთი, ლავაში და სხვა.
9. თორნე გარკვეულ პურის ჯიშებს ახლდა თან და გარკვეული ზოლის შეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი (ბარი და ზეგანი, დოლის პური და თავთუხი, კევრით ლეწვა).

დაახლოებით ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე სომხებსა და აზერბაიჯანელებში, რამდენადაც ჩვენ მათ ვიცნობთ ლიტერატურული მონაცემების მიხედვით.

⁷ ლ. ბოქორიშვილი. ქსნის ხეობის კერამიკა, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XIV, გვ. 408—409.

⁸ Fr. Baumbauer. Haustörmen in Georgien, Mittheilungen aus dem Museum für Völkerkunde in Hamburg, XII Hamburg, 1928, გვ. 24.



სომხური თორნე—თ ო ნ დ ი რ // თ ო რ ო ნ (ქ ი ს ნ ი ქ ი რ. ქ ი ს ნ ი ქ ი დ)
 იდგმის ოთახის შუაში, ერდოს პირდაპირ, გათხრიან ორმოს სიღრმით 2 აბ
 1,5 არშინსა და სათანადოდ განიერს. ამ ორმოში ამოჰყავთ თიხის კედელი
 ცილინდრული ფორმისა, რომელსაც შემდეგში გამოწვევენ ხოლმე. პერისა
 სადენად. ამგვარ ღუმელს გვერდით უკეთდება მილი, რომლის ერთი ბოლო
 ღუმელის ძირშია დატანებული, ხოლო მეორე იატაკს ზემოთაა ამოშვერილი,
 თორნიდან რამდენიმე არშინის დაშორებით. თორნე შენდება კარგად დაზე-
 ლილი და რამდენადმე ცეცხლგამძლე თიხისაგან. მას აშენებენ მოხელე-ქა-
 ლები, მუშაობა თანდათანობით მიმდინარეობს: ყოველ ჯერზე აგებენ კედელს
 3—4 ვერშოკის სიგანით⁹.

თორნეში ცეცხლს ანთებენ საქონლის პატივით (ქურთით-კიზი-
 აკით). თურქეთიდან გადმოსახლებული სომხების თორნე აღწერილი
 აქვს ჰ. მალხასიანს თავის ეთნოგრაფიულ ალბომში, რომელშიაც თორნის
 სურათიცაა მოცემული, თორნეზე სამუშაო იარაღების სურათები-
 თურქ¹⁰. ცნობები სომხური თორნის შესახებ მოიპოვება ს. მალხასიანის
 განმარტებით ლექსიკონში¹¹ და აჭარაიანის ეტიმოლოგიურ ლექსიკონ-
 ში¹². აქვე დავძენთ, რომ აზერბაიჯანულად თორნეს ეწოდება თ ა ნ დ ი რ. თორ-
 ნის შესახებ ჩვენს განკარგულებაში ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემე-
 ბიც მოიპოვება.

ცნობილი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში თორნის
 შესახებ აღნიშნავს: „თორნე არს ღრმად პურის ჩასაკრავი“¹³. ცნობილია, რომ
 სახელოვან ლექსიკოგრაფს ლექსიკონში შეტანილი აქვს როგორც მისი დრო-
 ის ცოცხალი სინამდვილის სიტყვები, ისევე ლიტერატურული წყაროების მო-
 ნაცემებიც. ამდენად ზემოთ მოტანილი ორბელიანისეული ცნობა მეთვრამე-
 ტე საუკუნის ადრინდელ ხანასაც უნდა ვარაუდობდეს.

სახარების ქართულ თარგმანში (897, 936 და 937 წწ. ხელნაწერების მი-
 ხედვით) აგრეთვე გვხვდება სახელწოდება თორნე: „უკუეთუ თივაჲ იგი ვე-
 ლისაჲ რომელი დღეს არს და ზვალე თ ო რ ნ ე ს ა შთაეგზნის“ და (873 წ.
 ხელნაწ.): „უკუეთუ თივაჲ ველისაჲ, რომელ დღეს არს და ზვალისაგან თ ო რ-
 ე ს ა შთააგდიან“ (936 და 973 წწ. ხელნაწ.)¹⁴.

რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას, პირველყოვლისა აქ უნდა იქნეს
 დასახელებული თბილისის გათხრები (ხელმძღვ. გ. ლომთათიძე) და დმანისის
 გათხრები (ხელმძღვ. ლ. მუსხელიშვილი), სადაც XI—XIII საუკუნეების¹⁵

⁹ С. Зелинский Объяснительный словарь татарских, грузинских и армянских слов, вошедших в „материалы по изучению экономического быта государственных крестьян Закавказья Тифлис“, 1889.

¹⁰ ლ. შ ა ლ ქ ა ა ს ა ნ ა ნ. ჯ ა ე ყ ხ ე ჯ ი ა ქ ი ა რ ი მ ი რ, 2 მ ა ა ნ. ო რ ქ ა ი ქ ა დ ო ლ ი ა რ ა ს კ ა ნ ზ ა ნ ნ ი ს ი ჯ ე. ტ ი ზ ი ქ ი ა, 1901 ტაბ. VI და ტექსტი

¹¹ შ თ. შ ა ლ ქ ა ა ს ა ნ ა ნ ე, ზ ა ე ზ ნ ე ნ რ ა ე თ ა ო რ ა ს კ ა ნ ე რ ა ო ო რ ა ნ. II, ს ტ ე ს-
 ქ ა ნ 1944.

¹² ლ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ჯ ა ე ზ ნ ე ნ ა რ ნ ა ო ო რ ა ს კ ა ნ ე რ ა ო ო რ ა ნ. ს ტ ე ს ქ ა ნ 1928, ტ. II.

¹³ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი, ი. ყ ი ჯ შ ი ძ ი ს ა და ე. შ ა ნ ი ძ ი ს რ ე დ ა ქ-
 ც ი თ თ ბ ი ლ ი ს ი 1928 გვ. 65.

¹⁴ ძველი ქართული ენის ძეგლები, № 2, თბ., 1945 წ. ავ. შანიძის რედაქციით.

თორნეებია აღმოჩენილი. აგრეთვე ს. ბაშქენაშენში (ამჟამად ბეშთაშენი) ციხის ფარგლებში აღმოჩენილი (ოთხკუთხედიანი) მრგვალი თიხის ღუმელი, ქართული თორნის ტიპისა, ფეოდალური ეპოქის კერამიკითურთ¹⁶.

ასევე, თორნეები აღმოჩენილია არქეოლოგიური გათხრების დროს კარ-მირ-ბლურში. ციხის გარეუბანში აღმოჩენილ ყოველი სახლის ცენტრში ან კედელთან მოთავსებული იყო კერა, თორნის მსგავსი, ან მიწაში ჩადგმული, ან იატაკზე დგმული! „В каждом из них, в центре, или же около стены, находился очаг на подобие тондыра или вкопанный в землю, как в современных армянских сельских домах, или же возвышающийся над полом. Второй вид очагов встречается в Ассирии, как это показывают древние изображения и археологический материал“¹⁷.

თორნე აღმოჩენილია ბაბილონშიც. ის შეიძლება ხნოვანობით კასიტების ხანას ეკუთვნოდეს, ყოველ შემთხვევაში, უდავოდ ახალი ბაბილონის პერიოდს არ გადმოსცდება. იგი ცილინდრული ფორმისაა, ახლავს ცეცხლის გასაღვივებელი მილი. ზემო ნაწილი მოტეხილი აქვს, ამის გამო შეუძლებელია გაირკვეს — იატაკზე იდგა, თუ ჩადგმული იყო მიწაში. თორნე შიგნით თიხითა გამოლესილი. სიმაღლე 70 სმ, დიამეტრი 60 სმ; ეს თორნე მსგავსია თანამედროვე არაბული თორნისა (tannūr).

ასურეთშიც მრავალი თორნეა აღმოჩენილი, უმთავრესად უძველეს ფენაში. ისინიც ცილინდრული ფორმისანი არიან, მიწის ზემოთ მოთავსებულნი. მათ ჰაერის სადენი მილი არა აქვთ¹⁸. სარგონის სასახლის სახაბაზოში აღმოჩენილი თორნეები სანახევროდ მიწაშია ჩადგმული¹⁹. მოღწეულია ჩვენ დრომდე აგრეთვე მოძრავი გადასატანი თორნის სურათი (VIII საუკ. ძვ. წ.)²⁰. სურათზე გადმოცემულია ასურელების სამხედრო ბანაკი მუსასირის ციხის ალყის დროს.

ძველ აღმოსავლეთში თორნეებს ახურებდნენ საქონლისა და ადამიანის კალით.²¹.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი პურის საცხობი ღუმელი, რომლის გახურებულ კედელზე პურის ცომს მიაკრავდნენ და რომელშიც ნაცარს შიგვე ტოვებდნენ, მესოპოტამიაში უძველეს ხანიდან იყო ცნობილი. საუკუნეების მაძილზე ასეთ ღუმელს რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესება არ დასტყობია. ერაყში დღესაც იმგვარივე თორნეში აცხობენ პურს, როგორც სუმერების ხანაში²².

სუმერულად თორნეს ეწოდება im-šu-rin-na, DURUN, SZSCAR. ასურულად ḫūrū, არამ. tanūra, ებრ. tannur, ზუნდურად tanūra ფაპლურად tanur, ირანულად (სპარსულად) tanūr, თოხარულად tanarah. არაბ. tannūr, აღმ. თურქ. აზერბაიჯანულად tandir, სომხურად. *խնգურ* *ქარის*, *ქინჯურ* *ბარის* ხოლო ქართულად თონე, თორნე.

¹⁵ გ. ლ. ო. შ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. თბილისის არქეოლოგიური შესწავლის დასაწყისი, გვ. „კომუნისტის“, 1949 წ. № 126; ლ. მ. უ. ს. ხ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. დ. მ. ა. ს. ი. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატ. კულტ.“ თბ., 1938.

¹⁷ Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1944, гв. 173—174; შდრ. აგრეთვე გარნოსის არქეოლოგიური გათხრების მასალა

¹⁸ Br. Meissner, Babulorien und Assyrien, I გვ. 238, Brl. 1923.

¹⁹ Backen. RIA. I. 5. Br. Meissner, დასახ. ნაშრ., I, ტაბ. 63, შდრ. J. Schawe, RLA. 5.

²⁰ V. Muller, Backofen. RLA. I. 5. Brl.—I. 1931.

²¹ Br. Meissner, დასახ. ნაშრ., I, გვ. 237.

²² Br. Meissner, იქვე.

სუმერული ღურუნიდან დაწყებული ყველა ეს სიტყვა ერთი ძირის სიტყვად გამოიყურება, ოღონდ ქართულში სხვებისაგან გამორჩევით ამავე ძირიდან ნაწარმოები სიტყვა. თუნი²³. გამოყენებულია ჭურჭლის გამოსაწვავი ჭურის აღსანიშნავად, ხოლო მეთურნე მეჭურჭლეს, ჭურჭლის მკეთებელს ნიშნავს. სხვა მხრივ კი ზემოთ დასახელებული სიტყვები გარკვეულად ერთი და იმავე სახის პურის საცხობ ღუმელს ნიშნავს, რომელსაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, დაახლოებით ერთი და იმავე გამოყენების პროცესები ახლავს.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული თორნე ამიერკავკასიისა და წინა აზიის ძველი მოსახლეობის კულტურის საგანძურს ეკუთვნის. გარდა ამისა, რამდენადაც, ერთი მხრით, გარკვეულია, რომ საქართველოში თორნე დაკავშირებულია წებოვანობის მქონე პურეულებთან და საქართველო პურეული მცენარეების უძველესი სამშობლოა, სადაც პურის ჯიშების ყველაზე უფრო მეტი რაოდენობაა შემონახული და მათგან ექვესი სახეობა ენდემურია²⁴, ხოლო, მეორე მხრით, ისიც გამორკვეულია, რომ ქართული ხალხური კერამიკა ტიპოლოგიურ მთლიანობას ამჟღავნებს თავის შიგნით, ხოლო მჭიდრო კავშირშია ძველ ქართულ კერამიკასთან და შორს მიმავალი ანალოგებით ძველი წინააზიის კერამიკასთან²⁵. იბადება კითხვა, — რომ არ არის თორნის წარმოშობის კერა საქართველოსა და ამიერკავკასიაში საძებარი. ეს საკითხი ცალკე დამუშავებას მოითხოვს.

1951 წ.

²³ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა“ (ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1944): „თუნი არს კეცის ჭურჭელთა გამოსაწვავი“. „თუნი — ფურნაჟი“ (იტალიურად).

²⁴ П. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Москва, 1950, 80-85.

²⁵ ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, კახური, I შენი, გვ. 378.



ხევისურული ვარიის

ხევისურული ვარიის ფუნქცია

ხევისურული ვარია წარმოადგენს ხის ჭურჭელს, რომელიც თავისი ფუნქციით მჭიდროდაა დაკავშირებული რძის ინტენსიურ მეურნეობასთან (intensive milchwirtschaft)¹ საერთოდ და კარაქის დამზადებასთან კერძოდ. ამ ჭურჭლის ორი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. ორივე ჩამოტანილია ხევისურეთიდან საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1927 წ.

მათგან ერთი (კოლექცია № 12—27/15) შექმნილია ეგრეთწოდებულ პირაქეთ ხევისურეთში (მირ გვალი ანუ ბუდე ხევისურეთი) სოფ. ლულს გოგია არაბულისაგან. მეორე, (კოლექცია № 13—27/16) პირიქითა ხევისურეთში (მიღმა ჯევი) სოფ. შატილში, აბიკა ჭინჭარაულისაგან.

სოფ. ლულში შექმნილი ვარია დამზადებულია მთლიანი ხის ტანისაგან. ცაცხვის ხის ტანს ამოღებული აქვს გული და თავი და ბოლო ცაცხვისავე ფიცრითაა ჩადგმული. ვარიის სიგრძეა 118 სმ, დიამეტრი ბოლოში—22 სმ., თავში 20 სმ, ვარიის კედლის სისქე 5 სმ., თავსა და ბოლოში გადაჭირებული აქვს ტყეჩის სალტეები, რომლის ბოლოები ურთიერთზე თასმითაა დაკერებული. სალტეები ვარიაზე დამაგრებულია ქანჩებით (სოლე-ბით). ვარიას სულ ორი სალტე აქვს (ტაბ. 44).

ვარიის ტანი შუაწელთან (თავბოლოდან 54 და 58 სმ მანძილზე) ზემოთ ამოჭრილია ოთხკუთხედად. ოთხკუთხედი სიგრძით—16 სმ, სიგანით—ამდენივე. სარქველად გამოყენებულია ძროხის ფაშვის ნაჭერი, ეგრეთწოდებული სერი. ამოჭრილის პირდაპირ, ვარიის ძირში, ვაკეთებულია ნაჩვრეტი, რომელიც ხის სოლითაა დაცობილი. ასეთ საცობზე ხშირად ჩამოკიდებულია მუშისაბელი.

ზემოაღწერილი სახის ვარიის დამზადება შემდეგი პროცედურების შესრულებას მოითხოვს. ტყეში სპეციალურად ვარიისათვის შერჩეულ ხეს მოჭრის შემდეგ გულს ამოუღებენ და გულამოღებულს სახლის კარზე მიიტანენ გასაშრობად. აქ (კარაპანში, ჭერხოში ან კალოში) ის ერთ ან ორ კვირას შრება. გაშრობის შემდეგ წყალში ჩადებენ; როდესაც ვარიის ტანი წყლით გაიჟღინთება, მას წყლიდან ამოღების უმაღვე თავსა და ბოლოში ფიცრებს ჩაუდგამენ. ასე დამზადებული ვარია ხმარებამდე შრება. ხმობის პროცესში

¹ E. d. H a h n, Die Haustierr und ihre Beziehungen zur Wirtschaft des Menschen. Leipzig. 1896, 408 s.

² მუში // მოში ხევისურეთში ეწოდება ცაცხვის ქერქის იმ ნაწილს, რომლისგანაც ხევისურები საბელს // თოკს აკეთებენ. (მუშის ჯელი, სასაბლე, საბელი. იხ. ხევისურეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე. კოლ.

ხევისურეთის ძირითადი შრომის პროცესების რიგში თოკების დამზადებას ცალკე ადგილი აქვს: ჯენა, თესვა, შეშობა, ტყეჩობა, მუშობა, თიბვა, ლეწვა.

თავბოლო ფიცრები ისე შემოემტკიცება ვარიის ტანს, რომ მათი ნაპირები სითხეს არ გაუშვებს. (იშვიათ შემთხვევაში, თუ მოხდა, რომ ვარიის თავბოლო ფიცრების ნაპირებმა ვარიაში ჩასხმული სითხე გაუშვას). ნაპირებს ფისით ან ქონით გავიზავენ.

ვარიის დასამზადებლად გამოყენებულია შემდეგი იარაღები: წალაფი, პირფართო, ღორეჩო. სატეხი, ცული ჯელკვერი, ურსა, ხედა და ხერხი. ამ იარაღებიდან ხერხის გარდა ყველა ადგილობრივ მზადდება. შალიფი, პირფართო, ღორეჩო, სატეხი. ცული, ჯელკვერი, ურსა ადგილობრივი ხევისური მჭედლის ხელობაა³. ხოლო ხედას დამზადება ყოველ მეურნე ხევისურს შეუძლია (კოლ. №№—12—27, 131, 134, 135, 138, 141; 142 და 128).

აღწერილი ვარიის მსგავსია ვარიის ის ეგზემპლარიც, რომელიც სოფ. შატილშია შექმნილი. ზომით ის აღწერილთან შედარებით ოდნავ დიდია და სერას ნაცვლად ფიცრის სარქველი ხურავს.

ასეთ ვარიებში ხევისურები ნაღების შედღეებას აწარმოებენ. შედეგად კარაქს იღებენ და შემდეგ წურვილს⁴ ანუ ერბოს ამზადებენ. იგი მოყვითალო ფერისაა, ნაზი და აზიზი გემოსი. ხევისურული ერბოს მიღება მრავალი წინაპირობის არსებობას მოითხოვს და მრავალგვარ შრომითი პროცესის არსებობას მოითხოვს და მრავალგვარ შრომით პროცესის შესრულებას საჭიროებს. დაკავშირებულია როგორც ძროხის ჯიშსა და საკვებზე, ისე რძის

3 საყურადღებოა, რომ მჭედლობა ხევისურეთში, ლეგენდების მიხედვით, გარედან შეტანილ ხელოსნობად ჩანს. ასე, „ხახმატის გიორგის მიერ ქაჯავეთის დალაშქერის“ ლეგენდაში ნათქვამია, რომ გიორგიმ ქაჯავეთიდან წამოიღო: ქურთეშული (გრდემლი), სალეს-სამართებელი, ღილ-ქამარი და ჩხუტი. ქაჯავეთის დალაშქერის მეორე ლეგენდა ადასტურებს ქაჯავეთში მალალი ხარისხის სამჭედლო ხელოსნობის არსებობას. ამ ლეგენდის დიდი რიტერესის გამო ვაჭეყენებთ ლეგენდის გალექსილ ნაწილს. ეს ნაწილი უმოთაგრესად სამჭედლო ხელობას შეეხება (ლეგენდა ჩაწრილია ვ. ბარდაველიძის მიერ სოფ. ბისოში თაზია ქეთელაურისაგან 1929 წლის 3 აგვისტოს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს).

„ქაჯავეთ რად იარები,
გიორგი, მგლისა ფერაო?
— ვალი მიკიდავ ქაჯებსა,
რად მკითხავ, ქრისტის დედაო.
ცომს ზელდა ქალის ბებერი,
მოვასწარ წდობაზედაო,
სამჭედლოს გადაუქენევ —
ნისლები დაბადულაო,
მჭედელი, მემჭედურები
ცისაკე გამართულაო,
გრდემლსა, ჯელკვერსა, მარწუხსა,
ვევრდით ცალ-ცალკე სკდებაო.
მათრახის წვერი მათუკარ —
ცხენი შავაგდევ ზენაო“.

აგრეთვე, საყურადღებოა, რომ ფშაური ლეგენდითაც, სამჭედლო ხელობის უმაღლესი ხარისხი ფშავეში გარედან შეტანილი ჩანს, სახელდობრ—მისრეთიდან. ბოლო დრომდე მის-

დამუშავების მაღალ ტექნიკაზე. ერთისა და მეორის იმ სახით არსებობა, როგორც ხევისურეთშია დამოწმებული, ადასტურებს, რომ ხევისურეთში რძის ინტენსიური მეურნეობის არსებობასთან გვაქვს საქმე.

ხევისურული ძროხის ჯიში ცნობილია თავისი მაღალი ღირსებებით, მასზე მკითხველის ყურადღებას ამ ნაშრომის მესამე თავში შევაჩერებთ. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ხევისურეთში დალიანად ისეთი ძროხაა მიჩნეული, რომელიც ტანით მომრგვალოა — რძე ყვითელი ფერისა აქვს. თუმცა წველა რაოდენობით ცოტაა, მაგრამ ისეთი დალიანი, რომ ერბო ბევრი გამოუდის, ჯიშის გარდა ძროხის დალიანობა დამოკიდებულია საკვებზედაც. ძროხის საკვებად ყველაზე ნოყიერ ბალახებად ხევისურებს კვლიდა და ქარცხენ⁵ მიაჩნიათ და თავიანთ ნახირს იქით მიერეკებიან ხოლმე, საითაც ეს ბალახები ეგულებათ.

ძროხას დღე-ღამეში ორჯერად წველიან — საღამოთი და დილით. წინწინ, როცა ძროხა მაკეა, განსაკუთრებით, როცა ის უშობელია, ალერსის მიზნით ჩვეულებად აქვთ ჯიქნების მოფშვნეტა-მოფერება. წველენ ძროხას მანამდე, სანამ ჯიქნები რძისაგან არ დაცარიელდება, ვინაიდან ხევისურებს შეგნებული აქვთ, რომ მეტი ერბო ბოლოს მონაწველ რძეს აქვს.

მოწველის წინ საწველელს ცივ წყალს გამოავლებენ. ახლად მოწველილ რძეს მოწველის უმაღვე სენეში შეიტანენ, იქ „სერცხაში“ გაწურავენ და ბაკნებში დააყენებენ. ბაკნები წინასწარ წყლით დაირეცხება სარცხის შემწეობით (ტაბ. 46).

რიაშვილის გვარში თითო კაცი უმუშევრად მჭედელი უნდა ყოფილიყო. მისრიანთ გვარს წევრს მჭედლობის შესწავლას ხატი უბრძანებდა მკითხავის პირით (იხ. დ. ხიზანიშვილი, ფშავეთი და ფშაველები: „ივერია“, 1888, № 211. ს. მაკალათია, ფშავი, ტფ., 1934, გვ. 205—206), ხიზანაშვილს თითქმის სიტყვა-სიტყვით შემოაქვს ეს ლეგენდა (წყარო მითითებული არ აქვს). ამავე მიზნით საყურადღებოა ცნობილი ხევისურული ლექსის ვარიანტი: „კევისურეთია, ძმობილო, განა ქალაქის კარია, არც სხედან ოქრომჭედლები, არც იჭედება რვალია“ და ფშაური გადმოცემა პირქუშის მჭედლობის შესახებ (A. X a h a n o v, O s e r k i p o g r u z i n s k o j ს ლ o ვ e s t ნ o ს t ი, ტ. I M. 1895 სტრ. 255, ვინაიდან მჭედლობა-ხელოსნობასთან ხევისურეთში კარდინალური საკითხებია დაკავშირებული, მჭედლობა-ხელოსნობის პრობლემა ცალკე იქნება განხილული.

იმავე პოეტ-ეთნოგრაფს ეს სიტყვა ნახმარი აქვს სხვა ლექსში: „უნდა მშვიერი გააძლოს წურვილიანმა ქაღამა“ (თხზულებანი, ტ. IV, 62, 22).

4 შუად. ვ ა ქ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს ლ ე ქ ს ი „პროვინციის ქებათა-ქება“, „ქველი“, 1897 წ., № 46;

„მთიდან დაიძრნენ ხევისურნი —
დაბარგულ ჯორუკებითა...
ჯორუკებისა სავალნეს
ერბოს გუდები კილია.
წურვილს (ერბო) ორფხვას მიართმენ
იმისი ვალი ჰკილია“.

5 შუად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონომიური ისტორია, ტ. II², ცფ., 1935, გვ. 143, 226, 145, 227 და შმდ.

6 შუად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66 და 67.

ხევსურული სენე? წარმოადგენს ხევსურული სახლის იმ ნაწილს, სადაც რძის პროდუქტების დამზადება და მომარაგება წარმოებს. იგი პატარა ოთახი, რომლის სიგრძეა 4 მ, ხოლო სიგანე 3 მ. მისი ორი კედელი (კედელი ხევსურეთში ეწოდება ფიცრის კედელს, ხოლო ქვისგან ნაგებს ყორე ან ქვით-კირი ჰქვია) ყორე (მშრალად ნაგები) ქვისაა, ერთი—ფიცრისა და მეორე—ნაწნავია (მოწნული). სენეს კედლებიდან ორი სახლის გარეპირის კედელია, სახელდობრ: ყორისა და ფიცრის. სახლის სხვა ნაწილებთან შედარებით სენეში მეტი შუქია. მას ერთ ყორეში დატანებული აქვს სარკმელი, ხოლო კედელში სამი შუქუნია.

ამგვარი რძის პროდუქტების დასამზადებელი ოთახი აჭარლებსაც აქვთ თავიანთ სახლებში იალალებზე. ისინი ამ სპეციალური დანიშნულების ოთახს სარძიეს უწოდებენ. სარძიეს სარკმლისა და შუქურის ნაცვლად კედლის ფიცრის პირებზე დიდი ნაჩრეტები აქვთ დატანებული.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ხევსურნი ახლად მოწველილ რძეს სენეში შემოიტანენ საწველელით და სერცხას შემწეობით ჩაწურავენ ბაკნებში.

ბაკანი წარმოადგენს ხის ვობს, რომლის დიამეტრია 25 სმ, ხოლო სიღრმე 6 სმ: ასეთი ფრიალო და პირგანიერი ბაკანი კეთდება ნალების კარგად მოგდების მიზნით. ბაკებს ხევსურები ამზადებენ სახოწავ ჩარხზე. მის დასამზადებლად ჩარხის გარდა იხმარება: პირფართო და ხოწები.

ჩარხი შესდგება: კედლების, ბორძალის, უსმარის, დვედისა და ხელნებისაგან. ჩარხის მუშაობა რთულ პროცესს წარმოადგენს და კოოპერატიულ შრომას საჭიროებს. ბაკნები ჩადგმულია საზის ცვრეში, ან მიწაზე — ქაზდარზე დვას.

საზისცვრე წარმოადგენს მაღალფეხებიან ყუთს, რომლის ძირი, გვერდები და სახურავი მოწნულია. ქაზდაზე დგმულ ბაკნებს ზემოდან დახურული აქვთ მოწნული გოდრები.

ასეთი საგანგებო ზრუნვა ნალების მოსაგდებ რძეზე (სენე—შუქუნებიანი საზისცვრე მოწნული, ბაკნები — პირგანიერი) გამართლებულია რძის პროდუქტის მაღალი ტექნიკის არსებობით.

როგორც სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი — როცა რძე წყნარად დვას ჭურჭელში, მაშინ მისი ერბოს ბურთები ანუ წვეთები რძის პირას ამოდის⁷. რძის პირად ამოსული ერბოს ბურთები რძეში შერეულ ნალებს წარმოადგენს. მაგრამ ნალების მოგდება რძის ზედაპირზე ყუდროობის გარდა საჭიროებს, რომ საცა ნალების მოსაგდები რძე დვას, ჰაერის მუდმივი ცირკულაცია იყოს და რძის ჭურჭელიც პირფართოა საჭირო. სოქლესტისაგან არის დამტკიცებული, რომ ჰაერის და სინათლის მოქმედება ხელს უწყობს ცხიმოვან ნივთიერებათა განაწილებას⁸.

7 საბას ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. აკ. შანიძის რედაქციით ტფ., 1928, სიტყვის ქვეშ „სენაი“ და „ოდა“.

8 ვ. პეტრიაშვილი, რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება, მშპ, 1895. № 5, განყ. მეორე, გვ. 125.

9 ვ. პეტრიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

სენეცა და ბაკანიც ორივე ამ მოთხოვნისთვის სავსებით აკმაყოფილებს: სარკმლისა და შუქულის შემწეობით სენეში ჰაერის ნელი მოძრაობა ხდება, საზისცვრე მოწნული გვერდებითა და სახურავით, ისევე როგორც მოწნული გოდრები, ხელს უწყობენ ჰაერის ნორმალურ დენადობას, ხოლო პირგანიერი ბაკნები ებრძობა ბურთებს უადვილებენ ზედაპირზე დაგროვებას. ზემოთქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ხევსურებს წესად აქვთ მიღებული — საღამოს და დილით მოწველილი რძე ბაკნებში ერთიმეორეში არ აურონ, ვინაიდან მათ კარგად იციან, რომ ნაღების მოსაგებად დაყენებული რძე თუ შეინძრა, ნაღების გამოსაღების რაოდენობა დაზარალდება.

მაგრამ, მარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება კარგი ებრძობის მისაღებად საჭირო წინაპირობების დასახელება, საჭიროა ნაღების დამწეობაზე ზრუნვა, მისი გადამყავებისა და გაფუჭების თავიდან აცილება.

ხევსურები ბაკანში დაყენებულ რძეზე ჩვეულებრივად ერთი დღეღამა განმავლობაში მოგდებულ ნაღებს, რომლის ტანი დაახლოებით 1/2 სმ უდრის, ბაკნიდან ცივ-ცივად მიიტანენ საზისცვრესთან ახლო დგმულ საზეურთან, სულის შებერვით ან ხელის მტევის დახმარებით საზეურში გადაასხამენ (საზეური ეწოდება მთლიანი ხისგან დამზადებულ ჭურჭელს, რომელიც ნაღების დასაგროვებლადაა განკუთვნილი)¹⁰.

საზეურში სამ-ოთხ დღეს ნაღები გროვდება იმ მიზნით, რომ ნაღები არ გადამწიფდეს და არ გადამყავდეს, საზისცვრეს გვერდზე ძირთან ნაჩვრტი აქვს დატანებული, რომელიც საცობითაა დაცობილი. ამ ნაჩვრტიდან დროდადრო ნაღების ქვემოთ დაგროვილ დოს უშვებენ; ამასთანავე ნაღების გადამწეობას ხელს უშლის სენეში ჰაერის მუდმივი ცირკულაცია და მისი ნორმალური ტემპერატურა. ზემოთქმულს ერთვის აგრეთვე ის გარემოება, რომ რამდენად სუფთაა საწველელი, ბაკნები და საზეური რძის სიმყავის ბაქტერიებისაგან (*Bacterium acidi lacti*) იმდენად ნაღები გადამყავება-გადამწეობისაგან დაცულია. ამ მხრივ ხევსურეთში, როგორც ჩანს, ჭურჭელზე უბრალოდ წყლის გამოვლება კარგად უნდა მოქმედებდეს, ვინაიდან რძე (რძეს ხევსურები უპირატესად ზისცვარს ეძახიან) გაფუჭების და ნაღების გადამწეობის შემთხვევები იშვიათია. ყოველი კარგი მეურნე პრაქტიკულად გამოცდილებით ერკვევა ნაღების დამწეობაში და ამის მიხედვით კარგად იცის, თუ როდის არის ნაღები მზად შესადღებავად.

როგორც ვთქვით, ნაღები საზეურში 3—4 დღეს მწიფდება, ხოლო დამწეობის შემდეგ მას ვარიში გადაასხამენ და კარაქად შედღებებენ. როგორც ნაღების მოგდება და მისი დამწეობა, ისე შედღება რთული პროცედურაა, რომელიც დამოკიდებულია — ერთი მხრით, შესადღებები მასალის შემადგენლობაზე, ხოლო, მეორე მხრით — მის ტემპერატურაზე, სადღებლის ძალასა და მოქმედებაზე.

ცნობილია, რომ ნახსა და არომატიან ებრძობს ისეთი ნაღები იძლევა, რომელიც აუდუღარ რძისაგან არის მოხდილი. ხევსურები, როგორც ზემოთ დავახეხეთ, ნაღებს უმ რძეს ხდიან, ამიტომ მათ ნაღებში ნაკლები ხაჭო ურევია, სიმსუქნე მეტი აქვს და ამის გამო ნაღების ტანიც მეტია. მეორე რაოდენობის

¹⁰ სიტყვა საზეური გულისხმობს ნაღებისათვის ტერმინ ზეურის არსებობას, რაშიც მას რძის თავი ქვეია.

ხატოს ყოფნა ნაღებში საკმაო გარანტიაა იმისა, რომ ნაღებში მოქცეული ერბოს ბურთულებს გარსი ნაკლებად ახლავს — ამის გამო გადავიღებულა ერბოს ბურთების მოგროვება და კარაქის გამოსავალი.

ნაღების შედღვებისათვის საჭირო სასარგებლო ტემპერატურა ხევისურმა პრაქტიკული აღლოთი იცის, თუ დღეების დროს კარაქი გადადნა ვარიაში, ნაღებს ცივ წყალს დაასხამენ, ხოლო ცივს — ცხელ წყალს.

ზემოთქმულთან ერთად კარგი კარაქის მისაღებად საჭიროა სადღვებლის კონსტრუქცია; მისი ძალა და მოქმედება შესაფერის ეფექტს უნდა იძლეოდეს დღვების პროცესში. როგორც ვიცით, ზედაპირული მიმზიდველობა უშლის ხელს ერბოს ბუშტების შეერთებას. მხოლოდ, ძალდატანებითი შედღვებით ან შენჯღრევით შეიძლება მათი შეერთება. „რამდენადაც სადღვებელი ძალიან შეანჯღრევს შესადღვებ მასალას, იმდენად ადვილად გამაგრდებიან ერბოს ბუშტები, იმდენად ადვილად შეეწყებებიან ერთმანეთს და მოგროვდებიან“.

ამასთანავე საჭიროა, რომ დღვება მალე არ თავდებოდეს, რადგანაც დღვების მალე გათავებასთან შეკავშირებულია ერბოს მცირე გამოსავალი. ამ მხრივ ხევისურული ვარია ჩინებულად ასრულებს თავის დანიშნულებას. მას შესაფერისი გაქანების ამპლიტუდა აქვს, მასში სადღვებ მასალას ტალღოვანი მოძრაობა ეძლევა დღვების დროს, წამში 40—45 გაქანებას იძლევა და გარდა ამისა იტევს საკმაო ოდენობის შესადღვებ მასალას, გასასუფთაებლად ადვილია. რძის მეურნეობის შესანიშნავი სპეციალისტი პროფ. ვ. პეტრიაშვილი ამოწმებს, რომ „ჩვენებური სადღვებელი თავის დანიშნულებას ძალიან კარგად და რიგიანად ასრულებს“¹¹.

ვარიის მოძრაობა დღვების პროცესში უბრალო საქმე როდია. ის მოითხოვს მოძრაობის რიტმულობას, ყოველ გაქანებას შეჩერების პაუზა უნდა ახლდეს. ეს დახელოვნებას საჭიროებს და ყველას კარგად შესრულება არ შეუძლია. ზედმეტი დღვებისაგან ერბო იღლება, წებოვანი ხდება და იგლისება, ხოლო თუ დღვება ადრე შეწყდა — მთელი ერბო არ იქნება შეგროვილი.

ხევისურები, სანამ დღვებას შეუდგებოდნენ, ვარიას თბილ წყალს გამოავლებენ, რათა სადღვებელში არ იყოს დარჩენილი რძის სიმჟავე, წინათ შედღვებილის ნაშთი. უნდა ითქვას, რომ ხევისურეთში საზოგადოდ ვარიის გამორეცხვა და გამონიავება მიღებულია შედღვების პროცესის დამთავრების უშაღვე. ვარიის კარგად გამორეცხვას, ისე რომ მასში არ დარჩეს რძის სიმჟავის ბაცილები, ვარიის ძირში დატანებული ნაჩვრეტი შველის, ვინაიდან ნაჩვრეტიდან დო სავსებით იწრიტება დ ვარიაში არა რჩება რა სიმჟავის ბაცილების გასამრავლებლად.

წყალგამოვლებულ ვარიაში ხევისური იმდენ ნაღებს ჩაასხამს, რამდენსაც ვერტიკალურად მდგარი ვარია დაიტევს შუაწელის ნაჩვრეტამდე. ამის შემდეგ ვარიას ჰორიზონტალურად თოკით (ს ა ბ ე ლ ი თ) ჩამოჰკიდებენ ბო ს ე ლ შ ი, ჭ ე რ ხ ო შ ი ან წ ი ნ გ ა რ დ ა შ ი, ს ე ნ ე შ ი, ე ზ ო შ ი მთლიანი საბლით ჭერზე ან კეზ-ზე. ადამიანის წელის სიმაღლეზე ქაზდარიდან (იატაკიდან) დაკიდებენ. ჩამოკიდებულ ვარიას თავ-ბოლოში ორი კაცი მიუდგება, თითო მხრიდან თითო, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ ვარია.

ვარიის მოძრაობა და ამგვარად ნაღების შედღვება ორი კაცის ნაცვლად შეიძლება ერთმაც აწარმოოს. მდღვებელი ერთი მხრიდან მიუდგება ვარიას და მას წინ და უკან აქანავებს. ხევისურეთში ეთნოგრაფიული ექსპედიციის

¹¹ ვ. პეტრიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

მუშაობის დროს ჩვენ ისეთ შემთხვევასაც შევესწარი, რომ ვარია ჰერზე გრძალდ იყო ჩამოკიდებული, იატაკიდან (ქაზდარიდან) 35—40 სმ სიმაღლეზე. ვარიიდან ადამიანის ფეხის სიგრძის მანძილზე იჯდა ქალი, რომელიც ფეხის თითების ბიძგით ვარიას ამოძრავებდა და ამავე დროს ხელით აკვანს არწევდა. ცხადია, ასეთი სახით ნაღების შედღეება კარაქის მისაღებად დიდ დროს მოითხოვს ორი კაცის ან ერთის მუშაობასთან შედარებით და ხშირად ხანგამოშვებით წარმოებს. მღვლებელი 1—2 საათს იმუშავებს, შემდეგ სხვა საქმეზე წავა და დღეებას რამდენიმე ხნის შემდეგ დაუბრუნდება.

ხევისურეთში დღეებასთან რამდენიმე ცრუმორწმუნეობაა დაკავშირებული.

ჩვეულება აქვთ, დღეება დააწყებინონ ისეთ პირს, რომელსაც დაცილი და კარგი ხელი აქვს. როდესაც სადღეებელში კარაქი არ გროვდება, მკითხველთან მიდიან, რომელიც მიზეზად დაასახელებს: მიცვალებული უშლისო, ხატის ბრალიო, კარაქი დაუკურთხეთო და სხვა. იციან აგრეთვე ჩავარდნილი საკარაქის შელოცვა და ვარიამი ნახშირის ჩადება. დღეების დროს სავალდებულოა სიჩუმის დაცვა, ეს ჩვეულება ასევეა სხვა ქართველურ ტომებში. ყარაბაღშიც დღეების დროს სიჩუმეს იცავენ, სტეპანაკერტისა და ერევნის ყოფილ მაზრებში დღეების დროს ჩვეულებად აქვთ—იმღერონ.

ვარიანში ჩასხმული ნაღები შესადღებად ნორმალურად 3—4 საათის შრომას მოითხოვს. დღეების პროცესში მიჩვეული ყური ადვილად ამჩნევს სადღეები მასალის მდგომარეობას. შეგროვილი ერბოს ძვერებით ვარიის კედლებზე ვარაუდობენ შედღეების პროცესის მდგომარეობას. დღეების საქმეში ნაკლებად გამოცდილი პირები დღეების მდგომარეობას ვარიის სარქველიდან ამოწმებენ. ამოღებულ კარაქს ხელით სინჯავენ და ფერით ამოწმებენ, ხშირად თითითაც სინჯავენ ხოლმე.

ამგვარდ მიღებულ კარაქს ვარიიდან ხელით ამოიღებენ და ქვებში ჩადებენ. ხოლო შრატს ვარიის ნაჩვრეტტიდან სხვა ქვებში ჩაასხამენ და უმაღლე ვარიის ცხელი წყლით გამოორცხავენ.

ასე დამზადებული კარაქიდან გადადნობის საშუალებით ხევისურები ერბოს იღებენ. ქვებში ჩადებულ კარაქს ნელ ცეცხლზე შემოკიდებენ, შოგ ქერის ან წმინდის ფქვილს ჩაურევენ, ოც-ოცდაათ წუთს დააყენებენ, დროდადრო სარევიტ ურევენ, შემდეგ გადმოდგამენ საძირეზე, ოღნავ დაწობას დააცლიან; ფქვილი ჩალექავს ქვების ძირში ჭუჭყს. ვიდრე გადამდნარ კარაქს კასრში გადაასხამენ, გასინჯავენ კასრს, სითხე ხომ არ გაუღის; კასრის ძირში მარილწყალს დააყენებენ თუ შეამჩნიეს, რომ კასრს არ გასღის, შემდეგ ერბოს ჩაასხამენ, თავს საქონლის ფაშვით—სერათი მოუკრავენ და გრილად შეინახავენ: სენეში, ჭერხოში ან სხვაგან. წასაღებად გამგზავრების დროს ხევისურები ერბოს თიკრუნებში და ხასუნებში გადაიღებენ ხოლმე და ისე მიაქვთ.

კარაქის გამოხდის შემდეგ დარჩენილ დოს ხევისურები შრატს უწოდებენ და უშუალოდ საქმელად ხმარობენ, ხოლო კარაქის გადადნობის ნარჩენს — კარაქის ძირს.

რძისაგან ხევისურები ყველს ამზადებენ. დედად იხმარება ხსენი. სხვათაშორის, მათ იციან დამმართული რამდენიმე წლის ყვითელი ყველის კეთება. ასეთი ყველი სამკურნალოდ იხმარება, ვანსაკუთრებით კუჭის ავადმყოფობის წინააღმდეგ.

ყველისგან მონარჩენი შრატისგან გადაღულების შემწეობით ამზადებენ კალტს, რომელსაც პატარა გუნდებად მზეზე ახმობენ და საზამთროდ ინახავენ.

ზემით დასახელებული რძის პროდუქტების დამზადება ისევე, როგორც საქონლის მოვლა, ხევსურეთში მთლიანად ქალის კისერზეა. ის ასუფთავებს ბაქს, გააქვს საქონლის პატივი, ცელავს, ეზიდება თივას, წველის, კარაქს ამზადებს, ერბოს აყანებს, ყველი ამოჰყავს, კალტს აკეთებს, მენახირობს, ასუფთავებს რძისა და მისი პროდუქტების ჭურჭელს და ხშირად თვითვე მიადღევს ქალაქში გასაყიდად გატანილ საკუთარ ერბოს.

ხევსური ქალის შრომის შედეგია ხევსურული ერბოს მაღალი ხარისხიანობა, ხევსურის ქალმა იცის, რომ ახურებული ძროხის რძე ერბო-კარაქად არ გამოდგება, ისევე როგორც ახლადშობილი და აბერწებული ძროხის რძე.

ხევსურული ერბოს კარგი ღირსება დამოკიდებული არა მარტო ძროხის რძეზე და საკვებ მასალაზე, არამედ (ამდენად და კიდევ უფრო მეტად) ამ პროცედურებზე, რომლებიც ერბოს დამზადებასთანაა დაკავშირებული. ზემოთქმულიდან დავინახეთ საკმაო სიცხადით, თუ რა რთული რძის მეურნეობაა ხევსურეთში წარმოდგენილი რძის პროდუქტების დამზადებასთან დაკავშირებით.

ორი ძირითადი პროდუქტისაგან, რომლებიც ჩვეულებრივად მზადდება, ყველი და კარაქი — ხევსურეთში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ერბოს დამზადებას, ეს მისი სპეციფიკაა. ჩვენ ვიცით, რომ თითოეულ ქვეყანაში საკუთარი ძროხის ჯიშის, თუ სხვა გარემოებათა გამო წინაურდება რძის მრეწველობის ესა თუ ის დარგი, მაგ. საფრანგეთ-ინგლისში ერბოს დამზადებაა დაწინაურებული, ხოლო შვეიცარიაში — ყველისა. ჩვენშიც გარკვეულ ეთნიკურ ერთეულებში ამა თუ იმ პროდუქტის დამზადება სჭარბობს: მეგრული სულუგუნი, თუშური ყველი, ხევსურული ერბო, აჭარული იალი.

როგორც წინ აღვნიშნეთ, ხევსურული ერბო მაღალხარისხოვანია. რძის პროდუქტის ეს მაღალი ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო ხევსურულ ძროხის რძის მაღალი ღირსებისაგან, არამედ ერბო-კარაქის დამზადების ასეთი ხარისხი განსხვავდება ხევსურების მეზობელ ტომებში მიღებულ ერბო-კარაქის დამზადების ხარისხისაგან. ამაში თავისებური წილი ხევსურულ ვარსაც მიუძღვის, ის გამოირჩევა სხვა სადღვებლის სახეებიდან და თავისი ღირებულებით მაღლა დგას კარაქის დასამზადებელ სხვა იარაღებზე.

სადღვებლის სახეები

ვარიის ტიპის ხის სადღვებელი დამოწმებულია აჭარაში და მესხეთში, ხოლო სპორადულად რაჭასა და ქართლში. საგულისხმოა, რომ მაღალ მთის ზონის (ალპურ) მეურნეობებში ხევსურეთს გარდა ვარია არ არის ხმარებაში. ხევმა, ოსეთმა, საჩხანომ, თუშეთმა ვარია არ იცის. ამ ზონის მეურნეობაში ვარია მხოლოდ ხევსურეთშია შეჭრილი და მასიურად გავრცელებული, განსაკუთრებით ბუდე-ხევსურეთში. აჭარული ვარია ხევსურულისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ პირველს დოს ჩამოსაშვები ნაჩვრეტი არ აქვს.

აჭარული ვარიის ერთ-ერთი ეკზემპლარი საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექციას შეადგენს. ის შექმნილია აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ 1933 წ. სოფ. ოქრუაშვილებში მამუკა ოქრუაშვილისაგან. მას თავბოლოში ყავრის სალტეები აქვს შემოჭირებული, რომელთა ბოლო-

ები შეკრულია თხილის ღვლეჭით. მისი სახურავი სახელურანია. ვარაზის სიგრძე — 111 სმ, ხოლო დიამეტრი თავში — 32 სმ და ბოლოში — 29 სმ. (იხ. კოლ. № 27—33/97), დამზადებულია ნაძვის ხისგან.

აჭარაშივე გვხვდება ისეთი ვარია, რომელიც დამზადებულია არა მთლიანი ხისგან, არამედ ყუთოვით შეკრული ფიცრებისაგან (იხ. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექცია). მის პირზე შუაში ამოჭრილია მრგვლოდ ვარიაში ჩასხმა-ამოსხმის ოპერაციების საწარმოებლად (ტაბ. 44).

ხის ვარიის ტიპის სადღვებელი ჩვენ გვაქვს აგრეთვე თიხისაც. სადღვებელი-ვარია წარმოადგენს ცილინდრის ფორმის გამომწვარ თიხის ჭურჭელს, რომლის სიგრძეა 63 სმ, ხოლო წრეწირი შუაწელთან — 82 სმ. მას თავსა და ბოლოსთან აქვს სამი საყურე თოკის გასაყრელად და ვარიის ჩამოსაყიდებლად, აგრეთვე ზედა მხარეზე დიდი მრგვალი ნაჩვრეტი მაღალი ნაპირი, რომლის დიამეტრია 2 სმ. ამ ნაჩვრეტით წარმოებს ჩასხმა-გადმოსხმის ოპერაციები. აღწერილი სადღვებელი მოხატულია წერნაქის საღებავით. ასეთ სადღვებელ-ვარიას ჩვენ ვხვდებით ქიზიყში, აჭარაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ვარიის სახის ერთი ეგზემპლარი ჩვენ აგრეთვე ხევსურეთში დავადასტურეთ ლითონისაგან დამზადებული (სოფ. ახიელში).

ვარიის სახის სადღვებელთან ერთად ხევსურეთში, მის პირიქით ნაწილში, სახელდობრ მიღმახევსა და არხოტში, ჩვენ ვხვდებით მეორე ტიპის სადღვებელს, რომელიც ჩხუტ-ბრუნელის სახელწოდებას ატარებს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. (ტაბ. 45).

საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ჩხუტ-ბრუნელი || ყუთიკა ბრუნელი შედგენილია სოფ. შატილში, გიგა გიგაურისაგან 1927 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ (კოლექ. № 13—27/49).

ჩხუტი ანუ ყუთიკა¹² წარმოადგენს მთლიანი ხისგან დამზადებულ გულამოდებულ და ძირჩადგმულ ცილინდრული სახის ჭურჭელს, იგი დამზადებულია ხისგან. ძირის ნაპირები შეგოზილია ხის წვენიდან დამზადებულ წებოთი, ჩხუტს ძირთან შემოჭირებული აქვს ტყეჩის სალტე (სიმაღლე — 64 სმ, დიამეტრი ძირში — 16 სმ). ბრუნელი¹³ შედგება ორი გადაჯვარედინებული კეტისაგან, სიგრძე თითოეულისა 10 სმ; სისქე 5 სმ; ვანი — 5 სმ. რომელთა ნაპირები ამოღარულია, ამოღარულში შემოვლებულია წნელი. ამ გადაჯვარედინებული კეტების ცენტრში გაყრილია ხის ტარი. რძის დღვებანდროს ჩხუტი ვერტიკალურად დგას, ხოლო ბრუნელს მდღვებავი ხელით ზევით-ქვევით ამოძრავებს ჩხუტში.

ამგვარ სადღვებელ იარაღს ჩვენ ვხვდებით თუშეთში (№№ 27—32 146 და 27—32/127). ჩრდილოეთით იგი გავრცელებულია საჩაჩნოში, დაღესტანსა და რაჭაში და კიდევ უფრო ზევით — რუსეთში. სამხრეთით ჩვენ მას ვხვდებით აჭარასა და ოსმალეთში.

აჭარაში ჩხუტ-ბრუნელის ტიპის სადღვებელი წარმოდგენილია ყაერისგან მორკალული კოლოფის სახით, ძირჩადგმული აქვს ყაერისავე სახურავი. სახურავში გაყრილია ბრუნელი. ბრუნელი შედგება ტარისა და მასზე წამოცმული ორი ფიცრის რგოლისაგან.

¹² ქისტურად — ყუთიკა.

¹³ ქისტურად — ფეცეხე.

ამ ორი ძირითადი სადღევბელი იარაღის არსებობა, ხევსურეთის მიმართ, საკითხს სვამს მათი გავრცელების არეალის შესახებ.

იმ დროს, როდესაც ვარია მასიურად გავრცელებულია ბუდე-ხევსურეთში და მასთანავე, ნაღებისგან კარაქის მიღების იარაღს წარმოადგენს, ჩხუტ-ბრუნელი ვარიასთან ერთად მიღებულია მიღმა-ხევსა და არხოტში. ამასთანავე ჩხუტ-ბრუნელი უმი რძის შესადღევბადაა განკუთვნილი. ამას გარდა მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ჩხუტ-ბრუნელი მცირე რაოდენობის მასალის დამზადების შემძლეა, მაშინ როდესაც ვარია დიდი რაოდენობის ნაღებს გადაამუშავებს და ბევრ კარაქს დამზადებს. იგი დიდი მასშტაბის მეურნეობისთვისაა განკუთვნილი.

ზემოთქმულის გარდა, აქვე შეიძლება ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება. ჩრდილოეთით ჩხუტ-ბრუნელის ტიპის სადღევბელი შორეულ წარსულში ჩანს არსებული. პეროდოტეს ცნობილი ადგილი, „ნაწველს სკვითები ჩასხამენ ხის ღრმა ჭურჭელში, მათ გარშემო დასხამენ დაბრმავებულ მონებს რიგზე და უბრძანებენ მათ შედღვიბონ რძე; ამ დროს რძის ნაწილები ზევით ამოდიან ზედაპირზე, მოხდიან და ეს უფრო ძვირფასად ითვლება, დანარჩენი ნაწილი ფასობს ნაკლებ. აი რის გამო აბრმავებენ სკვითები ყველას, ვინც კი მათ ხელში ჩაუვარდებათ ტყვედ, ისინი მიწისმოქმედნი კი არ არიან, არამედ მომთაბარენი“ (პეროდოტე, წიგნი IV, § 2).

პეროდოტე ყოველ შემთხვევაში გამორიცხავს ვარიის ტიპის სადღევბლის არსებობას სკვითებში, ვინაიდან კონტექსტიდან ჩანს, რომ „ხის ღრმა ჭურჭელს“ სკვითები გარშემო მოუსხამენ დაბრმავებულ მონებს, — ასეთი მოსხდომა გარშემო ვარიის ფუნქციის მიხედვით სავსებით გამორიცხულია. ამიტომ პენის მოსახრება, რომ სკვითებს ვარიის მსგავსი სადღევბელი ჰქონდათ, საცილობლად მიგვაჩნია. უფრო მართალი იქნებოდა, გვეფიქრა შხუტ-ბრუნელის ტიპის სადღევბელზე ან იმგვარ სადღევბელ ჭურჭელზე, რომელიც რუსეთში ეხლაც იხმარება ჩხუტ-ბრუნელასთან ერთად;

ამ ორი ძირითად სადღევბლის ტიპების არსებობასთან ერთად ჩვენში მესამე სახის სადღევბელ იარაღსაც ვხვდებით, რომელიც წარმოადგენილია ხისა და თიხისაც. სადღევბლის ამ სახის არსებობას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ ორმოციან წლებში ა. ჰაქსტაუზენმა, ის წერს:

„Auf einer Seite stand auf einer Bank ein aus einem Baustamme ausgehöhter Basktros (Aring), ganz wie man sie bei den Bauern in Norddeutschland gebräuchlichen. Zum Buttern wird es schräg auf ein wiegendes Holz Gelegt und von diesem so lange geschüttelt bis die Butter fertig ist.“¹⁴

ჰაქსტაუზენი შემდეგ დასძენს, რომ კავკასიის არც ერთმა ხალხმა არ იცის ამრიგად კარაქის გამოხდა, როგორც ოსებმაო (იქვე).

უნდა აღინიშნოს, რომ სამოციან წლებში. ა. პეტროლდტმა¹⁵ ექვი გამოთქვა რძის დღევბის წესის არსებობის შესახებ. ის ამბობს, რომ ჰაქსტაუზენის აღწერა ნათელი არ არის; რომ ჩხუტი, რომლის სურათი მოცემული აქვს ჰაქსტაუზენს, სწორად დგას და არა ირიბად, რომ ჩხუტს სურათზე ორი

¹⁴ A. Haxthausen Transkaukasien, B. II, pag. 181.
¹⁵ A. Petroldt, Der Kaukasus, Leipzig, 1868, t. 2, pag. 255



საღტე ემჩნევა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩხუტი კასრი უნდა იყოს ცალკე ტკეჩებიდან შემდგარი გვერდით და არა მთლიანი ხის ტანისაგან გაკეთებული ჭურჭელი, დასასრულ ჭურჭელი თავლიაა.

უნდა ითქვას, რომ პეტეოლდტის შენიშვნა ჰაქსტჰაუზენის აღწერის მიმართ რამდენიმედ მართალია. ჰაქსტჰაუზენის აღწერას აკლია რამდენიმე ელემენტი იმისათვის, რომ აღწერილობის მიხედვით მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს სადღეებლის მოხმარების პროცედურა. კერძოდ, თავლია ჩხუტის ირიბად დგომა და ქანობა რძის გადმოუსხმელად ძნელი წარმოსადგენია. ასევე ძნელი წარმოსადგენია „ein wiejendes Brett“, რომელზედაც ცილინდრული ფორმის ჩხუტი დევს და რომელიც „ფიცართან“ ერთად მოძრაობს.

კიდევ მეტის თქმა შეიძლება. ჰაქსტჰაუზენის აზრით, ამგვარი წესით გამოხდა მხოლოდ ოსებმა იციან კავკასიაში. სინამდვილეში კი ოსებს გარდა დღევანდის ასეთი წესი სხვა ხალხებშიც მოიპოვება.

ზემოთქმულის მიუხედავად, ჩვენ ვადასტურებთ, რომ არსებობს ჰაქსტჰაუზენის მიერ მითითებული წესით კარაქის გამოხდა.

მიმდინარე წლის ზაფხულში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს სოფ. ყორნისში ჩვენ ვნახეთ ისეთი დღევანდის პროცესი, რომელიც ჰაქსტჰაუზენის მითითებას კარგად უდგება (ტაბ. 48).

აქ ნახული სადღეებელი სარგ-სოლდენ წარმოადგენს ჩხუტს, მთლიანი ზიდან გულამოდებულ და ძირჩადგმულ ჭურჭელს. ამ ჭურჭელში ჩაასხამენ მანონს ან ჩუმას, თავს მიუკრავენ ქსოვილით და შუაწელით დადებენ ოდნავ ირიბად მრგვალ კუნძზე. მდღეებელი მიუჯდება ბოლოში ჩხუტს, ჩასჭიდებს მას ხელებს და ამოძრავებს წინ და უკან რიტმულად, რიტმული შეჩერებებითურთ; დროდადრო მოკრულს მოხსნის და დღეების პროცესს ამოწმებს.

სოფ. ყორნისი ამჟამად ოსებითაა დასახლებული. უკვე სამი თაობაა, რაც ისინი აქ ბინადრობენ. სოფელი ცხინვალიდან 16—18 კმ არის დაცილებული. პეტეოლდტს, რომელიც 1863—1864 წწ. ამიერკავკასიაში მუშაობდა, კერძოდ ცხინვალის რაიონშიც იყო, შესაძლებლობა ჰქონდა ზემოთ აღწერილი სახის სადღეებავი იარაღის არსებობა დაემოწმებინა. ეტყობა, მას ეს ყურადღებოდან გამოპარვია მიუხედავად იმისა, რომ პეტეოლდტი განსაკუთრებულ ყურადღებას სადღეებლებს ცხინვალის ბაზარზედაც კი აქცევდა¹⁶.

ეს მით უფრო იყო მოსალოდნელი, რომ პეტეოლდტს, როგორც შესანიშნავი („ammerkwurdigsten“), აღნიშნული აქვს რაჭაში ნახული თიხის სადღეებელი („Sadgobelli“), რომლითაც დღეება მიახლოვებით ისევე წარმოებს, როგორც ზემოაღწერილ „ოსურ“ სადღეებელში. პეტეოლდტის აღწერილობით, იგი („Sadgobelli“) წარმოადგენს თიხის გამომწვარ ყურთან დოქს („Krug“). სადღეებელს ყელთან აქვს ნაჩრეტი, რომელიც დღეების დროს მილით ისეა დაცობილი, რომ არაფერმა ამოიშხეფოს, ხოლო ჰაერმა თავისუფლად იმოძრაოს სადღეებელსა და მილში. ამ აპარატით დადღეება ხდება ზემოდან ქვემოთ სადღეებლის მოძრაობით, ისე რომ სადღეებლის კიდებები არ ცილდება სპერდენს. პეტეოლდტი დასძენს: „ამბობენო, რომ ამ შესანიშნავი ჭურჭლით დაშვავებულ ნაღებიდან რამდენიმე წუთში მზადდება კარაქი“.

¹⁶ ა. პეტეოლდტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

ეს სადღევებელი განსხვავდება სარვ-სოდენისაგან როგორც ფორმით, ისე მასალით. მაგრამ პროცედურის მხრივ სადღევებელს მდღევებელი ისევე უნდა მიუჯდეს, როგორც სარვ-სოდენს, მხოლოდ საპირედან. მოძრაობის მხრივ, უკანასკნელს ამოძრავებენ წინ და უკან, ხოლო პირველს — ზემოდან ქვემოთ.

ი. ბახტაძის მიერ აღწერილი დღევების პროცესის მიხედვით, ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრაში, კარაქს ამზადებენ ქვევრის მსგავს ქურჭელში, რომელსაც გვერდით აქვს პატარა ნაჩვრეტი, როგორც ბახტაძე ხსნის, თითის შესაყოფად — „При вращении „садгобели“ взад и вперед...“

ზემოაღნიშნულ ბახტაძისა და პეტროლდტის აღწერილობაში რამდენიმე დღეექტია. პირველყოვლისა ბახტაძის აღწერილობაში: „При вращении „садгобели“ взад и вперед...“ გაურკვეველი რჩება სადღევბლის მოძრაობის სახე, რამდენადაც „Вращать взад и вперед“ შეუსაბამობაა. ეს პროცედურა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სადღევებელი საყრდენზე დევს ან ჩამოკიდებულია. ჩამოკიდება სადღევბლის სახის მიხედვით გამოირიცხულია. უფრო საფიქრებელია, რომ სადღევებელს საყრდენი აქვს. სადღევებელს წინ და უკან ამოძრავებენ მსგავსად ოსური სარვ-სოდენისა, მაგრამ ამას წინ ეღობება პეტროლდტის აღწერა, რომელიც აღწერს სადღევბლის მოძრაობას ქვემოდა ზემოთ და პირუკუ¹⁷ იგი წერს:

“also abwechselnd sich den Anschein gibt als wolle man ihn umlegen und wieder aufrichten, also fortwährend „wiegt“

პეტროლდტისა და ბახტაძის აღწერილობაში განსხვავება არსებობს აგრეთვე სადღევბლის ნაჩვრეტის მხრივაც. საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება დღეს არსებული მასალა იქნეს გამოყენებული¹⁸.

ს. ლებში რძის თავიდან კარაქის მისაღებად ხმარობენ სადღებელს — თიხისას და ვარიას — ხისას. ახლა პირველი ძალიან იშვიათადაა ხმარებაში, ხოლო მეორეს, ე. ი. ვარიას, თითქმის მთელი მოსახლეობა ხმარობს აღნიშნული მიზნისათვის. თიხის სადღებელის სახე-ფორმა ქურისებურია: შუაზედ მსხვილი, სახურავი და ფსკერი კი ვიწრო (თითქმის თანაბარი). ასეთ სადღებელს აქვს ორი ხელი ცალი გვერდიდან: ზევით და ქვევით; დღევბის დროს სახურავზე მჭიდროდ აქვს დაცული ხის სარქველი ან მოკრული აქვა მაგრად თხის ან ცხვრის სუფთად „გაღვებილი“ ტყავი. ქვედა ხელის ქვეშ სადღებელს დატოვებული აქვს ნახვრეტი (მრგვალი) ჭიპი, რომელშიც უკეთებენ დღევბის დროს რიკს. აქედგან სინჯავენ და იგებენ დღევბის დათვალებას — მოდლობას. თვით დღობა შემდეგნაირად ხდება: სადღებელში ჩაასხამენ რძის თავს ისე, რომ 3/4 გაივსოს. სადღებელს იატაკზე ქვეშ უგებენ რბილ საფენს: სართალს (ბალიშს) ან მუთაქას. სახურავზე მაგრად აცობენ ხის სარქველს ან უკეთებენ მოსაკრავს. ამის შემდეგ დააწვენენ სადღებელს საფენზე და ანჯღრევენ ზევით-ქვევით და მარჯვნიდან მარცხნივ. ხუთი (ან მეტი) წუთი, რომ ზევითგან ქვევითკენ ანჯღრევენ, შემდეგ ხუთ წუთს მარჯვნიდან მარცხნივ აგორებენ, რომ მალე მოიდლობოს. ასეთი

17. „Das Buttern geschieht mit diesem Apparate in der Art, daß man ihn, ohne daß seine Kaube Berührung mit ihrer Unterlage verliert, hin und her liegt“ რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

18 უცნაურია, რომ ს. მაკალათიას „მთის რაჭა“ (ტფ., 1930) საკითხის გასაშუქებლად არაფერს იძლევა. ის აღნიშნავს, რომ „ხის სადღევებელ ვარიას ნაცვლად სეპარატორებია გავრცელებული“, ან „რძის პროდუქტებში აქ ამზადებენ მცირე რაოდენობით კარაქს და ერბოს“.

ნჯღრევა (ჭოჭიალი) და გადაბრუნ-გადმობრუნება გრძელდება მანამდე, სანამ სადღობელში ცალკე კარაქი არ დაგროვდება და ცალკე მდო. შემდეგ სადღობელს მოხდიან სარქველს და კარაქს ამოიღებენ ხელით, ცალკე ჭურჭელში გადაიღებენ. სადღობელში დარჩენილ მდოს გადასწურავენ თმის საწურავში და ჩატოვებულ (ჩარჩენილ) კარაქის ნამცეცებს მიუმატებენ ცალკე ჭურჭელზე ამოღებულ კარაქს.

ეს სადღობელი (თიხის) საერთოდ შემოღებული და გავრცელებული იყო მოსახლეობაში 60—75 წლის წინათ. მაშინ დღობა ხდებოდა აგრეთვე კუბრიელში (გუდა), რომელიც კეთდებოდა (ეხლაც კეთდება — მხოლოდ სხვა მიზნით) თიხის ან ხბოს ტყავისაგან.

ზემოაღნიშნული სადღობლით მოდღობას სჭირდება ერთ საათამდის, თუ გაჟინდა — მეტიც. უკანასკნელ შემთხვევაში სადღობელში (ვარიაში) ჩააგდებენ ხოლმე ნახშირს.

ხის ვარიები ორნაირია: ჩამოსაბმელი გასწვრივ ორივე ფსკერის მხრივ და იატაკზე დასადგმელი — რუსული масло-бойки-ის მაგვარი.

კარაქის სადღევები ორგვარი ხელსაწყო არსებობს ქვემო რაჭის მთიან ადგილებში — ხის და თიხის, რომელთაც სადღობს ან სადღვებელას უწოდებენ.

ხის სადღობი წარმოადგენს გულგამოწმენდილ (გულგამოღებულ) ხის მორს, რომელსაც ერთ ბოლოში ფიცრის ფსკერი აქვს, მეორე თავი კი ღიაა. მას სიმაგრისათვის (რომ არ გასკდეს) შემოჭერილი აქვს თასმა (ტყავის, უმთავრესად მამრობითი სქესის საქონლის, ხარის ასოდან კეთდება) თავისკენ და ბოლოსაკენ.

ერთი თავი ღიად აქვს დარჩენილი, საიდანაც უნდა ჩაესხას კარაქად დასამზადებელი რძის თავი ან რძე. მას აქვს აგრეთვე ამოხვრეტილი ადგილი, რომელიც დაცობილია ხის საცობით.

აიღებენ რძის თავს (ან რძეს), ასხამენ სადღობში ღია თავიდან, რის შემდეგაც მას მაგრად გადააკრავენ სერიას და შემოუჭერენ ბაწარს (ამ დროს საცობი დაცობილი აქვს); დასდგამენ გოგორაზე და უწყებენ ნჯღრევას ან რწევას მანამდე, სანამ კარაქი ბურთულების სახით არ გამოიყოფა. გამოიყოფა თუ არა კარაქის ბურთულები, მოხსნიან სერიას და გადაასხავენ გობზე.

კარაქს მოუყრიან თავს სუფთა ხელით და გარკვეულ ფორმას მისცემენ. დარჩენილ წვეს ან ნარჩენს ნადღობს უწოდებენ, რომელშიაც ნამცეცების სახით არის კარაქის ნარჩენები, რის გამოც მას საცერში გაატარებენ და დარჩენილ კარაქს შეუერთებენ პირველს.

კარაქს მოათავსებენ ვედროში ან სხვა რომელიმე ჭურჭელში და რომ არ წახდეს, დაასხამენ ცივ წყალს.

ნარჩენს ან ნადღობს ხმარობენ საჭმელად პირდაპირ ან მისგან გადაღლებით ამზადებენ ეგრეთწოდებულ იხაჭვას (ზოგიერთ სოფლებში მას ხაქოს უწოდებენ).

მოსადღევებ რძეს (სანამ მის დღევას შეუდგებოდნენ) დგამენ თბილ ადგილზე — ცეცხლთან ახლოს, რომ უფრო ადვილად მოხდეს კარაქის გამოყოფა.

ხის სადღობს ისეთი ხისაგან ამზადებენ, რომელსაც სუნი არა აქვს (უმთავრესად მას ამზადებენ ცაცხვის ან თელის ხისგან).

თუ კარაქისაგან ერბო სურთ დაამზადონ, მაშინ მას გადაადნობენ, გად-
შრადლებენ და წყლის გამოშრობის მიზნით ატარებენ სუფთა და სქელ სა-
ცერში, უზამენ მარილს და ინახავენ გრილ ადგილზე, რომ არ დადნეს.

ხის სადღობზე უფრო გავრცელებულია თიხის სადღობი, რისთვისაც არ-
სებობს სპეციალური მოყვანილობის თიხის ჭურჭელი. ასეთივე ფორმის არის
პურის საფუერის დასაყენებელი ჭურჭელი, რასაც საფუარი ეწოდება.

თიხის სადღობს თავი და ბოლო მოვიწროვებელი აქვს (უფრო თავი).
ერთი თავი ღიაა. მას აქვს აგრეთვე ორი თიხისავე ხელის მოსაკიდებელი ან
ხელი და ამოხვრეტილი ნაწილი, საიდანაც უთვალთვალებენ კარაქად შე-
დგომის პროცესს. ეს ნაჩვრეტი დაცობილია ხის ან სხვა სახის საცობით.

თიხის სადღობის ღია თავიდან მასში ასხამენ რძის თავს ან რძეს, გადა-
აყრავენ სერიას, რომელსაც შემოუჭერენ თოკს, დაიდგამენ მუხლებზე და იწ-
ყებენ მის რწევას ან ნჯღრევას (ზოგჯერ ეს პროცესი მუთაქაზე დადგომით
და ნჯღრევით ხდება).

დანარჩენი პროცესები ისეთივეა, როგორც ხის სადღობით დღვების დროს.

ზემომოყვანილი აღწერილობებიდან ნათელი გახდა, თუ როგორ მო-
ძიობს რაჭული სადღვებელი და როგორ არის გამოყენებული მისი ნაჩვრეტი.
ამას გარდა ლ. ტურძელაძე საკმაო სიცხადით აღწერს ოსური სადღვების
ანალოგიურ სადღვებელს და ამდენად სავსებით აბათილებს ა. ჰაქსტაუზენის
მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს კავკასიის ხალხებში ოსებს გარდა არავინ
იცის ოსური სადღვების ხმარება.

ბახტაძის აღწერილობაში აგრეთვე ერთი საყურადღებო ცნობაა მოყვანი-
ლი. ის აღნიშნავს, რომ ზემო რაჭის სოფლებში კარაქი შემდეგი
წესით მზადდება: ახლად ამოღებულ ყველს ნაჭერ-ნაჭერ დაჭრიან, ჩასდებენ
ქვებში, მას ჩაატანენ მცირე ხორბლის ფქვილს (წმინდას) და ჯობით რაც შე-
იძლება ხშირად ურევენ, რამდენიმე ხნის შემდეგ კარაქი ქვებში ცალკე დაგ-
როვდება და ყველი და ფქვილის ნარევი ცალკე, ამ უკანასკნელს ჯიქა ეწო-
დებაო (MPFK3, II, გვ. 70—71)¹⁹.

კარაქის მიღების ამგვარი წესი სავსებით თავისებურია. რაჭაში ასეთი
თავისებურება, მის მატერიალურ კულტურაში განსაკუთრებით, სხვაგანაც მო-
იხივება. კერძოდ, მეტად საგულისხმო თავისებურებას წარმოადგენს რაჭული
სახენელი²⁰, რომელიც აღნიშნული გვექონდა ჩვენს ადრინდელ ნაშრომში.

დელამოტიდან ერბოს გამოხდა სამეცნიერო ლიტერატურაშიც დამოწმე-
ბულია: „დელამოტის დაჭრის დროს მას ეცლება ცოტაოდენი ერბო, რომე-
ლიც შრატში დარჩება და თუ ხარშვის დროს ტემპერატურა მაღალია, მაშინ
დელამოტში გახვეული ერბოც დადნება და ცოტაოდენი აქედანაც გადავა
შრატში. ამისთვის ამ ერბოს ცალკე აცლიან შრატს“ (პეტრიაშვილი, გვ. 153).

¹⁹ L. შაკალათია, აქაც დეფექტურ მასალას იძლევა: „ჯიქა (sic) ჭყინტი ყველისა და
ფქვილისაგან (მთის რაჭა)“.

²⁰ A. Petzoldt, De; Kaukasus, B. II, Leipzig; გ. ჩიტია, მასალები
საქ. სახენელი იარაღების ისტორიისათვის; ს. შაკალათიას ბროშურაში მოყვა-
ნილი „სახნისი (სახენელის)“ სურათი ვეფიქრობთ არა სწორია, რამდენადაც ამ სახით სახენე-
ლის დგომა სახენელის კონსტრუქციის მიხედვით ყოველად შეუძლებელია. არ აქვს მას დასა-
ხელებული სახენელის ძირითადი ნაწილების სახელები (მთის რაჭა, გვ. 30).



რაჭული სადღვებლის მსგავსია ის სადღვებელი, რომელიც აგრეთვე თიხისაა და იხმარება ხევში, გუდამაყარში, მთიულეთში და ქართლის სხვადასხვა ნაწილებში.

ამ სახის სადღვებელი რამდენიმე ვარიანტადაა საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული.


1. სადღვები № 34 წარმოადგენს გამომწვარი თიხის ჭურჭელს, რომელიც თავისი ფორმით ხალამს წააგავს. მისი სიმაღლე — 65 სმ, სიგანე ძირში — 13 სმ, ხოლო პირში — 16 სმ. მას ორი სახელური აქვს მუცელზე, რომელთაგან ერთი ძირთან ახლოს ვერტიკალურად არის მოწყობილი, ხოლო მეორე — ახლოს ხელთან ჰორიზონტალურად. სახელურები სადღვებლის გადასატან-გადმოსატანადაა უმთავრესად დანიშნული, თუმცა ამათგან უკანასკნელი სხვა ფუნქციასაც ასრულებს. სახელურთან ყელის მახლობლად, მუცელზე სადღვებელს აქვს ნაჩვრეტი. ასეთ სადღვებელს ჩვეულებრივად ხის პატარა კუნძზე დააწვენენ, ფეხებში ჩაიდგამენ, ან კიდევ ციგაზე ან საგორავზე დადებენ და ისე ამოძრავებენ.

აღსანიშნავია, რომ ამ სახის სადღვებელი განათხარ მასალებშიც მოიხილება; ეს ფაქტი დამოწმებულია ჯერ კიდევ 1911—1912 წწ. ყოფ. საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის დავთარში, სადაც ე. თაყაიშვილის ხელით ამ სახის სადღვებელი ასეა შეტანილი — „179. თიხის სადღვებელი (ამგვარს ეხლაც ხმარობენ მთიულეთში). აქვს ხელი და სასულე. განჯის გუბ“. (იხ. კატალოგი A, გვ. 11). ს. მაკალათია, რომელმაც მსგავსების შესახებ გერმანულ ორგანოში წერილი მოათავსა, სარგებლობს იმავე საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის კოლექციებით, სადაც ეს საგნები გარკვეულია და, რასაკვირველია, იცნობს კატალოგის ჩანაწერებს — მაგრამ ამ ფაქტს არ აღნიშნავს სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მაკალათიას მიერ მოტანილი მასალა არქეოლოგიური განყოფილებიდან ყველა როდია სადღვებელი, რადგანაც ნაჩვრეტი აქვს, საკითხი ასე იოლად არ წყდება, განათხარ მასალებში მოიპოვება არა მარტო სადღვებელი, არამედ ერბოს გადასადნობი ჭურჭლები და რძის დასაყენებელი ბანკებიც.

ზემოთ აღწერილი სამი სახის სადღვებლის გარდა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში იხმარება სხვადასხვა სახის პრიმიტიული სადღვებელი იარაღები. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ რაჭაში იხმარებოდა სადღვებელი იარაღად კუპრიელი — გუდა. ასეთი სადღვებელი იარაღი ბევრ სხვა ადგილებშიც იხმარება, მაგ. აჭარის ქუთათებში, თურქულ მოსახლეობაში. მაგრამ კუპრიელის გვერდით ჩვენ ვხვდებით აგრეთვე დიდ გულებსაც, რომლებიც ვარიის მსგავსად ჩამოკიდებული იხმარება. უფრო პრიმიტიულ სადღვებ იარაღად შეიძლება მიჩნეული იქნას აყრო-ჭურჭელი, რომელიც ხელით მოჰყავთ მოძრაობაში. აყრო სადღვებელი ჯერჯერობით დამოწმებულია იმერეთში. ქიზიყში, სვანეთში და იმერეთში იხმარება სადღვებლად აგრეთვე შტოფი.



ზემოთ მოყვანილი სადღვებლების სახეების მიხედვით შეიძლება შემდეგ საკლასიფიკაციო სქემა შევადგინოთ:



ყველა სახის სადღვებლებში თავისი ეფექტურობით გამოირჩევა ვარია. როგორც აღნიშნული იყო, ვარიას სხვა სადღვებლებთან შედარებით გაქანების დიდი ამპლიტუდა აქვს და, მაშასადამე, მეტია გარანტია, რომ ერთო მეტი შეგროვდება და მისი გამოსავალიც მეტი იქნება. ვარიის მუშაობის დროს შრომა რაციონალურადაა გამოყენებული, ადამიანს შეუძლია მთელი თავისი ჯანით იმუშაოს. და ნაკლები ენერგიის დახარჯვით მეტი რეზულტატი მიიღოს. გარდა ამისა, ის ტექნიკურად უფრო მოხერხებულია და ზომითაც, ყველაზე მეტად შეეფერება ხევისურეთის მსხვილ მესაქონლე მეურნეობას.

ამ სახის ვარია მთლიანად გაბატონებულია ბუდე-ხევისურეთში, პირიქით ხევისურეთში კი ჩხუტ-ბრუნელის ტიპის სადღვებელია, სადაც ხევისურები მისდევნენ ქისტური ყაიდის მეურნეობას (აქ წვრილფეხა საქონლის მეურნეობასთან გვაქვს საქმე).

რით არის გამოწვეული ამ დაწინაურებული იარაღის გაბატონება ბუდე-ხევისურეთში?

კავკასიის ქედის ალპურ მეურნეობებში, პირიქით და პირაქეთ მოსახლეობაში გაბატონებული იარაღი ჩხუტ-ბრუნელია, ისევე როგორც კარაქის დამზადება რძის ან ნაღებისაგან წარმოებს. ამ მხრივაც გამონაკლისს ბუდე-ხევისურეთი წარმოადგენს, სადაც გაბატონებული სადღვებელი იარაღი ვარიაა და კარაქის გამოხდა მხოლოდ და მხოლოდ ნაღებისაგან ხდება. შევეცადოთ ამის მიზეზების მიკვლევას.

ხევისურეთი თავისი მეურნეობით მაღალმთიან კულტურულ ზონას ეკუთვნის. მაგრამ მარტოდმარტო ამის დადასტურება როდი იძლევა იმ თავისებურებათა მაჩვენებლებს, რაც ხევისურეთის მეურნეობას ახასიათებს. ეს მაჩვენებლები ამ მეურნეობის დეტალურმა შესწავლამ უნდა მოგვცეს.

ხევისურეთში, ჩვენ ვგულისხმობთ როგორც ხევისურეთის არავის, ისე ასას და მიღმახევის ტერიტორიებს, ე. წ. პირაქეთ და პირიქით ხევისურეთს.

ხევისურეთის საზღვრებს შეადგენს ჩრდილოეთით ინგუშეთი და საჩჩინო, აღმოსავლეთით თუშეთი, სამხრეთით ფშავი, დასავლეთით ხევი და გუდამაყარი. იგი მდებარეობს მთავარი მთაგრეხილის ჩრდილოეთით და სამხრეთით. ჩრდილოეთის ხევისურეთი მდებარეობს მოწინავე მთაგრეხილს (საშუალო სიმაღლე 4000 მ. ზღ. დ.) და მთავარ მთაგრეხილს (საშუალო სიმაღლე 3800 მ ზღ. დ.) შორის და სამხრეთის მთავარ მთაგრეხილს შუა.

რასაკვირველია, ხევსურეთის რელიეფს განსაზღვრავს არა მარტო ეს სამი ძირითადი მთაგრეხილი, ამათგან გამოდიან სხვადასხვა არაპირველხარისხოვანი მთის ქედები, რომლებიც სერავენ ხევსურეთს ყოველი მიმართულებით და მდინარეებთან ჰქმნიან მრავალ პატარა ხეობებს: ლიქოკის, ხანმატ-ბისოს, ბა-ცალივოს, ქმოსტი-როშკის, ბლოს, საკუთრივ არაგვის და სხვა. ასეა პირი-ქითშიც: მიღმა ხევის, შატლის წყლის და სხვა. ცალკეული ხეობა წარმოად-გენს ქვაბულს, რომელსაც მეტად მცირედი დაცემული ადგილები მოეპოვება. ასეთი დაცემული სწორი მინდორი მთელ ხევსურეთში მხოლოდ შატლის და ბარისახოს აქვს.

მთლიანად ხევსურეთს უჭირავს 974,88 კმ ან 974,88 ჰა. ამ ციფრიდან უვარგის და გამოუყენებელ მიწა-წყალს შეადგენს 58.476,85 ჰა, ხოლო ვარ-გისს და გამოსაყენებელს 39.999,25 ჰა, ვარგისი მიწა-წყალი ასე ნაწილდება: საბალახო 24.748 ჰა, ტყე 11.842,7 ჰა, სათიბი 1.289 ჰა და სახნავი და კარმი-დამო 1.112 ჰა.

მთლიანად ხევსურეთის ტერიტორია უდრის მთიანი ინგუშეთის ტერიტო-რიას (970 კმ). აქედან უვარგისი ტერიტორია შეადგენს 60%-ს მთელი ფარ-თობისა, საბალახო და სათიბი ერთად შეადგენს 26 000 ანუ მთელი ვარგისი ტერიტორიის 75%. ტყე—24%, ხოლო სახნავი და კარმიდამო 1%. ასეთი დამოკიდებულება ვარგისი მიწისა სხვადასხვა დარგებს შორის თავისთავად საზღვრავს ხევსურეთის მეურნეობის გამძღოლ დარგს და უკანასკნელ ადგილს ანიჭებს მიწათმოქმედებას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხევსურეთში სულ 932 კომლია, ერთ კომლზე 0,97 ჰა²¹ სახნავი მიწა მოდის, რაც მეტად მინიმალური რიცხვია და მოსახლეობის პურზე მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფი-ლებს. მიწის სიმცირეს ერთვის ის გარემოება, რომ აქ ნიადაგი მეტად მწირია, ღორღიანი და ხრიოკი. მიწის ყოველი მტკაველი საჭიროებს განოყიერებას. ამას გარდა, მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საყანე ჩვეულებრივად სოფლის მახლობლად უნდა იყოს, ვინაიდან მოშორებით მდებარე მიწა არ გამოდგება. ნაკელის მიტანა იქ შეუძლებელია. მიწის მდებარე-ობასაც აქვს მნიშვნელობა ზღვის დონიდან, რადგან ქერის, შვრიის და ჭვავის გავრცელების ზონები განსაზღვრულია; მეტად მძიმე პირობების გამო, ხში-რად აქ ყანა თესლის ოდენობასაც ძლივს იძლევა. ხევსური ძლიერ ეჭიდება ამ საქმეს, ვინაიდან წელიწადში სამყოფი პურის შემოზიდვა ბარიდან მისი პრიმიტიული მეურნეობისათვის შეუძლებელია²².

სათიბები ჩვეულებრივად მთის შეფენებაზეა, ბევრგან მხოლოდ მთებზე შეიძლება მარტო თიბვა. თივის ჩამოტანა უმეტესად სათირით ხერხდება, რომელსაც კაცი სრიალით მიჰყვება მთის ფერდობებიდან ხევში.

შეიძლება თუ არა სათიბების საყანედ გადაქცევა? ტექნიკურად ეს შე-საძლებელია, ხოლო ეკონომიურად არ არის ხელსაყრელი, ვინაიდან ყანა ნა-

²¹ ეს ციფრი სავსებით პირობითია და შემაჯამებელი, ვინაიდან, მთის ზონის მეურნე-ობაში მიწის ფართობს კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ მასზე დახარჯულ შრომას.

²² ამის მთავარი მიზეზი უგზობობაა. ხევსურეთი ისე შებოჭილია ყოველი მხრიდან მაღალი ქედებით, რომ შეუძლებელი ხდება აქ ნორმალური გზის პირობების დაცვა. ეს არა მარტო ვარეშე ქვეყნებთან მაკავშირებელ გზებს შეეხება, არამედ თვით შინაურ მიმოსვლებს და ყანა-სათიბებში გადასაყვანი საშუალებების გამოყენებას. 1929 წლამდე არ იყო აქ არცერთი ბორბლიანი გადასაზიდი საშუალება.

კლებ გამოსავლიანია, ვიდრე სათიბი (პირველი დიდძალ შრომას მოითხოვს). სათიბი მოდის კომლზე — 4 859 ჰა — (ჰა იძლევა 6—8 ბულულ თივას, ბულული თივა 6—10 ფუთია, სულ შეადგენს 2 000 კილოგრამს, იძლევა საშუალოდ 28 ფუთს).

ამის მიხედვით ჩვენ აქ გვაქვს ისეთი მეურნეობა, რომლის მახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს საქონლის პროდუქციის უპირატესობა.

მემინდვრეობა აქ არავითარ როლს არ თამაშობს გაცვლის საქმეში. ის მხოლოდ მოხმარების პროდუქტს წარმოადგენს. მთელი შემოსავალი ხევესურეთის მეურნეობისა დამყარებულია რძის პროდუქტების გაცვლაზე, რაც შეადგენს მთელი შემოსავლის 97%. ეს შეფარდებულია ალბური ზონის პირობებთან.

მესაქონლეობის პირობებს ძირითადად წყვეტს ზამთრის სარჩოს მომარაგება. ეს ხევესურეთისათვის გვაძლევს შემდეგ პროპორციას.

ალბური ზონის მეურნეობა გეოგრაფიულ გარემოს სხვადასხვაგვარად იყენებს: ქვემო ზონა გამოყენებულია მსხვილფეხა (ერბო და ყველი) საქონლისათვის, საშუალო ზონა (ხორცი და მუშასაქონელი) მსხვილფეხა საქონლის მორბედის გამოსაზრდელად (პამირიდან ალპებამდე და პირინეამდე), ხოლო ზემო ზონა წვრილფეხა საქონლისათვის (მატყლი და ხორცი). თითოეულ მეურნეობას ამ შემთხვევაში შეუძლია სამივე ვერტიკალური ზონის გამოყენება, მაგრამ ამის შესაძლებლობა მხოლოდ ისეთ მეურნეობას აქვს, რომელიც ეკონომიურად ძლიერია, რომელსაც მრავლად ჰყავს წვრილფეხა საქონელი. ამის მიხედვით სუსტი მეურნეობა იძულებულია პირველი ზონის გამოყენებით დაკმაყოფილდეს და გასაცვლელ პროდუქტად მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის პროდუქტები დაამზადოს.

პირველი ზონა აღწევს 1700—2000 მეტრამდე.

მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სოფლები ხევესურეთში 1200—1700 მ-ზეა მოთავსებული, პირველი ზონა სოფლის პირობებში თავსდება.

შედარება: 100 ჰა საძოვარი 40 — ძროხა
500 ცხვარი

500 ცხვარი იძლევა
37. ფ. ყველს — 222 მან.
მატყლს — 350 მან.
ბატკანი 400 ს. — 2000 მან.
2572 მან.

დაიხარჯა
ორი მწყემსი — 500 მან.
საძოვარი საზ. — 100 მან.
საზამთ. — 50 მან.
თივის შეძენა — 400 მან.
1150 მან.
წმინდა მოგება 1422 მ.
(2572—1150=1422)

40 ძ რ ო ხ ა ი ძ ლ ე ვ ა .

40 ფუთი ერბო — 800 მან.
100 ფუთი ყველი—300 მან.
30 ხბო — 150 მან.

1250 მ.

დაიხარჯა:

1 მწყემსი — 250 მან.

საზამთრო ხარჯი:

150 მარხილი თივა

6,1/2 თვეს — 750 მან.

250 მან.

წმინდა მოგება: 250 მანეთი.

აქ მიღებული შედეგები კარგად ეთანხმებიან ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს ხევსურეთის მსხვილფეხა საქონლის მეურნეობის შესახებ.

1934 წ.

ოქრომჭედლოვის ისტორიისათვის საქართველოში

ქართული და კავკასიური სამკაულები

რაც დრო გადის, კავკასიის უძველესი კულტურის კვლევის შედეგად შეცნობიერება ახალ ფაქტებს იძენს ადრევე გამოთქმული იმ აზრის სასარგებლოდ, რომ კავკასია ერთი უძველესი ცენტრია, სადაც ლითონის წარმოება-დამუშავებამ მაღალ დონეს მიაღწია. ამ დებულების სისწორეს ადასტურებენ შემდეგი მონაცემები: კოლხური ბრინჯაო, სკვითური ოქრო, ოქროს საწმისი, კასიტური კალა, ხალიბური ფოლადი, რაჭული რკინა და სხვა. ამასვე ადასტურებს ახლად აღმოჩენილი განათხარი მასალა: ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროსა და რკინის ნივთები, რომელთა დამზადების ტექნიკა უდაოდ მაღალხარისხოვანია.

კავკასიის ლითონის კულტურის თავისთავადობას ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ლითონის დამზადების ძველი ტრადიციების არსებობაც ადასტურებს; აქ მოცემულია ლითონის დამზადების შემდეგი სახეები: გრეხილი, სევადა, ზარნიში, ფილიგრანი, ჭედურობა, ჩამოსხმა და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის დამუშავების ტექნიკა კავკასიის და კერძოდ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არ იყო მარტოდმარტო ვიწრო კანტით შემოფარგლული, არამედ ხალხის ფართო ფენებში მყარად ჰქონდა ფესვები გადგმული. საყურადღებოა, რომ რაჭაში, სადაც რკინის საბადო მდებარეობდა (ს. წედისი), მოსახლეობა „რკინის კაცების“ სახელით იყო ცნობილი. ფშავში, ხმლის პირების ოსტატებად მისრიანთ გვარი იყო გამოყოფილი. კიდევ მეტი თქმა შეიძლება, სვანეთში ოქრომჭედლებად ქალებიც კი იყვნენ ცნობილი.

ლითონი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ხალხურ სარწმუნოებაში. რკინის საგნები გამოყენებული იყო აპოტროპულ სამუშალებად ავი თვალის, ბოროტი ძალის საწინააღმდეგოდ. იგივე რკინა არ უნდა ჩაჰყოლოდა მიცვალებულს სამარხში, იმ დროს, როცა ოქროსა და ვერცხლის სამკაულების თუ სხვა საგნების ჩატანება შეიძლებოდა, რკინის ყოველი საგანი აღკვეთილი იყო. კიდევ მეტი: თუ მიცვალებულის ტანსაცმელზე რაიმე ნივთი რკინისა ჰქონდა, მასაც ააჭრიდნენ. ჭირის ბატრონი წინასწარ აფრთხილებდა სუდარის ჩამტყმელებს, რომ მიცვალებულს „რკინისა არაფერ წაყვეს მიწადო“. რიგ ხალხურ გადმოცემებში ლითონის საგნების დამზადება შეპირობებულა სხვადასხვა სახის აღკვეთებთან. ასე მაგალითად, სვანების გადმოცემის მიხედვით სოლამს, რომელიც ხელოსნობისა და ხელოვნების მფარველ ღვთაებადაა აღიარებული და რომელიც არაიშვიათად მჭედლადაა გამოყვანილი, ჯგერაგი მიმართავს, რომ მან ისეთი ისრის წვერი დაუმზადოს, რომელსაც კეთების დროს სილა არ შეერება.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ოქრომპედლობა ძველი მელითონების ერთ-ერთ საყურადღებო განტოტებას წარმოადგენს. ცნობილია, რომ ოქრომპედლობა თავის დასაწყის პერიოდში ბრინჯაოს მჭედლობასთან იყო დაკავშირებული და ბრინჯაოს საგნის დამზადების ტექნიკურ ხერხებს იყენებდა. ქართული ოქრომპედლობაც ამ გზით განვითარებული მოხელობაა.

მართალია, ტერმინი ოქრომპედელი ზუსტად არ გამოხატავს იმ საქმიანობას, რომელსაც ეს მოხელე ეწევა. ოქრომპედელი, ტერმინის აზრის მიხედვით, საკუთრად ოქროს ლითონზე მომუშავე პირს უნდა აღნიშნავდეს, მაგრამ ეს სახელწოდება გაფართოებული მნიშვნელობითაც იხმარება და საერთოდ ლითონის და, კერძოდ, ყოველგვარი ძვირფასი ლითონის სამკაულების დამზადებაზე მომუშავე შინამრეწველსა და ხელოსანს აღნიშნავს. როგორც წინააღმდეგობით, ხალხში ეს სახელწოდება ამ უკანასკნელი გაფართოებული მნიშვნელობითაც ცნობილი.

ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემული ოქრომპედლობა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ტექნიკურ პროცესებს, დამზადებულ საგნის საყურადღებო ფორმებსა და საგულისხმო შინაარსის ორნამენტებს შეიცავს. ეს მოხელობა თავისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით შირეული წარსულიდან მომდინარე ჩანს და დროთა მსვლელობაში ახალ შენამატებთან ერთად უძველეს ტრადიციებს იცავს.

უკანასკნელის საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელებული იქნეს ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე შემორჩენილი რამდენიმე მაგალითი.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითად გამოდგება ე. წ. ილარიონი, რომელიც სამი დამოუკიდებელი საგნისაგან შედგენილ კოსმეტიკურ მოწყობილობას წარმოადგენს. ჩვეულებრივ სამივე საგანი (ნივთი) რგოლზეა წამოცმული ან თასმაზეა მიმაგრებული. პირველი ამ კომპონენტთაგან (აცისკანა) წარმოადგენს პინცეტს, მეორეა ილარი, მესამე ფრჩხილსაწმენდი. ეს მოწყობილობა აღნიშნული კომპლექსური სახით პირველად და დამოწმებული ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. გამოჩალისი სახით გვხვდება ცალკეული ელემენტები, როგორცაა ილარი.

ეს კოსმეტიკური მოწყობილობა დამზადებულია ხისგან, ძვლისა ან ლითონისგან, მაგრამ ყველა შემთხვევაში მიუხედავად მასალის რაგვარობისა რომლისგანაც იგი მზადდება, მთელი კომპლექსი ერთი და იგივე სახისაა, შემადგენელი ელემენტები ერთი და იგივე ფორმისაა და ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს¹. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დამახასიათებელი და საყურადღებო კომპლექსური მოწყობილობა დამოწმებულია არა მარტო ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, მაგრამ სხვა ხალხებში ყველა ჩვენთვის ცნობილი ილარიონი მხოლოდ ცალკეული ელემენტების სახითაა წარმოდგენილი².

ილარიონის სრული პარალელები გვხვდება სვანეთის განათხარ მასალებში. აქ ეს კომპლექსი დადგენილიანების საგვარეულო სამარხშია აღმოჩენილი, სადაც ილარიონის გარდა აღმოჩნდა საშინაო მოხმარების, მეცნიერული თვალთახედვით საინტერესო, სხვა საგნებიც. ასე მაგალითად, ვერცხლის ფაფანაკი, მამაკაცის ვერცხლის ლეკვერთხი, ქსოვილთა ნიმუშები და სხვ. აღნიშნულ

¹ ი. სონდუღაშვილი, ილარი, სსმ, ტ. VII, 1930, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების კოლექცია № 3—30.

² აბაშური კოლექცია, საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილება № 25.

სამარხში აღმოჩენილი ილარიანი იღვა ვერცხლის მდიდარი მოჭედილობის საპირისწამლესთან ერთად. ილარიანის შემადგენელი ელემენტები ვერცხლისგანაა დამზადებული. თითოეულ მათგანს აქვს გრძელი ვერცხლისავე ძეწკვი, რომელიც ერთი ბოლოთი რგოლზეა მიმაგრებული. უკანასკნელის მემწეობით ილარიანი საპირისწამლეს (ფალიის) ძეწკვთანაა მიმაგრებული. დადგმულიანის სამარხში³ აღმოჩენილ ილარიანს აკლია ერთი კომპონენტი (სახელდობრ, აცისკანა), რომლის არსებობის კვალი ნათლად ატყვია რგოლს.

იმავე სვანეთში აღმოჩენილია ოქროს ილარი ცხოველის თავის გამოსახულებით. ილარიანის ეს კომპონენტი ამ შემთხვევაში ცალკე სახითაა წარმოდგენილი. სავარაუდებელია, რომ მისი სხვა შემადგენელი ელემენტები დაკარგულია. აღნიშნული ოქროს ილარი 1924 წ. შემთხვევით იქნა შეძენილი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. იგი ჭუბერშია ნაპოვნი, მაგრამ მისი პოვნის ზუსტი ადგილმდებარეობა ცნობილი არ არის⁴. არაა დადგენილი აგრეთვე, თუ რომელ საუკუნეს ეკუთვნის ეს კოსმეტიკური მოწყობილობა.

ჩვენს მიერ აღნიშნულ ქართულ-სვანურ ილარიანებს პარალელები მოეპოვება შორეულ წარსულში. ანალოგიური ბრინჯაოს კომპლექსი აღმოჩენილია დე-მორგანის მიერ შაითან-დალსა და მუსიერის სამარხებში. დე-მორგანისათვის გაურკვეველი დარჩა მის მიერ აღმოჩენილი ილარიანების დანიშნულება, რაც შემდგომი დადგენილ იქნა ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებული ანალოგიური მოწყობილობების შემწეობით.

მუსიერის ილარიანები ისეთივე კომპლექსური სახითაა წარმოდგენილი, როგორც ქართული და სვანური განათხარი ილარიანები. სამივე ელემენტის ფორმა ზუსტად შეესატყვისება ქართულ ეთნოგრაფიულ და სვანურ არქეოლოგიურ ილარიანთა⁵ ელემენტების ფორმებს. დე-მორგანის მიერ ბორჩალოს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთები ძვ. წ. XII—X სს. მიეკუთვნება.

ილარიანი ნაპოვნი იქნა ძველ აღმოსავლეთში, კერძოდ, უძველესი პერიოდის ურის სამარხებში და წარმოადგენს კომპლექსურ ოქროს მოწყობილობას, რომელიც გაყრილია ოქროსავე რგოლში და შესდგება აცისკანის, ილარის და კბილის საჩიჩქნისაგან. მთელი ეს აცმა იღო რქის ბუდეში და შემკული იყო ოქროს ხრახნებით. თავისი შემადგენელი ნაწილებით იგი სავსებით ემსგავსებოდა ქართულ ილარიანს. ამ აცმას, რომელიც სხვა საგნებთან ერთად იქნა აღმოჩენილი ურის პირველი დინასტიის ებოქის სუმერიელთა საფლავში, ძვ. წ. III ათასწლეულს განაკუთვნებენ.

ქართული ილარიანების პარალელები ამით არ ამოიწურება. უკანასკნელ ხანებში იგი აღმოჩენილ იქნა ძველი ინდოეთის ე. წ. მოხენჯოდარის კულტურაში. აქაც ეს სპეციალური დანიშნულების კოსმეტიკური მოწყობილობა კომპლექსური სახითაა წარმოდგენილი. მის შემადგენლობაშია: ილარი, კბილის საჩიჩქნი, აცისკანა. მრავალ მონაცემზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ, რომ მოხენჯოდაროს კულტურა, რომელიც ინდოევროპულზე უფრო ძველია,

3 ეს სამარხი ზემო სვანეთის ს. კართავანშია აღმოჩენილი. მასში ნაპოვნი ნივთები, რომლებიც XVI—XVII სს. განეკუთვნება, ინახება ეთნოგრაფიის განყოფილებაში, კოლექცია № 9—11.

4 ი. სონდულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153, ნახ. „ილარიანი“, გვ. 154.

5 ი. სონდულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

6. De-Morgan, Mission scientifique au Caucase, k. I.

მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ ურისა და ტელ-ხალაერის კულტურებთან და შესაძლებელია მათი სინქრონულიც კი იყოს⁷.

ქართული ილარიანების ზემომოყვანილი პარალელები ამტკიცებენ, თუ რაოდენ შორეულ წარსულში აქვს გამჯდარი ფესვები ქართული ოქრომჭედლობის ტრადიციებს, რაოდენ მჭიდროდ უკავშირდება ეს ტრადიციები ძველ აღმოსავლეთს და როგორ შეძლო შემოენახა ნაკეთობათა ის ფორმები და ფუნქციები, რომლებიც თავიანთ საწყისს უძველესი ეპოქიდან იღებენ. შეიძლებოდა რიგი მაგალითის მოყვანა, მაგრამ შემოვიფარგლებით მხოლოდ ერთი მაგალითის დასახელებით, სახელდობრ — ვერცხლის ქამრების აღნიშვნით.

ამ სამკაულის თავისებურება ხასიათდება სამი პარალელით: იგი მეტად განიერია, აქვს მეტისმეტად დიდი ბალოები, თვით სარტყელი კი მდიდრულად დააგაწყობილი.

ამგვარი სარტყლები ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ინგილოებში, ხუნძახებსა და დალისტინის ზოგიერთ ხალხებშია დამოწმებული. ჩვეულებრივ, მორთულობის ეს ტიპი შედგება: ა) ვერცხლითა და ხშირად ძვირფასი ქვებით შემკულ მეტად დიდი და განიერი წყვილადი შესაკრავისაგან. ბ) განიერი სარტყლისაგან (საშუალო 2 სმ), რომელზედაც ვერცხლის რგოლები და ფულებია ჩამოცმული. გვხვდება ისეთი ეგზემპლარებიც, რომელთა შესაკრავებზეც ჩამოკიდებულია სამკაულები ძეწკვებისა და ფულის სახით. ამ სახის ქამრების აბოტროპიული დანიშნულება საკმარისად ნათელია. გარკვეული ფორმაციის თავსაბურავისა⁸ და გარკვეული ტიპის ფესხაცმლის⁹ მსგავსად ქამრის ეს სახეობა საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფაში აღნიშნული ფუნქციის მატარებელია, თანამედროვეობაში ასეთი ქამრები ქალის მორთულობის ნაწილს შეადგენს, ძველად კი მას მამაკაცებიც ატარებდნენ.

განათხარ მასალებში მოგვეპოვება ამ სახის ქამრების მრავალი პარალელი, კერძოდ ამიერკავკასიის არქეოლოგიურ სინამდვილეში მის პარალელს წარმოადგენს დე-მორგანის, ბელსკის, რესლერისა და ივანოვის მიერ ყოფილი განჯის გუბერნიისა და ბორჩალოს მაზრაში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყლები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში კალაკენდის სახელწოდებითაა ცნობილი.

ამ ნივთების აღმოჩენამ სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიის ადრინდელი კულტურის ისტორიის დიდად მნიშვნელოვანი პრობლემა წამოაყენა და ცხარე კამათი გამოიწვია. სამწუხაროდ, საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში ასეთი სარტყლის მხოლოდ ფრაგმენტები მოიპოვება. სარტყლების უმრავლესობა აღმოჩენის დროსვე გაზიდული იყო საზღვარგარეთ და ამჟამად პარიზისა და ბერლინის მუზეუმებშია მოთავსებული (სენ-ჟერმენა, ფრიდრიხ ვილჰელმის მუზეუმი და სხვა).

7. Ern. Machey, Excavations at Chanh-daro by American School of Indian and Iranian studies and the Museum of Fine Arts. Boston, 1935—36; Smithsonian Report for Washington 1938, pp. 463—478.

8 რ. ხ ა რ ა ძ ი ს გამოკვლევით.

9 გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული პარალელები, ქართული ჰენტიანი ფესხაცმელი, სსრკ აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 5, 1940.

კალაქენდის სარტყელი წარმოადგენს თხელ, გარანდულ ბრინჯაოს ბრტყელ ფირფიტას (ქარშიკს), სიგრძით საშუალოდ 800 მმ და სიგანით 136 მმ, რომლის ბოლოები ჩვეულებრივად მომრგვალებულია. თითოეულ ბოლოზე სამი ნაჩვრეტია საკინძის გასაყრელად. ზოგ ქარშიკს ადგილ-ადგილ კიდევ სხვა ნაჩვრეტებიც აქვს, უთუოდ ტყავის სარჩულის დასამაგრებლად.

ქარშიკის პირი შემკულია ფაქიზი ხელოვნებით ამოკვეთილი ორნამენტებით. ორნამენტის კომპოზიცია შემდეგი შემადგენლობისაა: სარტყლის არშია შემკულია გრავირებული ორნამენტით, რომლის კომპოზიცია გეომეტრიულ ფიგურათა, ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა და სხვა გამოსახულებათაგან შედგება (ტაბ. 51).

ამ ტიპის ქამართა აღწერასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება იმ ბრინჯაოს განიერი ბალთების მოხსენება, რომლებიც დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ჩვენს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს. გამოირჩეული არაა შესაძლებლობა, რომ ეს ბალთები ბრინჯაოს სარტყლების ან იმავე საგნის ტყავის ქამრებზე მაინც იყო გაკეთებული. ამ ვარაუდის სისწორე რამდენადმე დასტურდება სარტყლებსა და ბალთებზე არსებულ ორნამენტთა ელემენტების მსგავსებით.

გათხრების დროს აღმოჩენილ და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულ ქამართა (ბალთითა და სარტყლით) ზემომოყვანილი აღწერილობიდან ცხადი ხდება, რომ მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ერთმანეთს ემთხვევა — განიერი სარტყელი როგორც ბრინჯაოს, ისე ტყავის ქამრებში, განიერი ბალთები სარტყლისა და ბალთების ერთნაირი შემკულობა, კალაქენდური სარტყლის მორთულობა, რომელიც ირმის გამოსახულებას წარმოადგენს, დადასტურებულია ხალხურ ხელოვნებაში.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ განიერ ქამართა ბარალეულები ძველ აღმოსავლეთში მოიპოვება. იმ შემთხვევაში, როცა ძველი აღმოსავლეთის სიძველეთა ძეგლებზე მამაკაცები ჭვინტიანი ფეხსაცმლით არიან გამოსახულნი. ამ პირთა ქამრები ფართო სამოსისათვის იყო განკუთვნილი¹⁰. აღსანიშნავია, აგრეთვე ის ფაქტი, რომ კალაქენდის ტიპის ქამარზე გამოსახულ მამაკაცებს ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია, რაც ქართულ და კავკასიურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შეიმჩნევა.

ნათქვამს უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ კალაქენდის ტიპის ქამრები დამზადებულია არა მარტო ბრინჯაოსაგან, ვიცნობთ ამ ტიპის ქამრებს მეტად განიერი სარტყლით, რომლებიც აღმოჩენილია ვანის ტბის მახლობლად წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს¹¹. მოყვანილი მაგალითები საკმარისი სიცხოვლით ადასტურებს, თუ რაოდენ ძველი ტრადიციების შემცველია ქართული ოქრომჭედლობა. ამას გარდა ჩვენ გვინტერესებს საკითხი იმის შესახებაც, თუ ქართველ ტომთა მიერ შექმნილი ლითონის წარმოება რამდენად თვითმყოფი კულტურის ღირებულების მატარებელია.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო კამათის თავდაპირველი საგანი იყო კალაქენდის სარტყლის ორნამენტი: საკითხი დაისვა, არის თუ არა სარტყლის ორნამენტი წმინდა დეკორატიული ხასიათის, თუ ორნამენტის კომპოზიცია გარკვეულ იდეას ანსახიერებს და მამასადამე შემოქმედის მსოფლმხედველო-

10 გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი.

21 გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი.

ბას ამყლავნებს. რ. ვირხოვმა საკითხი სხვა სფეროში გადაიტანა და ამით კასიის ადრინდელი კულტურის ისტორიის ძირითადი პრობლემა მკვეთრად დასვა. იგი ამბობდა: კალაქენდის სარტყელზე არც ერთი ისეთი გარკვეული ან შინაური ცხოველი არ არის გამოხატული, რომელიც კავკასიაში არ მოიპოვებოდესო. ამის მიხედვით ვირხოვი ასკვნიდა: რამდენადაც ბრინჯაოს არქეოლოგიური საგნების ორნამენტები თავისი სიუყუეტით ადგილობრივი წარმოშობისაა, ადგილობრივი უნდა იყოს ბრინჯაოს ხელოვნებაც.

სხვების აზრით, არც კალაქენდის სარტყლის და არც კავკასიის ბრინჯაოს ტექნიკა საზოგადოდ, წარმოშობით ადგილობრივი არ უნდა ყოფილიყო. მაინც შეხედულებით კავკასიელებს ბრინჯაოს ხელოვნება ასურეთ-ბაბილონიდან უნდა ჰქონოდათ შეთვისებული, რადგან ბრინჯაოს მისაღებად საჭირო კალის მადანი კავკასიაში არ მოიპოვება. ისიც ითქვა, რომ კალაქენდის სარტყლის ტიპის კულტურა კავკასიაში გამვლელ ხალხს, კიმერიელებს, უნდა ეკუთვნოდესო.

ამგვარად, კავკასიის უძველესი კულტურის ისტორიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, მადნეული ხელოვნების ადგილობრივი წარმოშობის საკითხი იმ ზომამდე გათუღდა, რომ სადაო და საცილობელი შეიქნა. მრავალი შემავალი გარემოების გამო საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა. მისი საბოლოო გადაჭრა არც დღეს შეიძლება, ვინაიდან საკითხის დასამუშავებლად ახალი არქეოლოგიური მასალა საჭირო და ახალი კვლევა-ძიება ჯერჯერობით პრობლემასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი აღინიშნოს:

კარგად ცნობილი ფაქტია, რომ უძველესი დროიდან ქართველი ტომები განთქმული იყვნენ მადნეულის დამუშავებით. ასურული, ებრაული და ბერძნული წყაროები აღნიშნავენ, რომ თობალ-მოსოხებს და ხალიბებს სპილენძის და რკინის წარმოებით სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. ერთი ბერძენი მწერლის ცნობით, მოსინიკების მიერ დამზადებული ლითონის ჭურჭელი თურმე იმიტომ იყო საუკეთესო ღირსების, რომ მოსინიკები მადანს რაღაც მიწას ურევენო.

თანამედროვე მეცნიერები აღიარებენ, რომ ქართველ ტომებს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით კაცობრიობის წინაშე მადნეულის აღმოჩენისა და დამუშავების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში და მის კილო-კავებში კალას ვარდა არც ერთი მადნის სახელი არ მოიპოვება, რომელიც უცხო ენიდან იყოს ნასესხები. ოქრო, ორქო, ვქრე; ვერცხლი, ვარჩხილი, ვარჩხილ; სპილენძი, ლინჯი, სპილენძი; რკინა, კინა, ერკინა; ტყვია, ბრპენი, პრპენი-ნაკინა — ნამდვილი ქართული და მისი კილო-კავების სიტყვებია. მადნების აღმნიშნველი ამ სიტყვებიდან ზოგიერთი შეთვისებული აქვთ ჩვენს მეზობლებს: სომხებს, დიდოელებს და სხვა.

ეს კიდევ ცოტაა. შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებსაც ქართულიდან უმუშაოდ ან სხვების მეშვეობით აქვთ ნასესხები. მაგ. თითბრის სახელწოდებას—მესსინგ (გერმანულად), მესტლინგ (ანგლო-საქსურად), მესსინგ (ძველ ნორმანდიულად), მოსინძ (პოლონურად)—ძველი ქართველი ტომის მოსინიკების სახელწოდებიდან მომდინარედ თვლიან, რომელნიც განთქმულნი იყვნენ თითბრის დამუშავებით. ან კიდევ, ფოლადის ბერძნული სახელწოდება ხალიფს, ხალიბლიკოს — ხალიბების სახე-

ლიდან წარმომდგარს. სპილენძიც — ბრინჯაოს სახით ქართველებისგან სპარსელებს შეუთვისებიათ, ხოლო ამ უკანასკნელიდან ევროპელებს ფორმით ბრონზ — ბრინჯაოს აღსანიშნავად¹².

ქართველი ტომების ღვაწლი მადნეულის დამუშავების საქმეში უთუოდ დაკავშირებული უნდა იქნეს კავკასიის უძველესი კულტურის ისტორიის ძირითად პრობლემებთან, რამდენადაც ქართველი ტომები ამ კულტურის დირეხული ელემენტებია. კერძოდ, იმ პრობლემასთან, რომელიც კალაქენდის სარტყლის აღმოჩენამ წამოაყენა მადნეული ხელოვნების ადგილობრივი წარმოშობის შესახებ.

მეცნიერების წინაშე ისმება კითხვა: ვინ უნდა ყოფილიყო ის ხალხი, რომელმაც ასეთი მძლავრი კალაქენდის სამადნო ხელოვნების კულტურა შექმნა. მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი იქნებოდა ამ კულტურის შემქმნელთა მთას იქით მოზინადრე ან კავკასიაში გამვლელ ტომებში გვეძებნა. საკითხის სწორად დასმა მოითხოვს ამ კულტურის შემოქმედი პირველყოფლისა კავკასიის აბორიგენ ხალხებში მოვიკითხოთ ამას კი, შემდგომი თანმიმდევრული, გულმოდგინე კვლევა-ძიება სჭირდება¹³.

1940 წ.

12 სამეცნიერო ლიტერატურაში ბრონზის წარმომავლობის სხვა გვარის განმარტებად არსებობს: თითქოს იგი წარმომდგარია ბრუნდლუზიუმის, (ქალაქის იტალიაში). სახელწოდებიდან.

13 უპირველესად გასარკვევია ქრონოლოგიური ხასიათის დაბრკოლებები. საქმე იმაშია, რომ კალაქენდის არქეოლოგიურ კულტურას დემორგანი აკუთვნებს 2000 წ. ქ. წ., ტალგრენი 1300—900 წწ. ქ. წ., ხოლო ვირხოვი 1100—1000 წწ. ქ. წ. ეს ის თარიღებია, რომ ქართველ ტომებს ამ დროს ამიერკავკასიაში მოზინადრედ ვერ ეიგულისხმებოთ თანამედროვე ისტორიოგრაფიის მონაცემებით, თუ, რასაკვირველია, ეს მტკიცება მცდარი არ არის.



ოქრომჭედლობა საქართველოში

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ოქრომჭედლობა რთული მოვლენაა, რომელიც მრავალ საყურადღებო საკითხს შეიცავს. ამ საკითხების კომპლექსიდან ნაზრომი მხოლოდ ნაწილს იხილავს.

ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი ოქრომჭედლობა ზუსტად არ გამოხატავს იმ საქმიანობას, რომელსაც ეს კომპოზიტი აზრის მიხედვით უნდა აღნიშნავდეს. ეს სახელწოდება გაფართოებული მნიშვნელობით ისმარება და როგორც ძვირფასი ლითონის სამკაულებისა და საგნების, ისევე ყოველგვარი ლითონის სამკაულების დამზადებას გულისხმობს. ხალხში ტერმინი ოქრომჭედლობა ამ უკანასკნელი გაფართოებული მნიშვნელობითაა ცნობილი¹.

ძველი და საშუალო ხანის ქართულ ენაში იგივე ტერმინი დაახლოებით იმავე მნიშვნელობითაა მოცემული. დაბადების ოშკურ ხელნაწერში (იერემია 10,5) იკითხება: „ვერცხლი გამოტურანტოსებული... ოქრო მუფათი ხელთა ოქროს მჭედლისათა ქმნული ხელოვანთა...“ ამავე სახელწოდებას ხმარობს წყაროსათვის სახარების მოჭედილობის წარწერის ავტორი, „ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექაე ოპიზარი“. იმავე ხელნაწერის ერთ-ერთ მონაწერში ოქროს მქანდაკე ბელიც გვხვდება². ხოლო სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ოქროთხულებასაც ვამოწმებთ³.

ტერმინი ოქრომჭედელი დასახელებულია საბას ლექსიკონში, სადაც ავტორი ამ სახელწოდებას ცალკე დასახელების გარდა მოიხსენიებს სიტყვის ბავრუკის განმარტების დროსაც: „ბავრუკი მარის ჰგავს, ოქრომჭედელთა იხმარებენ ოქროს დასადნობად (2,22), ელვარე წყალი არის, რომელიც ხაშურის მსგავსად გამოჰყრის...“⁴.

¹ თუმცა შეად. სვანურში დამოწმებული (ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ სოფ. ივანაში 1931 წ.) ტერმინი ვარჩხლი მუშკიდ — ვერცხლის მჭედელი. ტერმინის ეტიმოლოგიისათვის იხილეთ ნ. მარის яфетические элементы в языках Армении, г. Изв. РАН, 1911, გვ. 145

² შ. ამირანაშვილი, ბექაე ოპიზარი, ტფ., 1937, გვ. 6—7.

³ ბასილი ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონისა, კ. კეკელიძის გამოცემა, აღრიწვლილი ფეოდალისტი, ტფ., 1935.

⁴ ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928.

აღსანიშნავია, რომ ძველ აღმოსავლურ ენებში ოქრომჭედლის აღმნიშვნე-
ლი სახელწოდება ამავე სახითაა შედგენილი და ამგვარსავე კომპოზიტს წაჭ-
მოადგენს. მაგ. ასურულად ოქრომჭედელი აღინიშნება ტერმინით „nappax
xurási“⁵ რომელშიც xurási⁶ ოქროს ნიშნავს, ხოლო nappax მჭედელს; ასევეა
სპარსულშიც კᶄᶆ, სადაც კკ ოქროს, ნიშნავს, ხოლო კ მეფეთებელს.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ოქრომჭედ-
ლობა ქართველებისა და კავკასიელების ძველი მელითონების ერთ-ერთ სა-
ყურადღებო განტოტებას წარმოადგენს, ცნობილია, რომ ოქრომჭედლობა თა-
ვის საწყისს პერიოდში ბრინჯაოს მჭედლობასთან იყო დაკავშირებული და
ბრინჯაოს საგნის დამზადების ტექნიკურ ხერხებს იყენებდა. ქართული ოქრო-
მჭედლობაც ამ ვზით განვითარებული მოხელეობაა.

ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემული ოქრომჭედლობა კულტუ-
რულ-ისტორიულად მნიშვნელოვან ტექნიკურ პროცესებს, დამზადებული სა-
გნის (ხელადის—Arbefukt) საყურადღებო ფორმებსა და საგულისხმო შინა-
არსის ორნამენტებს შეიცავს. მასთან დაკავშირებით საყურადღებოა პროფე-
სიული გაერთიანება. ეს მოხელეობა თავისი შემადგენელი კომპონენტების
მიხედვით შორეული წარსულიდან მომდინარე ჩანს და დროთა მსვლელობაში
ახალ შენამატებთან ერთად უძველეს ტრადიციებსაც იცავს.

უკანასკნელი აზრის საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელებულ იქნას
ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღემდე შემოწმებული ერთი-ორი მაგა-
ლითი.

⁵ B. Meisner. Babylonien und Assyrien, Heidelberg. 1920, s. 268—69.

⁶ P. Thosen-ის Em. Boisag-ის და მარის მიხედვით, ასურული xurās უნდა მიმდინარეობ-
დეს აქადური hurāsu—დან რომელიც აგრეთვე ოქროს აღნიშნავს, ხოლო აქადურ-ასურული
ტერმინის პარალელები უნდა იყოს; მიტანური qīaru-ga (ოქრო), ებრაული qar-u-y (ოქრო),
სირიული qazu-u-e (ყვითელი) ბერძნული χρῆσῆ (ოქრო) და, ნ. მარის აზრით, ქართული ქ ე -
რ ა ფერისმიხედვით.

უკანასკნელი შედარებისათვის შეიძლება მასალად გამოყენებული იქნას ხეცსური ქადა-
გის საიდუმლო ენის ერთი ტერმინი, სახელდობრ: ქ ე რ -ო ქ რ ო. ამ ენაზე ეს სახელწოდება
ნიშნავს ყოველგვარ ყ ა ნ ა ს. ამ სიტყვაში ოქრო თავისი ფერის გამო შეიძლება იყოს ცნე-
ბა ყანასთან დაკავშირებული. ისევე როგორც ამავე სიტყვის პირველი ნაწილიც ქ ე რ ა (შდრ.
ოქროს ბერძნულ შესატყვისთან ἄχρ ო ყვითელი).

იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ხეცსური ქადაგის საიდუმლოებაზე, დაეისახელებ
ამ ენის ზოგიერთ სიტყვას: მ ა ტ ყ უ ა რ ი (ცხვარი), ბ ი ე ი ო ნ ი (ღიაცი), ო ქ რ ო ს ბ უ რ -
თ ი (ვაჟაკი), ყ უ დ რ ო (სახლი), ს ე ფ ე (პური) და სხვა.

შემოთქმულს დავსვენთ, რომ ოქროს დაკავშირება ფერთან შეიძლება გამართლებული
იქნას ძველი აღმოსავლური რელიგიური შეხედულებითაც, რომლის მიხედვით:

„მზე ოქროა, ღვთაება ენლილი,
მთვარე ვერცხლი, ღვთაება ანუ.
ციცკრის ვარსკვლავი — სპილენძი, ღვთაება ვა“

(A. J e r e m i a s, Kaudbuchd altoreubulisenen geisteskultur, Brl. 1929, გვ. 180—81)
უნდა აღინიშნოს აგრეთვე ხეცსურული ფერების აპოთროპეული მნიშვნელობა ორნამენტ-
სა და მიცვალებულის კულტში (იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ვ. ჩ ი ტ ა ი ა, ხეცსურული ორ-
ნამენტი, ტ. I, 1940).

ნ. მარის აზრით, ლითონის სახელების ახსნა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ლითონას
საზოგადოებრივ ფუნქციაში ვეძებოთ. ქ ე რ ა -სთან დაკავშირებით გასაბუჯლისწინებელია სი-
ტყვები: ქ ა რ ც ი (საბა) და თ ა ფ ლ ა (ხალხური).

ერთ-ერთ ასეთ მაგალითს ეგრეთწოდებული ილარი, ტანტრიაბეჩი, აცისკანა წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ეს კოსმეტიკური დანიშნულების იარაღი სამი საგნის კუნწულას სახითაა მოცემული. ჩვეულებრივად ეს სამი საგანი ან რგოლშია გაყრილი, ან სამივე ერთ ძეწკვზე ან ზონარზეა დამაგრებული. ამ სამი იარაღიდან ერთია აცისკანა (პატარა მამა), მეორე ყურის საჩიჩქნი — ილარი და მესამე ტანტრიაბეჩი — ფრჩხილის საწმენდი. ეს იარაღი ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უპირატესად ასეთი კომპლექსური სახითაა დამოწმებული. გამოწკლის შემთხვევაში ცალკე ვხვდებით ილარიანის ერთს რომელიმე ელემენტსაც. მაგალითად, ყურის საჩიჩქნს, რომელსაც საყურად ილარი ეწოდება.

ეს კომპლექსური კოსმეტიკური იარაღი ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემულია ხის, ძვლისა და ლითონისაგან დამზადებული. უკანასკნელი ოქრომჭედლის მიერ მზადდებოდა. მასალის სხვაობის მიუხედავად ყველა შემთხვევაში ეს კომპლექსი არსებითად ერთი და იმავე სახისაა. მისი შემადგენელი თითოეული ელემენტი მეტნაკლებად ერთი და იმავე ფორმითაა მოცემული და ერთი და იმავე ფუნქციის მატარებელია⁷. ჩვენთვის ცნობილია, სხვა საკითხებში დამოწმებული ილარიანი, მხოლოდ ცალკეული ელემენტის სახითაა მოცემული⁸.

მაგრამ ეს საყურადღებო და დამახასიათებელი კომპლექსური იარაღი დამოწმებულია არა მარტო თანამედროვე, ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, არამედ მას სრული პარალელი მოეპოვება სვანურ განათხარ მასალებშიც. აქ ეს კომპლექსი აღმოჩენილია დადგენილიანისეულ საგვაროვანო აკლდამაში, სადც ილართან ერთად ნაპოვნია აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ნივთებიც, სახელდობრ: ვერცხლის ფაფანაკი, ვერცხლის ლეკვერთხები, ქსოვილის ნიმუშები და სხვ. ამ სამარხში აღმოჩენილი ილარიანი ძვირფასად ვერცხლით შეჭედილ საპირისწამლეს ახლავს. ილარიანის შემდგენელი ელემენტები ვერცხლისაა, თითოეულ მათგანს აქვს ვერცხლისავე გრძელი ძეწკვები, რომლებიც მიმაგრებულია გასაყარზე. უკანასკნელის მეშვეობით ილარიანი მიბმულია საპირისწამლეს ძეწკვზე. დადგენილიანისეულ აკლდამაში მოპოვებული ილარიანის ერთი ელემენტი დაკარგულია, სახელდობრ აცისკანა. ამ უკანასკნელის ადგილი გასაყარზე ცხადად ჩანს. დადგენილიანისეული აკლდამა აღმოჩენილი იყო სოფ. ქართვანში (ზემო სვანეთი, ბეჩოს საზოგადოება), მისი ინვენტარი დაახლოებით XVII—XVIII სს. უნდა ეკუთვნოდეს⁹.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სვანეთში აგრეთვე ნაპოვნია ცხოველის თავის გამოსახულებით შემკული ოქროს ყურის საჩიჩქნი. ილარიანის ეს ელემენტი ამ შემთხვევაში ცალადაა მოცემული. საფიქრებელია, რომ ილარიანის სხვა ელემენტები დაკარგულია. ზემოთ მოხსენებული ოქროს საგანი 1924 წ. წიგნითვე შეუძენია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. იგი უპოვიათ ჭუბერში (სვანეთში), უფრო ზუსტად პოვნის ადგილი დასახელებული არ არის¹⁰. ამ იანის არც თარიღია გარკვეული.

7 ი. სონდულაშვილი, ილარები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII; საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექცია, № 3—30.

8 საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების აბაშური კოლექცია № 25.

9 ქართვანის აკლდამის ინვენტარი ინახება საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. ეს კოლექცია ამჟამად ექსპონირებულია სვანეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაზე, დარბაზი I, ვიტრ. 2.

10 ი. სონდულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153. ილარის სურათი მოცემულია 154 გვ.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ქართულ-სვანურ ილარიანებს პარალელები მოეპოვება შორეულ წარსულშიც. ილარიანის კომპლექსი აღმოჩენილია მორგანის მიერ წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების დროს შეითანდაღისა და მუსიერის სამარხებში. აქ მოცემული ილარიანები ბრინჯაოსგანაა დამზადებული. ამ საგნის დანიშნულება საუცხოოდ გაარკვია ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულმა ილარებმა¹¹. მუსიერის ილარიანი ისევე კომპლექსურადაა მოცემული, როგორც ეთნოგრაფიული და სვანური განათხარი ილარიანები. მუსიერის ილარიანის სამივე ელემენტის ფორმა ზუსტად შეესატყვისება ქართულ-ეთნოგრაფიული და სვანურ-არქეოლოგიური ილარიანების ელემენტების ფორმებს. მორგანის მიერ ბორჩალოში (იგულისხმება შეითან-დაღი და მუსიერი) არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ინვენტარი თარიღდება XII—X სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე¹².

ილარიანი მოიპოვება აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის განათხარ მასალებში. იგი აღმოჩენილია ურის უძველესი ხანის სამარხში. აქ ნაპოვნი ილარიანი წარმოადგენს ოქროს რგოლზე ასხმულ ოქროსავე კომპლექსურ იარაღს, რომელიც შედგება აცისკანისა, ტანტრიაბეჩის და ილარისაგან. ეს ასხმულა მოთავსებული ყოფილა რქის ბუდეში, რომელიც ოქროს სალტეებითა და ხრახნილებითაა შემკული. ეს ილარიანი თავისი შემადგენლობის მიხედვით სავსებით ემსგავსება საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულ ილარიანს. ურის პირველი დინასტიის ხანის სუმერელების საფლავებში სხვა ნივთებთან აღმოჩენილ ამ ილარიანს ათარიღებენ 3000 წ. ადრინდელად ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

მაგრამ ზემოთქმულითაც არ ამოიწურება ქართული ილარიანის პარალელები. ილარიანის კომპლექსი ნაპოვნი აგრეთვე უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი ძველი ინდოეთის ეგრეთწოდებული მაჰანჯო-დაროს კულტურაში. აქაც ეს მეტად დამახასიათებელი სატუალეტო ხელსაწყო წარმოდგენილია კომპლექსურად, ე. ი. მასში მოცემულია: აცისკანა, ტრანტრიაბეჩი. მაჰანჯო-დაროს კულტურა, რომელიც ინდოევროპელი ინდუსების კულტურაზე ადრინდელია, მრავალი მონაცემების მიხედვით მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს ძველი აღმოსავლეთის კულტურასთან, კერძოდ ურისა და ტელ-ჰალაფის კულტურებთან და მათთან სინქრონულიც ჩანს¹³.

ზემომოყვანილი ქართული ილარიანის პარალელები გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად შორს მიდის ქართული ოქრომჭედლობის ტრადიციები, რამდენად არის იგი დაკავშირებული ძველ აღმოსავლეთთან და რამდენად მტკიცედ იცავს უძველეს ხანიდან მომდინარე საგნის ფორმებსა და ფუნქციებს. ამის მაჩვენებელი სხვა მაგალითებიც ბევრია. დავასახელებთ კიდევ ერთს. სახელდობრ ბ ა ლ თ ი ა ნ - ქ ა რ შ ი კ ი ა ნ ვ ე რ ც ხ ლ ის ს ა რ - ტ ყ ე ლ ს.

11 ი. ს. ო. ნ. დ. უ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
 12 შდრ. ლ. მ. უ. ხ. ხ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ს. მტკიცება ამ სამარხების თარიღის გადატანის შესახებ XV საუკ. ჩვ. წ. — საკამათო დებულება ჩანს.
 13. E. R. n. Machay. Excavations at Chanchudaro by the American School of Indic and Iranien Studies and the Museum of Arts, Bocton-Season 1935—36; Smithsonian Report for Washington, 1938 გვ. 469—478. შდრ. გ. ჩ. ი. ტ. ა. ი. ა., სოცოცხლის ხეს მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოაპზე, 1925.

ამ სარტყლის დამახასიათებელი თავისებურება სამი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი: იგი მეტად განიერია, მეტად დიდი ბალთები აქვს და მისი ბალთები და ქარშიკი მდიდრულადაა შემკული.

საყურადღებოა, რომ სარტყელი და ილარი სათანადო როლს ასრულებდა ქარგლის ოსტატად ხელდასხმის დროს. საოსტატო პირს ერტყა აბრეშუმის სარტყელი, რომელშიც ოქრომჭედლის იარაღი, სიქაში, იყო გარჭობილი. დალოცვის შემდეგ ამ სარტყელს და ილარს უსტაბაშს მიაართმევდნენ¹⁴.

ხევისურეთში სარტყლის აპოთროპეული დანიშნულება მისი ფერების მიხედვით შედგენდება. ფერებში ასახული აპოთროპეული სარტყელის საყურადღებო პარალელს აჭარული და გურული თოლაბულუხის სარტყელი წარმოადგენს¹⁵.

ამგვარი სარტყელი ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია ძველ თბილისში და აგრეთვე ინგილოებში, ზუნძებსა და ზოგიერთ სხვა დიდსტენელ ტომებში. სარტყელის ეს ტიპი ჩვეულებრივად შედგება: მეტად განიერი და მსხვილი დედალ-მამალი ბალთებისაგან, რომელიც გარდა იმისა, რომ შემკულია ვერცხლის სამკაულებით, თვლებითაც არის მოჭკვილი; აგრეთვე განიერი ღვედისაგან, რომლის განი საშუალოდ 11 სანტიმეტრია და რომელზედაც ვერცხლის კოპლები და ვერცხლის ფულებია დასხმული. ამ სარტყელს ზოგიერთ ეგზემპლარს ღვედსა და ბალთებზე აგრეთვე ძეწკვისა და ფულების სამკაულები ჰკიდია. ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ სახის სარტყლის აპოთროპეული დანიშნულება აშკარა და ნათელია. ისევე როგორც გარკვეული სახის თავსაბურავი და გარკვეული სახის ფეხსამოსი¹⁶. ეს სარტყელიც ქართულ და კავკასიურ ეთნოგრაფიულ ყოფაში ამ ფუნქციის მატარებელია. ამჟამად ეს სარტყელი ქალების სახმარი ობიექტია, წინათ ის მამაკაცებსაც უტარებიათ, მაგ. ყარაჩოელების ვერცხლის ქამარი¹⁷.

ზემოთ მოყვნილი ქართული აციკანას, ტანტრიაბეჩისა და ილარის პარალელები გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად შორს მიდის ქართული ოქრომჭედლობის ტრადიციები და რამდენად მტკიცედ იცავს იგი უძველეს ხანიდან მომდინარე საგნის ფორმებსა და ფუნქციებს. ამის მაჩვენებელი სხვა მაგალითებიც ბევრია. დავასახელებთ კიდევ ერთს. სახელდობრ კალაკენდის სარტყელი, რომელიც აღმოჩენისთანავე გაზიდულ და გამოფენილ იყო საზღვარგარეთ პარიზის (სენ-ჟერმენი), ბერლინისა (ფრედრიხ ვილჰელმის) და სხვა მუზეუმებში, ბოლო ხანებში ამ ტიპის სარტყელი მოპოვებულ იქნა მცხეთაში, თრიალეთსა და ზოგიერთ სხვა ადგილებში.

კალაკენდის ტიპის სარტყელი წარმოადგენს თხელ, გარანდულ ბრინჯაოს ფირფიტას (ქარშიკს), სიგრძით საშუალოდ—80 სმ და სიგანით—13,6 სმ, რომლის ბოლოები ჩვეულებრივად მომრგვალებულია და ორივე მხრით სმ-

14. Ю. А х в е р д о в. Тифлисские амкари, Тифлис, 1883, გვ. II შენიშვნა.

• გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოძემა, ტფ., 1926 გვ. 51.

15 საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კოლექცია — № 3—19/5. ფერებს აპოთროპეული დანიშნულების შესახებ შდრ. ხევისურული ორნამენტი. სადაც ფერად სუდარებზეა ლაპარაკი. ეს მოკლეა ძველთაძველი ჩანს. შდრ. ურის სამარხებში დადასტურებული თეთრი, შავი და წითელი ფერი.

16 გ. ჩ ი ტ ა ი ა. ეთნოგრაფიული პარალელები, ქართული კვინტიანი ფეხსამოსი. სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, 5.

17 ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოძემა, ტფ., 1926, გვ. 51.

სამი ნაჩვრეტი აქვს საკინძის გასაყარად ან ბალთების მისამაგრებლად. ზოგ ფირფიტას (ქარშაკის) ადგილ-ადგილ კიდევ სხვა ნაჩვრეტებიც მოეპოვება უთუოდ ტყავის სარჩულის დასამაგრებლად. ქარშაკის პირი შემკობილია ფაქიზი ხელოვნების ორნამენტებით. ორნამენტის კომპოზიცია შემდეგი შემადგენლობისაა: გეომეტრიული სახეები, ცხოველები, ფრინველები, ადამიანები და სხვა.

ამავე ტიპის სარტყელის აღწერილობასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ ის განათხარი განიერი ბრინჯაოს ბალთები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ჩვენს ტერიტორიაზე. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამგვარი ბალთები ახლდა, თუ ბრინჯაოს ქარშაკიან სარტყელს არა, ასეთივე განიერ ტყავის სარტყელს მაინც. ამ შესაძლებლობას რამდენიმედ აღლიერებს ბალთებსა და ქარშაკიან სარტყელებზე მოცემული ორნამენტების ელემენტების საერთო დამსგავსება.

ზემოთ მოტანილ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ბალთიან-ქარშაკიანი სარტყელების აღწერილობიდან ირკვევა, რომ სარტყელების ბევრი მაჩვენებელი ურთიერთს ემთხვევა: განიერი ქარშაკი ტყავისა და ლითონის, განიერი ბალთები, ქარშაკისა და ბალთის შემკულობა ორივე შემთხვევაში. კერძოდ, კალაკენდის სარტყელზე მოცემული ირმის გამოსახულება დამოწმებულია ხალხურ ხელოვნებაში¹⁸.

საყურადღებოა, რომ განიერ სარტყელს პარალელები მოეპოვება ძველ აღმოსავლეთშიც. იქ, სადაც ძველი აღმოსავლეთის ძეგლებზე მამაკაცები ჭვინტიანი ფეხსაცმელებით არიან წარმოდგენილი, მათ განიერი სარტყელი არტყიათ¹⁹. ასეთი ძეგლები, როგორც გარკვეულია, ხურებისათვისაა დამახასიათებელი. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება, კალაკენდის ტიპის სარტყელის ქარშაკებსა და ბალთებზე მოცემული ცხოველები ხურული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით არის გამოსახული. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კალაკენდის ტიპის სარტყელზე გამოსახულ ადამიანს ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია ისევე, როგორც ამას ვხედავთ ხურულ ძეგლებზე და როგორც ეს დადასტურებულია ქართულ და კავკასიურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

„In dieser Zeit allgemeiner Blüte hat sich in den nordlich von Syrien und Mesopotamien Gelegen Teilen der enrasischen Gebirgsketten eine spezifisch kleinasiatisch-armenische Eigenkultur entwickelt, deren Zentrum in Tabal lag, während der östlichste Exponent in armenischen Chalderreich und darüber hinaus in Kilchu zu erblicken ist....“

Gemeinsam ist all diesen Ländern die hohe Stufe des metallurgischen Könnens... Gold, Silber, Bronze, voll, oder hohe Gegossen, frei oder mit Füllung von Pasten Getrieben, mit Kern von Eisen, Ziselirt und graviert, mit Goldblech behämmert, mit Stein und Edelstein desetzt, mit Filigran benietet, mit Schwefelsilber in Tula-art Gefürbt und Wärscheinlich mit Zellenschmelz überzog...

Noch Geschetzer aber als die chaldische scheinen mit die Fabrikade von Tabal Gewesen zu Sein... In Tabal spielte jetzt auch die Eisenindustrie eine bedeutende Rolle“...²⁰

18 ვ. ბარდაველიძე, იერის ფშაველები (დღიური), ენიშკის მოამბე, ტ. XI, გვ. 174.
 19 გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული პარალელები, I, ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმელი, სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, № 5.
 20. A. Moortgat, Bildwerk und Volkstum Vorderasiens zur Hethiterzeit, Leipzig, 1934.

ზემოთ მოტანილი მაგალითები, ჩვენის აზრით, საკმარისი უნდა იყოს იმ დებულების ნათელსაყოფად, თუ რამდენად ძველ ტრადიციებთან გვაქვს საქმე ქართულ ოქრომჭედლობაში. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ეს დებულება, არამედ ისიც, რომ ქართველი ტომების მიერ შექმნილი ოქრომჭედლობის კულტურას თავისთავადი ღირებულებაც ჰქონდა.

კარგად ცნობილი ფაქტია, რომ უძველესი დროიდან ქართველი ტომები განთქმული იყვნენ ლითონის დამუშავებით. ასურული, ებრაული, ბერძნული წყაროებიც აღნიშნავენ, რომ სასპირებს, თობალებს და ხალიბებს სპილენძის, რკინისა და ვერცხლის ნაწარმით სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ IX—VII საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცირე აზიაში ლითონის წარმოებამ მანამდე უცნობ წარმატებებს მიაღწია. მეტალურგიის აყვავება დაკავშირებული იყო მცირე აზიასა და მის ჩრდილოეთით მდინეულის მოპოვების წარმატებებთან. აქ გამოყენებული იყო ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების ნაირ-ნაირი ხერხები: ამ ოკვერვა, ჩამოსხმა, ქედური, ძვირფასი, თვლებით შემკობა, გრეხილი, ცვარა და სხვა.

ამ სპეციფიკური კულტურის ცენტრი ტაბალი იყო, ხოლო მისი აღმოსავლეთის საზღვარი ურარტუ, ხოლო ჩრდილოეთის კოლხა იყო. ტაბალების ნაწარმი ჩრდილოეთით ასურეთ-მიდიის საზღვრებს აღწევდა, სამხრეთით—პალესტინას.

ლითონის წარმოების ასეთი აყვავების ხანა დაკავშირებული იყო ამ ქვეყნებში მდიდარი ლითონის მალაროების არსებობასთან (განსაკუთრებით ვერცხლი, სპილენძი, რკინა)²¹.

ივ. ჯავახიშვილის დებულების მიხედვით, ქართველ ტომებში მდინეულის დამუშავება ხალხის ფართო ფენებში იყო შეჭრილი. ამით აიხსნება, რომ რაქაში, სადაც რკინის ბუდობებია და მათი დამუშავება წარმოებდა, აქ მაცხოვ-

²¹ ცნობილია, რომ ერთ-ერთმა ქართველმა ტომმა, ხალიბებმა, კლასიკური ავტორების მონაცემების მიხედვით (ესქილე, არისტოტელე, ვირგილიუსი) რკინისა და ფოლადის დამუშავების საქმეში დიდ წარმატებას მიაღწია. ამ მონაცემების მიხედვით, ხალიბები რკინის მადანში განსაკუთრებულ მიწას ურევდნენ. რაც რკინას ფოლადის სიმტკიცეს ანიჭებდა. რკინის მადნის დამუშავების ამ წესის პარალელი აღმოჩნდა საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. სახელდობრ რაჭაში, გაირკვა, რომ რაჭველები რკინას შავქვას ურევდნენ, რაც მას ფოლადისებურ სიმტკიცეს აძლევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხალიბების ეთნიკური ჩამომავლობა ნათელია და მათი ადგილსამყოფელი გარკვეული (ქსენოფონტე), მოიპოვებიან ისეთი ავტორებიც, რომლებიც ხალიბების საკითხს უმართებულოდ წყვეტენ. გვერდი ავუქციოთ ძველ ავტორს Weis-ს, ჩვენს ხანაშიც ხალიბებს ინდოევროპულ სკვითებად მიიჩნევენ და მათ ჩრდილო კავკასიის მობინადრებად თვლიან (Neubert, Dorische Wanderungen. 1921, გვ. 121). ერთი შეხედვით, ნობერტი თითქოს ესქილეს ცნობას ემყარება, რომლის მიხედვით ხალიბები სკვითების ქვენიდან მოსული ხალხია. ესქილე წერს: ბედმა უცხო ხალიბებს, რომლებიც სკვითების ქვენიდან არიან მოსული, მჭრელი და უღმობელი რკინა მიანიჭა.

აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ ჰესიოდთან დაწყებული ბერძნული გადმოცემები სკვითებად და სკვითების მიწა-წყლად მარტოდმარტო ჩრდილოეთით, დონის აუზში მდებარე ქვეყანას და მობინადრე მოსახლეობას კი არ გულისხმობდნენ, არამედ ამიერკავკასიისა და ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ქვეყნებს და იქ მცხოვრებ ხალხებს (M. Ростовцев, Скифия, Л., 1925, с 20—21).

ნობერტის მცდარ აზრს ის შეხედულება უდევს საფუძვლად, რომლის მიხედვით ყოველი კულტურული მონაპოვარი მხოლოდ ინდოევროპელებს განეკუთვნება.

რებლებს რკინის კაცებს უწოდებდნენ²². ფშავში ხმლის პირების მკეთებლობა მისრიაშვილების გვარის საქმიანობას წარმოადგენდა, ამ გვარში ერთი კაცი უეჭველად მჭედელი უნდა ყოფილიყო²³.

— ქაჯავთ რად იარები,
გიორგი, მგლისა ფერაო?
— ვალი მიკიდავ ქაჯებსა,
რად მკითხავ, ქრისტის დედაო?
ცომს ზელდა ქაჯის ბებერი —
მივასწერ ცხოზაზედაო,
სინს სქედდა ქაჯის მჭედელი —
მივასწერ წღობაზედაო,
სამჭედლოს გადაუფენევ —
ნისლები დაბადულაო,
მჭედელი, მემჭედურები,
ცისაქე გამართულაო,
გრდემლსა, ხელკვერსა მარწუსსა
გვერდით ცალ-ცალი სკლებაო,
მათრავის წვერი მაუკარ —
ცხენი შავაგდი ზენაო.

ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ოქრომჭედელი დადასტურებულია, შინამრეწველის და ხელოსნის სახით. კიდევ მეტი, სვანეთში ოქრომჭედლობას ქალებიც კი ეწეოდნენ²⁴. სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ეს დიდად მნიშვნელოვანი ფაქტი რომ შემთხვევითი მოვლენა არ არის, ჩანს იქიდანაც, რომ ქალი-მჭედლები სვანური ზღაპრების პერსონაჟებადაც გვევლინებიან. ზღაპარში „მეშვიდ“ ერთი — ქვაბების მჭედლად, ხოლო მეორე — აბჯრის მკეთებლადაა გამოყვანილი.

ამავე დროს ლითონს, განსაკუთრებით რკინას, ხალხურ სარწმუნოებაში დიდი როლი აქონდა განკუთვნილი. ვერცხლის, ოქროსა და რკინის საგნებზე აბოთრობეულ დანიშნულებას ასრულებდნენ, ავი თვალის საწინააღმდეგო საშუალებად იყვნენ გამოყენებული. რკინის საგნებზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ მიცვალებულთან დაკავშირებით. ჩვეულების მიხედვით, ვერცხლის, ოქროს და სხვა ლითონის საგნის ჩატანება სამარეში ნებადართული იყო; ხოლო რკინის არცერთი ნივთის ჩაყოლება არ შეიძლებოდა. ამასთანავე, თუ მიცვალებულის ტანსაცმელზე რკინის ლილი ან სამკაული აღმოჩნდებოდა — მათაც ააჭრიდნენ და ოჯახში დატოვებდნენ. ჭირისუფლები განსაკუთრებით

22 ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, მჭედლობა რაქაში, ხელნაწერი.

23 გაღმოცემის მიხედვით, მისრიანთ (მისრიანთ ეტიმოლოგიისათვის იხ. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლეჟსიკონში: „მისური წნული რამ კალათი“, „მოიღეს მისური და შიგან შთაყარეს ნამუსრევი“, „მისურსა შიგან განჰფინო ჩრდილსა“). გვარის წვერს მჭედლობის შესწავლას ხატი უბრძანებდა მკითხავის პირით (იხ. დ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ფშავეთი და ფშაველები, „ივერია“, 1888 წ., № 211). საყურადღებოა, რომ ხევისრული ლეგენდის მიხედვით ხანმატარს გიორგის ქ უ რ თ ე მ უ ლ ი (გრდემლი), ს ა ლ ე ს - ს ა მ ა რ თ ე ბ ე ლ ი. ლ ი ლ - ქ ა მ ა რ ი და ჩ ხ უ ტ ი ქაჯავთიდან მოუტანია. ქაჯავთიდან მოტანილ ქურთემულსა და ჩხუტს ახლავ უჩვენებდნენ ხანმატარს ხატში. იმავე ლეგენდის მიხედვით (ქაჯავთის დალაშქვრა ხანმატარს გიორგის მიერ) ქაჯავთში მაღალი სამჭედლობო ხელოსნობის არსებობა, დასტურდება, ამასთან დაკავშირებით მოგვყავს ლეგენდის ერთი ნაწილი. ეს ნაწილი უმოთხრესად სამჭედლო ხელობას შეეხება (ლეგენდა ჩაწერილია დოც. ვ. ბარდაველიძის მიერ სოფ. ბისოში თაზია ქვათელაურის თქმით 1929 წლის აგვისტოს 3-ს, ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს).

24 გ. ჩ ი ტ ა ი ა, რაქული სახენელი, ენიშკის მოამბე, ტ. I.

ზრუნავდნენ ამ მიმართულებით. ისინი წინასწარ აფრთხილებდნენ სუდარის ჩამცმელებს, რომ მიცვალებულს „რკინისა არაფერი წაყვეს მიწად“²⁵.

ეს ჩვეულება გათვალისწინებული უნდა იქნას სამარხების დათარიღების დროს. არქეოლოგები, იმის მიხედვით, რომ სამარხებში რკინის ნივთები არ მოიპოვება, ხშირად ასკვნიან რკინის კულტურის შემოღების გვიან თარიღს. სინამდვილეში კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამარხებში რკინის ნივთების არარსებობა ყოველთვის რკინის კულტურის არსებობას არ უნდა გამორიცხავდეს.

რიგ ხალხურ გადმოცემებში ლითონის საგნის დამზადება შეპირობებულია ამა თუ იმ სახის აღკვეთებით. მაგალითად, სვანების გადმოცემის მიხედვით, სოლამს, რომელიც ხელოსნობისა და ხელოვნების მფარველ ღვთაებადაა აღიარებული და რომელიც არაიშვიათად მჭედლადაც გვევლინება, — ჭგერაგი მიმართავს, რომ მან მას ისეთი ისრის წვერი დაუშხადოს, რომელსაც კეთების დროს სილა არ უნდა შეეერიოს.

ხევსურების წარმოდგენით, ოქრომჭედლობის გამჩენი და მცოდნე იყო ღვთაება პირქუში. ხევსურული ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ფშაველებს პირქუშის ხატიდან ვერცხლის თას-განძები მოუპარავთ. ხატის რისხვის გამო ქურდებს ნაქურდალი დაუბრუნებიათ ხატისთვის, მხოლოდ ნაწილი თასებისა და ჭყლეტილი იყო. ლეგენდა განაგრძობს: „ერთი ძეძუტრელი მჭედელი იყო. ყვირილაურთ ბაძია, რომელიც ვერცხლის თასებს აკეთებდა და თასებზე მასთან მიიტანეს გადასადნობად და ხელმეორედ გასაკეთებლად, პირქუშმა თურმე ბაძიას სახუცო თასის დღისით გაკეთების ნება არ მისცა. მოდიოდა ღამით პირქუში ბაძიასთან და თვითონ ასწავლიდა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა თასები“²⁶.

განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა ქართველების ყოფაში ლითონის სამკაულები. ესენი ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი სახით არიან წარმოდგენილი: თავაქალა, საყურე, ყელსადგერი, სამაჯური, ლეკვერთხი, ღილი, ჩაფრასტი, ბეჭედი, ბალთა, აზზინდი, ფიფინი, ჩახმა, ვისტორი, ყინქლილო, ილგაგი, ძეწკგუ, ცერის ბეჭედი, ყაწიმი, სარტყელი ხიდებიანი, ჩუქურთმიანი, შავი ხევადიანი, იმერული, ყარაბადული, გავარსიანი, მინანქრიანი, ქართული ბუშტი, მასრის თავი, აზარფეშას გული, ხმლის ხელკოტა და მრავალი სხვა²⁷.

ზემოდასახელებული სამკაულები მზადდებოდა სხვადასხვა ტექნიკური ხერხების გამოყენებით. აქ ჩვენ შემოვიტანთ სამკაულების დამზადების იმ წესებს, რომლებიც დადასტურებულია ხევსურეთის, ლეჩხუმის, თბილისის და სხვათა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ლითონის შემკობა ორნამენტით შემ-

25 მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, წინასიტყვაობა, გვ. IX.

26 ალ. თხიაური, მასალები ხევსურული მითოლოგიისათვის, ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, რვ. 14, გვ. 16.

27 ლითონის სამკაულების სახელებს შორის ს. ორბელიანს შემდეგი სიტყვებიც აქვს დასახელებული: „ალვირედი“, „ბირკი“, „გოშაპელაკნი“, „ერქეფში“, „ველანშაგი“, „ზაპები“, „ათორი“ (ოქრომჭედელი), „ლავარიში“, „ოლი“, „სკიფი“, მზითვის წიგნებში გვაქვს: სამირფარეშო-ვერცხლის ვოდორი, ოქროს მურასა საჩხირე, ოქროს ჩხირი, ჩოდრათო ვერცხლისა, თმისატანი მურასა, თმისაყოფი, სანოქურე ვერცხლისა (უმარლის საურავი ვერცხლის სინთა, ჭვანის ქვა მოჭედელი) და სხვ.

დები ძირითადი წესების მიხედვით წარმოებს: ამოღარვა, ამოკვერვა, ამოცვარვა, ჩამოსხმა, გრეხილი, სევადა, ზარნიში, ფიგრანი, კატური და მინანქარი. ამ წესებიდან ხევესურეთის ოქრომჭედლობა უპირატეს პირველ სამსა და სევადს სცნობს და იყენებს.

აქ მოცემული ოქრომჭედლობა შინამრეწველური ზასიათისაა და ბევრ სოფელშია გავრცელებული. ეს სოფლებია: ჭიე, ბაცალივო, ლული, უკანხადუ და ბარისახო.

ხევესურელ ოქრომჭედელს შემდეგი იარაღი და მოწყობილება მოეპოვება: ტყავის საბერველი მილითურთ და თიხის ქურნა, ქურთემული, ლითონის სადნობი თიხის კოჭობა, თეგი, მაკრატელი, კვერი, ბორწალი, სათხრელები, გამდნარი ვერცხლის ჩასასხმელი ყალიბი (ხისა, რომელსაც აქვს ქვემო და ზემო ნაწილები, ფეკები, ფეკების ყელი, დასაკეტი და ჩასასხმელი ყელი), წყლის ლამი ერბოში მოხელილი, მშრალი ლამი, ლამზე წასასმელი გლუხე, ყელის გადასაფხეკი დანა, ცვრის ამოსაყვანი აღი (ყალიბი). სათითის დასაპერი მანქანა, მავთულის გასაკეთებელი ჯანდარა, ყუწის დასაკრავი მანქანა, საშიბო მანქანა, ბალთის აღი, ხმლის ვადის აღი, მალტის აღი, ბეჭდის აღი, ხანჯლის საყურის აღი, ცვრის საფე ეს აღი, ყვარის აღი, ვეგზის აღი, საფარავეს აღი, საყურის აღი, ცვრის საფენი აღი, ყვარის აღი, თეგზის აღი, საფარავეს აღი, კბილას აღი, ყაწიმის აღი. ხევესური ოქრომჭედელი ამზადებს შემდეგ საგნებს: სარტყლებს, ბეჭდებს, საყურეებს, ზალტებს, მასრებს, შიბებს, დაშნის შესაკაწმავებს, საფარავეებს, სამხარილღიებს, განძებს (ხატისადმი შესაწირავი თასებია) და სხვ.

ხევესურეთის ოქრომჭედლობაში დამოწმებული ორნამენტის ამოღარვის წესი ასეთია: მას შემდეგ, რაც ზალტის ფირფიტა დამზადებულაა ზალტის აღის შემწეობით ჩამოსხმის წესის მიხედვით, ოქრომჭედელი დასაპერი მანგანით დაიჭერს ფირფიტის ერთ-ერთ ბოლოს და შემდეგ მეორეს და რიგრიგობით გამოჰყავს მასზე სადა ამოღარული სახეები სათხრელებით.

თითბრისა და რკინის ზალტეები შემკულია ამგვარი შესრულების სადა სახეებით: წერტილები, გახატულები, რგოლები. თითბრის ზალტეებს აგრეთვე აქვს გამოკვერილი და შემდეგ სალტეზე დამაგრებული კოპლები.

სხვაგვარად მზადდება ორნამენტი ამოკვერვით. ცივი კვერვისათვის წინასწარ უნდა იყოს მომზადებული ამოსაყვანი ორნამენტის ყალიბი (ხევესურულად აღი). ასეთი აღი ჩვეულებრივად ბრინჯაოსაგან მზადდება. იგი წარმოადგენს ლითონის ნაჭერს, რომლის გულში ესა თუ ის ორნამენტი ამოყვანილი. საჭიროების მიხედვით ასეთ ყალიბს, (მაგალითად, ყვარის აღი), ზემოთ დაედება ლითონის ფირფიტა. ამოკვერვის პროცესის გასაადვილებლად ლითონის ფირფიტას ზემოთ დაუდებენ ტყვიის ნაჭერს. ამ ნაჭრის შემწეობით „ლითონი“ თანდათან შედის ყალიბში და ყალიბში ასახულ ორნამენტის სახეს იღებს. ეს ხდება ტყვიაზე კვერის დარტყმით. ასე ცივი კვერვით დამზადებულ ორნამენტს შემდეგ უკეთდება ენა, რომელიც ორნამენტის ზურგზე კალითაა მიკავშირებული, ასეთი ნაჭერი, ენის შემწეობით გაეყრება საყრელას ან შილას და მოცემული კონკრეტული ნაჭრებისაგან შემზადდება საფარავო, ყელსადები, სამხარილღი ან ქამარი და სხვ.

ასევე ცივი კვრვით მზადდება ცვარაიცი. ცვარაის დასამზადებლად განკუთვნილ ფირფიტას დასდებენ „ცვარაის ამოსაყვან აღზე“. ამოვა ცვარაია ნახევარი. ასევე დამზადდება მისი მეორე ნახევარი. შემდეგ ორივე ნახევრის საპირეებით ურთიერთს დაუკავშირებენ და შეიქმნება ცვარი. ზოგ შემთხვევაში ნახევარ აღსაც იყენებენ ცალკე მეორე ნაწილთან დაუკავშირებლად. ცვარის შედგენის წესს იყენებენ სხვა სახის ორნამენტის დასამზადებლადაც. შედარებით რთულ მუშაობას მოითხოვს ორნამენტის ჩამოსხმით დამზადება.

ლითონის ორნამენტის ჩამოსასხმელად საჭიროა შემდეგი ხელსაწყოები:

1. ქურჩა — თიხისა, მრგვალი ფორმისა, რომელიც რკინის მილით დაკავშირებულია ტყავის საბერველთან.

2. საბერველი — ხბოს ტყავის გირკლებით გამართული; მას აქვს სასულე, სახელო და ცხვირი.

3. კოჭობა ან ფუთა, თიხისა, სამწახნაგოვანი. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ხევისურთში კერამიკული ქურჭლის დამზადება ქურების შემწეობით არ იციათ. აქ მზადდება პრიმიტიული სახის თიხის საგნები რომელთაც ქალები აკეთებენ. ეს საგნებია: კეცი, სახატო ფუთა და კოჭობა. ხევისური ქალები კეცებისა და ფუთა-კოჭობებისათვის განკუთვნილ თიხას ბზეს ურევენ სიმაგრისათვის და გაფორმების შემდეგ მზეზე ახმობენ. ასეთად გამხმარ კეცს ღომელში იყენებენ პურის საცხობად. ღომელის ცეცხლზე კეცი თანდათან გამოიწევა ხოლმე. ასევე მოსდის სახატო ფუთასაც, მასში ნაკვერცხლებს დებენ დასაკმევლად. ნაკვერცხლის სიმხურვალე ფუთას თანდათან აშრობს და გამოსწავს. ვერცხლის სადნობი კოჭობაც ასევე ბუნებრივად გამოიწვის ქურჩას ცეცხლზე. თუმცა საკვირველი კი არის, როგორ უძლებს ამრიგად გამომწვარი ქურჭელი ვერცხლის დნობისათვის საჭირო მაღალ ტემპერატურას. როგორც ცნობილია, ვერცხლის სადნობი კოჭობა ჩვეულებრივად ცეცხლგამძლე თიხსაგან მზადდება.

4. ბორწკალი — ორკეცად მოხრილი რკინა, მამასებრი. იხმარება კოჭობას გადმოსაღებად ცეცხლიდან და გამდნარი ვერცხლის ჩასასხმელად ყალიბში.

5. ყალიბი — წყვილი ოთხკუთხედი თანატოლი ორი ჩარჩო ხისა, რომელთაც აქვთ ჩასასხმელი ყელი, ჩარჩოსთან ერთად მთლიანი. ამასთანავე თითოეულ ჩარჩოს გვერდზე აქვს ფეჯი, ფეჯის ყელი და დასაკეტი ძირის ჩარჩოს ახლავს ფიცარი. ყალიბის გამოყენება შემდეგი წესით ხდება. ძირის ყალიბში ლამს ჩაყრიან. ამ ლამში ნახევრად ჩაფლავენ გამოსადნობ ან დაზას და ზემოდან ლამსვე დააყრიან. შემდეგ მეორე ჩარჩოს დაახურავს და ერთხანს ასე ამყოფებენ. ლამში აღბეჭდება ანდაზის ფორმა, თავისი დეტალებით. ჩარჩოებს გადახსნიან, ანდაზას ამოიღებენ და ჩარჩოებს ლამში აღბეჭდილ ანდაზითურთ კვლავ დაკეტავენ, ოღონდ სანამ დაკეტავდნენ, ლამზე აღბეჭდილს მშრალ ლამს მოაყრიან, შეკრავენ, მასში გამდნარ ცხელ ლითონს ჩაასხამენ, სითხე ლამში ანდაზით ანაბეჭდის ადგილს დაიჭერს. ერთხანს ყალიბს ადროებენ, ვიდრე ლითონი ვაცივდება. ვაცივების შემდეგ ყალიბს გახსნიან, ჩამოსხმულ საგანს ამოიღებენ. ვთქვათ, ლამში სარტყლის ენის ანდაზა ჩავდევით, ჩამოსხმის შედეგად მივიღებთ სარტყლის ენას, რომელიც თავისი ფორმითა და ორნამენტებით ანდაზის მსგავსია. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ჩამოსხმის შედეგად მიღებული საგანი პირველ ხანებში როშია, ნაბი-

რები უსწორმასწორო აქვს და ორნამენტის დეტალები გამოუმჟღავნებელი. ასეთ ჩამონასხამს სჭირდება სათხრელებით გასუფთავება, გაწმენდა და დაფარვა საბოლოო სახის მისაცემად.

6. ხმალიკა — გლუ ხე, ხმლის სახისა, იხმარება ლამის გასასწორებლად ყალიბის პირზე.

7. დანა // ურსა — პატარა დანა, იხმარება ყალიბის ყელის გამოსაწმენდად ლითონის ნარჩენებისაგან.

8. ანდაზა — ხისა ან ლითონისა სხვადასხვა სახისა, შესაბამისად იმისა, თუ რა ნაჭერი სურთ ჩამოსახან: სარტყლის ენა, აბზინდი, აშურმა, ყაწიმი, ყვარი, სთვალა და სხვ. იხმარება ყალიბის ლამში ჩამოსახამი ნაჭრის სახის მისაღებად.

9. თეგი — ბასრი იარაღი რკინა-ფოლადისა, სატეხის სახისა, უტარო. იხმარება ლითონის გასაჭრელად.

10. მაკრატელი — რკინა-ფოლადისა, თხელი ლითონის დასაჭრელი.

11. ხელკვერი — რკინის ჩაქუჩი.

12. სველი ლამი — რიყის სილა, იზილება ერბოში, იხმარება ყალიბში ანდაზის სახის გამოსაყვანად. იმ მიზნით, რომ ლამი ანდაზას არ აყვეს, ლამს ერბოში ზელენ.

13. საცრელი ლამი — რიყის სილა, იხმარება ანდაზის ანაბეჭდზე მოსაყრელად, რათა გამდნარი ლითონი სველ ლამს არ მიეკაროს.

14. ნახშირი მუხისა ან წიფლისა, იხმარება ცეცხლის გასაღვივებლად ქურაში.

15. სათხრელები (მსხვილი, წვრილი, პირთხელი) — ფოლადის იარაღები.

მას შემდეგ, რაც ლამიდან ჩამოსხმულ ორნამენტს ამოიღებდნენ, იწყებოდა მისი გასუფთავება ზედმეტი ლითონისგან. ამავე დროს წარმოებდა ორნამენტის დეტალების გამოჟღავნება. ეს პროცედურები სხვადასხვა სახის სათხრელების შემწეობით სრულდებოდა.

16. დასაჭერი მანგანა ხისა, ორ ნაწილადი, თითოეული მათგანი ურთიერთის თანატოლი იხმარება ლამიდან ამოღებული ნაჭრის დასაჭერად, რათა ადვილად მოხერხდეს ნაჭერზე გაწმენდისა და ორნამენტის დეტალების გამოვლინების მუშაობის ჩატარება.

17. ჭოპოსანი — რკინა-ფოლადისა, ქლიბისებრი.

18. რიჯა — ხის.

19. კოვზი — რკინისა.

სევადის ორნამენტი ხევისურეთში თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც მზადდება. სევადის ორნამენტისათვის ხევისური ოქრომჭედელი აიღებს ორ მისხალ სპილენძს და ორ მისხალ ვერცხლს, ფუთაში წვრილად დაჭრილს ცეცხლზე ქურაში გაადნობს. გაცივების შემდეგ ამ შენაერთს დანაყავს. ვერცხლის ნაჭერზე ორნამენტს სათხრელებით ამოთხრის, ამოღარულში დანაყულ სევადას დააყრის, ცეცხლზე დაუჭერს, რომ „ზე გადნეს ვერცხლზე“. სევადა მტკიცედ დაუჯავშირდება ვერცხლს ამოღარულში. ის ვერცხლის ფონზე შავად გამოიქვირება. იმისათვის, რომ სევადა და ვერცხლი ელვარებდეს, ხევისური ოქრომჭედელი ნაჭერს უცეცხლოდ ვერცხლის წყლით შეფერავს და ჭობათინით გასწმენდს.

ზემოთ მოხსენებული ორნამენტის დამზადების წესებს გარდა დამოწმებული იყო ერთგან (ს. უკანა-სადუ, ოქრომჭედელი ხახონა ზაიელი) ორნამენ-

ტის დამზადება გრეხილური წესით. ჯანდარაში მავთული დამზადდება, და იგრძნება ხით და სათანადო სახედ „დაეწყობის ვერცხლზე“, მავთულზე ცოტათობერს დააყრიან, ცეცხლზე დასდებენ, რათა გრეხილი დაუკავშირდეს.

დასასრულ, ხევსურულ ოქრომჭედლობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია სანოზო მანგანა, რომელიც ვერცხლის ფირფიტას კოპლებიანი ორნამენტებით ამკობს. ეს მანგანა, როგორც ოქრომჭედელი ხახონა ზაიელი აღნიშნავს, მისი გამოგონილია.

ხევსურეთში ლითონის ორნამენტის შემდეგი ძირითადი ელემენტია დადასტურებული: ჭრელ-მირგვალაი, ბორჯღლიან-მირგვალაი, ჭრელ-მირგვალა კვერაი, ცერ-ცვარა, კბილაი, გახატულ-ხატნი, დაკბილულ-საყურე, ყაწიმი, რქიან-ყაწიმი, საყრელა, ყვარის თვალა, ბალთა, რქიან-ბეჭდის: თვალაი, ქამრის აღი, საფარაგე აღი, საუღრალაი და სხვა (შდრ. ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, ხევსურული, I, ტაბ. XXXI—XXXIV).

ლენხუმში ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებშიც, ლითონის სამკაულების მოხელეს ოქრომჭედელი ეწოდება. ქვემოთ შემოგვაქვს ლენხუმური ოქრომჭედლობის აღწერილობა იმ მასალების მიხედვით, რომლებიც შეაგროვა უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა ნ. რეხვიაშვილმა ქ. ცაგერში 1927 წელს²⁸.

აქურ ოქრომჭედელს ქურა მჭედლურად აქვს მოწყობილი. ვერცხლის ნაჭრებს ბუთა-ში ჩაყრილს ის ქურის ცეცხლზე აღნობდა. ვერცხლის ნაღობს რიჯა-ში ასხამდა. რიჯა ლითონისაა „ჯიროლივით ამოღარული“, აქვს ტარი. რიჯაში ლითონი გაცივდება და შედგება ზოდი. ზოდი გრძელია, მისი გაზიდვა ჩაქურით შეიძლება; მოხელე მას იმ ზომაზე დააყენებს, რა ზომისაც სურს. იმისათვის, რომ ცეცხლზე ვერცხლი ადვილად დადნეს და ჭუჭყისაგან დაიწმინდოს, ლენხუმელი ოქრომჭედელი ბუთაში ვერცხლს ბორას შეურევდა ხოლმე. „ბორა ვერცხლს მაშინვე გააწყალებს“. ბორის დასამზადებლად ბაზარზე ყიდულობდნენ პოტაშსა და თანუქარს, ერთმანეთში აურევდნენ, მარილსაც დაურთავდნენ და ცეცხლზე ადუღებდნენ. დუღილის შემდეგ ჯამის ძირში დალიქილი ფხვნილი არის ბორა. ვერცხლის კავშირითა და ბორათი აკავშირებდნენ ვერცხლის ნაჭრებს. წინასწარ დასაკავშირებელ ნაჭრებს ცეცხლზე გაახურებდნენ; ამ ნაჭრებს ურთიერთზე დაადებდნენ დასაკავშირებლად, ზედ ბორას დააფრქვავდნენ, დააწყობდნენ ვერცხლის კავშირის ნაჭრებს ჩოფთით, კვლავ გაახურებდნენ ნაჭრებს ცეცხლზე, ბორა და ვერცხლის კავშირი ნაჭრებს ერთმეორეს მიადუღებდა.

საგულისხმოა, რომ პატარა და საშუალო ზომის ჩაქურს აქ უწოდებენ დაჩაქურჩი, დიდს კი ჩაქურჩი.

ლენხუმელი ოქრომჭედლის სხვა ხელსაწყო-იარაღებიდან შეგვიძლია დავასახელოთ: 1. ბარადინი — ვერცხლის ზოდის დასაკვარებელი და ვერცხლის ძაფის გასაჭიმავი იარაღი; 2. სიმქაში — ნაჭრის დასაჭერი და დასამაგრებელი, ნაჭერზე მუშაობის დროს; 3. ხიშტკი — თითბრის მრგვალი

²⁸ უფროს მეცნიერ მუშაკს ნ. რეხვიაშვილს მადლობას მოვახსენებ მასალებით სარგებლობისათვის. მასალა ჩაწერილია ოქრომჭედლის ივანე გლახუას ძე ასათიანის თქმით. ივ. ასათიანს ოქრომჭედლობა ქუთაისში უსწავლია.

ხელსაწყო. მის ზედაპირზე რამდენიმე სხვადასხვა ზომის ორმოა ამო-
 ლურთხული, იხმარება ვერცხლის კოპლების (ცვრების — ხევსურეთში)
 ამოსაყვანად; 4. ხოშა — ამ იარაღის შემწეობით ხიშტაკზე გამოყავთ ვერ-
 ცხლის კოპლები. ვერცხლის ფირფიტას, რომელიც ხიშტაკის ამა თუ იმ „ამო-
 ლურთხულზე დევს“, დაუდებენ ზემოდან ხოშას, და ხოშას თავზე ჩაქუჩს და-
 კრავენ, ფირფიტა ჩაიზნიქება „ამოლურთხულის“ სახედ; 5. ა დ ი დ ა — ლითო-
 ნის, ბრტყელი იარაღია, რომელსაც სხვადასხვა ზომის ნაჩვრეტები აქვს. ამ
 იარაღის შემწეობით მსხვილი მავთულიდან თანდათანობით მიიღებენ წვრილ-
 სა და გრძელ მავთულს. უპირველესად ვერცხლის ძაფის ღეროს ნაჩვრეტში
 გაუყრიან და შემდეგ ამ ღეროს ყ ა ლ ი ფ თ ა ნ ი თ გასწევენ. მიიღება ნაჩვე-
 ნების ზომა მავთული; 6. ქ ა ლ ა ფ თ ი ნ ი — განიერპირიანი მარწუხია. ამგვა-
 რი პირის გამო ქალაფთინი არ იწვევს მავთულის გაწყვეტას ან გადაჭმას მავ-
 თულის მოზიდვის დროს; 7. ყ ა ლ ა მ ი — ვერცხლის სათხრელი წვერიანი
 ფოლადის იარაღი, აქვს ხის ტარი. ყალმის შემწეობით ვერცხლზე სახეები
 ამოყავთ ამოღარვით; 8. რ ო ვ რ ო ვ ი — ასევე ვერცხლის სათხრელი იარაღია
 შორკალული წვერით. როვროვის შემწეობით ვერცხლზე სახეებს „ვაჭიკჭიკებ-
 თო“, უთქვამს ლეჩხუმელ ოქრომჭედელს; 9. გ ო რ ს უ მ ი — სოლისებრი ლა-
 თონის იარაღია, რომლის ბოლო ოვალურადაა ამოღებული. ამ იარაღს იყენე-
 ბენ ვერცხლზე „კაკლების“ ამოსაყვანად; 10. დ ა რ ი ჯ ა — შესდგება ლითო-
 ნის თანატოლი ორი ჩარჩოსაგან, რომელთაც აქვს გვერდებზე და ძირში პირ-
 საკიდები, ხოლო თავში ყელი და რიჯა. ჩამოსასხმელი იარაღია. გამოყენებუ-
 ლია ყალიბად ქამრის, ხმლის, ხანჯლის, დამბაჩის და სხვათა „ნაჭრების დასა-
 ვვარებლად“. თავდაპირველად დარიჯას ერთ-ერთ ნახევარში ქვიშას ჩაყ-
 რიან, შემდეგ ქვიშაში დარიჯას მეორე ნახევარს ჩადგამენ და პირსაკიდებით
 ერთმეორეზედ მაგრად განასკვავენ კანაფით. ცოტა ხნის შემდეგ დარიჯას გა-
 სსნიან, ანდაზას ქვიშიდან ამოიღებენ და დარიჯას კვლავ შეკრავენ. ამის შემ-
 დგ ლითონის დ ნ ა რ ს ყ ე ლ ის შემწეობით დარიჯაში ჩაასხამენ, დნარი და-
 რქერს ანდაზის ადგილს და მის სახეს მიიღებს; 11. ც ი ბ ო უ ტ ი ა ნ უ მ ა რ-
 თ ხ ა ფ ი — იხმარება რქის ან ვერცხლის გასახვრეტად; 12. ზ უ მ ფ ა რ ა ხ ი ს —
 ხ ე რ ხ ი — ლითონის გასახერხად; 13. მ ა ს ხ ა ლ ი — სადგისისებური იარაღია;
 14. ე რ ბ ო ს ქ ვ ა — იხმარება სუფთა ხელჭურჭლის (იარაღის) გასალესავად.

ლეჩხუმელი ოქრომჭედელი შ ა ვ ი ს ე ვ ა დ ი ს მოხელეც იყო. ერთ გირ-
 ვანქა გოგირდს, ერთ გირვანქა სპილენძს, ერთ გირვანქა ტყვიას და ხუთ მა-
 სხალ ვერცხლს ერთად შეზავებულს დაადნობდნენ. ჯერ აღუღებდნენ სპი-
 ლენძსა და ვერცხლს, მერე „აქმევდენ ტყვიას და შემდეგ გოგირდს“. კარგ-
 დულილის შემდეგ ჯამში გადმოსახამდნენ. როდესაც ნაღობი გაცივდება,
 დადგება შავი ნივთიერება, ს ე ვ ა დ ა. მას კარგი დანაყვა უნდა. იხმარება
 ფხენილის სახით. იმისათვის, რომ სევადამ კარგად იმუშაოს, კარგად „დააღნეს
 ვერცხლს“, ფხენილს ბორას შეურევენ. აქ ორი სახის სევადის ორნამენტია
 ფიქსირებული: 1. შავყვავილიანი სევადა და 2. თეთრყვავილიანი სევადა. იმ
 შემთხვევაში, როდესაც ორნამენტი ვერცხლზე რელიეფითაა გაკეთებული, და
 სევადა ორნამენტის ეზოს აქვს მოვლებული, ასეთ ს ე ვ ა დ ა ს თეთრყვავი-
 ლიან სევადას უწოდებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ჩაღრმავების
 ტექნიკითაა ორნამენტი შესრულებული და ღარში სევადაა ჩასხმული — შავყვა-
 ვილიანი სევადაა. იმერეთის ოქრომჭედლობისათვის შავყვავილიანი სევადაა
 დამახასიათებელი.

ლეჩხუმელი ოქრომჭედელი ამზადებდა შემდეგ ნაჭრებს (ნაწილებს):
ქამრის, ლეკურის, ყანწის, ცულის, ხანჯლისა და სხვათა. ქამრის ნაჭრებს შე-
ადგენდნენ: 1. ნიკარტი (აბზინდი), 2. ბალთი, 3. ენა, 4. კოპალი, 5. საქონე,
6. უზინიკი და სხვ.

ზემო სვანეთში ოქრომჭედლობა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებულა.
აქ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოქრომჭედლები ქალებიც კი იყვნენ. ამას-
თანავე ეს მოხელეობა გარკვეული გვარების ოსტატობას შეადგენდა და მეზ-
კვიდრეობით ვადადიოდა თაობიდან თაობაზე. ოქრომჭედლობა მოცემული იყო
შემდეგ გვარებში: ცინ დ ე ლ ი ა ნ ე ბ ი (ჭუბერის თემი), ვი ბ ლ ი ა ნ ე ბ ი
(ს. კიჩხილდაში, თავარის თემი) ქ ა ლ დ ა ნ ე ბ ი (ს. ტვიბერი, ცხუმარის
თემი), ჩ ხ ვ ი მ ი ა ნ ე ბ ი (ს. ლეშდერი).

ზემო სვანეთში დამოწმებულია როგორც ცივი კვერვა, ისევე ჩასხმა,
მოალულო და სევადა. სევადას აქ ლიჭელვე ეწოდება. სვანი ოქრო-
მჭედელი (ვარჩხლი მუშკიდ) სევადას ასე აკეთებს: 1/2 კოვზი გოგირდი, 1
კოვზი ტყვია და 1/2 კოვზი სპილენძი. ხარის რქაში ჩაყრიან გოგირდს, მასში
ჩაასხამენ ადუღებულ ტყვიას, ადუღებულ სპილენძს და მაგრად დაუცობენ
ჭურჭელს თავს. გაცივების შემდეგ თე ტ ე ნ ი თ ამოიღებენ და ხმარობენ.
ლითონის დასაყავშირებლად ხმარობენ ხსნარს: ბორა, ვერცხლი და 1/2 თით-
ბერი. იციან ლითონის გაწმენდა ჭუჭყისაგან წაქას შემწეობით. სვანების გად-
მოცემით, თავდაპირველად გრდემლი ქვისა იყო. ამავე გადმოცემით, 363 ხე-
ლობის გამოგონებულს ღმერთ-კაცს სოლომს მარწუხი არ ჰქონია და გახუ-
რებულ რკინას ქურიდან ხელით გამოიღებდა თურმე. ერთხელ სამჭედლოში
მოვიდა ძაღლი და ძვალს ღრნა დაუწყო. ძაღლს ძვალი ფეხებგადაჭლობილს
ეჭირა. კარგად დააკვირდა სოლომი ძაღლის ფეხებს და იმის მსგავსად გააკეთა
მარწუხი.

სვანი ოქრომჭედელი ამზადებდა: ღილს (ღილს), ღირკილს, ჯინ-
ჯილას (ვაზის ფოთლის მოყვანილობისა), ნაჭას (ძეწვევი, დაგრეხილი და
ჩამოსხმული), ჩ ა ფ რ ა ს ტ ჯ ვ ა ნ ე ლ (ძველებური ჩაფრისტი), ჩ ა ფ რ ა ს ტ-
მ ა ხ ე (ახლებური ჩაფრისტი), ლ ე გ მ ა რ (პატარა ჩაფრისტი).

გურული ოქრომჭედლის ხელსაწყოს შეადგენდა: ქუ რ ა, დ გ ვ ე მ ლ ი,
ჩ ა ქ ე ჩ ი, ბ უ თ ა (ვერცხლის სადნობი ქილა), რ ა ჯ ა (ადუღებული ვერ-
ცხლისა და ოქროს ამოსაღები ლითონის კოვზი), დ ა რ ი ჯ ა (კალაპოტი),
ხ ი შ ტ ა კ ი (ცვარას ყალიბი), მ უ ჭ ი ს გ ი რ ა (პატარა ვაზი), რ უ ბ ა ს ტ ი
(ვერცხლის საყურსავი გასაწმენდად), მ ა რ გ ა ტ ე ლ ი (ვერცხლის საჭრელი),
მ ს ხ ა ლ ი (ვერცხლზე სამუშაოდ), რ ა ნ დ ა (ვერცხლზე სამუშაოდ), ს ა ხ გ-
რ ე ტ ი (ბურღი), კ ა ლ ა მ ი (ვერცხლზე სახეების ამოსაჭრელი), მ ა რ წ უ ხ ი,
ა დ ი დ ა (ვერცხლის ძაფის გასაწევი).

სევადისათვის გურული ოქრომჭედელი აიღებდა თანაბრად სპილენძს,
ვერცხლსა და ტყვიას და შეადუღებდა გოგირდით. მოსასევადებელ სვანზე
წინასწარ კალმით სახეებს ამოთხრიან, შემდეგ სახეებზე ზევიდან სევადას და-
აყრიან და გაახურებენ ცეცხლზე. სევადა დადნება და რომ გავრილდება,
ნაჭერს გაწმენდენ. სევადი შავად დარჩება სახეების ამოდარულში.

აქ ამზადებდნენ: ქამარს, ჩოხის ქილების თავებს (მოჭედილი იყო), ბეჭ-
დებს, აბზინდებს, ხადებს, ვოდას, ენას, ბუნუკებს და სხვა.

ღუშული ოქრომჭედელი ივანე ხუციშვილი, 57 წლისა, ასე აგვიწერს
თავის ხელობას: „ცხრა წელიწადი ყოფილა შეგირდათ მამაჩემი. კაი რამეებს

აკეთებდა: ბეჭდებსა, შუბლის ქინძისთავეებსა, სამაჯურებს, ხატებსა და სხვა²⁹. ვაკეთებდით შუბლის ქინძისთავეებს თითო-თითო თვლიანსა და გარშემო ვარსკვლავით თვლიანსაცა. საყურეებსა ცვარიანს, თვლიანსა. ამქარში მამა იყო, მეც ვიყავი.

შუბლის ქინძისთავს შუაში თვალი ეჯდა — ბუდე იყო და თხელი დივარა ჰქონდა — დივარა შუაში რო თვალი ზის, იმ ბუდეს ერქვა. დივარა შეიძლება კბილებიანი და უკბილოც ყოფილიყო, შემდეგ მის გარშემო სხივებო ეწოდებოდა. ქინძისთავს ჰქონდა კიდევ ნემსი — ჩიხტში რო გაიკეთებდნენ: იმას ვერცხლისასაც ვაკეთებდით და ოქროში ვფერავდით, ოქროსაც. ქინძისთავი ზოგი ისეთი იყო, რო შუაში დიდი თვალი იყო, გარშემოც პატარა თვლებს ვუკეთებდით. უფრო ხშირათ სხივებიანს ვაკეთებდით, ზოგჯერ იყო რგვალეებიც და იმას ბევრი თვლები ჰქონდა. ხატებს ვაკეთებდით ოქროსას, უფრო კი ვერცხლისას. თითონ სახეებს წმინდა გიორგისა, ლეთისმშობლისა, ჩარჩობითა ან ჯვარივითა. გვქონდა იმისი ყალიბები. ყალიბები ბლომათ გვქონდა. წმინდა გიორგის ყალიბი ორი იყო: ერთი იყო რკინისა, მეორე თითბრისა, ზედ იყო თითონ წმინდა გიორგი, ცხენზე იჯდა — გველუშაპს რო კლამს. იყო კიდევ ლეთისმშობლისა, მაცხოვრისა. წმინდა გიორგისა უფრო ხშირათ იყიდებოდა. ერთხელ კიდევ იორის ხატი გავაკეთეთ, იმათ მოიტანეს მასალა ვერცხლი, გვითხრეს — ამას ხელი არ ახლოთ სუფთა ალაგას იყვესო, მაგრამ ჩვენ გადავადნეთ და ახალი გავაკეთეთ ის წმინდა გიორგი იყო, შიგნიდან ხე იყო და გარედან ვერცხლი ჰქონდა, ჩვენც ესე გავაკეთეთ. ის ყალიბით არ გავიკეთებია, მამაჩემმა გააკეთა ხელითა.

ყალიბის გარდა ხელითაც ვაკეთებდით. ვერცხლის ნაჭერ დადებდა რკინის იარაღები ჰქონდა და იმით ჭრიდა. ხელით ამოჭრას ჩუქურთმითა კაი აზრი უნდა.

საოქრომჭედლო დაზგა გვქონდა, ხარაგი ჰქონდა გაკეთებული ხისა და აქეთ კარნიზები, რო არა ვადაიფანტოს-რა. ზოგი წვრილი იარაღები იყო და იმის გულისათვის იმ დაზგაზე ზედ იყო ტყავი — მიშინ ვეძახდით, რო ოქრო არ დაფანტულიყო, როცა ვქლიბავდით.

იარაღები: ჩივთი — მაშასავით იყო თვლების ასაღები. ერთი არის კიდევ წვრილი წვერი აქვს. ვაზივით არი, იმას ზარადინი ჰქვია. სიმქაშს ბრტყელი პირი აქ. ეს ყველა დასაჭერათ იყო ნივთისა, იმითი დავიჭერდით და ვქლიბავდით. ქლიბებიც სხვადასხვანაირი გვქონდა: რომელიც კუთხიანია იმას სამგოში ქლიბს ვეძახდით; კიდევ იყო წვრილი ქლიბები. მრგვალი ქლიბები კბილების ამოსასუფთავებელი (ბეჭდის კბილებისა). ჯერ ხო ხერხიო ამოვჭრიდით ოქროს და მერე იმით გავქლიბავდით. გვქონდა რანდაც — გასასუფთავებელი. სუ ბოლოს, როცა ბეჭედში თვალს ჩაუსომდით, იყო გასასუფთავებელი წამალი წითელი — კროპუზი ჰქვია იმასა: ფხვნილიც იყო და ქვებივითაც იყო, მერე დავფხვნიდით, ძაფზე წაუსომდით — ბამბის წვრილ ძაფზე. იმას გამოაბამდით დაზგაზე, მერე ქვას წაუსომდით ძაფს, მერე ბეჭედ გაუსომდით ძაფზედა და გადაეცლებოდა თუ რამე ჭუჭყი ჰქონდა იმასა. სუ ყველას ისე უნდოდა — ბეჭედსა, საყურესაც და ყველას. საზომი იარაღებო ჰქონდა ფარგალი, სხვა წვრილი იარაღებიც.

29 ჩაწერილია ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების უმცროსი მეცნი. მუშაის ს. ბედუქაძის მიერ ქ. დუშეთში, 1940 წ. იანვარში. ჩანაწერით სარგებლობისათვის ს. ბედუქაძეს მადლობას მოვახსენებ.

ოქროს, ვერცხლს თვითონ ვადნობდით. გვექონდა პატარა ქურა და სა-
შერველი გამართული. ქურა თიხისა იყო ვაკეთებულს, იმ ქურას თვითონ
ჩვენ ვაკეთებდით: თიხის თეთრ მიწას ბზეს ურევდით შიგა.

როცა ოქროს ვადნობდით თიხის ფუთაში, იმაში ჩავყრიდით ნაჭრებსა და
დადნებოდა. ქურაში ჩავყრიდით ნახშირსა, უნდა გავხეივებულყო ქურა და
შემდეგ ჩავდგამდით ამ თიხის ჭურჭელს, შიგ ჩავყრიდით ნაჭრებსა და და-
უბერამდით. როდესაც დადნებოდა, შემდეგ გვექონდა ზღვის ქაფს — ეტა-
ყვიან — ორნაჭრათ დაყალიბებული იყო — იმაში დამდნარ ოქროს ჩავასხამ-
დით. ოქროს რო დნება, წყალივითა ხდება — იმას ძაფი ქონდა შამოჭირე-
ბული, როცა ვაცივდებოდა, გავხსნიდით, ამოვიღებდით და ქლიბებით, იარა-
ღით გავასუფთავებდით.

გადადნობის დროს, როცა ოქროს ჩავყრიდით, მაშინ უნდა ჩაგვეყარა
კარგა რო ვაცხელდებოდა — მარილივით იყო თეთრი ფხვნილი — ბურა ჰქვია,
ის უცბად, სწრაფად ადნობდა, წყალივით გახდიდა ხოლმე; ფერზე ეტყობო-
და — როდემდის უნდა ცხელება: პირველად ლურჯდებოდა, მერე წითლდე-
ბოდა. როგორც კი გაწითლდებოდა მაშინვე გადმოვიღებდით, რაც შეიძლება,
სწრაფად უნდა ჩაგვესხა. დიდხანს რო დარჩენილიყო, ცეცხლში იწოდა —
ოქროს აკლდებოდა. რაც მეტხანს დარჩება — დააკლდება, ისე კი არ გაფუჭ-
დება. დასადნობად იყო კიდევ: ცოტა ცინკს ურევდით დასადნობათა, სპი-
ლენძსაც ურევდით ოქროსში; 5 მანეთიანი რო იყო ოქროსი, ის 95 პრობი იყო,
ის რბილი არის, იმაში უნდა გაგვერია სპილენძი და ამაგრებდა. მოწითალი
ფერი რო აქ, ის სპილენძისაგან არი, ოქროს ყვითელია — ეს რბილია; 56-
იანი უკვე სპილენძგარეულია, მაგარია.

ქურაში ერთ ჭურჭელს ჩავდგამდით, ის ჭურჭლის თიხა ძალიან მაგარი
იყო ჩამოსხმული იყო რალაცა, ის ერთი 5—6-ჯერ გამოდგებოდა და ჩამოსასხ-
მელათა, რაკი გასქდებოდა, აღარ გამოდგებოდა, ახლა სხვა უნდა გამოგვე-
ცვალა.

რა ნივთიც გვინდოდა, ჯერ ჩამოსხმული იყო კოპიტათა, მერე დაქ-
ლიბამდით, კბილებს ამოუჭრიდით. როცა უყალიბოთ ვაკეთებდით, იმისთვის
გვექონდა თუჯისა გრძელი — ამოღარული, იმაში ჩავასხამდით ოქროსა, იმას
რიჯას ვეძახდით, იმაში ვაცივდებოდა, შემდეგ ჩავაგდებდით წყალში — ცივ
წყალში — და ამოვიღებდით, დავნაყამდით. ზინდანი გვექონდა პატარა,
როგორც მჭედლებსა აქ, ისეთი, ფოლადის ჩაქუჩით დავნაყამდით ზინ-
დანზე. კუთხიანი ჩვეულებრივი ჩაქუჩი იყო. იმ დანაყვის დროს რო ვარტყამ-
დით ჩაქუჩს, სკდება ის და მაგრდება კიდევ. იმ დანაყილ ნაჭერს კიდევ გვა-
ცხელდებდით: მაშინ დავიჭერდით და პირდაპირ უნდა ჩაგვედო ქურის ნახ-
შირში, ზევიდანაც დავაყრიდით ნახშირს, სუ არ უნდა გამოჩენილიყო არც-
ერთი ადგილი, ეგრე ნახევარსაათი მაინც უნდა დავგვეცადა; სქელი ნაჭერი
გვიან ცხელდებოდა, თხელი მალე. ზოგჯერ შეიძლება ჩამდნარიყო შიგა და
მერე ამოკრეფა გვიხდებოდა, შიგ ნაცარში აირეოდა: მამაჩემს რამდენჯერ
უცემია იმ მაშინთა ამის გულისათვი. გვექონდა ანდამატის ფოლადი და
იმითი გავარჩევდით, ის რკინას აშორებდა. ფხვნილ ოქროსში შიგ რკინები იყო,
მოურევდით მშრალ ფხვნილში და ის აიკრამდა. ოქროს რო დავქლიბავდით,
ანდამატის ფოლადი უნდა მოგვერია შიგა, რო რკინა არ გარეულიყო შიგა და
ამვერჩინა.

ზოგჯერ, როცა მავთული გვინდოდა ან წვრილი ნემსები, მაშინ დავნა-
ყამდით ხოლმე ჩაქუჩით. გვქონდა ოქროს გასაწევი იარაღი ვალსი, ის ძვირი
ღირდა — 5 თუმანი ღირდა. იმას ჩალხი ჰქონდა დასატრიალებელი. ხის სტა-
ნოჯზე იყო გამართული — მაღალი დასადგმელი იყო. სანამ ვალსში ჩავდებდით,
ოქროს ოთხჯერ-ხუთჯერ მოუნდებოდა გაცხელება — დანაყვა-გაციება —
ისევ დანაყვა. მერე იმ ვალსში ჩავდებდით: ორი ბორბალი ქონდა იმასა, შუაში
ცარიელა და ასაწევ-დასაწევი ვინტებიტა. პრეისკურანტი გვქონდა იმისა, ხუ-
ყველანაირი იარაღი იყო შიგ დახატული, იმითი გამოვიწერეთ ისა და რაც
გვინდოდა, ისეთს გამოვჩარხამდით. საყურეებს რო ვაკეთებდით, იმისთვისაც
პტყელი ნაჭერი სჭირდებოდა, იმაში უნდა გაგვეწივნა. უყალიბოთ რასაც
ვაკეთებდით, იმ ვალსში ვაკეთებდით. გვქონდა მავთულის გასაწევიც, თითონ
იმასა ჰქონდა ზედ გამართული.

ვერცხლის გაღნობის დროს ცინკი არ უნდოდა, იმას მარტო დასადნობი
ბურათი ვადნობდით. ვერცხლისას — ხატებს, თასებსაც ვაკეთებდით. წარ-
წერებსაც უკეთებდით, შემკვეთის სახელსა და გვარს ვაწერდით, ზოგზე ვხა-
ტამდით: სახეებსა, რომელ ხატსაც შესწირავდნენ, ის უნდა დაგვეხატა ზედა-
პირდაპირ ამოვჭრიდით ყალბითა — რკინის იარაღია. უნდა ამოგვეჭრა პირ-
დაპირ, გასუფთავებული როცა იყო. მერე სხვა სახეები არ მახსოვს რო ეჭრას
მამაჩემს — მარტო ხატებისა.

სევადასაც ვაკეთებდით. ის რო ამოჭრებოდა, ვერცხლის ნაჭერი,
ტყვია არის ისა, ჯერ ამოვჭრიდით ვერცხლსა ზედ დავაწყობდით პატარა სე-
ვადის ნაჭრებსა და გავაცხელებდით და შიგ დადნებოდა, აიძებოდა ის ამო-
ჭრილები. თუ ამოჭრილს აქეთ გადმოვიდოდა, გავასუფთავებდით და გვიცლე-
ბოდა. იყო რალაც წამალი, ის წამალი წყალივით იყო, პატარა თეფშზე იყო
დასხმული, ტყვიებიც შიგ ჩაყრილი, იმ წამლით დავასველებდით ვერცხლის
ამოჭრილ ნაწილებს და წამლიანსავე ტყვიის ნაჭრებს დავაწყობდით. გვქონდა
ლამპა და პირით უბერამდით. ბოროთ ჰქვია იმ დასაბერსა, თითბრისაა და
ფულუროა შიგნიდან. იმას ნახშირზე დავდებდით, პტყელ ნახშირზე და ისე
უბერამდით. იმ სევადის ყალიბებიც ჰქონდა, ხელოსანი უყურებდა და ისე
ამოჭრიდა ყვავილებსა.

ვერცხლი სინამ დადნებოდა, ზევიდან ქუჭყი ირეოდა, როცა კარგა დად-
ნებოდა, მაშინ წყალივით გახდებოდა.

ჩვენი ნახელავი აქ იყიდებოდა, ვაჭრები ყიდულობდნენ და თვითონ ყი-
დიდნენ, ზოგჯერ მივიტანდით გასასყიდად, დავდებდით იმათ ღუქანში და
ისინი გაგვიყიდიდნენ. ვერცხლსა და თითბერს უფრო ხშირათ ვაკეთებდით,
ოქროსი იშვიათი იყო“.

VII

თბილისში ოქრომჭედლობა ხელოსნობის ხასიათს ატარებდა. ოქრომჭედ-
ლის მიერ აქ დამზადებული საგნები ფართო ბაზარზე ვადიოდა. წინააღმდეგ
იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა ხევსურეთში, სვანეთსა და ლეჩხუმში, როდე-
საც საოქრომჭედლო საგნები მხოლოდ დაკვეთით მზადდებოდა. თბილისში
იგი უსახელო შემკვეთელს ჰკულისხმობდა. ერთგან ოქრომჭედელი ეგრეთწო-
დებული შინამრეწველის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო მეორეგან — ხე-
ლოსნისა. ამის შესაბამისად აქ, თბილისში, არსებული ოქრომჭედლობა ფარ-



თო შასშტაბის საქმიანობა იყო. აქ დამზადებული ხელადი ვრცელდებოდა საქართველოს როგორც ბარის, ისე მთის მოსახლეობაში და მის გარეთაც ვადიოდა.

ასეთი შედეგებით ფართო მასშტაბის წარმოებაში საოქრომჭედლო ტექნიკით რთული სახით იყო წარმოდგენილი. ოქრომჭედლის ჭურჭელს შეადგენდა:

1. ქუ რ ა — თიხისა (თიხა შეზავებული ბზითა და თხის ბანლით), კასრისებრი.
2. ს ა ბ ე რ ვ ე ლ ი — გუდისა.
3. ნ ა ხ შ ი რ ი ს ყ უ თ ი.
4. ც ა ლ წ ვ ე რ ა ზ ი ნ ტ ა ნ ი ა ნ უ ს ე ფ ა ი გ ი.
5. ო რ წ ვ ე რ ა ზ ი ნ დ ა ნ ი.
6. გ ა ვ ა რ ს ი ს ზ ი ნ დ ა ნ ი.
7. გ რ ძ ე ლ ი ზ ი ნ დ ა ნ ი.
8. გ უ რ გ ვ ა ლ ი ზ ი ნ დ ა ნ ი.
9. ო თ ხ ფ ე ხ ი ა ნ ი ზ ი ნ დ ა ნ ი.
10. ჩ ა რ ე ქ ი ს მ ო ს ა ყ ვ ა ნ ი ზ ი ნ დ ა ნ ი.
11. ს ა მ უ შ ა ო დ ა ზ გ ა. თავის ხარვითა და ფეშტამლით.
12. ო რ წ ვ ე რ ა ს ე ფ ა ი გ ი.
13. ი ა რ ა ლ ი ს ს ა წ ყ ო ბ ი, კედლისა.
14. ს ა მ კ უ თ ხ ა ქ ლ ი ბ ი, სამგოშა ქლიბი. მას აქვს ტარი, სალტე და ბუდე.
15. გ უ რ გ ვ ა ლ ი ქ ლ ი ბ ი.
16. ბ რ ტ ყ ე ლ ი ქ ლ ი ბ ი.
17. რ ა ნ დ ა ლ ა რ ი ა ნ ი, ნაქლიბის გასაწმენდავად.
18. მ ს ხ ა ლ ი ი ნ ა ხ ე ბ ა ო ქ რ ო ს ა და ვერცხლის ნივთიერებისათვის. პეწის მისაცემად.
19. ხ ე რ ხ ი — ცეცხლზე ადუღებული ფოლადისა.
20. მ ა გ რ ა ტ ე ლ ი — იხმარება გურგალი ვერცხლის ჰალყების დასაჭრელად.
21. ზ ა რ დ ი ნ ი — მავთულის დასაგრეხი იარაღი.
22. ქ ე ს ქ ი — „ბაიცვანგი“.
23. ქ ა ლ ფ ა თ ა ნ ი — მავთულის გამოსაწევი.
24. ა დ ი ღ ა — სხვადასხვა ზომისა, მავთულის გასაწევი.
25. ჰ ა დ ი ლ ა ს დ ა მ ხ მ ა რ ე.
26. ხ ე ლ ი ს ჩ ა ქ უ ჩ ი.
27. ა ც ი ს კ ა ნ ა (ი) — აგცანგი, ცხელი ნივთის გასაბრტყელებლად.
28. ხ ე ლ ი ს მ ა ნ გ ა ნ ა — ნივთის დასაჭერად მასზე მუშაობის დროს.
29. რ ი ჯ ა — ყალიბი დამდნარი ვერცხლისათვის.
30. ჭ რ ა ქ ი ს ჯ ა მ ი პ ა ტ რ უ ქ ი თ — ლითონის დაკავშირების დროს საზმარი.
31. ხ ი შ ტ ა კ ი და ხ ო შ ა — ცვარის დასამზადებლად.
32. ბ უ თ ა — ოქროს და ვერცხლის, სევადის დიდი და პატარა, ლითონის გასადნობი ჭურჭელი. მოჰქონდათ სტამბოლიდან ან შულავერის თიხიდან აკეთებდნენ.
33. მ ა შ ა — ბუთას ასალეზი.
34. კ ა ვ შ ი რ ი ს ა ბ რ ა დ ა ნ ი.

35. ხის ჩაქუჩი.

36. ხონჩა — მუხლზე დასადები ფიცარი, სამუშაოდ.

37. ხის მანგანა — სხვადასხვა ნივთის დასაჭერად, მასზე მუშაობის დროს.

38. სასწორი ყუთით — თეფში, უღელი, ენა, ტარი. წონები || აბრები: ექვსმისხალიანი, სამისხალიანი, ორმისხალიანი, ერთმისხალიანი, ერთდანგიანი, ორდანგიანი და სხვა.

39. ჩოფტი — კორცვანგი, კავშირის ასაღები იარაღი.

40. ფარგალი.

41. გრეხილის მოსაღუნი იარაღი.

42. გრეხილის მოსაღუნი ჩარხი.

43. თარგები.

44. ფრჩა, ვერცხლის გასაწმენდი იარაღია (წყალსა და წითელი ღვინის ძმარს ურევენ ერთმანეთში და შიგ სდებენ, მერე სველ ფრჩას სცემენ, ვერცხლსა სწმენდს).

45. ბორდის კოვზი.

46. დარიჯა || დარიჯა, თითბერისა, შესდგება ორი ნახევრიდან, ორნახევარი ცალცალკე ივსება ქვიშით.

47. ქვიშა კუპრში არეული. ერთნახევარი, სდებენ რაიმე ყალიბს (ქვიშაში აფლობენ) და მეორე ნახევარს ზემოდან ახურავენ დ ყალიბს აცლიან. შემდეგ ნახევრებს ისევ აერთებენ ყალიბის სახის ჩამოსასხმელად.

48. ბორა — ვერცხლის დასაკავშირებელი.

49. ბორის სანაყი // ავანგდასტი.

50. სევადის სანაყი.

51. ქვის ქვიჯა.

52. ჯამის ყალიბი.

53. ჩიხმა.

54. რუმასტა, ვერცხლის დასახალისებელი იარაღი.

55. ბუთის ყალიბი.

56. ბეჭდის გასასწორებელი შეშა.

57. კოვია — ნივთების კალით შესაკავშირებელი.

58. სარფუჩი (ფისისგან არის გაკეთებული) — მუშაობის დროს თხელი

ნივთების დასამაგრებელი ხელსაწყო.

59. კალის კავშირი.

60. ვერცხლის კავშირი.

61. მაკის ქვა — ოქროსა და ვერცხლის გასასინჯი.

62. ყა-თუზი — ბურღის ამოსაღები მანქანა.

63. ნაინი.

64. ჩარსო, ჩაქუჩი ბადიისა.

65. ნარიკი — ლითონის სიგრძე-სიგანეზე გამწევი ჩაქუჩი.

66. მეანა — ლითონის გასაბრტყელბელ-გასასწორებელი ჩაქუჩი.

67. სევადის მაშა.

68. თუთია — ვერცხლის დასაფერი.

69. სიმქაში — მავთულის დასაჭერი იარაღი.

70. მათხაბი — ჩირხი.



71. თავკავიანი მასხალი: ასველებენ საპნის წყალში და აპრიალებენ ლითონს, ან კროპუსს დააყრიან და იმითი აპრიალებენ.

72. ბრტყელპირიანი მასხალი — ლითონის ნივთის შიგნითა მხარის გასაპრიალებელი.

73. ყალამი — ფოლადისა, ოთხკუთხედი, აქვს ხის ტარი, თითბრის სალტა იხმარება ჩუქურთმის ამოსატრელად.

74. რანტა — ფოლადისა, სამკუთხედი, აქვს: ხის ტარი, თითბრის სალტე. იხმარება დაქლიბული ნივთის გასათანასწორებლად, გასარანტავად, და ჩოფურებული რომ მოსპოს.

75. როიროვი — ფოლადისა, პირბრტყელი; აქვს ხის ტარი, იხმარება ნივთების შესალამაზებლად, დასაჭიკჭიკებლად. ჩვეულებრივად როიროფით აჭიკჭიკებენ ეზოს, ხოლო სევადით ნაკეთებ ყვავილებს შემოთლიან გვერდებს ყალმით“.

ოქრომჭედლის ხელსაწყოს ეკუთვნის აგრეთვე ორნამენტების გამოსაქვერნავი ყალიბები. ყალიბები ბრინჯაოსაგანაა დამზადებული, მის გულში ამოთხრილია გამოსაკვერავი საცნის სახე. იხმარება ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ამოსაკვერვად. ჩვენ მოგვეპოვება ყალიბების ორი კოლექცია: საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებისა, ხოლო მეორე მეტეხის ხელოვნების მუზეუმის მცირე ხელოვნების განყოფილებისა.

საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცულია: აკულის გული (კოლ. № 193—16/1), აკულის გული (კოლ. 0193—16/2), აშოვრმა (კოლ. 153—16/3), ქამრის ჩახმა (კოლ. № 193—16/4), თოფის ტარი (კოლ. № 193—16/7), რახტი (კოლ. 193—16/6), რახტის ფიფინო (კოლ. № 193—16/7), ძეწკვი (კოლ. 193—16/8), ქამრის ჩახმა (კოლ. № 193—16/9), რახტი (კოლ. № 193—16/10), ქათიბის ღილი (კოლ. № 193—16/11), მრგვალი ღილი (კოლ. № 193—16/12), სახარებისა დასაკეტი (კოლ. 193—16/13), ყავასი (კოლ. 193—16/14), ყავასი (კოლ. 193—16/15), მრუდე ღილი (კოლ. № 193—16/16), ლომისთავი (კოლ. № 193—16/17), საძუე (კოლ. № 193—16/18), საძუე (კოლ. 193—16/19), თოფის ტარი (კოლ. № 193—16/20), რახტი (კოლ. № 193—16/21), კულის გარშემო (კოლ. № 193—16/80), ქამარი (კოლ. № 193—16/81), ბუშტი (კოლ. № 193—16/82), ბუშტი (კოლ. № 193—16/83), კვერციხი (კოლ. № 193—16/84), ფიფინო (კოლ. № 193—16/85), ბუშტი (კოლ. № 193—16/86), ბუშტი (კოლ. № 193—16/86), ბუშტი (კოლ. № 193—16/87), ბუშტი (კოლ. № 193—16/88), ბუშტი (კოლ. № 193—16/89), ბუშტი (კოლ. № 193—16/90), ბუშტი (კოლ. № 193—16/91), ძველებური საყურე (კოლ. № 193—16/93), ძველებური საყურე (კოლ. № 193—16/94), ძველებური საყურე (კოლ. № 193—16/95), ყულუჩა (კოლ. № 193—16/96), ფიფინო (კოლ. № 193—16/97), კრიალოსანი (კოლ. № 193—16/98), ქამარი (კოლ. № 193—16/99), ქამრის ჩახმა (კოლ. № 193—16/100), ფიფინო (კოლ. № 193—16/101), ბუშტი (კოლ. № 193—16/102), ფიფინო (კოლ. № 193—16/103), ქათიბის ღილი (კოლ. № 193—16/104), ძველებური საყურე (კოლ. № 193—16/105), ფიფინო (კოლ. № 193—16/106), ფიფინო (კოლ. № 193—16/107), 108, 109, 110), აშურმა (კოლ. № 193—16/111), აშურმა (კოლ.

№ 193—16/112), ღილი (კოლ. № 193—16/113), ღილი (კოლ. № 193—16/114), ყულუჩა (კოლ. № 193—16/115), ყულუჩა (კოლ. № 193—16/116), ქამრის ხიდი (კოლ. № 193—16/117), ქამრის ხიდი (კოლ. № 193—16/118, 119), წმინდა გიორგი (კოლ. № 193—16/120), ღვთისმშობელი (კოლ. № 193—16/121), ადამიანის თავი (კოლ. 193—16/122ა, 122ბ), ადამიანის თავი (კოლ. № 193—16/123), ფიფინო (კოლ. № 193—16/124), რახტი. (კოლ. № 193—16/125), ქამარი (კოლ. № 193—16/126), ქამრის ხიდი (კოლ. № 193—16/127), ბუშტი (კოლ. 193—16/128), ბუშტი (კოლ. № 193—16/129, 130, 131, 132), კულის მოსართავი (კოლ. № 193—16/—133, 134, 136), ძველებური საყურე (კოლ. № 193—16/137), 137ა, 138), დაირის ბუშტი (კოლ. № 193—16/139, 140), ყვილიანი ბუშტი (კოლ. № 193—16/141, 142), ქამრის ხიდი (კოლ. № 193—16/143), ქამრის ხიდი (კოლ. № 193—16/144, 145), ქამარი (კოლ. № 193—16/144, 145), ქამარი (კოლ. № 193—16/146), აშურმა (კოლ. № 193—16/147, 16/146), შურმა (კოლ. № 193—16/147, 148), ყულუჩა (კოლ. № 193—16/149, 150, 152), ბუშტი (კოლ. № 193—16/153, 154), ფიფინო (კოლ. № 193—16/155, 156, 157), გული (კოლ. № 193—16/158), (კოლ. № 193—16/22), ჩარქა (კოლ. № 193—16/23), ბუშტი (კოლ. № 193—16/24), ძველებური საყურე (კოლ. № 193/16/25), დუგმა (კოლ. № 193—16/26), ქამრის ჩახხმა (კოლ. № 193—16/32), კულის გარშემო (კოლ. № 193—16/33), გავარსი (კოლ. № 193—16/70), ვარსკვლავი. (კოლ. № 193016/71), ყური (კოლ. № 193—16/72), ცხვარი (კოლ. № 193—16/73), ცხვარი (კოლ. № 193—16/74), წმინდა ანტონი (კოლ. № 193—16/75), მარჯვენა ხელი (კოლ. № 193—16/76), სუფ-სარქისი (კოლ. № 193—16/75), საყურე (კოლ. № 193—16/40), ხუშტი (კოლ. № 193—16/41), თვალის კაკალი (კოლ. № 193—16/42), ლომის თავი (კოლ. 193—16/43), კრიალოსანი (კოლ. № 193—16/44), ჩიტი (კოლ. № 193—16/45), დუგმა (კოლ. № 193—16/46), ფიფინო (კოლ. № 193—16/47), სერდეჩკა (კოლ. № 193—16/48), ქამრის ღილი (კოლ. № 193—16/49), რახტი (კოლ. № 193—16/50), ღილი (კოლ. 193—16/51), თვალის კაკალი (კოლ. № 193—16/52), ფიფინო (კოლ. № 193—16/53), ფიფინო (კოლ. № 193—16/54), თათრული ღილი (კოლ. № 193—16/55), დუგმა (კოლ. № 193—16/56), თურქმან-ოგის ბუშტი (კოლ. № 193—16/57), ფიფინო (კოლ. № 193—16/58), მასრა (კოლ. № 193—16/59), კულთ (კოლ. № 193—16/60), ქათობის ღილი (კოლ. № 193—16/61ა), ღილის ჩახხმა (კოლ. № 193—16/61ბ), გულის კოვზი (კოლ. 193—16/62), გოხაკის ჩახხმა (კოლ. № 193—16/63), თავის სარდაფი (კოლ. № 193—16/64), ყარაბაღული თოყი (კოლ. № 193—16/65, 77), გავარსი (კოლ. № 193—16/72), ცხვარი (კოლ. № 193—16/73), მტრედი (კოლ. № 193—16/66), ქამრის თავის ღილი (კოლ. № 193—16/31,33), წმინდა გიორგი (კოლ. № 193—16/34), მასრა (კოლ. № 193—16/35). კულის წკეპლები (კოლ. № 193—16/36), თევზი (კოლ. № 193—16/37), თევზი (კოლ. № 193—16/38), მრუდე თევზი (კოლ. № 193—16/39), ძველებური ხვთაება (კოლ. № 193—16/78), გველი (კოლ. № 193—16/79), აშურმა ღვთისმშობელი (კოლ. № 193—16/159), წმინდა სამება (კოლ. № 193—16/160), წმინდა გიორგი (კოლ. № 193—16/161), წმინდა ბარბარე (კოლ. № 193—16/162), მთავარანგელოზი (კოლ. № 193—16/163).



ხელოვნების მუზეუმის მეტეხის მცირე ხელოვნების განყოფილებაში და-
 ტულია შემდეგი ყალიბები: ხიდებიანი ქამრის გობაკი (№ 2002), ჩუქურთმა
 ქამრის გობაკის (№ 2003), ერთიანი ჩუქურთმა ქამრის გობაკის (№ 2004),
 შავი სევადიანი ქამრის გობაკი (№ 2005), ანგელოზის გობაკი (№ 2006), ქა-
 მრის გობაკი, (№ 2007), თუშური ხმლის გობაკი (№ 2008), ჩერქეზული
 ქამრის გობაკი (№ 2009), ქამრის გობაკი (№ 2010), ხმლის უზორნიკი (№ 2011),
 ჩერქეზული ქამრის გობაკი (№ 2012), ჩერქეზული ქამრის გავარსიანი ყალი-
 ბი (№ 2013), ჩერქეზული ქამრის ყალიბი (№ 2014), ჩერქეზული ქამრის ყა-
 ლიბი (№ 2015), ხმლის უზორნიკი (№ 2026), ყარაბაღული ქამრის ხიდი
 (№ 2017), ჩერქეზული ქამრის ხიდი (№ 2018), ჩერქეზული გავარსიანი ქამრის
 თოყის ყალიბი (№ 2019), ჩერქეზული ქამრის თოყის ყალიბები (№ 2020),
 გავარსის ყალიბი (№ 2022), ჩერქეზული ქამრის ხიდის ყალიბი (№ 2023),
 ჩერქეზული ქამრის ენის ყალიბი (№ 2024), გავარსიანი ჩერქეზული ქამრის
 ენა (№ 2025), შაბაქი (№ 2026), ჩერქეზული ქამრის ენა (№ 2027),
 საქონლის ენა (№ 2028), ვაჟკაცის ქამარი (№ 2029), ვაჟკაცის ქამარი
 (№ 2030), ვარსკვლავიანი ქამარი (№ 2031), ქალის ქამარი (№ 2032),
 ანგელოზიანი ქამარი (№ 2033), ჩერქეზული ქამრის შამლი (№ 2034), ჩერქე-
 ზული ქამრის საღუმე (№ 2035), ქამრის პატარა ბალთები — წყვილი (№ 2036/
 თ, ბ), ქამრის დიდი ბალთები (№ 2037, ა, ბ), ქალის ქამრის აბზინდი (ნუშის
 გულის მსგავსი) (№ 2038), ქალის ქამრის აბზინდი (№ 2039), ქალის ქამრის
 აბზინდი (№ 2040), დიდი ქამრის გობაკის რკალი (№ 2041), ქამრის სართავის
 ყალიბი, ყარაბაღული (№ 2042), ხიდებიანი ქამრის სართავი (№ 2043), ქამრის
 ხიდი, მასრა (№ 2045), აზარფეშის ბეჩა (№ 2046), პატარა აზარბეშის ბეჩა
 (№ 2047), მაყლის ფეხი (№ 2048), ლილის ნახევარი (№ 2050), აზარფეშა
 გული (№ 2051), ანგელოზი მოცეკვავე მამაკაცები (№ 2052), პუპოშკის ყა-
 ლიბი (№ 2053), ქალის ქამრის ღილი (№ 2054), ქათიბის ღილი (№ 2055),
 ქალის ძეწკვი (№ 2056), ქალის ქამრის მრგვალი ყალიბი (№ 2057), ორთე-
 ლიანი ბეჭედი (№ 2058), ქათიბის ღილი (№ 2059), ქათიბის ღილის ორი ნა-
 ხევარი (№ 2060 ა, ბ), ქართული ბუშტა საყურე (№ 2061), ფიფინო (№ 2062),
 ვაჟკაცის ქამრის ჩახმა (№ 2063), ქართული ხმლის თავი (№ 2064), რახტის
 ბალთა (№ 2065), რახტის ფიფინო (№ 2066), გულისმავარი ღილი (№ 2067),
 ქინძისთავი (№ 2068), რახტის ფიფინო (№ 2069), ფოთოლი (№ 2070), აშურმა
 (№ 2071), სუფრის კოვზი (№ 2097), სუფრის კოვზი (№ 2097), სუფრის
 კოვზი (№ 2098), ჩაის კოვზი (№ 2099), ჩაის კოვზის ხოვშა (№ 2000), სპარ-
 სული მენდალი (№ 2101).

ზემოთ ჩვენ მიერ დასახელებულ ხელსაწყოს შემწეობით ტფილისელ
 ოქრომჭედელი ამზადებდა შემდეგს სამკაულებსა და ნივთებს: 1. იარაღისა
 და ტანსაცმლის შემკულობა — ქართული გობაკიანი ქამარი, კახური (თავ-
 დური) ქამარი, იმერულ-ჩერქეზული ქამარი, ქალის ქამარი; ხანგლის შევერ-
 ცხვლა მთლიანად, თავ-ბოლოში ბოლოკოპლით შევერცხვლა, მასრების შემ-
 კობა — თავღია, თავსახურავი (ხელით მოქარგული ჩუქურთმით, შავი სევა-
 დით და გრეხილურითა); ხმლების შემკობა; 2. ჩიბუხების შემკობა, 3. უნა-
 გირების შემკობა; 4. ცხენის მორთულობა; 5. თასები, ბადიები, კოვზები; 6.
 ზარნაში რკინაზე, ფოლადზე და სხვ.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ოქრომჭედლის ხელობის დეტალები,
 მოვიყვანო სანიმუშოდ ამ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ პროცე-
 სებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც აბზინდი უნდა დაამზადოს, ხელოსანი აიღებს ვერცხლის ზოდს, მოჰკვეთს მისთვის საჭირო რაოდენობით ვერცხლს, ბუთაში ჩაფლის, ბორას შეურევს, ბუთას ქურაზე ცეცხლზე დადგამს. ამავე დროს აიღებს აბზინდის ანდაზას (შეიძლება იყოს ხის ან სანთლის) და მის სახეს დარიჯაში „დაიჭერს“. ცხარედ გამდნარ ვერცხლს დარიჯაში ჩაასხამს. შიილება აბზინდა. ამის შემდეგ აბზინდს ქლიბების შემწეობით გასწმენდს, „ზომაზე დააყენებს“ და სურვილის მიხედვით მას გრეხელით ან სევალით შეაკობს. აბზინდის ჩამოსასხმელად 84%-იანი ვერცხლი იხმარებოდა.

გრეხილური შემკულობისათვის საჭირო იყო 96%-იანი ვერცხლი. ასეთ ვერცხლს სირმა-ვერცხლი ეწოდება. გამდნარ სირმა-ვერცხლს წვრილ რიჯაში ჩაასხამენ, მერე მას ზინდანზე ჩაქუჩით „დანაყავენ“, სიგრძეზე გასწევენ და ჰაღიდაში გაატარებენ. ჰაღიდაში გატარება იწყება დიდი ნაჩვრეტიდან და თანდათან წვრილსა და უწვრილეს ნაჩვრეტზე გადადის, სანამ სასურველი სიწმინდის სინას არ მიიღებენ. სინის გამოსაზიდად ხმარობენ ქალიფთინსა და თოქს. ამ წესით დაგვარებულ სინას წყვილად შეაერთებენ და ფიცარზე დაგრეხავენ, შემდეგ ცეცხლზე გამოალბობენ და წვრილ-წვრილად დასჭრიან იმის მიხედვით, თუ რა სახეების დამზადებას ვარაუდობენ. სინა ამა თუ იმ შემთხვევაში ან მრგვლად გამოიყენება, ან ბრტყლად. ამას ჩიფთის შემწეობით აკეთებენ. მავთულის ნაჭრებს აბზინდზე აწყობენ იმის მიხედვით, თუ რა სახე უნდათ გამოვიდეს და რკინის მავთულით მათ ამაგრებენ აბზინდზე. მისადუღებლად იყენებენ კავშირს. კავშირი შეზავებულია და ერთად გადამდნარი: ერთი ნაწილი თითბერი და ორი ნაწილი ვერცხლი. კავშირს წვრილად დაჭრილს და წყლით დასველებულს გრეხილის სახეებზე, აბზინდზე დააწყობენ და ბორას დააყრიან.

ბორა მზადდება ასე: ერთი წონა მარილი, იმდენივე პატაში და 1/2 წონა თანქარი სპილენძის ქვაბში ან ტაფაზე წყლით უნდა აურიონ და ცეცხლზე დადგან. დუღების პროცესში გახდება როგორც „შაქარი“. შემდეგ დააწყობენ და როგორც მარილს აიღებენ და აბზინდზე დააყრიან ისე, რომ დაიფაროს გაწყობილი გრეხილები.

შემდეგ ნელ ცეცხლზე ჯამით დადგამენ და შეაშრობენ, ჭრაქით შეუბერავენ ნაკვერცხალს და იმ ზომაზე გაახურებენ, სანამ კავშირი არ გადნება, გაწყალდება, რაც იმის ნიშანია, რომ გრეხილები ნაჭერს, აბზინდს მიეკრა. ნაჭერი რომ ცოტათი ფერს გადაიკრავს, გაშავდება, ცივ წყალში ჩააგდებენ, ამოიღებენ და გასინჯავენ. თუ კარგად არის აბზინდზე გრეხილი შედუღებული, ნაჭერს მოაცლიან რკინის მავთულს.

ასე შემზადებულ ნაჭერს გათეთრება უნდა. ნაჭერს სპილენძის თეფში ჩააგდებენ, დაასხამენ ცივ წყალს, რომელსაც ერთი ჩაის კოვზს კიპაროხს გაურევენ. ქურაზე ადუღებენ, ნაჭერი ისე გათეთრდება როგორც საჭიროა. ამის შემდეგ მას თარჩით გასწმენდნენ. წინასწარ ფრჩა დასველებულა წყლისა, წითელი ღვინისა და ძმრის ნარევი, რომელსაც ვერცხლზე უსვავენ.

გავარსა ორგვარია: ერთი სახის გავარსა გრძელ მავთულზეა გამოყვანილი: ცალ გვერდზე ნახევარგავარსაა, ხოლო მეორე გვერდზე ბრტყელია. ის ასე მზადდება: მრგვალ ზომაზე გაწეული სირმის მავთულს გავარსის ბანდანზე დადებენ და ჩაქუჩის ნელ-ნელი, თანაბარი დარტყმით მავთულის ცალგვერდზე კაკლები გაკეთდება. შემდეგ მას ან ქლიბით ან მაკრატლით გაასწორებენ. იხმარება ნივთების ნაპირზე დასაკრავად. ნაჭერს დაუკავშირდება ისევე, როგორც გრეხილი.

მეორე ჯურის გავარსს გ ლ და და გ ა ვ ა რ ს ი ეწოდება. ზომაზე თითო-
ეულად დასჭრიან გავარსს, ნახშირზე დადებენ და ჭრაქით გააღვივებენ ცეცხლს
იმ ზომამდე, რომ გადნეს ლითონი. ამგვარი გავარსის მიღება სხვა გზითაც
შეიძლება. აქანდაზზე დაყრიან საყვას (დანაყილ ნახშირს), მასზე დადებენ
ერთ პირ გავარსს, შემდეგ ისევ საყვას დააყრიან და გავარსს დაადებენ. ასე
წყება-წყება დაყრილსა და დაწყობილ საყვას და გავარსს ქურაში ჩასდებენ და
იმ ზომაზე გაახურებენ, რომ გავარსმა სიმრგვალე მიიღოს, ეს კი მანინ მოხ-
დება, როდესაც გავარსი გადნება. ეს წესი, უფრო მეტად მრგვალ გავარსს იშ-
ლება.

გ ლ და ს დასამზადებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა წმინდა სირმის
ვერცხლი. ზომაზე იწევა მავთული, შემდეგ ორი მავთული ზომაზე იგრიხება.
ასე დაგრეხილ მავთულს დაახვევენ რკინის ან ფოლადის წმინდა ან მსხვილ
მავთულზე. ამის შემდეგ მაკრატლის წვერით მავთულს დასჭრიან, დაყრიან
ფიცარზე, გაასწორებენ ჩაქუჩით, ჩაფთით თითოეული მათგანის ბოლოებს
პირს-პირზე მიიყვანენ. დამზადებულ გავარსს (კაკალს) დადებენ და ორივეს
ნაჭერზე დააკავშირებენ. დაკავშირება ხდება ამავე წესით, როგორც ზემოთ
აღიწერა.

ხელით მოჭრილი ჩუქურთმა ორგვარია: არის ისე, რომ ყალმით ამოთხროს
დროს მიწა ქვემოთ რჩება, ხოლო ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ზემოთ; არის კიდევ ისე,
რომ მიწა ზემოთ რჩება, ხოლო ყ ვ ა ვ ი ლ ი ქვემოთ.

ჩუქურთმა ზოგ შემთხვევაში ყალმითა და გურსუმით კეთდება, ხოლო
სხვა შემთხვევაში ყალმითა და როიროით (ე. ი. როიროი ფარდაზიანით). ეს
უკანასკნელი განსაკუთრებით თხელ საგნებზე, მაგ., ყანწებზე, იხმარება (ქარ-
თულ-სომხური სევადა). იმისათვის, რომ ნაჭერი თეთრად დავაყენოთ, სა-
ჭიროა: ცარცი, ნიშადური და ძაფის ძაგარა. თუ ყვითლად გვინდა, საჭიროა
ნაჭერი მოიოქროს.

ცეცხლზე გახურებით წმინდა, ბაჯალლო ოქროს გააბრტყელებენ ჩაქუ-
ჩით, დაჭრიან ნაჭრებად და ბუთაში ჩაყრიან (ბუთა ახალი უნდა იყოს). მის-
ცემენ ზომაზე ვერცხლის წყალს, ჯივას (მისხალ ოქროს 12 მისხალი ჯივა
უნდა) გუთას გაახურებენ იმდენად რომ ჯივამ ნელი დუღილი დაიწყოს. ეს
შეეცყობა შემდეგნაირად — ბუთას მაშით რომ აიღებ, დაიწყებს ძიგძიგა
ზედმეტი რომ იდუღოს, ამოხეთქავს და დაიღვრება. ჯივაში ოქრო გაწყალ-
დება. გააცივებენ წყლით და მიიღებენ ბ უ ლ ა ლ ა მ ს. თუ რამე ხომარა
ხომარაა შჩვ, გაირეცხება ახალ წყალში. თუ აღმოჩნდა რომ ბულალამი კარ-
გად არ არის აჭრილი, ისევ ადუღებენ. იმ მიზნით, რომ ჯივამ ოქრო კარგად
შეჭამოს, ხსნარს ნახშირის შემწეობით ურევენ.

ვერცხლის ამ ნაჭერს, რომელიც ოქროში უნდა დავფეროთ, ცეცხლზე
შევათბობთ. მერე მას ბამბით ქეზოფს წაუცხებთ და ჯივაში ძაგრით გაწე-
მენდთ. სპილენძის კოვზით ბულალამს ამოვიღებთ და ნაჭერს გადავავლებთ.
არც ბევრს, არც ცოტას. ამის შემდეგ ნაჭერს ცეცხლში ვდებთ, იქ ის ნელნელა
ხურდება, თეთრ ბოლს აუშვებს და ბამბით შევაშრობთ. ამ ბოლზე ნაჭერი
სიყვითლეა მიიღებს, ჯივა დაიწვის და ოქრო დარჩება. ცეცხლიდან ამოღებულს
ოქროთი დაფერილ საგანს ფურჩით გასწმენდნენ, ნაჭერს ქუქუყი გადაუვა და
ბაჯალლო ოქროს ფერს მიიღებს. ამ ნაჭერს ისევ ცეცხლში ჩასდებენ, რომ
კიდევ უფრო მაგარი ყვითელი ფერი მიიღოს და მთლიანად გაცილდეს ვერ-
ცხლის წყლის სუნი. ფურჩა თითბრის წმინდა მავთულისგანაა გაკეთებული.

თუ სურთ კიდევ ფერის მიმატება, ნაჭერს ჯუშში სდებენ. ჯუში მზადდება ასე: გოგირდი 2 ნაწილი, შაბი 1 ნაწილი, მარილი 1 ნაწილი. ამათ დანაყავენ, სპილენძის თასში ჩაყრიან, ზომაზე ძმარს დაასხამენ და ააღულებენ. ჯუშიდან ამოღებულ ნაჭერს ცივ წყალში ჩაკრავენ და რა ფერზეც უნდათ, იმ ფერზე დააყენებენ. ნაჭრის გასაშრობად საუკეთესოა კაკლის ხის ნახერხი.

მოოჭრობა შეიძლება ვერცხლის, სპილენძის; არ შეიძლება რკინისა, ფოლადისა და თუჯისა.

სევადის ორნამენტის გამოსაყვანად საჭიროა წინასწარ სევადის დამზადება. აქვლებენ 24 მისხალ სპილენძს, 24 მისხალ ტყვიას და 5 მისხალ წმინდა ვერცხლს (თუ სირმა იქნება, უკეთესია, სევადა უფრო მეტად შავი გამოვა) და ერთ გირვანქა გოგირდს. თავდაპირველად ბუთაში სპილენძსა და ვერცხლს ჩასდებენ და ქურაში ცეცხლზე ცხარედ ადულებენ, სანამ გადნებოდეს. შემდეგ ფრთხილად ტყვიას ჩასდებენ იმგვარად, რომ უცებ არ გააცივოს ხსნარი. ამ ხსნარში ცეცხლზე ტყვია ადვილად დადნება.

ხსნარის დუღების დროს ნახშირით ურევვენ. თუ ნაღნობი კარგი არ არის, ხსნარს გოგირდს უმატებენ, შემდეგ ცეცხლიდან აიღებენ და ხსნარს რიჯაში ჩაასხამენ. გაცივების შემდეგ მიღებულ ნივთიერებას შუაზე გასტეხავენ და მის სიკარგეს შეამოწმებენ. განატეხს მწვანე ფერი გადაჰკრავს და ხასხასება.

ამის შემდეგ მიღებულ ნივთიერებას შუშის თეფშზე ან სპილენძის თასში ჩასდებენ, ცხელ წყალს დაასხამენ და იმდენ ხანს რეცხავენ, სანამ არ გაუვა შავი ჭუჭყი, ამგვარად მზადდება სევადა.

მის შემდეგ, რაც სევადა მზადაა, საჭიროა იმ ნაჭერზე, რომელზედაც სევადიანი ორნამენტი განსაზღვრულია გაკეთდეს, იწყება ყალმით სახეების ამოთხრა. იმის მიხედვით, თუ რა ორნამენტია განსაზღვრული. ხელოსანი ნაჭერზე ამოჭრის ყვავილს, ვარსკვლავს და სხვას, რომელთა ნიმუშები ოსტატს მოეპოვება.

დამზადებული სევადა ინახება სევადის აბრადანში. ხმარების წინ იყენებენ ბორას. ბორას (ნახევარ ჩაის ჭიქა წყალს ნახევარი ჩაის კოვზი ბორა უნდა) ჩოპით დაასხამენ იმ ნაჭერზე, რომელიც სევადის ორნამენტით უნდა შეიმოსოს. სევადის ნაჭერებს დააწყობენ ნაჭრის ამოღებულ ადგილებზე. შეაშრობენ და იმ ზომაზე ახურებენ, სანამ სევადა ნაჭრის ლარებს არ დაადნება, მერე ნაჭერს ხელში შეატრიალებენ, რომ საჭირო ადგილებზე სევადა თანაბრად მოედოს. ამის შემდეგ ნაჭერი უნდა გაცივდეს. ეს სევადის დასმის ერთი პირია.

ნაჭერს ფურჩის შემწობით გაწმინდავენ, ისევ ბორაწყალს წაუსვამენ, ხელმეორედ გაახურებენ. ცეცხლზე ან ჭრაქით, სევადას კვლავ გააღნობენ, რომ წმინდა პირჯო მიიღოს და ჩოფური რაიმე არ ექნეს.

ამის შემდეგ ნაჭრის გათეთრების მიზნით მას კვიპაროზის წყალში ადულებენ. შემდეგ აშრობენ, სევადას ქლიბით წმენდენ, რანდათი ზედმეტ ნაწილებს ამოსჭრიან და მისხალით პეწს მისცემენ. ასე მზადდება შავყვავილიანი სევადა.

სხვა შემთხვევაში შავყვავილიანი სევადისაგან განსხვავებით თეთრყვავილიანი სევადა კეთდება. ნაჭერზე ორნამენტი ზემოთაა ამოყვანილი, ეზო დაბლა რჩება, ისე რომ სევადა ეზოს ადნება და არა ორნამენტს. ამის გამო ეზო შავი გამოდის მოსევადებული, ხოლო ორნამენტი თეთრი.

დაფერვა წყლით შემდეგი წესით წარმოებდა: ნახევარ მისხალ ოქროს ვაათხლებდნენ, დასჭრიდნენ, ჩაყრიდნენ ფინჯანში (მაგარი თიხის უნდა ყო-

ფილიყო), დაასხამდნენ ზედ ქეზაფს, დასდგამდნენ ნელთბილ ცეცხლზე და ადუღებდნენ ნელ-ნელა, სანამდის ოქრო შეიჭმება, დაშრება. ამის შემდეგ 10 ჭიქა ნაღულარ წყალს ჩაასხამენ თიხის ჯამში, მასში ჩაყრიან სამ მისხალ კოლობურაზს და სამ მისხალ პატაშს და ზემოთ დასახელებულ აჭრილ ოქროს ამოავლებენ. სითხე ყვითლად შეიღებება. ამ სითხიდან გადაიღებენ საჭირო რაოდენობისას ამა თუ იმ დასაფერავი ნაჭრისათვის. აიღებენ ვერცხლის ნაჭერს, დასდებენ თუთიაზე, სითხეში ჩაუშვებენ, ნაჭერს ნელ-ნელა ოქრო მოეკიდება, დაიფერება. პირველი ამოღების შემდეგ ნაჭერს ფადრიჩით გასწმენდნენ. მეტი ფერის მოსაცემად მას მეორედაც დაფერავენ.

ვერცხლის, სპილენძისა და თითბრის თეთრად დაფერვა საჭიროებს შემდეგი წესების შესრულებას: მისხალ სირმა (წმინდა) ვერცხლს გაათხელებენ, ზომაზე დასჭრიან, ფინჯანში ჩაყრიან, ქეზაფს დაასხამენ და ადუღებენ ნახევარ კასრ წყალს ადუღებენ, შიგ ექვს მისხალ კალიბუროზს, 6 მისხალ პატაშს ჩაყრიან, ადუღებენ, ამოავლებენ აჭრილ ვერცხლს. ამ სითხეში თუთიის საშუალებით სპილენძის, თითბრისა და ვერცხლის ნაჭრებს ათეთრებენ.

ვერცხლის გათეთრება მოითხოვს 1/2 საათს სითხეში დებას, თუ უნდა აერცხლმა ბევრი სითეთრე მიიღოს.

ოქროს საფერავში ნაჭერს შედარებით მცირედი ხანი სჭირდება.

არცერთ საფეხურში რკინა არ იხმარება. ოქრომჭედლობაში ხმარებულ იმ წესებს შორის, რომლებიც ცალკე განხილვას საჭიროებენ, ამჟამად არ ვეხებით (ჭედურობასა, მინანქარს და ზარნებს).

აქ მოტანილი ხევისურეთის, დუშეთის, ლეჩხუმის, სვანეთის, გურიისა და თბილისის ოქრომჭედლობასთან დაკავშირებული მასალა ლითონის სამკაულების დამზადების შემდეგ ძირითად წესებს შეიცავს:

1. ამოღარვა,
2. ამოკვერვა,
3. ჩამოსხმა,
4. გრეხილი და ცვარი,
5. სევადა,

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ქართველი ტომების ოქრომჭედობაში ლითონის სამკაულების მოსევადების წესით დამზადება სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი. იმ დროს, როდესაც სევადა თბილისში, ლეჩხუმში და გურიაში იმ ერთგვარი შემადგენლობითაა მოცემული (სპილენძი, ვერცხლტყვია და გოგირდი), სხვაობა მასალის პროპორციამაა, ხევისურული და სვანური სევადა თავისი შემადგენლობით განსხვავებულია როგორც თბილისურ-ლეჩხუმურ-გურულსაგან, ისევე ურთიერთ შორისაც. ხევისურული სევადა შესდგება მხოლოდ სპილენძისა და ვერცხლისაგან, ხოლო სვანური სპილენძის, ტყვიისა და გოგირდისაგან. საგულისხმოა ამასთანავე, რომ სვანური სევადასათვის საკუთარი სახელიც კი მოუნიჭებია (ლიჰელვე). ზემოთქმულს ვადიდსთვის საკუთარი სახელიც კი მოუნიჭებიათ (ლიჰელვე), რაც ნიშნავს მოალვას. ზემოთქმულს ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სვანური წესით დამზადებულ სევადას დუღება არ უნდა, ადუღებენ მხოლოდ ტყვიას.

მაგრამ სევადასთან დაკავშირებით, საყურადღებოა აგრეთვე მეორე გარემოება. სახელდობრ ის, რომ იმერული მოსევადება ტექნიკურად განსხვავდება ტფილისური მოსევადებისაგან. იმერული სევადა შავყვავილიანი სევადაა.



ქართულ-სომხური ოქრომჭედლობისათვის, ამ წესის მიხედვით, ყვავილი ზემოთა მოცემული, რელიეფური ეზო კი დაწეულია და მოსევადებული. ამგვარივე მოსევადება აგრეთვე დამახასიათებელი ჩანს ლეკების ოქრომჭედლობისათვისაც, სადაც ხელით მოჭრილი ჩუქურთმა ამობურცულია, ხოლო ეზო შავადაა მოცემული. ამ განსხვავებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის თავისებურება, რომელიც იმერულსევადას თან ახლავს. ეს მდგომარეობს მასში, რომ ამა თუ იმ სახის ამოღარვა ლითონზე სადაა და არა ღრმა და მაღალი.

მაგრამ ჩვენს ოქრომჭედლობას არა მარტო ზემოხსენებული თავისებურება ახლავს. ჩვენებული ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გრეხილი და ცვარა. გრეხილი ფილიგრანი ხელობის განსხვავებულ სახეს წარმოადგენს. ჩვენს ოქრომჭედელს ის ოსტატურად აქვს გამოყენებულ და დიდ ეფექტსაც იძლევა. აწინდელთან შედარებით ლითონის ორნამენტის დამზადების ეს წესი წინათ უფრო მაღალ დონეზე მდგარა, რასაც ამტკიცებს თუნდაც ქართვეანის განათხარი მასალა, კერძოდ ვერცხლის ძეწკვი, რომლის დამზადების წესი ამჟამად დაიწყებულია.

ასეთსავე თავისებურებას ეკუთვნის ცვარას წესის გამოყენება. ეს წესი ფართოდაა ჩვენს ოქრომჭედლობაში დამოწმებული და რამდენად ძველია სამკაული, იმდენად უფრო მეტადაა მასზე ცვარა მოცემული.

ცნობილია, რომ გრეხილი და ცვარა ჯერ კიდევ მელითონეობის საუკეთესო ოსტატების — ტაბალების, ოქრომჭედლობაში მოიპოვება და მათთვის დამახასიათებელ წესს განეკუთვნება.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გრეხილი და ცვარა ჩვენს ოქრომჭედლობაში ძირგამდგარი, მყარი მოვლენაა, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა, ადვილად დასაშვებია, რომ აღნიშნული ტექნიკური წესები ძველი ხანიდან მომდინარეობს.

მაგრამ არამარტო ზემოთ გარკვეული ოქრომჭედლობის მიერ დამზადებული საგნის ფორმები, ორნამენტები და ტექნიკური წესები ამჟღავნებენ ოქრომჭედლობის ელემენტების ძველ სახეებს, არამედ ოქრომჭედლობასთან დაკავშირებული პროფესიული გაერთიანებაც უძველეს ხანას ეკუთვნის.

თბილისის ოქრომჭედლებს თავიანთი საოქრომჭედლოები ერთ ქუჩაზე ჰქონდათ გამართული ე. წ. ვერცხლის რიგში. ორი-სამი კაცისგან შემდგარი საოქრომჭედლოს სახელოსნო ეწოდებოდა, ხოლო ხუთი, ექვსი და მეტი მუშახელისაგან შემდგარს — ქარხანა. სახელოსნოსა და ქარხანაში მომუშავენი იყოფოდნენ: ხელოსნებად, ქარგლებად და შევირდებად. ოქრომჭედლებს თავიანთი საამქრო ჰქონდათ და ჰყავდათ: უსტაბაში || მამასახლისი, კეთილსინდისიერი (ასკაკალები), ხაზინადარი, ალამდარი და შიკრიკი. საამქრო ემორჩილებოდა განსაზღვრულ წესებს და მტკიცედ იცავდა ტრადიციებს, საამქროს აგრეთვე ჰქონდა დროშა.

საამქროს დროშების კოლექციაში, რომელიც საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული, თბილისის ოქრომჭედლობის ამქრის დროშაც წოიპოვება. ის (კოლ. № 67—26/7) წარმოადგენს ცისფერი აბრეშუმის ოთხკუთხედ ქსოვილს, სიგრძით — 137 სმ, სიგანით — 97 სმ, რომლის

30 ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ამქრის წმიდანებს. ამქრის მფარველად მიიჩნევენ შანშიევი, ეგვიპტოვი, გრიშაშვილი და გამყრელიძე, ხოლო ხელობის გამომგონებლად და მფარველად — ახერდოვი და ვეიდანბაუმი.

ერთი ნაპირი დანიკბული და ფოჩებია. ქსოვილის ორივე პირზე ზეთის საღებავით დახატულია ამქრის მფარველი წმიდანების (ფირი) სურათები³⁰. ერთ პირზე გამოსახულია წმინდა გიორგი, რომელიც შუბით გველუშაპს გმირავს (აქვეა მზეთუნახავი ქალი). გიორგის გვერდით ორივე მხარეზე ანგელოზებია დახატული. ქსოვილის მეორე პირზე ქრისტეს სახე და გვერდით ანგელოზებია მოცემულ³¹. როგორც პირველი, ისე მეორე პირის სურათები შემკობილია მცენარეული ორნამენტებით. სურათებს აგრეთვე წარწერები ახლავს ერთ პირზე — ქართული და რუსული; ხოლო მეორეზე — სომხური და რუსული. ქართული წარწერა იკითხება ასე: „ოქრომჭედლობის ბაირალი ივან მირიმანოვს (Sie) დროს 1889 წ.“. (ტაბ. 75).

დროშის ხეტარი მრგვალია, რკინის გუნითა და კავით. შეღებილია მუქწითელ ფერად. ხელტარზე წამოცმულია ვერცხლის ბუშტი და შუბის წვერი. ბუშტზე თეთრყავილიანი სევადით მცენარის ორნამენტია გამოყვანილი. აქვე ორი ქართული წარწერაა, რომლებიც ასე იკითხება: პირველი — „ბაირალის ბუშტი ვერცხლისა სარობჩესტო ოქრომჭედლობისა 1889 წელსა ივანე იელიზარის ძე მირიმანოვის სტარშინობის დროს ვაკეთდა“. მეორე: „1889 წელსა ქრისტეშობის 24 არტემ სოსაას ძე გრიჭუროვის ხელოვნება“. ორივე წარწერა ჩინებულადაა შესრულებული, ისევე როგორც ბუშტიც საგულდაგულოდ დამზადებულ ხელად წარმოადგენს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ სახის ბუშტს თბილისის ხელოვნებაში ქართული ბუშტი ეწოდება.

ხეტარს შებმული აქვს ფერადი ფუნჯები, ტარის სიგრძე 304 სმ, შუბის წვერი და ბუშტი — 47 სმ.

საქართველოს მუზეუმის საამქრო დროშების კოლექციაში ოქრომჭედლების დროშის გარდა აქიქების (იუველირების) დროშაც არის. ვინაიდან ოქრომჭედლების ამქარს აქიქები რუსეთის მეფის მთავრობის განკარგულებით გამოყვანენ, ხოლო მანამდე ისინი ოქრომჭედლებთან ერთად ერთ საამქროში შედიოდნენ და საერთო წესჩვეულებები ჰქონდათ, აქიქების დროშის აღწერილობას აქვე მოვიტანთ.

აქიქის დროშა არის შვინდისფერი აბრეშუმის ოთხკუთხედი ქსოვილი, სიგრძით — 146 სმ, სიგანით — 109 სმ, რომლის ერთი ნაპირი დანიკბულია, მის გარშემო შემოვლებულია მწვანე ფოჩი. ერთ ნაპირზე აწერია ასე: „ბრილიანჩიკების ბაირალი ჩ. ყ. პ. გ. წ. 15-მაისი“, ხოლო მეორე პირზე — „Ювелирная цеховая знамя. 1883-го 15-го мая“ ხეტარს აქვს რკინის ბუნიკავი (ხე შეღებილია მუქწითელ ფერად), აგრეთვე აქვს ლითონის ბუშტი და შუბის წვერი. შუბის წვერი ოთხფრთიანია. ხეტარის სიგრძეა 360 სმ, ბუშტი და შუბის წვერი — 54 სმ. ქსოვილის ერთ პირზე ზეთის საღებავით ხატია წმინდა გიორგი, რომელიც შუბით გველუშაპს გმირავს, ხოლო მეორეზე — ხარება. როგორც პირველი, ისე მეორე სურათი შემკობილია მცენარეს ორნამენტით.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღწერილი ოქრომჭედლობისა და აქიქების დროშები მათი შემადგენელი ძირითადი ელემენტების მიხედვით ხევსურულ სახატო დროშას მიემსგავსება.

მართლაც, ტიპური ხევსურული სახანათლო ბორაყი (გასანათლაჟი ბაირალი, დროშა) შესდგება იმავე ნაწილებისაგან, რომლებიც ძირითად საამქრო დროშაშია მოცემული.

ხევისურულ დროშას აქვს: ხელკეტი, საკადრები, ბუშტი, შუბის წვერი და ზანზალაკი. სახატო და საამქრო დროშის ნაწილებიდან ერთიმეორეს პასუხობს ორივეში წარმოდგენილი: ბუშტი, შუბის წვერი და ხეტარი. რაც შეეხება საკადრებს, უნდა აღინიშნოს, რომ საკადრებიც ქსოვილის ნაჭრებია, აბრეშუმის ან ჩითის ბაღდადების სახისა, რომლებსაც მლოცავები სწირავენ ხატს, უთუოდ ამგვარი შესაწირავი ბაღდადებით იყო წინათ შემკული ამქრული დროშა, რომელიც შემდეგში, ცარიზმის დროს, მთლიანი ქსოვილის ნაჭერმა შესცვალა. ამ ცვლილებას მოჰყვა ქსოვილის მოხატვაც.

ერთადერთი ელემენტი, რომელიც საამქრო დროშაზე მოცემული არ არის, ეს გახლავთ — ზანზალაკი. მაგრამ, ესეც, ალბათ, ამქრული დროშის მოდერნიზაციით აიხსნება.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საამქრო დროშის უძველესი სახის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ძველებური დროშების აღწერილობები არ არის ჩვენამდე მოღწეული.

